

ბნათთთი

1

54942

ყოველთვიური მხაცვრულ დიცერაცურული
მეცნიერულ პუბლიცისცური უყრნადი

წულიწადი შუბტესე

ნაცვარი



სახარმნივრო ბამოცვამდობა
ფშიდისი 1929

ბრტინტული
ბრტინტული
ბრტინტული
ბრტინტული
ბრტინტული



ეროვნული
ბიბლიოთეკა

მხატვრული ლიბრეტო

უკვდავ კომუნარტ

ცხრაას ცხრამეტ წლის
 იანვრის ხუთმეტს
 არ იფიწყებენ პროლეტარები,
 ამ დღეს მოგვიკლეს
 მტრებმა ლიბკნეხტი—
 —დიადი დროშა კომუნარების.
 როცა ქვეყანა
 გაშმაგებული
 ომებში სპობდა სიცოცხლის ნასახს,
 ბევრი ქალაქი—
 ერთ დროს ქებული
 წარმოადგენდა გადამწვარ ნასახლს;
 როცა ვერდენის
 ციხე სიმაგრეს
 აზანზარებდა ტყვიის ძახილით,
 დიდი რუსეთის
 გადაშლილ ველებს
 ანადგურებდენ ცეცხლით, მახვილით;
 როცა ვილჰელმი
 იმპერატორი
 მილიონთ ბედის იყო პატრონი
 და გერმანიის
 მშრომელი მასა,
 იდგა გუშაგად,
 ვერ სძრავდა ხმასა,
 მაშინ ვინ იყო სიმაართლის მთქმელი
 გერმანიაში
 ლიბკნეხტის გარდა?!
 სოციალისტთა ლაშქარი ძველი
 გამოიკვალა და გადაგვარდა.
 უკვე გადიქცენ გამყიდველებად

შეიდგმანი,
 ნოსკე, ებერტი,
 ველარ იცნობდა უკვე ვერავინ
 იმათ იღვებს
 ძალზე შებერტყილს.
 მხოლოდ ლიბკნებტი,
 ისერის ლოზუნგებს:
 „ომი—ომს—ძმებო—
 და გაფიკვები!
 ხალხს ვერ უშველის
 ნოსკეს ლაყბობა,
 მეფის ორდენი,
 და ოფიცრები“.
 ლიბკნებტს სდევნიან,
 ლიბკნებტს იჭერენ,
 ბინას აძლევენ
 ბინძურ საკანში;
 ინტერნაციონალს
 მღერის უშიშრად
 ლიბკნებტი ახალ
 თავშესაფარში.
 მარცხით გათავდა
 ომის დღეები,
 ხალხს შემოესნა
 მეფის მუხროუკი,
 განთავისუფლდა
 ბოლოს ციხიდან
 ლიბკნებტი ლალი
 და თმა-ხუჭუჭი.
 მან დაარსა
 დიდი სპარტაკი,
 მებრძოლი რაზმი
 პროლეტარების,
 მან დაუსაბა
 მილიონ მშრომელთ
 კომუნისტური
 დრო ნეტარების.
 გახდა ყოველგან
 მუშების თვალში
 საამაყო და საბელოვანი,
 და დაანარცხა მიწაზე შედგრათ



ჰინდენბურგები
 „დიდგულოვანნი“.
 იყო მისი ხმა:
 ძმებო, გვეყოფა
 რაც აქამომდე
 ხალხი ისრისა,
 მაშ გაუმარჯოს
 ინტერნაციონალს!
 აღეშართოთ დროშა
 კომუნისმისა!..
 მაგრამ დაეცა
 კარლი ბრძოლაში.
 ბერლინის მასამ
 იგი იტირა.
 კარგად იცოდენ
 რად მოჰკლეს იგი,
 ვისთვის ეწემა
 და გაიწირა.
 ლიბკნეხტი მოჰკლეს
 და ამ აშმავემა
 შესძრა მსოფლიოს
 მშრომელთ გულები.
 მალე დაანთებს
 ხალხი მძლე კოკონს
 ბურჟუაზიის განადგურების.
 მასთან დაეცა
 ერთად ბრძოლაში
 რუსეში ძალით
 ლიუქსემბურგ როზა,
 დიდი კომუნის
 მქადაგებელი,
 სოკილიზმის
 შენების დროსა.
 და გერმანიის
 ჩარხი ბედისა
 ათასნაირად რომ შემობრუნდეს,
 არ დაივიწყებს
 ამ მებრძოლთ მკვლელებს:
 კოლლს, ფონ პფლიუგ ჰარტუნგს,
 ფოგელს და რუნგეს.
 მასა თვით დასჯის
 გილიოტინაზე
 თავისი ხელით
 ბოროტ ჯალათებს,—
 ხალხი მოელის—
 მტრების ჯინაზე
 რომ კომუნის მზე ამოანათებს.

ბულბულიანი

ფრინველი იტყვის:—ფრინველურ ჰანგით
 კვლავ დაუბრუნდეთ ხავერდის ყლორტებს,
 თორემ ჩემ ყელსაც ედება ჟანგი,—
 დროა ვარდებთან რომ გამოვრბოდეთ. —
 და შეაფრინდის ზეციურ ზეწარს,
 ვადუვლის მთებს და ხეთა ბანაკებს,
 როგორც დედაკაცს ყელამოფხრეწილს
 კენესა უნდა და...

ჰსურს ლაპარაკი.

სურს სიამიდან—საამურამდე
 მან იგალობოს საშოედანოდ,
 თუ ვერ მიაღწევს ზეცის ყურამდე,
 სიმღერა ხალხში ჩამოიტანოს.
 ახსოვს ვაზეთს რომ არ კითხულობდა,
 არც წიგნის სევდა გაეგებოდა, —
 ის მხოლოდ ტყეში ვარდს ფიქვლობდა,
 სწამდა სიყვარულს რომ შეხედებოდა.
 და მიაწერეს იადონს ვარდი,
 ფრთა შრიალებდა ტყეში შურივით,
 დასცვივდა ბულბულს ყელიდან დარდი
 და ჭვაზე გატყდა სალამურივით.
 ჰსურს სიამე და ველარ იგონებს
 ნაკვამლ მნათობებს ძველ შინებევით,
 პენსნეში დასცქერს დროის სტრიქონებს
 და წიგნზე ფრთებს შლის შეშინებული.
 და იტყვის:—ცრემლით ამევსო კოდი,
 დროზე მაისიცი აღარ მოვიდა,
 ვარდი რომ ვიყო ხომ დავკენებოდი,
 გულს ჩაეიკლავდი იადონიდან.
 ვარდო ნაზარდო ბალის ეკალით,
 შენს სურნელებას ნისკარტით ვხევედი,

სჯობდა ფრჩხილებით რომ მომეკალი,
 ტანზე თეთრ კბილებს აგვიკვლავდი.
 ახლა გული მაქვს სუფთა ვაშლივით,
 შემოვახვიე გაზეთი გარეთ,
 მოტყდა დღეებზე შტონი გაშლილი
 და საუჯუნის შიაწყდა კარებს.
 ბედის სარკვეზე ფრთები ავლანდე,
 ალვები ქარით ამბობდენ ბოდიშს: --
 ვარდი მოკვდა და ვერ მილალატე
 და ფრთებით წლებზე გადვიშრიალე.
 ვინც ყელის სურნელს კვლავ შეაბერდეს,
 ძველ ხორცის ხაეერდს ვერაფრით იხსნის,
 ცხოვრების წიგნის დედანზე ვწერდი,
 და ნაწერს მოხვდა ფრინველის სისხლი. —
 ორკესტრის წკრიალს ტყე შეებრძოლა,
 სახლნი დადუმდენ მთების ტრილაზე,
 ბულბული დაჯდა წარსულის ძვლაბზე
 და იწყო ყეფა ინდუსტრიაზე.
 სტვენით, გალობით აზრებს მარცვლაედა,
 ხან მღეროდა და ხან კი სტიროდა,
 მაგრამ ბულბულის გზების გამოცვლას
 არეინ გრძნობდა და არვის სქიროდა.

სიმღერა პირველი თოვლისა

— ეს თოვლია,
თუ მიმინომ
დააფეთა მტრედები? *
ვარსკვლავთა ოთახებში
ჩათელემილებს
ეძინათ,
ეხურათ ხვერდები!
რძეში ჰქონდათ ნაბანი
პაწაწინა მუხლები,
ყვავილების წალამით
შიშინებდნენ ბუხრები...

— ჩქარა!
მინდა ვუცულო!
მესმის მათი თქერანი,
სავსე თოფი მომეციოთ
და ცხენი ნაქერალი!
ორი გუნდი გაფრინდა,
მდინარეში გასტოპა.

ჩქარა!
თორემ წასულა—
ჩემი ახალგაზღობა!
ასე იყო მაშინაც,
შიშინებდა ბუხარი,
კარში თოვლი ცვიოდა
თოვლი ოქროიანი...
მწვავდა გამოუთქმელი
სიტყვები ნადლარო
და მესმოდა ოთახში
მე ლექსების თქრიალი!

წასულა და წასულა,
ნეტავ საით წასულან
ის პატარა სიზმრები?
სიკბაბუკის დღეები
შორიდან მომბლავიან,
როგორც მთიდან ირმები!



ქართული
ბიბლიოთეკა

— ვაჰ, შენ ჩემო თეთრო მტრედო,
გულო ჩემო კრიალა!
საკალმახე წყალივით
ლექსი ვერ ვაწკრიალე.
და როგორც
ციცნათელა
აბედს არ ეკიდება,
ისე შემოხარჯულა
ჩემი ლექსის დიდება!

— ეს ცრემლია, თუ გულმა
დასძრა ლექსის მტრედები?
ვარსკვლავთა ოთახებში
ჩათვლემილებს ეძინათ
და ჰქონდათ იმედები!

— ეს ლექსია, თუ მღერის
გავლილ დღეთა კრებული,
გულია თუ მინდორი,
დილას მოფუტკრებული?!

— არა!
ეს თოვლი არი
ვარსკვლავების ქაფითა,
არა!
ეს მტრედებია,
მიმინომ დააფეთა!
ჩქარა!
მინდა ვუყელო,
თოფი ვტყორცნო ხშიანი,
ჩქარა!
ზარით მარხილი,
ოქროს ჩარდახიანი!
ორმა გუნდმა კიდევაც
მდინარეზე გასტოპა!
ჩქარა!
თორემ წასულა
ჩემი
ახალგაზღობა!..

მანიფესტი მკითხველებს

საკუთარ ძალღონით, ფიქრით და შრომითვე მიხდება ყოველი ლექსის აშენება.

შენთან ვარ მკითხველო,

გიცქერი ნდობით მე.

შენდობი თუ არა

ეგ შენი ნებაა.

კრემლიან ლირიკით გული ვის აუუნთო,
რა პირით ვახსენო

მთვარე და ვნება!

დროა, ტაბიძიანთ მიმდევრებს დავუთმო
ეგრედ-წოდებული „ზეკაცთ-ხელოვნება“.
ვეცდები მდაბიო ენით გესაუბრო,
გითხრა:

— ეს არ ვარგა,

ის კიდევ სულ ხომ.

მეც მოქალაქე ვარ, და სწორედ მით უფრო
შენგან ამოძახილს უნდა ვუპასუხო.

სადღაა მგოსანი ვარდზე რო გალობდა,

ხმა ჰქონდა ბულბულივ ტკბილი და საამო.

ბულბული მოკვდა. სიკვდილს არ ვნანობ და

ვიბრძვი კაცობრივი იდეალის გამო.

ყველა დავალება თუ კი შეგისრულე

მგონი საკმაოა.

მეტი რა გიყო.

კეთილი გულით და გუნებით ვისურვებ

ჩემი მოკავშირე კაცი ყოფილიყო.

სიტყვასაც არ ვიტყვი შენდა უნებლიედ,

არ მინდა კრემლები,

კაეშნობა მარტო.

ვხდები ამ ცხოვრების ერთი მშენებელი

სინდისი შემირცხვეს ხალხს თუ ვულაღატო,

უბრალო თქმაშიაც აზრია რამდენი.

გულისთქმა მითხარ და,

თუ ტკივილს მიგიხვდი,—

ხემო სართულიდან ჩამოვალ შენამდი

გულითად მადლობას ლექსით გადაგიხდი.

პოეტი — მხედარი

მე შინდა—
 სანამდე შემოზინდებოდეს
 და გაეკროდეს
 ტრაური თვალს;
 სანამ შავი ფრინველი
 შემოფრინდებოდეს
 გმირული
 სიტყვები ვსთქვა:
 მე შინდა
 უმლერო ქობებს და ქარხნებს
 — მე შინდა:
 უმლერო ზღვას,
 მე შინდა
 ბრძოლებისთვის ისევე გავმზნევედ
 გავიყოლიო სხეაც.
 მე შინდა:
 სიცოცხლე მკვირცხლი და მშეტყველი
 ცეცხლივით ელაედეს ქვაც
 მე შინდა
 გაეაპო მღელვარე ტალღები
 და შეუერთდე ქარს.
 მე შინდა
 მუშათა
 ერთგული პოეტიც
 ამ ჰანგზე
 შართაედეს ქნარს,
 რომ ეგ სურვილები
 გულს ცეცხლად მოედოს
 შემოიკრიბოს
 მასებიც გარს.
 თუ ჩვენი აზრებიც
 შემოზლუდულია
 ვაჭუხო
 ძლიერი ხმა,
 ვამხედრო
 მზრელი ამდენი ხანია
 მოლაღატისთვის,
 რომ ლესავს ხმაღს.

ქალ-ვაჟიანი

2

დაღეწეს სალამურები
 მთაზე წასულმა მწყემსებმა:
 ეგ დეკეულის ცურები
 ქალო, წყურვილით გევესება!

გულზე დამეცა ლოდით:
 ნატვრა, დარდი და წადილი,
 გრძელია შენი ლოდინი
 უმზეო წელიწადით!

თვალის შეხვედრა გიამა,
 წელში შეირხა ლატანი.
 მკერდი გაგილო ნიაემა—
 სინზე დაყარა ატამი.

დამწიფდა ოქრო მტევნებით
 რქა-ბუდეშური ჯაგანი.
 შენს აზრდის ავედევენები
 დაქრილი მიჯნურთაგანი!

ველოდებოდი ირემსა,
 შემზედი დამფრთხალი კანჯარი.
 ნეტავი მონადირესა,
 რომელმაც დაგკრას ხანჯალი!

ტყეში გაგწიროს ტიალათ,
 გზა აგირიოს ნაგეში;
 მე შეგეყარო ტრფიალი—
 შეგხვით ვნების ბადეში!

ბალი სავსე და ულვეი
 ნეტავი დამაკრფინა!
 ჩითით შემიკრა წყლულები—
 შენ რო გულიპირს გეფინა!



ქართული
ბიბლიოთეკა

ვარდით შეკრულმა ბაგემა
 ელეა მესროლა დილითა,
 სიცოცხლის სიტყვო მაგემა
 მაგ ლალ-მარჯანის მილითა!—
 და მერე იყოს ალალი,
 თუნდა შეშახმეს მარჯვენა.—
 შენი კავი და დალალი
 დაბლა გაშლილი მჩვენა!



54942

4/6

საქართველოს
 სახელმწიფო
 ბიბლიოთეკა

სავარჯიშო მოედანზე

როცა ვიგონებ დღეებს ვნებიანს
გული რამდენჯერ გამიხალისდა
და ან რამდენჯერ მომვინებია
მე ელვარება ფრანგულ ხმალისა.

ასე მგონია ბრძოლა მინდება
და გულს სიცოცხლის ალი მოედვა;—
ეხლა როდესაც გაესცქერი მინდორს
და საეარჯიშო ველს და მოედანს.

გული მეგულვის გმირებთან ახლოს,
თვალეზსაც ისევ სიხარულს უნთებ—
როდესაც ვხედავ ელვარე ნახტომს
ბრინჯაოსებურ ელვარე კუნთებს.

თვალს ვერ გაშორებთ—თვალთა მაქვს ბური
თითქოს ეს გულიც გახმა და გაშრა;
მე მაჯადღობს ორბისებური
შემოხედვა და მქუზარე „ეაშა“.

ამდენი ჯანი თქვენში ვით ხარობს,
ამდენი კუნთი რამ ჩამოზიდა
და ან რომელმა ქარმა მოგხაროსთ
შედღულებულნი რკინით და მზითა.

თქვენს აშლილ სხეულს თვალთ ვებევეი
არ მსურს ღიმილი მქონდეს ფარული...
ასე მგონია მეც გავეფხუდები
ჰაერისა და მზის სიყვარულით.

როცა მიდრხართ თან დროშებს ნაჭებს
არხვეთ და ტერფი ეცემა მძიმედ!..
ჩვენც თქვენი ქვეყნის მოქალაქეებს
გაგვიასკაცებთ დროსა და იმედს.

წითალი ლილი

(ციკლიდან „გივი შადური“)

— ქართულ პროზას და პოეზიას გივის სალამი!

რა ამბავია, ყარამანებო, გარდანქეშნებო, სულის-დევებო: სასაფლაოზე—ამ სევდის ბალში, გივის ბინაზე, ჩემს აგარაკზე რამ მოგიყვანათ?! თუ შეგიდგენიათ, ჭორებს თუ გამოქცევიხართ, სიცხეს თუ გამოჰპარევიხართ?! სხვაგან გეძებდით, მაგრამ დამასწართ და თქვენივე ფეხით ეწვიეთ გივი შადურსა—თქვენივე სუფრით, მწვანელ-მოთაღით, ქათამ-კახტურით და ცვრიანი მწვადით. ალბათ გაიგებდით, რომ აქა შაქეს ბინა...

— აქა გაქეს ბინა?.. სასაფლაოზე?

— შადური აქა სცხოვრობს?.. რა სათქმელია!

— დევმირებო, ამირანებო! ნუ თუ აქამდე არ მითქვამს თქვენთვის, რომ მე, შადურმა, საგოდებელზე გავიჩინე სადგური და რომ აქ არის ეხლა ჩემი ტაძარი?

— ახირებულაი!.. გაუგებარია!

— რის ტაძარი! რა საგოდებელი!

— პირვეთელამ ჯერ არ იცის ძველი ქართული. საგოდებელი ძველად სასაფლაოს ერქვა, ტაძარი კი—სასახლეს. და ჩემი სასახლეც აი ეს არის: უზარმაზარი სევდის ბაღი, ათი-ათასი მიცვალეზულით დასახელებული. ხომ ხედავთ, რა დიდებული ამაღა მყოლია! დიღალ, მეგობრებო, გთხოვთ დამიჯეროთ, ეს არის ჩემი შეუღალი სახელმწიფოც და სამყაროც, ჩემი უამრავი ლაშქარიც, ოჯახიც და ნათესავიც.

მეკითხებით, ამ გოდებისა და ურვის სამეფოში რამ მოგიყვანაო? ეს მერე იყოს, ჯერჯერობით კი უძირო მადლობას გიძღვნით სტუმრად მობრძანებისათვის. ეხე-ხე! ნუ გეცინებათ, მეგობრებო. ჩემი სუფრა—აი ეს ბალახია, ჩემი დარბაზი—აი ეს ჩრდილი, სკამ-მაგიდა—საფლაოს კეები, ხოლო მზარეული, მწლე, მერიქიფე, ჭაშნაგირი, მებარკე, მეჭურჭლე, მთავარსარდალი და სახლთუხუცესი—აი ეს მესაფლავე, ეს დარაჯი გახლავთ.

როგორც ვხედავ, ყველაფერი უჩემოდ მოგინპარიათ და ძალიან კარგადაც მოჰქცეულხართ. მაშ მოილხინეთ, მეგობრებო, მოილხინეთ და სიცილ-ყვირით გასძებით ამ საგოდებელზე, სადაც ორად-ორი საათის სტუმარი ბრძანდებით, შემდეგ კი... ოდესმე კი საუკუნო მისპინძლად გადაიქცევით.

ქვეყნული

ალაგს ნუ მითმობთ. ნება მიბოძეთ გემსახუროთ... რაკე მკვრე დეკორენით, დავეგდები. ნუ, ხელით ნუ მაწვდი. გადმოჰყარეთ ეგ მოთალიც, მწვადიც და თევზიც.

რა სჯობია მწვანე სუფრას, მკვდრების ნასუნთქავს! ამ აბრეშუმთან შედარებით თეთრად გახამებული ტილო ჭორია და მიქარვა. ვენაცვალე თქვენს მონაგონს! მიცვალე მისი გასახსენებლად პანაშვიდს ისევე წარმართული ქელები გირჩენიათ. მკვდარს გავაცოცხლებთ, მკვდრებით აღვადგენთ.

— მოგონებით შევმოსავთ, შუაში ჩავისვამთ, ხოტბის საკმევებს შევუბოლებთ, საუბარს გავუბამთ, გლახას გავაძლობთ, ჩვენც შევთვრებით, მერე მკვდრებს ისევე სამარეში ჩავაბრუნებთ და მგლოვიარეთა მადლიერები ისევე ჩვენს საქმეს დავუბრუნდებით.

დიდებული, მშვენიერი ადათია მკვდრის საფლავზე ქეიფი. შეილი მამის ქვაზე ავიდოდა და ხელადით, ბაღდადით, ზურნით და სიმღერით იცეკვავდა. სიკვდილს სიცოცხლით სთრგუნეხდა, მარადიულ არყოფნას წამიერი ყოფნით სწიხლავდა, უზღუბლად—აღლს ამჯობინებდა, უსაზღვროს—ერთი წამი ერჩინა, ეხე-ხე!

მაშ ყანწით დაეწყო? გინდათ დაგეწიოთ? მაშ მო-მის-მინეთ, ყმაწვილებო. სადღეგრძელოს მაგიერ ერთ ამბავს მოგახსენებთ:

* * *

ივლისის შუადღეა. გაეარვარებული მზე აღმოდებულ მაგლაჯუნასავით აწეება ქალაქს, თითქო მის დადნობას ლამობდესო. ქუჩებს ცხელი ბული ასდის. გახურებული ჰაერი აღმურით არის გატენთილი და ეს უზარმაზარი სკა—ქეისა და აგურის სკა—ისე სუნთქავს, ისე ჰლაფავს სულს, თითქო საზღაპრო ლოქო კვდებოდესო.

უკვე ერთი საათია მოვდივარ, უმიზნოდ მოვლასლასებ, თან გზადაგზა კედლებს ვეყუდები და ჩემს თავს ვეკითხები:

„გივი შადურო, ნეტა რას დაბოროილებ? ვის ეძებ, რა გინდა, საით მიერთევი?“

მოდუნებული, თითქმის დამდნარი ტვინი პასუხს არ მაძლევს. აღარც მე ვაწუხებ და მოეჩანჩალე. მხოლოდ ერთილა მახსოვს, ერთი ფიქრილა მაწუხებს: ვარ ვინმე ტაბარუკი, ლუტი, ამბოკარი, ცულ მავალი და ძაბუნნი, ესე იგი ლუმ-პელ-პროლეტარი. ბინაც აღარა მაქვს და სადმე რამ უნდა ვიშოვო.

მათხოვრები მავალებს კალთებს აგლეჯენ, ხოლო ოპერის წინ ერთი დედა-შვილი ისე გულწამლებად, ისე გამბით მღერის, რომ მათი ვალალი დიდ სასახლეშიც კი ისმის.

მეკურტნე ქურთ-იეზიდები ჩრდილის ნაფლეთში გამლართულან და ზანტად ჰყმუიან—ვითომ მღერიან. შური შემეპარა: ამათ სადმე სორო მინც ექნებათ, მე კი...

„ჰა, შადურო, აილაგმე თავი! თუ მათი ბედიც საშურელი გაგიხდა, სჯობია ვერის ხიდზე გახვიდე“—გავამხნევე ჩემი ავარა თავი და ფორხილით წამოვედი.

აქა-იქ ალაყათის კარებში ძაღლები ქაჭანებენ და ზოგჯერ სულაბუნით ბუზებს იჭერენ. ვინმე ნაცნობ შოფერს დავეძებ, მაგრამ აღბათ იმათაც მოჰმეზრდათ ხრიალი და სადღაც შეპარულან.

გზაჯვარედინზე წითელ ბოძთან წითელქუდა მილიციელი დაურქვიათ. მოტვლეპილ ჭეაფენილს მოკუტვილი თვალებით გასცქერის და საჩვენებელს ზოგჯერ უნდილად ატრიალებს.

გზა თითქმის უკაცურია. მარტო ტრამვაის ვაგონების წითელი ლარი დასრიალებს და ვატმანები ისე დაჟინებით აღლარუნებენ საეკლესიო ზარებს, თითქო ლიანდაგზე ათას ყრუს ეძინოს და მათს გაღვიძებას ლამობდნენო.

ასეთი ხეტიალით და ტანტალით გამოგვდი გარეთუბანში და უცებ ჩემი თავი სასაფლაოზე აღმოვაჩინე.

ნაჭამი ვიყავი და არ მშოიდა, მაგრამ ჩემს პირშიც წყურვილის აღმური ტრიალებდა. ან ეს ცეცხლი უნდა ჩამეჭრო, ან ვილაცასთვის ახლად გათხრილ საფლავში ჩაეწოლილიყავი.

მდღეოზე ბიჭებს მოვკარი თვალი. ტიკტორა მოეტანათ და ღიღინებდნენ. გვერდით გავფარე და გამარჯვება ვუთხარი. კურთხეული წესი გვაქვს ქართველებს: გვერდზე ვერავინ გაგვივლის, რომ სუფრა არ დავალოცინოთ.

„— მობრძანდით!.. დაგვლოცეთ! ერთი ჯამი დალიეთ!

და იმ ჯამში ჩემი თავიც ხალვათად ჩაეტეოდა. თვალი ავაუღე და მათი შესაფერი მუშურ-გლებური მოვახსენე:

— ეს ღმერთმა გააძლიეროს მუშის მკლავი, გლების ხარ-გუთანი, თქვენი ნაქუჩი და ნაბგალი, გაუმარჯოს ცის ნამს, მიწის ბარაქას, ცხვრის მადლს, მტრედის მირონს, თქვენს ნახელავს, ხარის ქედს, ვაყაყის მარჯვენასა და დედაკაცის ნამუსს.

„— აი თამადაც ასეთი უნდა!— შემაქეს და შუაში ჩამისევს.

ულეთოდ ვსევით. ორი ტიკი ჰქონდათ. ერთი მათგანი ჩემს ჩაქეცილ მუცელში გადმოიღვარა და მეც გამატიკტორა.

ვიმღერეთ, ვიყვირეთ, ვიბღავლეთ და... მეორე დილას ჩემი თავი ერთს უცნაურ ოთახში ვიპოვე.

თვალი რომ გაეახილე, თავდაპირველად უცნაური შუქი მეცა— შუქი ეკლესიური, წითელი, ლურჯი და ყვითელი, თეთრ კედელზე სვეტებად ჩამოქნილი. ქვეშ დავიხედე. ბალიშად აღერდი მიდევს, საფლავის ქვა კი ლეიბად გამიხდია.

საუცხოვო სარკოფაგი იყო, შავი ფინური მარცვედისგან ნათალი, თეთრი ხალებით დაწინწკლული. ზედ ეწერა: „არშაკ გირგიდოვი... პირველი გილდის ვაჟარი. დაიბადა... გარდაიცვალა ჩყეთ წელსა დეკემბერსა ზ თვესა“.

გამოვიხედე. ოღნავ ნაწვიმარი იყო. ბუჩქებზე, ბალახზე, ყვავილებზე და უამრავ ძეგლებზედაც ნამი კრიალებს. ირგვლივ ვიეინი, ელურტული და სიხარული სდგას. ქალაქის მტვერი, ელარუნი და ბული რომ გამახსენდა, იქვე ჩამოვჯექი და ვოქვი:

„აბა, შადურო, სამოთხეში ხარ და აქედან ფეხი აღარ მოიცივლო“. თანაც ჩემს თავს ვეკითხები: „რა ვქნა, ამ აკლდამაში ვინ მომიყვანა?“

მალე დარაჯი გამოჩნდა და მომადახა:

„— გამარჯვება, ძმობილო!

„— გაგმარჯოს, გენაცვლოს ჩემი თავი. ერთი მითხარი, გენაცვა, შენ ხომ არ დამაძინე ამ აკლდამაში?

„— მა ვინ დაგაძინებდა? მომეწონე და მოგიყვანე.

„— აგაშენოს ჩემმა ვამჩენმა. შენი სახელი?

„— რაედენი მქვიან.

— მაშ ყური მივდე, ჩემო რაედენ. არ შეიძლება აქ სადმე ბინა გავიჩინო?

— სად?— და ღიმილით ამითვალღიერა.

— აი თუნდაც ამ აკლდამაში.

— აბა რა ვიცი... მაგის პატრონი არსად მოსწიანს... კაი კაცი მგონიხარ, მაგრამ...

ამ „კაი კაცს“ დავეჭიდე და ჩემს რაედენს მალე დავუმტკიცე, რომ მართლა კაი კაცი ვიყავი, და თითონაც დამიმტკიცა, რომ ჩემზე ათჯერ უკეთესი იყო.

ათიროდ წუთის შემდეგ იმის პატარა აივანზე ვისხედით და დილის ჩაის გიახლებოდით. ცოლქმარს ამბები ვუამბე, შეიღებები გავუცინე და ყველანი დავატავივე.

ორი საათის შემდეგ რაედენი ჩემ ძმას ჰგავდა, მისი ფეფო—დას, ხოლო შეიღებს ღვიძლ ბიძად მივჩინდი.

მიედევ-მოედევით, წაგიჩურჩულეთ, ერთმანეთს მხარი მივეცი და გავიტანეთ: საღამოს ეამზე ჩემს ახალ შენაძენში დავსახლდი და ამ სასაფლაოს ბინადრად გადავიქციე.

რაედენი მზის ჩასვლამდე თავის მრევლს მაჩვენებდა: ქვიდან ქვაზე გადაყავდი და მიაშობდა:

— აქ მარხია გენერალ-შეიორი. ყარსთან მოჰკლეს... აქ კი—თავადი ამილახორი. სამოცდა ცხრა წლისა გარდაიცვალა... ეს ახალგაზრდა ქალი ჭლეკით მოკვდა... ანგელოზს ჰგავდა. ეხლა ალარავენ ჰპატრონობს... აი ეს ვაჟი ქორწილში მოჰკლეს—

და ასი მკვდრის ბიოგრაფია მაინც მიაშობ: ვინ იყო, რა შეძლება ჰქონდა, რა ხნისა, როდის და როგორ გარდაიცვალა, ჰირისუფლად ვინ დარჩა, როგორ დაასაფლავეს, რამდენი დახარჯეს და რომელ საფლავს როგორ უვლიან.

და ბოლოს მანუგეშა:

— ეს ერთი ხანია ხალხი ბლომად იხოცება. საფლავების მოვლას ვეღარ ვასწრებთ. თუ მოგვეშველები, ორიოდ გროშს შენც იშოვი.

მეც ეს მინდოდა.

ჩემი ბარგი ქალაქიდან ზურგით ამოვიტანე და აკლდამაში გავშალე. მარცვდის ქვა დღისით მაგიდობას ასრულებდა, ღამით კი ტახტობდა.

იმ ღამეს ბავშვებმა ორი საათით დაიგვიანეს დაწოლა. დიდხანს ვისხედით პატარა აივანზე და ვსაუბრობდით. ფეფო მოხიბლულ ნიბლიასავით მობუზულიყო. რაედენიც მოჯადოებულს ჰგავდა. შე თვითონაც მომწონდა ჩემი ნაუბარი.

და ყველანი მადლიერები ვიყავით: მათ ნავალ-ნაცადი მთხრობელი რწმუნეს, მე კი მშველელი და გულშემატკივარი ვიპოვე.

სამღებმა რომ პირველად იყივლეს, ძილი-ნებისა ვუსურვე და ახალ ბინის-კენ წავედი.

მიზნედილი მთვარე სადღაც შორს მთაზე ჩამომჯდარა.

ქალაქი ათიათას მოკუტული თვლით ციმციმებს. თხელი ნისლით სუნთქავს და ოდნავ გასაგები ოხვრით ოხრავს, რომელიც უფრო გულით იგრძნობის, ვიდრე სმენით გაიგების.

აქ კი, სასაფლაოზე, ყრუ-მუნჯი სიჩუმეა და ეს დღემილი—მართლა სამარის-სებური დღემილი—ალგეთისა და მარცვედის ლოდებზე უფრო მძიმე, ცივი და ჩუმია.

იქ, იმ ქვეყნად, ქვისა და აგურის ოცი-ათას კოლოფში სამასი ათასი ცოცხალი განაპირებულა, ცალკე დაბანაკებულს და აი ეხლაც, ამ შუალამესაც კი, სიცოცხლე მძლავრად ჩაუბლუჯავთ, ჩაუხუტებიან და ხარბად სვამენ, სქამენ და სუნთქავენ მას—ძილშიც, ცხადლივაც და სიზმარშიც. აქ კი, გამოღმა მარადიული ძილით სძინავთ და იმ მიწაზე და ქვებზე უფრო მეტად მკვდრები არიან, რომელნიც ასე უხვად დაუყრიათ და მიუკვრიათ გულმკერდზე...

გულმკერდზე მეთქი! ყველანი გაღმიდან მოვიდნენ, უფრო კი მოათრიეს, და სანამ იქ იყვნენ, ესენიც სიამით ჰფეთქავდნენ, ჩვენსავით იტანჯებოდნენ; ამითაც უყვარდათ და სძულდათ; ესენიც ვარსკვლავებს ეტანებოდნენ, მთვარეზე აფრენას ლამობდნენ, ხან უძირო სიტკბოებით იხრჩობოდნენ, ხან კიდევ თავიანთ გაჩენის დღეს სწყევლიდნენ.

იცხოვრეს და ყველაფერი ნახეს, ყველაფერი სცადეს: ბრძოლის კივინაც და გამარჯვების სიხარულიც, სიდატაკის სიმძიმეც და დამარცხების სიმწვავეც, სიყვარულის ცეცხლიც და ლალატის სიჟვეც, სიხარულის ყრვოლაც და კაეაშნის ყინულიც; ყველაფერი იწვნიეს, ყველაფერი იგემეს და შემდეგ ზესკენლსა თუ ქვესკენლში შთაინთქნენ, თანაც ყოველივე მიწიერი ისევ მიწაში ჩაიტანეს.

ყოველივე ამაო იყო და მხოლოდ ამაოებაა: ჩვენი გაჩენაც, წუთიერი სიყვარულიც, წამიერი ვარაშიც. და არაა იყო და არცა არის რაიმე ამ ქვეყნად, არცა იმ ქვეყნად, გარდა პირდაღებული, შავი, უძირო, უსახლერო და მარადიული არარაობისა.

საიდანღაც მოვალთ, ერთხელ ძლიეს ამოვისუნთქავთ და ისევ ბნელ უკუნეთში ვიკარგებით. და ყველაზე საზარელი ის არის, რომ არავინ არ იცის და ვერც ოდესმე გაიგებს—გესმით, ვერც ოდესმე გაიგებს მეთქი!—საიდან მოვდივართ. ვის მოვყევართ და სად მივყევართ? საიდან, სად, ვის, რატომ და რისთვის? Ignorabimus!.. არ ვიცი... არაფერი არ ვიცი. ვაჰ მე! ვუი ჩვენ! ჰედი მოიდრიკე, გულზევიადო უბადრუტებაე! პირქვე დაემზე, გივი შადურო! დაემზე და შენი არარაობა გამოიტირე!

მეგობრებო, ამ ქვეყნად ყოველივე საფლავის არჩევით და შავი მწუხრით თაედება. მეც წინდაწინვე ავირჩიე. მალე მოგიკვდებით გივი შადური. მალე წა-

გივალთ, სადაც არა არს არცა კმუნვა, არცა ურვა, არამედ ჩანსაჲმ იგი დაუსრულებელი.

რა თქმა უნდა მტრედები ჩემზე შავებს არ ჩაიცვამენ და არც არწივი ჩამომივა მყინვარიდან ზარის სათქმელად. მართო თქვენ მეგულებით ჭირისუფლებად.

რომ მოგვედები, მუხის ფიცრებში წამკედეთ, კუბო ქართულ საძნე ურემზე დასდეთ და ცხრა უღელი ნასუქ ნაპოხი დევ-კამეჩი შემობით—ცხრა უღელი მეთქი, რადგან ჩემოდენა არარაობას ცხრა უღელზე ნაჯლები ვერ გაათრევს. იაპონიის იმპერატორს შავი მოზერები მიასვენებენ, მე კი შავი კამეჩებით წამათრიეთ.

დამასაფლავეთ ეპოქალურად: ზურნით, თარით, დუღუკით და შოპენის მარშით. ზედ ერთი ქვა დამადეთ და წააწერეთ: „გივი შადური—ავარა—Rien Nihil—არაფერი“. ასეთი წარწერა ჩემისთანა არარაობაზე ზედგამოკრილი იქნება, რადგან ებიტაჟია არარაობის კივილია, წყურვილია მარადიულობისათვის, ნაპოლეონის საფლავს კი ერთი სიტყვაც არ აწერია.

სევდით და ავი მწუხრით გაეღენთილი ვიჯექი ვილაცის საფლავზე და, იმ ლოდევით გაყურებული, ჩემს გულში შემოპარულ მყინვარე კაეშანს ვებრძოდი. ხელი დამრია, დამძლია დამიმორჩილა.

ავდემი, ისევ ჩემს აკლდამას მივაშურე და გულთანაღარი გრილ მარცვედზე გაეიშოტე. უარესი დამემართა. შხამიანი აზრები ამეღევნა, შემომყვა. ირგვლივ მომიხდნენ, გულმკერდზე დამაწენენ, გასაფდნენ, მეც ნადუმართი გამასიეს და პაწაწინა აკლდამაც გასტენეს. ჯერ ვიგერიბდი, ვებრძოდი, მაგრამ ამითრიეს და უღვთოდ დამჯიჯგნეს. მათს სიავეს რომ ველარ გაუუჭელი, ძველი ნაბადი მოვისხი და ისევ გარეთ გამოვედი.

მეგობრებო ცრუმორწმუნე არა ვარ და არც ლანდისა მჯერა, არც მოწვევებისა, არც მოხეტიალე სულისა, მაინც მუხლებში ჟრეოლა მისრიალებდა და თმა ყალუხე მქონდა შეძღვარი.

ჩემი თავი ლობეზე ძლივს ვადმოვათრიე და იქვე მოლზე მივწექი.

მაღე დემშვიდდი, რადგან ისევ ამ ქვეყანაში ვიყავი, ხოლო სასაფლაოს უქური კედელს ველარ ვადმოსცდა.

მკვდრების ქვეყანას მაღე შევეჩვიე (გეკოდინებათ რა ძალა აქვს შეგუებას) და მეორე დღიდანვე ახალ საქმეს შევეუდექი.

ჯერ მესაფლავეებს ვშველოდი, რაედენსაც ვებმარებოდი. მერე კი უფრო სუფთა საქმე გავიჩინე.

ნასადილევს ზედი ზედ მოაქვთ მიცვალეზულები. სწრაფი ნაბიჯით მიიტანენ საუკუნო ორმოსთან, დასდგამენ და შემოეხვევიან. რადგან პანაშვიდები და წესის აგება გაუქმდა, აქყოვნის უკანასკნელი წუთებიც შემოკლდა. კუბოს რომ დასწვდებიან, ჰაერს ჭირისუფალთა კივილი და ბლავილი შეანძრევს, რომელსაც კუბოზე მინაყარი მიწის რახა-რუხი ერთვის. ხუთი წამის შემდეგ საფლავი საესეა, ხოლო სასომიხდილი ჭირისუფლები ლასლასით მიჰყავთ.

მეც იქვე ვტრიალებ, ჭირისუფალთა ვინაობას ვიძიებ და მათს მისაპართს უბის წიგნაკში ვიწერ.

„ქალბატონო (ან ბატონო),—ვეუბნები მეორე დღეს ახალ ქვეყნის ან ობოლს—საშინელი უბედურება გეწვიათ. მონაწილე ვარ თქვენი მწუხარებისა. რა თქმა უნდა, საფლავს მომვლელი სკირდება“.

„დიად, დიად, სკირდება“.

„მე გივი შადური გახლავართ. აქვე ვცხოვრობ და ყველაფერში დაგეხმარებით: მოაჯირი, ქვა, ყვავილების დარგვა, მორწყვა და მოსუფთავება. გამომიყენეთ ბატონო ჩემო“.

და იმ დღიდანვე გამოყენებული ვარ. ზეპირად ვიცი, ვის რამდენი შეუძლიან და როგორი გემოვნება აქვს.

ყველაზე ძუნწი და ქარაფშუტა ახალგაზრდა ობოლია. მშობელს მოკვივდება და დაიკარგება.

ყველაზე მძვინვარე ახალგაზრდა ქვრივი დედაკაცია, მაგრამ მისი ვარამი მის ცხვირზედ უმოკლესია. ამ ქვრივებზე ვილაკამ შამიანი ამბავი გაავრცელა. თურმე ერთი ფილოსოფოსი სასაფლაოზე გავიდა. ქვაზე ჩამოჯდა და ქვეყნის ამოებზე დაიწყო ფიქრი. უცებ ახლად-მიყრილ მიწას მოჰკრა თვალი. კეკლუტი ქვრივი იჯდა და ნესტიან საფლავს მარაოს უქნევდა.

ფილოსოფოსი გაოცდა. შორიხალოს მოახლე იდგა. მივიდა და ჰკითხა:

„თქვენ ამ ქვრივის მოახლე ხომ არ ბრძანდებით?“

„დიად, მოახლე გახლავართ.“

„გამაგებინეთ, თქვენი ჭირივე, რას სჩადის თქვენი ქალბატონი?“

„ქმარი წუხელის მოუკვდა და ორი რამ დაუტოვა ანდერძად: პირველი: მზის ჩასვლამდე დამასაფლავო“.

„ეხლა ხომ დილაა!—მიუგო ფილოსოფოსმა.—სალამომდე მაინც რატომ არ მოიცადა?“

„ნუ ჩქარობთ, ეხლავე გაიგებთ. და მეორე: სანამ საფლავზე მიწა გამიშრებოდეს, ნუ მილალატებო“.

„ვერ გავიგე“.

„იქით გაიხედეთ და გაიგებთ“.

გაიხედა და გაიგო: ბუჩქებს ახალგაზრდა ვაჟი ამოჭყარებოდა და ქვრივს უცდიდა, ქვრივი კი მზეს მიწის გაშრობაში მარაოთი ჰშველოდა.

„ეხლავე გამითხარეთ ერთი საფლავი!“—უბრძანა ფილოსოფოსმა მესაფლავეს.—და ერთი საათის შემდეგ შიგ ჩაწვა და ყელი გამოიჭრა.

ნუ იცინით, ყმაწვილებო. მამაკაციც ასევე იქცევა. კაბუკი ხნაერზე მუდამ უფრო გულმავიწყია და ვარამს მასზე ადვილად იწელებს.

მარტო დედაა შესაბრალისი, ისიც ხნაერი. ლამის სასაფლაოზე გადმოსახლდეს. ერთი გული რომ ცოცხლებთან რჩება, მეორეს სამარეში აყოლებს და მკვდარი შვილის საფლავს სიკვდილამდე დასტრილლებს. და მეც უფრო ეს მუშტარი მიჩვენია, რადგან გულუხვია და საიმედო.

მეორე ხნის შემდეგ ერთი ახალი ხელობაც შევიძინე „სასაფლაოს პოეტოკა“-ს მივადგინე და ეპიტაფისტად გადავიქეცი.

* * *

ერთხელ საღამოს ეამს ერთი ცხენდარი კიდევ შემოასვენეს—მეცხრე თუ მეათე იყო იმ დღეს. ქირისუფალი—გავეშებული დედა—კარებში მოეჭიდა კუბოს და აღარ უშვებდა, თან მიხრწნილი ხმით შესაზარად გაჰკიოდა:

„—შვილო არ შეხვიდე! აღარ გამოგიყვანებენ! დამიჯერე, ოთარ, არ შეხვიდე, თორემ აქ დაგტოვებენ!

განძვინებულ დედაკაცს კუბო ძლიერ გამოჰკლიჯეს და ზევით წამოიღეს. უსასო დედას ილიებში შეუსხდნენ და წამოიყვანეს, უფრო კი—ისიც წამოიღეს.

მეც ავედევნე და იქვე საფლავის გვერდით ბეჭობზე შევდექი.

კუბო დაასვენეს და სახურავი აპხადეს. დავხედე და გული ამიტოკდა. შიგოციოდე წლის ქაბუკი ესვენა—გრძელი, ბეჭაშლილი და დიდსახოვანი. ტუჩები ღრმად ჩაეკუმნა, არწიფური ცხვირი შესთხვლებიყო, ხოლო განიერსა და ამოზნექალ კვინიხზე მეტად ხშირი და შავი წარბები მთელი დალაღივით ჰქონდა გაბმული.

მრავალზე უმრავლესი მკვდარი მენახა, მაგრამ იმ ქაბუკივით არც ერთს არ მიუფუქედივარ. რატომ? რისთვის? რა ჰქონდა საამისო? არ ვიცი—Ignorabilis!

ჩაციებით დაეცქეროდი, ყოველ კუნთს ვსინჯავდი, რაღაცას ვებრძოდი, რაღაც ვებრძოდა, რაღაცას ვიგონებდი, მაგრამ ვერაფერს მივავენი და თვალი დედაზე გადავიტანე.

მომაკვდავს ჰგავდა და მეგონა ესეც დასამარხი გაგვიხდებოდა მეთქი. იმდენად დაღმეჭილი სახე ჰქონდა წამებისგან, რომ მისი გარკვევა და დახსოვნება თითქმის შეუძლებელი იყო. არცა ვცდილევარ. ორი რამე მაინც ჩამეკედა: ვეება შავი თვალები—მძინვარე დარდის უაზრო თვალები—და ვერცხლნარევი თმა—გაწეწილი და გრძელი, მაგრამ უკვე შეთხვლებული, თმა ორმოც გადაცილებული დედაკაცისა, რომელსაც ხნოვანებასთან ერთად სევდა, ზრუნვა და დაუღვერობაც ემატება.

გუნება ამერიოა, არ კი ვიცი, რატომ. საფლავების ხეივანს დავეყ და შორით ლა მომესმა ურვისა და ვალალის გაბმული ზარი. ასეთი კვილი მარტო საგიეთიდან გამოდის ხოლმე.

ცხადი იყო, კუბო ჩაუშვეს და მიწას აყრიდნენ.

შორიდან მოვკარი თვალი. მგლოვიარე ხელით მოჰქონდათ. აღარ ჰკიოდა, ილაჯ გამოლულე იყო, ხელებსა ასავსავებდა, პირით ჰაერს ძლივსა იჭერდა და თავის შვილივით სლუკუნებდა, როცა ის ოთხი წლისა იყო და სასაჯელად კამფეტს აღარ მისცემდნენ ხოლმე.

კარბჭესთან ეტლში ჩასდეს და წაიყვანეს. მე კი გაოცებული დავრჩი: რამ ამფორიაქა? რა მოხდა? ვინ იყო? რატომ მისამართი არ ვთხოვე ყვავილების დასარგავად და ეპიტაფიის შესადგენად?

არ ვიცი, არაფერი არ ვიცი.

იმ საღამოს რაეღენის შვილებს ზღაპარი ვეღარ ვუამბოვდი. სოფომ სამჯერ დამიბარა, მაგრამ აღარც ჩაის გუნებაზე ვიყავი, სევდა მომაწვა, გამიტაცა და მეც ავყავი. ასე შუალამემდე ვიბორიალე და მკედრებს ძილი დავუფანტე.

ჩემს აკლდამაში რომ დადებრუნდი, უნებურად კედელს თვალი ავაყოლე და იქ ნაკიდი ჩემი სურათები შევათვალიერე.

და შევკრთი, მხოლოდ ერთი წამით შევკრთი: იმ ქაბუკის სურათი ოციოდე სხვა სურათის შუა ეკიდა. იგივე თხელი ტუჩები, იგივე არწივური ცხვირი, იგივე ამოზნექილი კვინიხი და ზედ ხშირი წარბების შეუწყვეტელი ლარი.

შევკრთი და ის კრთომა უმაღლვე სიცილის ამონახეთქში ჩავიხრჩე.

რა სულელი ვარ!

რა გიჟი ვარ!

როგორ გავტუტუცებულვარ!

და იმ დღიდან რალაც იღუმალი კვიმატი ისევე ჩამეთესლა თავში, როგორც შე ჩავესახლე არშაე გირგიდოვის აკლდამაში.

* * *

საკვირველია როგორ ეკიდება ადამიანი მკედარ მეგობარს, ნათესავს, მახლობელს! სიცოცხლეშივე ამდენივე რომ ეზრუნათ მათთვის, ადამიანი უფრო მეტხანს იცოცხლებდა.

ვინმე მოკვდა, წავიდა, სამუდამოდ გაჰქრა და უცებ მისი ცოლი, შვილები, ქმარი, დედ-მამა, ყოველი ნათესავი, მეგობარი, ნაცნობი და ზოგჯერ მილიონი უცნობიც გააფთრებით აედევნებოიან, ნისლს აეკიდებოიან, ლანდს, ხსოვნას მოგონებას ებლაუკებოიან და ზოგჯერ მრავალ წელიწადს, ზოგჯერ კი მრავალ საუკუნესაც იმ ლანდით ცხოვრობენ და იეითონ იმასაც აცხოვრობენ თავიანთ გულში.

აქ რალაც იღუმალი, შეუცნობელი, მარად მიუგნებელი რამ იმალება მგობრებო, და ყველას ვურჩევ, ვისაც ძალა ერჩის, ეს საიღუმლოება გაგვიხსნას. თუმცა ებლავე გეტყვი: სიტყვა უძღურია და ასეთ დეეურ საქმეს ვერასოდეს ვერ შოერევა. მაინც ერთხელ კიდევ სცადეთ თქვენი კალმის ძალ-უძალობა და ერთხელ კიდევ მომჩვენეთ თქვენი ამირანული მოქნევა.

ქირისუფალს წყურვილი ახზობს მკედრის ხსოვნა მაინც დაიჭიროს, დაიბას, ჩაიბეჭდოს. მშოერი დარჩება, მაგრამ საფლავის ჭეას იყიდის; აღარ ჩაიცვამს, ოლონდ იმ საფლავს ყვაველები ჩააცვას; უკანასკნელს გაჰყიდის, ოლონდ ძეგლი აუგოს, იქაურობა კრემლით შორწყოს და თავის-თავთან ერთად სხვებიც აატიროს. ქირისუფლები ამ უძღვევლი გრძნობით ცხოვრობენ და უკანასკნელ დროს მეც ამით მაცხოვრებენ.

მკედრების პოეტად გადავიტეცი მეოქი. და დღეს მეც ისევე საჭირო ვარ, როგორც ერთ დროს დაჭირავებული მოტირალი იყო საჭირო.

სანამ ამ საქმეს ხელს მოგვიდებდი, სასაფლაო დავიარე და წარწერების კილო და ხერხი შევისწავლე.

ალარ იწერება „ჩუპ... წელსა“, იშვიათად — „აქა განისვენებს ქაქუჩა მგელელო, შენდობა მითხარი“.

ყარაჩოხელთა და კინტოების უბნში ეპიტაფიაც მოკვდა. აღარაფერ დასწერს: „ასი კვერცი შაურად მიყიდნია, კოდი პური შვიდ შაურად. ცოლშვილი ასე შემინახია. და ვინც ჩემს შემდეგ ცხოვრება მოახერხოს, კაცობაც იმან დაიკვებოს.“

ოლონდაც დავიკვებებთ! ას კვერცხში შაურის ნაცვლად რვა მანეთს ვაძლევთ და ცოლ-შვილს ვინახავთ.

ეპიტაფისტი მინც კვდება, მეგობრებო. ფერადოვან სიტყვას ფასი დაეკარგა, მსუქანსა და ნაზ გამოთქმას ყველა ერიდება. ეხლა ყაზარმული მარტივობა დამკვიდრდა. უბრალოდ აწერენ — ქვაზე ან თუნუქის ფირფიტაზე: „ვანო ჩიკორაძე.“ ან „პეტრე ჭიპაძე.“ და ორ თარიღს ჩანიშნავენ: დაბადებისას და სიკვდილისას. გვეგონებათ, ვაჟა ფშაველა, ილია ჭავჭავაძე ან აკაკი წერეთელიაო. და მალე ისეთი დროც მოვა, როცა საფლავზეასეთ წარწერასლა იპოვიოთ: „აღამიანი № 1—3—7—89.“ აღარც გვარი, აღარც სახელი, არცა სქესი და არცა თარიღი.

ჭირისუფლების გარჩევა მალე შევისწავლეთ:

„— ბატონო ჩემო, ალბათ დროებითი წარწერა დაგჭირდებათ თუნუქზე.

„— დიად, თუნუქაზე.

სახელს, გვარს, თარიღს ჩავიწერდი და—

„— მეტი არაფერი?

„— მეტი არაფერი.

„— თუ გნებავთ, ქვისთვისაც დაგიშვადებთ ეპიტაფიას, პროზით ან ლექსით.

„— არა, არა. ეხლა მოდაში აღარ არის.

სურვილი მომივილიდა ხოლმე, ერთი ჩამეფარებინა მისთვის „მოდაში“, მაგრამ..

„— დამიშვადეთ.— მეტყოდა ვინმე მდაბიო, რომელსაც „მოდის“ კლანპები ჯერჯერობით აცდენილი ჰქონდა.

„— მაშ მიამბე რამე.

მიეუჯდები ან მოვისვამ და მკვდრის აშბავს გამოვკითხავ. თითქმის ყველანი ასე იწყებენ: „იყო და არა იყო-რა, ლეთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი დედაკაცი. ამ დედაკაცმა ჰშვა აბრამ; „აბრაამ შვა ისააკ; ისააკ ჰშვა იაკობ; იაკობ ჰშვა იუდა და ძმანი მისნი.“

მთხრობელს ძლივს ჩავეჭვდავ ხოლმე კალაპოტში და ბოლოს სიტყვის ზღვიდან ერთი იოტილა მრჩება: დაიბადა, იტანჯებოდა, უყვარდა, მოკვდა.

და მკვდრების აშბებიც ისე ჰგავს ერთმანეთს, როგორც აი ამ ხის ფოთლები.

ამ ქვეყნად კაცი არ მეგულება, რომ მის ცხოვრებაზე მსოფლიო რომანში არ დაიწერებოდეს, რადგან შედეგურებს მასალა კი არა ჰქვნიის, არამედ ნიჭი, ეპიტაფისტი კი ამ საქმეში მხოლოდ მეცამეტე გოჭოვით იტკირება.

მალე გავიგე რა საქონელი უნდოდა ჩემს მუშტარს და უშალვე ავაესე ჩემი დუქანი: სამ დღეში ოთხი დიდი სასაფლაო მოვირბინე და ყოველნაირი წარწერით ერთი რვეული ავივსე. ამის შემდეგ ვაჭრობას ორ წუთში ვათვაებ ხოლმე:

— აირჩიეთ, რომელი გნებავთ?—ვეკითხები ჭირისუფლებს. ცხინველიმე ნაირ საქონელს ვუჩვენებ, ეპიტაფიას ზეპირად ვეუბნები: წარწერა ან მკედარს მიჰმართავს, ან მკედარი მიჰმართავს თავის თავს, ან ცოცხლებს, „გამვლელს“, ან თვითონ ქვა ელაპარაკება მის ქვეშ მდებარეს ან ისევ ცოცხლებს:

— „მე ჩავედი, შენც მოდიხარ.“—ასეთი წარწერა მოუხდება, ქალბატონო (ან ბატონო)!—ვეუბნები.

„— დიალ, ძალიან კარგია.“

„— ან კიდევ: მე შინა ვარ, შენ კი ჯერ სტუმარი ხარ. მაღე შენც დაბრუნდები.“

„— მშვენიერია!“

„— აი ერთიც: „მოვედი, ვიცხოვრე, ვიგემე, ვნახე, გავიგე და წავედი“.

„— საუცხოვოა!“.

და მოდის თითო მანეთი, ზოგჯერ ორი და ზოგჯერ სამიც.

ერთმა ხუთი მანეთიც კი გაიმეტა.

* * *

მეორე დილას, ჩემ აკლდამიდან რომ გამოვედი, შორიდანვე იმ ვაეის საფლავს მოვკარი თვალი. დედა ფრთამოტეხილ ყორანივით ეგდო ზედ და მომაკვდავ ძუ-ვეფხივით ჰყმუოდა.

დიღხანს ვსვამდი ჩაის რაკეტნის აივანზე. ცხელი დღე იყო და გამოსვლა შეზარებოდა, თანაც იქით რაღაც იდუმალი ძალა მეწყოდა—იქით, ბექობისკენ, ახალ საფლავისკენ, შავი დედისკენ.

ნუშტარს არ ვეძებდი, არა! სხვა რამ მიხმობდა, სხვა რამ ჯადო მიზიდავდა.

ავდექი და ისე წავედი, თითქო, სხვისი ფეხები მებაო.

დაჭრილი დედა აღარ ჰლმუოდა, არც სტიროდა. მუხლისთავებზე იჯდა, თითები ერთმანეთში ჩახეხართნა და საფლავს სევდიანი საყვედურით დაჰყურებდა. ფეხაკრებით მივედი, გვირგვინების ბაფთები შევასწორე და წარწერას დავხედე: „ჩემს ერთას ოთარს. შენი ხელით მოკლული დედა—მარტია“.

დავიჩოქე და ყვაილებს დავეწყე სწორება, თან დედას აეავლე თვალი.

გუშინდელი გაწეწილ-დაღმეჯილი დედაკაცი დღეს ძლივსლა ვიცანი. გულ-მოდგინედ დეარცხნილი თმა, ახალთ-ახალი, სადა, შავი კაბა და სუფთა, სავსე, მკაცრი, თითქმის გაყინული პირსახე. დიდრონი და შავი თვალები ჩემს ხელებს მოსდევენ. ერთხელ ამავლო თვალი და ისევ გაიყინა.

მინდოდა „დილა მშვიდობით“ დამეწყო საუბარი, მაგრამ უხეშობად მომეჩვენა. კარგა ხანს ვსდუმდით. მერე ყვაილებს ჩაეჭურჩულე:

— ამ საფლავს მე მოვეუვლი...

დედა სდუმს.

— ყვაილებს დავრგავ...

ისევ დუმილი.

— მოვრწყავ.

არც შერხევა, არც ერთი სიტყვა.

— ხელოსნები გყავს...

და მისი ოხერა ძლივს გავიგე:

— ჩემი ბიჭიკო...

— რკინის მოაჯირს გააკეთებენ...

— ჩემი ბიჭიკო...

— გარშემო ბზას ან ეკონიმუსს დაერგავ...

— ჩემი ბიჭიკო...

— აქ კი საზაფხულო ყვავილებს დავეთესავ. შემოდგომაზე ქრიზანტემით და გიორგინებით შევცვლით.

— ჩემი ბიჭიკო!.. ჩემი ოთარი!

ამ კუთხეში დაწულ სკამს დაედგამ... იქ სურათს ჩამოვკიდებ და... ღამ-ღამია: ფარანს დავუნთებ.

თითქოს ეხლავა დამინახავ: მადლიერი თვალები შემომანათა, სახე ოდნავ გაიშალა და ჩემს სიტყვებს ორივე ხელით მოეჭიდა:

— დიალ, დიალ... დაწული სკამი... მე და ოთარი ზედ დავსდებით ხოლმე... სურათიც თვალწინ მექნება... ფარანიც დაუდგით, უცქველად დაუდგით... ბნელ ღამეს გაუნათებს.

„— დიალ, ქალბატონო, ყველაფერს გავაკეთებინებ...“

სანამ ქვას დავადებდეთ, დროებითი წარწერა დასჭირდება.

„— დიალ, ბატონო, უცქველად დასჭირდება.“

უბის წიგნაკი ამოვიღე და—

„— რა დავაწერო? ოთარ... ოთარ...“

„— ოთარ ახატნელი.“

ცნობილი გვარია, მაგრამ მან ჩემს ხსოვნაში არაფერიც არ გამოიწვია: არ მინახავს, არ შემხედრია. დაბადებისა და სიკვდილის თარიღიც ჩაიწერე და —

„— თუ გნებავთ, ეპიტაფიასაც მოვიგონებ... ქვასაც ვიშოვით.“

„— დიდი მადლობელი ვიქნები.“

„— ეხლა კი შინ წაბრძანდით, ქალბატონო. მარტო მკვდარს ნუ გადაეგებით, ცოცხლებსაც უბატონეთ.“

„— მე ცოცხალი აღარაეინ დამრჩა.— ჩაისლუკუნა.“

„ჩემს ერთას“— გამახსენდა გიორგინის წარწერა და —

„— ქმარს მაინც მიჰხედეთ.“

და უმაღვე ენა მოვიკვნიტე: ვაჟს რომ მამა ჰყოლოდა, დასაფლავებას დაესწრებოდა, დავინახავდი.

არა მითხრა—რა. მხოლოდ ამომხედა და წამოდგა.

„— წამობრძანდით, ქალბატონო, წამობრძანდით. მახლობელი თუ არა— ვინა გყავთ, თქვენს თავს მაინც გაუფრთხილდით. ჯერ ახალგაზრდა ბრძანდებით და დიდი გზა გაქვთ გასაუღელი.“

მხრები შეიშმუშნა და —

ერკინული
გინგლირისეკა

„ — ვისთვის რა საკირო ვარ?

წამოდგა, მადლობა მითხრა და წაეიდა. წელან ფრთა მოტეხილ ყორნად მომეჩვენა, ეხლა კი მწვანე ბალში მიმავალს შავ ფარშევანგს ჰგავდა. მალალი იყო და დინჯი რხევით, აჰპარტავნული იერით მიდიოდა. სანამ საგოდებელიდან არ გავიდა თვალი ველარ მოვწყვიტე.

მერე დაებრუნდი და მუშაობას შევეუდმეტი. ისე ვუვლიდი იმ საფლავს, თითქო ჩემი შვილისა ყოფილიყო. საღამოზე კი, აკლდამაში რომ შევედი, ისევ იმ სურათს ავადე თვალი და გაეხვედი.

„სისულელეა! სიგიჟეა! — გაეთიქვრე. — ქვეყანაზე ათასი უცნაურობა ხდება. ეს კი ათას-პირველია, მორჩა და გათავდა“.

ღიად, მორჩა და გათავდა!

* * *

მაგრამ არც მორჩა და არც გათავდა. მხოლოდ ეხალა დაიწყო დროებითი საფლავი მზად არის: ზედ — აგურის ხრეში; ირგვლივ ყვავილები; გარსშემო — შეღებილი მესერი; კუთხეში — კვიპაროსი; მის ძირში — დაწნული სკამი; იქვე — პაწაწინა ფარანი და ჩარჩოში ჩასმული სურათი. ჩემი სურათი... იქ, აკლდამაში რომ ჰქიდა, ან მისი უებარი პირი.

რა ბედენაა, რომ ჩემი სურათი ოკლდათი წლის წინათ არის გადაღებული, ეს კი — მხოლოდ შარშან!

რა ბედენაა, რომ იმ ვაქს უწინდელი სტუდენტის ფორმა აცვია, ამას კი ჩვეულებრივი ევროპიული! საქმე ის არის, რომ ორივენი ოკიოდე წლის კაბუკები არიან და ნამდვილი ორადები. ორივეს თხელი ტუჩები აქვთ, არწიფური ცხვირები, ამოხნეკილი კვინიხები, ზედ ხშირი და მთლიანი ლარივით გადაბმული წარბები და დანარჩენიც — თვალები, შუბლი, სახის ხაზები და უკლებლივ ყოველი კუნთი და წერტილი — ერთნაირი, თანასწორი და თანაბარი.

„მერე რაო! — ხშირად ვამშვიდებ ჩემს თავს. — მერე რაო! ქვეყანაზე ათასი უცნაურობაა და ეს ამბავიც ათას-პირველია!“

მაგრამ გულში რალაც წინწყალი ჩამიჯდა და იზრდება, სივდება, ღელავს და მეც მალეღვებს.

ჩემს ბინაზე ვარ — ამ სურათს შევცქერვი; საფლავთან ვტრიალებ — ისევ მას ვაშტერდები; სხვაგან დავბორიალებ და — ისევ ის მეღანდება.

კვიტივით ამედევნა და სული იდუმალი შვითით გამიქლინათა მარტამ სკამი მოიტანა. სწორედ ექვსის ნახევარზე ამოვა, იმ სკამზე ჩამოჯდება და უსიტყვოდ ატირდება. შეიღზე ადგება და მწვანე ტბაში შავი ლანდივით ნიიპარება. სანამ სტირის, ვერიდები, შემდეგ კი მოსარწყავს ავილებ, წყლით გავავსებ და საფლავს მივეპარები:

„ — საღამო მშვიდობისა, ქალბატონო მარტა.

„ — საღამო მშვიდობისა, ბატონო გივი.

„ — როგორ გიკითხოთ, როგორ ბრძანდებით?

„—გმადლობთ. უძილობა და მოჩვენება რომ არ მაწვავს, ვერაფერად ვიქნებოდი.

დავარიგებ, დაეამწვიდებ, ყვავილებს მოვრწყავ და წავალ.
ერთხელ მკითხა:

„—ბატონო გივი, ქვის საქმე როგორ არის?

„—ბევრია, ქალბატონო, მაგრამ ალგეთის ქვაზე უკეთესი ვერაფერი ვიშოვე.

„—სამაგიეროდ მე ვიშოვე, ივნებ იცოდეთ, არაჟაკ გირგიდოვის საფლავი სად არის?

„—ვიცი, ქალბატონო. მერე, რად გნებავთ?

„—მისი საფლავის ქვა იყიდება.

ენა დამება. მარიტამ კი განაგრძო:

„—ახალი ფინური მარცვედი არსად იშოვება, ან მეტის-მეტად ძვირია, ძველი კი ჩემთვის ხელსაყრელია.

ქვეყნის აღრევას ათასი უცნაურება მოჰყვა და ერთი მათგანი საგოდებელზედაც შემოიჭრა. უწინ სიღარიბე და სიმდიდრე სასაფლაოზედაც ისევე ცხადად გვჩრიდა თვალს, როგორც ქალაქში. მარმარილოს ძეგლისა, მარცვედის სარკოფაგისა და ფერადი აკლდამის გვერდით ალგეთის ქვა ეგდო, ზოგჯერ კი მხოლოდ მიწის ბეჭობი მოსჩანდა.

ეხლა კი, როცა ზემოთურები დაქვეითდნენ, და ქვემოთურები ზევით ამოტივტივდნენ, აქაც ყველაფერი ვადატრიალდა და ამ არეუ-დარევაში არაჟაკ გირგიდოვიც მოჰყვა.

„—აგერ, გირგიდოვიც მოდის.—სთქვა მარიტამ.

ვილაც ჭაბუკი მოგვიახლოვდა—მჩატე, შავგრემანი, ჩემსავით გაცვეთილი და გაცრეცილი. ერთმანეთს სალამი მისცეს.

—წამობრძანდით და ნახეთ,—უთხრა ახალგაზრდა გირგიდოვმა,—აგერ იქ გახლავით.

და ჩემს ბინაზე მიუთითა. სული ქუსლებში წამივიდა. აღანძული მიედევდი და წინდაწინვე სირცხვილით ვიწოდი. რომ შემძლებოდა, ქუდმოშვლებილი მოვკურცხლავდი, მაგრამ გვიანდა იყო.

აკლდამას მიადგნენ და შესდგნენ. კარი რკინის ლანძვისა ჰქონდა და „ჩემი ოთახი“ ხელის გულივით მოსჩანდა.

—ბიქოს!—წამოიძახა ჭაბუკმა.—ვა, მამა-ჩემის საფლავი ოთახად გადაუქცევიათ?

მარიტა მომიბრუნდა და—

— ბატონო გივი...

ალარ დავაცალე და მოწიწებით წარმოვთქვი:

— მამაკით, ბატონო გირგიდოვ, დროებით დაესახლდი პატივცემულ მამა-თქვენის ბინაზე... მგონი არ ვაწუხებ... არც ის მაწუხებს. მეგობრულად ეცხოვრობთ და... თუ გნებავთ, ისევე გავიყრებით.

ჭაბუკი ჯერ პირლია იდგა. მერე გადიხარხარა.



მარიტამ ძ. ლით შეიშავრა სიცილი და მხოლოდ გაიღიმა.
 „— მობრძანდით, დაათვალიერეთ. — შევიპატიე და მარცვედის ქვიდან, ჩემი საწოლიდან, დაძონძილი ლოგინი ავაღაგე.

შავსა და კრიალა ქვაზე ოქროს წარწერა იწვოდა.

„არშაკ მინაევი გირგიდოვი. პირველი გილდის ვაჭარი“.

„— ამ ქვას ხელახლად გააწახანაგებენ. — ისე უხსნიდა მარიტას ქაბუკი, თითქო დახლში იდგა და მუშტარს საქონლის გამოყენებას ურჩევდაო. ამ წარწერას წაპნლიან და ახალს დააწერენ, თუ მოვრიგდით, მე თვითონ გავაკეთებინებ ყველაფერს, რალა!

და დაიწყო დაუსრულებელი გარიგება, გაზომვა, ანგარიში და ვაჭრობა — სწორედ ისეთი, რომელიც შეშის მოედანზე იმართება ხოლმე.

როგორც იყო, ხუთას მანეთზე მორიგდნენ.

მყიდველმა უთხრა:

„— ხვალ დილით მობრძანდით ჩემთან და...“

და სიტყვა შესწყვიტა: მისი თვალები კედელს მიეზჯინა. ჯერ სდუმდა, მერე კი—

„— ეს... ეს ვინ არის? — მთრთოლვარე ხმით ჰკითხა კედელს. — ეს... ეს სურათია?“

„— ჩეუი... ჩემი ბიძაშვილია, ქალბატონო.

მომიბრუნდა და ფართე თვალები მომანათა:

„— გვარი?... რა გვარისაა?“

„— შადური გახლავთ, ქალბატონო.

„— შადური.

„— დილ, შადური. არ გაგიგიათ?“

ჩაფიქრდა, შუბლი მოისრისა და—

„— შადური... შადური... არა, არ გამიგია. ცოცხილია?“

„— მოკვდა, ქალბატონო.

ისევ დააშტერდა და რამდენჯერმე წაილულულა:

„— საოცარია! საკვირველია!“

„— დილ. ქალბატონო, საოცარია, მაგრამ...“

„— მსგავსება თქვენც შეამჩნიეთ?“

„— როგორ არა. მაგრამ ისეთი მსგავსება ძალიან ხშირია. ბევრი რამ

არის ამ ქვეყნად უცნაური, ქალბატონო.

დილ... დილ... საოცარია! უცნაურია!

და თავი აღუნული გავიდა. ქაბუკიც გაჰყვა. მისდევდა და ისევ მამის გაყიდულ საფლავზე ტიტინებდა.

მეც მივდევდი და არშაკ გირგიდოვის ბედზე ვფიქრობდი, რომელიც ოდეს-სლაც ამ ქვეყნად მხოლოდ ჰყიდდა და ყიუდულობდა, ეხლა კი, იმ ქვეყანაში რომ გადასახლდა, თვითონვე ალებ-მიცემობის ნივთად გადაიქცა.

„ამაობა ამართა და ყოველივე ამოო არს“.

უცებ მისი მემკვიდრე მომიბრუნდა:

ქართული

„— ჰო, მართლა, ეგ აკლდამაც გამიყიდნია. ხვალ ან ჩვენი მოყვნილი და ემეს იზშენ...—და „დანგრევის“ ნაცვლად ჩუმად დაუმატა:—წაიღებენ.

მე გავიღვიძე:

„— იმედია ბინის ქირას არ მომთხოვენ.

„— არ მოგთხოვენ, მეც არა გთხოვთ, რალა!—სერიოზულად მიპასუხა,— მაგრამ ახალი ბინა უნდა მოძებნოთ.

„— მოვეძებნი, ბატონო ჩემო, უფასო ბინისთვის კი დიდ მადლობას მოგახსენებთ.

„— ბატონო გივი, — მომიბრუნდა მარიტა, — თუ გნებავთ, ჩემთან გადმოსახლდით. ახლო ვცხოვრობ. საკუთარი სახლი მაქვს. ერთ პაწაწა ოთახში დასახლდებით. მართალია, ოდნავ ბნელია და ნესტიანი, მაგრამ... სახლს მოუვლით, რალაცას გააკეთებთ და... მოიფიქრეთ.

ესე იგი შეეხოვედ უნდა დავუდგე.

— გმადლობთ, ქალბატონო, მოვიფიქრებ.

გულში კი ცივი ქარი შემომეჭრა და თვალზე ცრემლი მომერია.

„— იცით რას გეტყვით, — მიუბრუნდა მარიტა გაყიდულის შეილს, — ფორმალობისა მე არაფერი მესმის, ამიტომ სჯობია ხვალ ათ საათზე პირდაპირ სარდიონ თურმანიშვილთან მომბრძანდეთ. — და მისამართიც დაუსახელა. — იურისტია. მეც მოვალ და ნასყიდობას იქ შევასრულებთ.

„— სარდიონ თურმანიშვილს იცნობთ? — ვკითხე საფლავის მყიდველ დედაკაცს.

„— როგორ არა, ჩემი ნათესავია.

„— თქვენი ნათესავია?

„— რამ გაგაოცათ?

„— არაფერმა, ქალბატონო...

„— თქვენც იცნობთ?

„— მე?.. შორიდან... მხოლოდ გამიგონია.

„— ხვალამდე, ბატონო გივი.

„— ნახვამდის, ქალბატონო.

და როცა ორივენი კარისბუქს გასცდნენ, მარიტას ვაყის საფლავს მიფუჯეჭი, ქაბუკის სურათს ჩავაშტერდი და შორს, ძალიან შორს დავებრუნდი.

„სარდიონ თურმანიშვილი... ეს დედაკაცი, რომელსაც თურმე მარიტა რქმევია... ეს უბედური ოთარი და ერთი ცუკხლიანი ღამე დღეში, რომელიც ალბათ საფლავშიც გამახსენდება... ვაი შენ, გივი შედურო!

* * *

„— ქალბატონო მარიტა, — ვეუბნები შეილის საფლავზე, დაწნულ სკამზე მჯდომარე დედას, — ქალბატონო მარიტა! თუ გახსოვთ, თქვენი შეილისთვის ეპიტაფიის შედგენა მთხოვეთ. ძალიან კარგ რაქეს მოვიგონებ, ოლონდ...

შორიდან წერაქვის წკრიალი ისმის: არმაკ გირგიდიშვილის ხსოვნას და ჩემს უკანასკნელ თავშესაფარს ანგრევენ.

„— ოღონდ რა, ბატონო გივი?

„— ოღონდ საჭიროა თქვენს ოთარზე ცოტა რამ მიაშობთ, — ვეუბნები უცნაურად იმედნეული, — სულ ცოტა. რად გაგიმეტათ... თავი რად მოიკლა და... სულ ცოტა, ძალიან ცოტა.

„— ვითომ საჭიროა?

„— შეჰველად, ქალბატონო, შეჰველად. ზოგი რამ უკვე ვიცი.

შეშფოთებით ამოხედა:

„— მაგალითად?

„— მაგალითად... შეიძლება თქვენი და სარდიონ თურმანიშვილის ამბავი არც კი მიაშობთ.

თვალეზში სირცხვილის აღმა გაუელვა. მერე თავი ჩაპლუნა და ნელი ხმით წაიბუტბუტა:

„— გუშინწინ რაღად მკითხეთ, იცნდბთ თუ არა სარდიონსო?

„— ქვეყანა დიდია და ყბედი. ნუ თაკილობთ, ქალბატონო მარიტა. ეგ არაფერია... მონაზნობა ჩვენს დროში არავის მოეთხოვება... ბუნებრივი ამბავია.

„— რა თქმა უნდა, ბუნებრივი ამბავია. — თავი გაიმხნევა და გაიმართლა მარიტამ. და დიდი ხნის დღემილისა და ყოყმანის შემდეგ ბოროციკით მიაშობ:

„— მოკლედ გიაშობთ... ოთარი რომ დამეებადა, იმავე წელს დავჭკრივდი ხუთი წელიწადი მარტო ვიყავი... ახლოს არავის გავკარებდევარ. მერე გათხოვება დავაპირე, და... ცოლშვილიანი სარდიონ თურმანიშვილი გადამეღობა. არც კი ვიცი, როგორ მოხდა. დიდხანს ვიბრძოლე, მოვერიდე, დავიშალე, მაგრამ... აღბათ ჩემი საბედო ის ყოფილა. ცოლი სნეულე ჰყავდა... აღბათ ამის ბრალიც იყო. ასე გავიდა თხუთმეტი წელიწადი. მუდამ ერთად ყოფნის გამო ჩვენი შეილები—ჩემი ოთარი და მისი ელენეც—დამეგობრდნენ... ერთად სწავლობდნენ. შარშან სარდიონის ცოლი...

„— ნათელა — ჩავურთე.

„— დიად, ნათელა. იცნობდით?

„— შორიდან. განაგრძეთ, ქალბატონო.

„— შარშან ნათელა ვარდიცვალა. მე და სარდიონს ჭურდული სიყვარული მოგვებზრდა. თხუთმეტი წელიწადს ვიმალებოდით და ესოდენი ტანჯვით აშკარა კანონიერი ცოლ-ქმრობა დავიმსახურეთ.

„— ცხადია, დამსახურეთ. — დავუდასტურე.

„— რა თქმა უნდა, დავმსახურეთ, — გაუხარდა. — ოთარი ოცი წლისა შემისრულდა. მეტი გზა აღარ იყო, უნდა მეთქვა. „დღეს ვეტყვი. — ვამბობდი. — არა, ხვალ იყოს, ან ზეგ, ან მაზეგ“. და ერთ დღეს, როცა თქმას ვაპირებდი, ოთარი გვერდით მომიჯდა და მითხრა:

„დედი, გზა დამილოცე“.

„სად მიხვალ, შვილო?“

„ცხოვრების გზა დამილოცე. ცოლს ვერთავ“.

„ცოლს ირთავ? მართლა? ვის?“

„ელენეს“.

ჯერ არ დაგიჯერე... არ შემძლო დაჯერება. „რომელ ელენესა? ვაჭრები-
ქრე და ჩემ ნაცნობთა შორის ელენეს დავუწყე ძებნა. მაგრამ სხვა ვერაინ ვი-
პოვე... ელენე ერთი იყო, ერთად-ერთი, მხოლოდ ერთი!

„რომელ ელენეს?“—ისე კვითხე, რომ ჩემი ხმა მე თვითონაც ველარ ვი-
ცანი.

„როგორ შეკითხები, დედი? სხვა ელენე ვილა გვყავს? ძია სარდიონის ქალს-
ვირთავ“.

მერე რა მოხდა, აღარ მახსოვს. გონს რომ მოვედი, ოთარი გვერდით მე-
ჯდა. უცებ ყველაფერი გამახსენდა და ნადირივით შევღმუვლე:

„არასოდეს! არასოდეს არ იქნება! არ იქნება მეოქი!“

„რატომ, დედი? გამაგებინე, რატომ არ შეიძლება?“

სისხლი ამიდულდა, ტვინი ამენტო, სული დამიბნელდა. საწოლზე ვბორ-
გავდი, თმებს ვიგლეჯდი, სახეს ვიხოკავდი და დაჭრილივით ვღლაოდი:

„არა! არა!.. არ მოხდება!.. არ შეიძლება მეოქი!“

„ქარგი, მაგრამ მიზეზის თქმა ხომ შეიძლება?“—ჩამაცივდა.

„არა, არა! არც ეგ შეიძლება! არ შეიძლება!“

„მაშ მე გეტყვი.—და მითხრა:—„მიტომ არ შეიძლება, რომ ძია სარდიო-
ნი მამად მერგება, მამა-ჩემია“.

უცებ გაქრული. ხმა ჩამიწყდა. აღარ ვიცოდი რა მეთქვა. ვფიქრობდი: რა-
სჯობია, დავუდასტურო თუ უარყო მეთქი.

„მე დიდი ხანია ვიცოდი, რომ სხვისი შვილი ვიყავი,—განაგრძო ოთარმა,—
მაგრამ ვისი, ეხლალა გავიგე. გავიგე, მაგრამ გვიანდა.—და წამოვდვა.

„ოთარ! ოთარ, მითხარი,—შეველადადე,—შენ და ელენემ ჯერ ხომ... ხომ
არ აჩქარდით, ბიჭო?“

„გვიანდა, დედილო!“

და თავის ოთახში გავიდა.

მე ვიწყე და ვფიქრობდი: რა მეთქვა? რა გზას დავდგომოდი? მაგრამ ეს
უბედური თავიც სწორედ მაშინ დამიდუნდა და ენაც მაშინ ჩამივარდა. ვერც
ერთი აზრი ბოლომდე ველარ მივიტანე და ერთი მეორეს ველარ გადავაბი.
უცებ რევოლვერმა დაიჭუხა. თითქო მეხი გავარდა და მთელი სახლი თავზე და-
მეტკაო. მერე... მერე აღარაფერი!!

და უკანასკნელი სიტყვა ქვითინში ჩაახჩო.

* * *

მეგობრებო, ოდესღაც, ოცი თუ ოცდახუთი წლის წინათ მე, გივი შადუ-
რი, არავის არ დაგივარდებოდით. ვაქი ვიყავ გულხვადი, რკალისაგან ჩამოს-
ხმული, მამალივით ამაყი, ფოცხვერივით მარდი, კატასავით მოქნილი, მგელი-
ვით შეუპოვარი, და თავიც ისე დამქონდა, თითქო შიგ ქვეყნის ბედი მედოო.

ჩემი სტუდენტობიდან რომ არაფერი გამოვიდა, დავბრუნდი და საზაფხუ-
ლოდ ჩვენს მთებს მოვაშურე.

სარდიონ თურმანიშვილს ქალი მივითხოვეთ და მაყრად გავყენო. ლურჯა რაში, ლეკური ჩოხა, აბრეშუმის ახალუხი, ყალმუხის ქუდი, ოქრო-ვერცხლით შეჭვდილი იარაღი და ისეთი თვალ-წარბი, ისეთი უღვაშები და კბილ-ტუჩი მქონდა, რომ ჩემს დანახვაზე არაგველ ქალებს ციებ-ციხელემა ემართებოდათ.

ქალი ღუშეთში მოგვყავდა.

ქაის-ხევს რომ მივედით, ბაღდადის მოსატაცებლად ცხენები დავძარი. მახარობლობა ორმოც მაყარს მაინც ელანდებოდა. ბიძაჩემის ლურჯამ მიერთ-გულა: სხეები უკან დავყარე, ბრაზით დავხეთქე და აქაფებული ცხენი მეფის სახლის კარს მივაგდე.

დერეფანი ღუშელი და ქალაქელი ქალებით იყო სავსე. ჩემს დანახვაზე ყველას შურისა და ვნების ერეოლამ ჩაურბინა.

— ნეტა იმ ქალს!.. ნეტა დედა-შენს!.. რა ვაქია!.. რა ვაქაცია! — ისმოდა მათი ჩურჩული.

სიმამრმა ლვინით სავსე ვერცხლის თასი მომაწოდა, სიდერმა დიდებული ბაღდადით ამიკრა მკლავი. ვახარე, დავლოცე, დავლიე, ქალებს ლველფი შევაყარე და ცხენი უკანვე ვაფრინე.

ორი საათის შემდეგ საქორწილო სუფრაზე ვისხედით, სიმამრს ღუშეთში მქონდა სახლ-კარი, სიძე ქალაქელი იყო, დიდი სამსახური მქონდა და სუფთა ხალხი მოეყვანა. ნელ-ნელა შევხურდით და ტრადიციული ქართული ლხინი გავმართეთ — ლხინი მამა-პაპური, თითის-წვერებზე შემდგარი, შადრევანივით მჩქეფარე და ცეცხლივით მდულარე, აწ კი გადავადინილი, დავიწყებული და საქვეყნოდ შეჩვენებული.

ზურნა კივილით კაკანებს, დოლი ლომივით ბუხუნებს, დუღუკი მოთქმით ჰყენის, საზანდარი სჩივის, ოხრავს, ჰზოდავს და წივის.

სისხლი მაჭარავით სდულს, ხორცს ალი ედება. ხმას რიბი ეძლევა, გულის ზვიადობით იესება და ფეხი ლეკურის ერეოლით იქლინდება.

ჯიბრი თავისთავად ღვივდება. მაყრიონი შულლობს. ქალები თვალთ გვაშეზებენ, ცეცხლს გვიღვივებენ, გვწონავენ, გვზომავენ, გვირჩევენ და ფასს გვადებენ. და ჩვენც საბედოს ვეძებთ, ვიწვევთ, ვირჩევთ და ერთმანეთს ვაგიჟებთ.

კახური ვთქვი — ვერავენ მომყვა; ლვინო დავლიე — ყველა გავლახე; ჯირითში გაველ — უკან დავყარე; სროლა გავმართეთ — ყველას ვაჯობე; ქალებს გავხედე — ცეცხლი დავანთე; ლეკური დაუკრეს და — მარცხი მარცხზე მივაყენე; გრიგალივით დავქროდი, არწივივით ებოინობდი, ხანჯლებს თითებივით ვათამაშებდი, ხუთ ქალს ვლდი და თითის წვერებიდან აღარ ჩამოვდიოდი.

ას კაცში ყველგან პირველი გამოვდექი და ბოლომდე პირველობა შევინარჩუნე. ქალები ბუზივით მეხვია, მაგრამ ვეღარ მოვიცალე: ვაყებმა მომიტაცეს და ჩემი თავი აღარავის დაანებეს.

ყველანი რომ დავლაღე, სიძე სარდიონმა ქალაქიდან მოყვანილი თავის ნათესავი გამომიგდო.

ქალი იყო ფოცხვერივით მოქნილი, ქურციკივით ამაყი და კატასავით მარდი. დაირა მის აშვერილ ხელბეში ვიყივით ჰხტის, გუგუნებს, ტრიალებს, ჰკი

ვის და წკრიალებს. დღულეკი ჰბუტბუტებს, ტაში ჰტებს, ქაღმსკრქტქტქტქტქტქტ მი-სრიალებს გარშემო და ისედაც გაგულულ ვეკაცს თავბრუს მბვევს, შქანცავს და უქანასქნელ ღონეს მაკლის.

თვალთ დამიბნელდა, ყველაფერი ყირამილა შეტრიალდა და, წაქცევის ში-შით შეპყრობილმა, ზვიადობა დავთმე და წრიდან გამოვვარდი.

მე და ის ქალი შორი-შორს ვისხედით, ამიტომ ველარც ვუთხარი რამე, ველარც თვალი მოვკარი და ბოლომდე მაყრიონში დაერჩი.

სუფრა სამაგერ გაგვიშალეს. საუზმე სადილად გადაიქცა და სადილს სამი ვახშიმი მოჰყვა. ორი თამადა წაგვექცა, ზოგი ძლივს გაჰყავდათ, ზოგი ხელით გაჰქონდათ, ზოგი კი იქვე სადმე ხერინადა. სუფრას სამნილა შევრჩით. ბოლოს ისინიც წაეაქციე და დავიძახე:

— დედამთილო! მამამთილო! დუშელებო! სადაც თქვენი სთქვათ, იქ შა-დურიც გაიხსენეთ.

სხვის ოჯახში მიეყავდი დასაძინებლად, მაგრამ არ გავეყე:

— აგერ იქ, ვენახში, რაღაც ფარდული გქონიათ.— ვუთხარი მასპინ-ძლებს.— თქვენ ნუ შეწუხდებით. ღამეს იქ გავათენებ.

ნაბადი მოვისხი, უნაგირი ავითრიე, ეზო გადაეკერი და იმ ფარდულს მი-ვაშურე. მასპინძელმა მიმაცილა, ძილი-ნებისა მისურვა და ქრაქი წაიღო. უნა-გირი ბალიშად დავიდე, განიერ ნაბადში გავეხვიე, მივწეკი და უმაღვე ჩავი-ძინე.

რამდენ-ხანს მეძინა, არ ვიცი.

უცებ ძილის ნისლში უცხო რამ მომჭვენა: თითქო თბილი რამ მომეხვია, მომელამუნა და სისხლში ცხელი რამ ჩამისხა.

სანამ გავინძროდი, თვალები გავახილე, გავინაბე და გავეშრი: ვიღაც ქალს მკლავებში ვყავდი ჩახეუული, მკერდზე ვყავდი მიხუტებული.

შევიძროდი, წამოწევა ვცადე, მაგრამ ქალის ხელი უმაღ პირზე დამეცა და ყურში ჩამლევნათა:

— ჩუ!.. გაჩუმდი!

არც მე ვაპირებდი დაყვირებას და მშველელის მოხმობას, მაგრამ გაოცე-ბისაგან ერთ-ხანს ენა ჯელარ ვიპოვე. მერე ყურში ჩაეულვარე:

— რომელი ხარ?

— ნუ მკითხავ... ვერ გეტყვი.

და ისე ვჩიფჩიფებთ, რომ ერთმანეთსაც ძლივს ვაგებინებთ.

ისევ გაჩუმდი, მერე კი—

— გამაგებინე, ვინა ხარ მეთქი?

— ნუ, გენაცვა, ნუ მეკითხები... სულ ერთია, ვერ გეტყვი.

— საკვირველია, ღმერთმანი!

— არაფერიც არ არის საკვირველი.

და რადგან აღერსი დავაყოვნე, ჩემი ხელი კისერზე მოიხვია და დაუ-

მატა:

— შენ ხილი ჰამე, მებაღეს რას დაეძებ?— და ნიავეით ჩაიხი თხიითა.

— ქალო, შებაღეს კი არ დავეძებ, ხილი შინდა გავსინჯო.

— შერე ვინ გიშლის, აქ არა ვარ?

— ჰო, მაგრამ...

სათქმელს მიმიხვდა და—

— მაგრამ მეშინიან, ხილი დამშალი არ გამოდგეს, არა?

— არა, მაგრამ...

— ან დროგადასულიო, არა?

— შეიძლება აგრეც იყოს.

— რა სულელი ხარ! გეტყობა ჯერ პირზე რძე არ შეგშრობია. ვანა მაგისტოვის შხე და ჭრაქია საჭირო? Дурачек!

შემრცხვა. მართლა „დურაჩოკი“ ვიყავი, მაგრამ სამართლიანად მეშინოდა, „დურაქად“ არ გადავექციე, ამიტომ ცოტა-ხანს კიდევ გავინაზე, შერე კი...

მხოლოდ შერე მივხვდი, რომ ხილის გემოსი და სიახლის გასაგებად არც მზე ყოფილა საჭირო, არც ელექტრონი.

ქალი მეწვა გვერდით—დუთმა-ნესვივით მწიფე, ნოყიერი და სურნელი, ამიტომ აღარც მე გავინაზე და აღარც იმას ვახეწვინე.

და ათი წუთის შემდეგ ხელახლად ჩაეწნიავე:

— ქალო, მითხარი...

— ჩუ, იყუბე მეთქი!—და უსურვაზივით ჩამეხვია.

— ხვალ მაინც დამენახვე.

ჯერ იყუჩა, შერე ჩაიხითხითა და—

— ხვალაც აქა ვარ, ზეგაც, მუდამ... დაგენახვები, ოღონდ მიცანი.

ოღონდ იცანი! ხვალ ორმოცი ქალი გამილიმებს, გვერდით გამიელის, ან შორიდან დამენახვება და ერთის ნაცვლად ხუთი ჩამივარდება გულში, ან ათი მომელანდება.

ღეინო ძვალ-რბილში მქონდა გამჯდარი, მაგრამ მალე გამოვფხზლდი და მოვისაზრე: „ნიშანი უნდა ავიღო, თორემ გამაცრუებს, დამტანჯავს, მომლორებს“.

ჯერ ხელებით გავზომე და მისი ტანის მოსულობა შევისწავლე: სიმაღლე, სისქე, ფორმები. შერე ვიფიქრე: „ათი ქალიდან ამას შეიძლია მაინც ეშვანება“. შემდეგ თმის წვერში ხელი შევაპარე, გადავიწიე თითქო გადაბრუნებას ვაპირებდიო, და სამიოდე ბეწვი მოვგლიჯე.

ტკივილი იგრძნო და უმაღ მიმიხვდა:

— თმა!.. ჩემი თმა!.. მომე ჩემი თმა!

თავი მოვიკატუნე და—

— რა თმა? რის თმა? რას ეძებ, ქალო?

ხელში მეცა მაგრამ გვიანდა იყო: ბეწვი უნაგირთან ჩავაგდე, ქალს კი ჩემი ცარიელი ხელი შერჩა ხელში.

დამშვიდდა და ხელახლად დამიწყო აღერსი, თან ჩუმაღ დამცინოდა:

— რამდენ ქალს მიაღებები ხვალ! რამდენს ვიცინებ გულში! იხე-ხე!

ერეკონი

თმა არ ვიკმარე. შეიძლება დამეკარგოდა. ხელს რომ ვიკმარებდი, გულისპირზე პაწაწა ლილუებს წავაწყდი. მოეჩხრიკე, სუსტი ავირჩიე, თითებში ჩავიგდე, მოეწიე და... ერთი ღილი შემრჩა ხელში. ვერაფერიც ვერ გაიგო.

წასულა დააპირა. ხელი მოეხვიე და—

— სანამ შენს ვინაობას არ გავიგებ არ გაგიშვებ.

შედრკა, გაჩუმდა, მოიბუზა. ვიგრძენი ტანში ერთნაირი ხალხობის ჩაურბინა. მერე მორთოლოვარე ხმით ჩამწერჩულა:

— არ დავიჯერებ რომ მაგისტანა პარამზადა იყო... სხვანაირი ქება გამიგია გივი შადურისა...

მტკივნეულ ალავას მომახვედრა. მხოლოდ გამოტება მინდოდა, საენებლის მიყენება კი აზრადაც არ მქონია.

— ნუ შეგეშინდა. წადი, მაგრამ ხვალ...

— უძველად, უძველად.— აჩქარდა ჩემი სტუმარი.— ხვალ მთელ დღეს შენს ახლოს ვიქნები, ღამით კი... თუ ისევ აქ დაწევები...

— ისევ აქ ვიქნები, ისევ აქ დაწევები.

— მაშ მელოდებოდე... ხელი გამიშვი... უძველად მოვალ.

ბნელი ღამე იყო. მაინც მანდილი მოიხეია და შავი ლანდივით მიიმალა, მე კი თავისი ტანის სუნი, გახურებული ოცნება და ხვალინდელის იმედი დამიტოვა.

შპსის სხივებმა გამაღვიძა. უმაღლე გონს მოვედი, ნალამური გამახსენდა და უნაგირს ვეცი. ორი გრძელი ბეწვი— გუშინდელ ღამესავეთ შავი და აბრეშუმივით რბილი ბეწვი ვიპოვე. ღილი დიდ-ხანს ვეძებე. იჭაურობა მოეჩხრიკე, მაგრამ რას ვიფიქრებდი, რომ ჩემს ცხვირ-წინ მჯდარი მარია-ქია— ღამაზი, უნებელი, ორხალიანი და ბედის მოპტანი მარია-ქია— ქალს ღილად გამოადგებოდა! ქიაც და დახვეული თმაც უბის ჯიბეში ჩავიდე და ჩვენს სიძე-მასპინძლებს დილა მშვიდობისა ვუსურვე.

მაგრამ რა შედილამშვიდობებოდა! ქალს დავეძებდი, ქალს— ღუთმა-ნესევივით მწიფეს, სურნელსა და ნოყიერს!

ყმაწვილებო, დამიჯერეთ: ქაბუკს ერთი მხრიდან სიყვარული რომ შეუძვრება, მეორე მხრიდან ქუთა გაეპარება. და ერთი რამაც უნდა მოგახსენოთ: შეიძლება ქალი იგემო, მისი სახეც უნაბავი დაგრჩეს და მაინც შეიყვარო. შეიძლება ვცდებოდე, შეიძლება იმ დღეს მხოლოდ ჩემი მაქაროვანი სისხლი ჰყოფდა, არ ვიცი, მე მაინც ჩემი დამემართა: გავსულელდი, გავლაცდი და წინადღეს შენაძენი დიდება ორიოდ საათში გავფანტე.

მონატაცი თმა თითზე დავიხვიე და ქალებს ჩამოუარე, თან თმებს ვუსინჯავდი, ღილებს ვუთვალავებდი, თვლებში ნახიბლი თვალების დაშტერებით ვუმზერდი და, რადგან ნეტარეული ვიყავი, ათას სისულელეს ვროშავდი.

„— დილა მშვიდობისა, ქალბატონო!“

„— დილა მშვიდობისა, ბატონო გივი!“

„— წუხელის როგორ გეძინათ?“

„— გმადლობთ, მშვენივრად.“

ერკინული
ბიზლირთხა

„— სად გეძინათ?“

და ქალის თვალეზში მორცხვობის ნაცვლად გაოცებას ვკითხულობდი.

„— როგორ თუ სად მეძინა? განა სად უნდა მძინებოდა? შინ, ჩემ საკუთარ ლოგინში“.

მერე მეორეს მივადგებოდი:

„— როგორ გეძინათ?“

„— გმადლობთ, ძალიან კარგად“.

„— სად გეძინათ?“

— ?... !.. ?!

„— მაინც?“ — ჩავეციედი ერთს.

„— აგერ იმ ოთახში მეძინა, — მიპასუხა, — ამალამაც იქ დავეძინებ, მაგრამ ფრთხილად იყავით: ჩემი ქმარიც იქ იძინებს, შვიდ ფუტს იწონის და კბილებამდე იარაღშია ჩაჭედებული.“

ორივემ გავეცინეთ.

ერთს უშნოსა და ხნიერს მივადექი.

„— აგერ ის არის ჩემი სახლი. — და თითოთ დამანახვა. — ქმარი შინ არა მყავს და ძალიც დაბმული მეყოლება“.

ვგრძობდი და ვიცოდი რომ სისულელეს ვროშავდი, მაგრამ მაინც ჩემსას არ ვიშლიდი! ოღონდ ქალის თვალეზი ამერიენა, შიგ სირცხვილი წამეკეთხნა, ამრიგად გამომეცნო ის ქალი, და მზად ვიყავი სულელისა და უზრდელის სახელი მომეხვეჭნა.

შემდეგ ჩავფიქრდი: „ათ სანდომიან ქალიდან შეიძის გარჩევა ერთმანეთისგან მარტო ტანით ყოვლად შეუძლებელია. ათიდან ცხრა ქართველიც შავთხანია, ამიტომ მარტო ღილილა შემჩნა ხელში.“

„მაგრამ გლეხის ქალი ხომ არ იყო, — გავიფიქრე, — რომ ქორწილში ერთი-და-იგივე კაბა ორჯერ ზედიზედ ჩაიცვას? კეჟა მოიკრიფე, გივი შადურო, მოიკრიფე და დამშვიდდი“.

ადვილი სათქმელია, დამშვიდდიო! ასი ეშმაკი მაინც ჩამიჯდა და იმ ქალის მეტი ამ ტყვეობისგან ველარავინ მიხსნიდა.

გავმარტოვდი, დავნისლიანიდი. აღარც ლეკური, არცა ღვინო, არც სიმღერა — ვერაფერმა და ველარავინ ვერ მომიბრუნა გული. ნიშატით რომ ვერაფერი გამოვიცანი, ბოლოს იმდენად გავსულელდი, რომ ჩემი ღილი რიგრიგად სამ ქალს ვაჩვენე და ვკითხე:

„— ხომ არ იცით, ეს ღილი ვისია?“.

გასინჯეს და მოკლე პასუხით დამიბრუნეს:

„— არ ვიცი... რა ფასი აქვს, ან რად გეინტერესებათ? გადააგდეთ“.

მაგრამ იმ ღილის გადაგდებას ჩემი გულის გადაგდება მერჩიენა. მასრაში შევიხანხე და ქალაქში გავედი. საღამომდე დავბორიალებდი და ვფიქრობდი: „ის ქალი აქაური ყოფილა, ასე მითხრა. იქნება დღეს ქორწილში აღარ მოვიდა, იქნება დამინახოს და“...

და მწვავე იმედს მტერიან ქუჩებში დავათრევედი.

თავი მოვიავადე და ჩემს ფარდულში შევიბარე.
ღმერთო ჩემო.

დრო რა მოკლეა ქალის მკლავებში!
და რა გრძელია მის მოლოდინში!

მაგრამ ასჯერ უარესია, როცა იგი არც მოკლეა, არცა გრძელია: ჩემმა ნალოდინემა დრომ იქამდე მატარა, სანამ ამ საგოდებელზე არ დამასახლა.

მამლებმა რომ პირველად იყივეს, სული მიგუბდებოდა; მეორეჯერ რომ დაიძახეს, გული მიმდიოდა; მესამეჯერ რომ დაჰკივეს, უკვე მზად ვიყავი ვინმე დამეხჩო, გამეგლიჯნა, ხანჯალზე ამეგო.

დილით შეენაყრდი, მეფე-დედოფალს ათასი სიკეთე ვუსურვეთ და გზას გაუფლქეთ. ისე მივდიოდი, თითქო ჩემს ლურჯაზე ჩემსმაგიერ მატყლით სავსე ტომარა დებლიყო.

მივდიოდი და თან შელახული პატყვი, ნალამურის ჩქროლა და გრილი სეცდა მიმქონდა.

„ეინ იყო? სადაური? როგორი? ან რად ვუნდოდი ერთად-ერთი ღამისთვის? რად, რისთვის, რატომ?“— ასე ვეკითხებოდი ჩემს თავს ოცდაორ წელიწადს, მაგრამ ვერც ვერაფერს მივხვდი, ვერც ვერაფერი გავიგე.

* * *

მარიტამ ცრემლით გული მოიოხა. კდემით შემოსილი იჯდა და ნაცრემლი თვალები შვილის სურათზე მიეპყრო.

მეც დიდხანს ვიდექი მდუმარე და მდრტყინავი, ზრახვა მრჩოლელი მტანჯავდა და რალაც ნაგულვების მსასოებელი ვიყავი.

ჭკრივმა თვალები ასწია, მკირე ხანს მიმზირა და მერე მკითხა:

„— ბინას გინგრავთ, ბატონო გივი.

„— ბინას ვილა სჩივის, მარიტა, გული ჩამინგრავთ, გული!

გაოცება ჩაექსოვა თვალებში და თითქო ნაწყენიც იყო იმის გამო, რომ „ქალბატონო“ არ დავაყოლე.

„— მე? მე ჩავინგრავთ?— მკითხა.

თვალი ბურღივით თვალში გავუყარე და ვდუმდი, თან ვვლიმოდი და უხმოდ რამეს ვეკითხებოდი, და მის თვალებში ჩემი ძახილის, ჩემი კენესის ანარეკლი რომ ვერ ვიპოვე, ვუპასუხე:

„— გულზე ნატისული ამდის, მარიტა. ნუ თუ ვერა გრძნობთ?

თვალები ფართედ გაახილა და უფრო მეტად გაოცდა. მერე მორცხვად წაიღულღულა:

„— არ მესმის... ვერ გავიგე.“

„— გასაგები არაფერია, ქალბატონო. თქვენმა მწუხარებამ და უბედური ოთარის ამბავმა შემაწუხა, მეტი არაფერი,

ჩემი „მეტი არაფერი“ შეებად მიიღო. დაგუბებული მწუხრი ღრმა ოხვრას ამოაყოლა და ჩურჩულით ამოისუნთქა:

„— გმადლობთ, ბატონო გივი, გმადლობთ თანაგრძნობისათვის.

უცებ ერთი რამ გამახსენდა.

საოცარია, გაუგებარია! ყოველ ადამიანს, თუ საგულეს კაცური გული უდევს, ოდესმე მცირე რამ წვეთი შეუჯდება: სიყვარულის უმნიშვნელო რამე საბუთს მოიგდებს.—ხელსახოცს, თმის ნაგრებს, მონაწერ ბარათს ან სურათს მოიგდებს და სიბერემდე შეინახავს. შემდეგში, ხანში რომ შევა, თავზე ლოდებს გადაიტარებს, გულზე ნიაღვრებს გადაივლებს და ყოველივეს უნარჩუნოდ ჩაირეცხავს. მაგრამ იმ ერთ ნახლავს, ერთ ნაზმანებს თვალსავით მოუელის და სამარეში ჩაიტანს.

მასრა ამოვიღე, პირი მოვხსენი და წითელი ღილი—მარიამ-ქია—ხელის-გულზე გადმოვიგდე და როცა მარიტამ ჩემსკენ მოიხედა, გაუწვირე და ისევ თვალეში დავაშტერდი.

გაიღიმა და—

„— მარიამ-ქია?—მკითხა.

„— დიალ, მარიტა, მარიამ-ქია გახლავთ, დღშეთში დაქერილი.

„— საწყალი...

„— გასინჯეთ, მარიტა, გასინჯეთ.

ფრთხილად აიღო ორი თითით და გადააბრუნა.

ოდნავ გაოცდა, მერე გაიღიმა და—

„— ღილი ყოფილა!—წამოიძახა.

„— ღილია, ნამდვილი ღილი... წითელი ღილი.

„— ლამაზია.—

ისევ ხელის-გულზე დამიდო და ზედ დაუმატა:

„— ოდესღაც მეც მჭონდა მაგისთანა ღილები.

„— მერე? მერე?

„— მერე არაფერი. ზოგი დამეკარგა, ზოგიც გადაეყარე ან მოახლეს

ვაჩუქე.

„— ოცდაერთი წლის წინათ გქონდათ ასეთი წითელი ღილები, არა?

„— ოცდაერთი?

ჩაფიქრდა და გაოცებით ამოშხედა:

„— თქვენ საიდან იცით?

„— ეხლავე მოგახსენებთ. იმ ხანებში დღშეთში ბრძანდებოდით.

„— დიალ, გახლდით.

„— სარდიონ თურმანიშვილის ქორწილში.

„— დიალ... დიალ. მერე?

„— მეორე დღეს დილით ადრე წამობრძანდით ქალაქში.

„— ეგეც მართალია მერე?

„— ეს ღილი კი იქ დაჰკარგეთ.

მხრები შეიშმუშნა და გაიღიმა:

„— აბა როგორ მეხსოვება ოცდაერთი წლის წინათ დაკარგული შატრი-ანი ღილის ამბავი!

„— ღილი არაფერია, მარიტა, თქვენ იქ სხვა რამე დაჰკარგეთ

სახის ნერვები გველის წიწილებივით აეკლავა, თვლები იხეზებოდა, ტუჩები აეგრძობა და ერთად-ერთი სიტყვა თითქო ჩანგლით ამოითრიაო:

„— მე?... მე... მე...“

„— დიალ, თქვენ, თქვენ. ეხლაც ვერ მიცანიო?“

ისევ დამაშტერდა, ისევ აუთამაშდა სახე და—

„— ვერა... ვერ გიცანიო.“

„— მაშ გაგახსენებთ. სარდიონს ქალი რომ მივთხოვეთ, ნათელა... სიყვარულს რომ ჰპარადიო...“

გაიხსენებთ რა გვარისა იყო?

„— ნათელას გვარი?... აღარ მახსოვს... დამევიწყდა.“

„— გაგახსენებთ. შადურთან ქალი გახლდათ.“

„— მერე?“

„— მერე ისა, რომ მეც შადური გახლავართ. ამას წინათ გვარი მკითხეთ, ვითხარით და მაინც ვერ მოგავონდათ.“

„— მაინც არ მესმის...“

„— მარიტა, ოთარის საფლავეზე... თქვენი ერთას საფლავეზე გეკითხებით, ვინ არის ამ უბედურის შამა?“

ჯერ გახევედა, მერე ნაჭორალი დედალივით აფორიაქდა, შეფართხალდა: ორივე ხელი მოსაბჯენად გამოიშვირა, თითქოს უქმურს იგერიებდაო. მერე დაფთხა, თვლები ააცეცა, წამოდგა და თითქო გასაქცევად შეეშინა, მაგრამ ირგვლივ მოაჯირს რომ წააწყდა, ხოლო კარებში მე ვიყავი გახიზული, ისევ სკამზე ჩაიკეცა და აბუტბუტდა:

„— არა!.. არა! შენი არ არის!.. თქვენი არ არის!“

„— ჩემი არ არის? აქამდე სხვახარად მეგონა და იმ ნაწუმარისთვის საბოდიშო საბაბიც მქონდა ნააოენი. ეხლა კი მგონია, რომ იმისთანა ღამე ბევრისთვის გიჩუქებიათ, ჩვეულებად შემოგპარვიათ.“

„— არა, არა! ტყუილია, ტყუილი!—ცხარედ მომახალა, ხელში მომწვედა და სხაბუნით, სიტყვების ულაპკით განაგრძო:—მართალს გეტყვით... არაფერს არ დაგიმალავთ... ყური მიგდეთ, მალაპარაკეთ...“

„— ყურს გივდებთ, მარიტა.“

„— ექვსი წლის გათხოვილი ვიყავი. შვილი არა მყავდა. ჩემი ქმარი... ქმრის ბრალი იყო. თუმცა მიყვარდა, მაგრამ შვილი მინდოდა, გაგიკებით მინდოდა. დიდხანს ვებრძოლე ჩემს თავს. ვილაც ვიშვილე, მაგრამ არ მიშველა. წუწკი ვინმე გამოდგა და გავაგდე: მერე დედობის წყურვილმა დამძლია და... და გავბედე. დიდ ხანს ვეძებდი მამაკაცს... მამას. თუნდ ათსაც და ასსაც ვიშოვიდი, მაგრამ მეშინოდა: ამეკიდებოდა, წამოაყებდებდა, დაიქადნიდა სადმე და უბედურებას შემამთხვევდა. გზაშიც შევხვდი რამდენიმე უცნობს... კუბეში, მაგრამ მაინც ვერ გავბედე. ბოლოს თქვენ წაგაწყვდიო... ძალიან მომეწონეთ. ქმარი რომ არ მყოლოდა...“

„— ვაჰ მე!—ამოვიკენესე.“

„— იშვიათად შემხვედრია თქვენისთანა ვაჟაკი...“

ერეკლე
გვილიძე

- „— უი შენ, ბეწავო ჩემო თავო!—ამოვიხრიალე.
 „— ამიტომ მოვედი თქვენთან უზიზღოდ, წრფელი გულით და... თითქმის... თითქმის სიყვარულითაც.
 „— ვიკრძენი, მაშინვე ვიკრძენი, მარიტა.
 „— თქვენისთანა ვეას ქალი თუნდაც ორმოცი წლის შემდეგაც იცნობს... მეც გიცნობდით, მაგრამ... გივი, გამაგებინეთ, რა დაგეპართათ!
 „— ნუ მკითხავთ, მარიტა!
 „— რამ გამოგცვალათ!
 „— ნუ მალაპარაკებთ!
 „— ღმერთო ჩემო, ის ტყვერი თმა...
 „— დრომ გამიპარსა და გამითეთრა...
 „— ის თეთრი, მძივის კბილები...
 „— ჩაენგდა, დამცვივდა!
 „— ის არწიფური თვალები...
 „— ჩამიჭრა!
 „— ის უღვაშები, საესე სახე, სიმარდე და ხალისი...
 „— წაიღა, დადნა, გაჭკრა! ნულარ გამახსენებთ, ნუ!
 „— მერე რამდენჯერმე შეგხვდით ქალაქში. მეცინებოდა.
 „— როგორ, გეცინებოდათ?!
 „— გულში მეცინებოდა, თანაც რაღაც მაწვალებდა, უცნაური სევდა მტანჯავდა. მინდოდა მოესულიყო და მეთქვა: „მე ვარ ის ქალი, რომელიც მაშინ... იმ ღამეს... ღუშეთში, მაგრამ...
 „— მაგრამ შოფერი ვიყავი და არ მიკადრეთ, არა? აიღეწა, იხანუშა, მაგრამ გამოტყდა:
 „— ჰო, ეგეც იყო... და სხვა რამეც: შვილი მყავდა და ისევე მეშინოდა.
 „— მაშინ უკვე დაქვრივებული იყავით.
 „— დიად, მაგრამ... ერთი სიტყვით—ველარ გაებედე. ეს იყო და ეს... მეტი არაფერი.
 „— მეტი არაფერი ისე უმანკოდ სთქვა, თითქო მთელი ამბავიც „მეტი არაფერი“ ყოფილიყო. კარგა-ხანს ვიყურეთ. მერე ვუთხარი:
 „— სასტიკი დედა ჰყოფილხართ, ქალბატონო მარიტა. დავანებოთ თავი თქვენს... იმ ღამეს: უცნობი კაცი გზადმიმავალ ცხენივით გამომოიყენეთ და გადაიკარგეთ. სანამ თქვენი ქმარი ცოცხალი იყო, ნამდვილი მამის დამალვა გეპატიებათ, მაგრამ შემდეგ, როცა თქვენც დაქვრივდით და ოთარიც დაგიობლდათ... ერთი სიტყვით—ყალბი შიში და მედიდურება რომ არ ჩაგედოთ გულში, არც ოთარი იდებოდა ამ მიწაში, არც თქვენ გეცმებოდათ ეგ შავები და... ვინ იცის, იქნებ არც მე... არც მე დავბინავებულიყავი ამ საგოდებელზე.
 უცებ მოვბრუნდი და წამოვედი, ისე წამოვედი, თითქო მთელი ურვა, ვალალი, ცრემლი და კაეშანი, რაც ამ საგოდებელზე დაღვრილა და თქმულა ჩემს გულში დაგუბებულიყო.
 „— გივი!—კენესით მომაყოლა მარიტამ.

არ მივიხედე.

„— ბატონო გივი!—განიმეორა.

მაინც არ მივიხედე.

„— გივი!.. გივი!.. გივი!—მეძახდა ცრემლიანი ხმით, მაგრამ ვიცოდი რასაც მეტყოდა და ამიტომ აღარც სახე ვაჩვენე, აღარც ხმა გაავაგონე.

რას მეტყოდა? რით დამიღობდა ნამეხარ გულს? „ერთი პატარა ოთახი მაქვს. მართალია, ბნელია და ნესტიანი, მაგრამ... სახლს მოუვლით, რაღაცას გააკეთებთ და... მოიფიქრეთ“.

რაღა მოფიქრება უნდოდა! მეუბოვედ დამაყენებდა. ან მეტი რა შეეძლო! სამადლოდ შემინახავდა... მომივლიდა, ჩამაცმევდა, მაგრამ...

მაგრამ გავათავოთ... ამბავიც გათავდა. ასე არ დავარდნება სულიერად გივი შადურის, რომ ქერივს აეკიდოს... იმ ქერივს, რომელიც... რომელმაც... აგერ იმას.. იქით გაიხედეთ, მეგობრებო.

* * *

გავიხედეთ და საუღავეთა შორის დინჯად მომავალი დედაკაცი დავინახეთ. მაღალი იყო, ჯერ კიდევ მოქნილი, ამაყური იერი ჰქონდა და, შადურის თქმისა არ იყოს, მწევანე ბაღში მიმავალს შავ ფარშევანგს ჰგავდა.

შემდეგ მგოსანთა და შადურის შორის მოკლე დიალოგი გაიმართა:

პირველი: კიდევ რას იტყვით, ბატონო გივი?

შადური: მეტს არაფერს, მეგობარო.

მეორე: მაინც რას ჰფიქრობთ?

შადური: არაფერს, რადგან ჩემ შაგიერ ჩემი ავი ბედი ჰფიქრობს.

მესამე: საით აპირებთ, ბატონო გივი?

შადური: ჩემს ფეხებს უნდა ვკითხოთ. საითაც წაეხეტებიან, მეც იქით გავყვები.

მიხეილი: ბატონო გივი, ნება მიბოძეთ თქვენს ფეხებს გზა ვუჩვენო.

შადური: უბრაძანეთ, ბატონო მიხეილ. მეც და ჩემი ფეხებიც თქვენი მონა-მორჩილი ვახლავართ.

მიხეილი: იქნება ჯერჯერობით მცირედით იკმაროთ: ყველი და პური, კეთილი გული და მცირე კუთხე.

შადური: მცირედით კი არა, პროგრამა—მაქსიმუმია.

მიხეილი: მაშ რუ მაწყენინებთ.

პირველი მგოსანი: დიდებულია! ორიოდ კვირის შემდეგ ჩემთან გადმოსახლდებით, ბატონო გივი.

მეორე: მერე ჩემთან. ამასობაში ოთახსაც გიშვით.

მესამე: შემდეგ ჩემთან გადმოხვალთ. სამსახურსაც მოგიძებნით.

შადური: (ყოყმანობს და ცრემლს იწმენდავს. გული აღრუყდა) ბატონებო... მეგობრებო... იხეკაბუყ ამირახნებო!.. როგორ და როდის გადაგიხადოთ მადლობა?!

ყველანი: საჭირო არ არის... მერე იყოს... დროა წავიდეთ... ბინდი მოდის.

კამათული და სხარეზ

წიგნიდან „ემოვია“

ბეჭიარის ყურები ქართველები თამაშობენ ნარდს, ერთი: შაეჩოხიანი თითონაც შაეი და ჩალასავით გამზმარი კაცი, სახელად—კობტა. წარსულში მილიციის პრაპორშჩიკი. დემოკრატიული მთავრობის დროს—ყოვლად შეეიწროებული აზნაური. თუ რად გამოიქცა საქართველოდან—დღემდისაც გაუგებრაია თვით კობტასათვის.

მეორე—ნიკიფორე. წვერ-ულვაშ გაპარსული, უკვე ხნიერი ინტელიგენტი. აცვია თეთრი ბლუზა და აზიურ წაღებში ჩატნეული ზოლიანი შარვალი.

თავგანწირვით გაქანებულ კამათელს ტყეიასავით მისდევს გამძაფრებული—
— შაში ბეში,

ეს გულიდან ამოხეთქილი უცნაური გმინვა, რომელიც მეტად აკვირვებს ამ წვირიან კაფეში შემოხეტებულ ამერიკელ ქალ-ვაჟს.

ბობი,—ეუბნება ქალი კავალერს,—დავიცადოთ კიდევ ცოტა: ესენი დაკლავენ ერთი მეორეს აქ. მოამზადე „კოდაკი“.

— იეს,—პაპიროზის ღეჭვით უპასუხებს ვაჟი და სინჯავს აპარატს.

მოთამაშეებს არაფერი არ ახსოვთ და ისინი ვერადერს ვერ ხედავენ კამათელს გარდა: წაგებულმა უნდა გადიხადოს ყავის ფული და ბერძნის ძველი ვალიც. სულ რვა ფინჯანის ფასი. ბერძენი ფულს თხოულობს რეპრესიული ქარაგმებით და საქმე ისეა, რომ ვალი ყოველივე მიზეზის გარეშე უნდა იჭნეს გადახდილი დღეს.

— სევა იაქე...

—ჩარი ფანჯი...

და ასკდება ორი მოკამათე ერთი მეორეს...

თამაშით დაინტერესებული ქართველები იქვე დგანან. მათ იციან საქმის ვითარება და ხმა დაწეულათ საუბრობენ. ჩუმწუმით იცინიან.

რალაცა არაკის არ იყოს, ან ერთს ეტირება დღეს დედა, ან მეორეს. ერთმა და ერთმა ხომ უნდა წააკოს,—მოთამაშეთა გასაგონად ამბობს ფეხზე მდგარი მელიტონი, ძველად ბათუმის „ტამოყნის“ საპატოო მოხელე.

—ჰა, ბიჭო, არ გავიწყრეს ღმერთი!..

— რას მიდიხარ, ნუ იღუბავ თავს!

— მასე, მასე!.. კარგია. ნაღდია!

— რა კარგია; აგებს კაცი და ისაა!..

მართლაც ერთერთს „ერთრა დედა“: წაიგო კობტამ.

— ვის ეტოლები, შე გაქუცულო ახნაურო. ვის ურქენ? აბა, დაყაქე პიასტრები! ხომ ხედავ, როგორ აყვარყვალებს გარუჯული ბერძენი ზეთიბილის თვალებს, —ხაზგასმული ნიშნისგებით ეუბნება კობტას ნიკიფორე.

— რო არაფერი მაქ?! — გაფითრებული, სერიოზული კილოთი უპასუხებს ოფლში გაწურული კობტა, როცა მაყურებლები შორდებიან მათ.

— როგორ თუ არაფერი გაქ?!

— არა მაქ!

— მაშ, ამდენხანს რას გვაბითურებდი შე სეინდისძალო, — ნაღველდასხმული სიცილით უტყევს ნიკიფორე.

შეწუხებულია კობტა. სწუხს ნიკიფორეც. უბზოდ, გამომშრალი თვალებით მისჩერებიან ერთი მეორეს. გამარჯვებულად წაგებულის მდგომარეობაში დგება, მაგრამ...

რა ვქნათ ეხლა. ბერძენი აქედან უსკანდალოთ არ გაგვიშვებს...

— არ გაგვიშვებს, — ამბობს კობტა.

— არა და სადაა ფული?

ვის ნახავ ფულიანს, და კიდევაც რომ ნახო: ვინ მოგცემს.

რას მოგცემს. გაგიგონია?

სირცხვილი კარზეა მომდგარი. მარტო ორი კაცის სირცხვილი კი არა, — თელი ქართველობის. არა და სულ ორმოცი პიასტრის ამბავია.

— ქემაინც არ დავპირებოდით!..

— აბა!..

პაუზა.

ნიკიფორემ რაღაც გადასწყვიტა. ეძახის გარსონს:

— კიდევ ორი ყავა!

შემდეგ-კობტას:

შენ აქ იყავი. სვი ყავა. მე მოვალ.

ნიკიფორე დიხჯათ გადის კაფედან. გაკვირვებული და შეშინებული კობტა მარტო რჩება. ფიქრობს — გაიქცეს აქედან, თუ სეას ეს ყავა, რომელიც ცუცხლად ჩადის პირში.

კობტას ნახევარიც არ ჭონდა ახლად მოთხოვნილი ყავა დაღეული, რომ ნიკიფორემ შემოაღო კარი. პირდაპირ ბერძენთან მივიდა. გაშალა დაკეცილი გაზეთი და გაუწოდა ბერძენს რაღაც ძველი, თითქოს გარუჯული წიგნი.

— შენ ათი ყავის გერგება. ფული არ არის. არის ძვირფასი წიგნი: ქართული სახარება. ძველი ხელნაწერია. ძვირფასია. შენ კარგათ გაყიდი. ჩაითვალე ვალი და მომეცი სამი ლირა...

ბერძენი ვერ მალავს უკმაყოფილებას: რათ უნდა ძველი წიგნი, მას უნდა ფული. ნაღდი ფული. უიმედოთ სინჯავს ბერძენი სახარებას.

— ლირა! — გადისფრის იგი მოკლე სიტყვას.

— ლირაო? პაშოლ ტი... — ველარ ითმენს ნერვებდაქაშული ნიკიფორე. გამოსტაცებს ხელიდან სახარებას და მაგიდაზე დასცემს ძახილით:

— ლირა? რას მიქარავი!..

ნიკიფორეს ყვირილზე ქუჩას ყურეში მდგარი ქართველები შეკრდნენ ქუჩაში. რა მოხდა რა ამბავია? რაშია საქმე?

შეიქნა სახარების წიწქნა.

ბერძენი უარზეა. პიასტრიდაც არ უნდა ღას ქართული სახარება. ბერძნული სახარებაც დიდი ხანია მოსძულდა მას და რა შევწყლად უნდა ქართული. მომეციო ჩემი ორმოცი პიასტრი და გამეცალეთ თქვენი კარაბადინით აქედან. მუშტრებს მიფრთხობთ მხოლოდ... ვის უნახავს თქვენში ხეირი...

უცრად ფეხზე დგება იქვე კუთხეში მჯდარი ამერიკელი. გაარღვევს წრეს. მისწედება სახარებას. გადაშლის. გადმოშლის. გაიტანს კარებთან დაურაკუნებს კანზე მოლუნულ თითს.

— კომბიენ?—ღეკვით ეკითხება ნიკიფორეს.

— დის დოლარ!.. დის დოლარ!.. დაასწრებს მელიტონი პასუხს. და უჩვენებს ათ გაქაჩულ თითს.

ამერიკელი ამოიღებს ეილერის ჯიბიდან ჩაქუჯულ დოლარებს, მიაჩეჩებს, ნიკიფორეს ოთხ ორ—დოლარიან ქალაღდს, ქართულ სახარებას ფიჯაკის ჯიბეში ჩასტენის და გავა კაფედან თავისი ქალით.

კობტა გაქვავებული ზის მაგიდასთან. ნიკიფორე შუა კაფეში ურყევით დასობილა დოლარებით ხელში. სხვებიც ჩუმაღ სდგანან. მხოლოდ მელიტონმა იცის, რაც მოხდა აქ და იღიმება ისეთის ღიმილით, რომელიც ცხად ყოუს მელიტონის გადამწყვეტ როლს აქ მომხდარ ამბავში.

ნელნელა სდებიან მაგიდასთან. იწყება მდგომარეობის შეფასება. მხიარული ტონი თანდათან ძლიერდება უხერხული სიჩუმის წიღ.

— შე უბედურო, სახარება წააგე ნარღში?!

— შე წაწყმედილო, რას იტყვი საიჭიოს. რა გადაგარჩენს?..

— სირცხვილი! თავის მოკრა!..

მელიტონი სღუმს. უხერხულობას გრძნობს კობტა. ცუღ გუნებაზეა ნიკიფორეს, მაგრამ...

— ტახტის აზნაური კი არა, მუტრუკი ბრძანდებო, ბატონო კობტა... თქვენი გულისთვის წაეწყვი სულიან-ხორციანათ და ქემაინც ილოცე ჩემი სულის შესანღობლათ,—ეტყვის ნიკიფორე კობტას, დაჰკრავს ბეჭზე ხელს და გვერღზე მოუჯღდება.

— მელიტონ ეს სულ შენი გამოკვარახქინებული საქმეა,—ამბობს რევაზი,—შენ რომ არა, ეს დურაკები ჩალისფასად გაყოღდენ ქრისტეს ცნებას...

— რა ჩალის ფასად, რა? სულ ერთია—ჯოჯობეთი არ ამცდება და ჩალის ფასი იყოს თუ გინდა პრასის...

— რა გითხრა იცი,—ეღბნება რევაზი ნიკიფორეს. ჯოჯობეთი რომ უკან დაგრჩება, ამას მეც კარგა ვხეღავ, მაგრამ ეს ამბავი რომ ასე შშრაღაათ ვერ გათავღება, ამასაც ვგრძნობ. რას იტყვი მელიტონ?

— ნამეტურ ბინძურ საქმეში გვევრიე და რითი გამრეცხავენ არ ვიცი...

მელიტონი აღდა.

ადგენ სხვებიც. და გავიდენ ქუჩაზე. ნიკიფორემ გადინდა ვალი და გაცა მათ.

— ნიკიფორე ჩემო, დიღია ღმერთი, დიღია. მარა თუ ერთ ცოდვაზე მეორეს მიუმატებ,—ისეთ დროს დაგკრავს, რომ აქაც სანანებელი გავიხდებდა და იქაც...

ქართულ საკონსულოს თანამშრომელი, სილოვანი, შემოეყარა მათ სწორედ მაშინ, როცა ხუთი კაცი მიადგა რესტორან „Белый Орел“-ს.

სილოვანი უცბათ გაერკვა მდგომარეობაში და ახალ მოსულთა მაგიდან შერჩა. გაიშალა სუფრა. საქმე დაიწყო რუსული ბორშით.

ლაპარაკი ჩაქრა. კობტა ხვრებდა სტვენით. მას ბანს აძლედა რევაზის სულის ბერვა. ნიკიფორე აპილპილებდა ისედაც ცეცხლოვან წვესს. მელოტონი თხოულობდა სარკეტის გარჩიცას და სარკეტის გარჩიცა მოქონდა რუსის დედაკაცს. სილოვანი გაპოღდა ნასადილვეი. აბოლებდა გრეხილ პაპიროზს და ჯერ-ჯერობით სდუმდა.

მალე მოიწმინდა საინები. ჩაქრა სილოვანის კომლიც. ამოიხვნეშა ერთმა. ჩაახეღა მეორემ. გაიმართენ. გამაგრდენ.

— რა ისმის? ეკითხება სილოვანს კობტა.

— საქართველოდან მშვენიერი ამბები...

— ისემც აგოშენდა ოჯახი!..

— რაო? რა ისმის? დასტურ თქვი, თუ რამე იცი!

— ამბავი ისაა, რომ რუსის ჯარი გადის,—ისროლა ყუმბარა სილოვანმა და მოწრუბა ღვინო. გადის, თქვენ ნუ მომიკვდებით, ისეა საქმე. ბუღუ მდივანსა და სერიოჟა ქავთარაძეს დაუარსებია ქართველი პარტიოტების პარტია. უთქვამო, რომ—ჩვენ ვართ ეროვნულ ბოლშევიკური პარტიაო, საქართველო დამოუკიდებელი უნდა იქნესო. ამიტომ ამიერ-კავკასიის ფედერაცია უნდა მოიშალოს და რუსის ჯარი წაეიდესო. ამაზე ლენინიც ხელს აწერდაო..

— რას მოყავდათ ი რუსები, მაგ უბედურებს, თუ ასე წაუფიქროდათ საქმე?—წაიღრინა მელოტონმა.

— ეს მართლა საინტერესოა...

— ბიჭო, გამიშვით ამინუტში ჩვეწერო მაგ პარტიაში!..

— ერთი სიტყვით, ბოლშევიკებში დიდი განზეთქილება ჩამოვარდნილა. ზევიდან სტალინს შემოუთვლია: დედას გიტირებთ. არაფერი გაბედოთ, კრინტი არ დასძრათ, თუ არა ციმბირი უკან დაგრჩებათო... საქართველო, თურმე, ცენცაზე სდვას. ქართველობა იარაღს ლესავს: როგორც კი ჯარი დაიძვრის--ბართლომეს ღამე უნდა მოვახდინოთო...

— ე ბათლომეს ღამე რაღაა. საწყალ მამა-ჩემს ბათლომე ქვიოდა, მარა ამისთანა ღამე არ მამენია... აფინცი ღამე კი გამიგონია,—სერიოზული კილოთი დაუმატა კობტამ.

— ერთი სიტყვით, მართლა დიდი ამბები...

— მართლა დიდი ამბები, მართლა...



— კი მარა, ნიკიფორე ჩემო, შეიძლება ასე? სთქვა მელიტონმა ამხუენი პატიოსანი კაცი ვზივართ ამ სტოლზე. სხვა რომ არა იყოს ჩა სამშობლოს ბსენებაში ვართ და რა გაქირდა, ბატონო, ერთი ქიქა ლეინო... რალა მაინცდა მაინც უნდა მათქმევეინო, შე კაცო... ერთი სადღეგრძელო მაინც უთხრათ იმ დაჩაგრულ ქვეყანას...

— პატიოსნება და რჯული მავან ამერიკელს მიყიდა რვა დოლარათ, — ვაიბუმრა რევაზმა.

რუსმა, რომელიც რესტორანის პატრონი უნდა ყოფილიყო, და რომელსაც ახასიათებდა ლუბერნატორის მანერები, შემოდგა ორი ბოთლი ლეინო. ტოლუმბაშობა რევაზს ერგო და რევაზმა ნელა დაიწყო:

— აქ ყველანი შინაურები ვართ და გულახდილად უნდა გითხრათ, რომ არ მჯერა. იცით? რასაც ჩვენი პატივცემული სილოვანი ამბობს — ყველაფერი ტყვილია. თქვენ, ჩემო ძმაო, — მიუბრუნდა რევაზი სილოვანს, — ქვეყანა დაღუპეთ. საქართველოში ხომ გვადურაკეთ და ახლა აქაც არ იშლით. დაგვანებეთ, ბატონო, თავი. გვეყოფა ჩვენი გაქირვებაც, ნულარ ჩხირკედლობით. ხომ ხედავთ — საქმე წაგებულია და წაგებულა საფუძვლიანად. ერთი თავადის ამბავი მაგონდება. თურმე, პირველად რომ რუსები შემოვიდნენ ტფილისში, მახათას მათსთან გაშალეს ბანაკი. ეს თავადიშვილი მამადავითზე სცხოვრობდა. დარწმუნებული იყო, რომ რუსები უთუოდ წაელენ. თვითონ თვალს აკლდა, და ყოველ დილას გამოდგებოდა აივანზე, დაუძახებდა მოსამსახურეს: ბიჭო, გაბრიელა, გაიხედე ერთი მახათასა — წავიდენ მა ყოფა ძალღები, თუ არაო. — არა ბატონო, დგანანო, — ეტყოდა გაბრიელა. გაზაფხულიდან — ზამთრამდე, ზამთრიდან — გაზაფხულამდე იყო ასეე გაიხედე. ბიჭო, წავიდენ თუ არა, — იკითხავდა თავადი. — არა, ბატონო, დგანან, — ეტყოდა გაბრიელა. ის თავადიც მოკვდა. გაბრიელაც მიყვა. გავიდა ასი წელიწადი და რუსები იქვე იდგენ. ისე მოგვდის ჩვენი. მოხდა ერთხელ, რომ — წავიდენ. ეს ხდება ას წელიწადში ერთხელ. მაგრამ თქვენ წახდით და ისევე შემოუშვით. ახლა დაეკეთ და უძახეთ თქვენს გაბრიელას. ტყვილია...

— რაებს მიჰქარაქ, — უკმაყოფილო კილოთი გააწვეტინა სილოვანმა... რა ქვია ამას, თუ ტოლუმბაში ხარ — იტოლუმბაში, თუ არა შენი პრაბავანდა ჩვენ არ გვქირდება...

— სწორედ, სწორედ იმიტომ ვამბობ, რომ ტოლუმბაში ვარ. ეს ჩემი სადღეგრძელოს პრაგრაშიაში შედის... იმას ვამბობ, რომ თქვენ დაღუპეთ საქართველო. რომ საშვალება მომცა, მე თქვენ ყველას გაგკუპრავდით და წაგიკიდებდით ცეცხლს. ბიჭო, ვინ სულელი წავა. ჯარს რაეა გეიყუანენ?! ან ქავთარაძე რაეა იტყვის მავას. წავა კი არა, ახლა ბოლშევიკები ტყავში სძვრებიან, როგორმე მენშევიკებს აჯობონ, მეტი კაი საქმე გააკეთონ და ხალხს თავი შეაყვარონ. გუშინაწინ ტფილისიდან ჩამოსული ალექსანდრე ჩიტაძე ენახე. მეზობელია ჩემი. რა ამბავი იმან არ მითხრა?! ვინც დარჩა — ყველა დიდებულათ მუშაობს, მსახურობს. საქმისწარმოება ყველგან ქართულ ენაზეა. ხალხს ისე უბრალოდ არ ხერტენ... რას მელაპარაკები, რას?..

— შენ, რევაზ, ისე ლაპარაკობ, როგორც უკანასკნელთა მინდასაა. — მიახალა გაცხარებულმა სილოვანმა რევაზს. მასე ლაპარაკობენ — შიშის შეტყობისგან მოყიდულები...

— როგორ თუ მოყიდულები? მე ვარ? მე ვარ, შენი ფიქრით, მოყიდული? — წამოვარდა აპილპილებული რევაზი.

— დაჯექი, შე კაცო! იხუმრა! რას ცხარობ! — შესძახა რევაზს ამხანაგებმა.

— ვხუმრობ კი არა, მართალს ვამბობ... ასეთი ლაპარაკი...

— მოყიდული ეს კი არა — თქვენა ხართ... აღლელებით წამოიძახა ნიკიფორემ... თქვენ ვაყიდეთ საქართველო. თქვენ მიყიდეთ ის გერმანელებს, ფრანგებს, ინგლისელებს, ყველას თქვენ მიყიდეთ. თქვენ გადააქციეთ საქართველო ბალაგანათ, რომელშიაც ყოველი კაცი შედის და ფულსაც კი არაეინ იხდის...

— ეტყობა, რომ პოლიტიკა შემოიჭრა ჩვენ სუფრაზე, — გააწყვიტინა ნიკიფორეს მელიტონმა სიტყვა. — რაც მოხდა მოხდა, მაგრამ ერთი მეორეს ნუ დეერევი. თუმცა სახარება კი ვაყიდეთ, მარა ნუ დაიფიწყებთ: გაცვარდეს მოყვასი შენიო... ილაპარაკეთ წყნარათ. წესიერად. გასაყოფი ახლა არც ერთს არაფერი გაქვს. ყველა გამათხოვრებული და სხვის კარზე ვართ გადმოყრილი.

— მე აღარაფერს ვამბობ, — მოწყენით სთქვა რევაზმა. რავარც გენებოთ...

— შეიძლება? შეეკითხა ნიკიფორე რევაზს. მე ერთი რალაცას თქმა მინდა. დამემართა ერთი ამბავი აქ, სტამბოლში. მყავს, კაცო ერთი ბიძაშვილი — ბიქტორ ლოლოძე. ჭე იცით ყველამ. ძამალი ბოლშევიკია. უწინ ჯარში იყო და ახლა პარტიანია. ერთი სიტყვით, გავლენის კაცია. მე, მოგახსენებათ, გამევიქცი ბათომიდან და მოვასქდი ამ სათათრეთს, ჩავარდი. ჩავარდნილია ჩემი საქმე ახლაც, მარა მაშინ ახალი კაცი ვიყავი და უფრო გამიჭირდა. ახლა სულ გამოსიაკებული ვარ და აღარაფერი მაკვირვებს. ვავიდა ოთხი-ხუთი თვე და ერთ მშვენიერ დღეს პერაზე მანერებს ვიღაცა ახალგაზრდა რუსი — ესა და ეს კაცი ხარ? — ესა და ეს ვარ. მაჩრებს ხელში რალაც წერილს და მიდის. სიდანაა? ვისია? რა ვიცი. მივედი სახლში. მივედი — სამი დღის ნამშვირევი. ფეხზე ძლივს ვდგავარ. წამოვწყვი ლოგინზე და ვავხსენი წერილი. რას ვხედავ. კონვერტიდან გადმოფრიალდა ტრედისფერი ათლირიანი და ბიქტორას წერილი. მწერს. (ჯერ ეს ამბავი არ მოთქვია ვისმისთვის, მაგრამ ეხლა ვიტყვი: წარსული საქმეა) მწერს, რომ ვაგიგე შენი ცუდი მდგომარეობათ, ვაჭიოვებთაში ყოფილხარ. ნუ თუ ასე ვაგინეტესო. რას მირბოდი, ვინ მოგსდევდაო. ნუ სულელობ. ჭკუაზე მოდი. დაბრუნდა საქართველოში და იმუშავე — ხელს არაეინ ვახლებსო. მირჩევს, რომ ეს წერილი ბოლშევიკების კონსულს ბიუტანო და ის მომცემს ვიზასაც და გზის ფულსაც. ათი ლირა ისე ჩაუგდია — როგორც „ნაჩი“.

ჩაეკითხე წერილი, მარა ცუცხლი შევიღება. როგორ? თუ კაცი კაცათ ჩაითვლებოდა — კაცათ მე მახსენებდენ. ვინ იყო ბიქტორა ჩემთან? ბუზი იყო და მეტი არაფერი. და გამოდის, რომ მე უნდა დავიჩოქო მის წინაშე, უნდა შენდობა ესთხოვო: შეეცოდე, მაპატიე, აღგილი მომეცი. ჩემი სახლის კარები ვამიღებო. როგორ იტან ამის ცოცხალი კაცი. მერე როგორის კილოთი მწერს. „თქვენ გგონიათ რომ საქართველო თქვენს მეტს არც ყვარებია და არც უყვარსო. ძველათ საქართველო მაინც და მაინც არაეინ თქვენგანს არ ყვარებია“



ქართული
ენების

და მისთვის ჯვარს არ ცმულა და დღეს ვის უფრო უყვარს ქართველნი ვიდრე მეტი ხალხი—ამას თვითონ ხალხი ხედავსო. ვისაც ქართველი ხალხი უყვარს—აქ დარჩა და დღე და ღამე შრომობს. თქვენ კი ევროპაში ყიდით საქართველოს ნაღდათ და ნისიათ და თავი პატრიოტები გგონიათო“. იქე, გადავირთე კაცი. მომივიდა ბრაზი. მივხი-მოვხიე წერილიც, ლირაც და გამოვარდი გარეთ ცეცხლმოვდებული.

მივეცი ღამეს თავი: ნახევარი სტამბოლი შემოვიარე მწარე ფიქრებით. დამეიწყა შიმშილიც, დაღლილობაც. ნუ თუ ერთი ვერ ველირსო იმ დღეს, რომ ბოლშევიკების სისხლი დაელიო. თუნდაც ბიჭტორასი. ნუ თუ ესაა ჩემი ცხოვრება. ნუ თუ ასე დამცირობული, ასე დაცემული და ნაწამები უნდა მოგვჯდე ამ სათათრეთში?!

ღამის ორი საათი იყო, რომ მკვდარივით დავეგდე ლოვინზე. გასალავათებული.

ცოტა სიტყვა გამიგრძელდა, მაგრამ ახლავებს...
დილას ავდექი. ვერ ვარ გუნებაზე. ჩამოვჯექი ლოვინზე და შევაველე თავი ჩემს გატყაულ ოთახს. შემდეგ ჩავიციე. ავკრიფე ლირის ნახევები. ნახევარი საათის განმავლობაში ვაწებე ერთი მეორეს, რომ დახეული ფული გამემთელე-ბინა. გავაზიღე. დავახურდავე თათართან პერაზე და ვისადილე.

ერთი კვირა მეყო ის ათი ღირა...
რომ მაქნეინა ეს, არ ვიცი. მაგრამ—ვექენი. შიმშილის გულისთვის არ მიქნია. ეს ხამდელია. არ მიქნია. იმიტომ ვექენი, რომ ბრაზმა ამავესო ჩვენი შესეურებისადმი.

მართლა და--სადაა სამართალი. ზნობაზე ლაპარაკობენ, სამშობლოზე ფიქრობენ და ბოლშევიკებთან ვაქრობით მღვდრულებიან. პრინციპებზე გაიძახიან და ფრანგების კონტრ-რაზუედკაში მსახურობენ.

მე რომ ბოლშევიკს დაველაპარაკო—ეს სამშობლოს დაღატია. გიორგი ვვახავა კი ახალწელიწადს კარზე მოდებამის საელჩოში ტოლუმბაჩათ იყო და ბოლშევიკებთან ქეიფობდა. მე რომ სახლში დაბრუნებაზე სიტყვა დამცდეს—ჯვარზე გამაქრავენ. ჯაყელი და ხოშტარია კი იქითაც არიან და აქეთაც. ამათი პასპორტაც აქეთ და იმათიც.

გადვირევი კაცი აბა რას იზამ?!
და უნდა იარო, იშომილო, იწვალო ამ საშინელ ქალაქში იმიტომ რომ ბოლშევიკებმა აჯობა მენშევიკებს. მე რა? მე რა წამიხდინა ამ ბოლშევიკებმა. მამულები ჩამომართვა, ქარვარსლები დამიწვა, ფულები წამართვა თუ რა?
არა, ძმაო, ასე ცხოვრება არ შეიძლება. კმარა. და, თქვენი ჭირომიე, დაგვანებეთ ყველამ თავი. არ გვინდა არც თქვენი გადარჩენილი საქართველო და არც თქვენი პატრონობა...

ტყვილა გავიფიქრეთ ეს სადილი და ნერვები ავიშალეთ. დღეს შესაწყებლად ისიც მეყოფა, რომ დურაქულ თავმოყვარეობის გულისათვის სახარებაც მივაჩქე ვილადა წუპაქს.

დაასხი, რევაზ. მიყევი. დავანებოთ ამას თავი...
— აბა, ეს ღმერთმა გაუმარჯოს.—დაიწყო რევაზმა ჭოქქანის შემდეგ.— ეს ღმერთმა აიღოგრძელოს.

სილოვანი მათ შორის აღარ იყო.
გარედან მოისმოდა კლარნეტზე დამღერებული მარში—„На сопках Ман-джурии“. ეს რუსი ინვალიდა ჯარისკაცი ახურდავებდაქმონარქიულ პატრიოტიკას თურქულ პიასტრებზე.

გეჟანა დავრუნებულა!

— წადი, თქვენი!..

შეჩერდება ბეიანა, ხელებს იმკლავებს... იმკლავებს ხელებს და ემუქრება ვილაცას რაღაცაზე...

— დამაცადეთ... დამაცადეთ, თქვე...!

გაჭივის უკვე ახარტში შესული ბეიანა, რომელიც მოწინააღმდეგეს რომ ვერა ხედავს, კიდევ უფრო იბამს ქეხს...

— ბეიანა მოტანჯულა!..

ამბობს გოგია ხარაზი კბილების კრეჭითა და სახის ღრეცით სწორეთ იმ ჯღანსავეთ, რომელსაც ის ნიადაგ სკიმავეს და ასწორებს...

— დროება მუდამ მაგისია, ძმავ და რატომაც არ ისარგებლებს?!

ირონიულად უკრავს კვერს სტეფანა „ხარაზი“, რომელიც ნამდვილათ არც ხარაზია, არც ვაჭარი, არც რაიმე ხელოსანი, მაგრამ სულ „დუქნებზე“ კი „ჰგდია“ და ამელელ-ჩამელელს თვალთა და კბილით გაუზომავს არ უშვებს, თითქოს ესეც სოფლური ცხოვრების ჯღანს ასწორებსო.

„დუქნები“—ეს ს. ჭყიძის ცენტრია, სადაც, დიდი ხნის კარებზე საცოდაობის შემდეგ, ამ უკანასკნელ ხანებში რის ვაი-ვაგლახით გახსნილ იქნა კოოპერატივი. იქვე კიდევ ერთიც ფეხსაცმელების სამკერვალო დუქანია მინდორზე ცუდათ მირჩენილ პალოსავეთ დასობილი. ამ უკანასკნელს საჯღანე უფრო შეეფერება სახელად ვიდრე სახარაზო, რადგან ახლებს აქ მხოლოდ ორჯერ თუ ჰკერავენ წელიწადში, თორემ სხვა დროს სულ ძირ ან ქუსლ-მოვარდნილი ძველი ფეხსაცმელების შეკეთებასა, პირ ან ეელ-გადახეულის გაკერებასა თუ სხვა ასეთ წვრილალ შეკეთებებს უნდება გოგია ხარაზი.

ტიტია დვრიტა, ცალი თვალით ბრმა, ხოლო მეორით—ელამი და ბეცი, არაფერს ამბობს; ხანდახან სახეზე ირიბული ნაოკი გადააწეება და მუხლებზე ხელებს აღერსით გადაიტარებს, რაღაც სხვა ნიშნებით გამოუთქმელი სიამოვნების გამოსახატავათ, რომელიც გლეხისათვის ჩვეულებრივ გესლ-ნარევი შური უფროა, ვიდრე ნამდვილი სიამოვნება.

— „დექტატურა“ მაგისაა და მეტი რაღა უნდა?! ატანს სუყველას ამას მაჭიმედ „ყადი“; მაღალი, ახმახი, ჩოფური და ცხვირ-მოკაუქებული ნააზნაურალი ამ ღამად კი უკვე ისიც გლეხი და მიწის მუშა.



„ყადი“ თავისი არაჩვეულებრივი სიმაღლისათვის დაარქვეს ^{მეჭანა} ~~მაქიმედს~~ ^{ქო-}ფელმა. არაერთ უწყის, თუ ვინაა ამ ზედმეტი საბელის ავტორი. სავაგიეროთ, სოფელში ბავშვიც კი არ მოიძებნება ისეთი, რომელიც მაქიმედს „ყადით“ არ იცნობდეს, ხოლო „ყადს“—მაქიმედათ.

„ყადის“ შენიშვნაზე გოგია ხარახმა ისე გადმოაბოჭილა კბილები, რომ ჯლანი, რომელსაც ამ დროს იგი სჭიმავდა, პირიდან გაჰვარდა და იატაკზე დაეცა.

„დვრიტამ“ ორივე ხელი ორივე მუხლზე ჩვეულებრივ გადიისეა, სიამოვნების ნიშნად, ელაში თვალი „ყადს“ მიაპყრო, ისე, რომ ნამდვილათ სტეფანა „ხარახს“ უმზერდა, ხოლო ბრმა თვალი ნერვიული რეფლექსით შეათამაშა და, წინააღმდეგ ყოველგვარი ტრადიციისა, რალაც ყმუილის მსგავსი ხმაც კი აღმოხდა მკერდის სილრმიდან.

სტეფანა „ხარახი“ საჯლანეს აიენიდან ძირს ჩამოვიდა, თვლებზე მარჯვენა ხელი „რუსული ქუდის“ კიზირიოკივით მიიფარა და ორლობეში მიმავალ ბეჯანას უკანიდან გამანადგურებელი დამცინავი ცნობისმოყვარეობით გაჰხედა.

ს. ჭყიმას ამ თავისებურ „კუნწულას“ არა მცირედი წილი უღვეთ ბეჯანას დაკვამში, რომელსაც ახლა მიმავალს უკანიდან ისე იროანიული შენიშვნებით მიაცილებდნენ.

მიდიოდა კი ბეჯანა?..

არა... ეს სიარული სულაც არ გახლდათ. ბეჯანა შუკაში—იქით-აქეთ ბენცელ-ბენცილით მიელეწებოდა, როგორც ზღვის ჯანყში მიმავალმა გემმა იცის ხოლმე, ყოველის მხრით მოხეთქებული ტალღები რომ წარა-მარა აყირავებენ და წინსვლას უძნელებენ.

არის განსხვავებაც.

თვალუწვედნელ ზღვის სივრცეში მოცურავე გემი მიქანაობს ნაფოტივით და თვალს კი მაინც ჰგონია, რომ იგი ერთ წერტილზეა გაჩერებული. ხოლო ბეჯანა სოფლის ვიწრო ორლობეში მაინც წინ მიმავალი მოსჩანდა, მიუხედავად ხშირად ერთ ადგილზე ხანგრძლივი ბარბაქისა და იქით-აქეთ მილევ-მოლევებისა.

ეზოდან სოფელი ქერივი კესარია „ალენჯა“, რომელიც ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქერივის“ არც კი არ ჩამოლვარდებოდა თავისი ყოფაქცევით და მწარე ენით, დოინჯ-შემოყრილი გამოსცქეროდა შუკაში მიმავალ ბეჯანას, რომელსაც, მილევ-მოლევების დროს, ხელი წაუტდებოდა ხოლმე და, საკუთარი წინასწორობის დასაცავად, კესარიას ღობის სარს ან კიდევ ამა თუ იმ ნიწილს ინსტიქტიურად ებლაუჭებოდა.

კესარიას სული ყელში ებჯინებოდა; სწყინდა, რომ მისი ეზოს ღობეს ასე დაუსჯელად აწვალდებდნენ. ძროხა ან ღორი რომ ყოფილიყო, ბეჯანას ადგილზე კესარია ამდენს არ მოუთმენდა: მივარდებოდა და ერთ ამბავს დაუთენებდა. კაცოც იყვეს თუ გინდ, ოღონდ ბეჯანას კესარია, ჯერ ერთი, რომ კაცად არც კი სთვლის, ხოლო, მეორეც—დაკვირვებიდან ირკვევა კიდევ, რომ ბეჯანა,—ასე ვსთქვით, „თავის არსებაში“ აღარ არის, ამიტომ სდუმს „ალენჯა“. ითმენს.

თავის საკუთარ წვენი იხრაკება და ამის გამო, პირში, ^{წყლის} ^{საქონელი} ^{საქონელი} ვეგუბება.

ბეჯანა კი მივლევება სოფლის ორლობეში და თანაც გაურკვეველი მისამართით ილანძება, იმუქრება, მუშტებს იღერებს...

* *

პეტროვრადიდან დაიწყო ბეჯანამ. გამოიარა: მოსკოვი, ყაზანი, ურალი, ასტრახანი, ბაქო, თბილისი და განუყრელად თავისი თოფით ხელში საკუთარ სახლამდის მოაღწია.

ბათომში თათრებსაც კი გადააწვიმა ტყვია თავს და სტამბოლისაკენ მიმავალ გემებს თვალი წყრომით გააყოლა, რადგან ვერ უზღო სანაცვლო მათ, ვინაც იმის ამხანაგებს შეუბრალებლად ხოცდა ან სამშობლოდან ისეთის მოურიდებლობით აძევებდა. ბეჯანა საშინლად იყო გულმოსული მენშევიკური ხელისუფლების ასეთ მუხანათურ ქცევაზე.

ამის შემდეგ, უკანასკნელ ხანამდის, სანამ, პარტიულ წიგნაკთან ერთად, იარაღიც არ მოსთხოვეს ჩამოსართმევად, ბეჯანას თავისი თოფი კედელზე თვალსაჩინოდ ადგილას ეკიდა და კიდევ სათანადოდ ამაყობდა თავისი ამ ერთადერთი ტრიუმფალური სამკაულით.

ბეჯანამ თოფი ჩააბარა, ვისაც ჯერ იყო, მაგრამ არა ის, რომელსაც თავის განუყრელ ამხანაგათ სთვლიდა...

— წადი, თქვენი!..

ილანძებოდა ბეჯანა და თავის „სამ ხაზიანს“ საიმედოდ ადგილას ჰკუჭნავდა. „მოძალადეები“ კი, სხვა უვარგისი თოფით მოიშორა თავიდან.

— თავის მაგივრად ჯირკი აქვს მხრებზე, მაგ ოჯახ დასაქცევს!..

გესლიანად მიიყოლა ზურგში მიმავალ ბეჯანას სტუფანა „ხარაზმა“ და ისევ თავის ამხანაგებს მიუბრუნდა „საჯლანესაკენ“.

— მაგას რომ ჰქუა ჰქონოდა, აქაჲდის კომისარი უნდა ყოფილიყო, ახლა რომ კესარიეს „ღობის სარს“ აწვალებს აგერ შეკაში. ლეკანაი მაგისი ამხანაგი არ არის, „ქრასნი დილებტორიაო“, თუ რაცა დიდი ადგილი რომ უქარავს!..

ჯლანისგან თავის იფლებლივ ჩაილაპარაკა გოგია ხარაზმა და ჩამჭრალ პაპიროზს ავეცხებული ქიფით ცეცხლი ისევ მოუკიდა.

ლევანაი კაცია, ჩემო კარგო!..

დაურთო თავის ნხრით მაქამედ „ყადმა“. უკან წელის სარტყელში გარკობილი ჩიბუხი და თუთუნიანი ქესა გამოიძრო და, გოგიას მიბაძულობით, ყალიონს ტენა დაუწყო.

ლევანა და ბეჯანა ამ სოჯლის შვილები იყვენ; ტოლ-სწორები, ერთის გვარისანი; ერთად მოხდენ ომში და საქართველოშიც ერთად დაბრუნდნენ.

ლევანა შერჩა თბილისს, ბეჯანამ კი სოფელს მოაშტრა.

„დედის კვერი მონატრა“-ო...

დასცინოვნენ მეზობლები, უმეტესად კი აი, ესენი, ^{ქრტიანული} ~~ქრტიანული~~ ^{გაგანი} ~~გაგანი~~ ^{ნარაზის} ~~ნარაზის~~ „საჯლანეში“ რომ იყრიან თავს.

დღეს ლევანა ახალი აღმშენებლობის თვალსაჩინო მონაწილეა.

ქარხნის წითელი დირექტორია.

ბეენა კი სოფელს შერჩა.

მაზრასაც ეპოტინებოდა.

ყველას ებრძოდა.

ყველა წაიკიდა და მოიმდურა. თვითონ კი იყო ზეიადი, თითქმის ყოყონი, და მხოლოდ წარსული მოგონებებით მაყურებელთა ძალდატანებით მკვებავი, რადგან, სასიამოვნო ლაპარაკის ნაცვლად, ბეენა ტლანქად ღერღავდა სიტყვებს და იმასაც მუდამ გლახა ჭრიაშვილივით აქანაურებდა.

— ყაზანში რომ კოლჩაკელები შემოგვერტყა...

წაპოიწყებდა მეთათსევე ბეენა.

— დაანებე მაგ კოლჩაკელებს თავი, ჩემო ბეენა! კოლჩაკი დახვრიტეს რა ხანია... შენ აგერ კოპერატრეს მოჰკიდე ხელი და სოფელს იაფი საქონელი მიაწოდე, თუ შეგიძლია.

უთხრა ერთხელ მას მაზრის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა და ამ სიტყვამ გადასწყვიტა ბეენას ბედი.

ერთხანს ბეენა მართლაც ეზიდებოდა იაფ საქონელს თავისი სოფლის კოპერატივისაკენ...

გზა გრძელი და მძიმე იყო. მაგრამ ბეენა, წაქეზებული თავისი ბრწყინვალე წარსულით, მხნეთ და უდრტინველად ასრულებდა თავის საპასუხისმგებლო საქმეს, თუმცა არ მოსწონდა ბეენას ეს და სულ წუწუნებდა...

ეს წუწუნი უილაჯო ადამიანის წუწუნს კი არ ჰგავდა. ის იყო ერთნაირი საყუდური მისი აზრით, სამართლიანი ურჩობა „ბრუტიან“ ხვედრისა, რომელიც; ზოგს თავისი ბარაქიანი ხელით არჩევს, ხოლო ზოგს დაურიდებლად ართმევს ართმევს იმასაც კი, რაც ადამიანს დამსახურებით ეკუთვნის.

შიუხედავით ამისა, ბეენა მაინც ენერგიულად განაგრძობდა დაკისრებულ საქმის გაძლოლას.

მაგრამ ბოლოს რაღაც „ეშმაკმა გამოჰკრა ფეხი“!.. ასე მსჯელობდენ მაინც ისინი, ვისაც კიდევ შერჩენოდა ძველი, დამსახურებული რევოლიუციონერის პატივისცემა, ეს ერთგვარი თანდათანობით ტირაქიდან გამავალი პატრიოტიზმი საქურარ წოდებისა.

სულ სხვა გვარი იყო წინააღმდეგი აზრი:

„სოფელმა ღრმად ჩაითრია ბეენა. გამოხრა, გამოჰფიტა და გადააგვარა. ქორწილი, ხათლობა, დღეობა ქელები გაუტკბა, გაუთავისიანდა.

ძმა-ბიჭები გაუჩნდენ და გადაეკადენ. ხარჯ-მარჯმა, პურმა და ლენომ გადაიყოლა.

კოპერატივიდან საკუთარ ბინამდის გზა უფრო მოკლე, უფრო ადვილი და მზატე აღმოჩნდა, ვიდრე ქალაქიდან კოპერატივამდის“.

ერთხელ, ორხელ ამხანაგებმა სცადეს მისი შემობრუნება, გააფრთხილეს, დაარიგეს, კიდევ აპატივეს.

ეგონათ გასწორდებაო.

— თავისი საზღვარი აქვს ყველაფერს!..

არ გამოგვადგება მაგი ჩვენ... ზედმეტი ელემენტია!... დაასვენეს კომუჯ-რედში და...

ერთ მშვენიერ დღეს მიიღო ბეენამ ცენტრიდან ქალაქი: „ვადაყენ-ბული ხარ თანამდებობიდანო“..

რისთვის?!

იმისთვის, რომ სხვებზე გულკეთილი იყო?! რომ ღარიბი ხალხი ებრალე-ბოდა?..

„რასაცა ვაცემ, შენია“...

რეკომის თავმჯდომარეობის დროს დაჩვეული იყო იგი უხვად გაცემას... მაშინ ასეთ ნაბიჯს აქვებდენ კიდევ... ყველას სწელებასავით სჭირდა რალაც სიუხვე, თითქმის ერთგვარი ყოვლად დაუზოგველი ბედოვლაობა, თითქოს ხელები ექაევათო...

არა, ასე ბრძანებს თვითონ ბელადი!.. იგი ხომ პირველ ყოვლისა ღარიბების ბელადია...

და ბეენასაც არ სურდა, რომ ამ საპატიო საქმეში სხვებს ჩამორჩენოდა...

— როგორ? განა სოფელს ცოტა ჰყავს ღარიბი?.. მაშ, ეს ტიტია დვრიტა, კესარია „ალენჯა“, სტეფანა ხარაზი, და თუ ვნებავთ, მაქიმედ „ყადიკ“, განა, ესენი სოფლის პირობებში ის სოციალური ფენა „არ არის, რომელსაც ასეთის სიგულწრფელით ესაქიროება კომუნისტის ყურადღება!..

და ბეენაც ამ მხრივ მუდამ იდგა თავის სიმაღლეზე... ის თუ ვისმე ეხმარებოდა დარწმუნებულიც იყო, რომ ეხმარებოდა სამართლიანად, ნაპღვილ ღარიბებს, როცა სხვები... ბეენამ „ბევრთა შეცდოზანიც“ იცოდა ამ მხრივ... „ლუკმა თუ გავარდეს, ისევე ჯამში ჩაეარდესო“-ო, აი, როგორ მსჯელობდენ ისინი...

ბეენას კი ამ შემთხვევაში „თავისიანი“ არ გააჩნდა. ის თუ ვისმე ეხმარებოდა, ეხმარებოდა როგორც ღარიბს, როგორც დახმარების ღირსს... მისთვის ამ შემთხვევაში არსებობდა, შეიძლება — ზოგჯერ შემცდარი, მაგრამ მაინც ეთრნაირი სამართლიანობის საზომი.

მაშ, რისთვის?.. რისთვის ისურვეს ამხანაგებმა მისი ასე დასჯა?..

— ყახანთან, რომ კოლჩაქმა შემოგვიტია... იწყებს მეთასევერ ბეენა...

— კოლჩაქის ვინ-ღა შემოუტია ბეენან?.. შენიშნავს მას ახკომკავშირელი გაბუა.

— შენისთანები რომ შემოესია პარტიას, იმან ააშენა ჩვენი საქმე... სცადა თავის მხრით კბენა ბეენამაც. მაგრამ შეატყო, რომ რალაც ისე აღარ გამოუვიდა, როგორც ეს საქირო იყო.

გაბუამ გაზეთში მაინც ჩააგდო ბეენა.

ქორწილიდან მომავალმა ბეენამ „დუქნებთან“ მიბეგვა გაბუა.

ბეენა ისევე გაზეთში ჩააგდეს.

საკონტროლო კომისიამდეც კი მიადწია ამ ამბავმა.

— მერამდენეა ეს შემთხვევა?..
დასვა კითხვა კომისიის წევრმა.
ერთობ ბევრი აღმოჩნდა დანაშაული.
ბეენა გარიცხეს...

— პარტ-წიგნაკი?..

— დამეკარგა.

იყო ბეენას პასუხი.

ნამდვილათ კი წიგნაკი თავის სახლში, ისლის ბუღულში ჰქონდა შემო-
ნახული.

თვითონაც კი არ იცოდა, რისთვის?

იქნებ ეგონა, რომ წიგნაკი თავის თავად რადმე გამოადგებოდა... დაა-
ვიწყდა კიდევ იმისი იქ არსებობა ბეენას.

ქვევიდან მკვარტლია და ზევიდან კოკის სინესტემ გამურა და შეახავრა
წიგნი. შიგნით ფურცლები შავ-შავმა წერტილებმა ისე ააქრელა, რომ ზედ ნა-
წერიც კი აღარ მოსჩანდა გარკვევით.

ეს აღმოჩნდა მაშინ, როცა სრულიად შემთხვევით მოაგონდა ბეენას თა-
ვისი „განძი“. მიიღვა კიბე და ჩამოიღო წიგნაკი.

გაშალა და ამ სურათის მნახველმა უკმაყოფილოთ გაიქნია თავი.

— რათ აჯდება ასეთი შავი წინწყლები ქალაღდს, რათ?..

გაუბრინა თავში ბეენას მწვავე ფიქრმა...

— იმისათვის, რომ თეთრი არის, განა!..

და ამ წუთში მას თვალწინ წარმოუდგა თითქმის მთელი თავისი წარსუ-
ლი ცხოვრება, რომელიც მან გულწრფელად შესწირა თავისუფლებისთვის დიად
ბრძოლას. ახლა კი ის ისეთივე შავ-წინწყლებიანია, ლაქა მოცხებული და დამ-
ცირებული, როგორც, აი ამ წიგნაკის ადრე თეთრი ფურცლები!.

და ბეენას წუთით შეჭარბა ასეთ ყოფაში ჩაეარდნილი თავისი თავი...
დანანდა კიდევც... და მას მოუნდა ამ მდგომარეობის რითიმე გამოსწორება.

მაგრამ სინამდვილე უფრო ჯიუტი აღმოჩნდა, ვიდრე ალალი სურვილი...
სოფლის მიწას მწებავი ტალახი აღმოაჩნდა. მას სამოქალაქო ომში გრიგალივით
მძლე ვაეკაცს, ახლა რალაც ანგარიშების ქსელით გზა შეუქრა, ხელფეხი შეუ-
ბორკა და გასაქანს აღარ აძლევდა.

ბეენას გულში რალაც აქამდის უჩვეულო ბოროტმა ძალამ იწყო თავის
მოყრა და მოზავებმა... დრო და დრო, ამ ზევის მოსაშორებლად ღვინით ნერ-
ვების შებუება რალაც ერთგვარ მოთხოვნილებად გადაექცა მას...

ბეენა აყვა გულის ნაცდურ ხმას და იწყო ხშირად თრობა... ასეთ ყოფა-
ში იგი რალაც შეუტნობელი ხდებოდა... ძველი, გულკეთილი და პირდაპირი
ბეენა, რალაც იღუმალი ბოროტებით იტვირთებოდა და ანჩლობდა, ემუქრე-
ბოდა, უშვერ სიტყვებს ისროდა...

ასეთი იყო მთვრალი ბეენა თავის წინ, როცა გარეშეს არავის ხედავდა,
სამაგიეროთ, საკმაო იყო ვისიმე გამოჩენა, რომ იგი წუთში გამოფხიზლებუ-
ლიყო და მას დაპბრუნებოდა ადრინდელი თავისი სიამაყე და ის კეთილგონიე-
რება, რომელიც მას, ფხიზელს ჯერ კიდევ საკმაოდ გააჩნდა.

— ეი და, ქოვ, გამოიტანე, ბეჟანავ, იი სკამი აქეთმამუწუნანანანანანანანათარი მობრძანდება...

მიმართავდა საკმაოდ ხანში შესული ზაფითა თათარი 10—11 წლის ბიჭს, ბეჟანას, რომელიც თავისი აღის ბრძანებას ყოველთვის სიტყვის შეუბრუნებლად ასრულებდა.

მალალი, მხარ-ბეჭებ-ფართო და წელში გასაწყვეტად გამზადებული, შავ-გვერდისანი, წაბლისფერი თმითა და წვერ-ულვაშით სახე დამშვენებული თავადი ოთარი ეკუთვნოდა თავად-აზნაურთა იმ უკანასკნელს მოდგმას, რომელიც თავიანთ დედულ-მამულის ნაპრობითა თუ ნარდობით „გაპარადალების“ ხარჯზე ფერფლავდა თავისი უგემური ყოვის უკანასკნელს დღეებს, გაკეთებულ პაპი-როსებთან ერთად.

ზაფითა აქარიდან თუ ერუშეთიდან აქ გადმობეწილი მუსულმანი იყო, რომელიც რალაც მოსაზრებით, თავის თავს სტამპოლიდან მოსულათ ასალებდა.

ფულიან კაცის სახელ-გავარდნილს ზაფითას ერთი პატარა დუქანი ედგა გზის პირად, თავის საკუთარს მიწაზე, რომელიც ზაფითას შედარებით დიდი მამულის მხოლოდ ერთ-უბნიშენელო ნაწილს შეადგენდა.

თავის მამულის უდიდესი წილი ზაფითას შესაფერ დროზე ოთარის მამის-გან ჰქონდა შენაძენი.

მაშინ, როცა ჯერ კიდევ ფული ფულობდა, ხოლო ყველას კი ჯიბეში ის არ უქყოდა ხარჯის მოყვარულს ოთარის მამას, როსტომს, რალაც ჩალის ფასად გამოსცინცლა ხელიდან მოხერხებულმა ზაფითამ ეს ამოდენა მამული.

უწინ, როსტომის სიცოცხლეში, ამ „მიწის ნაგლეჯს“ ზედაც კი არეინ შეხედავდა ბატონიანთ მხრიდან, რადგან, უთვალავ და უსაზღვრო მამულთან შედარებით, ეს ერთი მწვადი „ზაფითის მამული“ აბა, რა მოსახსენებელი უნდა ყოფილიყო...

მაგრამ იმ უძრავმა ქონებამ რომ ნელ-ნელ ფეხი აიღვა და სხვების გან-კარგულებანი იწყო თანდათან გადასვლა, ხოლო მასთან დამოკიდებულებით, ბატონების ბატონობამ რომ საგრძნობლად განსაზღვრა და ჩიხში მომწყვედვა იწყო, „ზაფითის მამულიც“ უცებ გაიზარდა, გაივსო და ბატონის ხარბი თვალისთვისაც კი მსუქან ლუკმად იწყო გადაქცევა.

ამის გამო, საცოდავს „თათარს“ მოსვენება აღარ ჰქონდა როსტომის სიცოცხლეში.

— ეი და, ძიავ, ზუთჯერ მაინც მაქ ნაყიდი როსტომ ბეგიდან აი აღ-გილი...

რალაც განსაკუთრებული სიმშვიდით და ნალელიანად იტყოდა ხოლმე ზა-ფითა და ამ თავის ნალელიანი ჩივილით მაყურებლებში მზიარულ სიცილს უურო იწვევდა, ვიდრე სიბრალულს და თანაგრძნობას.

მაგრამ აი, როსტომი მოკვდა.

იგი დიდის ამბით დაასაფლავეს.

ამ ამბით გამოწვეულ ხარჯების დასაფარავათაც ფულისთვის ისევ ზაფითას მიმართეს. ისევ რალაც აბალი „მიწის ნაგლეჯი“ თითქმის ძალათ მიანიჭეს უკმა-ყოფილო თათარს ხელში.



თათარმა ახალგაზრდა ოთარის ხათრი დაიჭირა, თორემ შეწავაში კიდევ აღარ გაიღებდა, იმდენი უსიამოვნება კი ჰქონდა გამოხატადი ამ ნიადაგზე.

— ეი და ჯოვ... ერთი სანთელი მეც უნდა დაუნთო იმ თქვენ „ჯამეში“ ამ ჩვენს კნიაზს, ისე მშვიდობიანათ რომ მოისურვა ჩვენი ჩამოშორება, თორემ ერთხანს რომ კიდევ ეცოცხლნა, ჩემთვის ერთი ყაილის ატეხას კიდევ მოასწოებდა და მაშინ კიდევ უფრო მეტი ხარჯი მიმივიდოდა მაგაზე!

სრულიად დამშვიდებული კილოთი მოუთხრობდა ზაფითა თათარი და მაყურებლებს სიცილით ხეთქდა ამ თავისი გესლიანი, მართალი და მშვიდობიანი შენიშენით.

დრო გაეღდა.

თავადმა ოთარმა მამა გამოიგლოვა. დედაც. და ახლა ხან ზაფითა თათართან ნარდის თამაშით ირთობდა თავს; ხან კვირაობით ამა თუ იმ ქალაქში, ან რომელიმე მასავით ბედ-უშადური თუ ბედ-მადლიერი თავადის ოჯახში კარტობანდობდა მასავით უსაქმურთა წრეში; ხან კიდევ მწყურაობასა, ხან—ნადირობასა და ხანაც ქორწილებსა და ქელებ-მელებებში ატარებდა დროს.

ოთარი რომ ზაფითას დუქანს ეწვეოდა, ბეჯანასათვის ეს იმას ნიშნავდა, რომ ალა და ახალგაზრდა თავადი ნარდის თამაშს უნდა შესდგომოდნენ.

მართალია, განებთვრებულ თავადს გული აწოვდა მუდამ მოსაგებასა და სხვების დაჯანთებაზე, მაგრამ ზაფითა ქარს არავის გაატანდა მით უფრო—ნარდის თამაშში, რომელშიც იგი დიდათ დახელოვნებული იყო.

ალა და თავადი რომ თავდავიწყებით ნარდის ჩხაკუნს შეუდგებოდნენ, პატარა ბეჯანას დუქანისთვის უნდა ედღო ყური.

დრო და დრო კი, თავის ალასთან ერთად, გაბნეული კამათლების ძებნაშიც უნდა მიეღო მონაწილეობა და ამიტომ, ვაჭრობასთან ერთად, ნელა-ნელა თავისი ალის ამ ცოდნასაც ასე თუ ისე ეზიარებოდა.

ამ რიგათ, თათრული თელა ბეჯანამ ექვსამდე კამათლების მეოხებით შეისწავლა, ხოლო დანარჩენიც ოცამდის—თავისი ალისაგან, რომელიც ცოდნის გადაცემაში ისეთსავე სიძუნწეს იჩენდა, როგორსაც თავისი ნორჩი მოჯამაგირისათვის საკმელ-სასმელის ძლევაში, ან კიდევ ღამობით—ნავთისა, ზამთრობით—შემის ხარჯვაში.

ათი წლის ბეჯანა მამამ ზაფითა თათარს მიიბარა ხელზე მოსამსახურეთ. მეზობლები დასცინოდნენ ამისათვის ბეჯანას მამას:

— თათარს შვილი როგორ ანდეო.

თვითონ ბეჯანას მამა კი არხეინად იყო:

— ბეშვი გაეჩვევა, ვაჭრობას შეისწავლის და კაცი დადგებაო...

მაგრამ, ბეჯანა რომ ცოტა წამოიზარდა, ერთ მშვენიერ დღეს მამისთვის სრულიად მოულოდნელათ მიატოვა ზაფითაის დუქანი; სახლში რომ ვერ მიბედა, ერთ თავიანთ ნათესავთან შეაფარა თავი.

მამამ ბევრი სტუქსა „დებერტირი“ შვილი.

იქით ზაფითაც აქოქმანდა:

„გამჭურდა... დამაქციაო“...

ეროვნული

მაგრამ საქმეს კი არაფერი ეშველა: ბავშვი ზაფითაის დედასთან უბრალოდ დგებოდა.

მამას პირველად მართლაც ექვი შეუვიდა „თათარზე“ მაგრამ გამოირკვა, რომ ტოლ-სწორებთან თამაშობის დროს, რომელიც ბავშვების ჩვეულებრივი მიწვე-მოწვევით დასრულებულიყო, ერთ მეზობელ ბიჭს ბეჟანასთვის შეუფერებელი სიტყვა ეკადრებინა, რომელშიც სწორედ მისი თათართან ყოფნის ფაქტი ცუდად ყოფილა გაგებულ-ნახსენები, და ბავშვსაც ამიტომ აეცრუებინა გული ზაფითასთან სამსახურზე.

ზაფითასაც თავისი მხრით ბეჟანას მამის ეშინოდა: ხელფასი არ მომთხოვოს, ან კიდევ სხვა რაიმე შარი არ ამიტეხოსო და ბავშვისაგან თავის გაქურდვაზეც ამიტომ გაჭიოდა ასე დაეინებით.

ორივეს საბედნიეროთ, საქმე ასეთი მცირე გახმაურებით დასრულდა და დაეიწყებას მიეცა.

მართალია, საქმე დაეიწყებას მიეცა, მაგრამ ბეჟანას შესახებ ამასთან დაკავშირებული „ცუდი სახელი“ თითქმის ახლაც კი ცოცხლობს ხალხის მეხსიერებაში.

ბევრი უსიამოვნება განუცდია ბეჟანას ამის გამო, მაგრამ მღელვარებას გულშივე იკლავდა და ათასი წყველა-კრულით იხსენიებდა თავის მამას, რომელსაც არა რაიმე ცუდი განზრახვა ამოქმედებდა აღნიშნულ შემთხვევაში, არამედ ერთად ერთი კეთილშობილი სურვილი, რათა იმისი ვაჟი, რაც შეიძლება, ცხოვრებისათვის მონაადრულ კაცად გამოეყვანა.

და ეს კი, ბეჟანას მამის აზრით, მოსახერხებელი იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბავშვს საკუთარ სახლს მოაშორებდა და სხვის კარსა და ხელში აღზრდიდა, რაიმე პრაქტიკული ცოდნის შექმნის მიზნით.

„ნამეტანი „ჭეი-ჭაი“ ხარს უყუღმა წაიყვანსო“, ნათქვამია. ბეჟანას მამამ რა არ სცადა, სად არ წაიყვანა თავისი ვაჟი, მაგრამ არ იქნა და არა, ვერსად ფეხი ვერ მოაკიდებინა მას.

ჯერ იყო და ქ. ხ-ში ერთ გამოჩენილ ვეჟილს, რუსს—გვარად სვინკოვს—დაუყენა ხელზე მოსამსახურეთ.

ბეჟანა ბუნებით სალი, ყოჩალი, მერცხალივით მკვირცხლი ბიჭი იყო, მაგრამ ამასთანავე ამაყი და თავისუფლების მოყვარული.

სვინკოვი, რომელიც თითქმის მთელს მაზრას ძარცვავდა თავისი გაქნილი ხრიკებით, ძლიერ მდიდრულათ ცხოვრობდა თავისი ლამაზი ხასით. ეს ქალი სვინკოვმა მოსტაცა ერთ თავისივე „კოლეგას“, რომელსაც ჯერ ხრიკებითა და გაქნილობით აჯობა, ხოლო ბოლოს ცოლზეც ხელი ააღებინა.

ქალს ასე თუ ისე შეეწყო ბეჟანა, მაგრამ თვითონ სვინკოვი კი ჰირივით ეჯავრებოდა მას, როგორც ავგული, მასთან მემთვრალე, ტლანჭი, უხეში და უზრდელი ადამიანი.

ნამეტურ ვერ ურიგდებოდა ბეჟანა სვინკოვისაგან ხშირ ცემას და უწყალოდ გინებას, რუსული არაფერი კიდევ იმდენი, მაგრამ ჭარბული გინებისაგან



კი, რომელსაც სვინკოვი, ენის რიგიანად უცოდინარობის გამო უგურობდა და აწვალბდა და ამახინჯებდა, სულ ილაჯი ჰქონდა გაწყვეტილი საბრალო ბავშვს.

რამდენათ უდიერი და უწმაწური იყო სვინკოვი, იმდენათ და იმაზე მეტადაც მოსიყვარულე და რაღაც უჩვეულოდ ალერსიანად ეპყრობოდა ბეჟანას იმისი ლამაზი ხასა.

მაგრამ იმდენათ დამაფიქრებელი და რაღაც გაურკვეველი იყო ჯერ კიდევ არა თუ საქმით, ფიქრითაც კი უმწიველო ბავშვისათვის ქალაქელ ქალის ეს ვნებიანი და ბინძური ალერსი, რომ ბეჟანამ ბოლოს ვეღარ გაუძლო ყოველივე ამას და ერთ მშვენიერ ზაფხულის დილას, სანამ სვინკოვი და მისი ხასა გაღვიძებას მოასწრობდნენ, შინისკენ სწრაფათ მომავალი ბეჟანა უკვე საკმაოდ იყო დაშორებული ქალაქ ხ-ს, სადაც, ბავშვი რომ სვინკოვის ბინაში კიდევ დარჩენილიყო. მას ამ დროით მოელოდა: სამოვარში ცეცხლის ნთებისაკან ნახშირითა და ბოლით ცვირპირის მოპურვა, სვინკოვების საძილო ოთახიდან გულის რევამდის მომბეზრებელი სიბინძურის გამოზიდვა, ხოლო, ყოველივე ამის სანაცვალათ, თვალეზივით ცივი და უწმილარად მჩხვლეტავი, ალერსიანი შემოხედვა.

ასე ყახიდათ სახლში გამოცხადებულ შვილს ბეჟანას მამა გააღმასებელი გვეთა, სცემა და „უხეიროც“ უწოდა, ხოლო დედამ ჩუმათ გულზე მიიკრა და, თავში თმის ძირების რკვევით, თბილად დაუყვავა...

მამა ბეჟანას მხოლოთ იმ გარემოებამ შეაჩვია, რომ სვინკოვმა ჩვეულებრივი უმადურობა გამოიჩინა და ბავშვის ნამსახურში არა თუ რაიმე არ შესთავაზა მას, არამედ, პირიქით, უჩიოდა კიდევ გაქურდვა და ზარალი.

სასამართლოში ბეჟანას მამა ხანჯლით დაედევნა სვინკოვს, რომელიც მხოლოთ ამან დააშინა და ბეჟანას მამის წინააღმდეგ თავის უმსგავსო და უსამართლო სარჩელზე ხელი ააღებინა.

ამის შემდეგ, ბეჟანასთვის ჩამოვარდა სახლში სიამტკბილობით სავსე ხანმოკლე ცხოვრება.

ხანმოკლე, რადგან მოჯამაგირეობაში „გაწუწუებული“ ბეჟანა დიდხანს ვერც სახლს შერჩა.

მამამ კიდევ სცადა ბავშვის ვაჭართან მიბარება, შემდეგ—დურგალთან, ზეინკალთან, თერძთან, ჭონთან, მაგრამ არ იქნა და არა, ბეჟანამ ფეხი ვერსად ვერ მოიკიდა და აგორდა „უხავსო ქვასაიეთ“.

1905 წელმა 17-18 წლის ბეჟანა ისევ სოფელში მოაგდო, რის შემდეგ, გამარჯვებული რეაქციისაგან სასჯელს მხოლოდ მცირე წლოვანობამ გადაარჩინა.

სამაგიეროთ, ამ დროიდან ბეჟანა სოფელს უკვე მოსწყტა და ქალაქის ცხოველ მყოფელ გავლენის ქვეშ მოექცა...

გავლენის ქვეშ მოქცევის იმიტომ ვუწოდებთ ბეჟანას ქალაქში სამსახურს, რომ ბეჟანა სოფელთან სავსებით მაინც არ სწყვეტდა კავშირს, დრო და დრო თავის ოჯახში მაინც მოდიოდა ქალაქიდან, მოჰქონდა იქ შენაძენი ფული და ოჯახისათვის საჭირო ნივთები და ასე აძლიერებდა სოფლად, თავისი შეხედულებით, ცხოვრების ამ აუცილებელს და ურყველს საფუძველს.

ამრიგად, ბეჟანა წარმოადგენდა მშრომელთა იმ კატეგორიას, რომელთაც ცალი ფეხი ქალაქში უდგიათ, ხოლო ცალი სოფელში და, თუ ფეხის დგმით კი განიზომება ამ შემთხვევაში ყოფნის ნიადაგი, მაშინ ბეჟანა სოფელში იდგა თავისი მარჯვენა ფეხით. მიუხედავად თავისი უკიდურესი სიღარიბისა, რომელმაც მამის სიკვდილისა, და, მისი სახალხო განმათავისუფლებელ მოძრაობასა თუ შემდეგ სამხედრო სამსახურში დაბანდებისა გამო, კიდევ უფრო ძლიერად იჩინა თავი და ბეჟანაც უკიდურეს ღარიბთა რაგში მოაქცია...

* * *

ის იყო ბეჟანა სამხედრო სამსახურს ათავებდა, რომ იფეთქა მსოფლიო ომმა.

სად არ მიაგლო ბედმა და ომის ზვირთებმა ბეჟანა ამ ოთხი წლის განმავლობაში.

ქ. უმანიდან სადაც ის იხდიდა ბეგარას, ბეჟანას პოლას პირველად აესტრიონის ფრონტიკენ უკრეს თავი.

აქედან დაჭრილი ბეჟანა კიევში საექიმოდ ჩამოიყვანეს. კიევიდან მცირე ხნით სოფელშიაც გამოისტუმრეს.

ძალიან დაეზარა ბეჟანას სოფლიდან ფეხის მოცვლა და ისევ ბრძოლის ველზე დაბრუნება, მაგრამ ვინ დაუჯერა?

თბილისიდან ბეჟანას თათრის ფრონტზე გაგზავნას უპირებდნენ. მაგრამ სწორედ ამ დროს რუსის ჯარმა განიცადა სასტიკი მარცხი მაზურის ტბებთან და ბეჟანასაც ახლა გერმანიის ფრონტი აევსეს.

რევოლიუციის პირველ დღეებიდან ბეჟანა ლენინგრაღში მოხდა, რომელსაც მაშინ ჯერ ისევ პეტროგრადით იხსენიებდნენ.

პირველ ხანებში ბეჟანა ჩხეიძის დიდი დაპყველი იყო და ეს თავისი ჭკევა უაღრეს პატრიოტობადაც იჩვენებოდა მას იმ ხანებში.

მაგრამ ჭკეყნად ყველაფერი ცვალებადია და ბეჟანაც მალე შეიცვალა თავისი შეხედულება. მით უფრო, რომ ლეენა, რომელთანაც აქ მას მოუწია შეხვედრა და ერთ პოლკშიც სამსახური, მისი ერთსოფლელი იყო და ფრონტზე დამოხილების უკიდურესი თავყვანისმცემელიც.

მაგრამ ბეჟანას სრული გარდაქმნა იწყება იმ დღიდან, როცა მან პირველად მოისმინა ლენინის საჯაროდ წარმოთქმული სიტყვა.

„ამხ. ლენინი!“... „ამხ. ტროცკი!“...

ეს სახელები სულ ენაზე ეკერა ამის შემდეგ ბეჟანას, თითქოს იმათი დიდი ნაცნობი და პირადათ ძალიან დაახლოებულიც ყოფილიყვეს მათთან.

ატყობდა ბეჟანა, რომ ქართველს თუ საზოგადოთ უცხო ტომის კომუნისტებს განსაკუთრებული პატივისცემა ჰქონდათ ყოველ მხრით დამსახურებული, და ბეჟანაც ოქტომბრის თითქმის პირველსავე დღეებში „გაკომუნისტდა“. შევიდა წითელ გვარდიაში და გადაიქცა რევოლიუციის საპატიო ჯარისკაცად.

ოთხი წელიწადი აქაც ანჯღრია და ატრიალა ბეჟანა სამოქალაქო ომის პარტიზილში. სამაგიეროთ, მოიარა და გაიცნო თითქმის მთელი რუსეთი.

და, როცა მეოთხე წელს რევოლიუციამ ბათუმამდის „მობანა“ ტერიტორიაზე გადასწვითა: „ახლა კი დადგა შესვენების დრო“-ო და მოაკითხა თითქმის სრულიად უპატრონოთ დარჩენილ თავის სახლს.

სახლში ბეჟანას მამა ორი წლის გარდაცვლილი დახედა, ხოლო დედა—დასნეულბული და თითქმის სიკვდილის პირზე მიმდგარა.

დატრიალდა ბეჟანა და დედის წინაშე ამაგი იმითი გაამართლა, რომ მზრუნველობა არ მიაკლო და სიკვდილს ამ შემთხვევაში გადაარჩინა.

მართალია, ბეჟანა ცალი ხელით რევოლიუციას ისევ ებლაუჭებოდა, მაგრამ მეორით ზრუნვას ოჯახსაც არ აკლებდა, რითაც კი შეეძლო.

სიღარიბისაგან წელში გატეხილმა ოჯახმა მალე იგრძნო დამხმარე მკვიდრი ხელის ვაგულენა და წელში გასწორება იწყო.

სათემო რევკომის თავმჯდომარეობიდან დაიწყო ბეჟანამ და სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტის წევრობამდე რომ მიღწია, უტბად ფეხი აუცურდა. მეორედ უკვე აღარ აირჩიეს, რადგან სოფელს მოსწყდა და ქალაქსაც ვერ შეეგუა; თითქოს ვერ აღმოჩნდა ისეთი საქმე, რომელშიაც ბეჟანა გამომდგარიყოს. ყველას თავი მოაბეზრა, „ინტრიგანი“ უწოდეს და თავიდან მოიშორეს.

ბეჟანა დადიოდა ამხანაგიდან ამხანაგთან და ყველას თავის თავზე შესჩიოდა...

მაგრამ ყველა გვერდს უტყევდა ბეჟანას.

სოფლად მისასვლელი პირიცი კი არ ჰქონდა...

სოფელში ახლაც დაკინებით იხსენიებდნენ „ბეჟანას დიქტატურას“. ასე მონათლეს ხელისუფლება პირველ დღეებში ს. ჭყიშას მცხოვრებლებმა. იგი შეუკავშირეს ბეჟანას თემის რევკომის თავმჯდომარეობას, რადგან სოფლის ცხოვრების სათავეში მოქცეულმა ბეჟანამ მართლაც ბევრი თვითნებობა და სიხეპრე გამოიჩინა იმ დროს.

რა თქმა უნდა, ყოველივე ეს რევოლიუციის სიერთგულით და უფრო კი უცოდინარობით მოსდიოდა ბეჟანას, ვიდრე ბოროტი ზრახვით. პირიქით, უსაზღვრო გულკეთილობა უფრო ახასიათებდა მას, ვიდრე ბოროტი ზრახვა და საქმე. მაგრამ ვის შესტკიოდა მასზე გლლი იმდენათ, რომ შეემსუბუქებინა მისთვის ამ შეცდომების ნიადაგზე ჩადენილი აშკარა დანაშაულნი?!

რისთვისაც თვალი ან ყური კი მოეკრა ბეჟანას სამოქალაქო ომის დროს გზა და გზა, მას ყოველივე ამისი, თავის სოფელში გატარება და განხორციელება უნდოდა. ხოლო ვერ ამჩნევდა, რომ პირობები შეიცვალა, რომ საბჭოთა რუსეთში თავის დროზე წამოყენებულმა ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ ჩვენშიც იწყო ფეხის მოკიდება, რომ ხალხმა მეტი მოთხოვნილებების წამოყენება იწყო, რომ საჭირო შეიქნა საზოგადოებრივი ცხოვრების მეტი მცოდნე და გამოცდილი ხელმძღვანელი, ვიდრე ბეჟანა იყო.

სოფელმა კიდევ წამოაყენა ასეთი კაცი, მაგრამ მასში ბეჟანამ პირადი მტრის მიტი ვერაფერი დაინახა და დაიწყო კინკლაობა, რასაც მოჰყვა ბეჟანას სოფლიდან გარიყვა და ამ უკანასკნელზე გაგულძვირება.

მცირე ხანს იქით-აქეთ წახეტიალებს შემდეგ, ბეჯანს ისევ დაუბრუნდა სოფელს, ზურგში—კოოპერატივითა და ხელში—ზეთის ხილის რატიონი. მაგრამ შერყეული თავმოყვარეობის აღდგენა აღარ დასცალდა და, როგორც უკვე ვსთქვით დაეცა საუკუნოთ... ყოველ შემთხვევაში ასე მსჯელობდნენ სოფელში. ასე მსჯელობდნენ ისინიც კი, ვისაც ბეჯანასაგან თავის დროზე არ აკლდა უბეი შემწეობა და თანაგრძნობიანი დახმარება.

მოკვდა ბეჯანას სახელი და გავლენა. მაგრამ არ მომკვდარა ხსოვნა წარსულზე, არ მომკვდარა მისი მეორე სახელი, ძველი მებრძოლის წოდება, წოდება სამოქალაქო ომის გმირის, რევოლუციის საპატიო ჯარისკაცისა, თუმცა „ბეჯანას დიქტატურა“-ს სოფელში დღესაც ისევ იხსენიებენ, როგორც წინააღმდეგს ყოველივე იმისა, რაც დღეს ხდება სოფელში ნაწილობრივ—ისევ ბეჯანას მადლიანი ხელის შემწეობით და რისიც სოფელი ბევრად უფრო მადლიერი არის, ვიდრე იყო უწინ.

* * *

— ბებეხერ!.. ბებეხერ!.. ღეთის გულისათვის... ერთის წამით... მხოლოდ ერთის წამით... შეაჩერეთ თქვენი ცხენი, ბ. ბებეხერ... ორი სიტყვა... მხოლოდ ორი სიტყვა... მომითმინეთ, მომისმინეთ და შემდეგ, როგორც გენებოთ...

სოფლურ ჯახურაკაზე, რომლის უნაგირზეც იქით-აქეთ თვლებ-დატენილი ხურჯინი ეკიდა, იჯდა ბებეხერ ბებრიკიძე, ს. ჭყიშას ერთ-ერთი ნააზნაურალი. მაქიმედ „ყადის“ სახლისკაცი, მაღალი, ახოვანი, ბეჭებ ფართო, გრძელი, უხვად ქალარა—შერეული, თითქმის სრულიად თეთრი წვერითა და მსხვილი უღვაშებით სანდომიან სახე დაყათრული, ქარმაგი მოხუცი, რომელიც ერთ დროს მთელ იმ მხარეში ცნობილი იყო თავისი სიმდიდრით, მამულ-დედულით, სახელითა და გავლენით...

დღეს, მართალია, ყოველივე ამას იმ ზომითა და სიფართოვით ვერ დაიკვების ბებრიკიძე, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, „ნაშთი ძველი დიდებისა არ გაჰქრალა ჯერაც ყველა“. „აქლემი ისე არ დასუსტდება, რომ ჯორის ტვირთი მაინც არ აიკიდოს“-ო. ზოლო ის ტვირთი, რომელიც ბებრიკიძეს ჯერ კიდევ შერჩენია, თავის ყოფილი ქონების დიდი წილის სახით, ბეჯანასთან „ჯორს“ ოცს მაინც ეყოფა ტვირთად.

ამ ეამად ბეჯანას ჯორის პრეტენზიებიც კი არ აქვს იმ ოცში, რომელნიც ბებრიკიძის ტვირთის აწევას შესძლებენ, არამედ იგი ამ რიცხვში, მაქიმედ „ყადთან“ ერთად, ვირობასაც კი აღარ ითაკილებს.

აქი აქიდანაც დაიწყო ბეჯანამ.

ბებეხერმა ცხენი შეაყენა სოფლის ორლობეში, სადაც მას „დუქნების“ მხრიდან მომავალი ბეჯანა შეეფეთა წინ.

— ბეჯანა ნასვამია!.. ნასვამი კაცი კი, ერთის მხრით—მომამებრებელია, როცა შენ შიმშილით კუჭი გეწვის, მაგრამ მეორეს მხრით—სახეიროა, მით უფრო, თუ შენ გინდა მისი სულისკვეთების სავესებით გაგება. იგი გულახდილია და გასულელებული ამ შემთხვევაში...

თავის აზრში მყოფ ბეჯანას კი, რომელიც იმ დროს ხეობაში იმყოფებოდა, იგი ისევ ასე ხელოვნურად გასულელებული სჯობია-ო.

გაიფიქრა ბეჯებერმა და სცადა შეეყენებული ცხენიდან ძირს ჩამოხტომა.

ბეჯანა მივიარდა და მხედარი ცხენზე შეაჩერა.

— რატომ იკადრებ, ბ. ბეჯებერ?!. ღირსი არა ვარ ამდენი პარტივისცემის... მე თქვენთან დამნაშავე ვარ, დამნაშავე, რომ თავის დროზე თქვენი დაფასება ვერ შევიძელი... მე ბევრი პარტივისცემა მახსოვს თქვენგან... განსაკუთრებით ბევრი დათმობა...

— მაშინ თქვენ უთმობდით ჩემში ძალას... ძალას, რომლითაც მე შეიძლება ბოროტადაც კი ვსარგებლობდი...

— მე იმ დათმობას სულ სხვა გვარად ვაფასებ...

— ახლა კი თქვენ გინდათ დაუთმოთ ჩემში კაცს, ადამიანს, უბრალო მოქალაქეს, რომელიც არაერთი განსაკუთრებული უფლებით არ სარგებლობს... აი, ეს დათმობა, თქვენი ასეთი პატიოსნება მე სავსებით მესმის და ვეცდები თქვენი იმედები გავამართლო...

ბეჯანამ ძალიან შორს შესტოპა, მას აღარც კი ესმოდა, თუ რას ბოდავდა.

იგი სავსებით შევიდა მტრის წინ განიარაღებულის როლში და ლმობიერებისაგან თვალბეჭეც კრემლებიც კინალამ მოადგა.

მისი ასეთი ქცევით გულმორბილებულმა მხედარმა ერთხელ კიდევ სცადა ძირს ჩამოსვლა, მაგრამ ბეჯანამ იგი ისევ შეაჩერა.

— რითი დამიმსახურებია, ბ. ბეჯან?!.

ძლივს მოასწრო მან შეკითხვა უხერხულობის გასაფანტავად.

— რასა ბრძანებთ? რასა ბრძანებთ, ბ. ბეჯებერ?!. თქვენ ყველაფერი კარგი დაგიმსახურებიათ... მხოლოდ მე, ვირს, ეს თავის დროზე ვერ შემიძინებია, ვერ შემიფასებია სათანადოდ... მომივალში კი ვეცდები, ბ. ბეჯებერ... ვეცდები გავსწორო ყველაფერი... დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ბ. ბეჯებერ, რომ ბეჯანა ვალში არავის არ დაარჩება... ნიკოლოზსაც კი არ დაერჩენივარ მე ვალში! თავისთავზე გადაქარბებული კვებით წამოღარონა ბეჯანამ და უცბად ამაყად გასწორდა წელში, თითქოს თავისი თავი მოაგონდაო. რვა წელიწადს მაწვალა, მაგრამ ერთ ღღეს ჩავამწარე სუყველაფერი... ვალის გასწორებაში ბეჯანას ცალი არა ჰყავს, ბ. ბეჯებერ, ცალი...

გაქვიოდა თავის დამცირებიდან ახლა უკვე თავის უზომო განდიდებადის ცხვირ აწეული ბეჯანა.

— დედავ, ლმერთო, რაზე ამბობ, ჩემო ბეჯან, მაგას?!. რა დამივალებია მე შენთვის იმისთანა, ლმერთმანი, არ მესმის—განგებ უქცია ბებრეკიძემ ბეჯანას, რათა უკანასკნელისათვის ოდნავ მაინც შეერბილებინა უკანასკნელად აღებული ტონი.

— არაფერი... ბეჯანას არაფერი არ გამოგპარება... მე თქვენთან დიდი დამნაშავე ვარ... დიდი ვალი მაქვს მე თქვენი...

და ბებრეკიძეს მართლაც გაახსენდა ამ წუთს ბეჯანასაგან მიყენებული შევიწროებანი, როცა ეს უკანასკნელი სოფლის განუკითხავი „დიქტატორი“ იყო. რამდენიმეჯერ ცხენი მუქთად უხედნა... უდიერი გადასახადები დაადო... არჩევნების დროს ხმის მისაცემად მისული ბებრეკიძე უკან გამოსიტუმრა გამანადგურებელი დამცინავი შენიშვნით და სხვა.

ერთი სიტყვით, „სიგლაზე“ ბებებერს ბევრი ახსოვს ბეჭედად... დრო იყო ასეთი და ბეჭედაც ამ დროს უბრალო წარმომადგენელი ვახლდათ.

დღეს კი რას წარმოადგენს ბეჭანა?!

ჭიას, რომელსაც პარტიოსანი კაცი ფეხსაც არ დაადგამს, რომ თითონეც არ გაისვაროს... ასეთმა აზრმა ვაუღელვა ბეჭანაზე მას ერთ წუთს.

მაგრამ არა... ბეჭანა რომ მთვრალი არ იყვეს, ბებებერი მას სულ სხვა ნაირად მოექცეოდა... ახლა კი ეს არა ღირს... ასეთ პირობებში ადამიანს სხვა ნაირად უნდა ხელის შეწყობა...

ბებრეკიძემ იდროვა ისე, რომ ამ შემთხვევაში ბეჭანამ არამც თუ წინააღმდეგობის გაწევა, თავის დროზე ამისი შენიშვნაც კი ვერ მოასწრო... უნაგირს სწრაფად შეუშვა ხელი და ცხენიდან ძირს ჩამოხტა... ბეჭანას ხელი წელში მოხვია, გვერდით გვერდში მოიყენა, ცალ ხელში აღვირით ცხენი ვაიყოლა და ნელი ნაბიჯით გასწია შინისაკენ, ბეჭანას ასე ამხანაგურად გადახვეულმა.

— ბ. ბებებერ, მე ვეცდები ყველაფერი გამოვასწორო!... ყველაფერი გამოვაკეთო...

„ძალი ვინც მოკლას, იმანეც უნდა გადაათრიოს“...

— მე მოვკალ ძალი გადათრევაც ჩემი ვალი იყვეს... მე ვეცდები, ბ. ბებებერი!.. მე ვეცდები!..

ანგარიშ-მიმუცემლად ისროდა სიტყვებს ბებრეკიძეს ქცევითა და მოპყრობით უსაზღვროთ მოსყიდული ბეჭანა, რომელიც, ამ ექადა ფხიზელიც რომ ყოფილიყო, მაშინაც კი ვერ შესძლებდა იმის ოდნავ მაინც გათვალისწინებას, თუ რაში უნდა გამოსდგომოდა იგი სხვას ამ თავის სრულ უმწეობისა და არარაობის პირობებში.

„დუქნებთან“ რომ ჩაიარეს, მთელი წელანდელი კამპანია საჯლანეს წინ იყო გამოფენილი.

ისინი სახის ირონიული ღრეკით აცილებდნენ ამ ყველასათვის მოულოდნელ გარემოებით ერთი მეორეს ასეთის გრძობით მძურად ხელ-გადახვეულ ბებებერსა და ბეჭანას.

მათ ვერც კი წარმოედგინათ, თუ რა უნდა მომხდარიყო ისეთი, რასაც ამ ორი ერთმანეთის მოძულე, თითქმის შეურიგებელი კლასობრივი მტრების ასე უცბათ შერიგება შეეძლო. ბეჭანას მხრივ ვისიმე წინაშე რაიმე დათმობა ყოვლად წარმოუდგენელი იყო ამათაგან, რომელთაც არა ერთხელ განუცდიათ თავის თავზე, ბეჭანას გულკეთილობასთან ერთად, მისი გესლიანი კბილის შეხებაც.

ბებებერთან ხომ დღემდე სიტყვისაც კი ვერ დასძრავდით ბეჭანას შესახებ. და უკვირდა, ყველას უკვირდა ეს მოულოდნელი მათი დაახლოება. ამ თავიანთ გაოცებას ისინი მხიარული შენიშვნებით ხმამაღლა გამოსთქვამდნენ, ყველას გასაგონათ ყველას გასართობათ.

მხოლოდ ერთად ერთ მაქიმედ „ყადს“ შეტკვროდა კრიკა და რალაც შუროთა და წყრომით გაჰყურებდა სოფლის შუკაში ამ გაუგებარი შემთხვევით „დაუღლებულს“ წყვილს.

უკვე სალოდინოდან, როცა გაისმოდა სოფლის ორლობებში ყელში მობჯენილ სინანულისაგან ვალხვობილი სიტყვებით ბეჭანას ფიცი და აღთქმები ბებრეკიძის წინაშე, რომელმაც თავისი მხრივაც რამდენიმე ტკბილი და ხმადაბალი შენიშვნითა და დაკეპებით ბეჭანა სახლში მიიყვანა, როგორც სტუმარი პირველად თავის სიცოცხლეში.

(შემდეგი იქნება)

ღარეჯანის ნაჩუგარი

I

ოთახში ორი ქალი ფუსფუსებს, ერთი შუახნისაა, მაღალი, ჭალარა შერეული, შკაცრი ნიკაპით და მოკუმული ტუჩებით; მეორე ახალგაზრდაა, შუა ტანისა, ნატოვი კისერით, პატარა ყურებით, სუსტი ნიკაპითა და ღია ტუჩებით. ორივე ლამაზია, ორივე ჯიშინი, ორივე თითქოს გაცოცხლებული ქანდაკებაა დიანასი. ორივე ამირაჯიბის ქალია, ჭალარას გულქანი ქვიან, ახალგაზრდას დარეჯანი, ორივე თეფშებს ალაგებს, წმენდს. საღამოთი სტუმრებს ელიან და ხანდახან ზაასობენ:

— სტეფან გვრიტიშვილიც იქნება ვახშაშუე. კარგი კაცია, დარო, გულკეთილია, გთხოვთ. ეგებ ვაკეთდეს რამე.

— ვინ არის სტეფანე გვრიტიშვილი?

— დიდი კომუნისტია. ნუ თუ არ გაგიგონია!

— რა ვიცი რამდენი გვრიტიშვილია ქვეყნად.

— ოღონდაც! ახლანდელი დიდი კაცების ასავალ-დასავალს ვინ გაიგებს?

წარმომიდგენია: ოდესღაც ვინმე გლენმა გვრიტი დაიჭირა და ბატონს მიაართვა. ბატონს იამა და გლენს გვარი უწყალობა: გვრიტიშვილი.

ორივემ გაიციხა. ჭალარა გულქანში ძველი სიამაყე იღვიძებს და ამბობს:

— გენიოლოგია სწორეთ ამირაჯიბიანი გვარისას გავს. იცი, საიდან წარმოსდგა ჩვენი გვარი? «კალმასობა» ში ასე სწერია: წინად. ქორწილში, ეჯიბნი იცოდნენ, ვინც რომ ლენოს პირველი შესეამდა, დაიძახებდა: ეჯიფო, შენს მეფეს გაუმარჯოს. ისიც სიტყვას მიუგებდა და მადლობას იტყოდა. შემდეგ, საქართველოს მეფეთა შორის, ეჯიბობა ხარისხათა და გვარად გადაიქცა. მათ ებარათ მეფის ტაძრულობა და ნადიმებზე ისინი მეფის ნაცვლად მიუგებდნენ დარბაისელოთა. მეფენი მათის პირით აძლევენ პასუხს მათთან მოსულთ. მეფესთან ეჯიბზე პირველ ვერავინ შევიდოდა. ამირეჯიბობა კი ნიშნავდა უპირველესსა ეჯიბსა.

— ქორწილი რა შუაშია?—ეკითხება დარეჯანი გულქანს.

— რაც გითხარი იმის მიხედვით ვინც წინეთ ქორწილსა იქმდა მას სამს დღეს მეფეს ეძახდნენ და მის მაგიერ მოლაპარაკეს ეჯიბსა.—უბნის გულქანი, —ის ჩვენი სტუმარი კი... გვრიტიშვილი... გვრიტი.

— რაც გინდა ისა სთქვი, ბიცოლა! ამოიხრა დარეჯანმა. ჩვენს გენიოლოგიას დღეს შაურად არ იყიდებიან, ხოლო იგი გვრიტი დღეს არ იყიდება გადაიქცა და ჩვენ წიწილებივით იაფარგვეო.

უეცრივ გულქანს ხელიდან თეფში გაუვარდა, თეფში დაეცა იატაკზე და დაიმსხვრა.

გულქანი ფითრის ფოთოლს დაემსგავსა. მოგრძო, ნუშისფერი თვალები ცრემლებით ავესო და:

— ასე დაიმსხვრა მათი სიცოცხლე, ყოველთვის, როცა კომუნისტებზე ვიფიქრებ, რამე უნდა გამიტყდეს. დარეჯანმა გაიცინა.

— ასე თუ ვასტანა, ბიცოლა შენ არ შეგრჩება რა გაუტეხავი.

შემდეგ ჩამოწვა სიჩუმე და იმ სიჩუმეს არღვევდა მხოლოდ კედლის საათის თავფართე ისარის ქანაობა. საათის კოლოფში იჯდა უბილგო ბებერი. მას ბებერს ერქვა დრო, აქანაებდა იგი დრო საათის ისარს და თითქოს ამბობდა:

— ჰო... ჰო... იყვნენ ამირაჯიბნი, ჰო... ჰო... არიან გვრიტიშვილი.

და ორთავე ამირაჯიბს, ქალარასა და ახალგაზრდას, ესმოდა ეს ნაჩუმარი თავფართე ისარისა, მაგრამ თავს არ უტყუდებოდნენ, კიდევ რალაცას მოელოდნენ და ფუსფუსებდნენ.

აი, ახლაც, ისინი მოელოდნენ სტუმრებს. ჩქარა ზურაბიც მოვა, გულქანის ქმარი, შემდეგ სტუმრებიცა. სტუმრები ყველანი მათი წრის ხალხია, მხოლოდ ერთი იქნება ახალი კაცი: სტეფანე გვრიტიშვილი. გულქანმა განგებ მოიწვია დარეჯანი.

იფიქრა:

— როდემდე იხეტიალოს ახალგაზრდა ქალმა უგეგმოდ, უადგილოდ. ვინ იცის, ლამაზია, ეგებ ბედმა გაუღიბოს და სტეფანემ სადმე მოაწყოს.

დარეჯანს-კი თავისი ნაჩუმარი ასე გაანდო:

ბიძაშენის ახალ უფროსებში კიდევ ისა სჯობია სხვებსა. მე რომ მკითხო, ერთი კომუნისტი რით განირჩევა მეორისაგანო, გიპასუხებ: ალია და ოსმანა ორივე თათარია. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ალია ერთბაშად შეგტამს, ოსმანა-კი ნაწილ-ნაწილ.

— მაშ გვრიტიშვილი ოსმანია?—იცინის დარეჯან.

— აბა რა ვიცი. ამბობენ გულკეთილი კაცია და პირდაპირიო. ამას წინათ გაუგია, რომ ერთ მის ყოფილ თანამშრომელს, რომელიც შემოკლებაში მოხდა, შვილი უკვდებოდა, აულია და თურმე სამი თუმანი გაუგზავნია, მე ის მიკვირს, კაცს შვილი არა ყავს და როგორ გრძნობს შვილის ავადმყოფობის სიმწვავეს.

— უშვილოა?

— უშვილოცაა და უცოლოც.

დარეჯანის თვალებმა უეცრად იელვეს, იქ, გულის სიღრმეში, რალაცა შეირხა, შემდეგ ქალი დაიხარა და მუხლებზე ჩულქები გაისწორა.

გულქანის ტუჩებიც ოდნავ დაშორდენ ერთმანეთს და თვალბეჭეც შორეულმა და მილეულმა იელვა. იცოდა გულქანმა რომ გაუთხოვარ ქალს ყოველ-

თვის გაუხარდება თუ ახლად გაცნობილი ან გასაცნობი ვაჟის შეტყობისას მტკბარად გულქანმა, თუ რა საზომი აქვთ ქალებს ასეთ შემთხვევებში.

— ცოლიანი სხვისია. სახირო არაა.

— უცოლო არავისია. მაშასადამე...

გულქანმა ისიც კარგად იცოდა, რომ ამ „მაშასადამეს“ შემდეგს ნაჩუქარს ქალი არამც-თუ სხვას, თავის საკუთარ თავსაც უმაღლეს. მხოლოდ იქ, სადაც სიღრმეში და საიდუმლოში ქალები გრძნობენ უცნაურს კიყუფილებასა და რალაციის შესაძლებლობას.

— მაშ ვნახოთ, ბიკოლა, თუ მართლა გულყეთილია შენი სტეფანე.

— ცდა ბედის მონახვერეა, შეილო. ვნახოთ.

II

და ნახეს.

ესე იგი დარეჯანმა ნახა, თორემ გულქანი იცნობდა სტეფანეს. დარეჯანმა კარგად აათვალიერა-ნაათვალიერა სტეფანე. არაფერი უჩვეულო, არაფერი მომხიბვლელი. მხოლოდ მიხვრა-მოხვრა ჰქონდა სწრაფი, თითქოს მატარებელზე მირობდა და ეშინოდა დარჩენილიყო.

დარეჯანი იჯდა კუთხეში და ფიქრობდა:

— სტეფანე. რა ფინთი სახელია: სტეფანე. დამეკარგა ეს საღამო. რა ჯანაბად მინდოდა მე ეს სტეფანე. თუმცა, თუ ადგილი მომცა, არა უშავს. რაც უნდა იყოს ადგილი ადგილია.

და რომ ფიქრები დაეწოშმინებინა, დარეჯანმა თითები პიანინოზე აათამაშა.

ეს მოხდა სულ მოულოდნელად. დარეჯანმა ისე მაგრად დაჰკრა ათივე თითი კლავიშებს და შემდეგ ისევ აახშირა თითები, თითქო დაგუბებულმა წყალმა ჯებირი გახეთქა და ქვებზე დაამსხვრია ხმაური ტალღები.

— იშ, ქალო! ეგ როგორ შეიძლება, გული გაგვიხეთქე.— მიიყარეს დარეჯანს აქეთ-იქით.

დარეჯანმა განაგრძო. სტუმრებმაც განაგრძეს მუსიკით შეწყვეტილი.

უცბად დარეჯანის ნოტებს ჩრდილი გადაეფარა. დარეჯანმა მოიხედა და დაინახა სტეფანე. იგი იდგა და ქალს უმზერდა.

დარეჯანს უნდოდა ეთქვა:

— გესმით მუსიკა?

მაგრამ ჰკითხა:

— გიყვართ მუსიკა?

— ძალიან.— მიუგო სტეფანემ და სთხოვა— დაუკარით კიდევ.

პიანინოზე ატირდა შოპენის Nocturne. დარეჯანი უკრავდა, თან ერთი თვალით სტეფანეს ათვალიერებდა. იდგა სტეფანე, იყურებოდა გაღებულ ფანჯარაში, შორი მთეარის სხივები კრთოდნენ მის თვალებში და გრძნობდა დარეჯანი, რომ მისი მუსიკა მოსწონდა სტეფანეს.

და დარეჯანმა უთხრა სტეფანეს:

— მე არ მეგონა, თუ თქვენ ასეთ მუსიკას...

თუ ასეთი მუსიკა გიყვარდათ.

— რატომ?

იმიტომ რომ კომუნისტებს მყვირალა მუსიკა უყვართ.

— თქვენ ეს ვინ გითხრათ?

თითქო დარეჯანი ლამის სიბნელეში რაღაცა ნაჩუმარს აკეთებდა და ამ დროს, თითქო, უცბად გაანათეს ეს სიბნელე, ისე შეკრთა დარეჯანი.

— რატომ შეკრთით?

— არაფერია. ნერვებია, ამხანაგო სტეფანე, ნერვები.

და მუსიკა და სიცილი ერთმანეთში აირია.

შემდეგ, როდენ ხნის განმავლობაში, სტეფანეს იმ სალამოდან ახსოვდა აი რა:

როცა დასხდნენ, დაიწყეს ლაპარაკი საბჭოთა მშენებლობაზე, მეურნეობის განვითარებაზე, ინტელიგენციის ბედ-იღბალზე, და იმაზე, რომ წინათ შრომას არ აფასებდნენ, ახლა-კი შრომა აუცილებელი ქვაკუთხედიცაა ცხოვრებისა.

შრომის შესახებ განსაკუთრებით მკერმეტყველობდა სტეფანე.

გულქანმა მოხერხებულად ჩაურთო:

— შრომა აუცილებელია ყველასათვის, მაგრამ განა ყველას აქვს შრომის საშუალება? ჩვენი დარეჯანი რამდენი ხანია უადგილოთაა.

— მართლა?—იკითხა სტეფანემ.

— ვნახოთ თუ გაამართლებთ თქვენს თეორიას შრომის ყოველდღობის შესახებ. ბ-ნო სტეფანე—გაეხუმრა გულქანი სტეფანეს.—ვინც არ შრომობს ნუ სჭამსო ხომ იმახით, ჰა დარეჯანი და ჰა თქვენ.

— ჩემზე იყოს!—დაასვენა სტეფანემ და აიღო ჭიქა:

— ეს გაუმარჯოს შრომას და მშრომელთ.

დარეჯანმა თავისი ჭიქა აიღო და სტეფანეს უთხრა:

— კომუნისტის სიტყვა გაცემული თამასუქი უნდა იყოს.

— ჩვენ გაცემულ თამასუქებს ყოველთვის ვანაღლებთ, —მედიდურად უპასუხა სტეფანემ.

კიდევ აი რა ახსოვდა სტეფანეს იმ სალამოდან:

როცა სტუმრები დაიშალნენ, სტეფანემ დარეჯანი გააცილა.

გზაზე დარეჯანმა უთხრა:

— რა უცნაური სახელი გაქვთ: სტეფანე.

— არ მოგწონთ?—ჰკითხა სტეფანემ და იგრძნო თავისი კითხვის უხერხულობა. თვითონაც არ მოსწონდა თავისი სახელი.

— არა. რატომ არა, მაგრამ...

და დარეჯანმა უცბად გაიცინა:

— მოდი, შევამოკლოთ თქვენი სახელი.

— როგორ?

— ხა... ხა... ხა... კომუნისტებს გიყვარს ყველაფრის შემოკლება. წარწერებიდან დაწყებული დაწესებულებამდე. მაგალითად, რა უშნოა: „მუსმრეწვა“, „მმაჩი“, „სარკინმრეწვი“... სტეფანიც შეიძლება შემოკლდეს. აბა, შევამოკლით თქვენი სახელი.

ერკინულნი
გულმოდუნნი

ბევრი ეწვალა სტეფანე, ვერ შეამოკლა თავისი სახელი, — მაშ ყური მიგდეთ.— დაეხმარა დარეჯანი.— სტეფანე, სტეპა... არა ეგ რუსული სახელია. ტეპან, ეგეც უაზრობაა... ტეპან უშინაარსოა და უშნო. პან.. პან... იშ, რა კარგი სახელია: პან.

— რა არის აქ ლამაზი?— წყენით შეეკითხა სტეფანე.

— თქვენ წაგიკითხავთ ვან-ლემბერგის პიესა „პან“?— კითხვაზე კითხვით შეხვდა დარეჯანი.

— არა.

— მაშ, ეგ პიესა ძალიან მოსწონთ კომუნისტებს რუსეთში. აი მოკლეთ მისი შინაარსი: მას შემდეგ რაც პან დაიკარგა, ქვეყანაზე გამეფდა ზამთარი და ბოროტება.

ერთხელ ზღვის სიღრმიდან ხმა გაიგონეს. იგი ხმა ამბობდა: პან გაცოცხლდა, პან დაბრუნდაო, და ზამთარი ზაფხულად შეიცვალა, აყვავდა ბუნება და სიცილით აივსო ქვეყანა. ძველმა ქვეყანამ მოისურვა პანის გასამართლება, შეიკრიბნენ: მღვდლები, ჩინოვნიკები, პოლიციელები; მიუსაჯეს პანს დაპატიმრება. მაგრამ ხალხმა არავის დაანება პანი. ასე გაიმარჯვა პანმა, და დარჩა ქვეყნათ ყვაილები და სიხარული.

— ძალიან კარგია, — მოეწონა სტეფანეს.

— ჰო, როცა პანი დაბრუნდა, ხალხი შეიკრიბა და საჩუქრები და ძღვენი მიართვეს. ერთი მწვემისი ქალი მივიდა პანთან და უთხრა: „პან, ყველამ ის მოგიძღვნა, რაც ჰქონდა. მე ჩემი თავის მეტი არა მაქვს-რა, და იმასაც შენ მოგიძღვნი“.

— რა კარგია, — წამოიძაბა სტეფანემ.

— პან ნიშნავს სიხარულისა და სიცილის ღმერთს. ძველათ ბერძნებს ყოველი მოვლენისათვის ყავდათ განსაკუთრებული ღმერთი. აი, ასეთი ღმერთი იყო პან. ის ცხოვრობდა ტყეში. — ამბობს ჩემათ დარეჯანი და სადღაც შორს სივრცეში იყურება.

— ახლა-კი მომწონს ეგ სახელი. — მტკიცეთ ამბობს სტეფანე.

— ახლა პანი არ არის, აჩეხილია ტყეები, — სევდით ამბობს დარეჯანი და უეცრივ ჩერდება, თვალეში თვალებს უსწორებს სტეფანეს, ორივე ხელებს ხელებში ჩაუწყობს და ეკითხება:

— მაშ მოგწონთ ჩემი გამოგონილი სახელი?

— მომწონს, — ამბობს ვილაცა სხვა სტეფანეს მაგივრათ, თვითონ სტეფანე კი უცნაურათ ცახცახებს, ქალის ხელებს კუმშავს, თითქოს ფრთები გამოეხსა და შორს, უცნობსა და ლამაზს ქვეყანაში მიფრინავს.

III

იმ ღამიდან დაწყებული დაფრინავდა სტეფანე უცნობსა და ღამაზ ქვეყანაში, სანამ ერთხელ, ფრთები ტანზე მიიკრა და მიწაზე დაეშვა. დაეშვა და უთხრა თავის თავს:

— გადაწყვეტილია. მიყვარს დარეჯანი.

ნარკოტიკები

ეს გადაწყვეტილება სტეფანემ მას შემდეგ მიიღო, როცა დაარწმუნდა რომ დარეჯანი „მეტის მეტად მორცხვი და ჩუმი მამაკაცთან მარტო რომ დარჩება“.

სტეფანე-კი ხშირად რჩებოდა მარტო დარეჯანთან, მაგრამ მორცხვი საუბრისა, მუსიკისა და კინოების იქით საქმე არ წასულა.

— ძალიან ჩუმი და რეჯანი, ნეტავ ვიცოდე მისი საჩუშარი.— ეტყოდა თავის თავს სტეფანე, როცა ჩუმი საღამოს შემდეგ ბრუნდებოდა სახლში.— ჰო, ბოლოს და ბოლოს უნდა ვუთხრა.

მაგრამ როგორ უთხრას? შეიძლება დარეჯანი გაჯავრებულიც იყოს სტეფანეზე, მაგრამ რა სტეფანეს ბრალია დარეჯანი რომ მხოლოდ ერთ თავს ამსახურეს? სტეფანეს გადამტერებული ყავდა ადგილკომის მდივანი. ადგილკომის მდივანი აუხირდა დარეჯანს; თქვენ უცხო ელემენტი ხართო, კავშირში ვერ ჩაგრიცხავთო. ისარგებლა კიდევ შემთხვევით, შეურჩია დრო, როცა სტეფანე ტფილისიდან მახრაში გადაიყვანეს და დაითხოვეს დარეჯანი. სტეფანემ მახრიდან ვერ დაიკვა დარეჯანი. სტეფანეს დარეჯანის დათხოვნა ისე არ აწუხებდა, როგორც ის გადაწყვეტილება, რომელიც მან მიიღო:

— გადაწყვეტილია. მიყვარს დარეჯანი.

და მახრიდან დარეჯანს ზედი-ზედ რამოდენიმე წერილი გამოუგზავნა. პირველ წერილში სწერდა, რომ მას შემდეგ, რაც დარეჯანს დაშორდა და აღარ ხედავს, რაღაცა აკლია. წინათ-კი, როდესაც დარეჯანს ყოველ დღე ხედავდა, მას ეს რაღაცა არ აკლდა. მეორე წერილში სწერდა, რომ მას შემდეგ, როცა მას დარეჯანმა სახელი გამოუცვალა, გამოიცვალა თვით მისი ბუნებაც: ყველა-სათვის კარგი სურს. ყველაფერს შეხარის, ახალი აზრი დაინახა ცხოვრებაში და სხვანაირად შეუყვარდა სიცოცხლე. მესამე წერილს-კი ასე ათავებდა: „გადაწყვეტილია. მე თქვენ მიყვარხართ. ახლა ჯერი თქვენზეა: მეტყვიეთ თუ არა იმ სიტყვებს, მწყემსის ქალმა რომ უთხრა ჰანს. „მარადის თქვენი ჰან“...“

დარეჯანმა წერილი დაქუცნა, ბრაზით ზეზე წამოვარდა და თითქმის დაიყვირა:

— ხეპრე... რეგენი... რათ შეურაცმყოფს? რათ დამციინის?

და მიწერა გაშმაგებული წერილი.

წერილის პასუხათ კარებში თვითონ სტეფანე გამოჩნდა.

— დარეჯან, მე ჩამოვედი რომ ავიხსნათ გაუგებრობა.

— არავითარი გაუგებრობა. ყველაფერი გასაგებია.

— მე არ მინდოდა თქვენი შეურაცყოფა. აბა რას ამბობთ.

— როგორ თუ რას? აბა დაფიქრდით რას ნიშნავს მწყემსი ქალის სიტყვები: „მე ჩემი თავის მეტი არა მაქვს და იმასაც შენ მოგიძღვნი“. მე თქვენ მაგრძნობინეთ ამ სიტყვებით, რომ მე ვარ ლატაკი და ჩემი საკუთარი ტანის მეტი არა მაქვს რა. მე თქვენთვის ცუდი არა მიქნია-რა, თქვენ რათ დამციინით?

მას შემდეგ, რაც სტეფანეს დაემართა, სიტყვები არ იყო საჭირო. სტეფანე წაბარბაცდა, კედელს მიეყრდნო; მსხალზე ისე არ მოსჩანს ფიფი, რომ

როგორც კედელზე მოსწიანდა სტეფანეს სახე. თვალები ჩაქრნენ და დატრიალდნენ, ტუჩები გაშრნენ და დალურჯდნენ. ბევრს ხანს იდგნენ ასე პირდაპირ დარეჯანი და სტეფანე. მიხვდა დარეჯანი, რომ სტეფანემ მხოლოდ ეხლა გაიგო თუ, რა მოუწერია დარეჯანისთვის. მიხვდა და აპატივა გულით, ხოლო სიტყვები ასეთი უთხრა:

— თუ თქვენ სხვა აზრი გქონდათ, მოთხარით, გამაგებინეთ.

და როდესაც დარეჯანი გამოერკვა, მან აზრთან ერთად ისიც გაიგო, რომ ის იყო სტეფანეს მკლავებში, რომ სტეფანემ მას ცოლობა სთხოვა, და რომ:

— საბედნიეროთ, კოცნის იქით საქმე არ წასულა.

— ერთი თვე, გენაცვალე, ერთი თვის შემდეგ ისევე ტფილისს დაებრუნდები და მაშინ დაექორწინდეთ.

— კარგი, პან.— მოესმა სტეფანეს.

პან... ეს სიტყვა, უცნაური სილამაზით, სავსე მელოდით მოესმა სტეფანეს. გაებარდა და გაგანიერებული თვალებით დააქკერდა დარეჯანს. ფერმკრთალი იყო დარეჯან, მაგრამ ლამაზი. მალალ კისერზე ლამაზი თავი ჰქონდა, ბეჭები გაშლილი და მკერდი ფართე, ხელები პატარა და ფრჩხილები შეღებილი, ყურებზე საყურეები ქანაობდნენ, მსხვილ თვალებზე წვრილი წარბები გადაწოლილან. იცოდა სტეფანემ, რომ ეს წარბები ხელოვნურად იყო დაწვრილებული, მაგრამ ეს მისთვის სულ ერთი იყო. მისთვის საკმარისი იყო ის, რომ მისი საცოლო იყო ჯიშინი ტანისა და ლამაზი. რა ვუყოთ, რომ ფეხები ჰქონდა დიდი. ამა, ათასში ერთ ქართველ ქალს თუ აქვს პატარა და ლამაზი ფეხები. პო, საუცხოო საცოლო ყავს სტეფანეს. მერე რა ტუჩები ჰქონია დარეჯანს. სქელი, სველი და ზევითა ტუჩზე შავი ბუსუსი. სტეფანეს გაახსენდა, რომ ტუჩებ ბუსუსიანი ქალი ვნებიანია. გაახსენდა და დააქკერდა ტუჩებს, თან ფიქრობს:

— მართალს ამბობენ, ტუჩებ ბუსუსიანი ქალი ვნებიანიაო, როგორი კოცნა სცოდნია დარეჯანს?

შემდეგ უცნაურმა იქვე დაჰკრა:

— ასეთი კოცნა სად ისწავლა?

მაგრამ თავისივე თავისა შერცხვა:

— რაებზე ვფიქრობ. არაა კარგი.

განშორებისას დაასკვნეს: ერთი თვის შემდეგ სტეფანე ჩამოვა და ჯვარს დაიწერს. მანამ-კი, მანამ სტეფანემ უნდა იცოდეს, რომ არავისგან, თუნდაც საქმროსაგან, დარეჯანი საჩუქარსა და ფულებს არ მიიღებს. რა ვუყოთ რომ სამსახური არა აქვს, რა ვუყოთ, რომ ამირაჯიბიანთ ოჯახი დაეცა და დაქინდა. ეს ბედი მთელ ქართველ თავადობას ეწვია.

რა ვუყოთ, რომ ძნელია ცხოვრება? მოიცდის დარეჯანი, გაიჭირვებს. ერთი, გინდა ორი თვე რა ძნელი გადასატანია. წლები გადაიტანა, თვეს ვერ გადაიტანს?

— გადავიტან, პო—გადავიტან—ეუბნებოდა დარეჯანი მიმავალ სტეფანეს და იცინოდა.

საქართველო
საქართველოს

სტეფანეს ასეთი უცნაური სიცილი არასოდეს სმენია.
— როგორი სიცილია?—ეკითხებოდა სტეფანე თავის თავს და ნელის ნაბიჯით მიდიოდა.—არა, კოცნა როგორი სცოდნია...

IV

წვეს სტეფანე სასტუმროს ოთახში და ფიქრობს. თვითონაც არ იცის რას ფიქრობს. ფანჯრიდან ლურჯ ცაზე ნაწვევტ-ნაწვევტ ღრუბლები მიბრბიან. ჰო, ბირბიან, თითქოს ვიღაცა მიერეკება მათ. ქუჩებზე უკვე იელვეს ელექტროს ნათურებმა, შორიდან ისმის ტრამვაის ხმაური, აეტოს სირენა და ვეებურთელა ტფილისის აწვევტილი ხმაური.

უქნე საღამოა და ტფილისის ქუჩები განსაკუთრებით ხმაურობენ. სტეფანეს არ უნდა არსად წასვლა. სტეფანეს სურს დაალაგოს თავისი აზრები, ასხნა-განმარტება მოუძებნოს ახალ გრძნობებს, იმ ახალ გზას, რომელზეც ჩქარა ფეხი უნდა შესდგას.

— მაშ ასე.—და სტეფანე ლოგინიდან იყურება ფანჯარაში, —იწყება ახალი ცხოვრება. უნდა გავიკეთო თუ არა თითზე ბეჭედი. მე კომუნისტი ვარ, ბეჭედი რათ მინდა. თუ დარეჯანმა მომთხოვია? მერე რა რომ მომთხოვოს? არსად სწერია კომუნისტმა ბეჭედი არ ატაროსო, ვატარებ. დარეჯანს შრომას შევაჩვევ. ახლა ის უსაქმოა და მთელი დღეები სძინავს, სეირნობისა და არშეიყოზის მტეს არაფერს აკეთებს, მაგრამ მე გარდავქმნი მას, მთელი ქვეყანა გარდავქმნით და ერთს ქალს ვერ გარდავქმნი? თუმცა მას შემდეგ, რაც მე დავეუბლოვდი, შეიცვალა კიდევ, უფრო დადინჯდა, დაწყნარდა, ბიკოლა გულქან-მაც-კი უბრა ერთხელ მასთან დარეჯანს:

— შენ სტეფანესთან სულ სხვა ხარ და სხვასთან სხვა.

დარეჯანს გაეცინა მაშინ.

— მაშ ასე.—განაგრძობს ფიქრებს სტეფანე.—მე კოლიანი ვარ. რა არის კოლი?—ქალი, რომლის ლოგინზე ყოველთვის გაქვს უფლება. ხმ... უცნაური კია. რატომ უნდა იყოს ასეთი უფლება. საიდან მოდის ეს უსამართლო უფლება. არა, მე ჩემ კოლთან ასე არ ვიცხოვრებ, ის მუდამ ჩემი თანასწორი ამხანაგი იქნება.

— თანასწორი?—შეეკითხა თავის თავს სტეფანე.—სადაური თანასწორი, მე მუსიკა არ ვიცი, ის კიდევ უკრავს, კიდევ მღერის. მე ლექტურის მეტი არა ვიცი-რა, მან ყველა ცეკვა იცის. ფრანგულ წიგნებს კითხულობს.

— მერე რა რომ კითხულობს. ჩვენ უნდა გავხდეთ თანასწორი. არა, როგორ იმოქმედებს ჩემზე დაცოლება? ამხანაგები ამზობენ: ოჯახი აღამიანში შესაკუთრობის გრძნობას აღვიძებსო; არა, მე რა მაქვს რომ რაიმეზე საკუთრების გრძნობა აღმეძრას. ხა... ხა... ხა...

და სტეფანე თავისივე სიცილმა შეაკრთო.

— არ გადავირიო.—წაიბუტბუტა მან და აღგა.

— როგორ თუ არ გაქვს საკუთრება?—მაინც ვაგრძელდა ფიქრი თავის თავად.—კოლი ხომ გეყოლება. ახლა ხომ საცოლო მყავს. ერთიც ვნახოთ შენი საცოლო სხვას ეარშიყება, ან სხვჭ კოცნის მას. მაშინ?

— როგორ თუ კოცნის?

და მაგიდაზე ვილაკამ მუშტი დაარტყა.

სტეფანემ მიიხედა. არაფერ იყო. სტეფანე მარტოდ მარტოა ოთახში. მაშინ დაარტყა მაგიდას?

სტეფანემ ხელი ზევით ასწია და მუშტი ნახა.

— რა სისულელეა. ფუ!—და სტეფანემ კედელზე ფოლაქს ხელი დააქირა.

— ერთი ბოთლი ნაფარეული. ჩქარა,—უბრძანა სტეფანემ შემოსულ მსახურს.

— ნურას უჯაკრავად თუ ერთი ბოთლი არ გეყოს. ექვსი ბოთლი, ბიჭო!—მოესმა სტეფანეს და კარებში დაინახა მახრის ნაცნობები; ესენი სტეფანესთან ერთად ჩამოვიდნენ მახრიდან.

მაგიდაზე გაჩნდა ექვსი ბოთლი და ყოველივე ის, რაც ბოთლების თანამგზავრია ამ შემთხვევებში.

აქლარუნდნენ კიბები, ზარივით აწკრილდა მრავალ-ფამიერ, მაგრამ სტეფანეს ავი ლანდი მაინც აწვალებს.

— ჰო, ვთქვამთ შენს საცოლეს ვილაკა კოცნის. რას იზამ? არა, სთქვი, რას იზამ. ის ხომ შენი საცოლოა, საკუთარი საცოლო.

თითქოს ვილაკა ჩააფრინდა კალთაში, თითქო ორად გაიყო სტეფანე და ის ორი სტეფანე ასე საუბრობს:

— დარეჯანი ხომ შენი საკუთარი საცოლოა?

— მერე რა რომ საცოლოა?

— რა და ის, რომ შენ გახდები მესაკუთრე, როდესაც ის შენი ცოლი გახდება. შენ ახლაც მოგწონს ეს სიტყვები: ჩემი საცოლო.

— ხა... ხა... ხა... ძალიან შემაშინე. ჩემი საცოლო. მაშ მე ჩემ სახელზეც უარი ვსთქვა? სტეფანე ჩემი სახელია, მაშ მე საკუთარი თავის მესაკუთრე ვარ? რა სულელი ხარ, ვილაკა ხარ.

ნაფარეულმა დააცბრო ეს კამათი. ახლა სტეფანე თამადის სიტყვებს უსმენს და იგი სიტყვები ჩაქუჩივით სჭედენ:

— დიახ, შენი საცოლო, შენი ცოლია. შენ იწყებ ახალ ცხოვრებას. შენია იმიტომ რომ შენ აირჩიე. ბევრ ათას ქალში ის ავირჩევია. ის შენი ქმნილებია თითქმის, შენი სულისა და გულის ქმნილებია, მაშ იყავი ბედნიერი შენი თანამგზავრით. ყოიელ ადამიანს საკუთარი ხელებით გაყავს სადღაც მალლა მიმავალი გზა და უნდა ვიცოდეთ, ამ გზაზე ყველას შეგვხედება ქალი, რომელიც გახდება ჩვენი. და არაფერ იცის როგორი იქნება ამის შემდეგ ჩვენი ბედი: ბედნიერი და უბედურა.

გისურვებ ბედნიერი იყოს ბედი შენი.—და გამოსცალა თასი თამადამ.

— გაუმარჯოს... გაუმარჯოს—ისმის აქეთ-იქით.

ეს იყო დაწყება. შემდეგ, როდესაც თავები გაუხურდათ, შუბლის გასაგრილებლად თასი მიატოვეს.

დაიქირავეს ავტო და კოჯრის გზას გაუდგნენ. გვიან დაბრუნდა სტეფანე თავის ოთახში. ძლივს გაალო კარები.

ოთახში რომ შევიდა სასტუმროს პატრონი აეტუზა ^{ქაქიანიძის} ~~წინააღმდეგა~~

— ბატონო, ხომ არ ინებებთ რამეს?

და ჩურჩულით დაუმატა:

— ფხიზელთან არ დადის. ცნობისა ეშინიან, არც-კი დაიჯერებთ, რომ ისეთია, სანამ არ ნახავთ.

— მოიყვანეთ.—უთხრა სტეფანემ.

— მოგიყვანთ, ბატონო, მხოლოდ არ უთხრათ, რომ ტფილელი ხართ. ჩამოსული ვარ თქო, რუსეთიდან ან პროვინციიდან. ეგ იმიტომ რომ ხვალ ქუჩაში არ იცნოთ.

— კარგი.—უპასუხა სტეფანემ.

სტეფანემ არ იცოდა რამდენი დრო გავიდა. მხოლოდ როდესაც კარის კაკუნი მოესმა, უცნაურად აღელდა. და ჩაწყვეტილი ხმით უპასუხა:

— შემოდით.—შემოვიდა ქალი და ნათურისაკენ გაემართა. ხელპარკიდან ცხვირსახოცი ამოიღო და ნათურს შემოახვია.

— დარეჯან!—შეჰყვირა სტეფანემ.

შეკრთა ქალი და წაბარბაცდა. შემდეგ გასწორდა წელში და სტეფანეს წინ გაჩერდა.

და იღვინენ ორნი ერთმანეთის პირის პირ: სტეფანე ზღვასავით აღელვებული და დარეჯანი კლდესავით უძრავი.

გაახსენდა სტეფანეს დარეჯანის სიცილი და უქალწულო კოცნა.

— აი, საიდან იცის დარეჯანმა ასეთი კოცნა! მაშ, დარეჯანი...

— რა ვუყო?—გაუღელვა თავში სტეფანეს,—რით გადაუხადო სამაგიერო ჩემი დამცირებისათვის, ჩემი სიყვარულის მოკვლისათვის. რით?

უცებ სახე გაუნათლდა.

საჩქაროდ ამოიღო საფულე და ქალს თეთრი ქალაღდეგი გაუწოდა.

— სილას გამაწნის ასეთი დამცირებისთვის.—გადასწყვიტა სტეფანემ.

მაგრამ დარეჯანმა თეთრი ქალაღდეგი დაჰკეცა, ხელპარკში ჩასდო და კარებისაკენ გასწია.

ი ა ლ ლ უ ჯ ა

პირველი ნაწილი

I

მეორე შეხვედრა

მზემ გაღიხარა, სიომ დაჰბერა, ქინკლი და მუმლი აიშალნენ. კოლოები იკბინებოდნენ და ჯანში შხაში შეჰქონდათ. სალამო მაინც კარგი იყო. ბაბაქარის და იალლუჯის ყვითელ მთების ნაკვეთებში ჩრდილები ჩაწვა. წითელ ფერნარევი მზის ყვითელი სხივები დედამიწას ირიბად ეცემოდა და მთელ დღეს გაბურებული ქვეყანა გრილდებოდა.

წყალზე მიმავალი დედაკაცები გზაზე გამოიშალნენ. ზურგზე სანაჭები ეკიდათ. ფერადი ნაჭრებით დაკრებულნი, ნაოკებიანი, ჩითის ქრელი კაბები ნახირში აირია და საქონლის ნაირნაირ ფერზე მსხვილ ყვავილებივით გაიფანტა. კოჭებზე ნიფხვის ტოტებ შემოქირებული შიშველი ფეხები მტვერში ჩაეფლო და აღამიანის კვალი საქონლის კვალს შეერია.

ორღობეში შესული საქონელი ვიწროებში გაიჭედა. ნახირში შერეულ დედაკაცების დანახვაზე მბრთხალი საქონელი ჰკრთოდა და ერთმანეთს ურქინავდა. მენახირებმა ჯავრობა და გინება დაიწყეს. დედაკაცებმა თავები დაჰლუნეს, მამაკაცებს პირი ააარიდეს, ლობის ძირას გააკაფეს გზა, ნახირი გაიარეს და ხევში ჩავიდნენ.

აქ, მრუდად გაზრდილ აკაკის ძირში, ასკილისა და მავჯლის ბუჩქებში პატარა, ცივი წყარო იყო ჩამალული. ამის მეტი სასმელი წყალი არა ჰქონდა სოფელს. ზაფხულში ეს წყალი ძვირფასი იყო, მაგრამ სიშორისა გამო მხოლოდ გამრჯე დედაკაცები მოდიოდნენ. ზარმაცები კი თავიანთ ოჯახებს არხის მღვრივე წყალს ასმევდნენ.

ექვსი დედაკაცი ერთად მივიდა წყაროსთან. ჯერში ჩადგნენ და ქურქლის გავსება დაიწყეს.

— გაავსე, ქალო!—უთხრეს დედაკაცებმა გოგოს.—არ დაგიგვიანდეს. დედა შენი გულს გაიხეთქავს.

— არა. თქვენ გაავსეთ.—თავაზიანად დაუთმო ჯერი უფროსებს.

ქვეყნული

ამ გოგოს ისედაც ეტყობოდა ზანტობა: სულ ბოლო ჯერს დაუტყდა მაშინაც ნელა აესებდა თავის ქურქულს. პატარა ხელჯამა წამოიღო და წყალს აუჩქარებლავ იღებდა, დინჯად ასხამდა სანაქში.

ერთი ხანია, საქინა წყაროზე სიარულს დაეჩეია. აქამდის დედა არ უშვებდა: რა საქირთა შენი სიარული წყაროზე, როცა დედაკაცი გვეყავსო. მაგრამ ნებიერ შვილმა თავისი გაიტანა.

— ეხლაც ხომ პატარა აღარა ვარ. ვასკირნებაც კარგია.

დედამ ნება დართო. ქალი თავისუფლად მიდიოდა წყაროზე. მხოლოდ სანდო მეზობლებს კი აჩანდა დედა. ქალი კი სწორედ ამ დედაკაცებს ერიდებოდა: მარტოს ერჩივნა აქ სიარული. ამიტომ იყო, რომ ნელა აესებდა თავის კოკას და დედაკაცებს ეუბნებოდა: წადით, დაგეწვეითო.

დედაკაცები დასცინოდნენ სათითოე წამოვილიაო ხამის მაგიერად და თან სათითაოდ დაიწყეს ნელ-ნელა წასვლა, იმ იმედით, რომ საცაა საქინა გააესებს და დაგვეწვეავო.

საქინამ აღმართი რომ აიარა და გზაზე გავიდა, დედაკაცები უკვე ორლობესთან იყვნენ და ხელს უქნევდნენ, ჩქარა წამოდიო. საქინას კი სპილენძის კოკა ზურგზე თოკებით ჰქონდა მოგდებული და დედაკაცების მოსაჩვენებლად ფეხს უჭქარებდა.

წინწასულები ორლობეში შევიდნენ და ქალმა თვალები ბამბის ნათესებს დააელო.

შეირბა მწვანე ღ ფოთლებში ტყავის ქუდის ხუჭუჭი ბეწვი ამოძრავდა. მერე ქუდის თეთრმა ცამ გაიღევა, ბუჩქებში შავგვრემანი სახე გამოჩნდა. თვალები ილიმებოდა. შუბლიც გაშლილი იყო. შაჰოხა ბიჭი მთლად გავიდა გზაზე, ხანჯალზე ხელები დაიწყო და ერთ ადგილას გაჩერდა. თავი იქით მიიღო, თვალებით კი ქალს უცქეროდა. მოწიწებით იღვა გზის პირად, ვითომც უცხო უცხოს მოერადა.

საქინა შუა გზიდან გზის მეორე მხარეს გადავიდა, იმანაც მხოლოდ თვალებით შეხედა ვაჟს, თავი დალუნა და ნაბიჯს უმატა.

— ჯანუმი!— წაიჩურჩულა ვაჟმა.

აი, ამ სიტყვებისათვის მოდიოდა წყაროზე ქალი. ამ სიტყვაზე მას გულში მუდამ ლიტინი აუტყდებოდა ხოლმე და ესამოცნებოდა.

ორლობესთან რომ მივიდა, თავი ისე გაიქნია, თითქოს ბუხს იგერიებსო, ამით ერთი კიდევ შეხედა ვაჟს და თვალს მიეფარა.

ვაჟმა ულვაშებზე გადისვა ხელი და ბამბის პლანტაციებს შემოუარა.

II

შესავალი

კავკასიაში ახლად დამკვიდრებული რუსეთი პირველ ხანად ქვეყნის დამორჩილებას მოუნდა. მაგრამ მეცხრამეტე საუკუნის ორმოციან წლებში კი ქვეყანა უკვე დამშვიდებული იყო. მართალია მთა ჰლეღავდა, შამილი ძლიერობდა, სა-

ქართველოს ზოგ ადგილებში ისევ იყო მღელვარება, მაგრამ მთავრობამ იცოდა, რომ ეს უკვე წარმავალია, რომ ყველას მალე დაიმორჩილებს და ამიტომ თავისებურ რეფორმებს შეუდგა.

ბორჩალოში ფორმალური ბატონ-ყმობა არ ყოფილა მაგრამ ალბი მაინც განუსაზღვრელი ბატონები იყვნენ.

ხანების დროს მათ ხელში იყო საპოლიციო სამართალი და ამაში გლეხებისაგან ხარკს იღებდნენ.

რუსეთის მთავრობამ მათი უფლება-მოსილობა როცა გამოარკვია, ჰპოვა, რომ მიწები, რაც ალაღარებს ეჭირათ, მათი საკუთრება არ იყო. მიწები სახელმწიფო იყო და ალაღარებს კი მეგკეიდრობით სარგებლობის უფლება ჰქონდათ. ეს ორი უფლება ძალიან დიდ ძალას აძლევდა ალებს.

მუსულმანური ბორჩალო მოსაზღვრე ქვეყანა იყო. იმის იქით იწყებოდა ოსმალეთი. იქვე იყო ყარაის ციხე; ამის ხელში ჩაგდება რუსეთის დიდი ხნის სურვილი იყო. იქვე იყო მუსულმანური ბაქოს მხარე, სპარსეთის მოსაზღვრე.

ამ ქვეყნებში, ბორჩალოში, კავკასიის ადერბეიჯანში, ერევანში, ალაღარებს ძველი უფლებები რომ შერჩენოდათ, ხიფათის მეტი არა გამოვიდოდა რა.

კარგად იცოდა რუსეთის მთავრობამ, რაც დღეში იყო საქართველო ამ პროვინციების წყალობით, როგორ მოქმედობდა პანისლამიზმი კავკასიაში და ისტორიული გამოცდილება უნდა გამოეყენებინა.

ორმოციან წლებში დაიწყო რეფორმები. გამოცხადდა, მიწები ალაღარებს არ ეკუთვნით და უნდა ჩამოერთვათო. ალაღარებმა მღელვარება დაიწყეს. ამისთანა კლასის ასე აშკარად გადამტერება არ ვარგოდა და ხელმწიფემ ბრძანა: ასეთი რამ დიდი შეცდომააო და 1841 წელს ალაღარებს მიწები ისევ დაუბრუნეს. მიწები მათ საკუთრებად აღიარეს. მაგრამ მიწებს აქ გლეხები აღარ მიამაჯრეს და ბატონ-ყმობა არ დააკანონეს: იმ დროს უკვე იყო ლაპარაკი ბატონყმობის გადაგდებისა და მისი აქ შემოღება აღარ ხერხდებოდა. არც საჭირო იყო იმპერიის პოლიტიკისათვის, რომელიც ალაღარების ძლიერების დაცემისკენ იყო მიმართული. აქ გლეხები უნდა მოესყიდნა მთავრობას, რათა გასაქირში, გლეხობა წარჩინებულთ არა ჰყოლოდა.

ალაღარებს მიწა საკუთრებად მისცეს, მაგრამ დაავალეს, თითო გლეხისათვის, თხუთმეტი წლის ასაკიანისათვის, მიეცათ ხუთი დესეტინა მიწა. ამაში გლეხები იხდიდნენ ღალას მეათედ მოსავალს და თითო კომლზე წელიწადში რვა დღის ბეგარას ან ოთხ აბაზს ფულს. სახლში მოსამსახურედ მისცეს თითო ნუკერი მუშა ხელით ჭარბ კომლიდან და ამით კომლი ბეგარისაგან თავისუფალი იყო.

ალაღარებს საპოლიციო უფლებები დაუტოვეს დროებით, მაგრამ 1861 წელს გენერალ ორბელიანის დაკინებით ეს უფლებებიც ჩამოერთვათ. ბორჩალოში დაარსდა მამასახლისობა. მამასახლისებად გლეხებს ირჩევდნენ. ალაღარებს მოესპოთ ხალხზე გავლენის ძალა. სამოციან წლებში, როცა საქართველოში

ბატონ-ყმობა გადავიარდა, ალაღარებს ბეგრის და ნუკრის უფლებებში ჩამოერთვათ. მათ დარჩათ მხოლოდ ლალა, ერთი მეათედი მოსაქალაქო.

ეს რეფორმა მწვავედ რომ არ ეგრძნოთ ალაღარებს, ნელ-ნელა გაატარეს, ორი წლის განმავლობაში და ზოგან, თითო ჩამორთმეულ კომლზე ხუთი მანეთი დაუნიშნეს ხაზინიდან წელიწადში ოცდახუთი წლის განმავლობაში.

მთავრობამ თავისი გაიტანა: წარჩინებულთა ძლიერება და დამოუკიდებლობა დასცა, ხალხი თითონ დახარკა, თავისი წესი და მმართველობა შემოიღო. ალაღარებს ძალიან ცოტა მიწები დარჩათ. 2000—3000 დესეტინაზე მეტი არავის ჰქონდა. სამაგიეროდ დარჩნენ უსაქმონი ცხოვრების წინანდელ, უშრომო წყაროს მოკლებულნი.

ცხოვრების საღსარი მხოლოდ მესაქონლეობა იყო.

დრო გადიოდა. ცხოვრება ძვირდებოდა. ახალი მოთხოვნილებანი მოდიოდა. ძველი აღათი, ფუფუნება, ჩვეულება თავისას მოთხოვდა. დაგროვილი ქონება ხელიდან მიდიოდა. ბეგრი ახალგაზრდა ალაღარი გავიდა ქალაქად: გლეხებში მეუქთად მიღებული ფული ბანქო-ღვინოსა და ქალებში გაიფლანგა. ამ ფულს საქონელიც მიჰყვა. ქართველ თავადიშვილებს არ ჩამორჩნენ ამა საქმეში.

ბორჩალოს მემამულეებმა: ორბელიანებმა, ბარათაშვილებმა, საგინაშვილებმა მაგალითი აჩვენეს და ბეგრი მიწა ბანკის ხელში გადავიდა.

მტერი სხვა მხრიდანაც მოდიოდა: წლითი-წლობით ფებს იკიდებდა ახალი ხალხი: ბაქოდან ტფილისზე გაიარა და ბორჩალოში ჩავიდა ერევნული ნაციონალური პოლიტიკა. უხვი და მდიდარი მიწები ბორჩალოსი, ერევნის გუბერნიის მოსაზღვრე მაზრისა ნელ-ნელა ჩაიგდო ხელში კაპიტალმა. აქ დაასახლეს ერევნის გუბერნიიდან მოყვანილი სომხები და სომხეთის საზღვრები ტფილისთან ამოვიდა.

ადგილ-ადგილ სოკოებსავით ჩნდებოდა ახალი მეურნეობა. აქამდის ვერანი და ცარიელი ადგილები, მხოლოდ სანადიროდ გამოსადეგი და კავით სახნავი ახალი ცხოვრებით გაივსო. დატრიალდა ფული და კაპიტალისტური ინიციატივა. გაჩნდა ახალი სახლები, საჯინიბოები, ახალი თავლები, ჯიშინი საქონელი. გაიქრა ახალი არხები და ბოლოს ახალი სახელებიც გაჩნდა: არამიანცისა, მანთაშევისა, აკოფოვისა, ბაღდასაროვისა.

მოვიდნენ უგვარონი და უკან დასწიეს გვარიანები.

სადაც ოთხთველა წისქვილი დიდ წისქვილად ითვლებოდა, იქ ტურბინების წისქვილები გაჩნდა.

სამოურები შემოიფარგლა, შემოიღობა, საქონელს გასაქანი აღარა ჰქონდა.

ოთხმოციან წლებში ბორჩალოს ცნობა აღარ შეიძლებოდა. ოთხმოცდაათიანში ხომ რკინისგზამ ჩაიწივლა და ყარსი და ტფილისი მეზობლები გახდნენ.

III

შ ა ჩ ა ლ ი

აღიბეგ ალა მურთუზ ალა ოღლი ხალილოვი სწორედ მაშინ დაიბადა, როცა მის მამას უფლებები ჩამოართვეს. ვიდრე ბავშვი იყო აღიბეგა, მურთუზას

ჯერ კიდევ ჰქონდა საქმარისი ქონება და ბავშვი ფუფუნებასა იზრდებოდა, იმისთანა კრელი წინდები, წმინდა შალის ჩოხა, შვეყრცხლილი ქამარ-ხანჯალი სოფელში სხვა ბავშვს არა ჰქონდა. სახლში საგანგებოდ დადიოდა მოლა და არაბულ წიგნს და ენას ასწავლიდა.

მაგრამ მის ზრდასთან ერთად ქვეყნის ცხოვრებაც იცვლებოდა, ძველი ბორჩალო ელფერს ჰკარგავდა.

ოცდახუთი წლის ალიბეგას, უკვე ორი ცოლის პატრონს ბევრი რამ დააკლდა და ცხოვრება გაუჭირდა.

გვართ მოყოლილი ამაცობა სიღარიბეს ვერ ითმენდა.

გარჯა იყო საქირო, მაგრამ შნო არ იყო.

მის ნათესაებებში ვინც მოახერხა, მესაქონლეობას და მომჭირნეობას მიჰყვა. მთავრობისაგან მიღებული ფული გამოიყენა, წელში გამაგრდა. მაგრამ ალიბეგამ ეს ვერ მოახერხა.

ბევრჯელ გაუზეღია იალღუჯის მთებისაკენ. ბევრია იქ სამალაფი, სავაქეაკო საქმისათვის გამოსადეგი ადგილები. მამა-პაპა ყაჩაღების დევნაში, სხვათა სოფლებზე თავდასხმაში, ომებში გამოცდილები იყვნენ. ეხლა კი შინ ჯდომბა და მეცხვარეობა მოსაბეზრებელია.

საითაც უნდა წავიდეს, ყველგან გასაბრაზებელს ხედავს. გული მოსდის თავის მამა-პაპულ წისქვილს რომ უტკერის, დაჩაჩანაკებულს. ამისი ხავილი და გრიალი დღის სავალზე ისმის. აგერ მეზობლად, მეორე სოფელში ტურბინის წისქვილი წკრიალებს, ვილაც სომხისა.

თავისი დაჩაჩაფებული ძროხებიც ეჯავრება და თვალები სტკივა „ეკონომიაში“ დაბმულ ჯიშთან ძროხებს რომ ჰხედავს.

თუ ასე წავიდა საქმე, ოციოდ წლის შემდეგ ნამდვილი შიმშილი ჩამოვარდება.

სიღამო ხანია. ალიბეგ ალა ეხოში ზის, კრიალოსანს ათამაშებს და ცას შესტკერის.

სადღაც სოფლის ბოლოს ჩხუბის ხმა შემოესმა.

— რა ამბავია!

— ჰასანას ხმაა, მისი მენახირისა.

მარდად წამოდგა და მინდორს გაჰხედა.

აგერა იქ, ჰასანა ნახირს მოერეკება და მას ალი მაჰამედ ოლი ეჩხუბება, ახალ მემამულის მეველე.

— რა მოუხდათ? ყვირიან. მეველე ძროხებს სადღაც მიერეკება.

— ცხენი, ბიჭო!

უბელო ცხენს მოახტა ალიბეგა და გააჭენა.

— რა ამბავია. სად მიგყავს ძროხები, შე მამამალო. — შეუყვირა ალამ ალიას. მეველემ ძროხებს თავი დაანება.

— ალაე! ამ თქვენს ბიჭს უთხარით მოისვენოს. რამდენჯერ მიჩვილია შერთან. ხაზინის ყანებში უშვებს საქონელს. აბა, მობრძანდი, ჰნახე რა უყო ნათესს.

— მერე, რა უენი საქმეა? უენს ნათესს ხომ არ აფუტებენ. იმ მოთრეული-სათვის რა ძალიან იღებ თავსა.

ერქვენი
გინგლიქონიქა

- ჩემი მოვალეობაა, ალავ. მე მომკითხავენ.
- შენ იმის თავსა რჩეობ?
- მე ჩემს თავსა ვრჩეობ. თუ არ ვღეროთგულე, არ დამაყენებს ადგილზე.
- ჰაი, შენი...
- რას იგინები, ალავ. მე თქვენი წყენა არა მსურს, ჩემი ნაალაღი ხარ.
- ეხლაც შენი ალა ვარ. შენი მამისთვის მიგინებია და შენც ვაგინებ.

მოსწორდი ძროხებს.

— რა ვუყო, რომ გიგინებია. მე ნუ მაგინებ.

— შე ლორის შვილო, რამოდენა ენა გაქვს.

ძნელად მოსათმენი რამ იყო: ხალილოვების ნუკერი, ნამოჯამევირალი, ყმათა ჩამომავალი, ასე გათამამებულია იმისაგან, ვილაც მოთრეულისაგან. იმუქრება კიდევ ეს ლორის შვილი, ხაზენის ვეტყვიო. ალიბევა ალაა. ხაზენი ვილა ოხერია. საიდან მოვიდა ეს სიტყვა. ამან ალალარი უნდა ამოაგდოს?

— ჰაი შე მამაძაღლო. ეხლავე სულს გააბრთხობინებ.— დაიძაბა ალიბეგამ და თოფი მოიშარჯვა.

ალიამაც გაისვა თოფზე ხელი. მერე კი შეშინდა: ისედაც ზევრი გაუბედა ალასა. გადახტა, ხეს მოეფარა და გაიქცა.

მალე დაეწია ტყვია და თავის აღის ყანაში გადააგდო.

მთელი სოფელი შეინძრა. ალიას ნათესაები წამოიშალნენ, შეიარაღებულნი წამოვიდნენ. ბევრი იყვნენ. ალალარები შეშინდნენ.

ცხენოსანი გაპგზაენეს ზოქაჟლისაკენ.

ამან შეაფერბა სისხლის მამიებელნი: აჩქარება საჭირო არ იყო. დრო წინ იყო და სამაგიეროს გადახდა ყოველთვის შეიძლებოდა.

მაგრამ ალიბეგას დარჩენა აქ ალარ შეიძლებოდა.

უკვე გაუჩნდა მოსისხლე მტერი. არც ალიას ხაზენი მოისვენებს: ჩივილს დაიწყებს, რომ ამით დააშინოს მოსახლეობა. ჩავარდება კაცი რუსის ზაკონის ხელში და შერცხვება. რა კაცია ის კაცი, რომელიც კანონში ჩავარდება. ციმბირი? ციხე? რათა? აქ არ არის მთები, შარა გზები, ტყეები.

ამას გარდა ეხლა სისხლი მთელს გვარში ჩამოვარდება. გვარის დაცვაა საჭირო.

ალიბეგა იმ ღამესვე გაიპარა დედულში.

ერთი კვირის შემდეგ ბორჩალო ჩურჩულებდა:

— ალი ბეგ ალა მურთუზ ალა ოღლი კაჩაბ.

ალიბეგ ალა გავიდა.

ამით აღინიშნა ბორჩალოში ოთხმოციან წლების დასაწყისი.

IV

პირველი შეხვედრა

მთაში წასვლა ძალიან დაუგვიანდა დურსუნ ალა ხალილოვს. ცხვარი მიის ნახევარში გაპგზაენა, სხვათა ცხვარიც მაშინ წავიდა. საქონელიც კარგა



ხანია იქ არის. ოჯახის გაგზავნა კი დაუგვიანდა. ციებამ შეშფოთებულს უკმაყოფილოდ მოახერხა. გამუდმებული სიციხე თავს არ ანებებდა და ლოგინიდან არ აყენებდა.

მთელი ბორჩალო გავიდა მთაში, ღურსუნ ალა და დარჩა. მხოლოდ თიბათვის ბოლოს გავიდა სოფლიდან მისი ურმები.

ორი დაჩარდახული ურემი მტერიან გზაზე მიიზღაზნებოდა და მიქანაობდა.

გზებზე ეხლა დიდი მოძრაობა იყო. ზაფხულია და იმიტომ. გაზაფხულზე, ზაფხულში და შემოდგომაზე ბორჩალოს გზები გამოცოცხლდება ხოლმე. მთაში გასულ ხალხს ბარად საქმე რჩება. დღე მუდამ მიდის და მოდის ურმები, საქონელი, სავაჭრო. ამიტომ ოჯახისათვის მოსაწყენი არ იყო მგზავრობა. ჩარდახიან ურემში ბავშვები ეყარნენ. შიშველა ფეხები გამოკიდებული ჰქონდათ, ან მუცელზე იწვნენ და მაღლა აშვერილ ფეხებს იქნევდნენ: ჩარდახს შიგნით დედა-კაცები მიკუნჭულიყვნენ. პირზე თავშალი და ქალაღიები მოეხევიათ და მგზავრების თვალს ერიდებოდნენ. ახალგაზრდა ქალები კი ქვეშ-ქვეშ იჭყიტებოდნენ და ცნობის მოყვარეობით ათვალთვრებდნენ ახალ სანახაობას.

გზის პირად სასაფლაოები მოსჩანდა. უკვე მთლად დაცარიელებული სოფლები. სინთემში გახვეულიყო. სიციხეს შეეწუხებინა ქვეყანა და ყველაფერი გაუჩიებული იყო. სოფლებზე გავლის დროს ძალიც კი არ იყუფებოდა. აქა-იქ ბოსტნებში თუ გამოჩნდებოდა პირგამშრალი მებოსტნე, რომელიც მიწაზე დაკუზული შემოსულ კიტრს ეძებდა. გზას მტვერი ასდიოდა და მგზავრებს ზედ ედებოდა.

დიდი მზრუნველობით ჩასვა ღურსუნ ალამ თავისი თოთხმეტი წლის ქალი თამამა ურემში და ცოლისა და დედას დაავალა ყური კარგად ეგდოთ მისთვის.

თამამა ბოლოლა შვილი იყო ღურსუნასი, მესამე ცოლისა, რომელიც ძალიან უყვარდა. ცოლი ძალიან უყვარდა და მისი შვილი, სულ უმცროსი შვილებში, უფრო ძალიან. ორმოცი წლისა იყო ღურსუნ ალა, როცა ეს მესამე ცოლი შეირთო, თექვსმეტი წლის გოგო. ყველა ცოლებზე უკეთესი სიტკბოება ამან მისცა და ცოლი და ქალი ორივე ნებიერი გაიხადა. ქმრის დარიგებას და ბრძანებას ცოლი ზედმიწევნით ასრულებდა: ხშირ-ხშირად აფარებდა შვილს სახეზე ქალაღიას: მტვერია, სახეს გავიფუჭებსო. გზაში ავი თვალი ბევრია. სიბრთხილეა საქირო.

მაგრამ თამამა ყურს არც დედას უგდებდა, არც დიდედას. კოფოსთან ახლოს დაჯდა და თავისი შავი თვალებით ქვეყანას ათვალთვრებდა.

ახალგაზრდა სიციხეზე წინ მოდის. აკვირდება ქვეყანას. განიცდის ცხოვრებას. ყველაფერი საინტერესოა და ქალაღია თუ მტვერი ცნობის მოყვარეობას ვერ დიკავებს. ბარი გათავდა და აღმართები დაიწყო. აგერ შორს მთები, ლურჯი მთები, ტყით შემოსილი; აგერ მაშევარი მდინარე, ტყიანი მთა რომ გამოურღვევია და გაშლილ ადგილას იფანტება. აგერ კუზიანი ხიდი და სოფელი კოჩულო. აგერ მთის წვერზე, ცად აბჯენილი დიდი ციხე: ეხლა კოჩულოს ციხე ჰქვია. შესცქერის შავი თვალები ამ ციხეს, ისეა აშენებული, თითქოს კლდეზე გაზრდილაო.

არ იცის თამამამ თუ რა ადგილებია ეს ადგილები, ^{ქრისტეანული} ^{ქრისტეანული} იცის ბორჩალოში. ეს ციხეა ბოლნისისა. ეს ის ადგილებია, სადაც ერთ დროს ქართული კულტურა ჰყვავდა. აგერ მთის ფერდობზე ბოლნისი. ერთ დროს სამიტროპოლიტო ქალაქი. ეხლაც არის იქ ქრისტიანობა: ბოლნის ხაჩინი მონასტერია სომხებისა, ბოლნისის ჯვრისა.

ურმებმა გერმანელების კოლონია ეკატერინენფელდი გაიარეს. ძალიან საინტერესო ხალხია. თამამა მთლად გამოძევა ჩარდახიდან. ყოველ წლივ გამოუვლია აქეთ, ასე შორიდან აკვირდება ამ ხალხს და უკვირს. სულაც არ ჰგავს ეს სოფელი მათ სოფელს. განიერი, სწორი ქუჩები. მაღალი ძალიან დაქანებული სახურავებიანი მწკრივად ჩარიგებული სახლები. სოფლის შუა მოედანზე „ნემენცების მჩეთია“. იქიდან ხარის გუგუნი ისმის. კვირა დღეა და ყველა სალოცავად მიეშურება. კაცებს და ქალებს ყველას სუფთად აცვია. ერთად მიდიან. ლაპარაკობენ, მაგრამ მათი ხმა არ ისმის. თამამას სოფელში კი ორი კაცი რომ ერთად შეიყაროს, მათი მშვიდი ლაპარაკი მთელს სოფელში გაისმის.

გუშინ საღამოთი გამოვიდა ურმები სოფლიდან და ჯერაც არ იციან ამ საღამომდის მოასწრებენ ზინაზე მისვლას თუ ვერა. დურსუნ ალა წინ წავიდოცხენით, რომ კარავეები დაამზადოს.

სადაც წინ ვიწროებში ურემს ვილაკის ეტლი დაეწია. გაუსწრო და ერთბაშად გაჩერდა. ურემში მყოფებმა კარგად გააჩივის, ეტლს ორი შეიარაღებული კაცი შემოეხვია, თოფები დაუღირა, გზიდან გადაიყვანა და ტყეში შეიყვანა. ურემი დინჯად მიდიოდა. ნელ-ნელა უახლოვდებოდა იმ ადგილს. ქალებმა ქოთქოთი შეჰქანეს. ცხადი იყო, რაც წინა ხდებოდა: იქ ყაჩაღები იყვნენ.

— გაჩერდი ისაე! დავიცადოთ... ნუ წავალთ. — ურჩევდნენ მეურმეს ქალები.

— გვიანლაა. დაგვიანხეს. აქ რომ გაჩერდეთ არ გვიყაბულებენ. შეეშინდებათ. აქ მოვლენ სულ ერთია.

— იქ რომ მივიდეთ დაგვეარკვევენ.

— ნუ გეშინიანთ. ხელს არ გაბლებენ.

— რატომ?

— ალიბეგ ალას ხალხია. — უპასუხა მეურმემ.

— ვისები ხართ! — შეუტყის ურემს შეიარაღებულებმა და თოფები მოიმარჯვეს.

— დურსუნ ალასი. — ღინჯად უპასუხა მეურმემ. დედაკაცებმა და ბავშვებმა თოფების დანახვაზე წივილი მორთეს და ჩარდახ ქვეშ ერთად შეიკუქნენ.

დურსუნ ალას სახელის ხსენებაზე, ყაჩაღებმა თოფები ჩამოუშვეს.

— მოგვეყვი. ნუ გეშინიანთ. — უბრძანეს მათ მეურმეს და ტყისკენ წავიდნენ. ურემიც ტყეში შევიდა. იქ მოლზე ბევრი იყო ხალხი, — იყო ურმები, ეტლები, ფურგუნები. ხალხი უკვე დაცარცული იყო. ხუთი კაცი ნაცარცეს ტომრებში ალაგებდა და ცხენებს ჰკიდებდა. ყოველი გამვლელი ზემოდან თუ ქვემოდან მოსულნი, აქ მოჰყავდათ, სცარცავდნენ და აქვე სტოვებდნენ. შემდგ

ახალ-ახალი ტყვეები მოჰყავდათ. ოციოდ კაცი ირეოდა აქა. შენგულითა ერთ-მეედნენ ცხენებს, იქვე ტვირთავდნენ ნაკარკვით და სადღაც შორს ტყეში ჰშალავდნენ. გაცარკული ხალხი ფერ-წასული იდგა და ჰკანკალებდა. ზოგს ჩოხა გახადეს, ზოგს ჭამარ-ხანჯალი შემოხსნეს. ბევრისათვის წალები დაეხადნათ. ვაჰკრებისათვის წაერთმიათ საქონელი: ფართალი, ტყავეულობა, ჩაი, შაქარი.

დურსუნ აღას ურემი ერთი მუხის ძირს გააჩერეს.

— სალამი, ხანუმ! — მიესალმა დურსუნის მოხუც დედას ალიბეგ ალა. დედაკაცები ურემში მოკლულიყვნენ და კანკალებდნენ.

— გადმოდით ურმიდან. მუხლში გაიშლებით. ცოტა ხანი იყავით აქა და მერე წადით. ნურაფრისა გეშინიანთ. ანაზღად წამოგვაწყდით. მაგრამ არა უშავს რა.

თამამა გადმოხტა ურმიდან. ბავშვებიც გამოიშალნენ. პაპა დაინახეს და გათამამდნენ.

— რას შვრები ალიბეგ ალაე! რა საკადრისია. — დაიწყო დედაკაცმა ჩიფჩიფი.

— რა შენი საქმეა!? — უპასუხა ყაჩაღთ თავმა. — ჩოფურ ოღლის დამიძახეთ. — უბრძანა თავისთან მდგომ ეშხანავს.

მოვიდა ახალგაზრდა, მაღალი, მხარბეჭიანი, შავგრემანი ბიჭი. შალის ლურჯი ჩოხა მის წელს მჭიდროდ შემოჰხვეოდა. დიდი ფაფახის ბეწვეები თვალე-ბზე ჩამოჰფარებოდა. მსხვილი წარბები და შეკრული შუბლი მრისხანებით გამოიყურებოდნენ.

— თვალი გეჭიროს, არავენ აწყეინოს. — უბრძანა მას ალიბეგ ალამ და ცხენი გააბრუნა.

ჩოფურ ოღლი ფაშა თოფს დაერყნდო და დედაკაცების წინ გალაჯული დადგა. იქაურობას თვალი არწივივით შემოავლო და ბავშვებს უბრძანა:

— დსახედით ურმის ძირს აქედ. არავენ დაგინახოთ.

ბებერი დედაკაცი ურმის თვალთან ჩაიკეცა. თამამა დიდედას მიეკრა, მოიკუნტა და კანკალმა აიტანა. ჩოფურ ოღლიმ თვალი შეავლო ქალს და თავი იქით მოიღო. უტიფრად ცქერა არ გაუბედა.

ახალგაზრდა ხანუმამ აღერსიანი თვალთ შეხედა ბიძის დაყრნებულ ყარაულს. შეხედა მადლობით, როგორც შეხედავს გაჭირებაში მყოფი აღამიანი მეორეს, რომლისგანაც ხსნას მოელის. თამამას თვალეში იმედი და მადლობა იყო.

იცოდა თამამამ, ეს ახალგაზრდა თავის უფროსის, დურსუნ აღას ბრძანებას ზედმიწევნით შეასრულებსო, ერთგული იქნება მცველი და მფარველი.

მის წინ ლამაზი, გვირი და ყოჩაღი ბიჭი იდგა. ყოჩაღია, თორემ ბიძა ამხანავად არ გაიხდიდა. არც მათ თავს ჩააბარებდა. აღბად ძალიან ენდობა ამას ბიძია ალიბეგ ალა. ყოჩაღია ეს ბიჭი და ყაჩაღი.

ფაშა მიდამოს ათვალეირებდა. თვალი ყველგან ეჭირა და ყველაფერს, რაც მის გარშემო ხდებოდა, გულდასმით აკვირდებოდა. თან თავს ატრიალებდა და თავის ამ ტრიალში უცაბედად და ქურდულად შეხედავდა ხოლმე ქალს, მის

წინ წიწილასავით რომ მობუზულიყო, უმწეო, აქამდის დაამტკიცებოდა მაგრამ ეხლა იმედით სავსე თვალებით მოეღვარე.

— რამდენი ხანი უნდა ვიყნეთ აქა?— ხმამალა ჰკითხა თამამამ დიდედას, და ფაშას კი შეხედა. ჰკითხა ბებერს მაგრამ ამ შეკითხვით იგი ფაშას დაელაპარაკა. ეკითხებოდა დიდედას, პასუხს კი ყაჩაღისაგან ელოდა. ხმის ამოღების დროს თვალები გაუბრწყინდა და ეს ბრწყინვალება ჩოფურ ოღლის შეაფრქვია.

დიდედამაც არ იცოდა, რამდენი ხანი დარჩებოდნენ აქა და იმანაც პასუხისათვის ფაშას შეხედა. ისიც მიხვდა ყველაფერს. მიხვდა, რომ კითხვა მისკენ იყო მიმართული, რომ ქალი მას ელაპარაკებოდა, დინჯად გასცა პასუხი:

— ალი ბეგ აღამ იცის.

როცა ფაშამ ტუჩები დასძრა, ქალმა პირდაპირ შეხედა მას. შავს უღვა-შეშსა და დიდრონ, გადმობრუნებულ, მზეზე დამწეარ ტუჩებში მწკრივად მიწყო-ბილმა, სუფთა თეთრმა კბილებმა გამოანათა. ხმა იყო ვაკეაკური. ძლიერი ტე-ნორი: ვაეის ხმაზე ქალმა გაიღიმა, თავისი თეთრი კბილები დაანახა.

ყველაფერი ეს ერთბაშად მოხდა: არაეის შეუმჩნეველი.

— აჩქარდით. გეყოფათ.— გაისმა ალიბეგ აღას ბრძანება.

თვალის დახამამებზე ყველანი მზად იყვნენ. ყაჩაღები ტყეში შეიფანტნენ.

— თქვენ წადით. უთხრა მან ღურსუნას ოჯახს. დანარჩენებს კი შვის ჩასვლამდის უბრძანა დარჩენა. სამი კაცი დაუყენა ყაჩაღულად. ვიდრე ესენი არ უბრძანებდნენ, დაცარკულები ვიდრე ვერ წაივდოდნენ.

ჩოფურ-ოღლი ცხენს კობტად მოახტა, უნაგირზე გასწორებისას, ჩოხას რომ ქვეშ იკეცავდა, ერთი კიდევ გადახედა ქალს, ცხენს დეზი ჰკრა, ადგილი-დან ერთბაშად დასძრა, წელში მოხდენილად გაიხნიქა და თვალს მოეთვარა.

ეს პირველი არ იყო ალიბეგ აღას ყაჩაღობა. უკვე ხლთი წელია ყაჩაღობს. ყველამ იცოდა, რომ ალიბეგ აღა იყო აქა. ბევრმა ბორჩალოელმა იცნო კი-დევაც ალიბეგაც და მისი სხვა მრავალი ამხანაგიც.

V

მეხუთე თავი

ბაშკირეთის მთებზე მსუქან ბალახზე საქონელი გაშლილი იყო. იალაღზე ცხვრობა თეთრად გაფანტული.

აქა იქ, მთებზე, ლურჯად მობიბინე ბალახზე აშოტილი მწყემსი მოსჩანდა: ფარას დასდგომოდა თავზე და არწივივით თვალს ავლებდა იქაურობას. ყოველ მწყემს მხარზე თოფი ეკიდა. ილიაში კომბალი ჰქონდა ამოჩრილი. თავზე ბან-ჯღველიანი ქუდი ეხურა. სიცხეში ბევრს ტყავიც ეცვა სიგრილისთვის.

ბაშკირეთის ბალახის სუნი იქაურ ერბოსა და თავლსაც კი ასდის. მსუქა-ნია და მდიდარი ეს მთა. ბინები შორი-შორს იყო ერთმანეთზე დაშორებული. ყველგან ბოლი ტრიალებდა. ყველგან სიცოცხლე იყო და ის უდარდებლობა, რომელიც თავის საცხოვრებელ ადგილას მოშორებულ კაცს აქვს, როცა ნებით მო-



დის სასიამოვნო. ადგილას იქ, სადაც ბინა იყო, ბალახის სუნი ^{გარკინის} სუნი
ეროდა.

ერთი კვირის შემდეგ ალიბეგ ალაც მოვიდა აქა. დურსუნ ალას ოჯახის
შეწყუბებისათვის ბოდიში მოსთხოვა.

ეს ორი ალა ბიძაშვილები იყვნენ. დურსუნ ალას ძენწის სახელი ჰქონდა
გავარდნილი. მისმა ბიძაშვილმა ქონების შექნა თუ ყაჩაღობით დაიწყო, დურ-
სუნამ მომჭირნობას მიჰყო ხელი. ბევრს არა ხარჯავდა. ცხვრობას ამრავლებდა.
მოჯამაგირეებს იაფად ქირაობდა შინ საფუფუნოს არას გააწაწინებდა და მისი
ქონებაც მრავლდებოდა. დალოცვილია ცხვარი: თუ კარგად მოუვლის შატრონი,
დიდ სიმდიდრეს შესძენს. ეს იცოდა დურსუნ ალამ და სკდილობდა მის მომრავ-
ლებას. უკვე ხუთი ათასი ცხვარი ჰყავდა, მაგრამ ეცოტავებოდა.

ბაშვიჩეთში წელს მან ერთხელ კიდევ დაინახა, რომ მერმის აქეთ წამოსვლა
აღარ ეღირებოდა. ამას ალიბეგ ალაც ჩიოდა. ამ რამდენიმე წლის წინად აქაც
ის მოხდა, რაც ბარში. ვილაც შევიცარიელი გერმანელები მოვიდნენ. საუკეთესო
ადგილები დაიჭირეს და გერმანულ ყაიდაზე გამართეს ფერმა. დიდრონი,
გრძლად გაჭიმული, სუფთა და ნათელი გომები ააშენეს. აქაც მოიყვანეს ჯიშია-
ნი ძროხები. აქ შენობებს ყოველ წლივ უმატებდნენ. ალაღარების ძროხები ამათ
ძროხებთან შედარებით ხბორებსა ჰგავდნენ. დურსუნ ალას ბულა კამეჩი ამათმა
ხარ-ბულამ დააშავა. აღარ გამართლდა ანდაზა: კამეჩის მარქენალ ხარს რქები
არ შერჩებაო. ამ მთიდან ნელ-ნელა დაგორდა შევიცარულ ყველის დიდრონი
ბორბლები და ტფილისის ბაზარი გაავსო.

ხედავდნენ ალაღარები, რომ აქ, მთაში გერმანელების კაპიტალი ძლიერ-
დებოდა, იქ, ბარში კიდევ სომხებისა. კარგად გრძნობდნენ და შიშობდნენ თა-
ვის მომავალს. მართლაც და ორი ათეული წლის შემდეგ აქ ერთი გერმანელი
ათას რვაას ჯიშიან ძროხას სწველიდა. სამოცდახუთმეტი სული ჩამომავლობა
ჰყავდა. ჰქონდა ელექტრონი, სასახლეები, მანქანები.

ნელ-ნელა იღვენებოდა აქედანაც ალაღარობა.

მართლაც და შემდეგ წელს ამათაც უნდა მიჰბაძონ სხვა ალაღარებს და
გავიდნენ ერევნის მთებში, ახალქალაქში, ოსმალეთისაკენ.

ერთ საღამოს ალიბეგ ალამ კარავიდან გაიხედა და შორს ქვაზე ჩამომჯ-
დარი კაცი დაინახა. პატარა დანით ჩხირსა სთლიდა. ფეხთ წინ მოკლული
მშველი ეღო. ეტყობოდა ფიქრში იყო გართული და ჩხირს მხოლოდ გულის
გასაყოლებლად სთლიდა.

ალიბეგამ თვალებზე ხელი მიიჩრდილა და გაჰხედა.

— ჰაი, ფაშა! რა ამბავია?

ფაშა წამოდგა, ქამარ-ხანჯალი გაისწორა და ალასთან მივიდა.

— ალაჰ სალასან! — მიესალმა ფაშა.

— რას აკეთებ აქა? აქ რა გინდა.

— ისე ცოტა გავინადირე და მშველი მოვკალი. — უბასუხა ფაშამ და მოკ-
ლულ ნადირს თვალი გადაავლო.

— მერე?

ქართველები

— ერთი რამ მინდა გთხოვო: ნება მომეცი ეს ქოქალეფი დურსუნ ალას მივართვა. იმ დღეს ერთი შენ მოგართვი და ეს კი იმისი წილი იყვეს.

— ვგრე იყვეს.— უბასუხა ალამ.— კიდევ რას მეტყვი? — შეეკითხა, რად-განაც შეატყო, რომ სათქმელი კიდევ ჰქონდა რალაცა და ვერა ჰხედავდა.

— მერე ისა, რომ დურსუნ ალას მწყემსი მოუკლეს.

— მოუკლეს.

— იმას მწყემსი სპირდება.

— მერე ვინ გინდა დაუყენო?

— არავინ, მაგრამ... ჩემი ხომ ნდობა გაქვს.

— დიდი ნდობა მაქვს.

— მეც მინდა შენი იმედი მქონდეს. კიდევაც მაქვს. შენი წყალობით არაფრის მქონემ ბევრი რამ შევიძინე. კიდევაც შევიძენ. ათი სული ცხვარი მყავდა და ეხლა ხუთასი მყავს.

— მერე რა გინდა?

— დურსუნ ალასთან მითავდებე.

— რაში?

— მწყემსად დამიყენოს.

ალამ თვალები დააჭყიტა. წინედ რომ ეთხოვა ფაშას ესა, არ გაუკვირდებოდა, მაშინ როცა ღარიბი იყო. მაგრამ ეხლა რაში დასპირდა? წინედ ღარიბი იყო და მწყემსად ედგა თითონ ალიბეგ ალას. მაგრამ ყაჩაღად გაიამბანა და ჰონება შესძინა. ერთად იძენდნენ ქონებას. ალიბეგ ალა იმდენად საჭონელს არ აფროვებდა, რამოდენასაც ოქროს, ვერცხლს, სამკაულებს, ფულს. მისი ამხანაგები გლეხები კი უფრო ცხვარს იძენდნენ.

ეხლა ეს შეძლებული და გაუჭირვებელი გლეხი ისევ მწყემსად აპირებს დადგომას.

— რას ამბობ კაცო! რად გინდა მწყემსობა. ძველებური მოგაგონდა? შენსას მოუარო?

— იქ პატარა ძმებიც გაუძღვებიან საქმეს. მე შორიდანაც დავიჭერ თვალსა.

— რა უნდა მოგცეს ალამ, რომ ღირდეს იქ დადგომა. ხომ იცი კრი-ჯანგია.

— რაც უნდა მომცეს. ამ ზაფხულს მაგასთან ვიქნები, იმ დღეს მაგის ოჯახის ყარაულად რომ დამაყენე ყველამ დამინახა და თუ რამე მოხდეს და მომგანეს, ვიტყვი, რომ მაგისი მწყემსი ვიყავ და იმიტომ ვუღდექ მაგის ურემს.

— რას ამბობ, კაცო! ქვეყანამ იცის და პოლიციამაც რომ ის საქმე ჩემი ნაქნარი. ყველამ იცის, დურსუნ ალა ჩემი ბიძაშვილია და არ გავკარცვადი. რისა გეშინიან?

საშიში აღარც იყო არაფერი. მას შემდეგ უკვე სამი კვირა გავიდა. პოლიციამ გაჩხრიკა, ბინები, ალაბეგ ალას ბინაც, ყველაფერი გააკეთა პოლიციამ რაც შეეძლო. ალაბეგ ალა და ფაშა მაშინ ტფილისში იმალებოდნენ. როცა

ყველაფერი და ყველანი დამშვიდნენ, მაშინ მოვიდნენ მთაში, პოლიტიკა პირდაპირ ეტუზნებოდა და ცარცულებს:

— ვიცი, რომ ალიბეგ აღას საქმეა თქვენი დაცარცვა, მაგრამ ცარიელი ცოდნით რა გამოვა. დაქვრია საქმე. იმას კი ვერაფერს დაიჭერს, თუნდ ერთი პოლიკი ჯარიც დავადვენოთ.

ეს იცოდა ფაშამ და მიინც შიშობდა.

ბევრი ხალხი ჰყავს ალიბეგ აღას | დაცარცული, მაგრამ როდის დაიჭირეს მისი ვინმე?

ორი ბოქაული დურსუნ აღას ქირვეები არიან, შეიღებს უნათლავენ. მიზრის უფროსი, გამომძიებელი, ხშირად ყოფილან სტუმრად დურსუნ აღასთან. მათი გამასპინძლება ალიბეგ აღას ხარჯია. ალიბეგ აღას ყველგან ჰყავს თავისი ხალხი: პოლიციაში, გუბერნიის სამმართველოში, ეანდარმერიაში. სად რას აპირებს პოლიცია, როდის საით წავა, როდის გასწვრივას მის სახლს, ყველაფერი თავის დროზე იცის ალიბეგმა.

აღდგომის, ახალ-წელს. შობას, ბაირამობას ბორჩალოდან დაიძვრება ხოლმე საჩუქრები: მიდის ბოქაულთან, მაზრის უფროსთან, მოსამართლესთან, გუბერნატორამდის აღის.

საჩუქრებს ყოველი აღალარი ჰგზავნის.

— ამა და ამ აღალარმა მოგართვათ, მაჰმადიანთა წესისამებრ, ბედნიერ დღეს: ეს ცხვარი, ეს ერბო, ეს კარაქი, ეს პაკეტი, ეს ხალიჩა.

ამ საჩუქრებში ბევრი იყო, ძალიან ბევრი ალიბეგ აღასი. ამის შემდეგ შიში რაღა საჭირო იყო. ყველაფერი ეს იცის ფაშამ და მიინც დამალვას აპირებს, ეხლა როცა დამალვა საჭირო აღარ არის.

ალიბეგ აღამ თვალბეშში ჩახედა ფაშას: შეატყო, რომ ფაშა არაფერს თაღლითობდა, მაგრამ რაღაც აწუხებდა. მოაგონდა აღას, რომ ტყეში ფაშამ დურსუნ აღას ქალი ჰნახა, მიხედა ყველაფერს, ტუჩზე იკბინა, თვალი ჩაკრა და უთხრა.

— კარგი. ეგ ძღვენი მიართვი დურსუნ აღას და დანარჩენი მე ვიცი.

მიხედა ყველაფერს ყაჩაღი, მაგრამ თავის მარჯვენა ხელს, თავის მეგობარს უარი არ უთხრა: რა საჭიროა კარგ ამხანაგს და ვაეკაცს აწყუინოს კაცმა ერთი გოგოს გულსათვის, თუნდაც ნათესავისათვის.

VI

სახიომბი

კაცების ლაპარაკი შეესმა თამამას და კარაგის კარებში თავი გაჰყო, ფაშას ხმა იცნო. ჯერ არ დაჰვიწყებოდა. ის ერთი დალაპარაკება იყო საქმარისი, იქ, ტყეში, გზის გადაღმა, ალეღებულ და დაშინებულ ატმოსფერიაში, რომ თამამას ყურს ეს ხმა სამუდამოთ შეენახნა. გაიგონა თუ არა ეს ხმა, ყველაფერი თვალწინ წამოუდგა, რაც იქ წინახა, ტყეში. ფაშას ხანჯალს ერთგან ვერცხლი რომ ჰქონდა ატრეცილი ისიც კი კარგად ახსოვს.

ფაშას ხმამ ერთბაშად და მოულოდნელად გაუგრძელა ქნსტონ და თავი კარებში გააყოფინა. მამის დანახვაზე დამფრთხალ მშველივით შეკრთა და ისევ შეჭყო თავი კარავში.

მოკლული მშველი კარებში იგდო. თამამას ერთბაშად გაუელვა აზრმა, რომ ეს საჩუქარი მისთვისაა აქ მოტანილი და არა მამისათვის. ამ აზრისა შერცხვა კიდევ.

— მაგრამ მე რომ საქმრო უკვე მყავს, გაიფიქრა თამამამ. ეწყინა, რომ ჰყავს საქმრო და ეს საჩუქარი მისი ვერ იქნება.

ხალილ ალა, თამამას დეიდაშვილი, კადეტთა კორპუსში სწავლობდა; მესამე კლასიდან გამოაგდეს, ზარმაცობისათვის, მაგრამ რუსული მაინც ისწავლა. კობტა იყო, ლამაზი. თამამამ იცოდა, ხალილ ალას ცოლი გახდებოდა, იცოდა და თავის ხვედრს გულდამშვიდებით ელოდდა.

განა ფაშამ კი არ იცის, რომ ქალს სხვისთვის ამზადებენ? ან რად მითხოვებენ თამამას უბრალო გლეხს, როცა თავისიანი თხოულობს.

მაგრამ ფაშამ თავის თავს უთხრა: ფაშას ან ფაშა უნდა ერქვას, ყაალდი უნდა იყვეს და თამამაც იმისი, ან არა და ფაშა აღარ იქნება.

ამისათვის კი საჭიროა, ისეთ დონეზე დადგეს, რომ თამამას ღირსი გახადონ. ჯერ კიდევ ლარიბია ფაშა. მაგრამ გამდიდრდება და მაშინ ადვილი იქნება, ქალის თხოვნა. თუ ქონება ექნება დურსუნ ალა ადვილად გაიმეტებს მისთვის ქალს. ეხლა ისეთი დრო მოვიდა, რომ ყველაგან და ყველაფერში ფულია წინ. ალიბეგ ალასთან ამხანაგობა ბევრს შესძენს, მაგრამ სხვაფრივადაც უნდა გაისარჯოს, ამ ზამთარს ვაჭრობა უნდა დაიწყოს. ქალაქში გაიტანოს საქონელი სოფლიდან და იქიდანაც მოიტანოს, ფულს მოიგებს, სახლებიც უნდა ააშენოს. ქვეყანას უნდა დაანახოს თავისი უნარი და ქონება.

მთაში ხალილ ალა სტუმრად მოვიდა. თამამას დეიდაშვილი და საქმრო.

ერთად იყვნენ შეზრდილები, ერთად ბევრი უთამაშნით ბავშვობაში, თამამა შეხვდა ნათესავს და არა საქმროს, ისე, როგორც ყოველთვის შეხედება თათრის ქალი თავის ნათესავს საქმროს. ერთად შეზრდილთ, ნათესაურ გრძობებით საესეთ, როგორც საქმრო ან სასძლო ერთმანეთი აღარ აინტერესებთ.

ხალილ ალა უსაქმოდ დადიოდა მთაში, ნადირობდა, პაპიროსს ეწეოდა. ეს სუნი ეჯავრებოდა თამამას. მის ქვეყანაში იშვიათად თუ ვინმე ეწევა თამბაქოს. გამუდმებული ციება, ამის ხალისს უკარგავს, ხალხს.

მამას ენანებოდა თავისი ნებიერი ქალი ხელში ჩაეგდო ამ უსაქმურ კაცი-სათვის. ამიტომ ქორწილს აგვიანებდა, პირობას უდებდა ხალილ ალას დედას: გამოსწორდეს შენი შეილიო.

ფაშამ იცოდა ეს და რალაცის იმედი ჰქონდა. დურსუნ ალამ ორი წელიწადი ვადა მისცა. ამ ხანში ვნახავ გამოსწორდება თუ არაო.

ხალილ ალა სოფელში არ ჩერდებოდა. ქალაქში იყო გაჩვეული. აქ ღვინოსა სვამდა, ქალაქს თამაშობდა და ქალებში იყო გართული. ეს იცოდა დურსუნ ალამ და არ მოსწონდა სასიძო, მაგრამ მოსწონდა ის, რომ ხალილ გასული იყო, რუსული იცოდა, „განათლება“ ჰქონდა მიღებული.



— სამსახურში შევიდეს. ჩინ-ორდენებს მიიღებს. — არჩევნება წინასწარ ცოლის დას დურსუნ ალა.

ხალილ ალა კი დედას სულ ფულსა სთხოვდა. დედას ერთად ერთი ვაგი ჰყავდა და ქერივი ამყობდა ვაგს, რომელსაც რუსული იცოდა და რომელიც კარგ ხალხში ტრიალებდა. მისი შვილი ჩობანი არ იყო.

— ჯეელია, ვაჟაკია. მაშ რა უნდა გააკეთოს, სოფელში რად დაჯდეს. — დედა ამართლებდა შვილს დურსუნას წინაშე, ცოლს შეერთავს და დაქორწინდება, შენი ბრალია, კაცო! რად აგვიანებ ქორწილსა, შენს ქალს ქალაქში აცხოვრებს.

ხალილ ალას კი გულით უნდოდა თამამა შეერთო: კარგი მზითები მოჰყვებოდა, ხალილას დედასაც ამაზე ექირა თვალი.

შემოდგომაზე მართლაც დაიწყო ვაქრობა ფაშამ. უფრო უხშირა ფაშამ ქალაქისაკენ დატვირთული ურმების გზავნას; მოდიოდა ყველი, ერბო, მატყლი, მოდიოდა საქონელი. ჩალვადრობდა. მოჰქონდა მარილი, ფართალი, ჩაი-შაქარი. დუქანი არ გააღო ფაშამ: რაც უნდა იყვეს „დუქანიჩი“ დაერქმეოდა და ამით შეიძლებოდა, ვინ იცის დამფრთხალიყო დურსუნ ალა.

ალიბეგ ალა თავის საქმეს აძლიერებდა. მას ხელში ექირა ბორჩალო, ბაქოს და ერევნის გუბერნიები, ყარსი, ახალქალაქი, ოსმალეთის რუსეთთან მოსაზღვრე პროვინციები. იქ დატაცებული საქონელი კავკასიაში გადმოჰყავდა და აქ მოტაცებული კიდევ ოსმალეთში. ოსმალეთსა და რუსეთს შორის ბევრჯერ იყო მიწერ-მოწერა ამ ყაჩაღობის გამო: რუსეთის. აღმინისტრაცია ოსმალებს აბრალეზდა ყაჩაღის შენახვას და ოსმალეთი რუსეთს. ამ ყაჩაღობაში ფაშა დიდ ერთგულებას იჩენდა.

იმ ზამთარს ოსმალეთიდან ორასი სული საქონელი გადმოასხეს. ზოგი ბაქოში გაასალეს, ზოგი კავკავში, ზოგი ტფილისმა შექამა. ამ საქმემ ხუთი ათასი მანეთი შესძინა ყაჩაღებს. ფაშას თავისი წილი ერგო.

მდიდრდებოდა ფაშა. ხალილ ალა კი ფულს ჰჟღერებდა.

თამამა მწიფდებოდა და ლამაზდებოდა. ჩოფურ ოღლის უფრო მეტი ნდომა მოსდიოდა.

VII

მოხრობული მტერი

ალიბეგ ალა სახელმწიფო ფოსტას ხელს არ ახლებდა. მოხელეებს არ გაცარცვავდა და ამით მთავრობის გულს იგებდა. კაცს არ მოჰკლავდა და მოსიხბლე მტერი არა ჰყავდა.

მხოლოდ სადრადინას ნათესაეები ჰყავდა მტერად. მაგრამ ესენი ვერას ჰხედავდნენ. ეხლა ძალიან საშიში იყო ალიბეგთან შებმა, მაგრამ მტრობა მაინც იყო. ამისი ეშინოდა ალიბეგს, მოკლულის ნათესაეებს ყველას შეურიგდა, ყველას მისცა ვისაც ერგებოდა შესარიგებელი. სადრადინას ნათესაეებს ერჩივნათ სისხლის აღება, მაგრამ იმ ძლიერ ყაჩაღის ჩამომტერება ძნელი იყო, იმას

მთავრობაც ვერას აკლებდა. ალიბეგას ბევრი ჰყავდა ნათესაო და მომხრეები და სისხლის აღებით აქ ვერას გახდებოდნენ, სამაგიეროდ ბევრს მრავალი სიკეთე უყო ალიბეგმა.

ვინც ქურდი პოლიციას ემალებოდა, ვინც კაცის მკვლელი მათ სისხლს გაუბრუნებდა, ვისაც ქალის მოტაცება უნდოდა, ყველას ვინც იყო დამნაშავე ალიბეგთან ვარბოდა. ზოგს მწყემსად იყენებდა, ზოგს ნათესავეებში დააყენებდა მოჯამაგირედ და ამის შემდეგ ხელის მზღებელი ალარავინ იყო.

მხოლოდ სადრაღინას ძმა ვერ მოიშინაურა ალიბეგმა. ამან არ გააჰყიდა ძმის სისხლი

— არც ფული მინდა მაგისი და არც ხელს ეახლებ! — ამბობდა იგი.

მაგრამ ალიბეგმა იცოდა, რომ სისხლის აღებაზე ალი უარს არ იტყოდა. რაკი შერიგება არ უნდა, მაშ სისხლის აღებას აპირებს. თუ ეხლა არა, როდისმე, სადმე, მოატანს ალიბეგას, ან მის შვილს. ან ვასცემს, სადმე უნებლიედ პოლიციის ხელში ჩაადგებს, ვინ იცის. მტერს ბევრი რამის ჩადენა შეუძლიან. შევიდი წელია მას შემდეგ, რაც სადრაღინა მოკვდა, მაგრამ ეს არაფერსა ჰნიშნავს.

კარგად ახსოვს ალიბეგს ერთი ღამე ამ ოთხი წლის წინედ. ძალღებმა ზავზე დაიწყეს და როცა ალიბეგმა თვალეზი გაახილა, მთელი სოფელი განათებული იყო. მინდორში მისი ძმა იწოდა. ყველა მიხვდა ვინც იქნებოდა წამკიდებელი. ყველა ალიას ასახელებდა. ორჯელ მოხდა ასეთი ამბავი, მაგრამ ალიბეგმა ალიას აპატია, რა უყოს. მოჰკლას? არ ვარგა. ამით მთავრობა გაჯავრდება, კაცის კვლა კი თავის ხელით მას არ უნდოდა. შიში კი ჰქონდა ამისი. ალიბეგს ის აბრაზებდა, რომ მისი ყველას ეშინოდა და მას კი ალიასი.

ალი ბეგ ალას უნებური ყაჩაღობა ბორჩალოში არ მოხდებოდა. ყოველთვის იცოდა სად ვინ გაიცარცვებოდა, ვინ იქნებოდა გამცარველი, რას წაიღებდნენ და სად, თუ ვინმე გაპბედაედა რამე წვრილმან ყაჩაღობას, სულ ერთია ალიბეგ ალას დააბრალებდენ, ბევრჯელ დახმარებია ალიბეგ ალა პოლიციას თავისი ჩუმი აგენტების წყალობით და ბევრი ავცაცობა, ბევრი მკვლელი უპოვნინებია. ისე მისდიოდა პოლიციას ეს ცნობები, რომ ვერ იტყოდა საიდან იყო, მაგრამ იცოდა კი. ალიბეგ ალასაგან მოდიოდა.

იალუჯაზე ერთ ღამეს მეურმეები დაიცარცვენენ. პოლიცია კვალმა ცხვრის ნავალში მიიყვანა და აქ დაკარგა კვალი. უპირველეს ყოვლისა ეჭვი ხალილოვზე მიიტანეს. მაგრამ როცა დაჰკითხეს დაცარცულებს, გამოირკვა, რომ წაღებული იყო სულ ოცი მანეთის ქონება.

— არა ეს ალიბეგის საქმე არ არის. ამისთანა წვრილმანზე ხელს არ გაიგრიდა.

ჩოფურ ოღლიმ ალას ყველაფერი დაწვრილებით შეატყობინა: ვინ იყვნენ ყაჩაღები, რა წაიღეს და საით წავიდნენ, მერე დაუმატა:

— ალიას იქვე აქვს ბინა. რას იტყვი, ალა?

— ალა დააკვირდა ჩოფურ ოღლის, მიუხვდა აზრსა.

— ყოჩალი ხარ ფაშაე! მონახე დაცარცულები და მომიყვანე.



ქართული
საზოგადოებრივი
მეცნიერებათა
ინსტიტუტი

რამდენიმე დღის შემდეგ სამი გაცარცული გლეხი აღას პარაკებოდა.

— რამდენისა წაიღეს? — ეკითხებოდა ალა.

— ბევრი არ იყო, აღავ! სულ ათი თუმნის საქონელი იყო.

ხალილოვს გუნებაში ჩაეცინა, მაგრამ თავი არ აჩვენა. კარგად იცნობს ბორჩალოელს: გატაცებული ორ თუმნისა არის და ესენი ათ თუმანს ამბობენ. რატომაც არა სთქვან, თუ აღიბეგ ყაჩალი დაეძებს ამ საქმეს, შეიძლება იპოვნოს კიდევ ყაჩაღები და შეიძლება დაკარგულის ანაზღაურებაც მოხდეს.

მიუხედა თავის მიწაწყლის ხალხს აღიბეგა. არ გაჯავრდა. მერე რა არის? კაცი მუდამ თავის სასარგებლოს ეძებს. ვინც სად რას მოასწრებს, იქ უნდა ააგლიჯოს ცხოვრებას, რის აგლეჯაც, შეიძლება. ასეთია აქაური მზრის მორალი.

— ვინ იყვნენ, არ იცით? ჩოზნები ხომ არ იყვნენ? იმათ იციან იალღუჯაზე ეგრეთი წერილმანი ხუმრობა.

— რა ვიცით, სხვა ვინ იქნებოდა. ჩვენს გასაცარცვათ იალღუჯაზე შორეული ვინ მოვიდოდა.

— რომ გაჩვენოთ, იცნობთ?

გლეხები შეფიქრიანდნენ: ეს ალა ყაჩაღთა მეთაურია. ვინ იცის ამისი კაცებიც იყვნენ და რომ ვთქვათ ვიცნობთო, უბედურებაში ჩაეცვივდებით.

აღიბეგმა შეატყო ეს ყოყმანობა. ძალიან კარგად იცნობდა ბორჩალოელს, და მისი სულისკვეთება ვერ გამოეპარებოდა.

— სთქვით ნუ გეშინიათ. მე ვიცი ვინც იყო, მხოლოდ საბუთია საქირო.

— რომ ვნახოთ, იქნებ ვიცნოთ.

— საით წავიდნენ ყაჩაღები?

— ბინებისაკენ.

— რომელ ბინისკენ?

გლეხებმა ერთმანეთს გადახედეს, ვინ გაიგებს ამას. იალღუჯაზე, მთის დაკეხულ კალთებზე ბევრი ბინაა. ძნელია იმის გაგება თუ რომელ ბინისკენ წავიდა კაცი. დღე კიდევ შეიძლება ამის გარჩევა, მაგრამ ღამე, როცა გზა არა სჩანს, ვის შეუძლიან ხელი სწორედ გააშვიროს. ვინ გააჩევედა ბნელში, რომელ ბინისკენ წავიდნენ ყაჩაღები.

ამ ყოყმანსაც მიუხედა ხალილოვი გლეხებს.

— როგორ გგონიათ მაჰამედ ოღლის ბინისკენ არ წავიდნენ? — შეეკითხა მათ ალა.

ალამ სთქვა, ვიცი ვინც იყვნენ მცარცელებიო. ეხლა ამბობს, რომ მაჰამედ ოღლის ბინისკენ წავიდოდნენო.

— კი მაგრამ... აღიასი მაგისტანა საქმე არ გაგვიგია.

— მერე ვინ ამბობს რომ მაჰამედ ოღლი ყაჩაღი იყვის. ან ვინ გააჩერებდა იმას აქა, მაგისტანა შნოსი რომ იყვის. მე გეკითხებით იმის ბინისკენ წავიდნენ თუ არა.

— იქით წავიდოდნენ, მაშ საით წავიდოდნენ.— უპასუხეს გაქცეულმა.

— კარგი წადით. თუ დაგკითხონ ეგრე მართალი უთხარით.— ფაშავ გააცილე. დანარჩენი მე ვიცი.

ფაშამ გააცილა დაცარცულუები. აღასაგან მიცემული ხუთ-ხუთი მანეთი დაურიგა. გლეხები თავის ქნევით წავიდნენ. მეორე დღეს კი პოლიციამ უკვე იცოდა, რომ ალიბეგ აღამ ყაჩაღების კვალს მიაგნო. ისიც გაიგეს, რომ ყაჩაღები გაცარცვის შემდეგ აღი მაჰამედ ოღლის ბინისკენ წასულან.

გაცარცულუების ყურში ალიბეგ აღამ სიტყვები და აზრები რომ ჩააწვეთა, — აგორდა ის რაღაც ნათქვამი, ერთი პირის ნათქვამი მეორემ სთქვა, ერთი ყურის განაგონი მეორემ გაიგონა და ბოლოს ყველა ლაპარაკობდა, იმ ღამის ყაჩაღი მაჰამედ ოღლი ყოფილა, აღი.

საიდან წამოვიდა ეს ხმა არავინ იცოდა. მაგრამ აგორებული ჭორი გაიზარდა, გაიზერა და ალიას ბინასთან მიგორდა.

სამი დღეა ეს ხმები ესმის ალიას და გული უსქდება: ვინ ჩაპრია ამ საქმეში, ვინ დაიდო მისი ცოდო. ვინ არის ასეთი მტერი.

— აღი, ბიჭო, შენ გაბრალებენ იმ ამბავსა.

— აღი, ბიჭო, რა შენი საქმე იყო ყაჩაღობა.

— აღი, მართლა, ათასი თუნწის საქონელი წამოიღეთ?

ხან ვინ ეტყოდა და ხან ვინა.

— მე რა შუაში ვარ, ვინ ნახა ჩემი ყაჩაღობა.

— ასეა, შენ ყაჩაღი არა ხარ, მაგრამ ხელი რომ დაგადონ.

— მართა ხელის დადება ზომ არ არის საქმე, სხვა საბუთიც უნდა იყვეს.

— ჯერ ეგ საბუთია საკმარისი და მერე სხვა იქნება. ჩავარდები კია.

— მოდი გადიკარგე. დაიმაღე.

თავგზა დაეზნა ალიას.

მოხუცმა ბიძამ საღამოთი ამბავი ამოუტანა:

— ალიბეგ აღა ამბობს, ალიას აბრალებენ მაგ გაცარცვას, მაგრამ ნუ შეშინდებო. ვიცი რომ ეგ არ არის დამნაშავე და არც არაფერი დაუშავდებო. არ გაბრიყვდეს და არ დაემალოს პოლიციას, თორემ უარესი იქნებო.

— რას ამბობ, ბიძაე! მთელი ხალხი იმას მეუბნება, თუ პოლიციას ჩაუვარდი ხელში, ალიბეგ აღა აღარ დაგინდობსო. ეხლა ის თავის პირით მითვლის — ხელში ჩაუვარდე პოლიციას? აშკარაა მერე იმდენს ეცდება ალიბეგი, რომ ციხეში დამალბონ ან ციხიბირში გადასკარგონ.

— ალიბეგმა ისიც შემოთვალა, მე თითონ დავიხსნი, ნუ ეშინიანო.

— მერე, დაეჯერება რამე? მტერია ჩემი და მტერი მტრის დამარცხებას სცდილობს, ბიძაე.

რა უდევს გულში ხალილოვს? ალიას დაღუპვა თუ მისი გულის მოგება? ვინ იტყვის. როგორ გაიგოს ეს ჩობანმა, რომელსაც ცხვრის და კომბლის მეტი არა უნახავს რა, რომელსაც რუსის ზაკონით ისე აშინებდნენ პატარაობიდანვე. როგორც კუდიანებით.



ბოქაულმა დაიარა სოფელი, ყველა მარჯვე ბიჭი დაარჩია, ჩაქვინა და მათ დააბრუნა და ალიას ბინისაყენ გაემართა. ფაშა ჩოფურ ოღლი პირქელს გასაქა ბოქაულს. საჭირო დარიგება უკვე ჰქონდა ალიბეგასაგან.

ვათენებისას შორიდანვე დაინახა ალიმ შეიარაღებული ცხენოსნები და ბოქაული. ორთავ მხრიდან მოდიოდნენ და ბინას ალყას არტყამდნენ.

დარდიანი, შეშინებული და მთელი ღამის უძილო იყო ალია. ჯერაც არ ჰქონდა გადაწყვეტილი, როგორ მოქცეულიყო და ამ დროს თავს წაადგნენ. მოსაზრება დაეკარგა. ეხლა მხოლოდ თავის გადარჩენის აზრი უტრიალებდა თავში. მხოლოდ ის რჩევა მოაგონდა, რომელიც ბევრმა უთხრა: თავს უშველეო. ხელიდან კომბალი გაავდო და გაიქცა. ვილაკის უბელო ცხენს მოახტა და მთისკენ გააქენა. ასტყდა სროლა. მინდორზე ცხვარი დაბრთხა. შეშინებული მწყემსები მიწაზე გაწვნენ და გაინაბნენ. ჩოფურ ოღლი ბოქაულს გვერდში მისდევდა.

— მიდი, დაეწიე, კაცო! ესროლე.— ბრძანებდა ბოქაული.

ფაშამ ცხენი დააწინაურა, მარჯვედ ესროლა თოფი და გაქცეული ბუჩქნარში გადაყირავდა.

— აქი შევეთვალე ნუ შეგეშინდება მეთქი. იმასთან მტრობა მე ხომ არა მქონდა, ის იყო ჩემი მტერი. რაზე შეაკლა თავი სისულელეს. მერე რა კარგი ბიჭი იყო. ჩემი ტყუილად ეშინოდა: რომ რამე მდომებოდა, განა აქამდის ვერას ვუზამდი.

დიდი სინანულით ამბობდა ყველგან ყაჩაღი ალიბეგა.

მაგრამ ფაშამ დიდი სიკეთე დასდო ალიბეგს: მტერი მოაშორა და ამაში ალიბეგა არ იყო დამნაშავე.

ალიას მოკვლა ჩაფრებს დააბრალეს: ერთმა ჩაფარმა ჯილდოც მიიღო. მნახველი კი არაფერ იყო: თოფს ჩაფრები ისროდნენ. ჩოფურ ოღლის არა დაბრალდა რა.

VIII

გზა ხანოლი

თამამა თექვსმეტი წლისა ხდებოდა. ქორწინების დრო ახლოვდებოდა. მაგრამ მისი მამა არა ჩქარობდა: ხალილი ალა არ გამოსწორდა. მართალია თავს იკავებდა. ეს ზამთარი სოფელში გაატარა, მაგრამ სასიამაორო ატყობდა რაც იყო და იმედი არა ჰქონდა: ვერც გადაწყვეტილი უარი ეთქვა: ხალილას კარგი სამსახურის მიღება და წინწაწევა შეეძლო. ასე ჰფიქრობდა დურსუნა. მხოლოდ ცოტა მოკვიანება იყო საჭირო. ეს კი ხალილ ალას ვერ უხერხდებოდა.

სასიძოს თამამა არ აინტერესებდა. ბევრი ქალი ჰყოლია ხალილს ქალაქში და ზამი არ იყო. თამამაზე უკეთესები ეხლაც ჰყავს. კარგი მზითვის იმედი აქვს თამამასაც თავისი დეიდაშვილი საქმროდ არ აინტერესებდა: მის გულში ნათესაური გრძნობა სკარბობდა იმ გრძნობას, რაც დანიშნულ ქალს უნდა ჰქონდეს თავის საქმროსადმი. ამიტომაც იყო, რომ ახალგაზრდა ხანუმა ხალილ

აღას ისე უცქეროდა, როგორც უცქერის ქალი ყოველ საცემს. როცა ეს ვაეი საქმროდ არა სურს, მაგრამ არც წინააღმდეგია ამისი. თავის კოორდინაციას არა ჰფიქრობდა თამამა. ამას იგი ისე მოელოდა, როგორც მოელის სადღის ის აღამიანი, რომელსაც არა ჰშიან და იცის რასაცა სჭამს ამ სადღიზე.

მამა არას ამბობდა ამ ქორწილზე. მაგრამ დედას უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა და ნატრობდა იმ დროს, როცა მისი დისწული და მისი ქალი ერთმანეთისანი გახდებოდნენ.

დედისაგან გაიგო გადაწყვეტილი, შემოდგომაზე აღბად იქნება ქორწილი.

ამის გაგონებაზე, ერთბაშად, როგორღაც სასაცილოდ გაიქნია თავი ქალმა, ამ გაქნევით თითქოს რაღაც ახალი ფიქრები აუშობრავდა.

— გამივია, ქალს ყველას უბარიათ ვათხოვებო. მე რატომ არ მიხარიათ? ხალილ აღასთანა საქმრო ბერს ენატრება ბორჩალოში. რატომ მე არ მიხარიათ? ამბობენ, როცა ქალს თავისი ვათხოვება არ უხარიათ, ბედნიერი იქნებაო. როგორ უნდა ვიყვე ბედნიერი, თუ ქმარი არ მიხარიათ. ვინ უნდა გამახაროს თუ არა ქმარმა? სონა ხანუმს ძალიან უხაროდა ვათხოვება. აღი კიზი გულნარასაც.— ასე ჩამოსთვალა მან ყველა თავისი ამხანაგი, ვინც ვათხოვილი ჰყავდა, ვისაც ვათხოვილი ქალის გულის თქმა უამბნია მისთვის და ვისი პატარძლობის სიხარული უნახავს, ყველა რაღაცას განიცდიდა. თითონ კი არაფერი აქვს გულში.

— იქნებ სხვა რომ იყვეს საქმრო უფრო გამეხარდებოდა? აბა ვინა? ვინ გამახარებდა.— ახლა კიდევ ვაეები ჩამოსთვალა, საცოლეები: ბიძაშვილები, მამიდაშვილები. სხვა დეიდაშვილები. ყველა უყვარდა ნათესაობით, მაგრამ საქმროდ არავინ ახარებდა.

— რათ? რატომ არავინ ახარებს? ვითომც არავინ არის ისეთი რომ გამახაროს?

თავი დაანება ნათესაეების ჩამოთვლას და ახლა უცბონი ჩამოთვალა: ადილ აღა, მეელიუდ აღა, იბრაჰიმ ხალილ სოიუნ ოლლი,— თითებს ჰკეცავდა თამამა, მაგრამ არავინ ახარებდა: სამად სამად ოლლი, აღი ფაშა ოლლი, ფაშა?— გაიფიქრა ქალმა: ჩოფურ ოლლი!

რამდენი ხანია აღარ ვახსენებია ეს კაცი. ის გრძობა, ის ღიმილი, გულის ის კანკალი და სიამოვნება, რაც ამ ორი წლის წინად განიცადა ქალმა იქ ტყეში, ყველაფერა დავიწყებული იყო. ფაშა მხოლოდ ერთ ზაფხულს დარჩა მათთან მწყემსად, შემდეგ თავი დაანება: მწყემსობა ვაჭრობაში ხელს შეუშლიდა. ეს კი გამდიდრებას მოაკლებდა. ზამთარში აღარც ღირდა მწყემსად ყოფნა იმ მიზნისათვის, რა მიზნისათვის დაუდგა დურსუნ აღას. მთაში მუდამ ახლო იყო ბინასთან და ქალს ხშირად ხედებოდა. ბარში კი ასე აღარ იქნებოდა.

რაკი თვალს მოშორდა ფაშა, ქალის გულმაც დაივიწყა. როგორც საქმრო ფაშას თამამას გულში არასოდეს გაუვლია. იცოდა უკვე ხალილ აღას დანიშნული იყო და რაღა საქმრო იყო სხვა საქმროზე ფიქრი. იცოდა, ფაშა რაშპარი იყო. მიწის მუშა და ყაჩაღი და მამა იმისთვის არ გაიმეტებდა ქალს.



ფაშას უკვე ჰყავდა ერთი ცოლი და მამა კი თავის ქალს მეორეც კი უკვე დაჰყოფის მიათხოვებდა. დაეიწყებოდა იყო ფაშა და ეხლა, ვაჟებს კი უკვე უკვე უკვე ერთბაშად მიაწყდა და გონებაში სადღაც მიმალული, ოდესღაც ნანახი სურათები წარმოეშალა.

— ფაშა! ჩოფურ ოღლი? აი ამისთანა საქმრო გამახარებდა.

რაც უფრო მეტსა ჰფიქრობდა თავიშე, მით უფრო რწმუნდებოდა, რომ ფაშასთანა კაცი გაახარებდა, მაგრამ ფაშას ცოლი გაეხდემო, არ უფიქრია: ეს ხომ უკვე შეუძლებელი იყო.

ამ ზაფხულს დურსუნ აღას ოჯახი ლალვარის მთებზეა. მალაღია ეს მთები. ხშირად იცის ბურუსი. ნოყიერია აქ ბალახი. ქვემოდ ტყიანია. მწვერვალი კი ბალახიანი და მწვანე. აქ არის ჩოფურ ოღლიც. მაგრამ სულ სხვა გუნება-ზეა. ველარაფინ სცნობს ფაშას. თითქმის აღარავის ეკარება. ბინებში ხმა გაავარდა, ცოლს გაეყარაო, ოცდაათი თუმანი მისცა, ოცი სული ცხვარი, ძროხა. ეს ათჯერ მეტი იყო იმაზე, რაც ფაშას ქებინში ეწერა—ქორწინების ქალაღღამი, ჯარიმა, თუ რამდენი უნდა გადაეხადნა ცოლის სასარგებლოდ, თუ გაეყრებოდა. მოულოდნელი იყო ეს ამბავი. ტკბილი ცხოვრება ჰქონდათ. გაყრისა იმათ არაფერი ეტყობოდათ. შეილიც ვათხოვილ დას გააბარა. მთლად გარდიქმნა ფაშა. ერთი ხანია მოუსვენრობა დაეტყო: სულ რაღაცას ჰფიქრობდა, სულ რაღაცას ანგარიშობდა. გარე-გარე დადიოდა, დარბოდა. დურსუნ აღას ბინას არ ეკარებოდა. საქმე რომ გასწენოდა, სხვას ვისმე გაჰგზავნიდა. ხშირად ბრაზობდა. ყველას ეგონა, რაკი ცოლს ასე უკაბედ გაეყარა, აღბად რაღაც დაეშავა ცოლმა და ამით არის უსიამოვნო გუნებაზეო. რაც დრო გადოდა და ბარში დაბრუნების ქამი ახლოვდებოდა, ფაშას გუნება უფრო უფუქდებოდა.

ფაშამ არ იცოდა დურსუნ აღა რასა ჰფიქრობდა, მაგრამ ყველამ იცოდა რომ თავიშე ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. ხალიღ აღასთან ფაშას მეტოქეობა ვერ გაუფიქროდა. როცა ამას გაიფიქრებდა, ყველაფერზე აყურებოდა ხოლმე გული: ცხვარზედაც, ვაქრობაზედაც, ყველაფერზე. დაავლებდა ხოლმე ხელს საუკეთესო ძროხას ან ცხვარს, დაჰკლავდა და დაავლებდა. ხელს აღარ ახლებდა და მწყემსებს მუქთად მიჰქონდათ ხორცი. მერე კი სინანულში ჩაეყარებოდა, უფრო ბრაზობდა და უკეთეს საქონელს ყიდულობდა.

ამ ზამთარს ერთბაშად დიდი ქონება შეიძინა ფაშამ. ერევნის მახლობლად შექმნილი სომხის ოჯახი ვასცარცკეს. ოქრო-ვერცხლის გარდა, ნაღდი წამოიღეს ხუთასი თუმანი. ამ უფულს სომეხი ბანკში შესატანად ამზადებდა, რაც საქონელი ჰყავდა, გაჰყავდა და ტფილისში აპირებდა ამ ფულით ვაქრობის დაწყებას. მთლად გამოზიდეს ოჯახი: ტანისამოსი, ხალიჩები, სამკაულები, საცვლები, ფარდაგები, ცხენები, საკრავი მანქანები რძლებისა. ასეთი ვაცარცკა ხშირად არ მოხდომიათ. აქედან აღიბეგ აღამ კარგი წილი დაუღო ფაშას.

ვაქრობა, ყაჩაღობა და საქონელი ამდიდრებდა ფაშას, მაგრამ რად უნდოდა ეს სიმდიდრე, როცა თავიშე ხელიდან მისდიოდა.

მთაში ბლომად ჰქონდა მოტანილი მარილი და ჩიი-შაქარი გასასყიდად, აქაც ვაქრობდა. მაგრამ ერთი ჰირობა ამას თავი დაანება და საქონელი უქმად

ეყარა. შერე კი, როცა მოაგონდა, რომ თამამას მხოლოდ ვაჭრებთან შეიძენდა, ისევ დაიწყო ვაჭრობა და ხალხს ტყავს აძრობდა. ბიჭვინჯი

ხშირად შეხვედრია მას მთაში, ტყეში ხალილ ალა, ამ ზაფხულს ისიც აქ იყო, ორლულა თოფით სანადიროდ დადიოდა. ნადირის ხოცვა ეხერხებოდა.

იმ უორან, უკაცურ მიდამოებში მარტო დადიოდა ხალილ ალა და ფაშას ხშირად გაუფიქრია: მხოლოდ ერთი სროლა თოფის წამალი იყო საჭირო და მეტოქე გზიდან გადადებოდა. მაგრამ თუ ცოცხალი ხალილა ედგა გზაზე, მკვდარი უფრო შეუკრავდა თამამასთან მისვლის გზას. მოკლული სამუდამოდ გაიჩხირებოდა თამამასა და მის შუა: სისხლი ჩამოვარდებოდა. ეს მოსაზრება უფრო აზრახებდა ფაშას: კარგი ვეჯაკი, კარგი ყაზალი, კარგი მსროლელი იყო და ხელები უბორკილოდ ჰქონდა შეკრული.

იყო კიდევ მეორე გზა, უფრო იოლი: ქალის მოტაცება. მაგრამ ამასაც ვერა ჰხედავდა, ამისთანა საქმეს ალიბეგ ალას უნებურად ვერ ჩაიდენდა. ხალილოვი კი თავის ბიძაშვილს ასე ვერ შეურაცყოფდა. ქალის მოტაცება კარგია, როცა ქალიც თანახმაა, მოტაცებაც ადვილია და ნათესავებიც მალე რიგდებიან. მაგრამ რა იცის ფაშამ თანახმაა თამამა თუ არა. ვინ იცის რამოდენა მტრობა ჩამოვარდება ამის გამო და თამამასთან მას მოსვენებული ცხოვრება აღარ ექნება. თამამას ნათესავები ატყდებიან. ჩივილს დაიწყებენ. ვინ იცის როგორ უღალატონ ალიბეგ ალას და ყველაფერი დაიფუშება.

ერთ საღამოს დარდიანი მივიდა ბინაზე ფაშა და მოჯამაგირებმა ამბავი დაუხვედრეს: ნემენცისეული ძროხა დაიკარგაო. საუკეთესო ძროხა იყო. ძვირფასად ჰყავდა ნაყიდი. ფაშას აზრად ჰქონდა სულ ასეთი ძროხები მოემრავლებინა. მართალია ეს ძროხა იმდენს აღარ იძლეოდა რამდენსაც ფერმაში, ფაშას ხელში დაჩაივდა ძროხა, მაგრამ მაინც უბრთხილდებოდა. საამაყოდ ჰყავდა.

ბიჭვინჯს მთელი დღე ევლოთ, მაგრამ დაკარგულისა ვერა გაეგოთ რა.

რაც ჯავრი და ბოღმა ჰქონდა გულში ფაშას, მწყემსებზე იყარა. გინებით, ყვირილით, ცემით აიკლო ყველა. პატარა ძმას ისე სცემა, რომ სისხლი აღინა, დედა გალანძლა და საქვეყნოდ კახა უწოდა. ძროხის დაკარგვის ამბავი ყოველმა ბინამ გაიგო.

შუა-ლამემდის იბორცა და იბრაზა ფაშამ და შუა-ლამისას ძროხის საძებნელად წაივიდა. მაგრამ გავიდა თუ არა მთაში, ძებნაზე გული აუტკრულდა. მიხვდა, რომ რაც წელიწადი უბედურება დაახწია მთელ თავის ბინას, მხოლოდ ბოღმის ვადმონახეთქი იყო. ძროხა მას არ ენანებოდა. შეეცოდა ძმა: ბიჭი ისედაც დაღლილი იყო, მთელი დღის ნახეტიალვე. შერცხვა, დედას რომ შეურაცყოფა მოაყენა, თავის ძველ ბოღმას ეხლა ეს ბოღმაც მიუშატა. შორს წაივიდა. ძალიან შორს. მაგრამ ძროხა არ უძებნია. შერე დაწვა სადღაც და დაიძინა.

აღრიანნა მზემ გამოაღვიძა. მიხვდა თავის ყოფას. ეწყინა, ისევ აეშალა დარდები და ისევ გზას გაუდგა. თავს არწმუნებდა ძროხას დავეძებო, თან კი იმასაც ჰხედავდა, იქით არ მიდიოდა, სადაც ძროხის ძენა შეიძლება. სიმშვილს ყურადღებებსარ აქცევდა. სულ ზევით მიდიოდა, სულ უდაბურ ადგილებსაც.

შორს პორიზონტზე ლურჯი მთები მოსჩანდა. დასავლეთით შულავერი ლაქასავით ჩაშავებულიყო ხეობაში და მწვანე ბაღებში იმალებოდა. ძირს



ღებდა-ჩაი მიგორავდა. მისი შუილი ყრუდ ისმოდა. დიდრონი ლრდები წყლის ლხეზებით ესხა.

შუადღე აღწევდა. მზე იკბინებოდა. ფაშა კი მიდიოდა.

საღლაც დაიგორიალა. გრიალი გაგორდა და მთებში გამრავლდა.

— ჰაი, ხალილ ალა! ეს იმის თოვის ხმაა. ასე შორს მარტო ის თუ წა-
მოვიდოდა.

მარჯვნივ, მაღალ ნაპრალებზე კაცი იდგა. მის წინ ბოლი ისევე ტრიალებდა. თვლებზე ხელი მიიჩრდილა, გაიხედა და გაიქცა.

— მოჰკლა, რალაცა მოჰკლა, — გაქცეულს თვალი გაადევნა და სახეზე შა-
ვი აღმური აფიდა. — აგერ სად გარბის მისი უმტრო მტერი.

ფაშას გონებაში ერთბაშად გაიარა ყველაფერმა, რაც ამ ორ წელი-
წადს გადახდა: იქ, ტყეში ნახულმა კბილებმა, შვილმა, რომელიც მოიშორა,
ნაცემმა ძმამ, შეურაცყოფილმა დედამ, ქონებამ, რაც მან შეიძინა. ყველაფერი
ერთმანეთში აირია და ზედ სისხლი გადაესხა, ეს სისხლი ძმის ცხვირპირიდან
წამოვიდა და მთელი ქვეყანა გააწითლა.

კიდევ გაისმა სროლა. მონადირე რალაცას დასდევდა. რალაცას ჰკლავდა.
იქაც სისხლი იღვრებოდა.

ხევში რალაცამ დაიხრიალა.

ფაშას პირდაპირ კლდეზე მშველი დაცურდა. თან მიწა და ქვები ჩაიყოლა
და უუსკრულისაყენ მიჰქროდა.

ხალილ ალა ჩაცუქტდა და გადავარდნილ ნადირს დაუწყო ცქერა. იქიდან
მისი ამოტანა შეუძლებელი იყო.

ფაშა კი არ გაიქცა, გაფრინდა... ყველაფერი უნდა გათავდეს და ერთბა-
შად უნდა გათავდეს.

ხალილ ალა ჭეხზე ჩამოხჯდარი პაპიროზს სწევდა და ხევში იყურებოდა.
ფაშა მიეპარა, კონდაბი დაჰკრა თავში. მერე დარეტიანებულს წიხლი ჰკრა და
ისიც ხევში გადაავლო, მშველს დააწია.

ერთბაშად მოშორდა ფაშა იმ ადგილს.

მოსაზრება სწორი იყო: ხალილ ალა არ იყო ტყვიით ან ხანჯლით მო-
კლული. ხალილ ალამ მშველი მოჰკლა. მშველი ხევში გადავარდა. ხალილა დაე-
ღვნა და თითონაც თან გადაჰყვა.

მკვლელი არ არის. მას არც სისხლია. ცოცხალი ალა ფაშას გზაზე ედგა.
მოკლული ან მოშორდება ან გაიხიდება.

ფაშამ იქით გასწია, საითაც ძროხის ძებნა შეიძლებოდა, სულ სხვა მხა-
რეს. საღამომდის მიაგნო. მკვლებს დაეგლიჯათ. ტყავი გააძრო და ბინაზე ჩა-
მოიტანა. ეს ტყავი მოწმე იყო იმისი, რომ ფაშა ძროხას დაეძებდა. ძროხა
სულ სხვა მხარეს იყო. ხალილ ალა სხვა მხარეს. მათი მტრობაც არავინ იცო-
და. ფაშა აქ არაფერე შუაშია. ხალილ ალა უცაბედად გადინჩხა.

ერთი კვირის ძებნის შემდეგ ხალილ ალა და მშველი ერთ ხევში იპოვნეს:
ორივე ერთბაშად გაბრწყნილი.

თამამა გულით სტიროდა დაკარგულს. იწეწებოდა, ვულში ხელს იცემდა,
ტრემლად იღვრებოდა, ისიც მოსთქვამდა, როგორც სხვა დედაკაცები.

ყველას ეცოდნებოდა თამამა.

— საწყალი! საქმრო იყო და მაშ რას იზამს.

ქალმა ამ სიტყვებს ყური მოჰკრა და გონებაში ის აზრი დაიტერა, რაც
წინდაც ბევრჯელ უფიქრია:

თამამა დეიდაშეილს სტიროდა და არა საქმროს.

ფიქრი ათანასე

I

მწვანე ვენახი ფერდობზე
 ხმაურობს ფოთოლთ ამალით
 იქ, სადაც პანკო ბალტიდან
 მოეჭქარება ტრამალით.
 ფეხებს ეკალნი ეკვირან,
 ყანა პურისა შრიალებს.
 და ვარსკვლავების მარხილი
 სიბნელეს გაატიანებს.
 ვარსკვლავებისა ცვარებით
 ცა არის ვადანამული.
 გერქანელ კოლონისტების
 წინაა დიდი მამული.
 შენ, ათანასო, არ შეცდე,
 არ დაიღუპო ტყვილადა,
 ხომ ხედავ დარაჯს ფაფახით,
 რომ ამართულა ფრთხილადა.
 ალბად ცოდვიან სინიდიის
 ბალტიდან გამოეჭეცი.
 ეტრფოდი შტოლსა—კოლონისტს—
 მახნოსთან შენ მოეჭეცი.
 დაფარულია მხრებამდე
 მახნო ბალანის ფართითა.
 — საიდან ადამიანო,
 მოდიხარ რომელ მხარიდან?
 ჩვენს ჯარში მოხვდი შემთხვევით,
 თუ საკუთარი ნებითა?
 — ბალტიდან კოლონისტ შტოლთან
 მოვდივარ ველურ გზებითა.
 შე სასურსათო რაზმიდან

ულმერთო კოგანს ურიას
 გამოვეჭეცი და ახლა
 შურისძიება მწყურია.
 დაძრწის კოგანი მგელივით,
 სასტიკი, გულშეშარავი.
 ცხვირს შეჭყოფს ყველა ქოხებში,
 არ სტოვებს იგი არავის.
 ის თვალს მოაველებს ყველაფერს
 და იტყვის გულმოსულადა:
 ამოათრიეთ ორმოდან
 მალული პური სრულადა.
 ვინც კი დაიწყებს ურჩობას,
 ვინც კი გამოვა მგმობელად,
 ვადავდებენ ნაჯავში,
 დახვრეტენ შეუნდობელად.
 მიწა ტბად იქცა სისხლისგან,
 ყველგან ომი და ზიანი,
 არ მინდა თოფით თარეში,
 მსურს შრომა მშვიდობიანი.
 მიყავ წყალობა—მითხარი
 მოსულს ველებით—სად არი
 კოლონისტ შტოლის მამული
 მდიდარი, შეუსადარი?
 — შტოლი? რომელი მშობილო?
 კაცი ქერა და ჩოფურა?
 იგი დაეხვრიტეთ აქავე,
 მისი ცა ბნელმა მობურა.
 გაიზიარე ჩემი გზა,
 მე დაგავიწყებ მოზებლსა,

და თუ პირს ჩემგან იბრუნებ,
მოგისპობ წუთი-სოფელსა.
ათანასს ქურჭი მიეცით,
მუდის კარგი ნაჭერი,
ათანასს ლეინო მიართვით—
საუკეთესო მაჭარი.
მაგარი რკინით გაქედდეთ
მისი ჩექმები მალალი,
მიეცით ქუდი, ყუმბარა,
მიეცით თოფი ახალი.
ჩვენ წასვლას შორით ვაპირებთ,
სადაც კი არის საფარი.
დაფარულია მხრებამდე
მახნო თმის ხშირი ფაფარით.

ათანასო, ჩვენი ბედი
არის ხმალი, არის რკინა.
ახმაურდა გულიაჲ-პოლე,
ახმაურდა უკრაინა.
უკრაინა! ლვიძლო დედა!
ჩემო კარგო პურის ყანა!
ათანასის ბედი არის
გასაჭირი მახნოსთანა.
უკრაინა! ლვიძლო დედა,
პურის ყანა განაჩალი
ზაპორიეკად ვიქნებოდი
წინად—დღეს კი ვარ ყაჩალი.

II

ახმაურდა გულიაჲ-პოლე
საშინელი ცეკვით, რბენით.
დათარეშობს ნადირივით
ათანასის მარდი ცხენი.
ათანასი ანტიკაა,
ფაფახი აქვს ბეწვაშლილი.
იქ, გომელში მან გააძრო
მოკლულ რაბინს ქურჭი თბილი.
მან გაიხსნა თავის ქურჭი,
შველა მაინც აღარ არი,
მას ფრენში აქვს ინგლისური
ვაპნიარკასთან ნაშოვარი.

ცხენის საპნით გასაპნედი
მათრახი აქვს ეანგისფერი,
საცეცხლურის წმინდა ძეწვეზე
მას ჰკიდია რეგოლეერი.
ათანასო, ჩვენი ბედი
მშით არ არის განაჩალი,—
გინდა პური რომ მოგყავდეს
და მიდიხარ შენ ყაჩაღად!
გაიჭრები ნადირივით,
შენს წინ ქალაქს ხედავ.
ურჩიებს და კომუნისტებს
შენ იოლად ელეტავ!
მახნო ჩქარობს ფარულ ნისლში,
ჩქარობს შარა გზებით,
ის მონასტრის ეტლით მიჰქრის
და შავი დროშებით.
კენესის, კენესის გულიაჲ-პოლე
თერება ცეკვით, ლხინით, რბენით.
დათარეშობს ნადირივით
ათანასის მარდი ცხენი.

III

ურმები არ კრიალებენ—
ცუდი იყო მოსაყალი.
ჭოხში ნაყრდნობა კოგანი
პურითა და თაფლით მთერალი.
ვახშამს მიირთმევს კოგანი,
რძით და პურით გულს ილხინებს.
ბოლშევიკურ საუბარით
გლეხებს შეაშინებს.
— მიპასუხეთ პატიოსნად.
მიპასუხეთ თქვენ გულლიათ.
ნუ დაფიცავთ—გარემოში
თუ რაოდენ არაყს ხდიან?
როგორია ნათესები,
ცხვრისთვის თუ აქვს საზრდო ველებს?
მაგრამ ამ დროს შარა გზაზე
ყიენია აქვთ მახნოველებს.
თქარა-თქური გააქვს ცხენებს,
მიწა არის დაბეგილი.
ათანასის წინ გაშლილა

მოციმციმე ზღვა-ჯეჯილი.
მებრძოლთ მკრთალი შუალამე
წინ წარუდგა ვით საზღვარი.
და შორიდან ღამის ბნელი
ბეუტავს ისე როგორც კვარი.
კვლავ ყვიელი მამლებისა,
ძაღვებისა ყეფა მწვავე
და სოფელში გარიჟრაჟზე
შედის რაზმი მოწინავე.
აჩხარუნდა მძიმე რკინა.
საყდარი სჩანს იქვე დილით.
სასურსათო რაზმი გაჰქრა,—
სულ მთლად არის გაწყვეტილი.
ნაგაზებო! მაგარ ჯაჰვზე
ითარეშეთ თქვენს გომურში.
დღეს კოვანი დაიჭირეს
ისე როგორც მწყერი პურში.
დიდი ველით წაიყვანეს
იოსებ კოვანი.
იგი შეხვდა ნესტორ მახნოს,
არ აქვს გასაქანი.
მახნო მწყურალად იცქირება,
მისი ცქერა არის მწველი.
ერთი სიტყვა მას არ უთქვამს,
მხოლოდ ჩააქნია ხელი.
ო, კოვანო, შენი ბედი
სასიკვდილოდ როკავს,
იცილე რომ ათანასი
არასოდეს არ დავზოვავს.
ათანასი გაიჯგვიმა,
ყოყლოჩინობს, ხუმრობს თარსად:
— ამხანაგო კოვანო
წამობრძანდით მოსაპარსად.

IV

თეთრ ვერხვების მთელი რიგი,
საამური მათი ბინა.
უკრაინა, ღვიძლო დედა,
სასიმღერო უკრაინა!
შენს ველებში ხტის ნადირი,
შენ ახარებ ბლომად ყვავილს,

ბურბუშა კი ხეტიმღვინით
გულმოდგინეთ ჩხავის ყვავი.
მზე ამოდის საომარი
და სხივების მღერის დასი.
ახლა გზაზე სჩანან ორნი—
კოვანი და ათანასი.
თითქოს ცეცხლი ეკიდება
სიცხისაგან მთელ მიდამოს.
და კოვანი კომისარი
იხდის თავის ტანისამოსს.
მის თეთრ ტანზე მზე თამაშობს,
მზე ნაეარდობს სხივთა დენით
— აი პანკო, როკა მოკვლავ.
შენ წაილე დანარჩენი!
შენთვის შარვალს არ დავზოვავ,
გულებნები წრფელი გრძნობით.
ხარ ყოფილი არმიელი
და კარგი ნაცნობი!...
მზე ამოდის საომარი,
ხმება ყანა ნორჩ სიმინდის.
ქარი ჰქრის და ჩასჩურჩულებს
ათანასის სინდისს:
— წინად ხარებს შენ მიღველი.
ჯარისკაცის ხალათით
მტერს ებრძოდი პატიოსნად,
ახლა კი ხარ ჯალათი!
და გაჰკივის არე-მარე
თითქოს ბრაზმორეული:
— ათანასო, ათანასო,
ჯალათი ხარ წყეული!
ამბობს მტრული უპატრონო,
თითქოს ღრუბელს მოება:
— ბრძოლა უიარაღოსთან
არის საზიზღროება.
ცრემლებს ღვრიან ირგვლივ ქვები,
სევდისაგან ღმუის მგელი:
— ათანასო, ათანასო!
ჯალათი ხარ საშინელი!
ათანასი სწუხს და შფოთავს.
თითქოს მზე აჩხარუნდა.
ის განიცდის რაღაც სევდას,

მას მკვლელობა არ უნდა.
 სიციხისაგან დაღლილობა
 მას დაეპატრონა.
 ის შებრუნდა. თოფში კიდევ
 აქვს სამი პატრონა.
 შეიღს გლეხისას მეტად უშიშის
 სისხლის დაღვრა სხივთა წვაში.
 — გაიპარე, დაიკარგე
 შენ სიმინდის ზღვაში!
 მე ვავისვრი ტყვიას ზევით,
 ისევე სიხარული სცანი!...
 და ღიმილით სათვალეებს
 ისწორებს კოვანი.
 — ათანასო, იყავ მაგრად,
 შენი გული კაჟად იქცეს.
 კომუნისტი—მეძებარი
 ხომ არ არის, რომ გაიქცეს.
 თუ პირდაპირ გაიქცევი—
 წყალია და ნისლით ბრბოები,
 მარჯვნივ გერმანელებია,
 მარცხნივ სადარაჯოები.
 სჯობს რომ მიხდვრად დავიღუპო
 უნამუსო ტყვიისაგან.
 უცბად თოფმა იგრილა,
 ამახილი ისმის სხვაგან.
 და კოვანი აკანკალდა,
 მას აღმოხდა კენესა ერთი.
 შეტორტმანდა ფოთოლივით
 და წაიქცა იგი გვერდით...
 წარბებს ზევით მოსჩანს სისხლი,
 სადღა არის თვალთ იერი,
 სათვალეებს იქით ახლა
 ყინულია ცალიერი.
 შავი ზღვიდან მოჰქრის მტვერი
 და მოცეკვავს მთვრალი ხაზით.
 კოვანს—ცხვირით მტვერში ჩაფლულს
 ხედავს ათანასი.

V

სადაც ფართე გზა იწყება
 და დნესტრის მორევი,

სადაც დიდი ტრამპლინი
 და პაპოვის ხევი,
 ჯარებს უხმობს იქ კატოესკი,
 ზევრავს არე-მარეს.
 მის ქვეშ კვიცი შაქარივით
 არის მოელვარე.
 ერთ ფეხს ასწევს და მეორეს
 ჩამოუშვებს ცხენი,
 გზას შორეულს თითქო სინჯავს,
 მარდი, გასაფრენი.
 და ხევიდან ქვის ფერდობზე
 გამოვიდა ჯარი.
 ზევით ცას და ქვევით მიწას
 არა აქვს საზღვარი...
 სახეები აქვთ მსუქანი,
 ვაეკაცური აქვთ იერი,
 როგორც ნიკოლოზის დროში—
 ჩაცმულობა წესიერი.
 იჩქარიან ცხენოსნები
 და მრავალნი ქარნი ქრიან—
 მახნოს მთელი ერთი კვირა
 დაემებენ და სდევნიან.

ნაპირები ნორჩ ჯეჯილით
 არ ხარობენ. სდუმან გზები.
 მეურმეთა ურმებს იქით
 მიიმაღენ ბანდიტები.
 ერთ კარავში სხედან ორნი,
 სვამენ არაყს, ნისლი დგება
 მახნოს—თავზე ხელ-აღებულს
 თანაშემწე ეუბნება:
 —საპიროა ბოლშევიკებს
 ჩვენ პირდაპირ შევებრძოლოთ,—
 ჯარების წინ გაიღვე
 და ბრძანება გაეც მხოლოდ!
 მახნომ ხელი გაიქნია
 და დაარტყა მაგიდაზე—
 ისე როგორც ბრაზიანმა
 ფეხი დაჰკრა მან მიწაზე:
 —ჯარსა ასვი და აქამე,
 არ დაზოგო არაფერი.

შენ ბრძოლის წინ გაუტეხე
 ლენინის ბოკებს ფსკერი!
 რომ ხელემა ტყვიისმფრქვევლებს
 თვითონ მიაშურონ,
 რომ ბიჭები მტერს დაეცნენ
 თავზე როგორც ურო,
 რომ ჰაერი იყოს დნესტრზე
 სროლისაგან შავი,
 რომ კატოვსკიმ ჯავრისაგან
 ჩამოიხრჩოს თავი.

დაისები ცეცხლს ისვრიან,
 ვილაც შესძრავს ლამის კრებულს
 და უყფენ მელიები
 ჯოგებს კიდე დადუმებულს.
 უცაბედათ ხარი ბლავის—
 ივმა ბედმა არ გასწიროს.
 ემუქრება ლამის კენესით
 ჭინკა დნესტრის სანაპიროს.
 დაბნელებულ ურმებს იქით,
 სადაც მეურმეებს სძინავს,
 სადაც ყორნის ფრთა დაეშვა
 და ნადირი აღარ გმინავს,—
 მზე პირს იბანს მწარე ჩრდილით,
 სახეზე აქვს ცეცხლის ფარი,
 ახალ ომის მზე ამოდის,
 მზე ამოდის საომარი...

VI

გაცოფებით ჩაეჭიდენ
 ხმლებს მოკაცულს ხელის გულნი,
 და ცხენები ყალყზე დადგენ,
 როგორც ქარნი მოარულნი.
 მიჭროლავენ, გზას გაეკრენ,
 ქარიშხალი მათ ახარებს.
 მიაშურეს მეურმეებს,
 მრავლად გამოფენილ ხარებს.
 ახლა ურმებს დასტრიალებს
 ომის დიდი გრივალი.
 ცხენს ჯარის წინ ათამაშებს
 კატოვსკი გრივოლი.

ხმალი ზევით დათრეშდა
 როგორც სხივთა კრებული
 და წითელი ქუდები აქვთ
 კეფაზე დაგდებული.
 მხრები სწრაფათ კანკალებენ,
 როგორც ცხენი ვერანი.
 უცაბედათ წამოიჭრა
 ათანასის მერანი.

— დაეტაკე ჩემო ცხენო,
 გამაქნე, იყავ მალი,
 კამანდირი მაშოვნიენ
 ტყვიით, შუბით, ან და ხმალით.
 დაეტაკენ ერთმანეთსა,
 დააჯახეს ცხენები,
 ხმალი ხმალსა გადაექდო
 ორი ტალღის შვენებით.
 კამანდირი მთლად აენთო
 ქარიშხლიან ომის ალით,
 მან შუაზე გადააჩეხა
 ათანასის ხმალი.
 შემდეგ ხმალი მან ჩაავო
 — კიდე შეგადაევიბი,
 მაგრამ მუშტზე გადავიდეთ,
 თუ გაქვს კარგი მკლავები.
 კამანდირის მძიწე ხელმა
 ჰაერში იფეთქა—
 ათანასსა გაუშალა
 და სახეში ხეთქა.

ათანასსა სწრაფ მოწყვეტილს
 ცული რამ ემართება:
 ის შეირბა, შეტორტმანდა
 და ბალახზე ვარდება.
 ერთი თვალი გაულურჯდა,
 მიიმაღენ ველები
 ჩუმათ ზურგზე ის დაეცა
 და გაშალა ხელები.
 ათანასო! ჩვენი ბედი
 ასე ვინ დაარხია?
 ათანასო ჩვენი ბედი
 ველ-მინდორში მარხია!..

VII

ბალტა არის კარგი დაბა,
გვარიანად მოწყობილი.
იქ ბევრია ალუბალი
და ყურძენი ტკბილი.
დღის ბაზარი არის სავეც
ყარფულებით, კამით, ყველით.
მტრედებს აფრენს სახანძრედან
ბავში უღარდელი.
ათანასო, რა იცოდი
მონაფარდემ გიქ ამქრებით,
რომ შენ ბალტის მოგელოდა
მოწყენილი გზები,
გაცილებენ გოგოები
სევედიანი სახით—
და შტაბის წინ ყარაული
გაგინებებს ზურგს კონდახით...
დაკარგული იალალი,
ველი შეუდარები,
მეტად გრძელი დერეფანი,
დერეფანში კარები.
მიჰყავთ მტვრიან დერეფანით,
მღუმარეა სახლი.
მიიყვანეს ათანასი
დაკითხვაზე ახლა.
შტაბის კაცი იყო ზრდილი,
დაკითხვაში გამოცდილი.
პაპიროსი და წუმწუმა
მიაწოდა ჩუმად:
— მოქალაქე, აღიარეთ
თქვენი ფიქრი და ზრახვანი—
სთქვით—მახნოსთან თარეშობდით
თქვენ რამდენი ხანი?
ნუ იცრუებთ და მომეცით
თქვენ პასუხი ღია—
ტაჩანკები, ხმლები, თოფი
იმის რაზმში რამდენია?
დაფიქრებით მიპასუხეთ
დაივიწყეთ ჯავრი, სევდა.
მისი ძირითადი ბაზა

ქართული

რამდენ ფურაეს დედას
თუ იცნობდით არე-მარეს,
სადაც მახნო თარეშობდა?...
— მხოლოდ ხმელთან, მხოლოდ ცხენთან
ჩემი გული ძმობდა.
ველი როგორ კანკალებდა—
ამას ენა ვერ იტყოდა.
უკრაინა— ჩვენი დედა
ჩვენს ცხენებს ქვეშ თრთოდა.
ბორბალთ გრგვინვა ცას წედებოდა,
ვიწოდით მდღლარეში
გაისინსა და ეიტომირს
ახსოვს ჩვენი თარეში.
იყო ცეცხლი და სისხლის ღვრა,
რისხვა დაუზოგავი,
ერთი კი არ მავიწყდება,
როგორ მოკვდა კოვანი!
საამური ვზით ვერ წაველ,
ვერც ფეხით და ვერც მერანით,
თუ კოვანი გაიშლართა
გზაზე მთელი ტანით.
დამკითხავო, მაშ დასწერე
სიტყვა საშინელი,
რომ კოვანი მე მოვკალი
საკუთარი ხელით!
მაშ მშვიდობით გულიაა-პოლე,
ჩემო პურის ყანა!

ათანასო, ჩვენი ბედი
არის ამისთანა!

VIII

ათანასო! მზიარული
გქონდეს ქცევა, სიარული.
შენ ავარა იყავ თუ რად—
ვერ დასკვივლებ ძველებურად!
ვერ ხარ მარდი, ვერ ხარ მალი
და შორს არის შენი ხმალი.
უკანასკნელ ღამეს ხედები
და ვერაფერს ვერ გახდები.
შენი გზა ვინ გადარაზა

საქართველო

საქართველო

უპატრონო ათანასო?
შენი გრძნობის, შენი ფიქრის
შორს ისარი სწრაფად მიჰქრის.
ლამე შუქით დაისრული
და ბნელი ფიცრული.
იწვის ლამაზ სუსტი ფრქვევით,
შენ ასწიე თავი ზევით!
ის მკვლელობა იყო როდის?
თვით კოვანი მოდის.
კარგად დავარცხნილი თმები
და სანთელის ბაგეები...
გაიღიმებს ერთი წამით:
— მეგობარო შენ სალამი!
შეგვახვედრა ბედმა კიდევ,
თუმცა ხშირად მომერიდევ.
ვერ გაცდები შენ ამ კარებს,
ველი ველარ ვაგაზარებს.

ე პ ი ლ ო გ ი

უკრაინას გადაევლენ
თავზე ომის წლები.
უკვე აღარ ხმაურობენ
აბაღაზრდა წყლები
სად არიან დამარხულნი
ათანასის ძელები?
ჩირგვების ქვეშ, იქნებ, გღია,
იქნებ სადღაც მინდორშია.
დნესტრზე ჭორო ზანტად ფრინავს,
გაისმის აძახილი.
სამარეშიც კი ხმაურობს

კატოესკის სახელი.
აღარ გრგვინავს ცხენის როკვით
ბანდიტების ველი.
ძელებით დათესილი მიწა
არის ყანა საკვირველი.
ძელების იქით სჩანს შორევი,
ქარი არის მის ქებაში
მოდის წითელარმიელი
შვებულებაში...
შეჩერდება და შეხედავს
ქვას რგვალსა და უპატრონოს,
ის უცქერის ქვას ნაწვიმარს,
რომ წარსული მოიგონოს.
ის ობოლ ქვას ხელში იღებს
და უცქერის ჩუმი გზნებით—
ეს ხომ კაცის ქალა არის
ყოფილ თვალთა ნახერცებით.
იგი იგრძნობს მკედარ სიგრილეს,
იგი აჩრდილს ეტყვის ნელა:
— შენ თოფს თვალში უცქეროდი,
დაილუპე სასახელოდ!
ვასწევს ველით სახლისაკენ.
ცა კანკალებს როგორც მინა,
წინ ჯეჯილი მობიბინე,
აბაღაზრდა უკრაინა
...
დაე, ხევში დავილუპო,
სად ჯეჯილის არის მხარე,
რომ კოვანის ბედის ვაგბდე
სასახელო მოზიარე!

თარგმანი ვალერიან გაფრინდაშვილის.



სტრუქტურა და ფუნქციონირება
კურობის სისტემის

ანგარიში და კრიტიკა ათას წახანს ოცდაცხუ წლის ლიტერატურულ პროდუქციის შესახებ

„წყალნი წავლენ და წამოვლენ,
ქვიშანი დარჩებანო!.“

საერთო შესავალი

კარგი ტრადიციაა ლიტერატურის ყოველ წლივ მიმოხილვა. ამ ტრადიციას საფუძვლად უდევს სურვილი: ჯამი გაუკეთდეს მიღწევებს, გამოჩვეულ იქნას მომავალი განვითარების გზები, მიეცეს მკითხველს გარკვევის შესაძლებლობა მიმდინარე ლიტერატურულ ცხოვრების სიაკვარგეში და დაბოლოს, გამოჩვენება იმისა, თუ რამდენად შეეფერებოდა სამომხილვეო წლის ლიტერატურული პროდუქცია ეპოქის მოთხოვნილებებს.

მიმოხილვების ობიექტია ის მხატვრული ლიტერატურა, რომელიც ერთ წელიწადში დაბეჭდილია. მაგრამ ის, რაც დაიბეჭდა, არ არის მხოლოდ ამ წელში დაწერილი. ხშირად ნაწარმოები პირველად რამოდენიმე წლების შემდეგ გამოქვეყნდება. ამიტომ ყოველწლიური მიმოხილვა ვერ იძლევა სრულ სურათს ლიტერატურულ ცხოვრების შიგნით მიმდინარე პროცესებისა. კრიტიკამ არ იცის, ესა თუ ის მწერალი, ან ლიტერატურული ჯგუფი სამომხილვეო პერიოდში რა განწყობილებებით, როგორი იდეებით, რა თემებით, ან რა ფორმალური განზრახვებით ხელმძღვანელობდა. ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს მხოლოდ გასასყიდად გამოტანილი ლიტერატურული საქონელი შევაფასოთ. ეს „ლიტერატურული საქონელი“ არის წიგნი, ჟურნალი, ალმანახი, კრებული და სხვა. ბაზარზე გამოსვლისას მწერალი კი, განსაზღვრულ მკითხველის ინტერესებით ხელმძღვანელობს. მკითხველის გარეშე არც ლიტერატურა არსებობს. ლიტერატურის ყოველმხრივ გაგებისთვის, კრიტიკოსმა უეჭველად, ნაწარმოების ტექსტის შესწავლასთან ერთად, წაკითხულის მიმართ მკითხველთა რეაქციაც უნდა შეისწავლოს.

ყოველივე, ზემოთქმულის შეუქმებლობა ამცირებს მასალებს, აუცილებელს, ლიტერატურულ წელიწადის ყოველმხრივ შეფასებისთვის. 1) ერთ მხრივ—არ შე-

1) სხვათა შორის, ამიტომ არის, რომ ლიტერატურის ისტორიკოსისთვის ყოველთვის ადვილია ნაწარმოების შესწავლა, ის მხამხარულზე მოდის, რადგან უკვე იცის ამთვისებლის რეაქცია და კრიტიკის აზრი. მწერალი მიმწოდებელი—შემომქმედია, კრიტიკოსი: პირველმთქმელი—კვალიფიკატორი, მკითხველი—მომხმარებელი და მთავარი რეგულიატორი, ხოლო ისტორიკოსი ინფორმატორი—ბოლოს მოქმედი.

გვიძლია ვიცოდეთ, თუ სინამდვილეში რით სცხოვრობდა მწერალი? მეორე მხრივ—ლიტერატურის განმადლებელი მასსაც, არ შეგვიძლია შევინწყველოთ—ეს მაშინ, როდესაც ყოველი მხატვრული ნაწარმოები სხვადასხვა საზოგადოებრივი კატეგორიის მკითხველთა ათვისების პროცესში სულ სხვადასხვანაირ შინაარსს ღებულობს.

* * *

წარსული ლიტერატურული წელიწადი, როგორც ყოველთვის, კლასიურათ დაყოფილ საზოგადოებისათვის აუცილებელ მრავალფეროვნებით ხასიათდებოდა, მაგრამ მრავალფეროვნებასთან ერთად, სიჭრელესთან გვეჭონდა საქმე. ქრელი, ე. ი. ყოველგვარ ღირებულებას მოკლებული, გაურკვეველ ფორის, გაურკვეველ გემოვნების, ჩვენი დროის მთავარ გზებიდან ამცდარი ლიტერატურული პროდუქცია, მრავლათ იწერება და იბეჭდება კიდევ. მთელი ეს „ლიტერატურა“, მოსაწყენი და მეტად მდარე, ჩვენ, როგორც მიმოხილვის ავტორმა—იძულებით წავიკითხეთ. წავიკითხეთ, მაგრამ ეს არ ნიშნავს თითქოს ისინი საერთოდ წაკითხვის ღირსნი არიან. სწორედ იმას, რაც წაკითხვის ღირსი არ არის თანამედროვე მკითხველის და მკითხველთა რეაქციონური ფენებისთვისაც კი ჩვენ ლიტერატურულ მიმოხილვაში ვერ შევიტანთ, ამრიგად ეს მიზეზიც ამცირებს ჩვენი მიმოხილვის შესაძლებლობებს ვინაიდან ზოგიერთ ჩამორჩენილ მკითხველის თვალსაზრისით და რაც უფრო სამწუხაროა. ზოგიერთ რედაქციების, (რომლებიც ბექდავენ) კრიტიკოსების (რომლებიც არჩვენ) და ლიტერატორების (რომლებიც წერენ) აზრით ეს ხლამი ლიტერატურაა, ჩვენის აზრით კი ის არ შეიძლება ასეთად ჩაითვალოს. ხშირად გვესმის საყვედურები, როგორც ზოგიერთ მკითხველისა, ისე ლიტერატორებისგანაც. თუ რატომ ესა და ეს ნაწარმოები არ იქნა განხილული. ბრალს გვდებენ არა ობიექტივობაში,—მიკერძოებაში და ხშირად უპატიოსნებაშიც. იდეური მიკერძოება ყოველთვის აუცილებელია, რაც შეეხება ლიტერატურულ პატიოსნებას—ეს ყველას თავისებურად ესმით. ჩვენის აზრით არ ვიწინებით არაპატიოსანი თუ მთელ რიგ „წიგნებს“, „ალმანახებს“, „მოთხრობებს“, „ლექსთა კრებულებს“ და „რომანებსაც“ კი გამოვტოვებთ და არ განვიხილავთ.

მიმოხილვისთვის საინტერესოა მხოლოდ ის ნაწარმოები, რომელიც რაიმე საზოგადოებრივად აქტუალურ იდეას შეიცავს ან იძლევა რაიმე ახალს მხატვრული ფორმის მხრივ. ნაწარმოები ორივეს მოკლებული ჩვენს ავანს არ წარმოადგენს და მხოლოდ აღრიცხვის, „წიგნის შემატანიის“ და წიგნთა პალატის ობიექტად რჩება.

ყოველი ლიტერატურული ეპოქა განსაზღვრულ იდეურ-მხატვრულ მიმართულებებით ხასიათდება. მწერალი, რომელიც არ წარმოადგენს ამ ეპოქაში არსებულ რომელიმე სერიოზულ საზოგადოებრივ მიმდინარეობას, ეკარგება ისტორიის უფსკრულში. ესენი არიან ლიტერატურული ცხოვრების „ზენდანდები ხარჯები“—„წყალი“, რომელიც წავა. ასე იყო წარსულში! ასე არის ეხლაც! რადარჩა კაცობრიობის მთელ ლიტერატურულ წარსულიდან? დარჩენ მწერლები,

რომლებიც განსაზღვრულ დროშის ქვეშ იბრძოდნენ, ან თერაპიულ-ქიმიკულად ამ „დროშებს“. შილერის შესახებ იმის თქმა შეგვიძლიან, რომ ის აღმოვაგალი ბურჟუაზიულ კლასს ესალმებოდა, თავისი ამბოხების აპოლოგიით; პუშკინისადმი ინტერესი, სწორედ მის შემოქმედებაში მოცემულ ფეოდალურ წყობილებიდან, ბურჟუაზიულში გადასვლის პერიოდის განწყობილებებში მდგომარეობს, ბარათაშვილი კი იმით იყო ძლიერი, რომ მან მტკიცედ შეპყრობა მოპაყდა ქართულ ფეოდალიზმის უკანასკნელი მოტოვები, გააერთიანა ისინი ანალოგიურ, მსოფლიო განწყობილებებთან და ა. შ. „ქვიშანი“—ანუ ის მწერლები, რომლებიც წარმოადგენენ რომელიმე სერიოზულ საზოგადოებრივ იდეას და ამასთანავე მოგზოვებით ამ იდეებისთვის შესაფერი მხატვრული ფორმები.—იი ის, რაც კომუნისტურ კრიტიკას აინტერესებს. მართალია, ამ წერილშიც ბევრს ვილაპარაკებთ ლიტერატურულ „წყალის“ შესახებ, მაგრამ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც „ქვიშას“ წყალი მიანიც თან ახლავს ხოლმე. არაგის ცგონოს, თითქოს მიმოხილვაში განხილულთაგან ყოველი მწერალი ზემოდ დასახელებულ თვალსაზრისით რაიმე ლირებულებას წარმოადგენდეს.

* *

ანგარიში, 1928 წლის ლიტერატურის შესახებ არ შეიძლება წარმოდგენილ იქნას, როგორც უბრალო ინფორმაცია. ჩვენ ამოვარჩევთ მოვლენებს დაახლოვებით ზემოდ დახასიათებულ თვალსაზრისით, და უკვე ეს ამორჩევა კრიტიკასაც გულისხმობს. საერთოდ კი, ლიტერატურული ანგარიშები იწერებოდა და ხშირად, ჯერ კიდევ იწერება „მიუკერძოებელი“ ინფორმატორების ხელით. ბოლშევიკს არ შეუქლია ასეთი „ინფორმატორი“ იყოს. ამიტომ ამ წერილსაც „ანგარიში და კრიტიკა“ დავარქვით. კრიტიკამ, ნაწარმოების საზოგადოებრივ-ლიტერატურული ადგილი უნდა გამოარკვიოს. და ჩვენს კლასიურ ბრძოლების ეპოქაში, განა შესაძლებელია, კრიტიკოსი ინფორმატორივით მიუკერძოებელი დარჩეს?! კომუნისტური მიკერძოება ჩვენს ლიტერატურისადმი აუცილებელია? ასეთი „მიკერძოებიდან“ გამომდინარეობს ის უამრავი სანდურაგები, რომელნიც თანამედროვე კომუნისტურ კრიტიკის მიმართ გვესმის. ჩვენ რა თქმა უნდა არ უარყოფთ, რომ კომუნისტური კრიტიკა ჯერ მოისუსტებს, ისე როგორც პროლეტარული მწერლობა. მაგრამ შინაარსით ეს კრიტიკა ყველაზედ უფრო პროგრესული და ავტორიტეტულია, მას ეკუთვნის მომავალი და საყვედურები მის მიმართ ნიშნავს, იმავე დროს, საერთოდ ბოლშევიკური ეპოქის იდეურ მიმართებით უკმაყოფილებას. თავის მხრივ, კრიტიკის სიღარიბე ამ კრიტიკაში მოცემულ იდეების სიღარიბით არ აიხსნება. კრიტიკის სისუსტე საერთოდ ლიტერატურის სიღარიბიდან გამომდინარეობს. მართლაც, რა უნდა გააკრიტიკოს ადამიანმა, რა უნდა განმარტოს, რა უნდა ურჩიოს მკითხველს, როდესაც თვით ლიტერატურა ამის შესაფერის მასალას არ იძლევა! როგორც ვიცით ძველი ლიტერატურა უკვე „არა“ და „ვერ“ იძლევა კომუნისტურ კრიტიკისთვის საჭირო მასალას და პროლეტარული მწერლობა კი ჯერ ვერ იძლევა იმას, რის მოცემა ისტორიულად ახლო მომავალში შეუძლია.

ქრიტიკის წინადადება

კრიტიკა ლიტერატურული ცხოვრების ბარომეტრია. ლიტერატურის პასიური გამყოლი და მხოლოდ „ამსახველი“ არ უნდა იყოს. ჩვენ ვწრუნავთ არა მარტო იმაზე, რაც არის, არამედ იმის შესახებაც, რაც უნდა იყოს. ამიტომ კომუნისტური კრიტიკა შეიცავს მომავალ ამოცანების განსაზღვრას. აქედან გასაგებია, თუ თანამედროვე ქართულ კრიტიკაში უფრო ხშირად რატომ შეგხვდებით წერილები, რომელნიც საერთოდ მწერლობის და კერძოდ პროლეტარულ მწერლობის ამოცანებს განსაზღვრავენ, მიუთითებენ სასურველ გზებს და მკითხველის ამა თუ იმ ფენების მოთხოვნილებებზე. კრიტიკაში ამ ენარის უპირატესობა საანგარიშო წერილებზე სხვათაშორის იმით აიხსნება, რომ თანამედროვე მწერლობის უკვე დასრულებული ნაწილი ველარად ვერ იძლევა. აღმომავალ მწერლობის შესახებ კი, უფრო შესაფერია ამოცანების განსაზღვრული კრიტიკა-თეორია. და თუ საანგარიშო წერილები მაინც იწერება, ეს კრიტიკოსის გამბედაობას და განვითარების გზებით ძლიერ დაინტერესებას უნდა შივაწეროთ. ასეთი ინტერესი ჩვენს ლიტერატურისადმი მკითხველ მასების, პირველ რიგში კი პროლეტარულ მკითხველის ზრდას იწვევს. კრიტიკა და კრიტიკის დახმარებით წარმოშობილი მკითხველთა აქტიობა აცხოველებს თვით ლიტერატურას. და ამრიგად კრიტიკის როლი ჩვენ მხატვრულ ცხოვრებაში დიდია.

განსაკუთრებით საგრძნობი იყო კრიტიკის ჩარევა ლიტერატურულ ცხოვრებაში 1928 წ. რომელიც გაცხოველებულ ლიტერატურულ აზრთა გაცვლა-გამოცვლის წელიწადი იყო. და თუ 1927 წლის ლიტერატურა მეტად უფერული იყო, როგორც კლასობრივი ბრძოლის, ისე პროლეტკიის სიდიდის მხრივ, — 1928 წლის შესახებ ამას ველარ ვიტყვით. მართალია 1928 წელს, 1927 წ. შედარებით პროლეტკიის რაოდენობა დამცირდა და თუ 27-ში რამოდენიმე დასრულებული, მეტად საინტერესო რომანი გამოქვეყნდა, 28-ში ესეც არაა. სამაგეროთ 1928 წელიწადი კლასთა ბრძოლის გაცხოველებით აღინიშნა და კლასთა ეს ბრძოლა გაღვივებულ იქნა, არა მარტო ლიტერატურული კრიტიკის, არამედ თვით მხატვრული შემოქმედების საშუალებითაც. ამიტომ 1928 წ. თითქმის მთელი პროლეტკია, შესაძლებელია დავყოთ სამ: საერთო მემარჯვენე, მემარცხენე (პროლეტარულ) და თანამგზავრულ (წვილ-ბურჟუაზიულ) ბანაკად.

როგორც ვთქვით, მხატვრულ ბანაკების ამ ბრძოლაში განსაკუთრებულ როლს თამაშობდა კრიტიკა, კერძოდ კი, საგრძნობლად გაიზარდა, ყოველდღიური პოლიტიკური პრესის ჩარევა მხატვრულ ლიტერატურის განვითარებაში. ხშირად ეს ჩარევა სუსტი და არასაკმარისია, მაგრამ ურადლების ზრდა მაინც არის. სასიხარულოა ეს ფაქტი, ვინაიდან პოლიტიკურ პრესის ჩარევა ლიტერატურის მიმდინარე პოლიტიკურ ცხოვრებასთან დაკავშირებას ნიშნის, რაც მეტისმეტად აკლია მთელ ქართულ მწერლობას და კერძოდ პროლეტარულ მწერლობასაც. რამდენადაც საკვირველი არ არის, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ქართულ მწერლობისადმი მეტ ინტერესს იჩენდა ადგილობრივი რუსული პრესა „Заря Востока“-ს სახით. ამ მიმართულებით გაზეთი „კომუნისტი“ და

„ახალგაზრდა კომუნისტი“-ც განვითარდა, თუმცა გაზეთ „კომუნისტი“-გორც ცენტრალურ ორგანოს, სიტყვა და ხაზი უფრო მტკიცედ უნდა იგრძნობოდეს. პოლიტიკური პრესა ჯერ სავსებით არ ხელმძღვანელობს ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებას, მაგრამ ასეთი ხელმძღვანელობა სასურველია ჩვენს პირობებში, პრესის ხელმძღვანელობა, თითქმის იგივე კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობაა. ¹⁾

სამაგიეროთ თვით მხატვრული პრესა ვერ იჩენს ინტერესს ზრდას პოლიტიკურ პრესის და საერთოდ პოლიტიკურ ცხოვრების მიმართ. ყურნალს მით უფრო მეტი მნიშვნელობა ექნება, რამდენადაც ის, ფართო მშრომელ მასების ყოველდღიურ ამოცანებს ანგარიშს გაიწევს. მხატვრული ყურნალები, საერთოდ პოლიტიკურ-ლიტერატურულ და პუბლიცისტურ-ყოველდღიურ განყოფილებების დასუსტების, კერძოთ კი თვით მხატვრულ პროდუქციის მიმდინარე პოლიტიკურ ცხოვრებასთან შეუფარდებლობის გამო, ფართო მშრომელი მასების ყურადღებას ვერ იმსახურებენ და ძლიერებას კარგავენ.

* * *

როგორც თვით ლიტერატურაში, კლასთა ბრძოლას ახასიათებს უკიდურესი ფლანგები, ისე ჩვენს ყურნალებს შორის არის უკიდურესათ დაპირდაპირებული ბანაკები. 1928 წ. უკიდურეს მემარჯვენე ბანაკს წარმოადგენდენ: კრებული „არიფიონი“ და ე. „ქართული მწერლობა“ ²⁾, „უკიდურეს“ მემარცხენე (პროლეტარულ) ბანაკს წარმოადგენდენ: ე. „პროლეტარული მწერლობა“, ვახ. „კომუნისტი“, „Заря Востока“ და „ახ. კომუნისტი“, თავისი ლიტერატურულ-კრიტიკული განყოფილებებით, საშუალო ადგილი ამ უკიდურეს ბანაკებს შორის უკავია ე. „მნათობს“, როგორც სხვადასხვა ლიტერატურულ ჯგუფების მემარცხენე ორგანოს და კრებულ „მემარცხენეობა“-ს, როგორც თანამგზავრულ წვრილ-ბურჟუაზიულ ლიტერატურულ ჯგუფის ორგანოს.

განსაკუთრებულ ყურადღების ღირსია ტფილისში 1928 წელს პირველად, რუსულ ენაზე გამოსული ამიერ-კავკასიის პროლეტარულ მწერალთა ყურნალი «На Рубеже Востока» („აღმოსავლეთის საზღვარზე“), რომელსაც დიდი პო-

¹⁾ მხატვრული მწერლობის პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერების მხარე, წარსულ წელიწადში, პარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მიერ დიდი ნაბიჯი იქნა წინ წაუგზავნილი, გამოტანილი იქნა სპეციალური რეზოლუცია, რომელიც პროლეტარულ მწერლობის დიდ გამარჯვებას მოასწავებს. თუ საკავშირო ცეკას რეზოლუციაში საერთოდ იყო აღიარებული პროლეტარულ მწერლობის ჰეგემონიის აუცილებლობა, ამიერ-კავკასიის ობოლიუციაში უკვე დადასტურებული და მოწონებულია პროლეტარული მწერლობის ბრძოლით მოპოებული მწერლობის კონკრეტული ფორმები (ასაკიაცია). ამოიგად საერთოდ კარგი რეზოლუცია და საერთო დირექტრია არის, მაგრამ საკიროა მისი განხორციელება და საქმე... ეს კი მომავალი მწერლობის ამოცანებია.

²⁾ ჩვენ ვლაპარაკობთ ამ ყურნალში მოწინავე პროლეტარულ და თანამგზავრ მწერლებზე, რომელნიც ვერ სცვიან საერთო (მემარჯვენე) ატმოსფერას და რომელნიც იქ ბიჭდვისას თითქმის ყოველთვის უფრო მემარჯვენეებათ გამოიყურებიან, ვიდრე სხვა (საერთო) ორგანოებში (მაგ. ი. ეველის ლექსები 1928 წ. №-ში, ე. კალაძისა 1927 წ. ბ. ელენტიის წერილი 1927 წ. ლიტერატურაზე, ჩიქოვანის და დ. განიჩილაძის ლექსები 1927 წ. და სხვა).

ლიტერატურული და კულტურული მნიშვნელობა აქვს, როგორც მნიშვნელოვანი ეროვნებათა ინტერნაციონალურ გამაერთებელ ცენტრს, მხატვრულ კულტურის სფეროში. წარსულში სომხეთსა და საქართველოს ბურჟუაზიულ-ფეოდალურ მწერლებს შორის არსებულ სასტიკ ზოგინისტურ ბრძოლის (ი. ჭავჭავაძე და სხვა.) მაგიერ ამიერ-კავკასიის ეროვნებათა ასეთი კულტურული დაკავშირება პირველად მხოლოდ ჩვენ დროში გახდა შესაძლებელი. ერებს, რომელნიც დასახლებულნი არიან ამიერ-კავკასიაში, სოციალურად საერთო მომავალი აქვთ, როგორც აზიის მოსახლერე ქვეყნებს. განსაკუთრებით დიდი მომავალი აქვს ამ მხრივ აზერბეიჯანს, რომელშიაც ეხლა ხდება დიდი კულტურული რევოლუცია, ახალი ლათინური შრიფტის შემოღებასთან დაკავშირებით, რითაც უამრავი თურქული ტომები ერთიანდება. ვიმეორებთ: დიდი მნიშვნელობა აქვს ე. „აღმოსავლეთის საზღვარზე“ ს, მაგრამ საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს თარგმანების სერიოზულუბას, სათარგმნი მასალის შეჩვენას, რათა ნათარგმნი დამახასიათებელი და ღირებული იყოს, და საერთოდ, ჟურნალის, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მხატვრულ ცხოვრებასთან უშუალო დაახლოებას.

ზემოთ ჩვენ დავასახელებთ თითქმის ყველა, საქართველოში გამოსული ჟურნალები. დასახელებული ჟურნალები წარმოადგენენ საზოგადოებრივად შედარებით საინტერესო ლიტერატურულ ცენტრებს ჩვენს სინამდვილეში. თუმცა მათ გარდა საქართველოში კიდევ გამოდიოდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთები, მაგალითად, „პოეზიის დღე“-ს სახით, რომელიც მეტად მდარე და კაზიონურად შედგენილი იყო, ქუთაისის „პროლეტარული მწერლობა“-ს სახით და ბათუმის „სიტყვა ტრიბუნადან“. ეს ორი უკანასკნელი უფრო მკითხველების და არა მწერლების ორგანოები იყო.¹⁾ საერთოდ ლიტერატორმანიას სასტიკად უნდა ვეზბრძოლოთ, დილექტანტიზმს, მით უმეტეს. სჯობს ორი კარგი პროლეტარული მკითხველი მოვამზადოთ, ვიდრე ლიტერატურას სამი ასეთი დილექტანტი „მწერალი“ მოუმატოთ.

სამწუხაროა, რომ ეს დილექტანტიზმი პროლეტარულ მწერლობის მარკითაც გამოდის. და როგორც ვახეთ „ახ. კომუნისტმა“ გამოარკვია, თურმე ბათუმის აღმანახის „პოეტები“, სხვას რომ თავი დაეანებოთ—საზოგადოებრივად მეტად მაკენე ელემენტებია, და არამც თუ მწერლობის სახელის არამედ მოქალაქის სახელის ტარებიდანაც უფლება ახდითა კატეგორიას ეკუთვნიან. პროლეტარული მწერლობა, სახელმწიფოებრივად გაბატონებულ კლასის მწერლობა და ზოგიერთი მოწინააღმდეგე ფენები, თავისი „მხატვრობის“ გასაღებას ამ გზით შეეცდებიან. მართალია ეს ცდა ჯერჯერობით ხალხურის და სასაცილო ლექსობის ზეტს არაუფერს იძლევა მაგრამ დაზღვეული მაინც არა ვართ. რეპციონური ხლამი („ხალხურა“) მართალია ლიტერატურულად არაერთარ ღირებულებას არ წარმოადგენს, მაგრამ მას მაინც აქვს საკმაო მავნებლების ძალა და ამიტომ ბრძოლა მის წინააღმდეგაც საჭიროა.

¹⁾ ხელალებით ყველა ამ კრებულებში მოთავსებულ ავტორთა უარყოფა არ შეგვიძლია რადგან არ ვიცით რა იქნება რომაელში. ჯერ კი არაუფერი საიმედო არ სმანს.

თავი პირველი: მხარჯუნენ ბანაჟი

ქართული
ბიბლიოთეკა

ვინ წაიკითხავს, ვინ მოიწონებს
გააზრებულს და აქვე წარმოთქმულს?

ზოგი მოითხოვს პირმამწვენებულს,
ზოგს ლექსი უნდა შეეცარებულის.
ზოგი სიძველით არის გაართული,
ხიბავენ მიმტრალი მწვენიერება
საკელსითა სტილის ქართულით
გრძნობს უძლიერეს ბედნიერებას.
ზოგს ეროვნული „დრამა“ მოუნდა
და თამარ მეფის დარბაზს იგონებს—
დღესაც ამას სწუხს: რათ იქორწინა
„თვალმა ქვეყნისამ“ ბოგოლიუბოვზე.
ზოგი ნეპანის მანუქატურას
ჭყიდის, ყიდულობს, აწყობს თაროზე,
უცხო ფარები უნდა მბატრულად
ძლივს მოტანილი ზღვით, თავრიზიდან.
ზოგს კი არ უნდა:
ვარსკვლავებს ეტლით შემოეულო,
სდგას სინამდვილის უარყოფელი;
ზვეგიდან უმზერს ფუნჯიულორს
და კედება მთვარის ავადმყოფობით.
კიდევ ვინ მოსთელის, ძმაო სხვა გვარებს,
კიდევ ვინ რაგვარ „ცეცხლით“ იწეება;
ვინ წაიკითხავს, რისთვის იწვალთ;
ან ლექსი ვისთვის დაგიწერიათ?..

ფრ. ნაროუშვილი.

1. პ ი რ ბ ა

მეტის მეტად მანება და დამლუპველი პროლეტარულ რევოლუციონერის-თვის საკუთარი კლასის ძალების არდაფასება, მაგრამ ასევე დამლუპველია მოწინააღმდეგეთა ძალების გაუთვალისწინებლობა.

იყო პერიოდი, როდესაც ზოგიერთი კომუნისტი კრიტიკოსები ლიტერატურაში აშკარა მტრებისაგან და რეაქციონურ მწერლებებისაგან თავს დაზღვეულად გრძნობდნენ. კერძოდ კონსტანტინე გამსახურდია ბევრმა უკვე არარსებულ საშინაოგებად გამოაცხადა. თიოქოს ჩვენს ლიტერატურას მოაკლდა ერთი აშკარა რეაქციონერი, თითქოს დავიწყებავს მიეცა ავტორიც და მისი ლექსებიც. მაგრამ არა! არ მომკვდარა! თურმე მხოლოდ სძინავს, გაიღვიძა და 1928 წელს ჩვენი წიგნის ბაზარზე ზედიზედ ლეთისრისხვად ოთხი წიგნაკი გამოუშვა: 1. „ტაბუ“, 2. „ახალი ევროპა“, 3. „გოეთე“ და 4. გოეთეს „ახალგაზრდა ვერტერის ცნებანი“. ეს უკანასკნელი თარგმანია, ამ მიმოხილვაში კი იმიტომ ვახსენებთ, რომ ნათარგმნის შინაარსს, უკეთ, ვმირის ხასიათს, არსებითი კავშირი აქვს მთარგმნელის ფსიქოლოგიასთან. გამოქვეყნებულ იქნა კი-

დევ ერთი ნოველა „ჯამუ“ და მოთხრობა „ლილი“. რაოდენადვე მსოფლიოა, ხარისხი კი...

და აი ხარისხის შესახებაც! დასცინიან ერთ მათემატიკოსს, რომელმაც თურმე მხატვრული ნაწარმოების წაკითხვის შემდეგ იკითხა:

რა მტკიცდება ამითო? კ. გამსახურდიას მიმართ ეს კითხვა დასაშვებია. რა მტკიცდება?

პირველად ყოვლისა მტკიცდება ის, რომ კ. გამსახურდია გაუსწორებელია. მეორეც ისა, რომ მწერალი განაგრძობს აქტიურ ბრძოლას ყოველივე პრინციპიალურად ახალის წინააღმდეგ.

ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკაში ხშირად შეხვდებით ხოლმე: „მწერალს ჯერ არ უგრძნია ჩვენი საბჭოთა სინამდვილე“, „მწერალი ჯერ ვერ იცნობს ჩვენ ყოფას“ და სხვა... ამბობენ ხოლმე აქას კ. გამსახურდიაზედაც. მაგრამ არა, საქმე აქ მხოლოდ არ ცოდნაში კი არ არის, საქმე—არ მიიღება ში ა. იცის, კარგად იცის, კ. გამსახურდიამ, რომ გაჰქრა ჩვენი სოფლიდან შიში ტაბუს საიდუმლოებრივადში, იცის, რომ აღარავის ეშინიან „უხსენებელი“ გველის ხსენების, რომ ჭინკებით და შავი მოჩვენება-მორიყლებით აღარავეინ აფრთხობს გლეხებს. მით უფრო უარესი ფაქტებისათვის! მით უფრო თანაგრძნობით მისტირის მწერალი ამ მიმავალ უმეტრებას და სიბნელეს. მით უფრო სასოებით და გულის სიღრმიდან ამოხეთქილ სიუხვით ასწერს იგი ამ მეგრულ ჩაბლახების სიმშვენიერეს, ძველებურ ბუხრის ქუდების გამძლეობას, ციებიანი ადგილების და ჭონჭყოების ბაყაყების მწყობრ (!) ორკესტრს (!) პატრიარქალურ სოფლის ყველა უსასიზღრეს ზნე-ჩვეულებას, რელიგიურ შხამისა და კერპთაყვანისმცემლობის ნაშთების მითოლოგიურ სურნელებას და სხვ. ჭეშმარიტად კ. გამსახურდიას ესეთობაა საკირო, იმისთვის, რომ ბაყაყების ჭყარტალი მუსიკას ამჯობინო. ბეთხოვენი მოგვეწყინდა—გაუმარჯოს ბაყაყების სიმფონიას! რეაქციონურ დაბრმავების გაუგონარ წერტილამდე უნდა მიიღწიოს კაცმა, რომ ასეთი გემოვნება შეუღმუშავდეს. და ამის შემდეგ შეუძლიან ასეთ ესთეტიკებს დასცინონ პროლეტარულ მწერლებს [ვულგარობაში და ანტიესთეტიკაში]!

ყოველი შედარება, ყოველი სახე, მეტაფორა თუ გამოთქმა „ტაბუ“-ში ჰყარს ძველი პატრიარქალობით. გარჩეული, განათლებული და ევროპიელი ქართველი (მეგრელი), რომელსაც მხოლოდ ოცი წლის შემდეგ გზათ გამოუვლია საშობლო მხარეში, იტანჯება საკუთარი ლანდის—მონოკლიანი მეფის-ტოფელის თანხლებით. „მე—ჩოხიანი და მე—მონოკლიანი“ ერთმანეთს ტრაგიკულად აეკვიტა. და ამ სისხლის ფერ ჩოხიანს, თავისი ევროპიელი მონოკლიანი ორეული, ისე როგორც დანტე ვირგილიუსს, მიჰყავს ქართულ სოფლის მე-17 საუკუნის უმეტრების ჯოჯობნითში, ახარბებს მას ამ უკულტურობას. ამით მე—ჩოხიანი სძლევს მონოკლიანს. ზეიმობს ქართველობა, ზეიმობს რასის ქედმაღლობა, რადგან მდიდარია იგი წარსულის უკულტურობით, წარსულის კომპარებით. აი დადის ჩოხიანი და აჩვენებს თავის ორეულს: თუ როგორ იკოდენ ძველად აზნაურებმა მიმინობით ნადირობა, თუ რა მშვენიერება იყო

ქართული
ლიტერატურა

ეს და სხვა... გადავარდა მიმინოებით ნადირობა. აღარ არის იყო: „დაპატარავდენ ჩვენი სოფლის აღვის ხეები“ (გვ. 20), გადავარდა ვარემო და კარგად ესმის ჩოხიან ევროპიელს „შშობლიური მელანქოლია ამ ქვემპრომების (ბაყაყების პ. ქ.) ქორალურ მოთქმაში“.

საკვირველია ბედი ყოველი დრო გადასულ მსოფლმხედველობისა! ბედი ცინიკურია! დრო ჩამორჩენილებს არ უცდის! უღმობელია წინსვლა და ოდესღაც გმირული იდეალები სასაცილონი ხდებიან. როგორ დაქვეითდა ეროვნული გმირობა! სარწმუნოებისა და ერისთვის თავდადებულ თორნიკე ერისთავიდან (ა. წერეთელი), გიორგი სააკაძიდან (ა. ფურცელაძე) და დიდ სარდალ ერეკლე მეფიდან (ნ. ბარათაშვილი) ნაციონალიზმის გმირები წარპლიან ხვეისთავებამდე (მ. ჯავახიშვილი) და სისხლის სამართლის დამნაშავე ბანდიტ ჯამუშდე (ქ. გამსახურდია) დაეცნ. და ამას ეძახის ქ. გამსახურდია ქართულ „რასის ქედმაღლობას?“ („ჯამუ“, „ქართული მწერლობა“ № 2-3 გვ. 23).

ბაყაყების კონცერტის და ბანდიტ ჯამუს მეტს ვერაფერს გმირულს, იდეალურს, წარმტაცს, პროგრესიულს და მოწინავე ახალგაზრდობის აღმფრთხილებელს ვეღარ იძლევა ნაციონალიზმი. ამით სურთ დაუპირდაპირდენ ჩვენს რევოლუციონერობას, ინტერნაციონალიზმს და სოციალიზმს? კრილოვმა ვერ ასწავლა ფინიას ჰეუა, გაცოფებული, გაბოროტებული და ცხვირპირ ჩამტვრეული ნაციონალიზმის ფინია ისევ უყუფეს სპილოს, მაგრამ სპილო განაგრძობს თავის გზას.

მთავარი აზრი ნოველა „ტაბუ“-ში არა მარტო ნაციონალიზმში, არამედ თანამედროვეობიდან ძველ სოფლის და წარსულ საუკუნეების საქართველოსკენ გაქცევაში მდგომარეობს. პატრიარქლობისკენ გაქცევისა და ფსიქოლოგიურ რეაქციის ნიმუშები პირველი არ არის გასაბჭოების შემდეგ პერიოდის ქართულ მწერლობაში. მოვიგონოთ თუ გინდ მ. ჯავახიშვილის „ტყის კაცი“ სადაც მოცემულია ჩვენი სინამდვილიდან ტყედ გაქრილი, დაქანცული, ზეღუმეტ ადამიანი და ქცეული და მოთენთილი ინტელიგენტის ფსიქოლოგია, ასევეა ქ. გამსახურდიას „ტაბუ“-ში. ჩოხიან ქართველს აწამებს მონოკლიანი ორეული. „გაორებული“ ქართველი ბურჟუაზიულ ცივილიზაციას, მიუხედავად ამ ცივილიზაციის დიდი სიყვარულისა—გამოქცევა¹⁾, გაქცევა რევოლუციონერ სინამდვილეს და პატრიარქლობას თავს აფარებს.

თავისი მონოკლიანი ორეულით „ტაბუ“-ს გაორებული გმირი შედის თანამედროვე სოფელში და სიხარულით აღნიშნავს, რომ ოცი წლის განმავლობაში ყოველივე „ისევე ისე“ დახვდა. პირველად ყოვლისა ეს ასე არ არის და ყოველივე სოფლად რომც „ისევე ისე“ დარჩენილიყო, ამის წინააღმდეგ ბრძოლა მართებდა მწერალს და არა სიხარული.

„ტაბუს“ თითქმის ყოველ გვერდზე ვნახავთ ამ „ისევე ისე“-ს. ბაყაყები „ისევე უნუგეშოდ მოსთქვამენ როგორც ოცი წლის წინათ“ (გვ. 22) „აჭურის ბუხრის თავი ისევე იქვე სდგას, როგორც ამ ოცი წლის წინეთ. ვინ იცის

1) ექსპრესიონიზმის მთავარი მოტივია.

რამდენი ფეოდალური იდილია ახსოვს ამ ბუზარს (გვ. 23), „^{ქართული} ციხეები ძველებურად სდარაჯობენ ნაქვედის საყდარს“ (გვ. 24), რომელიც თურმე „გოლიათურად“ სდგას, „ოცი წლის შემდეგ კვლავ ვეწიე ამ გავერანებულ ნასოფლარს და ახლაც მარცხენა ხელზე მიმინო...“—(გვ. 25), „ნაქვედის ეკლესია დარჩენილია მხოლოდ, საუკუნეების კოშმარულ სიზმარში გართული“ (გვ. 27). ასე ეძებს მწერალი იმას, რაც „ისევ ისეა“, რაც „ისევ იქაა“, რადგან მისი ინტერესების გარეშე სდგას ის, რაც უკვე არ არის ისევე ისე, რაც იქმნება დამოღის. ნუთუ მართლა გოლიათურად მოსჩანს ეკლესია ეხლანდელ სოფელში, ნუთუ ის სასაცილოდ და საწყლად არ მოკუზულა, ნუთუ ჩვენ სოფელში მხოლოდ ის არის საინტერესო, რაც „ისევ“ არის და არაფერია საინტერესო იმისაგან, რაც ჯერ არ არის, მაგრამ იქნება, რაიც მოღის!

„ჯამუ“-ში მოსკოვის ციხეში მყოფი ქართველი (ისევ მეგრელი) ბანდიტი კ. გამსახურდიას მიერ წმინდანად და გმირად არის მოკცემული, ყაჩაღი გმირია— „დაქრილი ვეფხვი“, იგი „ისე აღშფოთდა ლალატით, რომ ჭკუაზე შეირყა“ (გვ. 15), „შველისებურ, კეთილშობილ, გიშრის თვალების შემეყურე, როგორ იტყოდა, რომ გივი იყო ყაჩაღი ან კაცის მკვლელი“ (გვ. 17). ყაჩაღი კვდებოდა, მაგრამ ქართული რომ მოესმა გამოფხიზლდა, ყაჩაღმა ავტორში დიდი თანაგრძნობა გამოიწვია, რადგან იგი ქართველი იყო და სხვა ასეთები. კრიტიკის აზრით აქაც ნაციონალიზმთან გვაქვს საქმე. მაგრამ, როგორც „ტაბუ“-ში, ისე „ჯამუ“-ში გარდა ნაციონალიზმისა კიდევ სხვა სერიოზულ იდეებთან გვაქვს საქმე.

დოსტოევსკი ამბობდა, რომ ყოველგვარი ყაჩაღის გამოსვლა არის პროტესტი არსებულ საზოგადოებრივ წყობის წინააღმდეგ. მით უფრო არის პროტესტი არსებულის წინააღმდეგ ის მხატვრული ნაწარმოები, რომელიც პრომანტიულებს ყაჩაღს. ყაჩაღის სახეს ლიტერატურაში დიდი ისტორია აქვს. შილერის კარლ მოორი—ეს იყო პროტესტი მიმავალი ფეოდალიზმის წინააღმდეგ. ბაირონის ტანჯული ტუსაღები—ესეც რომანტიული პროტესტი იყო აჯანყებული ინდივიდუალისტის. რომინ გუდი—დემოკრატიის გმირია. კაკო ყაჩაღი—ილია ქაეჭავაძის კომპრომისი იყო პროგრესიულ დემოკრატიისადმი. ხალხური არსენა ყაჩაღი, ხომ ჩაგრულთა თავისუფლებისთვის ბრძოლის დროშა იყო. ყველა ეს ყაჩაღები პროგრესიულობის დროშით მოაველინა მათმა ავტორებმა. მაგრამ რა არის კ. გამსახურდიას ყაჩაღი? ეს რეაქციონერი რომანტიკაა. ეს არის რეტროგრადიულ რომანტიკის პროტესტი, პროგრესიულ და ამ რომანტიკისთვის სასტიკი თანამედროვეობის წინააღმდეგ. კ. გამსახურდიას ყაჩაღი უკან მიმავალ უტოპიურ რომანტიკის პროგრესიულ და რეალურ სოციალისტურ „რომანტიკასთან“ შეჯახების სიმშოლო არის.

საერთოდ თუ ორი სიტყვით მოვიხსენიებთ კ. გამსახურდიას შემოქმედების მთავარ აზრის დახასიათებას—ეს იქნება: რეაქციონერი რომანტიკა, მეოცე საუკუნის ზედმეტი ადამიანისა.

კ. გამსახურდიას „ყაჩაღი ევროპა“-ც, თუმცა ეპირის მიხედვით თითქოს კრიტიკაა, — „ლირიკული“ ნაწარმოებია და სრულებით ადასტურებს ჩვენს აზრს მისი ავტორის მსოფლმხედველობის შესახებ.

დიდის ერთგულებით უწევდის ხელს, მეოცე საუკუნის ლიტერატურული მემკრამეტე საუკუნის ზედმეტ ადამიანს ახალგაზრდა ვერტერის სახით კ. გამსახურდიამ სთარგმნა გოეთეს „ახალგაზრდა ვერტერის ვნებანი“ და ვერტერის ტიპისადმი აღფრთოვანებული წინასიტყვაობა წარუძღვარა. მართლაც: მეტისმეტად დაგვიანებული პედანტურ ერთგულებით რჩება ბოლომდე ვერტერის წამბაძველით კ. გამსახურდია.

კ. გამსახურდიას ტიპები, თვით კ. გამსახურდია, აზროვნების მიანერით სიმპატიებით და ესთეტიკით მსოფლიო ლიტერატურის ყველა ზედმეტი ადამიანის ტიპებს ჰბაძავს. საერთოდ კ. გამსახურდია (გრ. რომაქიტესთან ერთად) ლიტერატურიდან გაკეთებული კაცია¹ ეს რაღაც მოძრავი ციტატა, ციტატების კომპინაციაა. „ტაბუ“-ს გმირი (იგივე ავტორი)—ეს ციტატა-კაცი ვერტერი-ვით მოწყენილია² და ევგენი ონეგინი-ვით ჩაიღვაროლდის შანტრით და დის, ჰამლეტი-ვით გაორებულა³ (მონოკლიანი და ჩოხიანი) და ყველაფერზე გულგატეხილია:

Прямым Оногин Чайльд Гаролдом

Вдался в задумчивую лень...

თქვენ გახსოვთ ალბათ, რომ ვერტერს ძალიან უყვარდა პატრიარქალური წარსული, კ. გამსახურდია ერთგულია თავისი პროტოტიპით და ისიც აღფრთოვანებულია ამ პატრიარქალობით (ნითები „ტაბუ“-ში). ვერტერი მოწყენილობას ხეტილით იკლავდა, ჩაიღვაროლდიც და ევგენი ონეგინიც...

И начал странствий без цели...

„დიონისოს ღიმილში“ კონსტანტინე სავარსამიძე ტაია შელიას ეუბნება: „შუა ცხოვრების გზაზე შემომალამდა“-ო. გაორებული ჩოხოსანიც „ტაბუ“-დან ნადირობით ირთობს თავს, რადგან „ამგვარ კრიზისის დროს მე შემიძლიან მხოლოდ ვინადირო“... (გვ. 27) ამბობს იგი.

რაში მდგომარეობს ზედმეტი და გაორებულ ადამიანის აზრით კრიზისი? „კრიზისი? უმითოდ ყოფნაა. ჩვენთვის: არ ყოფნა. დადიხარ ამ ქვეყანაზე ზედმეტი კაცივით“ (გვ. 26). კრიზისი გარდა ამისა ღმერთის დაღუპვაშია („ცხადია, თანამედროვე ევროპის მწვავე ტკივილები ახალი ღმერთის შობით უნდა იქნას გამოსყიდული“—„ახალი ევროპა“ გვ. 8). რა არის მითა? მითი პატრიარქალურ წარსულის მსოფლმხედველობის ერთერთი ფორმაა. იგივეა პირველ ყოფილი ღმერთი. კ. გამსახურდიაც იქით მიილტვის ახალ დროებით სასოწარკვეთილი, მოწყენილი, ჩამორჩენილი და ზედმეტ ადამიანად ქცეული გოეთეს ვერტერი თავის თავზე ამბობს, რომ ის თანადამსწრეა თანამედროვეობის. კ. გამსახურდიაც, მისი გმირებით და თვითონაც, როგორც მწერალი მხოლოდ თანადამსწრეა ჩვენი ეპოქის და როდესაც „დიონისოს ღიმილში“ მწერალი გვთხოვს არ გავიგივეოთ მისი გმირების საქციელი ავტორის საქციელთან, ჩვენ

¹) „არეულა ჩემო მოსისხარო მტერო, დეშმანო, მომეწყენა ამ ქვეყანაზე უმინოთ ყიალი“. (გვ. 42).

²) „სანაზვროდ გამზარი ტოტები და უცნაური მარტოობა და მწუხარება დაეფლა ჩემს გაორებულს სულს“ (გვ. 31).



იძულებული ვართ ავტორს უარი უთხრათ ამაში, როგორც წარმართული კომი-
ლის „გმირის“, ისე „ტაბუ“-ს გმირის მიმართ.

მოთხოვნა „ლილ“-ს საერთოდ მეტად ლატაკი ნაწარმოებია და თავის ში-
ნაარსით ზემოდდასახელებულ წრეში აქცევა (მოცემულია ამბავი ერთი ზედ-
მეტი. უსაქმო მოდონეუანო სუბიექტის, უშედეგო და კურაოზულ „ტრფიალისა“,
ნადირობისა და სხვ.).

ფორმის მხრივ კ. გამსახურდიას „ტაბუ“ ამ წლის ნაწარმოებებს შორის
უფრო შეპყვრის მწერლის მსოფლმხედველობას. სახეები და შედარებების ობი-
ექტები პატრიარქალური, ძველი სოფლის და რელიგიურ ყოფიდანაა აღებული
(„უნათლავი ბავშვის თმასავით ნაზი“, „მოსისხლარით მზვერავედა“, „მშვილ-
დით მოსდრიკა“, „შავი გველებით გართხმულან მიწაზე“). ასეთივეა ლექ-
სიკონი. აქვეა არისტოკრატოზმანიით გამოწვეული პარადოქსალობა, ისტორიზ-
მით დამძიმებული კონსტრუქციები და ა. შ. მაგრამ ერთი კარგი თვისება აქვს
კ. გამსახურდიას: ეს არის ლაკონიზმი და მისალის მაქსიმალური დაწურვა. „ჯა-
მუ“-ში კი მაქსიმალური ეკონომიაა სიუჟეტის დაკომპოზიციის მხრივაც. კარგია კ.
გამსახურდიას წერის მანერაში ისიც, რომ ყოველი მოხმარებული მხატვრული ხერხი
ან „სამკაული“ დამორჩილებულია ნაწარმოების მთავარ განწყობილებინსადმი, მო-
ვლენები და სახეები ერთნაირად ამორჩილებიან საერთო (რეაქციონურ) აზრს.

მელანქოლია „ჯამუ“-ში, ყურით მონათრევი დემონოლოგია და კომარე-
ბის მობილიზაცია „ტაბუ“-ში და საერთოდ სტილი კ. გამსახურდიას წერისა,
რა თქმა უნდა, სავსებით გამომდინარეობს მის შემოქმედების მთავარ (დეკადენ-
ტური) მაგისტრალური ხაზიდან.

საერთოდ კი უნდა აღიარებულ იქნას, რომ კ. გამსახურდია ამ წელს მე-
ტად აქტიური იყო და დამახასიათებელიც. თუ დღემდე კ. გამსახურდია, თვით
ძველი ქართველი ინტელიგენციის დიდ ნაწილთანაც კი ვერ პოულობდა საერთო
ენას, ეხლა ის თავის შემოქმედებაში სცდილობს გააერთიანოს განსახლებული
ფენის განწყობილებები. ეს ფენაა:

ევროპის ბურჟუაზიულ ცივილიზაციას დაწაფებული ქართული გალატაკე-
ბული არისტოკრატის ნარჩენები, რომელნიც თავისი სოციალურ პირობების
გამო „გაორებას“ განიცდიან ჩოხასა და მონაკლის პატრიოტიკის შორის (ორი-
ენტაცია ბურჟუაზიულ ევროპაზე პლიუს თავად-აზნაურული ნაციონალიზმი), რო-
მელთათვის რევოლუციონურ თანამედროვეობაში არავითარ პროგრესულ სა-
ზოგადოებრივი ფუნქცია არ მოიპოვება და ზედმეტ ადამიანებად დარჩენილნი
რეაქციონურ რომანტიკით და ნაციონალიზმის შხამით ებრძვიან ჩვენს რევოლუ-
ციონურ თანამედროვეობას.

* * *

1927 წ. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ მიხეილ ჯავახიშვილი თანდათან
მხოლოდ ყოფილად ამიანთა მწერლად იქცევა. შემდეგმა პრაქტიკამ ჩვენი
აზრი სავსებით გაამართლა. ზოგიერთ კრიტიკოსებს ეს „დამსახურებათა მიაჩ-
ნიათ. ჩვენ კი გვეგონია, რომ „ჩვენი დროის გმირებს“ შორის, ყოფილ ადამი-

ანს, ყველაზედ ნაკლები მნიშვნელობა აქვს. უმნიშვნელო თემისაა მწერლის სხვა უმნიშვნელო წონისა იქნება. მაგრამ მ. ჯავახიშვილი ჯერ კიდევ უკლებს ყურადღებას, რადგან თავის უმნიშვნელო თემებს შედარებით მნიშვნელოვან იდეებთან ერთად იძლევა. ეს „უმნიშვნელოვანი“ იდეა — რეაქციონურია! ამით იმსახურებს იმ ყურადღებას, რომელსაც ხშირად უმართებულოდ იჩენენ მის მიმართ.

1928 წ. მ. ჯავახიშვილის მიერ გამოქვეყნებული მოთხრობები, თითქმის ყველა ყოფილი ადამიანებისადმი მიძღვნილი. „გივი შადური დაბრუნებულ“ ში მოცემულია ამბავი, თუ როგორ იტანჯება ერთი ყოფილი მემამულე და კაპიტალისტი, რომელიც ოდესღაც ქართველი ყოფილა. „ულალატნია“ ქართველობისთვის. გადაუკეთებია თავისი გვარი შავარდენიძე — სოკოლოვად, — უცხოვრია მდიდრულად რუსეთში და ეხლა ოქტომბრის რისხვას გამოქცეული ისევ „სამშობლოს“ დაბრუნებია. ავტორი „არ მალავს“, რომ ამ ექსპლოატატორს „ოდესღაც“ პატარა ცოდვები“ ჰქონია... რა უყოთ! ცოდვა ვის არ ჩაუდენია! და თავისი გმირის წარსულისადმი მოსაჩვენარი სექპტიციზმით მწერალი მკითხველის ნდობას იმსახურებს, — თითქოს იგი „ობიექტიურია“. რა უყოთ, რომ წარსულში „შეცდა“ სოკოლოვი-შავარდენიძე, სამაგიეროდ ეხლა... შიმშილობს. მაგრამ სხვას ლუკმას აღარ ართმევს, „მისი მორჩილი ხმა გარდაიქმნა“, „მის ხმაში კრემლი გამოლანდა“, ერთი სიტყვით გაპატიოსნდა! ასეთი ცვლილებების გამო. გივი შადური და მასთან ერთად მისი მწერალი ყოფილი ადამიანის ამნისტიას და სოკოლოვის მოქალაქეობრივ უფლებებში აღდგენას მოითხოვენ:

„ავად ნულარ მომიხსენიებთ, ნულარ დამრბახავთ, ერთი (მხოლოდ) პ. ქ.) დავა-შავ და ათასი მივიღეს ხალხურად, ერთხელ შევცდი და ასჯერ დავისაჯე“. (მნათობი“ № 1. გვ. 30).

მწერალიც, როგორც ხედავთ, გვარწმუნებს, თითქოს გივი შადური მხოლოდ ერთხელ შეცდა, მაშინ, როცა ის დიდი მემამულე, რამოდენიმე ქარხნის პატრონი იყო. განა ასეთი მსხვილი ექსპლოატატორი მის ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ სცდება? განა მუშებისა და გლეხების ათასები სოკოლოვის სასტიკ და შეუბრალებელ უღლის ქვეშ არ გმინავდენ, განა ერთი კაცის ისიც ყოფილი მყვლე-ფელის ეხლანდელი „ტანჯვა“ შეედრება ათასების იმ გაუგონარ ექსპლოატაციას, რომელსაც სოკოლოვი თავის მეუღლესთან ერთად ეწეოდა და რომელსაც მწერალი სავესებით იფიქვებს. თუშე... ყოფილ ადამიანთა დაუქირავებელ ვეპილს მ. ჯავახიშვილს არაფრად მიაჩნია მილიონთა ჩაგვრა და უფრო ახლოა მის გულთან ამ მილიონების ერთ მუჭა მჩაგვრელთა დაცემის შემდეგი „შინაგანი“ „ფსიქოლოგიური ტანჯვა“.

ჩვენ კრიტიკას უსაყვედურებენ როდესაც აიგივეებენ ნაწარმოების ამა თუ იმ გმირის განწყობილებებს და სიტყვებს თვით ავტორის განწყობილებებთან. ყოველ სასკოლო წიგნაკებაში, სიტყვიერების თეორიებში გაიძახიან: გმირის სიტყვები არ შეიძლება ჩაითვალოს ავტორის სიტყვებათო! რა თქმა უნდა, ეს ანბანური ამბავია! მაგრამ არის სხვა კემშარიტება, რომლის დავიწყება არ შეიძლება. ეს კემშარიტება შემდეგში მდგომარეობს: მწერალი ყოველთვის პა-

სუბსიდეგებელია თავისი ნაწარმოების მთავარ გმირების მიმართ უპირობო გულღეიზიზმა ეს მშვენივრად დაამტკიცა. მწერლის განწყობილებების და იდეების მატარებელია გმირი, რომელიც თანაგრძნობით და „შიგნიდან“ არის მოცემული. მ. ჯავახიშვილის მოთხრობებში ყოფილი ადამიანები ასეთი უხვი მამაკაპური, ძმური და მეგობრული თანაგრძნობით არიან მოცემული. ჩვენ დროში მემარჯვენე მწერლებს თავიანთი იდეების გამოთქმის ისეთი ფორმები ესაქიროვებთ, რომლებმაც გააძნელონ ავტორის პირდაპირი გამოქვავება. (რუსეთში ცნობილი „იეზოპის“ ენა). ამიტომ უმთავრესად გმირების პირით და მათი მოხაზვით და არა თვით მოთხრობის სიტუაციებით სცდილობენ, ასეთი მწერლები, მკითხველში თავიანთი აზრის გადაცემას, მაგ. „შავ კლდე“-ში გივი შადურის აშკარა რეაქციონურ ტირადებით ართობს მწერლებს. თვით მოთხრობაში კი თითქოს ცუდი არაფერია. მწერალი ფორმალურად მართალია, თითონ ხომ არ ამბობს! გივი შადური ყოფილი კაცია, ეპატივბაო, ამ რიგად თვით ნწერალსაც უნდა ეპატიოს.

მოთხრობა „ქურდი“-ც ყოფილ ადამიანს, ოდესღაც ცნობილ მოსამართლე ჩირაძეს თავს დასტრიალებს. ჩირაძე მონარქიას „გულმოდგინეთ, მარჯვეთ, პირნათლად და ერთგულად“ ემსახურებოდა. და თუ ამ პატიოსან მოხელეს „მგელი“ ერქვა ან ბოქაულური სისასტიკის ტიპური წარმომადგენელი იყო — რა უყოთ, მისი ბრალი ხომ არ არის! მრვიდნენ „სხვა მგლები“ ბოლშევიკები და უდანაშაულო ჩირაძე დაღუპეს. არა, დანაშაული მართალია ქონდა ჩირაძეს მაგრამ ეხლა ხომ დაკონკილი შარვალით, მორჩილი (?), გამზმარი და გამოფიტული (!) დადის. მან ეხლა ჯიბგირობა დაიწყო და იმავე სასამართლოში სადაც ის უდანაშაულოდ სჯიდა ხალხს, ეხლა მასვე ასამართლებენ. ასამართლებს მისი ყოფილი მსხვერპლი — გლეხი, რომელიც მან უმიზეზოდ გააციმბირა. გლეხი-მოსამართლე სამაგიეროს არ უხდის ყოფილ „მგელს“ და ანთავისუფლებს. აქ ავტორი თითქოს სიმართლეს უახლოვდება და საერთოდ მოთხრობა „ქურდში“ წინააღმდეგ სხვა მოთხრობებისა ყოფილ ადამიანს ახალ, თანამედროვე კაცსაც უპირდაპირებს, რითაც მოთხრობა ძლიერ იგებს. მართალია ახალი მოსამართლე-გლეხი მკრთალია, მაგრამ მ. ჯავახიშვილიდან ისიც საკვირველია, საკვირველია, როგორ დაემართა, რომ მოსამართლე-გლეხი ყოფილ ადამიანზე მალა დააყენა.

შედარებით „უენებელია“ „შავი კლდე“-ს მეორე ნაწილი. შესავალი, როგორც ვთქვით, რეაქციონური ტირადაა. მაგრამ თვით მოთხრობას (მეორე ნაწილს) აქვს ერთი დადებითი მხარე. აქ მკითხველს ავტორი ბურჟუა თავზარეულების მიმართ საკმაოდ საგრძნობად უნერგავს სიძულვილს. კარგადაა მოცემული ამ ბურჟუების ღორობა და გაუტანლობა. თუმცა საეკეოა ეს დემოკრატიული განწყობილებები ყოფილ ადამიანისა (გივი შადურის), მისი წარსულში შოფერად ყოფნა და საერთოდ პატიოსნება მწერალს იმისთვის არ სჭიროდეს, რათა გააიდელუროს ყოფილი ადამიანები და მოითხოვოს ამ მათი „დემოკრატიული“ წარსულის კომპენსაცია თანამედროვეობაში. არის თუ არა გივის ეს

ამბავი ამ მიზნით შეთხზული, ჯერ დანამდვილებით არ შეიძლება წარმოვიდგინოთ იქნას, რადგან დიდი სერია „გივი შადური“ ჯერ არ არის დასრულებული.

რა აზრი აქვს საერთოდ მ. ჯავახიშვილის მიერ ყოფილ ადამიანებისადმი ასეთ არანორმალურ ინტერესს? ქვემოთ, იქ, სადაც ლაპარაკი გვექნება პროლეტარულ მწერლობაზე, შევეცდებით დავამტკიცოთ, რომ განსაზღვრული თემებისადმი ინტერესი მწერლის მსოფლმხედველობით აიხსნება. მ. ჯავახიშვილი თვით არის ყოველ ადამიანების, ყოფილი გენერლების, ყოფილი ფეოდალების, ყოფილი მოხელეების და ბიუროკრატია-არისტოკრატის ნარჩენების წაომოპადგენელი თანამედროვე ქართულ მწერლობაში და ყოფილ ადამიანებსაც ასე გულმოდგინეთ ამიტომ დასტრიალებს. „საოცარია როგორ მალე პოულობენ ერთმანეთს ნათავადარი, ნაგენერალენი და ნაკაცარნი“—ამბობს გივი შადური და ეს შეეხება თვით მწერალსაც. საიდან არ მონახავს, ყოფილ ადამიანთა ეს გულის მესაიდუმლე, მეგობრებს! სად პოულობს მათ? როგორ მოაგროვავ ასეთი იშვიათი კოლექცია? ყოველივე ეს პირდაპირ გაკვირვებს იწვევს. არ აინტერესებს მოწინავე საზოგადოებას ეს ყოფილი, მაგრამ მწერალი მათდამი ინტერესს ძალით თავს გვახვევს. ჯერ კიდევ ბელინსკი ეუბნებოდა ასეთ მწერლებს:

С кого они портреты пишут?

Где разговоры эти слышат

А если и случилось им,

Так мы их слышать не хотим,—

მწერალს, რათაც არ უნდა დაჯდეს, სურს დავვარწმუნოს, თითქოს ყოფილი ადამიანები „არც ისე საშინელებია“ და რომ განსაკუთრებით დღეს ისინი ყურადღების, ამნისტიის და შენდობის ღირსნი არიან. კრიტიკოსმა ბრიკმა ერთი კარგი აზრი გამოსთქვა რუს მწერალ იურის ალიოშას რომანის „შური“-ს (Зависть) შესახებ. მან სთქვა: ალიოშას მიერ ყოფილი ადამიანის—კავალეროვის საცოდავ ტიპათ გამოყვანით ავტორი ამცირებს საშიშროებას და ვვარწმუნებს, თითქოს ეს მტრები უკვე არავითარ ძალას არ წარმოადგენენ. არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ბრკს! ჩვენ დავსძენთ: მწერალი, რომელიც განზრახს ცდილობს დავანახოს, თითქოს ყოფილი ადამიანები არავითარ საშიშროებას აღარ წარმოადგენენ—რეაქციონერია მწერალი! მ. ჯავახიშვილის გივი შადური ამბობს: „ისევე აღარ მაქვს სიცოცხლის სურვილი, როგორც დამხვრჩევალს წყლის სურვილი“.ო. ეს მაშინ როდესაც იგივე გივი შადური, მიუხედავად თავის დახრობით მტკარისა—არ იხზობს თავს და კვლავ სურს სიცოცხლე. მეორე მოთხრობაში იგივე, გივი შადური დეკლარატიურად აცხადებს ხიხითითა და ზოროტი დემონიური დამღვრებით: მაშ აღარც საფრთხილო ვყოფილვარ და არც კუთა მქონია, ეხე-ხე!“

როგორც ხედავთ მ. ჯავახიშვილი ერთი მხრივ-ყოფილ ადამიანთა თანამედროვე საწყალი მდგომარეობის ჩვენებით, ცდილობს მათი წარსულის რეაბილიტაციის და აწმყოში მათთვის მოქალაქეობრივობის უფლების შოვნას, მეორე მხრივ კი ყოფილ ადამიანთა მეტის-მეტად დაცემულ და თითქმის „უღენებელ“ ნაწილის ყოფა-ცხოვრების მოცემით ცდილობს შეანელოს საერთო ყოფილ ადა-

მიანთა (და მათ რიცხვში პოლიტიკურად აქტიურთა) წინასწარმზამოლის საქმე, შეანელოს და ჩამოაღებინოს რეაქციის წინააღმდეგ პრინციპული რევოლუციის სადარაჯოზე მდგომ პროლეტარიატს. ამ ყოფილი ადამიანებისადმი მიძღვნილ მოთხოვნებს მ. ჯავახიშვილის შემოქმედებაში მთავარი ადგილი უკავია. აქ ის უკვე თავის თავს იმეორებს და ამ მეორე და უფრო ცუდ გამოცემებში კითხვა, უკვე გამოცემული და წაკითხულისა—საკმაოდ მოსაწყენიცაა.

მოთხოვნა „დამპატიყე“-თი მ. ჯავახიშვილი გლეხურ თემას უბრუნდება. ისევე ცდილობს ყოფილი ადამიანი გლეხის სიბნელეს დაეყრდნოს. „დამპატიყე“-ში მოცემულია საესეებით თანამედროვე თემა, სოფლად კოლექტიური მეურნეობის, კულაკების და მიწათმფლობელობის შესახებ. მაგრამ როგორ იძლევა მწერალი თანამედროვე სოფელს? თანამედროვე სოფელი ამ მოთხოვნაში პროვოკაციულადაა მოცემული. ჩვენ არ ვდაობთ, რომ მართლაც შესაძლებელია, რომელიმე კულაკმა გამოიყენოს თანამედროვე კოლექტივი თავისი ინტერესებისთვის, მაგრამ ამ ფაქტებთან ერთად ცნობილია საწინააღმდეგო ფაქტებიც. ამ სიმახინჯის წინააღმდეგ სოფლად ბრძოლა სწარმოებს, არაფერ ამ ბრძოლას ხელს არ უშლის და პირიქით, გაბატონებული პროლეტარიატი ამ ბრძოლაში ღარიბ გლეხობას ხელმძღვანელობს.

ჩვენ არ ვამბობთ, რომ „დამპატიყე“-ში აღებული ფაქტი „გაბერილია“ როგორც ზოგიერთი კრიტიკოსები ფიქრობენ, მაგრამ განსაზოგადოებრივებული კი არის. და ამაშია, როგორც ამხ. პ. საყვარელიძემ სამართლიანად აღნიშნა—ავტორის შავრახმელობა. როდესაც მწერალი უარყოფით მოვლენას ანსაზოგადოებრივებს და ამ მოვლენის გარდა სხვას არ აქცევს ყურადღებას—ეს იმას ნიშნავს, რომ განსაზოგადოებრივებული მოვლენა მას ცხოვრების მთავარ დამახასიათებელ თვისებათ მიაჩნია. თუ ამ მხრივ მიუდგებით მოთხოვნას—დავინახავთ, რომ ეს თანამედროვე სოფლის ბურჟუაზიის (კულაკების) იდეოლოგიაზეა აგებული. მიწის ნაციონალიზაცია დენაციონალიზაციით უნდა გათავდეს—ასეთია სოფლის ბურჟუაზიის ლოზუნგი. მ. ჯავახიშვილიც ამ ლოზუნგით გამოდის. ნაციონალიზაციამ დალუპა საქმე, გლეხი არ გამოიყვანა ჩაგრულ მდგომარეობიდან და ვერც გამოიყვანს: ამას ამტკიცებს „დამპატიყე“-თი ავტორი. მეორე მხრივ ახალი სოფლის ბურჟუაზიის ამოცანაა კოლექტიური მეურნეობის იდეის დისკრედიტაცია მოახდინოს. ამასაც სცდილობს მ. ჯავახიშვილი!

ერთი შეხედვით გულუბრყვილო მკითხველი იფიქრებს, თითქოს „დამპატიყე“ ღარიბი გლეხის დაცვაა. მაგრამ გაზეთ „კომუნისტ“-ში ჩვენ არა ერთხელ წაგვიკითხავს წერილები, სადაც კულაკების ბრძოლის ერთი ორგინალური მეთოდია დახასიათებული. კულაკები თურმე აქტიურად გამოდიან ღარიბ გლეხების დამხმარეთა ქურქში, „იცივენ“ მათ საბჭოთა ხელისუფლებისაგან და „ზარმაცებთან“ (похажь) ბრძოლის ლოზუნგით თვით ღარიბ გლეხობას ებრძვიან. ღარიბი გლეხი-კომუნისტები, მუქთახორა „ზარმაცები“ არიან და თქვენ კისრებზე დაგაჯდენ—ეუბნებიან ისინი ღარიბ გლეხებს. „დამპატიყე“-ში მოცემული „ახალი პარაზიტი“, სახელად დამპატიყე, საქმის არ მცოდნეა, მას ვიღაც საბჭოთა დაწესებულებაში „იქ“ რომ ზის, ის ეხმარება და ამასთანავე

ქართული

ერთად „კალექტივი“-ს სახელით „დეკლარაციებს“ ისერის, „დეკლარაციები“ ლარიბი გლეხი-კომუნისტის და მონდომებული კოლექტივისტის ანონომია, თვედორე კი, რომელიც დამპატივეს მიერ იზაგრება, პირიქით „მშრომელი“ კულაკის მაგიერადაა მოცემული. ყოველმა პიონერმაც კი იცის, რომ სოფლად კულაკი „მშრომელის“ სახელით ტრაბახობს, ის ყოველთვის გაიძახის, თითქოს მისებრ მშრომელ ადამიანს ყველგან კომუნისტები და სხვა ასეთი ზღაპრები. მ. ჯავახიშვილსაც კომუნისტები მყვლიყვლეზად ყავს გამოყვანილი. მშრომელ გლეხობას კი სამართალი ვერ მოუძებნიათ და გივი შადურისა არ იყოს „სრული სიმართლე გივის ნაბოღვარია, არ ყოფილა, არ არის, არც იქნება“, რაგინდ პროლეტარული არ იყვეს ხელისუფლება, გლეხი ისევ იზაგრება, ისევ როგორც ოცდა ერთი წლის წინედ:

„თვედორე და მაკინე კი შეჩვეულები არიან. მათთვის სიკვება და სიცივე თანაბარია. და რადგან სახამთრო საქმე ისევ ზამთარში უნდა გაკეთდეს, ნოლო შრომის თრივენი ისე არიან შეჩვეული როგორც დამპატივე წელის ტყვილია, ამიტომ მათი ოცდა პირველი ზამთარიც ისევ გავიდა, როგორც პირველი წელიწადი: ეძებენ და ვერ უპოვნიათ, სთხრიან და ვერ გაადაუთხრიათ. მღობავენ და ვერ შეგმოულობნიათ, კენკებს ჰკოფთავენ და ვერ აკრფნიათ. თელს იწმენ დავენ და ველარ მოუწმენ დიათ.“ (არაფიონი“ გვ. 66-67).

როგორც ვხედავთ დასასრული მეტად პესიმისტურია: გლეხი სამართალს ვერ იპოვის! განა ჩვენ უარყოფთ, რომ საზიზღარი უსამართლობის ტ ბიუროკრატიზმის მაგალითები ეხლაც ზშირია. მაგრამ ჩვენ ვებრძვით ამას და ვებრძვით მხატვრულ ლიტერატურითაც დახელოვნების ყველა დარგების საშუალებითაც. მაგალითად, ავიღოთ კომუნისტ რევისორის ლეო ესაკიას მიერ, ეხლახან დადგმული სურათი „ტრაქტორისტი“. აქაც კოლექტივში გაბატონებული კულაკი კოლექტივიზმის დროშით ექსპლოატაციას და არა ნაკლებ ექსპლოატაციას, ვიდრე „დამპატივე“-შია, უწევს გლეხობას. თამამად გვიჩვენებს კომუნისტი ხელოვანი ამას, მაგრამ ამასთანავე ერთად ის პერსპექტივასაც იძლევა და ნაჩვენებია, ბრძოლა ასეთი უსამართლოების წინააღმდეგ. გლეხობის ლარიბი ნაწილის გამარჯვება და ა. შ. ამრიგად სურათის დასასრული ოპტიმისტურია. ჩვენ არ მოვიტხოვთ კაზიონობას მწერლობიდან, მაგრამ ყოველი ჯანსაღი კლასის ხელოვანთა ნაწარმოებების დასასრული ყოველთვის ოპტიმისტური იყო და არის. გავიხსენოთ პროგრესიული ბურჟუაზიის იდეოლოგიის ბატონობის დროინდელი დამატურგია, რომელშიაც სასტიკი წინააღმდეგობა „ბოროტსა“ და „კეთილს“ შორის ყოველთვის „კეთილის“ გამარჯვებით თავდება. მაგრამ თანამედროვე გერმანიისა და საფრანგეთის ბურჟუაზიულ კინემოტოგრაფიაში და ლიტერატურაში სიკვდილი და პესიმისტური დაბოლავება ბატონობს, ვინაიდან თვით ამ ქვეყნების უკვე საკმაოდ გაცივეთილ და დაძველებულ ბურჟუაზიას თავს სიკვდილის აჩრდილი დასტირიალებს. ჩვენი პროლეტარული ლიტერატურაც აღმავალი და ჯანსაღი ოპტიმიზმით ხასიათდება. თუ ავიღებთ, მაგალითად სოფლის ცხოვრებიდან დაწერილ პროლეტარულ რომანებს. ყველგან ამ ოპტიმიზმს ვგრძნობთ, მიუხედავით იმისა, რომ ყოველი ასეთი რომანის ავტორი, კარგად ხედავს ჩვენი სოფლის განვითარების სიძნელეებს. მაგ. პანფეროვი თავის რომან „ბრუსკი“-ში („Бруски“) გვიჩვენებს თუ როგორი სასტიკი ბრძოლა სწარმოებს თავ-

ნამედროვე სოფელში, თუ ხშირად როგორ ბატონობს კულტურის მემკვიდრეობის გზებზე იპყრობს თვით საბჭოთა აპარატსაც და ა. შ. ყოველთვის ამასთან ავტორი ხედავს მოწინააღმდეგე ძალებსაც და თავისი რომანიტ ღარიბი გლეხობის ბრძოლას კულაკების წინააღმდეგ ხელს უწყობს. მ. ჯავახიშვილი კი თავისი პროვოკაციულ და გამოუვალ პესნიმშივით ეუბნება ღარიბ გლეხობას: საბჭოთა სინამდვილიდან სამართალს ნუ ეძებ. აქედან რა თქმა უნდა გლეხმა ის დასკვნა უნდა გამოიყვანოს, რომ სჯობს ისევე მეზობელი „მკოდნე“ „მზრომელი“ კულაკის უღელი, ვიდრე სხვა მხრიდან „მოსული“, „ახალი“ უტრადინარი პარაზიტის დამპატრეების უღელ ქვეშ. ასეთია იდეური ხაზი მ. ჯავახიშვილისა.

ვინაიდან მ. ჯავახიშვილის შესახებ აქაიქ ისმის ხმები, რომ ის სანიმუშო მწერალია ფორმის მხრივ, ამიტომ საჭიროა მისი შემოქმედების ამ მხარეზედაც შევერდეთ. მ. ჯავახიშვილი ფაბულის კარგი მოხელე არის და ეს არის ის, რაც ამარჯვებინებს მას. ყოველ მოთხრობას იგი ამბავის თავიდანვე გაშლით და საქმიანი თხრობით იწყებს, რითაც იზიდავს მკითხველს და მით უარესი ჩვენთვის. ჩვენ დროში საერთოდ პროზა და მით უმეტეს ფაბულარული პროზა სუსტია და სხვათაშორის მ. ჯავახიშვილის ამიტომ ეტანებიან. ბუზის დასაქურად მოგონილია ერთგვარი საშვალბა: ქალაღღზე, რომელზედაც საწამლაგია, თავზე თავს მოუსკამენ, ბუზი ეტანება და კიდევ იღუბება: ამას ჰქვია ბუზიჭერია (мухамар). ასეთივეა მიხ. ჯავახიშვილის ხერხი თანამედროვე მკითხველის მიმართ. მ. ჯავახიშვილის ყოველივე სხვა „ხერხი“ მეტის-მეტად მდარე და უგემურია, ობივატელურია და უხეშამდე ბანალური მისი სახეები. რომელ მოქალაქეს არ მოუვა თავში, გაშლილი ფიქვის ქვეშ დგომის დროს, ქოლგას შეადაროს ფიქვი—ამისათვის ცნობილი მწერალი არ არის საჭირო. ან რომელი კულტურული მწერალი იტყვოს „სეფისკვერა ქალი“-ო. ვინ იტყვის ან გმირს ათქმევინება რევოლიუციამზე „წითელი დედოფალი“-ო თუ არა გაბოროტებული და მხატვრულ ნიჭს მოკლებული მწერალი. მ. ჯავახიშვილის შემოქმედებაში ბარი „დევის კბილევივით კრალებს“, ადამიანები „მყინვარის ოდენა“ სალამს უძღვნაან ერთმანეთს და ავტომობილები „ლურჯი ბუნჯალივით“ ამორბიან დარიადლიდან და შემდეგ „ბოძალივით“ მიჰქრიან. აღწერებიც სრულებით არ ეხერხება მწერალს, აქ ის მეტად უნიჭოა და ისეთი მდიდარი ბუნების დახასიათებისას, როგორც სამხედრო საქართველოს გზაზე გზედება,—ავტორი მხოლოდ სხვისი ლექსებიდან ამოღებული შედარება აღწერებით თუ გვიმასპინძლდება. როგორც ფსიქოლოგი მ. ჯავახიშვილი ხომ სულ უსუსურია. ხელოვნურად თუ მოათრევს რაიმე ბანალურ განცდას. თორემ ამ მხრივ ბუნებრივი მწერალს არაფერი ეხერხება. ამრიგად სრული ტყუილია, თითქოს მ. ჯავახიშვილი კულტურული მწერალია, თუმცა ვინეორებით, როგორც ფაბულის ხელოსანი ის ღირსია ყურადღების, რადგან ჩვენ დროში სოფეტური ნაწარმოები უფრო მისაღებია, ვიდრე ყოველგვარ კონკრეტულობას მოკლებული ამაღლებული „ლირიკა“. რა თქმა უნდა, ჩვენ არ მოწუროდებთ არავის, მ. ჯავახიშვილისავით შეთხზულ და მოგონილ ამბეზზე სიუჟეტების აგებას, ჩვენ არა ვართ „ესთეტიური ტყუილის“ მოხერხნი, მაგომ არც იმათ ვეთანხმებით, ვინც ვატიკებს, თითქოს თანამედროვე პროზა არ საჭიროებდეს ფაბულარობას და ამ სფეროში დახელოვნებას.

* * *

გრიგოლ რობაქიძემ რომან „ფალესტრა“-ს მხოლოდ ექვსი თავი გამოაქვეყნა. როგორც სიუჟეტის განვითარებიდან სჩანს, რომანი დიდი იქნება: ამიტომ შეუძლებელია შეხედულების წინასწარ გამოძევა, თუმცა უკვე დაბეჭდილი თავები საკმაო მასალას იძლევა, რომანის საერთო სახის განსაზღვრისათვის. რომანის თემა ეხება თანამედროვე ევროპის ცხოვრებას, კერძოდ, გერმანიას.

საერთოდ რობაქიძე ბურჟუაზიულ ევროპაზე ორიენტაციით ხასიათდება, იგი ორტოდოქსალური დეკადენტია და ეს მისი დეკადენტობა ყოველგან გამოსკვივის, ახლაც, ამ რომანში მწერალი ბურჟუაზიულ ყოფის დეკადენტური მხარეებით არის დაინტერესებული. მისი აზრით თანამედროვე ევროპის მთავარი დამახასიათებელი თვისება სენსუალიზმი და სიტიტელეში მდგომარეობს: „ეპოქის სტილი სენსუალობაშია და სენსუალობა სიტიტელეში...“-- ამბობს იგი. ეს დებულება მართალი იქნებოდა, ჩვენ რომ იმ თვალსაზრისით ვუდგებოდეთ თანამედროვე ეპოქას, რომლითაც მწერალი უდგება, ე. ი. ბურჟუაზიული თვალსაზრისით. ზევით მოყვანილა დებულება, რომელიც ლეიტმოტივია მთელი რომანის, არ შეიცავს მეცნიერულ სიმართლეს, ვინაიდან, სენსუალიზმი სიტიტელეში გადასული, ახასიათებს ევროპის უმთავრესად ბურჟუაზიულ საზოგადოების ყოფას და ნაწილობრივ წვრილი ბურჟუაზიის ყოფა-ცხოვრებასაც.

გრ. რობაქიძე ძალიან დაგვიანებულად გადმოგვცემს ევროპის ამბებს. ახალი მას არაფერი არ უთქვამს! ეხლანდელ ევროპის ცხოვრებას ის მიაწერს იმ თვისებებს, რომელიც ნაწილობრივ უკვე ახოო წარსულს ეკუთვნის. მაგ.: ინფლაციის, ომის შემდეგი ექსპრესიონიზმის და შპენგლერიანიზმის ბატონობის პერიოდს ეკუთვნის ე. წ. „ტარზანიად“, ანუ ევროპის ცივილიზაციიდან აფრიკისკენ, აზიისკენ და საერთოდ პირველყოფილ მდგომარეობისკენ მიბრუნების ტენდენცია. ეს იყო წვრილ ბურჟუაზიის და საერთოდ ბურჟუაზიის, განსაკუთრებით კი ინტელიგენციის, ომის შემდეგი სასოწარკვეთილების შედეგი. რამდენადაც ვიცით სათანადო პოლიტიკურ მიმოხილვებიდან ამ უკანასკნელ ხანებში ბურჟუაზიულ ევროპის ნაწილობრივი (უეჭველათ დროებითი) სტაბილიზაცია ხდებოდა. რა თქმა უნდა, ეს სტაბილიზაცია სრულებითაც ვერ აწყნარებს ბურჟუის ნერვებს და ვერც დააწყნარებს. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ევროპის ბურჟუა ეხლა უფრო „თავის თავს“ აქცევს ყურადღებას, ვიდრე პრიმიტიულ კულტურებს და თუ ევზოტიური ფერხული ჯერ კიდევ საგრძნობია, ეს არ ნიშნავს, თითქმის ეს ხაზი თანამედროვე ევროპის მთავარი დამახასიათებელი თვისებაა. მართალია სქესობრივი გადარევა, პატალოგია და ამის შესაფერისი გემოვნება კვლავ ერთერთი (მაგრამ არა ერთად-ერთი) მთავარი თემაა ევროპის ბურჟუაზიული მწერლობისთვის, მაგრამ, თუ გრ. რობაქიძეს სურდა ცოტაოდენად მაინც საბჭოთა ადამიანის თვალთ შეეხედა მოვლენისათვის, მას საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა მხარეებისთვის უფრო უნდა მიექცია ყურადღება, ვიდრე მხოლოდ ბურჟუაზიულ ხელოვანთა ყოფისთვის, რომელიც ბურჟუაზიულ

პოლიტიკასაც კი ჩამორჩა. ცნობილია, რომ ძლიერ ლამაზი იქნება იმაზე უფრო ლამაზი, რაც არის და ამიტომ გრ. რომაქიმეც თავის თავს ვერ უღალატებდა. ამ მხრივ ის იმეორებს „გველის პერანგი“ ს ერთ-ერთ მთავარ (ეროტიულ) მოტივს, იმეორებს აგრეთვე თავას ლექსებსაც, მაგალითად ამორძალთა დედოფალის შესახებ და თავისივე პიესებს.

როგორც ზემოთ ვთქვით, გრ. რომაქიმე ლიტერატურიდან გაკეთებული კაცია, ცოცხალი ცრატატა და აზიტოპ მისი გმირები სხვადასხვა, უკვე ცნობილ ლიტერატურულ ტიპების ფსიქოლოგიის კომბინაციაა (შეიძლება ნიჟიერი) და არა უშუალოდ შეგქმნობილი რეალური ადამიანები. ათეულ და ასეულ, უკვე ცნობილ ლიტერატურულ ტიპებს ადარებს თავის გმირებს, ან თვით ამ გმირებს ალაპარაკებს ასეთ ლიტერატურულ ანალოგიებით მწერალი და ამიტომ ისინი უმთავრესად სქემებია. სქემაბატონობს აგრეთვე ევროპის ყოფაცხოვრების მოცემის დროს. ამ მხრივაც საერთო ხაზები უფროა მოცემული, ვიდრე მხატვრული მწერლობისთვის აუცილებელი კონკრეტულობა. კონკრეტულობა, საერთო საკითხების განხილვის დროს და განყენებული მიდგომა კონკრეტული ყოფითი მასალისადმი—აი, რა ახასიათებს მწერალს,—საქიროა კი პირიქით! როგორც ყველგან, ამ რომანშიაც განყენებული სქოლასტიური და მშრალი „ფილოსოფოსობა“ მკითხველს ისევ აწამებს. ისეთი დიდი მხატვარი, როგორც ლევ ტოლსტოია, არ გაურბოდა ფილოსოფიურ მსჯელობებს რომანში („ომი და ზაფი“), მაგრამ სამაგიეროდ ამას ფაბულის საინტერესო განვითარებით გამოისყიდოდა ხოლმე. ფაბულარულად გრ. რომაქიმე საერთოდ სუსტია¹⁾, მას, ისე როგორც მისივე გმირს-პერეცს, მანიაკ-მოლაკაპარკის სენი აქვს და გაუსწორებელი მონოლოგისტია ეს მაშინ, როცა მწერალი, როგორც დეკადენტი, ყოველ სიტყვას გაორებულ შინაარს აძლევს და ყოველივე ახალ ფრაზიდ ცდილობს, გარდა თვით ფრაზაში მოცემულ კონკრეტული აზრისა, თავს მოგვახვიოს კიდევ „რალაც“, „მიღმა“ მდებარე აზრი.

ყოველივე ზემო თქმულიდან სჩანს, რომ „ფალესტრა“-ც ბურჟუაზიული რომანია. „ფალესტრა“-შიაც იგი თავს დასტრიალებს ბურჟუაზიულ (უმთავრესად ლიტერატურულ) ბოჰემას, „უპიროვნო“ და „ყოველგან მყოფ“ სქესს, გადაგვარებულ, ბურჟუაზიისთვის საინტერესო „ნეგრების“ პრობლემას და სხვ. ბურჟუაზიულობა რომანისა, გარდა ამისა, თვით გმირების მოხაზვაში გამოსჭვივის. ავტორი თითქოს სკეპტიკურად უდგება გადაგვარებულ და სპონიზორულ ამერიკულ კაპიტალისტის მაკ კელოხის ყოფა-ცხოვრებას და „ებრძვის“ მას ადამიანების მანქანად გარდაქმნისათვის. მიუხედავად ამისა, ავტორში აშკარად იგრძნობა დიდი პატივისცემა მაკ კელოხებისადმი. (ასეთი „შებრძოლება“ მაკ კელოხის წინააღმდეგ მწერალს ისევ ბურჟუაზიულ იდეოლოგიის შიგნით სტოვებს). ყოველი ზემოთქმული „ფალესტრას“ საერთო ფონია და ჩვენი აზრის და-

1) „სამართლიანობა“ მოითხოვს აღნიშნულ იქნას, რომ ენრის მხრივ „ფალესტრა“ როგორც რომანი უფრო დახვეწილია, ვიდრე „გველის პერანგი“, უფრო ნაკლებად გაბერილია სქოლატიკით (პერეცის ტირადებს თუ არ მივიღებთ მხედველობაში) და ფაბულაც საკმაოდ ოსტატურად არის გაკეთებული.

მტკიცება ცალკე ციტატებით არ შეიძლება, მაგრამ მაინც დამატებით ვთქვათ ამ საერთო ფონზე მაკ კელოხის ასეთი დაბასიათება:

„და ეს მკლე და მკნარი კაცი, რომელიც გალვადებისას მხოლოდ სიბრალულს გა მოიწვევდა მნახველნი, ცხლა, ამ წამს, უშიშარ შემხედვრსაც შეარზვედა“.

(„პარ. მერ“ № 4 გვ. 64).

დიდი ნებისყოფის ადამიანათ და საერთოდ გმირად არის მოცემული მეორე კაპიტალისტი მისტერ ლეიკი. ვიმეორებთ: არა ცალკე ციტატებით, არამედ მთლიანად, მთელი რომანის მიხედვით შეგვიძლიან განვსაზღვროთ ის, თუ გრ. რომაქიძე კაპიტალისტებში რა დიდ ძალას გრძნობს. არც პროლეტარიატი იბრმავეებს თვალებს და ვხედავთ კაპიტალიზმის საქმაო ძალას, მაგრამ ეს არ ნიშნავს, თითქმის სიმპატიით უყურებდეთ ამ ძალას, ან გვეშინოდეს მისი და მის წინაშე ქედს ვიხრიდეთ. ჩვენი მწერალი, რა თქმა უნდა, სულ სხვანაირად მოგვცემდა კელოხს და ლეიკს. წინააღმდეგ გრ. რომაქიძისა, ის დაგვანახებდა, რომ არა მათ პირად ნებისყოფაში და ნიჭში უნდა ვეძიოთ კაპიტალისტების სიმდიდრისა და გამარჯვების მიზეზი, არამედ იმ გახრწნილ და უკვე დამპალ და ჯერ კიდევ არსებულ საზოგადოებრივ-ეკონომიურ წყობილებაში, რომელსაც კაპიტალიზმი ჰქვია. „ფალესტრა“-ს ავტორი კი, ისე როგორც ყოველი ბურჟუაზიული მოაზროვნე, ბურჟუაზიის გამარჯვებას, პიროვნებების ინიციატივას და ნებისყოფას მიაწერს.

იდეოლოგიურად, საერთო ევროპიული ორიენტაციიდან ამ ბოლო ხანებში გრ. რომაქიძე ევროპიულ ბურჟუაზიულ მკითხველისთვის უფრო სწერს, ვიდრე საბჭოთა ქვეყნის მკითხველთათვის. „გველის პერანგი“-ს გადათარგმნა გერმანულად და ბურჟუაზიული ლიტერატორების და პრესის (კერძოდ სტეფან ცვაიგის) მიერ ამ რომანის გულთბილად მიღება პირველ რიგში სტ. ცვაიგის და მის ბურჟუაზიულ მკითხველთა ერთი მხრივ და მეორე მხრივ—თვით გრ. რომაქიძის მსოფლმხედველობათა ერთიანობით აიხსნება. გარდა ამისა ევროპაში ბურჟუაზიული მკითხველი ჯერ კიდევ ეტანება აზიურ ეგზოტიკას. განსაკუთრებული როლი ითამაშა, რა თქმა უნდა, იმ გაკვირვებამაც, რომელიც გამოიწვია ქართულის მიერ ბურჟუაზიულ გერმანიის თვალსაზრისით „კულტურულად“ რომანის დაწერის ფაქტმა („ბიჭოს, ვილაც აზიელ ქართველს ასეთი რომანი დაუწერიაო!“)

ის რომ სტ. ცვაიგი სთარგმნის და აქებს რომაქიძეს, რომ ანდრეი ბელი აღფრთოვანებულია ტ. ტაბიძით და პ. იაშვილით, რომ ფუტურისტი კირსახოვი ახსენებს ს. ჩიქოვანს და ალ. ბეზიმენსკი, გ. ლელევიჩი და გ. გორბაჩოვი კი საქართველოს პროლეტარულ მწერლებს აქებენ და ახსენებენ,—ყოველივე ამაში, საზოგადოებრივ შერჩევის კანონი მოქმედობს. ასევე არის სხვა ენებიდან ქართულად თარგმნის საკითხი. ბუნებრივია, როცა რომელიმე ფეოდალურ ინტელიგენციის წარმომადგენელი ფეოდალურ ყოფის „ქრონიკებს“ და ფეოდალური რანდობის პოემას „ტრისტან და იზოლდა“-ს და არა დ. ფურმანოვს ან სერაფიმოვიჩს სთარგმნის. აგრეთვე ბუნებრივია, როცა ქართული პროლეტარული პოეტები ალ. ბეზიმენსკის ლექსებს და გრ. რომაქიძე კი გერმანული დეკადენ-

ტის, სტ. ცვაივის ნოველებს სთარგმნიან. ვიმეორებ, აქ ყოველფეხე-უდავის რიგ-ზეა. „სული სულს იცნობს“ და არაფერია საკვირველი იმგვარ, რაიმე ცუტ ქრობა-ქიძე ევროპისათვის სწერს. ასე ევროპისათვის სწერს იგი „ფალესტრა“-საც, სა-დაც ევროპის ბურჟუაზიული მკითხველის გემოვნების თანახმად მოცემულია ორი მთავარი თემა: ბურჟუაზიული ევროპა და „ნეგრების“ პრობლემა“ (პლიუს აღ-მოსავლური ეგზოტიკა და ეროტიკა ქართველი წარმოშობის გავეროპიელებულ, მაგრამ მაინც ველურ „ქალბატონ კავალას“ სახით).

ამ რიგად გრ. რომაქიძე ბურჟუაზიული ევროპის მწერალი უფროა, ვიდრე ჩვენი რევოლუციური ქვეყნისა და საკვირველიც არ იქნება, რომ ამ ევროპამ იგი „სცნოს“.

* * *

„არიფიონი“-ს იდეოლოგიისათვის ყველაზე უფრო დამახასიათებელი მოთ-ბრობა შ ა ლ ვ ა და დ ი ა ნ მ ა გამოაქვეყნა: თუ გ. ქიქოძე პუბლიცისტურ ფორ-მებში სწერდა, რომ ჯვარის მონასტერი თავისი მონუმენტალობით და კულტურ-რით იქვე გვერდით შექმნილ „ზაგესზე“ უფრო მაღლა სდგას, სამაგიეროთ შ. დადიანი მხატვრულად სცდილობს ამ აზრის დასაბუთებას. „უბედურ რუს“-ში თამარ მეფის სასახლეების მშენიერება ამავე მწერალმა დიდის პათოსით და სიყვარულით აღწერა. ჯვარის მონასტერიც ასევე აღფრთოვანებით არის მო-ცემული.

მემარჯვენე მწერლებისთვის საკმაოდ ცნობილი შტამპია, წარსული, კულ-ტურული ნაშთებით აღფრთოვანება—რით, თუ არა წარსულით, უნდა იამ-ყოს აწმყო დაკარგულმა ფეოდალმა (Наши предки Рим спасли) მაგრამ რო-დესაც პრინციპიალურად უკეთეს და ისტორიულად უდიდეს ელექტროფიკაციის საქმეზე უფრო მაღლა აყენებს ქვისა და კირის პრიმიტიულ კულტურას, ეს უკვე ისეთი რეაქციონური დაბრმავებაა, როგორიც კ. გამსახურდიამ ბაყაყების ქორალურ მოთქმაში ეროვნული სევედის აღმოჩენისას გამოიჩინა შ. დადიანი თითქოს „კომპრომისზე“ მიდის და სცდილობს სოციალისტურ კულტურის ფეო-დალურ კულტურასთან ხელოვნურად დაახლოვებას. გ. ქიქოძე სწერდა: სოცია-ლიზმს, როგორც ავტორიტარულ მოძღვრებას, უფრო მეტი საერთო აქვს ფეო-დალიზმთან, ვიდრე კაპიტალიზმთან. შ. დადიანი ამ თეზისის მხატვრულ და-საბუთებასაც სცდილობს.

ჯვარის მონასტრის სიმშენიერეთა რესტავრაციისათვის, ორი ფეოდალურ კულტურის წარსულით ნაციონალისტურად აღფრთოვანებული სტუდენტი არქე-ოლოგები, მიკო და დიტო, მცხეთისკენ მიემგზავრებიან. მათ გზაზე გაეცნობა ზაპესში მომუშავე ძმასთან მიმავალი კომკავშირელი ქალი ელო. მათი დამეგობ-რება ჯერ მხოლოდ სქესობრივ სიმპატიების საფუძვლებზე ხდება მაგრამ შეზ-დეგ, ეს ახალი ქვეყნის წარმომადგენელი ელო, დიტოს და მიხოს, როგორც ძველი კულტურის რესტავრატორების წინაშე ქედს იხრის. და ბოლოს ელო

მიხოს მიერ „დაპრობოლი“, მისი ცალი ხდება. მიხოს ელტურული კულტურა ახალ ქალს გრძნობს, არამედ იმ ქალსაც, რომლის მისტიური სახელი ამოკვეთილია ჯვარის მონასტრის ქვაზე.

„თეთრი ვშმაკეული, მონაზნათ შემდგარი მახვირება და დღევანდელი მოწინავე გ-გონა.

როდესაც მამაჩი მიდიოდენ, მიხოს ელოს ყურებში ჩასურბულდება:

— შენ ათე ხარ, ათე, ჩემო—ჩემო... აფროდიტე.

თემესტია, ელო, ხომ...

— თეთრი ვშმაკეული, არა—ვშმაკობა ელოც.—არა, ანგანებს შეგაბრუნებ, თუ ვინდათ: ათე კი არა თეა ხარ, ღმერთი ქალი... (გვ. 40).

ამრიგად ხდება ძველი და ახალი სახელების, ძველი და ახალი ქალების სიმვოლიური, შეხატკბილებული და უმტკივნელო შედღეება, ეს ტკბილი იდილია ძველი და ახლის შეუღლებისა, წარმოსდგომია მწერალს და თანამედროვე მკითხველსაც აქეთკენ მიეხილება. მაგრამ არ გეგონოთ, თითქოს ფეოდალურ ინტელიგენციის მწერალი „კომპრომისებში“ მართლაც ასე შორს მიდის. ის იბრძვის კომპრომისებისთვის ჩვენის მხრიდან და ამიტომ არის, რომ ფეოდალურ კულტურის სიმვოლო მიხოს—მამრობითი, ე. ი. აქტიურ და ახალ ქვეყნის წარმომადგენელი კი დედრობითი, ე. ი. პასიურ სქესად არის მოცემული. იმ საზოგადოების აზრით, რომელსაც შ. დადიანი ეკუთვნის, მამრობითი ბატონობს დედრობითზე და სწორედ ასევე სურს მწერალს, რათა ფეოდალურმა კულტურამ ახალი სოციალისტური კულტურა დაიმორჩილოს.

თავის დროზე ლენინი ამბობდა: თუ ახლად გაბატონებული კლასი უფრო უკულტუროა, ვიდრე დამარცხებული, მაშინ დამარცხებული გამარჯვებულს თავის კულტურას თავზე მოახვევსო. მაგრამ პროლეტარიატი ფეოდალურ კლასზე უფრო კულტურულია, რადგან პირველი—სოციალიზმისა და ელექტროფიკაციის ჯანსაღი დროშით მოდის ისტორიაში, მეორე კი ბატონყმობისა და ქვეითკრით ნაგები მონასტრებ-კოშკების უკვე სავსებით დაცრეცილი დროშით მიდის ისტორიიდან. პროლეტარიატი, აგრეთვე ბურჟუაზიაზე უფრო კულტურულია, რომელიც უთანასწორო ექსპლოატაციისა და კაცობრიობის მტანჯველათ გადატყვეულ ტენიკის დროშით ჯერ კიდევ ბატონობს ქვეყნის ხუთ მეექვსედზე და პროლეტარიატი კი—ადამიანთა თანასწორობისა და ტენიკის ადამიანთა ბუნებისაგან განთავისუფლების დროშის ქვეშ, ჯერ მხოლოდ მსოფლიოს ერთ მეექვსედზე ბატონობს, მაგრამ იბატონებს მთელ მსოფლიოში ახლო ისტორიულ მომავალში. ამიტომ არის, რომ არ აღსრულდება არიფიონელების ოცნება ფეოდალურ კულტურის მიერ სოციალისტურის დაპრობის შესახებ. ტყუილია ისიც, თითქოს ფეოდალური კულტურა მამრობითი სქესის პირობებში იყვეს პროლეტარულის მიმართ: ისტორიამ მშვენივრად დაამტკიცა, რომ ფეოდალური კულტურის „მამრობითი“ გმირები—ეხლა სასაცილო ზედმეტი დეაიანებია, პროლეტარულ კულტურის „მდედრობითი“ მუშაქნი კი—თანამედროვე ახალი სოციალისტური სამყაროს საქმიანი და ერთგული მშვენიებლებია. ტყუილია! არ აღსრულდება კერძოთ არც შ. დადიანის ოცნება, რომელიც მისმა საყვარელმა ახალხაზრდა პედანტმა ასე გამოსთქვა:

უთუოდ მუზეუმი უნდა დაარსდეს მანდ (ე. ი. ჯვარის მონასტრის წინააღმდეგ), მუზეუმი ზაქუას აგების საბუთებისა, მაგრამ მე კი ვისურვებდი გვიწოდებოდა ახალგაზრდა პროფრა-მა ამ მუზეუმისა და მანდ შედგენა ახალგაზრდა საერთო შრომის ნაყოფიერებისა, საქართველოს შრომის და მშრომელთა ისტორიისა, ამის საბუთები, მოდელები, დიაგრამები და სხვ. (გვ. 29).

პირველად ყოვლისა ზაქუასისა და ჯვარის მონასტრის წარმომადგენლებს შორის არასოდეს არ ყოფილა „საერთო შრომა“—მათ შორის მხოლოდ „საერთო“ ბრძოლა იყო ერთი მეორის წინააღმდეგ. მეორეც: ჯვარის მონასტრის მუზეუმი მხოლოდ და მხოლოდ, მშრომელთა ექსპლუატაციისა და უმავალითო წამების მუზეუმი თუ შეიძლება იქნეს და არავითარ შემთხვევაში საქართველოს შრომის და მშრომელთა ისტორიისა. მშრომელთა ისტორიის მუზეუმი—რევოლიუციის მუზეუმი და მას არაფერი საერთო არა აქვს იმ მუზეუმთან, რომელსაც წარმოადგენს ჯვარის მონასტერი და რომელსაც ჩვენ ვიცავთ, როგორც კაცობრიობის კულტურის ექსპლუატატორული საფეხურის ნაშთს.

შ. დადიანი მოთხრობა „ათე“-ში სცილილობს დააქორწილოს „მამრობითი“ ფეოდალიზმი „მდედრობით“ სოციალიზმზე, მაგრამ მწერალს დაავიწყდა რომ დიდი ხანია სოციალიზმი მამრობითი გახდა და ოდესღაც ყოფილი „ცხვრები“, ეხლა ლომებად იქცენ.

* * *

ლეო ქიჩაძემ „თავადის ქალი მია“ და „ალმაზგირ კიბულან“ დაბეჭდა. ორივე „მოთხრობით ავტორის შემარჯვენეობა მტკიცდება, თუმცა 1927 წელს მან შედარებით რევოლიუციონური რომანი „სისხლი“ გამოაქვეყნა. ეს თემა (1905-ს რევოლიუცია) „ყველასათვის“ (ე. ი. ლიბერალებისთვის და ბოლშევიკებისათვისაც) „საერთო“ გამხდარა, ამიტომ ამ თემაზე ადვილი აღმოჩნდა შედარებით დამაკმაყოფილებელი რომანის შექმნა.

„თავადის ქალი მია“-ში მოცემულია საბჭოთა ფონი, თუმცა თავადის ქალის დაცემის და „სულიერი“ აგონიის მოცემა სხვა ფონზედაც შეიძლებოდა. მაგრამ ვანა არიან კიდევ ადამიანები ქვეყანაზე, რომელთაც ასეთი თავადის ქალების სქესობრივი უძღურება აინტერესებთ? ეს უსაქმთა საქმეა! ვისთვისაა საჭირო ეს? რა დარდი აქვს თანამედროვე ადამიანს ვიღაც დაბერებულ თავადის ქალის მოტყუებულ სიყვარულსა?! მოთხრობის შემარჯვენეობაც იმაში მდგომარეობს, რომ ავტორი ხელოვნურად მოთრეულ ტრაგიზმით და რაღაც საკვირველ „სერიოზულობით“, თავადის ქალის დამკენარი დღეების უკანასკნელ უინტერესო საათებს „გვიხატავს“.

„ალმაზგირ კიბულან“ თითქოს „უბრალო“ ფსიქოლოგიური ესკიზი, მაგრამ თუ ე. ნინოშვილის „პალიასტომის ტბა“ თავის დროზე გაგებული და მიღებული იქნა, როგორც პროტესტი ექსპლუატატორების მიმართ,—მაშინ რატომ, თითქმის ასეთივე შინაარსის საბჭოთა ფონზე გაშლილი მოთხრობა, არ უნდა ჩაითვალოს პროტესტად თანამედროვე სოციალისტურ საზოგადოების წინააღმდეგ?! მართლაც: სვანი კიბულანი, რომელიც მდინარე ენგურით საბჭოთა ტრესტისთვის მოჭრილ ხეებს მოერეებოდა, ხომ ამავე საბჭოთა ტრესტის

საქართველო

კერძო მიმწოდებელის, ვილაც მეგრელის ხელით დაიღუპა? საჭკობრის მწერლის აზრით, დაღუპულ სვანის შამის მოთქმა, ჩვენს კისერზე ცოდვით გვაწვება. და როგორც მ. ჯავახიშვილის „დამპატივე“-ს მიმართ, აქაც უნდა ვთქვათ: თუ მართლაც ილუპებიან კიბულანივით გლეხები საბჭოთა აღმშენებლობის ინტერესებისათვის, ეს სრულებით არ შეიძლება გამოყენებულ იქნას ამავე აღმშენებლობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ეს პირველი. მეორეც ის, რომ საბჭოთა აღმშენებლობა არა მარტო ღუპავს გლეხობას, არამედ იგივე საუკუნოებით სიბნელეში მყოფი სვანეთი კულტურულ განვითარების გზებზე გადაჰყავს. ამის არ დანახვა და დანახვა მხოლოდ იმისა, რომ გლეხობა საბჭოთა აღმშენებლობის მსხვერპლი ხდება—რეაქციონერული პროვოკაციაა, ისე როგორც „დამპატივე“. თუ მეგრელი მოიჯარადრე, რომლის გამო ილუპება კიბულანი, მხოლოდ კერძო სპეკულიანტია და არა ტრესტის წარმომადგენელი და თუ საერთოდ ამ მოთხოვნაში მოკუმული გლეხის დაღუპვის ამავე მხოლოდ შემთხვევაა, მაშინ მწერალს ასეთ შემთხვევით მოვლენაზე არც უნდა ეწერა. საქაროა გვახსოვდეს, რომ ლიტერატურა დამახასიათებელ და არა შემთხვევით მოვლენების მხატვრული განსაზოგადოებრივებაა!..

2. პოეზია.

1928 წელში პოეტური პროდუქციის შედარებითი შემცირება, შეიძლება ეჭრნაღების საიუბილეო ნომრების სიმრავლით აიხსნას, მაგრამ უფრო სერიოზული მიზეზებიც არის. ამ სერიოზულ მიზეზებიდან მთავარია—საერთოდ პოეზიის და კერძოთ ლირიკულ პოეზიის კრიზისი. ახალი მკითხველი მოითხოვს, შინაარსიანობას, ფაქტს განსაზოვრულ კონკრეტულ იდეას და რაიმე სიახლეს ფორმის მხრივ. ყოველივე ამის მოკემა, დათენილ—დაბერებულ და სიახლეს მოკლებულ ლირიკულ პოეზიას აღარ შეუძლიან, მით უმეტეს იმ პოეტების ხელში, რომელთაც წერის მანერა უკვე წარსულში შეუმუშავებიათ და გაყინულან. ლირიკა საქართველოში ის ყველაზე უფრო გაბატონებული ლიტერატურული ეანრია, რომელსაც თავს აფარებს ყოველგვარი ფსიქოლოგიური რეაქცია ისე, როგორც დაბნეული მგზავრი, ძველ ციხე-კოშკების ნანგრევებს.

* * *

ტიციან ტაბიძე—ლირიკოსია, მაგრამ წარსულ წელს თავისი ძაღები თბრობით ეანრშიაც მოშინჯა. დაიბეჭდა ერთი თავი პოეშიდან „თვრამეტი წელი“ — ეს „ნაწყვეტი“ მენშევიკების ბატონობის დროის შესახებ, არაფერს იძლევა,—იგივე ცნობილი ამბები: ინგლისელების ჰვედა საცულების შესახებ და სხვა ანეგდოტები. როგორც ჩვეულებრივად, ისე ამ „ნაწყვეტშიაც“ არის მდარე ხალტურული სიმღერები „ირის აინემ“ და სხვა მოტივზე. პოემის ეს დაბეჭდილი თავი, ჰებათ-ჰებაა ვილაც კომერსანტის, რომელიც ბუენოს-აირესიდან დაბრუნებულა. თურმე ეს კომერსანტი (ისეთი არა ჩვეულებრივი დემოკრატი ყოფილა) ხალხს უფასოდ აჰმეცდა თავის ღუქანში, დამშეულ საქართველოზე ჰუმანიურ გულისტკივილით სწუხდა და საერთოდ:

„ვერ ნაზავთ ვერსად
 ასეთ ვაჟარს,
 ვაჟარს ღეთისნიერს
 მთელ ჭვეყანაზე
 მარტო ერთია
 ჩვენი ჭვეყანა,
 გამოზრდის
 ასეთ პატროსან
 კომერსანტს“.

შესაძლებელია, როგორც კუროზი და გამონაკლისი, ასეთი ხალხი სადმე მოიპოვება, მაგრამ კუროზებზე წერის დროს ასეთი საერთო დასკვნების გამოტანა არ შეიძლება „პატროსანი კომერსანტები“-ს არსებობის და ჩვენი ჭვეყნის ამ მხრივ სიუხვის შესახებ. ჩვენი აზრით ეს პოემა მემარჯვენე შინაარსისაა.

მეორე „მონანიება კი არის სადა“ — საკვირველი ლექსია! იგი მეტად დამახასიათებელია მემარჯვენე მწერლების განსაზღვრულ კატეგორიისათვის. ერთის მხრივ კაზიონური ფიცი, ახალ ჭვეყნის მიმართ და, მეორე მხრივ — ჩვეულებრივი ნაციონალისტური ჰანგები. ავტორი „ინანიებს“ ძველ ცოდვებს: ასეთ ცოდვებად ის სთვლის მის ყოფილ დადაისტობას, და თვითონვე ამბობს, რომ მხოლოდ ერთხელ იდებურტორა. ეხლა კი აცხადებს, რომ „ახალ ომში თავით დავეშვიო“ და ლექსს ასე ათავებს:

„დაფასთან ვდავეარ და ვშლი ძველ ლექსებს—
 ცარცით კი არა სისხლით (?) რომ ვწერდი.
 სამშობლო მიწაე გიკოცნი ფესვებს,
 ახალ ცხოვრების ვარ აღავერდი“.

ამ ლექსის შესახებ, ჩვენ მხოლოდ ცნობილი რუსი მონარქისტ-შულგინის სიტყვებით შეგვიძლიან უპასუხოთ: „ნუ გძინავთ, რეაქციონერებს, ბოლშევიკების საჯარო აღგილებში“.

ზოგ მემარჯვენე მწერალს დღემდე ეგონა, რომ, ბოლშევიკებს სძინავს და რეაქციონერ ბოლშევიკებს ვერ გააგონებენო. ჩვენ კარგად ვიცით, თუ რა მნიშვნელობით ხმარობენ ბოლშევიკებს ჩვენს ლიტერატურაში „სამშობლო მიწის ფესვებს“. ზემოთ მოყვანილი ლექსიც იმით არის დამახასიათებელი, რომ მასში მოცემულია ის, თითქოს „გაორბული“ ინტელიგენტის ხასიათი, რომელიც ახალი ცხოვრების სადღეგრძელოდ ალავერდის თქმასთან ერთად, მშრომელ მიწას ფესვებსაც უკოცნის, რაიც ლოდიკურად ერთად შეუთავსებელია (თუ „მშრომელ მიწას“ ავიღებთ იმ მნიშვნელობით, რა მნიშვნელობითაც დღემდე იხმარებოდა). ეს გარემოება არსებითად ქანაობაა და ლიტერატურაში მისი გადამტანი ვერავითარ სიყვარულს ვერ დაიმსახურებს ვერც „იქით“ (რეაქციონერებში) და ვერც „აქეთ“ (ბოლშევიკებში), რადგან ალარაჟინ ენდობა.

შემდეგი ლექსი „მაშ გამარჯვება...“ ორბელიანის ცნობილ „სხვა საქართველო სად არის“ განმეორებას წარმოადგენს:

„სჯობს აღარ გქონდეს სულაც სამშობლო,
ანდა არ იფოს ასე ღამაში,
სხვა საქართველო, მაინც სად არის,
რომელი კუთხე, რომელ ქვეყნისა...
ვის სთოტავენ ასე ცეცხლის ღადარი,
ქვეყნად სამოთხე სივას ვის ვღირსა“.

პირველად ყოვლისა, როგორ შეიძლება ასე პირდაპირ გრ. ორბელიანის გადმოწერა. მეორე: არაეინ უშლის პოეტს, აღფრთოვანდეს საკუთარ სამშობლოს ბუნებით, მაგრამ ბუნება საქართველოს გარედაც არის მშვენიერი და მხოლოდ ბუნებით ამაყობა, აქ, რა თქმა უნდა, ნაციონალისტურ დაბრმავებიდან გამომდინარეობს. ლექსი „გომბორზე“-ც დაახლოებით, აქ დახასიათებულ ტიპისაა. ამ ლექსში ავტორს ციდან ვახტანგის მიერ მოსმენილი ხმა და გორგასლანის ხმალი აგონდება და სხვა ამგვარები. ეს ლექსი, ერთხელ კიდევ იმას ამტკიცებს, რომ პოეტს, თუ საწერი არაფერი აქვს, ლირიკულ ცრემლებით შეუძლია გაავსოს ჟურნალების ფურცლები, რისთვისაც თურმე წას არაეინ დასჯის და პოეტის სახელს არ ჩამოართმევინ—მეტი რაღა უნდა ტ. ტაბიძეს. დასჯით, რასაკვირველია, არაეინ დასჯის, მაგრამ პროლეტარული მწერლობა მას ახასიათებს ძველის მოტრფიალეთ.

შედარებით უკეთესი ლექსი ტ. ტაბიძის, წარსულ წელს გამოქვეყნებულ ლექსებიდან არის „რიონპორტი“. ეს ლექსი ავტორისათვის ზაპესზე დაწერილი ლექსის გაგრძელებაა და განმეორება იმავე გეგმით. ამ ლექსში ბევრია ადგილები საბჭოთა დროშის ქემის შესახებ, რაც, რა თქმა უნდა, თავის თავად სიმპტომატურია, მაგრამ... როცა ლაპარაკი გვაქვს ტ. ტაბიძის შემოქმედების მთავარ ხაზის შესახებ, ჩვენ აქ ხაზგასმით უნდა ვსთქვათ, რომ მისთვის მთავარი და დამახასიათებელი მაინც არა „რიონპორტი“, არამედ სხვა შემარჯვენე ლექსები რჩება.

* * *

ს ა ნ დ რ ო შ ა ნ შ ი ა შ ვ ი ლ მ ა 1928 წელს, რამდენიმე სპეციალურად კომუნისტური კრიტიკის წინააღმდეგ მიმართული ლექსები დაბეჭდა. კერძოდ, ჩვენ წინააღმდეგაც გადმოჰყარა რისხვით აღსაყვ სტრიქონები, მაგრამ რა უნდა უპასუხოთ მწერალს, რომელსაც თავისი შეცდომების გასწორებას იმ სარკის დანტვრევით ცდილობს, რომელმაც მისი მახინჯი სახე გამოაჩინა. სხვა ლექსებში საყურადღებოა „არიფიონში“ გამოქვეყნებული „შოთას ბეჭედი“, რომელშიაც არიფიონის „მოდერების“ აღედა აზრია“ იმის შესახებ, რომ თანამედროვე კულტურა და კერძოდ პოეზია, ფოვალურ კულტურის პირდაპირი გამგრძელებელი და მიმბაძველი უნდა იყოს,—მბატურულად არის „დასაბუთებული“. ს. შანშიაშვილი სთხზავს ლევენდას, თითქოს შოთა რუსთაველის გენია თამარ მეფის მიერ ნაჩუქარი ბეჭედი იყო გამოწვეული. ბეჭედი სიკვდილის დროს შოთამ ვილაც ახალგაზრდას ხელით საქართველოში გამოავაჯანა, ახალგაზრდა დაიღუპა და ბეჭედი საღლაც გლეხებში დაიქარგა. ავტორი აცხადებს: ის იქნება

დიდი მწერალი, ვინც ამ ბეჭედს იპოვნისო. მაგრამ რადგან ^{საქართველოს} ბეჭედი ქვეყნობაში დაკარგულა და ს. შანშიაშვილი კი „გლეხობის პოეტია“, ამიტომ, ალბად, მას მოუწია ამ ბეჭედის ნახვა... როგორც ყოველთვის, ამ ლექსშიაც ავტორი შოთასადმი პედანტურ წამბაძველობის აღდგენას მოითხოვს:

„თქვენ მგლობრებო, ვივით!
მემკვიდრეობის ვალა!“.

მეორე ლექსში „გავლილი შარა“ საეცებით გამოაშვარავდა ს. შანშიაშვილის უზომო პედანტობა, და დიდი პოეტებისადმი თავყინისცემა ავტორი ამბობს: „მეც, როგორც ვაჟას“-ო. მაგრამ ეს კიდევ არაფერია, თურმე, როგორც ვაჟა კი არა, თვით ბაირონის და შოთას თანატოლია ავტორი: „თვალს უსწორებ, თითქოს დიდ შოთას“-ო. ეს უკვე აუტანელი განდიდების მანიაა! როგორ უნდა მიუთითოს კრიტიკოსმა ასეთ ადამიანს თავის ადგილი? მას ხუმრობით უნდა უპასუხოთ და ამიტომ გავიხსენოთ მხოლოდ ერთი ძველი ლიტერატურული კურიოზი: ვილაც ვარდენ ლვანკითელმა აკაკის მოღვაწეობის აღსანიშნავად გამართულ იუბილეზე სახალხო მგოსანს უთხრა თურმე:

„შენ საჩხერეს არწივი ხარ,
მე, ლვანკითის ზეგარდენი.
შენც—პოეტი, მეც—პოეტი,
შენ—აკაკი, მე—ვარდენი“.

აი ეს „შენც“ და „მეც პოეტი“-ს ფსიქოლოგია ყოველ წამში აწამებს ს. შანშიაშვილს შოთას მიმართ და რომ ასეთი დიდი გენიოსის მანია არ ჰქონდეს მწერალს, ეგებ მართლაც რამე გაეკეთებია. ეხლა კი, იძულებული ვართ დავეთანხმოთ თვით ს. შანშიაშვილს, რომელიც თავის თავზე ამბობს:

„რად ვალაშებდი დღეს ოცნებებში:
მგოსნებს რომ ჰონდათ ბედი ნაცადი.
მეც ხომ შეძქლო დამგერა თობი
ან ვყოფილიყავ სადმე მელორედ“.

3. მემარჯვენე ბანაის იდეოლოგიური და მხატვრული ბალანსი

В крови до пят мы бьемся с мертвецами
Воскресшим для новых похоров.

Тютчев.

თუ გასული ლიტერატურული (1927) წელი ჩვენ საალყო მდგომარეობით დაეახასიათედ—ეს იყო სრული სიმართლე. ყოველივე ლიტერატურული ჯგუფი, რაღაც მზადებაში იყო და განსაკუთრებით ლოიალურ და „რევოლიუციონურ“ განცხადებებით გამოდიოდნენ მემარჯვენეები. იყო ლაპარაკი სულ „საერთო“, „საბჭოთა“ მწერლობაზე, „საერთო“ ფედერაციაზე, იმის შესახებ, რომ ქართველ მწერლობის ძველი ფენები უკვე არაერთაარ შემთხვევაში მემარჯვენეობის სახელით არ შეიძლება მონათლულ იქნან, რომ სველა გათანამგზავრდა და „დღეს მწერალს რევოლიუციიდან გაქცევა ობიექტიურად არ შეუძლია“-ო (ს. ამალლობელი).

ქვეყნული

მავრამ ასეთივე არ იყო მომდევნო 1928 წელი. „ერთიანობა“ 1927 წლისა მხოლოდ ნიადაგის მზადება იყო. საალყო წესები მოიხსნა და „ზავი“ მით დაირღვა. (ან რომელ კლუბშიარულს ეგონა, რომ კლასიურ საზოგადოებაში მოწინააღმდეგე კლასებს შორის „ზავი“ შეიძლება-ზავი იქ არის, მხოლოდ სადაც ინტერესები შერიგდებიან. ერთმანეთს შორის მეომარ იმპერიალისტებს ზავის ჩამოგდება შეუძლიათ იმიტომ, რომ მათი ინტერესები ბოლოს და ბოლოს ერთია, მავრამ კლასთა ბრძოლაში ასეთი ზავი შეუძლებელია).

პირველად შეტევაზე გადმოვიდა წმინდა ფეოდალური ლიტერატურა „არიფიონის“ სახით. მთელ საბჭოთა კავშირში ჩვენი ქვეყანა ფეოდალურ მწერლობის სიძლიერის მხრივ მგონი პირველ ადგილზე სდგას. იმიტომ არის, რომ მთელ მსოფლიო ისტორიაში ყველაზე ორიგინალური ლიტერატურული პოზიციები შემუშავდა. პირდაპირ საკვირველ მოვლენას ჰქონდა ადგილი! ფეოდალიზმის შემდეგ კაცობრიობამ (და საერთოდ ხაზებში საქართველომაც) განვლო კაპიტალისტური განვითარების საფეხურები, გადავედით სოციალისტურ რევოლიუციების ხანაში და აი საქართველოში ფეოდალურ კულტურის ცოცხალმა ნარჩენებმა „კომპრომისებითა“ და „ხელის ვაწოდებით“ სოციალისტური კულტურის დაპყრობა მოინდომა.

„არიფიონის“ მთავარი იდეა უბრალოა: ფეოდალური კულტურა კაცობრიობის უდიდესი მიღწევაა (ზაქესზე უფრო დიდია ჯვარის მონასტერი), შრომის და სახელმწიფოს ორგანიზაცია, საქართველოში ფეოდალებმა უკეთ იცოდენ, ვიდრე დღეს სოციალისტებმა (სწორედ იმიტომ არის სტალინი საბჭოთა ქვეყნების ბელადი), საზოგადოებას ამოძრავებს ეროვნული ენერჯია და არა კლასიური, ფეოდალურ კულტურას გრანდიოზული რევოლიუციონური წარსული და გამოცდილების უდიდესი მარაგი აქვს, რომლის ბატონ-პატრონი, ჩვენ, ფეოდალურ ინტელიგენციის ცოცხალი ნარჩენები ვართ და ბოლოს სოციალისტურ იდეოლოგიას, როგორც ავტორიტარულ აზროვნებას ფეოდალიზმთან უფრო დიდი კავშირი აქვს, ვიდრე ბურჟუაზიულ წარსულთან. აქედან პირდაპირი ლოგიკური დასკვნა: უნდა მოხდეს „შეერთება“ ფეოდალურ კულტურულ კაპიტალის და სოციალისტურ სახელმწიფო ორგანიზმის ისე, როგორც ჯვარის მონასტერზე შეყვარებულ ანაღაზბრდა არქიტექტორის, ზაქესის კომკავშირულ ქალ ელოსთან, შ. დადიანის „ათე“-ში, თანამედროვეობამ და მისმა პოეზიამ უნდა ეძიოს შოთას დაკარგული ბეჭედი და განაგრძოს შოთას იდეური გზა (ს. შანშიაშვილი). საბჭოთა ქვეყანამ, ამნისტიით უნდა დაუბრუნოს „საკოდაე“ (?) ყოფილ ადამიანებს, რევოლიუციით ჩამორთმეული მოქალაქეობა (მ. ჯავახიშვილი) და სხვ. ა. შ.

ასე აღაპარაკდა ფეოდალური მოტივები მწერლობაში. დაიწყეს ლაპარაკი „ჯიშის“ შესახებ, რომელიც საუკეთესო განძია კაცობრიობისა და, რომ უჯიშოს ისტორიაც კი არა აქვს (მ. ჯავახიშვილი), რომ ყოველი ჯიშისანი, რათქმა უნდა ბუნებრივად ემტერება უჯიშოს (კ. გამსახურდია), რომ მთვარე ისევე და ისევე უნდა დარჩეს მწერლობის საგნად (მ. ჯავახიშვილი), რომ სოველ მიწას

საქიროა ვეჯოცნოთ ფესვები, თუმცა ამასთანავე ხარკიც მოიხსნათო ვხალ ჰვეყნის მიმართ (ტ. ტაბიძე).

ამრიგად, ფაქტია, რომ საქართველოს ლიტერატურულ ცხოვრებაში, კერძოდ და განსაკუთრებით კი 1928 წელს საერთო მემარჯვენე ფრონტის ბელადის როლში ჯერ კიდევ ყველა მემარჯვენე მიმართულებებს შორის უძლიერესი ფეოდალური ლიტერატურა გამოდის. ვინც ამ წმინდა ფეოდალურ ლიტერატურის არსებობას ვერ ხედავს, ის განზრახ ამცირებს რეაქციონურ საშინაოებას ჩვენს მწერლობაში და ამით მტრის შემოტევას გზას უხსნის. ასეთი ხალხი კი უეჭველად არის და მაშინ, როდესაც ვახუთ „კომუნისტმა“ დაკერძოთ ამხ. მ. კახიანიძე, ლ. ლობერიძემ და პ. საყვარელიძემ „არიფონს“ შავრაზმელოური ლიტერატურა დაარქვა, სერგო ამალალობელი, გრ. მუშიშვილი, სიმონ ხუნდაძე და სხვები კი ყოველ ღონისძიებებს ხმარობენ, რათა არავითარ შემთხვევაში ასეთი აშკარა შავრაზმელოური საშინაოება არ დაინახონ. ზემოდ ჩვენ მოვიყვანეთ ს. ამალალობელის ციტატა, სადაც ის ამბობს, რომ მწერლებს (ყველას) უკვე არ შეუძლიათ ოქტომბრის რევოლუციას გაეჭკნენ. გრ. მუშიშვილი კი „მნათობში“ მოთავსებულ რეცენზიაში „არიფონის“ შესახებ ყოველმხრივ სცილილობს არ სთქვას, რაც უნდა ეთქვა ბოლშევიკს. გრ. მუშიშვილი მართალია „თავს ესხმის“ „არიფონს“, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ჯერ თანამგზავრები არ არიან, მაგრამ არსად, არც ერთი სიტყვით, არც კი წამოსცდენია, რომ ისინი უკვე რეაქციონური ფეოდალური მწერლებია. ს. ხუნდაძე კი ზემოდ დახასიათებულ ფეოდალურ მწერლობის საშინაოების დემონსტრაციული არ დანახვის თეორეტიკოსადაც გამოდის. წერილში „თანამგზავრობის საკითხი ქართულ ლიტერატურაში“ ის სწერს:

დიდი უმეტესობა ჩვენი მწერლობისა თავისი სოციალური მდგომარეობით წერილ ბურჟუაზიულ წრიდან არის გამოსული, თავისი სოციალ-ეკონომიური პირობებით წერილი ბურჟუაზია მურჯვე კლასია, ხოლო ჩვენს საზოგადოებრივ პირობებში ეს წერილი ბურჟუაზიული ფენები დაუფლებლად ჰქნაობენ ბურჟუაზიულ და პროლეტარულ ტენდენციებს შორის. განსაზღვრულ ისტორიულ პერიოდში ჩვენი წერილი ბურჟუაზია თავშეკავებულად გაყვა ბურჟუაზიას და შეითვისა მისი ლიტერატურულ მხატვრული ტენდენციები... (ტ. უკ. მ. № 6—7, გვ. 6).

ამრიგად გამოდის, რომ 1905 წლიდან (როგორც ს. ხუნდაძის წერილის თავშია თქმული) ჩვენში უმთავრესად წერილ-ბურჟუაზიული მწერლობა არის. არც ერთი სხვა კლასის ლიტერატურა, ავტორის აზრით საყურადღებო არ არის, არც არსებობდა და არც არსებობს. ამ წერილში ერთი სიტყვითაც არ არის თქმული, იმის შესახებ, რომ ჩვენში ისეთი უკიდურესად რეაქციონური ლიტერატურული მიმართულებები არის, როგორიც ფეოდალური და ბურჟუაზიულ-დეკადენტური. თურმე უკიდურესი მემარჯვენე მწერლობა მხოლოდ წერილ-ბურჟუაზიული ყოვილა, რომელიც „თავშეკავებულად გაყვა ბურჟუაზიას“. მაგრამ სად დაეკარგა ავტორს, ის მიმართულებები, რომლებიც თავშეუკავებულად გაჰყვენ (და არამც თუ გაჰყვენ—წაუძღვენ კიდევ) ფეოდალურ, ბურჟუაზიულ და რეაქციონურ წერილ-ბურჟუაზიულ ხელოვნებას?!

როგორც ვხედავთ ს. ხუნდაძე განზრახ ამ ცირკულარულ მხარდობას და მართლაც, თუ ჩვენს სინამდვილეში, მხოლოდ წერილ-ბურჟუაზიულ მწერლობასთან გვაქვს საქმე, და ისიც ისეთთან, რომლებიც „დაუდულგზად ქანაობენ ბურჟუაზიულ და პროლეტარულ ტენდენციებს შორის“, მაშინ გამოდის, რომ სრულებითაც არ გვყოლია აქტიური მტერი. აი, ამას პარტიულ ენაზე მემარჯვენე ოპორტიუნისტული გადახრა ჰქვია.

მაგრამ, თუ მემარჯვენე ლიტერატურაში ტონის მიმცემი ფეოდალური იდეებია, არ უნდა დავივიწყოთ ამასთანავე ერთად, რომ მაინც საქირთა, როგორც სავსებით ენის გამონახვა ბურჟუაზიულ ევროპასთან. ფეოდალური ინტელიგენციის თავისი სისუსტის გამო, რა თქმა უნდა საკუთარი იდეური მარაგი არ ეყოფა. საქირთა რაიმე „პროგრესიული“ მოტივიც—აქედან ფეოდალური არისტოკრატის ნარჩენების ზოგიერთ ფენების ორიენტაცია ბურჟუაზიულ ევროპაზე. აქ საქმე გვაქვს „გაორებისთან“ „მონოკლისა და ჩოხის“ რომანტიკის შორის, როგორც კ. გამსახურდიას შემოქმედებაში ან და ევროპის ბურჟუაზიულ ყოფა-ცხოვრების აღმოსავლეთის (კერძოდ საქართველოს) ეგზოტიკის და რომანტიკის „პარაზიტულ“ შეთანხმების ცდასთან, როგორც გრ. რომაქიძის შემოქმედებაშია, რომელიც თავიდანვე ევროპის და აზიის „დაქორწინების“ იდეას ადგა და, რომელიც, როგორც „გველის პერანგში“ ისე „ფალესტრაში“ ევროპის ბურჟუაზიულ ყოფის იდეალიზაციასთან ერთად აიდიალებს „ჩვენი“ აღმოსავლეთის წარსულსაც. აქვე უნდა იქნას აღნიშნული: წინააღმდეგ, ორტოდოქს-ფეოდალ შ. დადიანისა—გრ. რომაქიძე ორტოდოქსალურ ბურჟუაზიულ პოზიციასზე სდგას. ამ მხრივ ჩვენ მწერლებს შორის „შრომის განაწილება“ არსებობს (მათაგანის არ იყვენ: „Ты туда, а я сюда“). ასეთივე შრომის განაწილებაა კ. გამსახურდიას და მ. ჯავახიშვილს შორის, როდესაც პირველი უფრო „მალ-ლებული“ და თავიდანვე ზედმეტ ადამიანად ქცეულ არისტოკრატის ფსიქოლოგიას „აღრმავებს“, ხოლო მეორე, მხოლოდ რევოლუციის შემდეგ ზედმეტ ადამიანებად ქცეულ სხვადასხვა ექსპლოატატორულ ფენების მედრონეთ გამოდის. უეჭველად არსებითი განსხვავებაა კ. გამსახურდიას ზედმეტ ადამიანება და მ. ჯავახიშვილის ყოფილ ადამიანებს შორის. პირველი „წმინდა სისხლის“ და საკმაოდ დიდ სტატიისანი არიან (უკვე რევოლუციამდე ზედმეტობდენ), ხოლო მეორენი უფრო „დემოკრატიული“ ფენებია ამ ზედმეტთა და მხოლოდ რევოლუციის შემდეგ ყოფილობენ. ასე, რომ მ. ჯავახიშვილი რეაქციონერ ფენების უფრო ფართო მასებს ეყრდნობა და ამასთანავე თუ მიუმატებო მისი მეთოდის ერთ თვისებას (ფაბულარული პროზა)—გავიგებთ თუ რატომ არის იგი უფრო პოპულარული.

ვიმეორებთ: თუ წარსულ წელს (1927) ყველა ზემო დახასიათებული რეაქციონერი-შავრაზმელური იდეები მიმიკრია ჰქნილი, ე. ი. საკმაოდ ამოფარებული იყო საალყო წესების ფორმებში და სავსებით ლოიალურ დეკლარაციებში—ამ წელს ყოველივე გამოაშქარავედა და შინაგანი ლიტერატურული ემიგრაცია სავსებით თავისი საკუთარი ენით ალაპარაკდა. ლიტერატურული შახტინელობა ყოფით მოკლენად გარდაიქცა. ჩვენ წინეთ გვიკვირდა თუ რატომ ქართულ მწე-

რლობას ბალმონტებ-ბუნინები არ გამოეყო, მაგრამ ეხლა ეს უკვე მწერალთა არის. თურმე ყოველი აქტიური მემარჯვენე მწერალი სარგებლობდა რა კომპარტიის სურვილით, რათა ძველ მწერლობას ახალ გზებზე გადასვლის შესაძლებლობა მისცემოდა—უკანიდან ზურგში ჩასაცემად დანას გვიშაბდებდნენ. ეს იყო ნამდვილი შახტინელობა და შახტინელობაც, ემიგრაციიდან იმით განსხვავდება, რომ საჭიროთ სთვლის საბჭოთა კავშირში დარჩენას და აქ ბრძოლას, მეორე კი საზღვარ გარეთ გარბის. თურმე ჩვენი ბუნინები საქართველოშივე დარჩენილან და ლოიალობის სამოხელს ამოფარებულნი შახტინეულ საქმეს ამზადებენ. და რა არის „არიფიონი“ თუ არა შახტინელობა?!

რა თქმა უნდა, სოციალისტური იდეების წინააღმდეგ, ეხლა აშკარა და პირდაპირი ლაშქრობა შეუძლებელია, ამიტომ ქართულ მწერლობაში ბევრი ხერხი გამოიშვა: „ეზოპის ენა“, ე. ი. „სხვა თქმა“ (ამ ხერხს ყველა მიმართავს), „უბრალო“ მწუხარების ეანრი (ლირიკოსიებს მოუმარჯვენათ ეს ხერხი), დეკადენტური „ბოლომდე არ თქმა“, ე. ი. აზრის შეწყვეტა, გაბუნდოვანება და „რალაცხე“ მითითება (ტ. ტაბიძე და სხ.), გმირის სახელით ალაპარაკება (წინასიტყვაობები და მონოლოგები მ. ჯავახიშვილთან, მთელი ტრაქტატები ბურჯული უფაზე გრ. რომაქიძესთან), „უდანაშაულო“ ლეგენდების ეანრი („არიფიონში“ ეს ხერხი ბევრის მიერ არის ექსპლოატაცია ქმნილი, განსაკუთრებით ამ გზით მუშაობდა კ. გამსახურდია) და ბოლოს საერთოდ დემონსტრაციული დემილი, იმაზე, რაც ჩვენია და ახალია და დემონსტრაციულადვე ბევრის ლაპარაკი ყოველივე ძველის შესახებ. ახალი მოვლენების და საქმეების შესახებ დემილი მ. ჯავახიშვილის გივი შადურის მიერ ასე იქნა თეორეტიკაცია ქმნილი: „დემილი დამიჯერე უდიდესი სიბრძნე და ნამდვილი ხელოვნება“. მაგრამ დემილი ყოველივეზე და ყოველთვის თვითმკვლელობაა, რაც, რა თქმა უნდა, არ სურს მემარჯვენე მწერლობას, თუმცა ის არა ერთხელ იმუქრებოდა „მაერის“ ბრძოლის ველიდან წაყვანით, ისე როგორც თავის დახრჩობით, მაგრამ ნამდვილად კი თავის დახრჩობა არც უფიქრია. დემილი მაშინ, როცა საერთოდ არ სდუმან—ეს მართლაც, რომ ხელოვნება ანუ პოლიტიკა დემილისა იმის მიმართ, რაც რევოლუციონურია და ხმამაღალი მეტყველებისა იმის შესახებ, რაც რეაქციონურია.

ამრიგად: დემილის პოლიტიკა ეხება მხოლოდ კარგს ე. ი. სოციალისტურს, ჩვენს ცხოვრებაში. მაგრამ თუ რაიმე შეიძლება მანვე ამოიკრიბოს ამ ცხოვრებიდან—იი ამის შესახებ არ სდუმს მ. ჯავახიშვილი, როცა ის „დამპატიე“-ს სწერს ან ლ. ქიანელი, როცა ის „ალმაზგირ კიბულანს“ ბეჭდავს.

ცნობილია, რომ რეაქცია წერილ ბურჯულიაზე უნდა ეკრდნობოდეს. მართო ფეოდალურ ინტელიგენციის ნარჩენები და ბურჯული ინტელიგენცია (თუ გინდ იგი არხი „ახალიც“ იყვს) ვერაფერს გააწყობს. ამიტომ ბუნებრივია, რომ 1928 წლის ლიტერატურაშიაც ადგილი ჰქონდა, როგორც ჭალაქის, ისე სოფლის წერილ ბურჯულიაზე დაყრდნობის ცდებს. ეს გამოაშკარავდა ერთი მხრივ „არიფიონში“ „დემოკრაციული“ ფენების ჩართვით (დ. სულიაშვი-

ლი), რომელსაც მენშევიკური წერილი ბურჟუაზია „გააზიანებდა“ მაგრამ ისე რომ ეჭვებიათ, თითქოს „ისინი ადამიანებია“ (მაშასადამე...), რომ იმით და მხოლოდ იმით იციან ისეთი დიდი გრძნობები, როგორც მეგობრობა (ი. მეტრეველის „ბოლშევიკი“) და სხ. იგივე ტენდენცია, წერილ ბურჟუაზიაზე დაყრდნობისა აშკარადება მ. ჯავახიშვილის შემოქმედებაში, ერთი მხრივ მის „ქალაქურ“ მოთხრობაში და მეორე მხრივ სპეციალურ კულაქურ პროვოკაციულ მოთხრობა „დამპატიყე“-ში.

და ბოლოს თუ მემარჯვენე ბანაკის მხატვრულ „კაპიტალზე“ შევჩერდებით, აქაც დავინახავთ, რომ რაერთარი წინსვლა, არაერთარი სიახლე, არაერთარი სიცხოველე ამ ფრონტს არ გააჩნია, ისე, როგორც იდეების სფეროში. გრ. რობაქიძე, ყველაზე ძლიერად ამ მხრივ, იმეორებს მეთასევერ თავისივე თავს. მ. ჯავახიშვილი ხომ სულ ბანალობამდე დადის, თუ მის ოსტატობას არ მივიღებთ მხედველობაში ფაბულის სფეროში, რომელშიაც, პრინციპიალურად ახალი არაფერია. ს. შანშიაშვილი პირდაპირ დამეყვებული, ხავსმოკიდებული დილექტანტიზმით, რითმების უმოწყალო ხოხებით და დაქანგებული ლექსკონით გვევლინება. კამეჩივით შეათიხნილი, მოუხეშავი, გაგრძელებული და ერთ ადგილზე დაბმულია მისი ლექსები. ტ. ბაბიძე ისევე ისე გრამატიკის დეკადენტურ დამახინჯებით, ღირიკულ წყალდიდობით და „ტიციან, იციან“ი რითმების თხზვით ირთობს თავს. ასეთივე მდგომარეობაშია დარჩენილი სხვა დეკადენტებიც, ვ. გაფრინდაშვილი და სხვ. შედარებით უფრო პატიონსათ ექცევა თავის პროფესიას (ბელეტრისტიკას) ლ. ქიაჩელი, მაგრამ ისიც ერთ ადგილზე სდგას. რა თქმა უნდა, კ. გამსახურდიაც თავის თავს იმეორებს და „დონისეს ღიმილს“ ახტრდავებს.

ასე მიიღის ქართული მწერლობის მემარჯვენე ბანაკის დღეები უფერულად... არაფერი ახალი... არაფერი სერიოზული და მძლავრი ფორმის სფეროში... იდეურათკი, როგორც დავინახეთ 1928 წელში, მემარჯვენე ბანაკმა, ფეოდალურ ლიტერატურის მეთაურობით სოციალიზმის წინააღმდეგ ბოროტი და მძაფრი შემოტევა აწარმოვა. მაგრამ ტიუტჩევისა არ იყვეს— მკედრები მხოლოდ იმისთვის „აღსდგენ“ საფლავებიდან, რომ ჩვენ ხელმეორედ დავმარხოთ ისინი.

დასასრული იქნება.

ახალი სალიტერატურო ქართულისათვის

დასასრული *)

IV. სინტაქსი

დავა სინტაქსის განმარტების გამო დღესაც არ გათავებულა და არც ოდესმე გათავდება. „სწავლა წინადადებათა“... „ენის კონსტრუქცია ანუ სიტყვათა წყობა წინადადებაში“... „სიტყვათა ფორმებისა და კლასების მნიშვნელობა წინადადებაში“—აი სამნაირი ფორმულა სინტაქსის განმარტებისათვის.

მე არ მინდა საკითხი გაეართულო და ერთმანეთში აერიო სინტაქსი და მორფოლოგია. სამწერლო ენის კონსტრუქცია ანუ სიტყვათა წყობა წინადადებაში—აი ასე შესმის სინტაქსი.

ოდესღაც ყიფშიძე სწერდა:

„ქართულის სისუფთავისა და კანონიერებისათვის საჭმე ასოები. მარცვლები და სიტყვები კი არ არის, საჭმე თვით ბუნებაა ენისა, მისი სული, მისი ბუნებრივი მიმოზერა, მისი ზოგადი აგებულება, საჭმე სიტყვები კი არ არის, საჭმე სინტაქსია, ანუ კანონები, რომელსაც ემორჩილება სიტყვებზე ენისა, მისი არსებობა“.

სრული სიმართლეა. საჭმე მართლა სინტაქსია და არა სიტყვა, და დღევანდელი ქართულიც უმთავრესად სინტაქსიურად მახინჯდება, ე. ი. იმსხვრევა ენის ბუნება, სული და ხასიათი.

თავდაპირველად ერთი რამ უნდა აღვნიშნო: არსებობს ამერულ-იმერული კილო, დავა ფორმათა და სიტყვათა შორის, მაგრამ არ არსებობს კუთხური სინტაქსი—არც იმერულ-ამერული, არც ფშაური, გურული, მეგრული, სვანური ან ხევსურული. ეს მაგალითი ცხადად ამტკიცებს ქართული სინტაქსის მთლიანობას, ე. ი. ქართული ენის ბუნებისა და ხასიათის ერთიგვიეობას.

ჩვენი ზეპირსიტყვაობა, ანდაზები, ზღაპრები და უკლებლივ მთელი კლასიკური მწერლობაც ერთნაირ სინტაქსზეა აშენებული და მისი მთავარი თვისება ენის მთავარ თვისებად უნდა ჩაითვალოს.

რა არის, ან როგორია ეს თვისება? შემაშენებელს წინადადებაში უმეტესად ბოლო ადგილი უჭირავს **).

*) იხ. „მნობი“ № 11—12.

***) მე არ ვაღრმავებ სინტაქსის საკითხს. იგი მეტად რთულია. მსურველს ვურჩევ გადაიკითხოს ს. გორგაძის ნაშრომი „ქართული სადასიტყვაობა“.

ქართული
საზოგადოებრივი

ავილოთ რამდენიმე ანდაზა:

„ხელი იელსა ჰბანსო“.—„ჩემი შენ გითხარ, გული მოგიკალო“.—

„გალმა გაედავე, გამოლმა დაგრჩებო“.—ერთი კაცი ჰამაშიც ცოდოაო“.

ესეც კმარა. ხალხურსა და სასაუბრო ენაშიც ასეთი წყობა გაცილებით სკარბობს სხვანაირებს. ახლა ავილოთ მარტივი წინადადება: „მაღალი კაცი მოდის“. შევებრუნოთ შემასმენელი: „მოდის მაღალი კაცი“. პირველნაირი წყობა ახასიათებს ჩვეულებრივს, სასაუბრო ენას, ანუ ლირიკულს, მეორე კი ეპიკურ-დრამატიულს.

მოვიტან რამდენიმე მაგალითს („ვისრაშიანი“-დან). ლირიკული წყობისას:

„მას დღესა მოვიდეს მეფენი, რომელნი მისსა ბრძანებლობასა ჰვეშე იყვნეს“. მათსა პემანსა ზედა გარდაიარა მრავალი წელიწადი და უოველსა კაცსა დააეიწვდა... ჰე ხელმწიფეთა უხელმწიფესო! შენისა სიძობისაგან უკეთესი ჩვენ არა წაგვეკიდებთ თუმცა ღმერთი მწყალობდა და ასული შესცა.“

ეპიკურ-დრამატიული:

„იყო დიდი და მაღალი ხელმწიფე ადრიაბაგანისა, (გაიხსენეთ „ვეფხისტყაოსნის“ დასაწყისი: „იყო აბეთს როსტევან“, აგრეთვე „ამირან და რეჯანიანისა“: „იყო ინდოეთს მეფე აბესალომ, მორტყული, განგებანი“, და აველა ქართული ზღაპრისა: „იყო და არა იყო რა, იყო ერთი მზეთუნახავი“) ჰამოვიდეს მინდორად, შემოივლნეს სარაფარდანი, შეჰკახმნეს ფარეშთა და სხვათა მსახურთა წალოტნი და აავსნეს საქონლითა და საკურკლითა. დააშვრეს სპილონი და აქლემნი საკურკლეთა ზიდეთა“—

ლოლიკა და სტილი მოითხოვს, რომ საუბარი და ლირიკული ამბავი აწერილ იყოს ლირიკული წყობით, ე. ი. შემასმენელი ბოლოში იყოს მოქცეული, ხოლო დრამატიულ-ეპიკური—ეპიკურად, ე. ი. შემასმენელი დასაწყისისა ან შუაში იყოს ხმარებული. მაგრამ ქართული სინტაქსის მთავარი წესი იმდენად სკარბობს და მძლავრობს, რომ ომიც კი, უაღრესად დრამატიული ამბავი, ლირიკული წყობით არის ხოლმე აწერილი. აი როგორ ასწერს ომს (კლასიკური ადგილია) „ვისრანის“ ავტორი:

„ორთავე ლაშქართა ერთმანეთსა შეუტევეს, თუ სთქვა, ორი მთანი ბასრიანი ერთმანეთსა შეეტაკნეს. მათ შუა მოციქულად ქორათისა ისრები, არწივისა ფრთოსანი, პირბასრი მიდიოდეს და მოდიოდეს; აზომ საყვარელნი მოციქულნი იყვნენიან, რომელ გულსა შიგან დაესობდინ... ზოგჯერ ჯაჰესა შიგან ბრმალი შევიდის ვითა წყალი, ზოგსა თვალთა შიგან ისარი შეეჰკარის, ვითა ძილი, ზოგსა გულსა შიგან შუბი შეეჰკარის ვითა სიყვარული... შუბები შანფურსა ჰგვანდა, შწეადისა ნაცელად კაცი გგის... შემოართა თავი ბურთსა ჰგვანდის მოედანსა შინა და მათი ტანი ტვერთა შიგან წაქვეუთა ხეთა“.

ასე დონდლოდ, უსისხლოდ, ლირიკულად ასწერს თმოგველი თითქმის ყველა პათეტიურ-დრამატიულ ამბებს და მისი სინტაქსიც ფორმალურად სწორია. არსებით კი დეკადენტურ-მოდუნებულია. ამ მხრივ მოსე ზონელას სტილი უფრო განზომილია და მთლიანი:

„ნადირაბასა ვიყვენით, ავაზსა ქორციკი შეეჰპყრა და ამირან და რეჯანის ძე ზედან მიდგომილ იყო და ხედვიდა. ოდეს შეგხედენით, კაცი ვინმე მოვიდოდა და შავსა ტაიქსა ზედან ჯდა. შავითა მოსილი იყო, პირიცა შავად შეეღება“...

ფურ. „მნათობი“ № 1.

მაგრამ იწყება „ომი ბადრი იამანის ძისა და მოკლე მანძილისა“ ხონელის სიტყვის წყობაც იცვლება.

„და ჯ და მეფე მასვე ადგილთა ზედან. და ის ბნა დიდებულნი თვისნი, და ი დვა ნადიმი. მღერდეს მგოსანნი და მოშაითნი. აგრეთვე წამოდგნენ ზღუდეთა ზედან ყოველნი ტომნი, სცემდეს ბუტთა და დაფთაფთა... გა მოვიდა ბუმ-ზერაზი იგი... გა ჯ და ბადრი იამანის ძე, ჰკვირდეს ბუტსა... შემოუვლეს ნავარდი ერთმანერთსა, შეუხახნეს, შეუტოიეს, შეიბნეს“...

ასევე იწყება მატიანეც:

„იტყვის ბრძენი პლინი სტოიკი“— ასე იწყება „ქართლის ცხოვრება“... „ეთარცა შეიწყნარა მეფემან ქასრე ვედრება ქართველთა“... „მაშინ ჩავლო გვერდი ვახტანგ და ჩავიდა მდინარისა პირსა“... „ხოლო და იმორჩილა თვსნი და ყოფაყნი და შექმნა კარნი თვსეთისანი“... ვახუშტი: „შემდგომად მოკვდა შაჰ აბას ყუფნი“... „ხოლო და სვეს როსტომ მეფედ ტფილისს“... „მოუწოდეს ბატონს თეიმურაზს ზაალ ერისთავმან“... „ეზრახა აბას ყული ხან, რათა დაიპყრას გრწო-თიანეთი“.

ეს ამონაწერებიც კმარა. ეს ორი წყობა—ზოგჯერ ცალცალკე, ზოგჯერ კი გადახლართული—იაკობ ხუცესიდან მოყოლებული დღევანდელ ახალგაზრდა მწერლამდე—ლერძია ქართული სინტაქსისა.

ახლა ავიღოთ შესადარებლად მარტივი რუსული და ქართული წინადადება.

1. Идет человек высокий.

მოდის კაცი მაღალი.

2. Идет высокий человек.

მოდის მაღალი კაცი.

3. Высокий человек идет.

მაღალი კაცი მოდის.

4. Высокий идет человек.

მაღალი მოდის კაცი.

5. Человек высокий идет.

კაცი მაღალი მოდის.

6. Человек идет высокий.

კაცი მოდის მაღალი.

დააკვირდით რუსულს: კლასიკურია წყობა:

1) Идет человек высокий;

2) Идет высокий человек;

3) Высокий человек идет;

ხოლო დანარჩენი—

4) Высокий идет человек;

5) Человек высокий идет;

6) Человек идет высокий—შეტანილია ანდრეი ბელისა და სხვა მოდერნისტების მიერ. მე მგონია, რომ ასეთი წყობა ერთნაირი ცდა იყო, რომელსაც ბევრმა გადაუხადა ხარკი და საცაა გადაივლის ან უკვე გადაიარა.

ახლა დავაკვირდეთ ქართულს:

1) მოდის კაცი მაღალი;

2) მოდის მაღალი კაცი;

- 3) მაღალი კაცი მოდის;
- 4) კაცი მოდის მაღალი;
- 5) მაღალი მოდის კაცი;
- 6) კაცი მაღალი მოდის.

უკანასკნელი ორი კომბინაცია ეხამუშა ჩვენს სმენას. ცხადია ისმის ინვერსია. მიზეზიც ცხადია: შეუწყნარებელია ქართულსათესი, [რომ 1) წინადადება დაწყებულ იქნეს განმარტებითი სიტყვით (მაღალი), მას მოჰყვეს შემასმენელი (მოდის) და დასრულდეს ქვემდებარით (კაცი), 2) დაწყებულ იქნეს ქვემდებარით (კაცი), მას მოჰყვეს განმარტება (მაღალი) და დასრულდეს შემასმენელით (მოდის), ამიტომ არ შეიძლება ითქვას—და არც ერთი ქართველი არ იტყვის: „შავი კედება მზეცი“, „ძლიერი იბრძვის მეოჰარი“, „პატარა ტირის ბავშვი“, ან კიდევ: „მზეცი შავი კედება“, „მეომარი ძლიერი იბრძვის“, „ბავშვი პატარა ტირის“.

ამრიგად, ამ ექვსი წყობიდან კლასიკური ქართული მხოლოდ ორნაირს იგუბს: 1) „მოდის მაღალი კაცი“, და 2) „მაღალი კაცი მოდის“. ჩვენშიც სცადეს შემოეტანათ მოდერნისტილი წყობა: „მაღალი მოდის კაცი“, და „კაცი მაღალი მოდის“. მაგრამ ასეთმა წყობამ ფეხი ვერ მოიკიდა და თითქმის ჩაკვდა. ნულარ დავედვენებით შევდარს. მაგრამ კიდევ დაგვრჩა ორნაირი წყობა: 1) „მოდის კაცი მაღალი“, და 2) „კაცი მოდის მაღალი“.

„მოდის კაცი მაღალი“ თითქო გვეწოთირება, მაგრამ სხვანაირი მაგალითები ავიღოთ: „ყმუის მზეცი მშიერი“... „ქქუს გრიგალი მრისხანე“... „სქექს შობაზანი ძლიერი“. ეს წყობა ხშირად შეგვხვდრია ლექსში, მაშასადამე პროზაშიც შეიძლება ვიხმაროთ, და ხმარობენ კიდევაც პათეტიურ ალაგას. მაგრამ ყოველ შინაარსს საკუთარი ფორმა აქვს და ფორმას—შესაფერი შინაარსი. ყურსა სჭრის ასეთი შეუსაბამობა ფორმისა და შინაარსის შორის: „მოდის პროზა თეთრი“... „მისცოცავს ჭია წითელი“... „ახველებს დედაბერი ავად მყოფი“.

ერთი წყობა კიდევ დაგვრჩა—„კაცი მოდის მაღალი“.

„დიდი სახლები ღრუბლებს ეთამაშებოდნენ მაღალნი“—ეს წყობა ახასიათებს პატივემულ ბარნოეს.

„კაცი მოდის მაღალი“, „სახლები ეთამაშებოდნენ მაღალნი“, „ღამე მოდის, მთის ღამე—შავი ბავერდივით ბნელი, ვერცხლის კურცხლებით დაწინწკლული“, ან კიდევ: „გრიგალი მოჰქრის—მრისხანე, შემზარავი, მქუხარე“. უკანასკნელი ორი მაგალითი ჩემი ნაწერებიდან არის ამოღებული. წყობა ყველგან ერთნაირია, მაგრამ ერთი ნიშანი, პაწაწინა ტირე სცვლის მელოდიას და რითმიკას. გარდა ამისა, შემასმენელსა და ტირეს ორი განმარტებითი სიტყვა მაინც უნდა მოსდევდეს, თორემ მარტო ტირე ვერ შესცვლის ბარნოვის წყობას: „სახლები ეთამაშებოდნენ—მაღალნი“, „ღამე მოდის—ბნელი“, „გრიგალი მოჰქრის—მრისხანე“. არ ვიცი, სხვა რას იტყვის, ჩემი სმენა კი ამ მცირე პაუზატირეს ადვილად შეეგუა, ალბად იმიტომ, რომ ამ წინადადებაში ნამდვილად ორი წინადადებაა:

1) „ღამე მოდის, მთის ღამე—2) შავი ხავერდით ^{ბნეობს} (ჩუქლისმება ქვემდებარე—ღამე) ვერცხლის კურცხლებით დაწინწკლოლო“ ²⁶ ამიტომ ვ. ბარნოვის სინტაქსური წყობაც—„სახლები ეთამაშები, დენ მალაღნი“—მხოლოდ სინტერესო ცდა იყო ახალი სინტაქსური ფორმის შემოღებისა (იხევე ცვად დარჩა: ასე დალაგებულს ოციოდე სტრიქონს კიდევ გაუძღვებს მკითხველი, მთელი წიგნის წაკითხვა კი მეტის-მეტად ძნელია.

ამრიგად, სინტაქსის ექვსნაირ ფორმიდან ოთხი ჩაითვლება კანონიერად:

- 1) მალაღი კაცი მოდის (სასაუბრო-ლირიკული, დანარჩენებზე უმეტესად გავრცელებული);
- 2) მოდის მალაღი კაცი (დრამატულ-ეპიკური), სასაუბროს მომდევნო სიბზირით);
- 3) მოდის კაცი მალაღი (უაღრესად პათეტიურ-დრამატული);
- 4) კაცი მოდის მალაღი (დროებითი, მოდერნისტული, საცდელი).

ხოლო დანარჩენი ორი ფორმის შემოშვება ლიტერატურაში ყოველად შეუწყნარებელია (მალაღი მოდის კაცი; კაცი მალაღი მოდის).

ოდნავ გადავცდი თემას და სტილის საკითხება გადავწყვიდი. მართალია, ვინც თუნდაც ოდნავ მიეკარება წყობილსიტყვაობას, ის უეჭველად სტილზედაც ილაპარაკებს, რადგან მათი მიჯნების ჩაყრა მეტად ძნელია. მაგრამ სტილი მაინც დამოუკიდებელი გამოკვლევის თემაა, ამიტომ ვჩქარობ დაეშორდე ამ ურთულეს სავანს.

დასვენა: ხაზგასმით ვიმეორებ: **ს ა ქ მ ე ს ი ტ ყ ე ვ ე ბ ი კ ი ა რ ა რ ი ს , ს ა - ქ მ ე ს ი ნ ტ ა ქ ს ი ა , ა ნ უ კ ა ნ ო ნ ე ბ ი , რ ო მ ე ლ ს ა ც ე მ ო რ ო ჩ ი ლ ე ბ ა ე ნ ი ს ს ი ც ო ც ლ ე , მ ი ს ი ა რ ს ე ბ ო ბ ა .**

უკანასკნელ დროს ზოგმა მწერალმა, ეურნალისტმა და მეცნიერმაც, სამწუხაროდ, უცხო ენის ბუნება შემოიტანა ქართულ სინტაქსში, მისი ხასიათი დაამახინჯა და სახალხო და სალიტერატურო ენები ერთმანეთს დააშორა. თუ ეს გზა გაგრძელდა და გაღრმავდა, ქართულს დაეკარგება ან შეუსუსტდება მუდმივობა.

განზრახ ვერიდები რთულ სინტაქსიურ საკითხებს—კონსტრუქციას, ლოლიკურ მახვილს, ინტონაციას, კონსტრუქციის ფსიქოლოგიურ მნიშვნელობას და სხ., რადგან რამდენიმე მკორე მაგალითიც საკმარისად ადასტურებს მთავარ აზრს: **ს ი ნ ტ ა ქ ს ი ე ნ ი ს გ უ ლ ი ა დ ა თ ა ე დ ა პ ი რ ე ე ლ ა დ მ ა ს ს ქ ი რ ი ა დ ა ც ე ა დ ა გ ა წ მ ე ნ დ ა .**

V ა რ ძ ა ი ზ მ ა ბ ი დ ა ნ ო ლ ო გ ი ე ზ მ ა ბ ი

სიტყვასაც თავის ბედი აქვს. იზადება ცხოვრობს და კვდება. არაეინ იცის, რამდენი სიტყვა მოკვდა თუნდაც ამ ერთ საუკუნეში. მაგალითად, თითქმის ჩვენ თვალწინ დაიხოცნენ, ან იხოცებიან:

ა ლ ა მ დ ა რ ი (მედროშე), ა ლ ს ა მ კ ა ლ ი (საპატისო კაცი, თეთრწვეროსანი), ბ ა - ზ ა ზ ი მ ა ნ ე ჟ ა ე ლ ო რ ი ს ტ ი , ბ ა ს მ ა (მაგი საღებავი), ბ ა ლ დ ა დ ი , ბ ა ჯ ა ლ ლ ო , ბ ლ ო - ნ დ ი ს ჩ ი კ ი ლ ა (წმინდათ ნაქოფო ლეჭაქი, ბ უ ზ მ ე ნ ტ ი (ყაითანი), ბ უ რ ს ე ე ლ ი (ქ. ბრუსიდან მოტანილი თხელი ქოვილი), გ ა ლ ი ბ ა ნ დ ი (ყარაჩოლელთა ქუდი) გ ა ნ -



ჯ ა ფ ა (ბანჭოს მსგავსი სპარსული თამაშობა), გ ი ლ ა ნ უ რ ი (მარტოვლისა კერძო ზედი და ბოსტნეული).

სპარსეთში და ოსმალეთში თან წაიღეს ბურსეულიც და აღსაქალიც, გილანური ხილიც და განჯაფაც. სამავიეროდ უხვად შემოვიდა მოსკოვერი ჩითი და სარატოვის სარბინკა, ჰოლანდური და იაროსლავური ტილო, მადეპალამი და კისეა. კრებდენი, ტაფტა და სხვა მრავალი ათასი.

მოვისურვე გამოვლო, რა ცვლილება განიცადა ქართულმა საუკუნეთა მანძილზე. ამისთვის ასეთი ცდა მოვახდინე: სანიმუშოდ სამი ნაწყვეტი ავიღე — თითო ფორმა „წამება წიღისა შუშანიკისი“ (იაკობ ხუცესისა, მე-V ს.), „ამირან დარეჯანიანი“ (მოსე ხონელის, მე-XII ს.) და „სიმბრძნე-სიცრუის წიგნი“ (ს. ს. ორბელიანის, მე-XVII ს. დამლევით). ეს ნაწყვეტები მეც წავაკითხე და კიდევ ორ მკითხველს წავაკითხე: საკმაოდ განათლებულს საშუალო მკითხველს და წერა-კითხვის მკოდნე გლეხს, თან დაენიშნე და დაეთვალე გაუგებარი სიტყვები. შედეგი ასეთია: ვერ გავიგეთ:

ავტორი:	მე	საშუალომ	გლეხმა	სულ
იაკობ ხუცესის . .	23 ს.	58 ს.	98 ს.	179
მოსე ხონელის . .	19 „	41 „	84 „	144
ს. ს. ორბელიანის .	11 „	21 „	48 „	80
სულ	53 „	120 „	230 „	403

დასკვნა: 1) რამდენადაც ახლოა ეპოქა, იმდენად უფრო გასაგებია მისი ენა (ისედაც ცხადია).

2) კოფიციენტი სიტყვების გაგებისა საშინაო მკითხველის შორის ასეთია: 2:5:9.

შემდეგ ცდა მარტო ჩემს თავზე და საშუალო მკითხველზე მოვახდინე წავიკითხეთ და დაეთვალე ოთხი ლექსიკონი (7000 სიტყვამდე) და აღმოჩნდა:

	მე გავიგე:	მკითხველმა:
1. ანთოლოგიის ლექსიკონიდან	35 პროც.	3 პროც.
2. ვეფხისტყაოსნისა	43 „	5 „
3. დასტურლამისა	51 „	7 „
4. ს. ს. ორბელიანისა (4 ასოზე)	66 „	17 „
საშუალოდ	49 პროც.	8 პროც.

კოფიციენტი:

ანთოლოგიისა — 12:1

ვეფ. ტყ—სა — 9:1

დასტურლამ. — 7:1

ორბელიანისა — 4:1

საშუალო — 6:1

ერეკლე

თვალის ერთი გადაველებით შედეგი სამწუხაროა: მცენარეული უწინდელი ლექსიკონის $\frac{1}{2}$ მაქვს დაკარგული, იმ საშუალო მკითხველს კი $\frac{1}{10}$ -ზე მეტი. მინდოდა ის გლახივც დამესვა და დამეთვალნა, მაგრამ ხელი ავიღე: თუ საშუალო მკითხველმა ლექსიკონის 90-პროც. დაკარგა, გლახმა შეიძლება 99 პროც. ვერ გაიგოს მეთქი.

ნამდვილად კი სურათი არც იმდენად სახიფათოა.

ჯერ ერთი: ამ ლექსიკონებში (გარდა ს. ორბელიანისა) თავმოყრილია განზრახ შერჩეული, დღევანდელ მკითხველისათვის გაუგებარი სიტყვები. ამიტომ მოხდა, რომ ჩემგან არჩეულმა ქართველმა ანთოლოგიის ლექსიკონისა მხოლოდ 3 პროც. გაიგო, საბა ორბელიანისა კი-17 პროც.

მეორე: მთელი ეს მასალა უხვად არის დატვირთული სასულიერო, სამეცნიერო, საენციკლოპედიო და იმ დროს სატექნიკო ტერმინებით, რომელიც დღევანდელ მკითხველისათვის, რა თქმა უნდა, გაუგებარი იქნება. იგი მხოლოდ ნაწილობრივ შერჩა აქა-იქ სოფელს, სამღვდელოებს და ვიწრო სპეციალისტებს.

მესამე: ასეთი ლექსიკონის, წინადადებიდან ამოყრილი სიტყვების კრებული გაგება უწინდელ მკითხველსაც თითქმის ისევე გაუჭირდებოდა, როგორც დღევანდელს.

ესა და შევებრუნე: ლექსიკონის ნაცვლად შესაფერი ტექსტები წაიკითხეთ. ტექსტის კითხვის დროს ამ სიტყვების უმეტესი ნაწილი სამივეს კარგად ან დაახლოებით მაინც გვესმოდა. მხოლოდ „ვეფხისტყაოსნის“ კითხვის დროს სხვანაირი სურათი მივიღე: მსმენელებს ბევრი რამ არ ესმოდათ. მიზეზიც უმაღლე აღმოჩნდა: პოემის ლექსიკა გენიალურად გამდიდრებულია წარმოებული სიტყვებით, ხოლო ხონელს, საბას და საერთოდ დანარჩენ პროზაიკოსებს ასეთი ლექსიკა ან არ სჭირდებათ, ან არ ეხერხებათ, ამიტომ ძნელდება ამ პოემის გაგება. მკითხველი იძულებულია თითო ტექსტში რამდენიმე სიტყვას მოუძებნოს ძირი. ამას დრო და გონების ძალა სჭირდება. მკითხველთა უმეტესობას კი არც ერთი აქვს, არც მეორე. შიფრების გახსნა არც იმდენად ადვილი საქმეა.

მაინც, რაც უნდა უხვად ვიანგარიშოთ, ძველი ლექსიკონი საშუალო მკითხველისათვის თითქმის განახევრდა.

მე მაინც ზედმიწევნით არ ვენდობი ჩემს ექსპერიმენტს. მგონია ძალიან საბნტერესო იქნებოდა, რომ დაახლოებით ასეთივე მეთოდით მოწყობილიყო ასეთივე ან უფრო რთული გამოკვლევა. მე მხოლოდ პრობლემას, იდეას ვიძლევი. ისარგებლონ ჩვენმა მკვლევარებმა, დაიხმარონ სტუდენტები და საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში მსგავსი ექსპერიმენტი მოაწყონ.

ზოგ სიტყვას ახალი სიტყვა ჰკლავს, ზოგჯერ კი ძველიც კვდება და ახალიც აღარ იბადება. ამიტომ ცდილობენ ზოგნი ამ სიტყვების ამოვსებას. სამი გზა არსებობს ამისთვის: 1) ან ძველი უნდა აღვადგინოთ, 2) ან რუსულ-ევროპიული მივიღოთ, 3) ან ახალი მოვიგონოთ.

მე არ მესმის, და ვერც სხვა გაიგებს, რათ უნდა მიეცეს უპირატესობა უცხოთა და ჯერ მოუგონარ სიტყვას არსებულის, ოდნავ მიძინებულის წინაშე? აი მაგალითებიც:

ა ზ ლ უ დ ი—ლიფი;

ა ნ ა ს ი—დღესაც ცოცხალია ხალხში—ლამის დარაჯი;

ბ ა ბ თ ა—ლენტა;

ვ ე კ დ მ—ბუნებრივი მინერალური წყალი;

ნ ა ტ ი—*Ванша*

თ ა ლ ა თ ი ნ ი—სამართლის საღვსავი ტყვი;

ლ ი რ წ ი—ავბორცი, ვნებიანი;

რ ი ო შ ი—ყალბი, თაღლითი.

უ გ ლ ი მ ი—უტიფარი, მოურიდებელი, მკაცრი, *жесток*;

ქ ო რ ვ ა ჭ ა რ ი—ჩარჩი, მგვანვე, *перекушник* (გულანდელ გახეტებში კი—*გა-დამყიდველი*).

შ უ ე ა—*перуаок* (სჯობია შესახვეს. ამ სიტყვას სხვა ახრიც აქვს).

ასეთი ცოცხალი და საჭირო სიტყვები ათასობით შეიძლება ამოვკრიფოთ ლექსიკონებიდან და უფრო მეტად—სოფელ-ქალაქებიდან. მაგრამ ამას შრომა სჭირდება, ჩვენ კი ვატყებნელი გზებით ვვირჩევნია სიარული. ლენტა, ზაშში, ლიფი, ოვერულიე, ვადამყიდველი, შესახვევი—აი ასეთი ლამით ივსება ჩვენივე თვალწინ ქართული ლექსიკა და ბუნება.

მაინც ზოგი ქართველი მეცნიერი ამ მხრივ ათჯერ მეტს აკეთებს ვიდრე ზოგი ლიტერატორი და ასჯერ მეტს ვიდრე ზოგი ელრნალისტი. გადახედეთ სპეციალურ ლექსიკონებს და უმაღვე დარწმუნდებით. მაგრამ მათი გავლენაც ასჯერ ნაკლებია ვიდრე ელრნალისტისა და ათჯერ—ვიდრე ლიტერატორის. ამიტომ მართებს ლიტერატორს, და უფრო მეტად ელრნალისტს, გაათკეცება გულისყურისა და შრომის, რათა შეერთებული ძალით გავვაკოთ ჩვენი ტვინი-დან უხეად შემოსული უცხო ელემენტი.

საჭიროა მუდამ გვახსოვდეს, რომ შეუძლებელია ჩვენი სათქმელის მიტანა მშრომელ ხალხთან დამახინჯებული სინტაქსით და უფრო მეტად—ქარბად და-ტვირთული, გაუგებარი უცხო სიტყვებით. არც კითხვისა და არც მოსმენის დროს გლახსა და მუნას უცხო სიტყვათა ლექსიკონი არ უჭირავს ხელში, და მგონი ინტელიგენტიც იშვიათად იხედება ამ წიგნში.

უცხო სიტყვების სიქარბე მუდამ აშორებს ხალხს წიგნსაც და გახეტისაც და აზიანებს მეტყველების ხიდს, რომელმაც უკანასკნელ ხანს ასე დააბლოვა ჩვენი ხალხის ორი უკიდურესი პოლუსი.

არქაისტული სიტყვა—ფორმები შესაწყნარებელია მხოლოდ მხატვრული სტილიზაციისთვის, მაგრამ ენას მკვდარი ლექსიკა ვერას-უშველის. მაგალითად, ვერ გავაგებინებთ ერთმანეთს ასეთი სიტყვებით (მარტო ერთ ასო ბ-ზე ამო-კრეფილი):

ბ ა გ ო ვ ე ნ ე ბ ი (სართლები), ბ ა დ რ ა გ ი (მოგზაურთა წინამავალი ჭაბუკი), ბ ა-
 ლ ა ნ ტ ი (მკირე ვაშარანი), ბ ა მ ო ბ ა (საბამის ბოლო), ბ ა ნ ჯ ა რ ი (მხალი), ბ ა-
 რ ა კ ე უ ლ ი (დგეფული), ბ ა რ ი დ (კიკინი თხათა), ბ ა რ უ ჭ (კურთხეული), და სხ.
 მრვალი.

ზემოთ მოგახსენეთ სია გასაცოცხლებელი სიტყვებისა, ეხლა კი—სამუდამ-
 მოდ დამარხულისაც. მკითხავენ: მაშ როგორ და რით გავარჩიოთ ერთი-
 მეორისგანო? ხელახლა ვუპასუხებ: ალლოთი და საჭიროებით—სხვა საზომი არ

ქართული

არსებობს—იმ უადონსური ალლოთი, რომელიც თილისმურ ტაღფიქცელღეს მხატვრულ ნაწარმოებს, ზოგჯერ მეცნიერულ-პუბლიცისტურსაც, და ბოლოს-და-ბოლოს, ჰქმნის მთლიანს, მდიდარსა და ერთობილ ეროვნულ ენას.

ისიცა ვთქვი, სიტყვები კვდებიან მეთქი. მაგრამ მრავალმა სიტყვამ მხოლოდ შინაარსი გამოიცვალა. მაგალითად:

უწინდელი აზრი:

ეხლანდელი აზრი:

ალერსი—საცვალი, „პერანგის ალერსი“—	ყველამ იცის.
პერანგის ამანაგი.	
ბალანა—მცირე ტყვე.	ბალლი, ბავში.
ბაცაცი—ბაჭია.	ჭურღ-ბაცატი.
ბგერა—ფეხის ზმიანობა.	ყოფელგეარი ხმა, азык.
ბედაური—აგებდი.	კარგი ცხენი, ვაჟაკი.
ბეერი—ათი ათასი.	მრავალი.
ბინძური—ნებსით თავი მოიზანტოს.	მურტალი, ბილწი.
ბიჭი—ბუში, ნაბიჭვარი.	ცმაწილი, ტაბუჯი, მოსამსახურე.
ბრკოლება—ბორბი.	შეფერება.
კანონი—ერქვა აგრეთვე გაზაფხულის	წესი, რიგი.
პირველად ხარის შებმას (მესხეთში).	
კასრი—აგრეთვე მცირე სახლი.	ხის ტურტელი.
კაშკაში—ამო სიცილი.	ბრწყინვალე, კაშკაშა მცხარე.
კეცი—საჭურჭლე მიწა, თიბა.	პურის გამოსაცხობი ტურტელი.
კვანტი—წნელი.	იმერეთში: ფანდი, ხრავი, ხერხი.
ტაძარი—სასახლე.	დიდი ველთა.
შემთხვევა—შებვედრა.	—
კლიტე—„არს გასაღებელი, ზოლო ბოქ-	იმერეთში შერჩა, ამერეთში კი ბოქლომსაც
ლონი დასაკეტელი კართა“.	კლიტეს უწოდებენ.
წამა—минута.	} პირუტყლმა იხმარება.
წუთი—секунда.	
კორიანტელი—ოფლის მოზდა.	მტერის ბუქი.
კუბო—ტაბტრეფანი.	—
კუპატი—გატენილი პური მოზრაცული.	იმერული ძებვი.
პატიჟი—წვალება, წამება.	—
კურცხალი—უთესელი მიწა, ყამირი.	ცრემლის წვეთი.
კვიმატი—ბორბი.	—
ვაში—ვარსკლავი.	—

ესეც კმარა. უფრო მეტად ეს პროცესი—სიტყვის აზრის შეცვლისა—ახალი ეპოქის დასაწყისში ხდება ხოლმე, და იგი ჩვენს თვალწინაც მეორდება.

ამრიგად, არქაისტულად წერა დღეს აღარ შეიძლება, თუ მას მხატვრული სტილიზაცია არ მოითხოვს. მაგრამ ბევრი მკვდარი ან მიყუჩებული სიტყვის გაცოცხლება ფრიად სასარგებლო იქნება.

სრულიად ახალი, უპირო სიტყვა თითქმის არასოდეს ფეხს არ იკიდებს, სამაგიეროდ მეტად გვკვირდება ახალი წარმოებული სიტყვები, აშენებული უკვე არსებული სიტყვის ძირზე, და ქართული ენის მუშაკებიც სწორეთ ამ გზას უნდა დაადგინენ.

VI ღმრთილი ქართული

დღევანდელი ქართულიც ზრდისა და გარდატეხის პერიოდს განიცდის, ამიტომ სწრაფ ზრდას და განვითარებას, როგორც მუდამ, ყველგან და ყველათში, ფეხდაფეხ ნაკლიც მოსდევს.

ნურაინ იფიქრებს, ვითომ ეს ნაკლი და სიგონჯე, რომელსაც ახლა მოგახსენებთ, თან მოჰყოლოდეს ახალ ეპოქას, დიდ რევოლუციას მოეტანოს. ჩვენ ქვემოთ მოგახსენებთ რა მოგვიტანა რევოლუციამ და რა განუზომელ ასპარეზს გვპირდება მომავალშიც.

ეს სიგონჯე ძველი რეჟიმის შვილია, მისი ნარჩენია.

ქართულ ლიტერატურულ ენას ქართველი ინტელიგენცია ჰქმნიდა და ეხლაც იგივე ჰქმნის, მაგრამ თუ რამ ირყენება და ლპება, ესეც უმეტესად მასვე უნდა მიეზღოს. უფლებაც მისია და პასუხისმგებლობაც. Атаману первая чарка. ему же первая палка.

ამ ინტელიგენციის საქმოდ დიდი ნაწილი თითქო დამუნჯდა: ენას უკიდებს, ბორძიკობს, წამებით ეძებს სიტყვას, ძლივს პოულობს, უმაღვე ჰკარგავს და ისევ ეძებს, მუდამ ეძებს.

მისი ქართული გახმა, მოიკრუნჩხა, დაიხლართა, დამძიმდა. აღარც ძველი ნათელობა შერჩა, არც გამჭვირვალება, არც მკაფიობა და მოქნილება. რაც ხუთი სიტყვით ითქმის, ათიც ძლივსლა ჰყოფნის.

ამღვრეული და ბნელი მეტყველება ამღვრეულივე აზროვნების ნაშანია. აზრი სიტყვას ეძებს და, რომ ვერ პოულობს, უძალოდ ფართხალებს და მახინჯდება. მრავალ ერთან შედარებით ჩვენ ბედნიერები ვართ: ერთი მხრით ჩვენი სალიტერატურო და სახალხო ენები ერთი-იგივეა, ხოლო მეორე მხრით დღევანდელი და იაკობ ხუცესის ქართულიც ბევრით არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. მაგრამ ხალხის ერთ ნაწილს ქართული მეტყველების ეს განუწყვეტელი ჯაჭვიც ვერა შეეღის. მისთვის იგი დაწყდა, დაიფლითა, მან თითქო ვეღარ ზიდა სამემკვიდრო განძი და ხელიდან დააგდო. ამ საყვედურს უმეტესად ლიტერატორების, მეცნიერების და ჟურნალისტების ერთ ნაწილს ვუგზავნით.

დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია: ამით არც თავიანთი ენა იციან, არც სხვისი, ან სხვისი საკუთარზე უკეთ იციან. ქართულის უმეცარნი ქართულსაც აწვალბენ, თვითონაც წვალობენ და მკითხველსაც ამახინჯებენ. მათი ნაწერების მიხედვით ჩვენს ენასაც თითქო ალერულის ბედი მოეღის: უშვავესი ნაზავია არაბულის, ებრაულის, ფრანგულის, მალტურისა და საბირულის.

მაგალითებიც მომაქვს. მათი უმეტესი ნაწილი ამოკრებილია რამდენიმე პატარა მოთბობიდან, რომელნიც ცნობილ ლიტერატორებს ეკუთვნისთ. დანარჩენიც აქა-იქ შემთხვევით არის ნაპოენი. განგებ და დიდხან რომ მეძებნა, ასეთი ქართულის მაგალითებს ტომობით დავაგროვებდი.

აი ასეთი ქართულის ნიმუშებიც:

„პატარა დამცინავი ზალბი გამრავლდენ“ (перемешников много—გამრავლდა ზემარა, მასხარა, ოხუნჯი, ლახლანდარა).

„ვინ ცხოვრობს აქ ისეთი ადამიანებიდან საინტერესო რამდენიმეა“ (ვინ არის აქ საინტერესო?)

„ხეალ თვითონ შეხედავ“ (Зайтра увидишь—ხეალ ნახავ, შენვე ნახავ; შეხედავ—взглянешь, ნახავ—увидишь).

„შენ ცოტა გჭირია ვაცივება და შეწერება“ (тебе необходимо немного остыть—ოდნავ გაგრილება, ან დამშვიდება, ან დაწმარება გჭირდება).

„წერაქვის ხმა კრიალებდა“ (კრიალი—шум, წერაქვი კი წყარუნებს, არახუნებს, წყრია ღღბს, უღარუნებს და სხ.).

„ის მუდამ ვინმეზე იყო შეყვარებული“ (ვინმე უყვარდა, დროა თავიდან ამოვიგდოთ უცხო Влюбиться в...)

„ურდ დილობადა“ (без тени—ურდდილობ).

„ჩქინელები“ (ჩქინები, ჩანჩები).

„სიტყვას ვერ ბედავენ დააცინონ“ (слова не смеют проронить ხმა ვერ ამოუღლიათ, სიტყვა ვერ უთქვამთ, კრინი ვერ დაუძრავთ).

„ერთი მეორეს გამოეყიდებოდნენ“ (говялись друг за другом—ერთმანეთს დასდევდნენ).

„გაყვიდა“ (გაყვივდია ან გაყვივდინა).

„ის რასაც გრიგოლი უამბობდა, მას აწინებდა“ (გრიგოლის ნაამბობი აწინებდა).

„ერმილეს გვირა საბი არც ისე დიდი ოთახი“ (небольшое—მცირე, პატარა).

„ახალგაზრდა აფიცერი, ვიწრო მელას პირისახისა“ (с острыми лисьям лицом—მელური სახით).

„მიახლოვებული ჩინოვნიკია“ (приближенный—დაახლოვებული, მახლოველი).

„კედელზე გოფენ (გოფა) რუქები“

„პორტრეტი დახატა მისგან“ (მისი...).

„ეს ჩვენ თქვენ უნდა გვითხრათ“ (это мы все у вас должны бы спрашивать—ჩვენ უნდა გვითხოვთ).

„სულ ისევ მტკივა“ (ეს „სულ“ რაღა საჭიროა?)

„ჩვენ თქვენ არ გაცივებთ“ (ზოგის ნაწერი ხშირად სავსეა ასეთი ორმაგი და ზედმეტი ნაცვალსახელებით. ამ შემთხვევაში კი არც „ჩვენ არის საჭირო და არც „თქვენ“).

„დაბლა ყბა“ (нижняя—ტევეო ყბა).

„არ იღლებოდნენ სამუშაოთი“ (მუშაობით).

„ცხვირში რაღაც წაიმღეროდა“ (напевал под нос—ცხვირით რაღაცას ლილინებდა).

„იმ ნიშნებით, რომ გრიგოლი მთელი საათობით იდგა ზოლზე და ჩაფიჭრებული კაჟამს ზრავდა და რაღაცა საიდუმლო ქალღებში იყო გაბჟეული და აგრეთვე უძილო ღამეების ხშირი განმეორებით, რომელნიც გრიგოლს დაჩემდნენ, ვიღველმა იცოდა, რომ გრიგოლი სწურდა“ (ამის გაგება მკითხველისათვის მიზინვდია).

„ეს მალალი გერმანელი ცოტა მოღუნული და მოცამამე თვალებით“ (მოღუნული თვალებით?)

„გრიგოლის იქ უოფნა (იქ მყოფი გრიგოლი), რომელიც დაკვიპულ სიმიეთ იყო“... (ყოფნა იყო?)

„როგორ (რა) საბედისწერა კაცია“

„ემწელებოდა გრიგოლის ასეთ მანერების შერიგება“ (не мог привыкнуть—ვერ შეიგნა, ვერ ინებებდა, ვერ შეეგნა, ერთობრებოდა).

„გამოხიბლულიყო“ (разочаровался—გული აიცრუა, გაუტყდა).

„შემოვიდა ერმილოვი პოზისტნივით“ (პ—გეთან ერთად... პ—ევი შემოჰყვა, შემოიყოლა. არ შეიძლება ივანე შემოვიდეს პეტრეთი, პავლე—გიორგით).

„უნდა მოუფრთხილდე სპარსეთს რუსეთზე უარესად“ (беречь Персию лучше России—სპარსეთს რუსეთზე მეტად უნდა გაუფრთხილდე, და არა უარესად).



„კაიტანმა(ი) მოქვე“ (ამბავს)... ვიღაღღი (მა) წამოიწია წიგნი (მა) წამოიწია წიგნი (მა) წამოიწია წიგნი

- „მე ვაგვარ... შენ აგვებარ“.. (ვეგვარ, ვემზავსები).
- „მათ ზრთმანეთი იცოდენ შეუტომილად (იციობდნენ).
- „ხალხი მიზობდა ციხეში“ (ციხისკენ, x крепости).
- „დარებული აქვს მთელი ეგვიპტე (დავლილი).
- „ბეგრმა ქალიშვილებმა იცოდა“ (ქალიშვილმა).
- „არ რჩებიან ვალში“ (მოვალედ).
- „გაკეთა (გადადგა) ნახევარი ნაბიჯი“.
- „ნადირ შანი კი ნუ გგონია (შენი) თავი“
- „სიმწუხარე გამოსცადა (მწუხარება...).
- „ჩვენ თქვენ გადმოგისრალით ამ მოთბიდან“ (გადაცურით, გადაგისურით).
- „ვიღაღღის კბილები რეკადენ (ზარებია?) თვალები ვეღვრად დაქაოდენ“ (ადა-მიანი ბილებს აწკაპუნებს, თვალებს კი აბრიალებს, ბლეტავს, ატრიალებს და სხ.)
- „ეს იყო მანგლისისკენ გზა“ (მანგლისის ან მანგლისისკენ მიმავალი გზა. არ შეიძლება უცვლელად რუსული **на**-ს გადმოქართულება—**на Мангис**).
- „დასერიობდა შეე კეივზე“ (ისევ რუსული **на**... — შევი კეივით).
- „გადმოზბდა ვიღაც კაცი მალალ ქუდში“.. „იჯდა კაცი მალალ ქუდში“ (ისევ რუსული **и шапке**, უ. ი. ქუდიანი, ქუდოვანი).
- „ფეხი უზანგში გაენასკვა“ (გაფლართა, შერბა, გაეზირა).
- „ცდილობდა ფეხი გამოეშვა ცხენიდან“ (შებმული ჰყავდა? უ. ი. გამოეშვა, გაენთავისუფლებინა).
- „მან გააღო თვალები“ (კარებია? მას დაბუჭვის ნაცვლად დაკეტვაც ითქმის, უ. ი. გაახილა, დახუჭა).
- „მისი წარმოდგენის გმირი“ (მისი გმირი. Герой его воображения— მისი საოცნებო, ან ოცნების გმირი).
- „აი თქვენ ჩემი პასუხი“ (ისევ რუსული **вам**).
- „კბილებს ურტყამდა“ (ხან რეკავდა, ხან ურტყამდა).
- „ფეხიდან ფეხს ინაცვლებდა“ (ფეხს ინაცვლიდა).
- „ასრულდება მინდობილებებს (დავლებას) ერთგულად და საქები კარგი ყოფაქცევით“ (с усердием при похвальном поведении— თუნდაც სიტყვა-სიტყვით ითარგმნოს: უ. ი. კეთილი ან საქები, ან კარგი ყოფაქცევით).
- „იმ დროს სიმციროს გამო“ (по кратности времени — მცირე დროს გამო).
- „მბრებს მიწაზე ღუნავს“ (Плечи мои к земле гнетет — მიწისკენ მდრეკავს, მღუნავს).
- „გვიფიცი გაიქცა სახლში, თითქო ეშინია“ (ეშინოდა).
- „ვიღაღღებით შიშვლიდან“ (= ით).
- „მას სიგიჟემდე უყვარდა“ (გაგიჟებით).
- „სულ ცოტა არ დამორჩილებას სასტიკად სტუქავდა“ (ოდნავ ურჩობასაც კი...).
- „გამიშვი, შეღმურთა მგზავრი“ (взволнуйся— შეღმურობად გადმოვითდა. უ. ი. შევბეწვა, ეჯავ, შევმუდარა).
- „სამჯერ არ ამოვა კიდევ მთვარე, რომ“.. (სამჯერაც არ ამოვა, ან—სამჯერ ძლიეს ამოვა, რომ... ეს „კიდევ“ უადგილოა).
- „ქმრის მაგალითზე იცოდენ, რომ“... (ისევ **на**-ზე; უ. ი. ... ით).
- „ნაწილი ჯარი გაგზავნა“.. უ. ი. ჯარის ნაწილი.
- „ზოგს მოეყვანა წითელი კანიანი მხვეალი ქალები (წითელკანიანი მხვეალი ან მხველები, „ქალი“ რალა მოსატანია?) და თავიანთ კანონიერ ცოლებს ამსახურებდენ მათ (ცინ ვის ემსახურებოდა?).
- „შორიდან მოიტანეს გემით „ბეწვეულები (ბეწვეული), ოქრო, სპილოს ძელები (ძვალი) ყელსაბამი (ალბათ ожережья, ე. ი. მანიაკი, შიბი, ფარღული, გულქანდა),

იარალი, ქაოდელები, ძვირფასი ქვები (ქვა პატროსანი) და... ხეხუფუნ... (ქართული ჭილი იქნება).

„ეცვა ჰაეროვანი, როგორც ღრუბელი ტანისამოსი“ („როგორც“—მა თითქმის განდევნა „ით“ და „სავით“: მოჭროდა როგორც ქარი, დღლადა როგორც ზღვა, მიფრინავდა როგორც ჩიტი — მოჭროდა ქარივით, ... ზღვასავით... ჩიტოვით... ეცვა ღრუბელივით ჰაეროვანი ტანისამოსი).

„მისი ტანი სრული კონტრასტი იყო ტომიჩანდას ტანისაგან (— ტანისა. რის კონტრასტი და არა რისგან).

„ამდენ სანახაობიდან (სგან ან—...ით) თავებზე ეხევიდა.“

„კიდევ ერთი სიტყვა მეტი და მე შენ მოგკლავ“ (რუჟელის უნაყოლო ასლია ე. ი. ერთი სიტყვაც და მოგკლავ!).

„დალაღული ვარ“ (დაღლილი).

„ჩამოგავდა ტანტს“ (ჭვივდა თუ ჰგავდა? ცხადია, ჰგვიდა).

„თავქვე დაეშვა ქალის წინ“ (პირქვე დაეშვა. მართო ასეთ ქართულზე ითქმის „თავქვე დაეშვა“).

„მხვეალმა ქალმა კიდევ წინამძღოლს ჩამოხადა საჭურველი („...ქალმა“ მეტია უ. ი. მხვეალმა კი, ან—ხოლო მხვეალმა)... მან დალია რაღაც ტკბილი სასმელი და ლუდი ქალების მიტანილი კიდევ გადააჭტია (ისევ არეულია „ეი,“ „ყოფევ“ „ყოფევ“. უ. ი. ქალების (მიერ) მიტანილი ლუდი კი გადააჭტია).

„კოცონები იღვლილებოდნენ“ (ღველთი, იღველუება).

„ამოდენიმე ქალები (ქალი) ამოირჩია.“

„უყურებდა თავქვე დამბობილი“ (ისევ თავქვე).

„მისი ბედი ვწურებოდა“ (შურდა).

„ველა ვინც შემჩნეული იქნებოდა მამაკაცებთან კავშირში, ან თავისთან ან ტყვეთ მოყვანდა მამაკაცებს მას უთუოდ სასტიკი დასჯა მოეღდა“ (ობხაციდან აბხაკამდე ამოწერილი წინადადება. მაინც ვერაფერი გავიგე).

„დედ (დღისით) სტეფანობდენ გამოკვანულში, ლამე (ღამით) კიდევ (კიდევ) გამოდროდენ ზღვაზე.“

„და როგორც ცა განათებოდა...“ (როგორც ცი... КАК ТОЛЬКО; ან როცა—КОГДА ისევ იმალებოდენ.

„მას მოსწყინდა (ვევლაფერი) და მოინდომა გააფართოვოს (გაფართოება, გაფართოებინა) თავისი სამეფო.“

„არ ესმოდა დამახება“ (ძახილი, ყვირილი).

„გაიარს... გაიარდა“ (გაიარა, მაგრამ—გაივლის, გაივლიდა).

„ხუთი ამორძლებით წავა“ (ხუთი ამორძალით).

„ფემა და მხვეალი ქალი (მხვეალი ქალი, სტესი იგულისხმება) ერთად იტანებოდნენ (ჯურღმულში დაბეს) გვერდით ფერდზე მიბრუნებული.“ (წინადადების უკანასკნელი ნაწილი ყოველად გაუგებარია).

„ეს ელზები უკრავდენ რაღაც რქებზე გაჩეთებულ ტომრებით (ალბათ გუდა იქნება) რომელიც ხარის ბუშტიდან ოცნენ გაბჭრილი და ხან გაიბერებოდნენ და ხან დაიკუმშებოდნენ (ავტორიც ალბათ ისე იბერებოდა და იკუმშებოდა, როცა ამას სწერდა).“

„და მზაკვრად (ზვარაკად) ხარი მიუტანეს.“

„ამორძლები ერთმანეთში აირიეს (აირიენენ) და საწინელი ქარიშხალი გაჩნდა ისრების სროლიდან (სროლით).

„წინ მიდიოდა (დენ) ქტრუმთა ქტრუმები საცეცხტურებით, რომელნიც (საცეცხტურებით?) მღეროდენ ჰიმნებს.“

„ქალი დიდებული ცეცხლის თმებით“ (თმიანი).

„პროცესსას ათავებდა ჯარი“ („ბოლოში მოსდევდა, Заканчивали войска და არა КОНЧАЛИ).



- „იყო იშვიათი (ად) მზიარული“
- „ქალებს ხედვობდათ ძალიან“ (досталось).
- „ბიონეტი“ (შავგვრემანი).
- „ამ ტომს მეფე არ ყავთ“ (არა ჰყავს).
- „ორთავეს (ორთავე, ან ორივეს) გაუარეს (გაუარა) ერთანტეღმა.“
- „მგაღლიძამ „ყოცა პალას დიდი დაეალებით“ (!).
- „ქალაქი ტრაურში გაეხვია“ (გლოვამ მოიცვა).
- „უნდა დაიწეროს ჯვარი“ (იჭორწინოს, რადგან ამბავი წარმართობის დროს იდებო).

„ისე, კი გული დაწყდათ... მისი თვალები არ იყვნენ ისე მიმზიდავი“ („ისე“, მრავალჯერ არის ნახმარი უადგილოდ).

- „თავი დაებრუნა“ (დაუბრუნედა, თავებრუნედა).
- „მაგრამ რაშიც დამარწმუნა მე მან, ეს იყო ხალხისონობა.“

„თავიდან ფეხებზე დააყენა და ფეხიდან თავზე დააბრუნა. (ერთბაშა დააყენა, დააყირავა, გაღმოაყირავა, ააყირავა. მაგალითად: ამის დამწერმა ქართული ერთბაშა დააყენა) „აქ მლოცველბი დაემზობიენ თავვე და ლოცულობენ. თან მოჭონდათ შესაწირავი“ (ვერ პარტვე დაემზენ და მეზე მოჭონდათ! კარგია სახელმწიფომ ასეთ მწერლებს „შესაწირავი“ დაუნძინოს, ოღონდ ქართულის შერყვნაზე აიღებდნენ ხელს).

- „შენ ვერაფერი დაგიმარგრდება ენაზე“ (ვერ დაგიდგება).
- „სიხუმე იყო პასუხი“ (ად).

ესეც კმარა. ეს მასალა სამფორმიან მოთხრობებიდან ამოგვირბე. ყველა შეტდომა რომ ამომეღო, განმარტებასთან ერთად ათიოდე ფორმა დამვირბე-ბოდა. ქართულით რუსულადაც რომ ამ წესითვე ვთარგმნოთ, ანეკდოტი ფაქტად გადაიქცევა: ერთმა სემინარელმა სთარგმნა: черепуха ногу высунула, я тоже табун-табун-о (კუმ ფეხი გამოყო, მეც ნახირ-ნახირო), ან კიდევ: Не сел перепел на дерево, не было его фамилия (არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი). რუსულისგან აღარაფერი დარჩებოდა, უცხო ლიტერატურა რომ მსგავსი რუსულით ყოფილიყო თარგმნილი. ქართული კი ლამის გაივსოს ასეთი უმსგავსი ქართულით.

ერთმა გახეთმა ასეთი ქართულით დაწერილ მოთხრობას გვირგვინიც კი დაადგა: „ლამაზი“ და „მომზიბლავი“ დაარქვა. აღარ ვიცი, სავალალო თუ სასაცილო? მგონი ერთიც და მეორეც.

მეტად საგულისხმოა, რომ ამივე ავტორების ორიგინალური ნაწერის ქართული ათჯერ სჯობია ნათარგმნს. იგივე ითქმის სხვებზედაც. ეს ცხადია ადასტურებს, რომ ქართულს უმთავრესად თარგმანი რყენის—წიგნიდან გადმოთარგმნილიც და უცხო ენაზე მოაზრებულ-გადმოქართულბულიც.

ჩემი სია ჯერ არ გათავებულა. ვიმეორებ: საგანგებოდ არ შემიკრებია, თორთ იგი რამდენჯერმე გაიზრდებოდა მეთქი.

„ჩვენ გავ ხარდე(ნი)თ როგორც მოსულმა ზავმა“ (შა-მა ლამის დაკანონდეს. გავიზარდეთ—Отрасти. и—მაგ: წვერი გავიზარდეთ, ბოლო გავიზარდენით—мы выросли, ან: გავ ვარეთ—мы проткнули себе. ბოლო გავივარდენით—мы разошлись. ესეც საგულსხმოა ქართულს რუსულით ვსნი, რადგან ზოგისთვის ეს უფრო გ საგებია).

„ყოველი ჯარისკაცები დაბრუნდეს თავიანთ სახლებში და იხრუნონ თავის ოჯახებზე (წერა-კითხვის უკოდინარიც კი ასე უნაშაად არ დაამაზვეებს ქართულს).

- „გადამყიდველი“ (веркушник—ჩარჩი, ქორვაქარი).

„ბლაფორთონი“ საჭმე, კაცი (საჯანჯლო, საცოფილო, გაბლქობილი მოსყენარი, დაუდგარი, სადავიდარაბო და სხ. ბრავალი).

„ამას შწერალმა უნდა ებრძოლოს“ (კოლონდაქ).

„ლაფათკა“ (ნიჩაბი, ბარი).

„ფლაგი“ (ალამი, დროშა, ბიჩრალი. ზოგი თავს იმართლებს: დროშაქ და ალამიქ უცხო სიტყვებიაო. საშვიგროდ ყველამ იცის, „ლაფათკა“ და „ფლაგი“ კი მარტო რუსულის მკოდნეს ესმის).

დამკვიდრდა: „ბევრი ნაკულღევანებები აქვს“, „უნაკულღევანებო“ (ნაკლი აქვს. უნაკლია). აგრეთვე მოიკიდა ფეხი: „მაგალითი მოქყავსო“. უსულლო საჯანი მოაქეთ, მამასადამე მაგალითიქ, ამონაწერიქ და სიტყვებიქ მოაქეთ და არა მოქყავთ).

„საბრუნავი ზარისხები“ — оборотные средства — თანხა.

„ვიწრო კაცი“ (თხელი, წმელი, ტანთხელი).

„რული“ (საქე), „პალუბა“ (ბაქანი).

„ტრამევის დაჯაბება (?! ეტლზე“ (ტრამევის ვაგონი დაეჯაბა ეტლს, ან: ტრამევის ვაგონისა და ეტლის დაჯაბება).

„გაიქემა წვერებზე“ — უ. ი. მიეცემა წვერებს.

„შთლიანი ერთსულღვენება“ (шолово — სრული).

„*ეზოლიუციები გამოიფედნ პრესაში“ (გამოქვეყნდა, დაიბეჭდა).

„დღევანდელი დღის მორთულობა“ (обстановка. უ. ი. ვითარება, მდგომარეობა). „უცვლელად ვშეგბოდა მთის ძირში“ (неизменно шло под гору. უ. ი. ქვეითდებოდა, თავქვე მიდიოდა).

„მპარობელი მეზობელი“ (соседняя держава. უ. ი. სახელმწიფო).

„გახსნას ახალი ომები“ (развязать новые войны. უ. ი. დაიწყოს, ან ზელფეხი გაუხსნას...)

„ეს დეპრესია ითქმება“ (эта депрессия называется. უ. ი. მოსიანს).

„უმთავრეს დაკერას კონკრეტი აკეთებს“... (главное ударение делается).

„შვეიდობიანობის შენახვა“ (сохранение — დაცვა).

რუსულიდან ითარგმნება და იწერება: პიკუნდა (ბიკეინთა), ირაკი (ერაყი), იორა, ქსანკა, ცაგვერი და მსგავსი მრავალი, და ამ რიგად ქართული ენა თავის საკუთარ სახელებსაც კი უცხოვსგან სესხულობს. ამაზე დაბლა ენა ველარ დაეცემა.

ბშირად ვკითხულობთ: „დაუხედენ და სიკედილის მუქარის ქვეშ წაართვეს — (под угрозою. უ. ი. დაემუქრნენ და წაართვეს, ან მოკელის მუქართ...).

„გააკეთენ“... „თქვენ“... „გაწორენ“... „დასდენ“... „წამოვარდა ზეით“ (ზეზე. ფებზე). „ავადყოფობის გავრცელების ოლქი (область распространения болезни — უ. ი. არე, რაიონი).

„რძის საჭონელი“ (молочный скот — უ. ი. მეწველი).

„რომლებმაც გადაიკლდენ საზღვარს (ავტორის უმჯერებლად გადასცდა საზღვარს).

„მწ წელი, სახალხოდ შემოკლებული“ რომანი ვიქტორ იუჯასი, ც. ი. საქვეყნოდ, აშკარად, საჯაროდ არის შემოკლებული. უ. ი. ხალხისთვის შემოკლებული).

„ბრუნდი გეზი“ (მრუდე).

„ფილკინის სიკელი“ (филькина грамота; филька — ფილკას სიკელი).

„ფეხის ამოგდებულება მიიღო“ (იღრძო. თუ ღრძობა სხვა რამეს ნიშნავს — ძელი ან სხვა ნაწილი ამოუფარდა. ხოლო „მიღება“ უფელად შეფუყნარებელია).

„ეს ფაქტი დაორსულებულია დიდი შედეგებით (факт является большим последствием. ცხადია, ამის ავტორიქ დაორსულებულია რუსულით).

„სადგურ მცხეთაზე, გორზე, ხაშურზე (ში).



„გასცა ბრძანება მილიციისადმი (მილიციას)

„ფეხსაცურავი“ (თხილამური)

„ყველაფერ იმას, რასაც შეუძლიან (ყველაფერს, რასაც...)“

„შეიძლება რომ წავიდეთ... რომ ვთქვათ („რომ“ ზედმეტია)

„დარბეული აქვს ქვეყანა“ (დავლილი)

„ორატორს სიტყვა ეკირა—держал речь „ბოლშევიკების სახ(ელ)ით ილაპარაკა.

„რკინის გზის ტილო“

„გაუმარჯოს უნივერსიტეტის ათი წლის თავს“—ესე ვწერა ავლიანი ასობით სა-
ოპერო თეატრში, სადაც ზემო იყო მოწყობილი. უნდა ყოვლილთა: გაუმარჯოს უნივერ-
სიტეტს ათი წლის თავზე.

„საპიროა აზრის ქონება“ (ოლონდაც).

„მშალოთ ფურცლები და წავიკითხოთ“.

„რომმა დაიპყრო მცირე აზი პომპეუსის პირით“ (ხელით. პირით კი ამის ავტო-
რიც ერთ წამში დაიპყრობდა მსოფლიოს).

„მათ ისიც კი არ წამოცდენ (სცდათ) წიგნში, რომ“... (ზეირიან წიგნში ასეთი
ქარგონი არაეის წამოსცდება).

„იმათმა წამოაყენეს საკითხი“.

„ის აგავს“, „ის გავა“ (ჭგავს). „ჩანა“.

„მან შეუღდა საქმეს“, „მათ მიუძღვიან ბრალი“, „ამაზე (ამის, სააპისო) მაგალითი
ვიცი“, „კაცმა არ შეუშინდა“.

„ერთი წუთი შარა გზაზე“ (Каждая минута дорога. გზა და ძვირფასი აურია)
„ქაშის ქარხანა“ (წაწლეების), „საქონლის ქორწილი“ (брак товара), „საქმე ქუფშია“ (дело
шляпе). „კბილებით საფანტს კენებდა“ (зубами стинвал дробня), „წავიფეთ ქვეყანაზე“
(войдем на мировую). ეს ბჭესი მაგალითი ხელნაწერიდან ამოვიღე. დროზე მიუსწორეს და შე-
სწორეს.

მაინც საგულისხმოა: ამის ავტორი ლიტერატორად ითვლება!

„ბორა“ დაარტყეს იხიღ-ს, კნო სურათს, ბორა „ძებასა ჭგავს, უდიდა“ (სულხან
ორბელიანი). ნამდვილად ბუზანალი ჭჭვია, წიგნის მთარგმნელმა კი კრაზანა დაარტყა.
ისიც შემდარია. კრაზანა—оса.

„გაეტარდი რეგისტრაციაში“ (ჩავეწერე, ჩავერეგისტრე).

„ის არ იყო პირველი ახალგაზრდობისა“ (первой молодости).

„მიზეზი მისცა იმაში, რომ“... („იმაში“ სრულებით ზედმეტია. ყოველ შემთხვე-
ვაში—იმის მიზეზი და არა იმაში.)

„აი ის ახალი, რითაც გაგართეთ“...

„აი ის ყველაფერი, რაც მინდოდა მეტქვა“...

„რითაც ხანძათდებდა ეს, ეს ის არის რომ“...

„ამაში ბრალი მიუძღვის“ (ამის ბრალი).

„უდანაშაულებო“ (უდანაშაულო, უბრალი, უცოდველი, მართალი).

„მაგდა გდოი საწყობში, რომლიდანაც (გ. ი. საწყობიდან) გადაუტყრით მუღი“.

„ურემში ისხდა ერთი გლუბი“.

„რომის პაპა“ (პაპი).

„ივანოვიდან (სგან) უყიდა საქონელი“.

„საქონლის შეძენას აწარმოებდა კერძო ვაჭრებიდან (საქონელს კერძო ვაჭრები-
სგან იძენდა, ყიდულობდა). „აწარმოებს“ წერას (სწერს), ვარჯიშობას, სწავლას, ანგა-
რისს, ვაჭრობას—ამ „აწარმოებამ“ შეტქმნა ახალნიერი წარმოება ზედმეტი სიტყვებისა
და დაკრწნა მარტივი და ნათელი ქართული ზმნები.

ქართული

ითქმის დაკანონდა: „ალრიცხვაზე აიყვანა“ (აღწერა ქართველები და სხ.) „როგორც გარეთ ისე (აგრეთვე) შიგნითაც. ველარ უთქვამთ: გარეთ (აც) და შიგნით (აც).

„დღეს ჩვენ მაძღრები ვართ, მაშინ როცა გუშინ მშვირები ვიყავით“, და ამ უშნო „მაშინ როცა“-თი მთელი წერილებია საესე. ველარ უთქვამთ უბრალოდ: დღეს მაძღრები ვართ, გუშინ კი (ან — ხოლო გუშინ) მშვირები ვიყავით.

ან კიდევ: „1926 წელში წელში გავიმართეთ“ (უ. ი. 1926 წელს წელში გავიმართენით). პირდაპირ ითარგმნება რუსული „в... году“. დაგვევიწყდა ქართული „ამადაამ წელს, თვეს, დღეს“. (1927 წელს, პირველ თვეს, თებერვალს, კვირას).

„უნივერსიტეტი (ყველაზე ამბობენ: ხელისუფლება, პარტია, მრეწველობა და სხ.) ითამაშებს როლს“. მარტო არტისტებზე ითქმის — ისიც ძლივსდღობით — როლს თამაშობენო, სხვებსა და დანარჩენზე კი უნდა ითქვას: როლს ასრულებს (ებენ).

„მის ეცვლება აზრი იმაში, რომ... (იმაზე) „საქმე იმაშია“... (ის არის).

„არა ხალისიანათ“, „არა სწორი ქუჩა“, არა კარგი კაცი“, „არა დიდი სახლი“, „არა სასიამოვნო“, „არა მდიდარი“ და ათასი ამგვარი. მარტო გალატაკებულ ენას ავიწყდება, რომ არსებობს „არას“ ანტიპოდებიც: მრუდე, ოღრო-ჩოღრო, უხალისოდ, მიხვეულ-მოხვეული, დაკლანილი, აღმართი და დაღმართი; რომ „არა კარგსაც“ მოექმნება ოციოდე სახელი, „არა დიდსაც“, არა მდიდარსაც“, ხოლო „არა სასიამოვნო“ უბრალოდ გამოითქმის — უსიამოვნო. не прямая улица, нехороший, небольшой, неприятный, небогатый — აი სად აქვს სათავე ასეთ სიმახინჯეს — ბრმა წაბაძვაში, დასასრული კი ენის სრულ დაგონჯებასა და გალატაკებისაკენ მიდის.

ასე სწერს მრავალი ლიტერატორი, ჟურნალისტი, სახელმძღვანელოს ავტორი და ამ ენაზე იზრდება ჩვენი მომდევნო თაობაც. უსახლვრო ყოფილა მოთმინება ქართველი მკითხველისა და ხელისუფლებისაც. ვკითხულობთ, ვითმენთ და... ვინელებთ. დროა ამაზედაც ვიზრუნოთ — არა სასჯელით, არამედ სხვანაირად, და ვიკითხოთ: აქვთ თუ არა ასეთი ქართულის ავტორებს უფლება ლიტერატორის სახელი დაირქვან? პასუხიც ცხადია: არასოდეს. რა ბედენაა ორგანიზაციული ყოფნა მწერლობაში! მწერალი კულტურულად უნდა შევიდეს მწერალთა ოჯახში და ისტორიაშიც და თუ გენიალობით არა, კარგი ქართულით მაინც დარჩეს იქ რამდენიმე წელიწადს.

უმეცარს, უდილობო ექიმს და მკითხავს აკრძალული აქვთ ხალხის სხეულის მოწამლა. დროა უმეცარ „მწეოლებსაც“ ავალებინოთ ხელი ხალხის მეტყველების მოწამლაზე.

ამ ამონაწერებში ბევრია სასაცილო, სატირალი კი გაცილებით მეტია. ჩვენს თვალწინ, ჩვენს სულსა და შეგნებაში, ნებსით და უნებურად, დიდი ცვლილება ხდება: ერთი კვდება, მეორე იბადება. იცვლება ქართული ენა, სიტყვა, ფონეტიკა, სიტყვის წყობა, ლექსიკა, მეტყველება, სტილი და ქართუ-

ლის ბუნებაც, და არც ერთ ლიტერატორს, არც ოდნავ მაინც შეგონებულ ქართველს უფლება არა აქვს გვერდი აუხვიოს ამ უდიდეს ამბავს და აქტიურად არ ჩაერიოს ახალი მეტყველების გამოცვეთაში. დაეანებოთ თავი, თუ როგორ და რა გზით შემოვიდნენ ასეთი უმეტარები მწერლობაში. სახიფათო და საბედისწერო ის არის, რომ მათ სავსებით წაეშალათ ქართულის ალლო. ხშირად მიბაასნია მათთან და მწუხარებით დაერწმუნებულვარ, რომ ზოგიერთს მოსპობილი ან განახევრებული აქვს ქართული ენის ბუნების გაგების უნარი.

ან კი რა საკვირველია! მეტად დიდი ზოგჯერ მცირედიტაც გაიზომების. ყური მიუგდეთ ქართველ მოხელეს, მონაგარიშეს და ქვემო ზოლის ხალხსაც: რიცხვი ქართულად ვეღარ უთქვამთ. წარამარად ქართულში რუსულ ციფირებს ურთავენ და ტელეფონის ნომერსაც მუდამ რუსულად ასახელებენ. ვინც თავის ენაზე თელასაც კი გადაეჩვია, მას ენის გარყვნის ხიფათი ოჯახის შუაგულში ჩაუსახლდა.

ზემოთ ვთქვი: ენას ინტელიგენცია ჰქმნის მეთქი. ახლა კი დავუმატებ: ყოველი გლეხი და მუშათა უმრავლესობაც ათჯერ უკეთეს ქართულს ლაპარაკობს, ვიდრე ზემოხსენებული ქართულის ავტორები. გლეხი უმთავრესს—სინტაქსს მაინც წაურყვენლად ინახავს, ზოგი ავტორი კი თვითონაც დაშალა და სხვისაც ალპობს.

სწორედ აქ უნდა ვთქვა ერთი სათქმელი. ზოგი ხშირად ჩივის: ქართული არ გვეხერხება, რადგან რუსულზე ავიზარდენითო. რუსული სკოლა, სამართალი, დაწესებულება—ყველგან რუსული და მხოლოდ რუსულად იყოო. ფორმალურად მაინც სიმართლე აქამდე ამ თაობისკენ იყო. მაგრამ ახლა რაღა ეთქმის იმ თაობას და ნამეტნავად ახალგაზრდას? ვიღა უშლის ხელს დედა ენა ისწავლონ და ზემოთ მოტანილი ნავებით აღარ აგვიყოსთ თავი? არავენ და არაფერი, გარდა საკუთარი ზანტობის და მოღუნებისა.

ჯერ კიდევ ნახევარი საუკუნის წინათ ილია ჭავჭავაძე სამართლიანად სწერდა: დროა ჩვენი თვალი ჩვენივე გულში ჩავიბრუნოთო. ხოლო ახლა ამ აზრს მაშინდელზე ათჯერ და ასჯერ მეტი ძალა და საბუთი აქვს. დროა მართლა ახლა მაინც ჩავიბრუნოთ თვალი და ნამდვილი ბრალდებული ჩვენს თავსა და გულში ვიპოვოთ, უნდა გათავდეს სხვისი უსაბუთო მხილება და დაიწყოს საკუთარი ბრალის აღიარება. და ვინც ამ სამართლიან გზას ვერ დაადგება, ის ვერც ოდესმე განიკურნება: „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენის თავითაო“.

ორი პროცესი მუშაობს მეთქი ენის რღვევასა და შენებაში. მაგრამ ისიც უდავოა, რომ შემოქმედების ძალა მაინც რღვევის პროცესს სჭარბობს.

რევოლიუციამ გაანთავისუფლა და უზრუნველყო ქართველი ხალხის სულიერი ძალების გაშლა-განვითარება. რაღაც ათიოდე წელიწადში საუკუნებრივი საქმე გაკეთდა. ჩვენ, მოზრდილი თაობა, ახალ თაობაზე უკეთ ვხედავთ განვლილ გზას და განუზომელ მანძილს ძველსა და ახალს შორის.

რუმინელებს მუსიკოსები ათი ათასობით ჰყავთ, მაგრამ პირველი საკუთარი ოპერა მხოლოდ ზუთიოდე წლის წინად დასდგეს, ჩვენ კი ათამდე ოპერაც ვვაქვს და კონსერვატორიაც.

ჩვენი მხატვრობა და ქანდაკება რამდენიმე საუკუნის წინ ჩაქვდა ახლა კი სამხატვრო აკადემიაც მოგვეპოება.

ჩვენს დედაქალაქში ეკლესიების გარდა ქართულ შენობას ვერ ნახავდით (დარბაზის ტიპის რამდენიმე პაწია სახლი არ არის ანგარიშში ჩასაგდები), ახლა კი ათობით შენდება ქართული სტილის შენობა.

გაიხსნ მრავალი ქართული სკოლა და დაარსდა უმაღლესი სასწავლებელიც — უნივერსიტეტი. სკოლა, დაწესებულება, სასამართლო — ყველგან ხელფეხგამს. ლილია ქართული ენა და ჩვენი მოძვენო თაობაც ამ ენაზე იზრდება. *)

მეტყვიან, და მეც ვეთანხმები, უწინ ქართული მეცნიერება და ტერმინოლოგიაც არსებობდაო. მართალია, მაგრამ ესეც ცხადია: პროგრესი ცხოვრების გამარტივებას კი არ ნიშნავს, არამედ გართულებას. და უწინდელიც დღევანდელთან შედარებით ნამდვილ პრიმიტივად მოსჩანს, ამიტომ გადაჭარბებად ნურავის მოჩვენება, თუ ვიტყვი: რაც ათიოდე წელიწადში ჩვენმა მეცნიერებამ გააკეთა ქართული ენისათვის, უწინდელის რამდენიმე საუკუნის ნაშრომს უდრის. მან უკვე შეიშუშა, და კიდევ უნდა დაამუშავოს, მრავალი ათასი სიტყვა და ამ საზღაპრო ნაშრომს მხოლოდ ის ვაიგებს, ვისაც თუნდაც ერთი სიტყვის ძებნისა და გამოვონების წამება განუცდია.

მაგრამ მართო ტერმინების გამოვონება თუ გადმოთარგმნა ენას ვერ შექმნის. დღევანდელი ლიტერატორიც (რა თქმა უნდა, ნამდვილი ლიტერატორი) ეძებს, პოულობს და ჰქმნის დაქარგულსა და ახალ სიტყვებს. საქმე სინტაქსია მეთქი, და სასაუბრო, სათხრობელი ენის შექმნა, გამკვირვალება, მუდმივობა, მკაფიობა, უბრალოება და სინათლე — აი სალიტერატურო ენის ძარღვიც და სიცოცხლეს. ასეთ ენას კი უმთავრესად ლიტერატორი ჰქმნის.

*) უნივერსიტეტის რექტორი მ. ტორთაშვილი ამბობს მისალბი სტუდენტების გამოცდის გამო: „ახალგაზრდები განსაკუთრებით სუსტი აღმოჩნდნენ მათემატიკაში, და ქართულ ენაში. ვა. მოცადმ ქართულ ენაში გვიჩვენა, რომ ახალგაზრდობის საერთო განვითარება დაბალია. ახალგაზრდობის დიდ ნაწილს არა თუ არ შესწევს უნარი ლოგიკური თანდათანობით განავითაროს მიცემული თემის დედააზრი, არამედ არ ეხერხება დაიცვას ეთიმოლოგიის და სინტაქსის უღმენტარული წესები.“ („კომუნისტი“ № 216).

ცხადია, ახალგაზრდობის საერთო განვითარება და გონების ძალა უწინდელზე უფრო დაბალია. ისიც ცხადია, რომ ახალი თაობის ქართულიც ვერ შეედრება უწინდელ სემინარიულებისა და ორიოდე სათ. ახნაურო გიმნაზიების ქართულს, სადაც ქართულ ენას, ლიტერატურას და ისტორიას ზვირიანად ასწავლიდნენ. მაგრამ ჩვენს ახალგაზრდობას დანარჩენ სკოლებში ქართულს სულაც არ ასწავლიდნენ, ამიტომ en masse დღევანდელმა თაობამ უწინდელზე უფრო უნდა იცოდეს ქართული, რადგან მან სხვა ენები თითქმის არ იცის. მაგრამ ზემო დაკვირვებამ მაჩვენა, რომ ახალგაზრდობის დიდი უმეტესობა კეთხური კილოკავით სწერს და საუბრობს. უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში ახალგაზრდობის დიდმალი ხელთნაწერის წაკითხვა დამკვირდა. მტკიცედ შემიძლიან ვთქვა: მათი ნაწერი საცხეა რუსულით და პრივიციალიურით და შეტად სუსტია ლოგიკის ძალისა და ქართული სინტაქსის მხრივ. სასაუბრო ქართულის ცოდნა მხოლოდ წინდია სალიტერატურო ქართულისა, და მეტი არაფერი, ამიტომ ტორთაშვილის სამართლიანი ნათქვამი მაინც რეალურ ზოგად მიმართა.

ზემოთ ვწვადი: ზოგმა მწერალმა არც ქართული იცის, არც რუსული მეთქი, ახლა კი გაზედვად და ვიტყვი: როგორც სწამს, ჩვენი ახალგაზრდობის უმეტესობასაც არც ზვირიანი ქართული სკოლანია, არც რუსული.

პეშკინმა დაღერილი და უფორმო სითხე მოაგროვა, შეჭკმუნა ჩამოყალიბა და ლითონივით მთლიანი ენა მისცა რუსის ხალხს, რომელიც დღესაც ამ ენით მეტყველებს.

და ძველი ქართულიც პეტრიწონელმა და იმდროინდელმა თუ ადრინდელმა ცნობილ-უცნობ მეცნიერებმა და მკვლევარებმა კი არ შეჭკმუნეს, არამედ ხონელმა, თმოგველმა და რუსთაველმა. და ახალი ქართულიც გრამატიკოსებმა ყიფიანებმა კი არ დაამყარეს, არამედ უფრო ილია ქავკავაძემ და აკაკი წერეთელმა.

სიტყვა ნამდვილ ლიტერატორისათვის ნამდვილი ხელოვნებაა, ესთეტიური ფერომენია, ფილოლოგიისთვის კი მეცნიერული კვლევა-ძიების მასალაა.

მე აზრადაც არა მაქვს მეცნიერის როლი შევამცირო (წელანაც აღენიშნე მისი დიდი საქმე მაგრამ მაინც ვიტყვი: ჩვენი მეცნიერები უფრო რუსულ-გერმანულ გზას მისდევენ, ვიდრე ფრანგულ-ინგლისურს: უდიდეს ყურადღებას აქცევენ შინაარსს და ძალიან მცირედს—ფორმას, ენას. ეს განსხვავება რუსულ-გერმანულსა და ფრანგულ-ინგლისურის შორის მუდამ არსებობდა და დღესაც არსებობს.

ქართველი მეცნიერი მოვალეა ფრანგულ-ინგლისური გზით წავიდეს, ე. ი. ფორმაზედაც იზრუნოს.

ცხადია, მარტო შროალი ცოდნა (მეცნიერი) ან უცოდნო ნიჭი (მწერალი) ენას ვერ შეჭკმუნის. ენას ისა ჰქმნის, ვისაც თანაბრად მოეპოება ნიჭიც, ცოდნაც და დიდი შრომის უნარიც. ასეთი ტრიადა აღმოაჩნდათ ილიას და აკაკის, და ახალი ქართულიც ამით შეჭკმუნეს. და ერთი ფაქტიც უნდა აღენიშნო: ყველგან ენის ავტორად უმეტესად ხალხურზე დაბჯენილი ლიტერატორი გამოდის, მეცნიერი კი უფრო იკვლევს და აკანონებს მწერალთა მონაპოვარს.

მაგრამ ზოგნი სწორედ ვერ ზომავენ გაზეთის ძალას. ლიტერატორი ჰქმნის მეთქი ქართულს, მკითხველი კი უფრო ეურნალისტის ენით საუბრობს. გაზეთის ენის გავლენა ასჯერ სჭარბობს წიგნისას. გაზეთი ყოველდღიური საუბრით აღვილად შლის მკითხველის გონებაში დაწმენდილ სალიტერატურო ენას და საკუთარს აბატონებს. Литератор предполагает, а газета располагает. ამიტომ აქვს საგაზეთო ენას ვადაწყვეტი ძალა.

ზემოთ უამრავი მაგალითი მოვიტანე გონჯი ქართულისა. აღსანიშნავია ხაზგასმით, რომ ეს მაგალითები თითქმის უკლებლივ ნათარგმნიდან არის ამოკრებილი. ქართულად დაწერილი მუდამ სჯობნის თარგმანის ენას. ამიტომ ვისაც მსურს ქართული გააუმჯობესოს, ან თარგმნილი უნდა შეამციროს, ან თარგმნა ენის საუკეთესო მცოდნეს უნდა მიანდოს.

წელანდელი უმსგავსი ქართულის მაგალითები მხოლოდ შავი წინწყლებია იმ დიდ საქმეზე, რომელსაც დღევანდელი ნამდვილი ლიტერატურა ჰქმნის. საკირო არ არის. გვარებისა და მაგალითების ჩამოთვლა. მხოლოდ ერთს ვიტყვი: არ არსებობს ისეთი აზრი, მცნება თუ წარმოდგენა, რომ დღევანდელმა ლიტერატორმა მოკლედ და ნათლად ვერ გამოსახოს, მეტსაც გაგებდაჯ: შეიძლება დღევანდელ ლიტერატორს ილიასი, აკაკისა და საბა სულხან ორბელიანის სინათლე და მარტივობა აკლდეს, სამაგიეროდ დღევანდელის აზროვნებაც გაცილე-

ბით უფრო რთულია და ლექსიკაც უფრო მდიდარია, ე. ი. ჩვენს წინანდლებთან შედარებით გაცილებით მეტი ტვირთიც აწევს, ამიტომ ანაღ ლიტერატურას მსაჯულიც უფრო ლმობიერად უნდა მოეპყრას. და დღევანდელი ლიტერატორიც მხოლოდ იმას ცდილობს—პირნათლად და ერთგულად—რომ მეტად რთულსა და მძიმე საქმეს ძველთა ნათელობა და მარტივობა მისცეს.

ამ დიდ საქმეს ჩვენ, ლიტერატორებს, ერთი რამეც გვიადვილებს: ქართულენა უუმიდრეს ენად ჩაითვლება. ასეთია ფაქტიც და ჩვენი ღრმა რწმენაც—უმეტარი გაიღიმებს, მაგრამ უვიცობა ყოველთვის იღრიკება.

მხოლოდ ორ მოწმეს დავასახელებ:

აკად. ნიკო მარი სწერს: „ქართული ენით ყველაფერი გამოითქმება, რაც დედამიწაზე შეიძლება გამოითქვას რა გინდა რა ენით. აზრი არ მოიპოვება არც ერთ ენაზე რუსეთის ან დასავლეთ ევროპის, რომ არათუ ქართულმა სავსებით ვერ გამოთქვას, მხატვრობით ყალიბში ვერ ჩამოასხას. ქართული ენა, მეტადრე ცოცხალი ქართული ენა უფრო მხატვრულათ ხორცს ასხამს ყოველ აზრს და არა დახსნილ-დაქააქსულათ აგვიწერს და არა ზოგად ცნობებზე მხოლოდ გადაიღებს საჭირო აზრს... ასე მდიდარია ქართული, შეიძლება ითქვას, შინაგანი თვისებებით მსოფლიურია... ქართული ენა უფსკრულია, მისი ამოწურვა შეუძლებელია თვით უნივერსიტეტში, სადაც ვრცელი, მეტი თუ არ ესთქვათ, პროგრამაა. (Труды яфетич. семинария, II, в. I, Ленинград, 1926). ეს აზრი მრავალ უცხოელსაც გაუმეორებია. მით უკეთესი ქართულისათვის!

ზოგჯერ უცხოს უფრო უჯერებენ, და მეც მხოლოდ ერთ უცხოელს დავასახელებ. ამასვე გვეუბნება გერმანელი პროფესორი რიხარდ შეკელაინი, ავტორი ქართულ-გერმანული ლექსიკონისა, ენათმეცნიერი და ორიენტალისტი.

ჩვენ 50.000 სიტყვა გვაქვს—ევროპელებზე მეტი—და ისეთი ჯადოსნური ფორმები ზმნისა, რომელთა მსგავსი არც ერთ ენას არ მოეპოვება. და ასეთი განძის პატრონი წარამარად უნდა სესხულობდეს უფრო ღარიბებისგან სიტყვებსაც და ფორმებსაც?! დიდი რამ არის ცოდნა და კულტურა, მაგრამ სამი რამ არის მათზე უფრო მჭრელი და ძლიერი: ცრუმორწმუნება, უვიცობა და საკუთარი თავის უნდობლობა.

რეკლამუციამ ძირიან-ფესვიანად გადაატრიალა ჩვენი ცხოვრება, მაგრამ იგი ენის საფუძვლებს არ შეეხო და ვერც შეეხებოდა. ზოგიერთებმა სცადეს რუსული ენის საფუძვლების შერყევა, მაგრამ მალე ააღებინეს ხელი. გაიხსენეთ ლენინის სიტყვები: დახედეთ, რას უშვრებან პუშკინისა და ტოლსტოის მშვენიერ ენასო!

ახლა რუსეთს პუშკინომანია მოედო, ხოლო ტოლსტოის ხსოვნას წრეფულს უუღრდეს ზეიმს უზღიან. გაიხსენეთ ლოზუნგიც—უკან, კლასიკებისაკენ! შეისწავლეთ კლასიკები! და ისიც ცხადია, რომ კლასიკების შესწავლა თავდაპირველად ნიშნავს მათი ენის შესწავლას და გამოყენებას, და არა მათი მსოფლმხედველობის გაზიარებას.

ფრიად საგულისხმო ამბავია: რუსულად უამრავი ევროპიელი კლასიკოსი იბეჭდება—ორმოც-სამოციოდე წლის წინათ ნათარგმნი—ფლობერი, მოპასანი,

ზოლა, სტენდალი, ბალზაკი, მერიმე და სხ.—გრიგორივიჩისა და ტურგენივის მიერ ვადმოთარგმნილი. ეს ამბავი იმას ამტკიცებს, რომ პუშკინისა და ტურგენივის ენა დღესაც უკვდავია.

ჩვენცა გვყავს ენის პუშკინები—აკაკი წერეთელი და ილია ჭავჭავაძე; ჩვენშიც ვრცელდება მათი ნაწერები და მოსწავლე თაობაც სანიმუშო ქართულს ამ ნაწერებზე სწავლობს. მათგან დადგენილი გრამატიკული ფორმები და სინტაქსი დღესაც უცვლელია. ზოგი რამ მაინც შეიცვალა, მაგ—ად: დღეს აღარაინ დასწერს ილიასებურს: აქედამ, სოფლიდამ, მწყვედიდი, ჰსენობ (ორმაგი თავსართი), შარიგება, მაიტა, თავისუფლობა, მარამ, განპქრენ, შაყვარებული, წამერთო, ვინ მოგვითხრაო (ეს ამბავი), მეტი დიდი (მეტად), ფრანსიელი, აქამდისინ, ერთი რამა (ე) გკითხოთ; ზოგიერთი რუსნი ხედვენ კახლოვში; ფრანცია; პოლშა; ლიტერატურული სხოლა; შეიშალა კვიციამა; ოცნებაები, თვისებაები; ფეხებში(ით) ფიქრობა არ შეიძლება; კალამი დავსდვათ; უნდა მეთქო, და მრავალი ამისთანა.

მაგრამ ასეთი სიტყვები და თქმები ილიას მწერლობის პირველ ხანებში გვხვდება, შემდეგ კი მისი ენა თანდათან იწურება, სუფთაედება და, ბოლოს, „ოთარაანთ ქვრივში“ ხუთიოდე შეცდომასაც ვეღარ ვპოულობთ. ასეთივე ევოლუცია განიცადა აკაკისა და სხვების ენამაც, რომელიც ნახევარი საუკუნის განმავლობაში დღითიდღე იწმინდებოდა.

ენა სწორედ რევოლუციის დროს განიცდის ზოლმე უდიდეს შემოქმედებას. წარღვნასავე მოდის ახალი მცნებანი. აფორიზმებული ცხოვრება უძლიერეს გავლენას ახდენს სიტყვის შექმნაზე, ენის ბგერათა სისტემაზე და მის აღნაგობაზედაც. ამ მოვლენის გასაგებად საკმარისია წაიკითხოთ თუნდაც ერთი ნომერი გაზეთისა, ან მოისმინოთ მოხსენება, დისკუსია.

ამ ეამად ჩვენი ენაც სდულს და ჯერ არაინ იცის, როდის ვათაედება ეს დღელი, ან როგორ ჩამოყალიბდება ახალთახალი ქართული. ერთი რამეა მაინც ცხადი: შერჩევის კანონი მაინც თავისას გაიტანს და ხვალინდელი ქართული გუშინდელზე და დღევანდელზედაც უფრო მდიდარი და მტკიცე უნდა გამოდგეს.

მაგრამ „ახალი“ მარტო შორეული და უცნობი რამე კი არ არის, არამედ მას დღევანდელი რეალობაც მოეპოება. რა აქვს მას ახალი?

პირველი: შეხალისებული ლექსიკა. ათიოდე წელიწადში მრავალი ახალი სიტყვა შემოვიდა. გაიხსენეთ თუნდაც ახალი სამეცნიერო და საბელმწიფოებრივი ტერმინოლოგია და სპეციალური სავაზეთო ენა.

მეორე: ახალ სოციალურ რითმს მოჰყვა თხრობისა და სიტყვათა წყობის ახალივე რითმიც,—მოკლე, მოკრილი, მკვეთრი.

მესამე: შეიცვალა ტემა, მოტივი, მასასადამე თქმისა და თხრობის ტემპიც.

სიტყვისაც სტილი აქვს: მაგ-ად: რომელ („ვისრ-ნი“), რომე (ს. ორბ-ნი), რომ (ახალი)—რამეთუ—ვინაიდგან—რადგან; მარა—მარამ—მაგრამ და სხ. და ეს სტილი დღევანდელ ქართულში თანდათან მაგრდება.

მეოთხე: ეპოქა თავის სტილსა ჰქმნის, სტილს კერძოადად სინტაქსი. გაიხსენეთ წელანდელი ამონაწერი „ვისრამიანიდან“. მონოტონური რითმი, მელოდია რომანსის, სტილი დავარცხნილი, მოლოკილი და მურაბასავით ტბილი, ხოლო შედარება-მეტაფორები—ღონდლო და უნიათი: „სიკვდილი შეეპარის ვითა სიყვარული... ჯაქვსა შიგან ხრმალი შევიდის ვითა წყალი... ისარი შეეპარის ვითა ძილი“. არა, სიკვდილი ასე არ მეტყველებს და მისი სინტაქსიც ასეთი უნდელი არ არის. ამასთან შედარებით ჰავადაძისა და წერეთლის სინტაქსი რკინისგან არის გამოჭედილი, ხოლო დღევანდელი კიდევ უფრო მძლავრია და მედგარი, რომელსაც ამჟამად ზედმეტრული სახელებისა და ზმნების სიმდიდრე და მათი გამოყენების თილისმური ხერხები.

ორი უკიდურესობა სწეწავს ქართულს: ერთნი რკინას ასხავენ სიტყვაში (ხეცურული „მაჰკალ!“), მეორენი კი ბამბასავით არბილებენ (დასავლური „მოკალ“) ქართული სალიტერატურო მუდამ საშუალო გზაზე იდგა და არც ახლა უნდა გადაუზვიოს („მოკალ!“).

უნდა მუდამ გვახსოვდეს, რომ ქართული მეგარი ენების ჯიშს ეკუთვნის და სპარსულ სიტყვებს ვერ ინელებს. ისევე რეალის ელარუნი სჯობია ბულბულის „ბულ-ბულს“, ჩვენებური მჰადი—სპარსულ რაჰათლუხუმს, რადგან ასეთია ქართულის ბუნება და ხასიათი.

დიდი მონტენი ოცნებობდა ფრანგულის გარდაქმნას, რათა მას გარეცხილ-დავარცხნილი იერის ნაცვლად მოეპოებინა ფერადოვნება, ღონე და გრიგალობა. ასეთ ენად სწორედ ქართული უნდა ჩაითვალოს.

სადაო ბევრი დაგვიგროვდა. ფორმათა სიმრავლემ ანარქია შემოიტანა. დაირღვა საერთო გრამატიკა, დაიშალა მთლიანი ქართულიც. და მისი აღდგენისათვის, ზოგის აზრით, საჭიროა მოწვევა ენის მკოდნეთა კონფერენციისა.

ჩემი რწმენით კონფერენციის მოწვევა ნაადრევია. საბუთები:

პირველი: საერთო ცენტრალიზაციას, მისვლა-მოსვლისა და კავშირის სისწრაფის არაჩვეულებრივ ზრდას თან მოჰყვა საერთოდ კულტურის ცენტრალიზაცია და კერძოდ—სალიტერატურო ენის გაელენის გაძლიერებაც. იგი ასჯერ უფრო სწრაფია ვიდრე შორეულში იყო, და გაცილებით ძლიერი, ვიდრე წარსულ საუკუნეში, რკინის გზისა და ტელეგრაფის გაყვანამდე. ახლა კი საქართველო რადიოთი და ტელეფონითაც დაიქსელა.

ოცდაათიოდე წელიწადში წიგნისა და გაზეთის ტირაჟმა ოცჯერ თუ ორმოცჯერ იმატა (სწორედ ესენი ავრცელებენ საერთო ქართულსაც), და მეც მჯერა, რომ უზარმაზარი განათლების ტალღა მახლობელ მომავალში კიდევ გაიზრდება. ცხადია სალიტ. ქართულიც გეომეტრიული პროგრესით მატულობს.

მეორე: ყოველგვარ კულტურას, და საერთო ენასაც, ქალაქები ჰქმნიან, უფრო კი დედა-ქალაქი. ახლა უმეტესად ტფილისშია დაგროვილი ჩვენი ტენი: ლიტერატურა, პრესა, მეცნიერება, ხელოვნება, მთავარი სახელმწიფო აპარატი და ყოველივე და ყველანი, ვინც და რაც კი საერთო სალიტერატურო ქართულისათვის მუშაობს. აქვე, ტფილისში, თავს იყრის (მხოლოდ ეხლაზანს მოიყარა) ყველა ჩვენი კილო: ქართული და იმერული, მთიულური და გურულ-აქარუ-

ლი, რაჭული და მეგრული, და დღევანდელი ქართულიც ჩვენს მავალწინ სტელს და ყალიბდება.

ტფილისი ჩვენი ენისათვის მოსკოვიც არის და პარიზიც, ამიტომ საჭიროა მოვიცადოთ სანამ ამ ქალაქში თავმოყრილი მრავალი კილო გადაიხარშება და ერთ ყალიბში გამოიქვდება.

მესამე: ცხოვრების ყველა დარგში შესაძლებელია, და ზოგჯერ საჭიროც არის, რომ კანონი წინ უძღოდეს ფაქტს. მაგრამ ძალიან სახიფათოა თუ ენის დარგშიც კანონმა გაუსწრო ფაქტს.

ძალიან ადვილია ამა თუ იმ ფორმის დაკანონება, მაგრამ უფრო ძნელია მისი გადახალისება, თუ იგი სინამდვილემ მოითხოვა, — და ანარქიის მოსპობის ნაცვლად არეგდარევა უფრო გაძლიერდება.*)

მეოთხე: ფორმათა სიმრავლემ ანარქია შემოიტანა, მაგრამ უკანასკნელ წლებში იგი ცხადად კლებულობს, ე. ი. კლებულობს სადაო რიცხვიც, ე. ი. დუღილი ნელდება და აერთო ქართულიც ყალიბდება.

შეადარეთ დღევანდელი ქართული მახლობელ წარსულის ქართულს, თუნდაც ს. ხუნდაძის უკანასკნელი და წარსული გრამატიკები, და უმაღვე დარწმუნდებით, რომ დღევანდელი ქართული დიდი სისწრაფით პოულობს საჭირო სტატიურობას და გარკვეულ ფორმებს. და როცა ძალთა ურთიერთობის წყალობით დამკვიდრდება ცხადი უპირატესობა ამა თუ იმ ფორმებისა, კონფერენციამ მაშინდა უნდა დაადასტუროს არსებული ფაქტი.

ჩვენ ვერ ავცდებით უცხოელთა აკადემიების მტკიცე ჩვეულებას: ამა თუ იმ სიტყვას ან ფორმას მხოლოდ მაშინ დააკანონებენ ხოლმე ქალაღზე, როცა იგი მტკიცედ მოაკიდებს ფეხს სინამდვილეში.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ათიოდე წელიწადში, შეიძლება უფრო ადრეც, სადავოს უმეტესი ნაწილი თავისთავად გადაწყდება და კონფერენციის მოწვევასაც მაშინდა ექნება აზრი და გამართლება.

ამბობენ:

რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს.

ასეთივე სიმართლე იქნება შეტრიალებულ სტრიქონშიც:

რა ერი წახდეს, ენაც დაეცეს.

ჩვენ კი ვიტყვით მტკიცედ და გადაჭრით: არც ერი წახდება, არც ენა დაეცემა. მაგრამ ხიფათი მაინც არსებობს და დამრღვევი ძალაც მუშაობს. მისი მოდუნება და მოსპობა კი მხოლოდ ჩვენი კულტურის გაძლიერებით შეიძლება.

ენა ერთი ბურჯთავანია ამ კულტურის. მაგრამ მარტო მწერალსა და მეცნიერს არ შეუძლიათ მისი შენახვა და გამდიდრება. ეს უღელი თუ განძი მთელი ხალხის საზიდავია. ამიტომ ყოველი შეგნებული მოქალაქე მოვალეა თავის ენა კულტად გადააქციოს და მისი. ცოდნა-შესწავლა უპირველეს ვალად გაიხადოს.

დღეა-ენის ცოდნა საანბანო ჭეშმარიტებაა, მაგრამ ესეც ცხადია: ზოგჯერ მკირედის შესწავლაც და განხორციელებაც ისევე საჭიროა როგორც დიდი დართული პრობლემის გადაჭრა.

*) ა. უ. სტექმებრში რუსეთის მთავრობამ ხელახლად აღადგინა წინანდელი მართლწე. რის ზოგი ფორმა, მაგალითად ნიშანი ზ. თავსართებში: *объект, объексияне, объект* და სხ

შანიშვნაჲი კინოს შესახებ

1

თანამედროვე ესთეტიკა ვითარდება ეკონომიკის საფუძველზე. ამიტომ სწორედ ეკონომიკაში უნდა ვეძიოთ ესთეტიკურობის ძირი, რადგან რაც უფრო ეკონომიურია ხელოვნების ფაქტი, მით უფრო მეტ ესთეტიურ ღირებულებას წარმოადგენს იგი. რასაკვირველია, მაყურებლის თვალსაზრისით, რადგან უკანასკნელი ერთად-ერთი მომხმარებელია ხელოვნების „საქონლისა“. ამ რიგად: ესთეტიურია ის, რაც მიაღწევს მაყურებელამდე და ხდება მისთვის სასარგებლო, რადგან: თუ ხელოვნების ფაქტი ვერ მიაღწევს მაყურებელამდე, იგი არავისთვის არ იქნება საჭირო და დაკარგავს ყოველგვარ დანიშნულება-მიზანს. ამიტომ: ესთეტიურია ის, რაც ზედმიწევნით ეკონომიური და უტილიტარულია. ესე იგი, რაც ნაკლებ დროში მაქსიმუმ ემოციებს იძლევა. დროს მინიმუმში ემოციების მაქსიმუმში — ეს არის მთავარი მოთხოვნილება თანამედროვე ხელოვნებისაგან. ყველაზე უკეთ ამას იძლევა კინო-ხელოვნება, ყველაზე მეტად ეკონომიური ხელოვნება. კინოში არის ეკონომია დროის და ეკონომია ათვისებაში და მხოლოდ ტექნიკის გამოყენებით, კინო, ეს ყველაზე თანამედროვე ხელოვნება, ხდება ეკონომიური — რადგან: კინოში ტექნიკა იწვევს ესთეტიკას, ვინაიდან სილამაზე კინოში არის კინო ოპერატორის მუშაობის შედეგი. სინათლე სათანადოთ გამოყენებული და დამუშავებული იძლევა ესთეტიურ ემოციას. შემდეგ: „ჩქარი მოძრაობის სილამაზე“, რომელიც პირველად ფუტურისტებმა გამოაცხადეს, საესებით გამოყენებულია კინოში. ეს არის ის მოძრაობის ესთეტიკა, რომელიც საფუძვლად უძევს კინო-ხელოვნების ესთეტიკას, რადგან კინო-ესთეტიკა უმთავრესად არის მოძრაობის ესთეტიკა.

ხელოვნების ათვისების დროს მთავარ როლს თამაშობს ათვისების ეკონომია, რომელიც ყველაზე ძლიერ კინოში მელაუნდება. კინო, მაყურებლისაგან ითხოვს ცქერას მხოლოდ. თეატრში გარდა ცქერისა საჭიროა და უფრო მნიშვნელოვანიცაა სმენა, ვინაიდან აქ აქტიური იქ უფრო სიტყვით ახდენს ზეგავლენას მაყურებელზე, ვიდრე თავის გარეგნობით, მაგრამ სიტყვა ხშირად უშლის მაყურებელს მიიღოს ხედვითი ემოცია აქტიორისაგან, რადგან სიტყვა ჩრდილავს მაყურებლის ხედვას და აფერხებს ხედვითი ემოციის მიღებას. მაშინ რო-



დესაც ხედვითი სახეების ათვისება მყურებლის მიერ უფრო ადვილად ხდება ვიდრე ბგერითი სახეებისა, როგორც ამას ადგილი აქვს თეატრში. ამიტომ: მყურებელი კინოში უფრო მეტ ემოციონალურ განცდებს ღებულობს ვიდრე თეატრში. შემდეგ: თეატრში მყურებელმა ხშირად არ იცის თუ რას უყუროს, რა უფრო მნიშვნელოვანი და მთავარია ამა თუ იმ მომენტში. კინოში, პირიქით, მყურებელს უკვე ეძლევა ის, რასაც მან უნდა უცქიროს, რადგან კინო-რეჟისორი აიძულებს, ძალად აყურებიებს მყურებელს იმას, რაც საჭიროა; რომ მან ამა თუ იმ მომენტში ნახოს. თეატრში ნშირად ბევრი რამ ეკარგება მყურებლისათვის, რადგან ფიზიკურად ყოველად შეუძლებელია, რომ მან ყველაფერს თვალი ადევნოს, ყველაფერი, რაც სცენაზე ხდება ერთ და იმავე დროს შეითვისოს. კინოში, პირიქით, მყურებელს არაფერი არ ეკარგება. ამ მხრივ იგი ღებულობს სრულ ხედვითი დატვირთვას, იგი ხედავს იმას რაც საჭიროა, რომ ნახოს და რაც მნიშვნელოვანია საერთოდ ხელოვნების ფაქტის ასათვისებლად, მაშინ როდესაც თეატრში მყურებელი ხშირად იმას უცქერის, რაც შეიძლება სრულიად საჭირო არც კი იყოს პიესის საერთო შეთვისებისათვის. აქედან: კინო—ადენს მყურებლის ხედვითი ყურადღების ორგანიზაციას და კინო გამოდის მყურებლის ორგანიზატორად. რა მიმართულებით. აქ კი იჭრება ისევე იდეოლოგიის საკითხი, რომელიც დამოკიდებულია ფილმის შემქმნელზე, რომელთაგანაც ამიტომ ბევრი მოეთხოვება. და თუ რადიო, რომელიც თანდათან გრანდიოზულ ადგილს იკავებს თანამედროვე ცხოვრებაში, ზოგიერთის აზრით, მოკლავს თეატრს, სამაგიეროთ კინოს რადიო ვერ მოკლავს. პირიქით, რადიოს საშუალებით კინო უფრო მასსიური და მსოფლიო ხელოვნება გახდება, ვიდრე იგი აქამდის იყო.

ყველა შემოთქმულიდან გამომდინარეობს: კინო უფრო ვასაგები და ადვილად ასათვისებელია, ვიდრე თეატრი. და კინოს გამარჯვება ახალი მყურებლის გამარჯვებაა. ძველი მყურებელი, რომელიც აღზრდილია და შეჩვეულია თეატრს, იშვიათად დაიარება კინოში. აქამდის არსებობენ ისეთი „თეატრალური ესთეტიები“, რომელნიც კინოს „ბალაგანურ ილუზიონს“ ეძახიან, მაგრამ კინოს აუდიტორია მათგან არ შესდგება. როგორც გამოკვლეულია რუსული „Кино-газета“-ს მიერ, კინოს აუდიტორიას უმთავრესად შეადგენს: მუშური და მოსწავლე ახალგაზრდობა, შემდეგ: მოზარდი მუშები და პროფესიონალურად ჩამოყალიბებული მოსამსახურე. რასაკვირველია, აქ მხედველობაში აღებულლია არა მარტო ცენტრალური კომერციული ეკრანები, არამედ და უმთავრესად, მუშათა კლუბების და პროვინციის (სოფლის) ეკრანები. ამ რიგად: ახალი მყურებელი თუ თეატრში საცხებით ჯერ არ მოსჩანს, კინოში უკვე აუდიტორიის, შეიძლება თამამად ითქვას, 80 პროც. შეადგენს.

ადამიანი, რომელიც ამბობს რომ „კინო-ხელოვნება არ არისო“ რაღაც გაუგებარ ანაქრონიზმად მჭერუნება. იგი პიოდაპირ მუზეუმში ან პანოპტიკუმში

საჩვენებელი უნდა იყოს. იგი მე მაგონებს ისეთ ადამიანს, რომელიც სოფლის მეურნეობაში სახნისი ურჩენია ტრაქტორს. ან ტრანსპორტისათვის ურემი ავტოს. მოზგონეთ ს. ეიზენშტეინის „Нелесо совершенствовать соху. Выписывают трактор“. კინო, ხელოვნებაში სწორედ ასეთი ტრაქტორია და ლოზუნგი „საბჭოთა კავშირის კინოფიკაციის“ ისეთივე მნიშვნელობისაა, როგორც „ტრაქტორიზაცია სოფლის“. მაგრამ თეატრი მაინც „სახნისი“ არ არის, რადგან თუ სახნისის გაუმჯობესობა აბსურდია, თეატრის გაუმჯობესობა საჭიროა, უმთავრესად ტეხნიკის მხრივ.

საქმე იმაშია, რომ თეატრიც ხელოვნებაა და კინოც—და ვერც თეატრი კინოს ადგილს ვერ დაიკავებს, ვერც კინო თეატრის ადგილს. თვითეული მათგანი თავის განსაკუთრებულ გზით მიდის. მართალია კინო ჯერ კიდევ ვანიცლის ზოგან „თეატრალიზმის“ გავლენას, მაგრამ განა თეატრს კი არ ემჩნევა კინოს გავლენა. მხოლოდ: თუ თეატრის გავლენა კინოზე მეტად მავნებელია მისთვის, თეატრი პირიქით კინოს პრინციპების ზოგადი შეტანისაგან ძლიერდება და მდიდრდება.

1) არსებობს განსხვავება: არის კინო და არის კინემატოგრაფი. კინო არის ხელოვნება.—კინემატოგრაფი—ტეხნიკა. არის თუ არა ტეხნიკა ხელოვნება? რასაკვირველია—არა, რადგან როგორც ტეხნიკა, ისე ხელოვნება ცხოვრების შემადგენელი ელემენტები არიან სხვა ელემენტებთან ერთად. ხელოვნება არ არის ტეხნიკა. აგრეთვე ხელოვნება არ არის ცხოვრება. ხელოვნება არის შემოქმედება ბ. არვატოვის თქმით: „искусство есть формоорганизующее творчество“, მაგრამ კინო როგორც ხელოვნება უმთავრესად ტეხნიკას ეყრდნობა. შეიძლება ითქვას, რომ ტეხნიკის გარეშე კინო არ არსებობს. ამიტომ ზოგი გაიძახის, რომ კინო მოძრავი ფოტოგრაფიაა, მაგრამ ჩვენ კარგათ ვიცით, რომ ფოტოგრაფია ხელოვნება არ არის. ვადალება არის მხოლოდ მექანიური მუშაობა, კინოსთვის კი ფოტოგრაფია საშვალეობაა მხოლოდ. უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ კინო ერთად ერთი ხელოვნებაა სადაც ტეხნიკა იძლევა ხელოვნებას. 1895 წ. გამოიგონეს კინემატოგრაფი. ამის შემდეგ ოცი წელიწადი გავიდა, სანამ კინო-ტეხნიკა გახდა კინო-ხელოვნება და 1915 წ. დ. გრიფიტმა გამოიშვა კინო-ხელოვნების პირველი ნაწარმოები „Рождение нации“. ამ წლიდან იწყება კინოს, როგორც ხელოვნების, არსებობა.

2) 1450 წ. დაიბეჭდა პირველი წიგნი. აქედან დაიწყო წიგნის ერა. წიგნის ბეჭდვა თავის თავად ცხადია არ არის ხელოვნება. ეს არის მხოლოდ ტეხნიკური პროცესი, რომლის საშვალეობით შემოქმედება (მაგ. რომანი) მიღწევს მაყურებელამდე (ამ შემთხვევაში მკითხველამდე). და როდესაც მკითხველი/კითხულობს სტამბაში დაბეჭდილ წიგნს, მას უსათუოდ საქმე აქვს ხელოვნების ფაქტთან. ასეთივე მდგომარეობაა კინოში. ცელულოიდის ლენტას პროექცია თეთრ ტილოზე (ეკრანზე) იძლევა იმას, რასაც ჩვენ უწოდებთ კინო-ხელოვნებას. ამ რიგად: როგორც სტამბაში დაბეჭდილი რომანი, ისე ეკრანზე ნაჩენი კინო-ლენტა ხელოვნებაა, მიუხედავად იმისა, რომ ორივე ისეთი ტეხნიკური

საშედეგებით არის წარმოდგენილი, რომელთაც თითქოს არტყვევებს არ უნდა ქონდეთ ხელოვნებასთან.

მაგრამ შეიძლება სთქვან, რომ ხშირად კინოში ისეთ ფილმებს გვიჩვენებენ, რომელთაც არაფერი საერთო არ აქვთ ხელოვნებასთან. მაგრამ აიღეთ ლიტერატურა—განა ცოტაა იქ ბულვარული, ავანტიურული და პორნოგრაფიული რომანი. ასეთი შინაარსის ფილმებსაც ადგილი აქვთ კინოში, რადგან კინო სამწუხაროდ ჯერ არ არის სავსებით განთავისუფლებული, როგორც ლიტერატურისაგან, ისე თეატრისაგან. ლიტერატურული კინო და თეატრალური კინო არ არის ნამდვილი კინო-ხელოვნება და თუ ზოგიერთს კინო-ხელოვნებად არ მიაჩნია, ეს უთუოდ იმიტომ რომ მათ ლიტერატურის გავლენის ქვეშ მყოფი კინო არ მიაჩნიათ ხელოვნებად. ამიტომ კინოს განთავისუფლება ლიტერატურისაგან და თეატრისაგან—მორიგი ამოცანაა.

3) თუ აქამდე იყო „წიგნის ერა“, მხოვლიო ომის შემდეგ უსათუოდ კაცობრიობამ ფეხი შესდგა ახალ ერაში. იწყება კინო-ერა და „წასაკითხი ადამიანი“ მაგიერ „ხილული ადამიანი“. „Человек снова становится видимым“ (ბელა ბალაშ), ბ. ეიხენბაუმის თქმით „Наша эпоха—менее всего эпоха словесная.. кино-культура, противостоит, как знак эпохи, культуре слова книжной и театральной, господствовавшей в прошлом веке“ და ოჲ კინოში დღეს უმეტესად მხატვრულ ფილმებს აქვს ადგილი, შორს არაა ის დრო, როდესაც კინო, ისე, როგორც წიგნი, აგვიხსნის ქვეყნის წარმოშობას, ასტრონომიას, მედიცინას, გვიჩვენებს უცხო მხარეებს და სხვა.

აქედან: ჩვენ ერა არის კინო-ერა და ვინც ამას არ გრძნობს, ის არ გრძნობს ეპოქის რიტმს.

კინო-ხელოვნებაში არსებობს მასალა და ფორმა. კინოში მასალას შეადგენენ: ადამიანი, ნივთები, ყოფა, სოციალური ურთიერთობა. მასალა ყალიბდება სცენარში, მაგრამ კინო ისეთი ხელოვნებაა, სადაც თუ არ არის დაცული ფორმის და მასალის წონასწორობა, იგი კარგავს თავის მნიშვნელობას. საბჭოთა კინო-ხელოვნება სწორედ ამ გზით უნდა ვითარდებოდეს, რადგან ეს არის გზა ს. ეიხენშტიინის „პატიომკინის“ და ვ. პუდოვკინის „დედის“. მასალის პრიმატი ფორმაზე, რაც ახასიათებს ზოგიერთ საბჭოთა ფილმებს, იძლევა ნატურალისტურ ფილმას. ფორმის პრიმატი მასალაზე, რაც ახასიათებს ფრანგულ ჯგუფს, „ავანგარდს“, აგრეთვე იძლევა არასასურველ „ესთეტიურ“ გადახრას. ფორმის და მასალის ერთიანობა იძლევა ნამდვილ კინო-ხელოვნებას.

საბჭოთა სინამდვილე იძლევა მდიდარ ნედლ მასალას კინოსათვის. საჭიროა მისი გაფორმება, ორგანიზაცია. ნედლი მასალის გადაშუშავება ხედვითი სახეების რიგში. ამას იძლევა სცენარი. კადრის შექმნა არის კინო-მასალის გაკეთება. კადრების ცვლა იძლევა იმას, რასაც ეწოდება მონტაჟი. მონტაჟი არის ფორმა კინოში, რომლითაც უკანასკნელი განირჩევა ყველა სხვა ხელოვნებისაგან. მაგრამ კინო-ხელოვნება კადრებში კი არ არის, იგი კადრების შუაა, ე. ი. მონტაჟში. კინოს დინამიკა არის მონტაჟის დინამიკა და არა კადრების. თვითეული კადრი უნდა იძლეოდეს სტატიურ გაფორმებას. დი-

ნამიკა მხოლოდ კადრების ცვლაშია, ე. ი. მონტაჟში. აგრეთვე რიტმი კინოს რიტმი არის მონტაჟის რიტმი და არა ის რიტმი, რომელიც კადრშია. კინოს რიტმი კადრების ცვლის რიტმია. მოძრაობა და დინამიკა თვითვე კადრში იმდენად არაა საჭირო, რამდენად კადრების ცვლაშია. კადრი უნდა იძლეოდეს ემოციას, ნივთის და აქტიორის საშუალებით.

„ფილმის სტილი - მისი შინაგანი რიტმია“ (ოტტო შტინტ). აქედან: სტილის პრობლემა კინოში არის მონტაჟის პრობლემა. იმისდა მიხედვით, თუ როგორ არის გაფორმებული კადრი, იქნის ესა თუ ის სტილი კინოში. ამ როგად კინოს სტილი დამოკიდებულია კადრის გაფორმებაზე. არსებობს სხვადასხვა სტილი კინოში: ამერიკული, გერმანული, სკანდინავური, საბჭოთა კინოს სტილი მოცემულია ს. ეიზენშტეინის და ვ. პუდოვკინის შუკანსკენელ ფილმებში. ქართულმა კინომაც უნდა მოძებნოს თავისი განსაკუთრებული კინო-სტილი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი იქნება მხოლოდ სხვა კინო-სტილების, ზოგჯერ ნიჭიერი და უფრო უნიჭო წაბაძვა.

მონტაჟის შექმნა შეადგენს კინო-რეჟისორის მხატვრულ შემოქმედებას. ამ მხრივ მართალი არ არის რ. გარსია, როდესაც ამბობს, რომ „მონტაჟი მხოლოდ ტექნიკური ხერხია“. რასაკვირველია კინოში ყველაფერი ტექნიკაზეა დამყარებული, მაგრამ მონტაჟი მაინც უსათუოდ წარმოადგენს უაღრესად ესთეტიურ მხატვრულ მოვლენას. მონტაჟი როდია კადრების უბრალო ტექნიკური შეკაშიწება და კინო რეჟისორი როდია უბრალო მონტაჟორი. მონტაჟი გადაღებულ კადრების მხატვრული შემოქმედებითი გაფორმებაა—და სწორედ ამაშია კინო ხელოვნება და არა კადრების გადაღებაში. ამიტომ კინო-რეჟისორისთვის მთავარია მონტაჟის შექმნა, რადგან რაც უფრო კარვად არის გაკეთებული მონტაჟი, მით უფრო მეტ ემოციონალურ ზეგავლენას ახდენს ფილმა მაყურებელზე. შეიძლება კინო-რეჟისორმა შესანიშნავი ცალკე კადრები შექმნას, ოპერატორმა მშვენივრად გადაიღოს ესა თუ ის „ნაყუსი“, მაგრამ თუ საერთოდ მონტაჟი სუსტია, ეს ცალკე მშვენიერი კადრები ვერასდროს ვერ მიალწევენ მაყურებელს და ვერ მოახდენენ სათანადო ზეგავლენას, ვინაიდან ცალკე კადრების ესთეტიკა იძლევა მხოლოდ ფოტო-ეტიუდებს, ისე როგორც მაგ. მხატვარი ნატურმოტებს. საერთოდ კი ფილმის დინამიურ მდინარებიდან ეს ფოტო-ეტიუდები გამოვარდნილი იქნება, როგორც მონტაჟით არ გამართლებული.

ამ რიკად, მონტაჟს დიდი მნიშვნელობა ეძლევა კინო-ხელოვნებაში. კინო-რეჟისორი მონტაჟით ქმნის კინო-ხელოვნებას—აქედან: რეჟისორი კინოში ყველაფერი, —რადგან კინო-რეჟისორის ხელშია მონტაჟი, ეს მთავარი ძარღვი კინო-ხელოვნებისა. კინოში აქტიორი არ გრძნობს თავის შემოქმედებას. მისი შემოქმედება დაქორილია ნაყუსებად და წარმოდგენილია მხოლოდ ამა თუ იმ მომენტით მხოლოდ ფილმის დემონსტრაციის დროს იქმნის აქტიორი კინოში: რადგან მონტაჟი, რომელიც აწესრიგებს აქტიორის შემოქმედებითი მომენტებს (ნაყუსებს) იძლევა აქტიორს კინოში. ამ რიგად, მონტაჟი ქმნის აქტიორს კინოში. —მონტაჟი არის მთავარი მამოძრავებელი ძალა, ურომლის-

დაც აქტიორი ვერას დროს ვერ მიღწევს მაყურებელამდე, მაგრამ შეიძლება კინოფილმებმა სთქვან, რომ მომენტებათ დაყოფილი შემოქმედება არ არის ნამდვილი შემოქმედება (მაგ. კინოში აქტიორი ჯერ კვდება, მერე კონცის თავის საყვარელს), მაგრამ საქმე იმაშია, რომ სწორედ შემოქმედებითი ნომენტებში იმყოფება ნამდვილი ხელოვნება. საჭირო არ არის „ხეშთაგონება“, რაღაც „ალმაფერნა“, „ინტუცია“ და „განწყობილება“. აქტიორის შემოქმედება ლიტურღია არ არის. იგი აშენებულია პრაქტიკულ რეფლექსოლოგიის საფუძველზე—და სწორედ კინოში გამოჩნდება აქტიორი ნიჭიერია თუ არა, რადგან ეკრანი უღმობელია და იგი უნიკობას არ ითმენს. მაშინ, როდესაც თეატრი თავის სტუმართმოყვარე კალთებში ხშირად ბევრ უნიკობას იფარავს.—რასაკვირველია, ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, ვითომ თანამედროვე კინოში ყველა აქტიორი ნიჭიერია, მაგრამ სწორედ იმაშია უბედურება, რომ თანამედროვე კინო-ხელოვნება მეტად დამძიმებულია მრავალ თეატრალურ აქტიორებით და გამველელ-გამომველელ პირებით, მაგრამ ეს დროებითი მოვლენაა და ამასთან საჭიროა ბრძოლა. შემდეგ შემოქმედებითი მომენტი უფრო მეტ შესაძლებლობას იძლევა აქტიორის გამოჩენისთვის, ვიდრე თეატრის შეუწყვეტელი თამაში, რადგან პირველში აღვლილი არ ექნება თეატრალურ ხალტურას, იმიტომ, რომ მომენტი უნდა გაქვნითილი და დატვირთული იყოს ყველა აქტიორულ შესაძლებლობით. ამ რივად მართალია ი. სოკოლოვი, რომელიც ამბობს, რომ „играть... перед кино-аппаратом это значит быть естественным в искусственных условиях“.

შემდეგ: კინოში აქტიორს თითქოს არაფერი საერთო არ აქვს მაყურებელთან და იგი არა ქმნის მაყურებლისათვის, რადგან თამაშობს კინო-აპარატის წინ, მაშინ, როდესაც თეატრში აქტიორი უშუალოდ გადაპმული და დაკავშირებულია მაყურებელთან. კინოში აქტიორი მხოლოდ მონტაჟის საშვალებით მიღწევს მაყურებელამდე და კინო-აქტიორი მხოლოდ რეჟისორის წყალობით ახდენს ამა თუ იმ ემოციონალურ ზეგავლენას მაყურებელზე, ამიტომ რეჟისორმა უნდა იცოდეს როგორ მიაწოდოს აქტიორი მაყურებელს, რომ მან მოახდინოს სათანადო ემოციონალური გავლენა მაყურებელზე. აქედან ცხადია, რომ კინორეჟისორის კულტურა ქმნის კინო-აქტიორის კულტურას «Игра кино-актера—репсиссированная игра» (ი. სოკოლოვი). ამ მხრივ კიდელი მნიშვნელობა ეძლევა კინოში „ნივთების თამაშს“. კინოში ნივთი ხსნის აქტიორს, ნივთი მიაწოდებს მაყურებელს აქტიორს. აქტიორის შევრძნობა და ათვისება ხდება ნივთის საშვალებით. სულ სხვაა თეატრში, სადაც მაყურებელი მოქმედების საშვალებით ივრძნობს აქტიორს (ე. ი. რას აკეთებს აქტიორი?) ეს კიდელი ასათვისებელია, მაშინ, როდესაც ათვისება ნივთით ყველაზე ადვილი და ეკონომიური ათვისებაა, თანაც სავსე ემოციონალობით.

კინოში მაყურებელი სავსებით რეჟისორის ხელშია. რეჟისორს როგორც მოესურვება, ისე ახდენს მაყურებლის ემოციონალური ორგანიზაციას. კინოში მაყურებელი მისდევს რეჟისორს. რეჟისორის თვალი მაყურებლის თვალია. ამიტომ არის ხშირად მიღწეული გარმონია მაყურებლის და ხელოვნების ნაწარმოების

(ფილმის) შორის. თეატრში ხშირად ასეთი გარმონია დასტურდება: მის მიზეზი უნდა ვეძიოთ უმთავრესად რეჟისორის გაბატონებაში. ნაკლებ იშვიათია, რომ თუ კინოში რეჟისორის დიქტატურა აუცილებელია და სავსებით გამართლებული, ისე როგორც ინჟინერის მავალ. ფაბრიკის აშენების დროს, თეატრში პირიქით, რეჟისორის დიქტატურა ხშირად უარყოფითი შედეგებს იძლევა. თეატრში რეჟისორი ჩადგა მაყურებლის და აქტიორის შუა. მაშინ როდესაც კინოში რეჟისორმა აქტიორი დაუახლოვა მაყურებელს, თეატრში რეჟისორმა აქტიორი დააშორა მაყურებელს. რასაკვირველია, რეჟისორის უარყოფა თეატრში აბსურდია, მაგრამ თეატრში მთავარი ელემენტი აქტიორია. იგი ვამოდის მთავარ შემომქმედათ, რომელიც უნდა იძლეოდეს ნამდვილ თეატრის ხელოვნებას. რეჟისორი საჭიროა, მაგრამ მას არ უნდა მიეცეს ისეთი დიქტატორული უფლებები, როგორც კინოში, რადგან ხშირად ხდება, რომ უაქტიორო თეატრში გამეფებული რეჟისორი მხატვარის მაქსიმალურ გამოყენებით და სხვადასხვა ხელოვნებიდან წასესხ „ტრიუკებით“ ქმნის უაქტიორო სპექტაკლს. მაგრამ ამაში არ არის თეატრის ხელოვნების ნატამალიც, რადგან თეატრი უაქტიოროდ — თეატრი არ არის. აქედან გამომდინარეობს ზოგიერთი თანამედროვე თეატრების კრიზისი, რომელიც გამოწვეულია რეჟისორის გამეფებით და თანამედროვე აქტიორის უქონლობით.

ტფილისის ტრავმის ვასტანაგის ფსიქოტექნიკური გამოცდა და მისი შედეგები

1. რა არის ფსიქოტექნიკა

ჩვეულებრივი ყოველდღიური დაკვირვებიდან ვიცით ერთი ძლიერ მნიშვნელოვანი ფაქტი: ერთი და იგივე ადამიანი ზოგ საქმეში განსაკუთრებით დიდი წარმატებით მუშაობს, ზოგში კი სრულ უშედეგობას იჩენს. და ეს მიტომ როდი ხდება, რომ პირველ შემთხვევაში მას მუშაობის მეტი სურვილი ან და მისთვის შესაფერი მომზადება მეტი ჰქონდეს. არა! ასეთ შემთხვევებს მაშინაც აქვს ადგილი, როდესაც ყველა დანარჩენი პირობები თანასწორია. და ხანგრძლივი დაკვირვების ნიადაგზე შემუშავდა ასეთი აზრი: თითოეული საქმისათვის თავისებური „ნიჭია“ საჭირო, და წარმატებით ამა თუ იმ სუბიექტს მხოლოდ იმ საქმეზე შეუძლია იმუშაოს, რომლის შესაფერისი „ნიჭიც“ მას მოეპოება.

ეს ყოველდღიურ გამოცდილებების ნიადაგზე აღმოცენებული აზრი კიდევ უფრო განმტკიცდა განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც იგი მეცნიერულმა შემოწმებამაც დაადასტურა. დღეს ჩვენთვის უდავოა, რომ ა) ადამიანის მოღვაწეობის სხვადასხვა დარგები, ე. წ. პროფესიები სხვადასხვა სახის ფსიქოფიზიკურ ფუნქციებს ჰგულისხმობენ და რომ ბ) ეს ფუნქციები ადამიანთა შორის ისეა განაწილებული, რომ ზოგი ერთგვარი ფუნქციებისა და მათი განსხვავებული კომპლექსების მატარებელია და ზოგი კიდევ—მეორე გვარის. სულ სხვა საკითხია: რა არის მიზეზი ასეთი განსხვავებულობისა? შეიძლება თუ არა ფუნქციათა განვითარება იქ სადაც იგი სუსტადაა წარმოგენილი? შეიძლება თუ არა ერთი ფუნქციის მაგვირობა მეორემ გასწიოს და სხვ. ამ საკითხებს ჩვენ აქ არ შევეხებით. ჩვენთვის ამ შემთხვევაში მხოლოდ ფაქტის დადასტურებაა საკმარისი.

კაცობრიობა ყოველთვის ცდილობდა ამ ფაქტის შეგნებიდან პრაქტიკული დასკვნები გამოეყვანა: იგი ყოველთვის ცდილობდა ესა თუ ის საქმე სწორედ ისეთი ადამიანებისთვის გადაეცა, რომელნიც თავისი ძალებით სწორედ ამ საქმისთვის იყვნენ შესაფერისნი. მაგრამ ამის განხორციელებას ბევრი რამ უშლიდა ხელს, და უწინარეს ყოვლისა სოციალურ-ეკონომიური პირობები.

მაგრამ ესეც რომ არ ყოფილიყო, რომ პროფესიის არჩევა მართლა მართა ადამიანის ძალებზე ყოფილიყო დამოკიდებული, სულერთია, ამის განხორციელება მაინც შეუძლებელი იქნებოდა. რატომ? მიტომ, რომ ჩვეულებრივი, ყო-

ველდლიური დაკვირვება არაა საქმარისი არც იმისთვის, რომ ვაგარჯიერ, რა ძალები, რა ფუნქციები ესაჭიროება ამა თუ იმ საქმეს ან პროფესიის, და არც იმისთვის, რომ გადაწყვიტო, რა და რა ძალები ან ფუნქციები აქვს ამა თუ იმ ადამიანს და მაშასადამე რა საქმისთვის უფრო გამოსადეგია იგი.

მაგრამ დღეს სულ სხვაგვარი მდგომარეობაა: მეოცე საუკუნისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია ერთის მხრივ დემოკრატიზაცია სოციალ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, ხოლო მეორის მხრივ, მეცნიერების ინტენსიური განვითარება. ორივე ეს გარემოება ხელსაყრელ პირობებს ქმნის იმისათვის, რაც წინად შეუძლებელი იყო: თითოეული ადამიანის მიერ იმ საქმის არჩევისათვის, რომლის შესაფერისი ფსიქოფიზიკური ძალებიც მას მოეპოება.

ის დარგი მეცნიერებისა, რომელსაც ს.შ. ამ მნიშვნელოვანი პრობლემის მეცნიერული გადაჭრა აქვს დაკისრებული, ფსიქოტექნიკის სახელწოდებითაა ცნობილი. მისი ერთ-ერთი ძირითად ამოცანათაგანი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მეცნიერულ საფუძვლებზე დაამყაროს როგორც კვლევა თითოეული პროფესიისა იმ თვალსაზრისით, თუ ადამიანის რა ფსიქოფიზიკურ ძალებს ჰგულისხმობს იგი, ისე შესწავლა თვით ადამიანისაც, იმ თვალსაზრისით, თუ რა ძალების მატარებელია იგი და მაშასადამე რა საქმისათვისაა მოწოდებული.

2. მიმოხვლის კარგისათა უსიმრტეფინის კრატტიკული უპირატესობა

სრულიად ცხადია, რომ პრინციპი მოწოდების მიხედვით პროფესიის არჩევისა, ძირითადი პრინციპი ჩვენი დროის მეურნეობის რაციონალური ორგანიზაციისა, ადამიანის მოღვაწეობის ყველა დარგს თანაბრად ეხება. აქედან ცხადია, რომ ფსიქოტექნიკური კვლევაძიებისათვის ყველა პროფესია თანასწორ ინტერესს უნდა წარმოადგენდეს. და ეს ასეცაა. თეორეტული კვლევისათვის სულერთია, რა მნიშვნელობა აქვს ეკონომიურის, პოლიტიკურის ან სხვა რამ თვალსაზრისით ამა თუ იმ დარგს ადამიანის მოღვაწეობისას.

სამაგიეროდ, ეს სულერთი არაა პრაქტიკული პოლიტიკის თვალსაზრისით. განსაზღვრულ პირობებში ზოგიერთ პროფესიას სრულიად განსაკუთრებული ეკონომიური მნიშვნელობა აქვს; ამ მხრივ, პრაქტიკული პოლიტიკის თვალში მის უპირატესი ადგილი უჭირავს. ვასაგებია, რომ მეცნიერება, რომელიც ცხოვრების პრაქტიკას ემსახურება, იძულებული ხდება მის გზას გაჰყვეს და თავისი კვლევის საგნად პირველ რიგში სწორედ ეს უპირატესი პროფესია დასახოს. ასე დაემართა ფსიქოტექნიკასაც.

სხვადასხვა პროფესიათა შორის არის ზოგი ისეთი, რომლისთვისაც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ვის ხელშია იგი, ვინ აწარმოებს მასზე მუშაობს. როდესაც მაგალ. სტამბის მუშა, ასოთამწყობი შეუფერებელია თავისი საქმისათვის, ამას შედეგად ის სდევს რომ სტამბის შრომის ნაყოფიერება მცირდება. მაგრამ როდესაც შეუფერებელი ადამიანის ხელში მაგალ. მატარებლის ორთქმავალია, მაშინ ამას შეიძლება დიდი უბედურება მოჰყვეს შედეგად: კატასტროფა, რომელიც მრავალი ადამიანის და თვით მემანქანის სი-



ცოცხლესაც სხეერპლად შეიწირავს.—ცხადია, საკითხს შესაფერისად უნდა შევხედოთ შერჩევისას ორივე შემთხვევაში ერთი და იგივე მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ამიტომ შემთხვევით მოვლენად არ ჩაითვლება ის გარემოება, რომ ფსიქოტექნიკის დამაარსებელმა ჰუგო მახუნსტერბერგმა თავისი კვლევა სწორედ მიმოსვლის პროფესიათა შესწავლით დაიწყო. ფსიქოტექნიკის განვითარების იმპულსი ყოველთვის პრაქტიკული ცხოვრების მოთხოვნილებათა წიაღში იხადებოდა. და მიმოსვლის პროფესიები ყველგან საგანგებო ყურადღების საგნად ითვლებოდა. ასე მოხდა ჩვენშიც. ერთად ერთი ცდა მოჰყვანდა ფსიქოტექნიკური შემოწმებისა, რომელსაც დღემდე ჩვენში ჰქონდა ადგილი, აქაც მიმოსვლის პროფესიის წარმომადგენელთ, სახუდობრ, ტრამვაის ვატმანებს შეეხო. 1928 წლის განმავლობაში ს. ს. ს. რ. შროპის კომისარიატს შრომის დაცვის განყოფილების დაქვემდებარებით ტფილისის ტრამვაის ორასი ძველი ვატმანის (20-მდე სამსახურში ახლად მისაღები პირის ფსიქოტექნიკური გამოცდა მომიხდა.

თვით გამოცდას წინ უსწრებდა ხანგრძლივი მუშაობა მიზანშეწონილი მეთოდის შესამუშავებლად. რასაკვირველია, პროფესიათა ფსიქოტექნიკის შედარებით ხანგრძლივ წარსულში ტრამვაის პერსონალის, კერძოდ ვატმანის შემოწმების არაერთი მეთოდი იქნა შემუშავებული და ნაცადი. ზოგი მათგანი ფართოდ არის გავრცელებული და ყოველდღიური ფსიქოტექნიკური შერჩევის პრაქტიკა დღესაც მათი მიხედვით წარმოებს. მაშასადამე, ჩვენც შეგვეძლო უკვე არსებული ცნობილი და საკმაოდ შემოწმებული მეთოდიკა აგველო და ჩვენი ამოცანის გადასაწყვეტად გამოგვეყენებოდა. ეს ყველაზე უფრო მარტივი გზა იქნებოდა. ეს ალბად ასეც მოხდებოდა, ჩვენ რომ შესაფერისი ხელსაწყოები და აპარატურა მზამზარეული ხელთ გვექონდა. მაგრამ რადგანაც ასეთი აპარატურა არც ხელთ გვექონდა და მოკლე ხნის განმავლობაში არც მისი გამოწერა და მღლება შეიძლებოდა, ამიტომ გადავწყვიტეთ ასეთი აპარატურა აქვე, ტფილისში შეგვექმნა. რასაკვირველია, შეიძლებოდა ცნობილი შაბლონებით ხელმძღვანელობა და რომელიმე ცნობილი მეთოდის მიხედვით ყველა საჭირო ხელსაწყოს აგება. მაგრამ, ჩემის რწმენით, ვატმანის ვარგისობის შესამოწმებელი ცნობილი მეთოდები არც ერთი სავესებით დამაკმაყოფილებლად არ ჩაითვლება, და ამიტომ, რაკი აპარატები აქვე უნდა აგვეგო, უფრო მიზანშეწონილად მივიჩნიე, საკუთარი მეთოდის შემუშავება გვეცადა—იმისათვის რომ ჩვენი მეთოდის თავისებურებისა და მნიშვნელობის საფუძვლების შესახებ რაიმე წარმოდგენა ვიქონიოთ, საჭიროა თვალის გადავავლოთ ვატმანის ფსიქოტექნიკური შემოწმების არსებულ მეთოდისკან.

3. ვატმანის ფსიქოტექნიკური შემოწმების მეთოდების ისტორიულ კრიტიკული განხილვა

ა) მახუნსტერბერგის მეთოდი

რასაკვირველია, ყოვლის უწინარეს მახუნსტერბერგის მეთოდის განხილვაზე უნდა შევჩერდეთ. 1) რა თქმა უნდა, არა იმიტომ რომ დღეს მას

1) Hugo Münsterberg, Psychologie und Wirtschaftsleben. 1912 რუს. თარგმანი: Психология и экономическая жизнь.

რაიმე განსაკუთრებით აქტუალური მნიშვნელობა ჰქონდეს მდონსტერბერგის მეთოდს დღეს პრაქტიკულად სრულიად არაეინ არ ხმარობს — არაეინ იმიტომ, რომ მისი სახით ჩვენს წინაშე პირველი ცდაა, რომელიც საფუძვლად დაედო შემდეგი განვითარების საფეხურებს. ჩვენ მალე დავრწმუნდებით, რომ მიუხედავად გარეგნული სხვაფერობისა დღევანდელი ფსიქოტეხნიკა არსებითად მაინც კვლავ მდუნსტერბერგის საფუძველზე დგას და განსაკუთრებით ეს სწორედ ტრამაის ვატმანის ფსიქოტეხნიკის შესახებ უნდა ითქვას.

ცნობილია, რომ ამა თუ იმ პროფესიისათვის ვარგისობის შესამოწმებელი მეთოდის რაგვარობა ბოლოს და ბოლოს იმაზეა დამოკიდებული, თუ რა მოთხოვნილებებს უყენებს თვითონ პროფესია მომუშავეს ფსიქოფიზიკურ ორგანიზმს. მდუნსტერბერგის ძიებაც პირველ რიგში, რასაკვირველია, ვატმანის პროფესიის ანალიზისაყენ იყო მიმართული. იგი საბოლოოდ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ამ პროფესიისათვის ყველაზე უფრო დამახასიათებელი ფუნქცია ყურადღება უნდა იყოს. იგი, ასე ვთქვათ, ცენტრალური ფუნქციაა, რომელზეც დამოკიდებულია ვატმანის მუშაობის მთელი წარმატება. მაგრამ მდუნსტერბერგი აქ მარტივ ფუნქციას როდი ჰგულისხმობს. მას მხედველობაში ისეთი რთული პროცესი აქვს, როგორცაა დიდი ქალაქის ქუჩის სწრაფად ცვალებად სურათზე მოძრავ საგანთა და ცოცხალ არსებათა თავის დროზე შემჩნევა და მათი მოძრაობის სისწრაფისა და მიმართულებების სწორი შეფასება. თავი და თავი სწორედ ეს ყურადღების ფუნქციაა, მიტომ რომ შესაფერისი მოძრაობის საშუალებით საჭირო ღონისძიებების მიღება მხოლოდ მისი ჩვენებით შეიძლება. მდუნსტერბერგმა საგანგებოდ შეადარა ერთმანეთს ე. წ. რეაქციის სისწრაფის მხრივ პრაქტიკაში გამომდგარი საუკეთესო და უხეირო ვატმანები და აღმოაჩინა, რომ ამ მხრივ მათ შორის არაერთი კანონზომიერი განსხვავება არ არსებობს. მაშასადამე, რეაქციის სისწრაფე არ ჩაითვლება იმ თვისებად, რომელსაც განსაკუთრებით ჰგულისხმობს ვატმანის მუშაობა. — ყურადღების ფუნქციის მხრივ რომ განვიხილოთ და შევადაროთ ურთიერთს სხვადასხვა ადამიანები, ვნახავთ, რომ მათ შორის საკმაო ტიპური განსხვავება არსებობს: ა) ზოგი ადამიანისათვის პირდაპირ აუტანელია შთაბეჭდილებათა ის სიმრავლე, რომლის ნიპუშსაც დიდი ქალაქის მოუსვენარი ქუჩა იძლევა: იგი იბნევა და ინსტინქტურად ცდილობს, ცოტა მოიცადოს და ნახოს, რა მიმართულებას მიიღებს თითოეული ცალკე საგნის მოძრაობა. ასეთ ადამიანს რომ ვატმანის საქმე ჩააბარო, არ გამოადგება: იგი უთუოდ ძლიერ ნელა წაიყვანს ვაგონს და ძალიან ხშირად გააჩერებს ხოლმე. ბ) მაგრამ არის სხვა ტიპის ადამიანიც: იგი ადვილად ერკვევა მოძრავი ქუჩის მრავალფეროვნებაში. მაგრამ დიდხანს ვერ უძლებს და მალე თავისი დამაბული ყურადღების იმპულსს ადუნებს. არც ასეთები გამოდგებიან ვატმანის საქმისათვის. გ) მაგრამ ისეთებიც მოიპოება, რომელთა ყურადღება საკმაოდ ფართოა, რათა მოძრავი ქუჩის ვრცელი მრავალფეროვნება დაიტოოს, და საკმაოდ გამძლე, რათა დამაბულობის იმპულსი საკმაო ხნით საჭირო დონეზე შეინარჩუნოს.



სტერტილი

თავისთავად იგულისხმება, რომ ვატმანის საქმისათვის ვარჯისობა უნდა იქონიეს სტერტილი. რწმენით—ამ რაღა ყურადღების ფუნქციის ქონება-არქონებაზე უნდა იყოს დამოკიდებული. მაგრამ როგორ უნდა იქნეს შემოწმებული ეს ცენტრალური ფუნქცია? ძირითადი მეთოდური საკითხი სწორედ ამა-შია, და მახსენებელი პასუხი დამახასიათებელია მთელი მისი მეთოდისათვის. იგი ფიქრობს, რომ ა) ეს ცენტრალური ფუნქცია ლაბორატორიის ცდის საშუალებით უნდა შემოწმდეს; ბ) ცდა ისე უნდა მოეწყოს, რომ მასში სინამდვილის ყველა პირობები როდი უნდა იყოს აღდგენილი, თუნდ მინიატურულის სახითაც—არამედ მხოლოდ ის პირობები, რომელიც საჭიროა სწორედ ამ ცენტრალური ფუნქციის ასამოქმედებლად და ცდის პირში ისეთი შთაბეჭდილების შესაქმნელად, რომ გრძობდეს, თითქოს იგი ლაბორატორიაში კი არა ტრამვის ვაგონის „წინა ბაქანზე“ მოქმედობდეს: „რაც უფრო სქემატურია გარე აპარატი, რომელზეც თავი უნდა იჩინოს აღნიშნულმა ფუნქციამ, რაც უფრო გამორიცხულია ყველაფერი ასოციაციური, მით უფრო წმინდად მოგვევლინება თვითონ ფუნქცია“. გ) კარგის, გამომდგარი ვატმანების გამოცდა კარგ შედეგებს უნდა იძლეოდეს.

ამ მოთხოვნებიდან მიხედვით მახსენებელი მეთოდი შემდეგი საბოლოო სახე მიიღო:

ცდის პირის წინ შავი ხავერდის ლენტი განუწყვეტლავ მოჭრაოხს. მასზე პატარა სარკმელი ამოჭრილი (სიგრძით 6 cm. ხოლო სიგანით 9 cm.) რომელშიც ქალაღის (სიგანე 9 cm. სიგრძე 25 cm.) შესაფერი ნაწილი მოჩანს. ამ ქალაღზე გავლებულია ორი პარალელი ხაზი, რომელიც ურთიერთს ერთი სანტიმეტრით არიან დაშორებულნი. ეს ხაზები ტრამვის ლიანდაგის გამოხატულებას წარმოადგენენ. მთელი ქალაღი გაყოფილია 234 თითო სანტიმეტრთან კვადრატად, ასე რომ ლიანდაგის ხაზებს შუა სულ 26 კვადრატია მოქცეული. აქ, ამ შიგნით კვადრატებში ლათინური ასომთავრულებია ჩაწერილი: თითოში თითო, A-იდან Z-მდე. გარეთ კვადრატებიდან კი ზოგი ცალიერია და ზოგი—სულ 100 კვადრატში—მოთავსებულია პირველი სამი ციფრი (1, 2, 3). 1 ნიშნავს ჭევეითა მგზავრებს, 2 ეტლს და 3 ავტომობილს. ამ რიცხვთაგან ზოგი შავია და ზოგი წითელი. თუ ესა თუ ის რიცხვი შავადაა დაწერილი, ეს იმას ნიშნავს, რომ ობიექტი ლიანდაგს შორდება, ხოლო თუ წითლად, მაშინ იგი ლიანდაგი-საკენ მოდის. თვითელი კვადრატი ერთი მეტრის მანძილს უდრის. ჭევეითა მგზავრი რომ ერთ მეტრს გადის, იმ დროის განმავლობაში ეტლი ორ მეტრს გადის და ავტომობილი სამ მეტრს. ამისდამიხედვით თანაბრად საშიშოა, როდესაც წითელი 1 ერთი კვადრატითაა ლიანდაგს დაშორებული, 2 ორით და 3 სამი კვადრატით. იმ შემთხვევაში, როდესაც სარკმელში ლიანდაგის ისეთი ნაწილი მოჩანს, რომელზეც აღნიშნული რიცხვები უფრო მეტად ან უფრო ნაკლებად არიან დაშორებულნი, მაშინ საშიშროება მოსალოდნელად არ ითვლება, რადგანაც ან ვაგონი გაასწრებს ობიექტს ან და ობიექტი ვაგონს.

ცდის პირი ამ აპარატის წინ ზის და ყურადღებით იცქირება ხავერდის სარკმელში. მას ამოცანა ეძლევა, საშიშროების თითოეული შემთხვევის შერიშ-

ნისას ხმა მალლა წამოიძახოს იმ ასოს სახელი, რომლის ბერძნულსაც შეიშროვებას შენიშნავს. ცდის ხელმძღვანელი აღნიშნავს როგორც შეცთომათა რიცხვის ისე ცდის ხანგრძლივობასაც, და შემდეგ ორივე ამ მომენტის მიხედვით განსაზღვრავს ცდის პირის წარმატებას.

მაუნსტერბერგის ეს მეთოდი მალე იქნა მივიწყებული. ყოველ შემთხვევაში პრაქტიკულად იგი თითქმის არავის გამოუყენებია. სამაგიეროდ, როგორც ზემოდაც იყო აღნიშნული, მიმოსვლის პროფესიითა მეთოდოლოგიის შემდეგ-დროინდელი განვითარება მთელი თავისი სიმძიმით დღემდე მას ეყრდნობა. მართლაც, ჩვენი დროის ფსიქოტექნიკურ მეთოდოლოგიაში ორს ძირითად მიმდინარეობას არჩევენ: სინთეტურ-კომპლექსურსა და ანალიტურ-სუმატურს. პირველის ძირითადი პრინციპი შემდეგია: ყოველი პროფესია შეიძლება ფსიქოლოგიურად გაანალიზებულ იქნეს და მაშასადამე დადასტურებულ იქნეს ყველა ის ნაწილობრივი ფუნქციები, რომელთა ერთობლიობაც მონაცემი პროფესიის ფსიქოლოგიურ რაობას ჰქმნის. სუბიექტის პროფესიონალური ვარგისობის შემოწმება მაშასადამე აღნიშნული ფუნქციების დადასტურების გზით შეიძლება მოხდეს. — მეორე მიმდინარეობა სატინაალმდევო ხასიათის პრინციპულ მოსაზრებას ეყრდნობა: ცალკე ფუნქციების ჭონება სრულიად არ ჰქრის ვარგისობის საკითხს, ვინაიდან მუშაობაში ცალკე ფუნქციები როდი დებულობენ მონაწილეობას, როგორც ასეთნი, და იმ თვისებებით, რომელნიც მათ აქვთ, როგორც ცალკე ფუნქციებს, არამედ მთლიანი ადამიანი, რომელიც ცალკე თვისებათა უბრალო შეჯამებას როდი წარმოადგენს. იგი ცალკე თვისებებზე უწინარესია და არასდროს მარტო ცალკე თვისებებით არ ამოიწურება. ასეა თვით პროფესიაც: იგი მთლიანი მოვლენაა და ცალკე მასში მონაწილე ძალების ანალიზით, არ განისაზღვრება. მაშასადამე, პროფესიონალური ვარგისობის საკითხის გადაჭრა ცალკე ფუნქციითა შემოწმების გზით შეუძლებელია. უფრო საიმედო იქნებოდა, თუ თითოეული სუბიექტი პროფესიონალური მუშაობის პირობათა მთლიანში გამოიცილებოდა როგორც მთლიანი ინდივიდი და არა როგორც ცალკე განყენებულ ძალთა მატარებელი არსება.

მაუნსტერბერგის მეთოდს რომ ჩაუყვირდეთ, დავინახავთ, რომ ორივე ამ მიმდინარეობის ძირი აქ მარბია. მაუნსტერბერგის ერთ-ერთი ძირითადი მოსაზრება, რომელიც მან საფუძვლად დაუდო თავის მეთოდს, როგორც ვიცით, შემდეგია: ცდა სინამდვილის ტლანქ განმეორებას როდი უნდა წარმოადგენდეს; იგი სქემა უნდა იყოს ვატმანის ნამდვილი საქმისა, რომელიც ლაბორატორიუმში კი არა, ტრამეის ვაგონის წინაბაქანზე უნდა ავტომობინებდეს თავს ცდის პირს. მეორე მოსაზრებაც ასეთივე ბუნებისაა: საქმე ცალკე ფუნქციების კი არა, მთლიანი ფუნქციის შემოწმებაშია, რომლის მოქმედებაც ყურადღების რთულ პროცესში პოვლობს თავის ცენტრს. როგორც ვხედავთ, ორივე დებულება მთლიანობის მომენტს აღნიშნავს როგორც ძირითად საფუძველს, რომელზეც უნდა აიგოს ვატმანის შემოწმების მეთოდიკა. ცხადია, სინთეტურ-კომპლექსური მეთოდოლოგია მაუნსტერბერგის ამ დებულებებს შეიძლება დაუკავშიროთ.

მაგრამ თვით მეთოდისა რომ ავიღოთ მ ა უ ნ ს ტ ე რ ბ ე რ გ ი ს ს ი თ რ ა სახითაც იგი საბოლოოდ ჩამოყალიბდა, დაეინახეთ, რომ იგი თავის თეორეტულ პრინციპებს საკმარისად ვერ ამართლებს. ჯერ ერთი, მ ა უ ნ ს ტ ე რ ბ ე რ გ ი ს ძირითადი აპარატი, რომლის საშუალებითაც ვარგისობის შემოწმება ხდება, ჩვეულებრივი ყურადღების საკლდევი აპარატებისაგან ბევრით არაფრით განსხვავდება. გასაგებია, რომ მასზე მუშაობის დროს ცდის პირი სწორედ ლაბორატორიუმში გრძნობს თავს და არა ტრამვაის ვაგონის წინა ბაქანზე, როგორც ამას ძირითადი თეორიული დებულება მოითხოვს¹⁾. გარდა ამისა, მთლიანი ფუნქციის ნაკლად პრაქტიკულად მარტო ყურადღების ფუნქცია მოწმდება და ისიც განყენებულად და არა სხვა ფუნქციებთან ერთად, რომელიც ვატმანის მოღვაწეობაში იღებს მონაწილეობას. ცხადია რომ ანალიტურ-სუმატური მეთოდოლოგიის მიმართულებასაც ადვილად შეუძლია მ ა უ ნ ს ტ ე რ ბ ე რ გ ი ს ავტორიტეტს დაეყრდნოს.

საგულისხმოა, რომ ფსიქოტენიკის შემდეგ-დროინდელი ევოლუციის პროცესში ეს ორბუნებოვანი ჩანასახი ორად გაიყო და დასაბამი მისცა ორი ურთიერთის საწინააღმდეგო მიმართულების ინტენსიურ განვითარებას.

ჩვენი მეთოდის თავისებურება რომ გასაგები შეიქნეს, ორივე ამ მიმართულების ყველაზე უფრო ტიპიურსა და გავრცელებულ წარმომადგენლებს უნდა გავეცნოთ.

ბ. ანალიტურ-სუმატური მეთოდები

მიმოსვლის პროფესიითა შესწავლის ამ მიმართულებას M o e d e-მ ჩაუყარა საფუძველი. 1915 წ. მან პიორკოვსკის თან ერთად შეიმუშავა შოფერის პროფესიონალური ვარგისობის მეთოდისა, რომლის მიხედვითაც უკვე 1916 წელს გერმანიის ჯარში სათანადო ნაწილების შემოწმება მოეწყო.²⁾ ძირითადი აზრი ამ მეთოდისა ასეთია: წინასწარ უნდა მოხდეს პროფესიონალური მუშაობის ზედმიწევნითი ანალიზი, რათა აღმოჩენილ იქნეს ყველა ის ელემენტარული ფუნქცია, რომელთაც ეს მუშაობა გულისხმობს. პერსონალის ვარგისობის შემოწმება ამ ელემენტარული ფუნქციების ცალკე შესწავლის გზით უნდა ხდებოდეს. ამისდამიხედვით, შოფერის ფსიქოტექნიკური შემოწმება უნდა შეეხოს შემდეგ ფუნქციებს: მხედველობას, სმენას და სახსრების გრძნობიერებას, რომელთა შემოწმებაც ჩვეულებრივის ექსპერიმენტული-ფსიქოლოგიური მეთოდების საშუალებით წარმოებს. შემდეგ ყურადღებას, რომლის სისწრაფეც ტაქსტოსკოპზე დასტურდება. სხვა მხარეები ყურადღებისა სხვა საშუალებით იკვლევა: მისი გამძლეობა და განაწილებულობა ე. ი. ერთსა და იმავე მომენტში რამოდენიმე შთაბეჭდილების ერთდროულად შემჩნევის უნარი შემდეგ-

¹⁾ შეად. H a l l b a u e r, Historisch-kritische Bebrachtung znu Fahrgenzführerproblem. Psychotechnische Zeitschrift. I. 2. H. 1. S. 18. და გამაჯობებით Rupp იმავე ორგანოში Jahrg. 1. S. 158 f.

²⁾ M o e d e W. Experimentalpsychologie in Dienste des Wirtschaftslebens 1919.

ნაირად მოწმდება: ცდის პირი განუწყვეტლივ ითვისებს ყველა ელექტრონიკურებს, რომელიც მის წინ მდებარე ეკრანზე აინთება; მაგრამ თუ მან შორის ერთკვით წითელი ნათურა გამოერია, ეს საშიშროების ნიშნად უნდა ჩაითვალოს და ც. პ-მას წინასწარ შეთანხმებულის განსაზღვრული მოძრაობით უნდა უპასუბოს. ამავე დროს ფხიზლად უნდა ადევნებდეს თვალ-ყურს მოტორის ხმაურობასაც და როგორც კი რაიმე ცვლილებას შეამჩნევს, იმწამსვე სათანადო მოძრაობა უნდა აწარმოოს.

რეაქციის სისწრაფის შესამოწმებლად, ნაცვლად ჩვეულებრივი ექსპერიმენტულ-ფსიქოლოგიური ცდის დაყენებისა, სინამდვილის პირობებისადმი შედარებით უფრო დაახლოებული მოწყობილება იხმარება: ცდის პირი საგანგებოდ ადგილას ზის, რომელიც ისეა მოწყობილი, რომ მას ნამდვილი მუშაობის დროს საჭირო ყველა მოძრაობების შესრულება შეუძლია. მის პირდაპირ აღმართულ ეკრანზე სხვადასხვა ფერის ელექტრონათურა ინთება, სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა თანამიმდევრობით. ცდის პირმა ზოგს ერთი მოძრაობით უნდა უპასუბოს, ზოგს მეორეთი და ზოგი კიდევ სრულიად უპასუბოდ დასტოვოს. რადგანაც გამლიზიანებლები სწრაფი თანამიმდევრობით ცვლიან ურთიერთს და გარდა ამისა ზოგჯერ მოულოდნელი შიშის გამომწვევი გამლიზიანებელიც ჩნდება, ცდის პირი შეიძლება ადვილად დაიბნეს და ყოველთვის და საკმაოდ სისწრაფით სათანადო მოძრაობით ვერ უპასუბოს. რეაქციის ფორმა, სისწრაფე და სისწორე საგანგებოდ აღინიშნება და ვარგისობის საკითხის გადაჭრისას მხედველობაში მიიღება.

სხვა თვისებათა შორის, რომელიც ასევე განცალკევებულად და განყენებულად მოწმდება, უნდა აღინიშნოს და ლ ლ ი ლ ო ბ ა (ჩვეულებრივი ერგოგრაფის საშუალებით), გ ა წ ვ რ თ ნ ი ლ ო ბ ა და ა გ ზ ნ ე ბ ა დ ო ბ ა. მათი შემოწმების მეთოდებზე შეჩერება არ ღირს. ისე როგორც სხვა შემთხვევაშიც, აქაც ჩვეულებრივი აპარატურა გამოიყენება, რომელსაც თვით პროფესიონალური მუშაობის პროცესთან არაფერი საერთო არა აქვს.

М о е d - e - ს ნიშნის მიხედვით მრავალი ლაბორატორია მოეწყო, განსაკუთრებით გ ე რ მ ა ნ ი ა შ ი, მაგრამ არა მარტო იქ. შეიძლება ითქვას, რომ მიმოსვლის პერსონალის ფსიქოტექნიკური შერჩევის პრაქტიკაში М о е d - e - ს მეთოდის ძირითადი პრინციპები დღესაც გაბატონებულად უნდა ჩაითვალოს. ამ პრინციპზეა აგებული ლოკომოტივის მემანქანეთა შემოწმების მეთოდოლოგია საჭსონიის სახელმწიფო რკინის გზებზე და აგრეთვე საიმპერიო გზების ფ ს ი ქ ო ტ ე ქ ნ ი კ უ რ ლაბორატორიაშიც ე ი ხ კ ა მ პ შ ი. ამავე პრინციპებს ეყრდნობა სხვათა შორის ტრამვაის ვატმანის ფსიქოტექნიკური შემოწმების მეთოდოლოგია, რომელიც შ პ ი ლ რ ე ი ნ ი ს ხელმძღვანელობით იქმნა შემუშავებული მო ს კ ო ვ შ ი შრომის ჰიგიენის ინსტიტუტის ფსიქოტექნიკურ განყოფილებაში და აქედან სხვაგანაც გაერცელდა¹⁾. პრინციპულად ამავე ბუნების არის ის მეთოდოლოგია, რომელიც ტ რ ა მ მ ა დაამუშავა და ბ ე რ ლ ი ნ ი ს ტ რ ა მ ვ ა ი ს საზოგადო-

1) Шнильрей И. Н. Испытание профессиональной годности вагоновожатых Моск. трамвая в лаборатория промышленной психотехники НКГ. Гигиена Труд XI и XII 1925.

ე ბ ა ს შემოაღებია. ვინაიდან ყველაზე უფრო დამუშავებულია მსხვერპლულად სწორედ ეს მეთოდი ითვლება, ამიტომ სანიმუშოდ სწორედ მასზე უნდა შევჩერდეთ¹⁾.

რა ფუნქციები მოეთხოვება კარგ ვატმანს, ამის გამორკვევა ტრამვის აზრით ვატმანის მუშაობისა და უბედური შემთხვევების სწორი ანალიზის გზით შეიძლება მოხერხდეს. თვითონ მას ასეთ ფუნქციებად შემდეგი მიაჩნია: კარგი მხედველობა და სმენა, საკმაო ყურადღების უნარი, რომ მიმოსვლის ხელისშემშლელი გარემოებები დროზე იჩინეს შენიშნული. გარდა ამისა დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, აქვს თუ არასუბიექტს სწრაფი გადაწყვეტის უნარი, განსაკუთრებით როდესაც იგი საშიშროების წინაშე დგას, მიტომ რომ ასეთ შემთხვევებში დრო არ არის იმის საფიქრებლად, თუ რა მოძრაობას უნდა მიმართო. მანძილის სწორად შეფასებისთვის კარგი თვალ ზომაა საჭირო; კარგი მეხსიერება — რომ თითოეული ადგილის თავისებურება კარგად ახსოვდეს, რათა შესაფერისი ზომები წინასწარვე მიიღოს. გარდა ამისა სხვა და სხვა წინასწარ მიღებული წესებისა და სიგნალების ხსოვნაც სასარგებლოა ვატმანისათვის. გარდა ამ თვისებათა ტრამვი ასახელებს კიდევ მოძრაობის სისწრაფის კარგად გარჩევის უნარს და სახსრის გრძნობიერებას, ხელის მოძრაობისას, რაც განსაკუთრებით საჭიროა ვატმანისათვის ვაგონის ბართვის დროს. იმ შემთხვევებისათვის, როდესაც მოულოდნელად რაიმე დაუზიანდება ვაგონს, ვატმანს მცირეოდენი ტექნიკური უნარიც უნდა ჰქონდეს, რათა საჭირო ზომები თვითონვე მიიღოს. თავისთავად იფიქროს, რომ ფიზიკური გამძლეობა და ამტანლობა აგრეთვე ფრიად საჭირო თვისებებია ვატმანის პროფესიისათვის.

თვითოველს ამ ფუნქციას ტრამვი ცალკე ამოწმებს იმ საშუალებით, რომელიც ჩვეულებრივი ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის განკარგულებაში იმყოფება, და, მაშასადამე, არა სპეციალურად ვატმანის მხედველობის, სმენის, ყურადღებისა და მეხსიერების გამოსაკვლევად იხმარება, არამედ ამ ფუნქციების ზოგადი ფსიქოლოგიური ბუნების შესასწავლად. მაგალითად, მხედველობის სიმკვეთრე, ფერების განსხვავების და ღამე ხედვის უნარი ტრამვის ლაბორატორიაში იმავე ჩვეულებრივი საშუალებებით მოწმდება, როგორცაც ყოველი პაციენტი თვალის ექიმის კაბინეტში, სადაც ყველა ერთნაირად იცდება, სულერთია, რა პროფესიისაც იქნება. მაგრამ განსხვავებული ადგილი უკავია რეაქციის უნარის შესამოწმებელ აპარატურას. აქ ტრამვი სინამდვილის უტყუარ სქემას მიმართავს და ამგვარად თავისი მეთოდის ანალიტურ ბუნებას ნაწილობრივ მაინც გვერდს უქცევს. ბნელ ოთახში, სადაც გამოცდა წარმოებს, ვერტიკალურად გამართულია ქუჩის სურათი, რომელზეც დროგამოშვებით აქა-იქ ელექტრონათურები ინთება და ქვრება. ამ სურათის პირდაპირ ცდის პირის ადგილია, საიდანაც იგი თვალყურს ადევნებს სინათლის გამლიზიანებლების ცვლას, და იმის მი-

¹⁾ Pramm, K. A. Auswahl und Ausbildung des Fahrpersonals auf psychotechnischer Grundlage. Verkehrstechnik, 1915.

ხედვით, თუ რა გამლიზიანებელს შეამჩნევს, სათანადო მოძრავობით უნდა მოქმედებდეს: მარჯვენა ან მარცხენა ხელით ან ფეხით. ცდის პირის ადგილზე ამისათვის შესაფერისი ბერკეტებია მოწყობილი. გამლიზიანებელი ორგვარია: ერთი—რომელიც საპასუხო რეაქციას არ მოითხოვს და მხოლოდ მუშაობაში ხელის შესაშლელად არის შემოღებული. (სხვადასხვა ობიექტების გამოხატულება, რომელიც შეიძლება ქუჩაში შეგვხედეს), და მეორე—რომელზედაც განსაზღვრული რეაქცია უნდა იქნეს მოცემული. ასეთ გამლიზიანებლად ტრამის აღებული აქვს ქუჩის სურათზე მთელ ოთახში გაბნეული წითელი ნათურები, რომელსაც რაიმე ციფრი აქვს წარწერილი. ცდის პირი თითოეულ ამ გამლიზიანებელს საკიროების დამიხედვით ან მარცხენა ხელით ან ფეხით ან და მარჯვენათი უპასუხებს და ამავე დროს მასზე გამოჩენილ ციფრს ხმა მალა წაიკითხავს. დაახლოებით 15 მინუტის განმავლობაში 3000 გამლიზიანებლამდე ეძლევა; მათ შორის 50 ისეთია, რომელიც საპასუხო რეაქციას მოითხოვს. საყურადღებოა, რომ გამლიზიანებელთა მიმდინარეობა სრულიად დამოუკიდებელია ცდის პირის რეაქციებზე, ასე რომ სწორი იქნება ეს რეაქცია, თუ მცთარი, გამლიზიანებლის მიმდინარეობაში ეს სრულიად არ ჩანს. — ტრამის მეთოდისათვის განსაკუთრებით დამახასიათებლად ე. წ. ხელის შემშლელ და შიშის აღმძვრელ გამლიზიანებელთა სისტემა უნდა ჩაითვალოს: მუშაობის დროს ცდის პირის წინ ერთბაშად მოკლე შეერთება ხდება, იატაკი, რომელზეც დგას, ძირს ვარდება, მტვრევის ხმაურობა გაისმის და სხვ. ყველაფერი ეს მისთვის არის ცდის სისტემაში შეტანილი, რომ შემოწმებულ იქნეს, თუ რამდენად შესწევს ცდის პირს ძალა ასეთი გამლიზიანებლების ზეგავლენის გამო არ დაიბნეს და გამლიზიანებელთა ყურისგდება და საკირო რეაქციათა შესრულება არ დაივიწყოს. სხვა ფუნქციების შემოწმების განხილვაზე არ შევჩერდებით: მათაც ცალკე-ცალკე, ურთიერთისაგან დამოუკიდებლად ამოწმებენ.

მე არ შევჩერდები არც იმ მეთოდების განხილვაზე, რომელიც ევროპის სხვა ქვეყნებსა და ამერიკის შტატებშია გავრცელებული და საფუძვლად ფუნქციათა ანალიტური კვლევა უდევს. იგინი პრინციპულად არაფრით არ განსხვავდებიან Moede-Tram-ის მეთოდისაგან. მაგ. საფრანგეთში ყველაზე უფრო ცნობილი მეთოდი ტრამეის ვატმანის ფსიქოტექნიკური შემოწმებისა პარიზის ფსიქოტექნიკურ ლაბორატორიას ეკუთვნის, რომელსაც ცნობილი Lahy განაგებს. და საგულისხმოა, რომ ვატმანისათვის საკიროდ ცნობილის „დიფუზიური ყურადღების“ შესამოწმებლად აქაც ელექტრონათურების დახმარებას მიმართავენ, სწორედ იმავე პრინციპით, როგორც იგი პირველად Moede-ს მიერ იყო შემოღებული. მაგრამ განსაკუთრებით დამახასიათებელი ისაა, რომ ამ მეთოდით შემოწმებისას თუმცა ცდის პირს ქუჩის კინომატოგრაფიულ სურათს უჩვენებენ და ამით თითქოს ვატმანის ნამდვილი მუშაობის პირობებს აღადგენენ, მაგრამ გამლიზიანებელთა სისტემაზე, რომელსაც ცდის პირმა განსაზღვრული რეაქციით უნდა უპასუხოს, ამ სურათს არავითარი კავშირი არა აქვს, და ამიტომ ძირითადი ანალიტური ბუნება ამ მეთოდისა ოდნავაც არ იცვლება.

ერყენული

რა უნდა ითქვას ანალიტურ-სუმატიური მეთოდის ღირებულებების შესახებ? ეჭვი არაა, რომ იგი ზოგიერთს მნიშვნელოვან უპირატესობას შეიცავს. და თავის ფართო გავრცელებულობას ყველა ქვეყნების ფსიქოტექნიკურ პრაქტიკაში. იგი სწორედ ამ უპირატესობათ უმაღლოდეს. მათ შორის აღსანიშნავია განსაკუთრებით შემდეგი:

1. ცალკე ფუნქციათა ექსპერიმენტული შემოწმების შედარებითი სიადვილე. ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის განვითარების პროცესში ცალკე ფუნქციათა გამოკვლევის მეთოდიკა თანდათანობით ვითარდებოდა; ასე რომ ამჟამად თითოეული მნიშვნელოვანი ფუნქციისათვის ყოველ ფსიქოლოგიურ ლაბორატორიას მზამზარეული, მეტად თუ ნაკლებად ნაცადი და გამომდგარი მეთოდიკა მოეპოება. ამა თუ იმ პირის ფსიქოტექნიკური ანალიტური შემოწმების შემთხვევაში ფსიქოტექნიკოსს ცალკე ფუნქციებთან აქვს საქმე და მაშასადამე ჩვეულებრივ მისთვის არც ახალი მეთოდის შემუშავებაა საჭირო და არც ახალი აპარატურა. ყველაფერი ეს ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის ინვენტარიდან შეუძლია ისესხოს.

2. ცალკე ფუნქციების რაოდენობითის და რომელიმე მხარეების შესწავლა გაცლებით უფრო ადვილია, ვიდრე რთული მუშაობის პროცესის მთლიანად. ამიტომ თითოეულის პირის მონაცემ ფუნქციათა ბუნება და დონე ანალიტური მეთოდით უფრო ხერხდება, ვიდრე კომპლექსურით.

3. პროფესიონალური შერჩევის საკითხის გადაჭრა მონაცემი პროფესიის მსურველთა ფსიქოტექნიკურ შედარებას ჰგულისხმობს: უნდა გამოირკვეს, ვინაა აღნიშნული პროფესიისათვის გამოსადეგი და რამდენად. ეს კი ძლიერ ძნელია, თუ ცალკე ფუნქციები არ იქნება აღებული და თითოეული მათგანის განვითარების დონე დადასტურებული. უკანასკნელ შემთხვევაში ჩვენ გვეცოდინება, თუ რა აკლია ამა თუ იმ სუბიექტს, რა აქვს მას და რამდენად უფრო მაღალია ამა თუ იმ ფუნქციის დონე მასში. ცხადია, შედარების მოხდენა ამ შემთხვევაში არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს.

4. პროფესია მრავალფეროვანია და მრავალრიცხოვანი. მაგრამ ადამიანის ფსიქიური და ფიზიოლოგიური ფუნქციების რიცხვი განსაზღვრულია. რაკი ანალიტური მეთოდოლოგია ცალკე ფუნქციების შემოწმებას გულისხმობს, მისთვის სულერთია, რა პროფესიის ფუნქციათა კომპლექსში შედის ყოველ ცალკე შემთხვევაში შესამოწმებელი ფუნქცია. ამიტომ მეთოდიკა თითოეული ფუნქციისათვის ყველა ფსიქოტექნიკური გამოცდისას ერთი და იგივე რჩება. მაშასადამე, ერთი და იგივე რჩება აპარატურაც.—ეს გარემოება ძლიერ აადვილებს ფსიქოტექნიკური გამოცდების წარმოებას. იგი შესაძლებლობას იძლევა ყველა პროფესიისათვის ერთი ფსიქოტექნიკური ლაბორატორიის დაარსებისას, რომლის პერსონალიცა და აპარატურაც ყველა პროფესიის შემოწმებაში დაახლოებით მუდამ ერთნაირ მონაწილეობას ღებულობს.

8. კომპლექსური მეთოდები

მაგრამ ამ უძველეს უპირატესობათა გვერდით ანალიტურ მეთოდს ნაკლიც ბევრი აქვს; განსაკუთრებით აღსანიშნავია ძირითადი პრინციპული ნაკლი, რა-

ე. რ. ც. ნ. უ. ლ. ი.

მელიც მთელი მეთოდის ღირებულებას საეკვოდ ხდის. საქმე ეხსიანო-ტურ-სუმბატური მეთოდის ძირითადი რწმენით როგორც პროფესია, ისე თვითონ ადამიანიც ცალკე ძალთა კომპლექსს წარმოადგენს; და ამის მიხედვით, საკმარისია ცალკე ძალების ან ფუნქციების შემოწმება, რათა მთელი ადამიანის ვარგისობის შესახებ სწორი დასკვნა იქნეს გამოტანილი. მაგრამ სწორედ ეს ძირითადი ღებულებაა სადავო: პიროვნება მართო ცალკე ფუნქციათა ჯამს არ წარმოადგენს; მისთვის ძირითადი ის განწყობაა, რომელიც მას ან ხანგრძლივად და ან ყოველს მოცემულ მომენტში ახასიათებს; თითოეული ცალკე ფსიქოფიზიკური ძალა, თითოეული ფუნქცია განსაკუთრებით ამ განწყობაზე დამოკიდებული; როდესაც ერთი რომელიმე ფუნქცია რომელიმე მონაცემი განწყობის ნიადაგზე მოქმედებს, მისი წარმატება სხვაა, ვიდრე მაშინ, როდესაც იგი სხვა განწყობის ნიადაგზე შლის თავის ძალებს.—როდესაც ანალიტური მეთოდიეა ჩვეულებრივი ლაბორატორიული საშუალებებით და ლაბორატორიულ პირობებში სუბიექტის ერთს რომელიმე ფუნქციას ამოწმებს, ცხადია, რომ ეს ფუნქცია სულ სხვა განწყობის ნიადაგზე იჩენს თავს, ვიდრე მაშინ, როდესაც მას ვაგონის მართვის პროცესში უხდება ამოქმედება. ამიტომ ადვილი შესაძლებელია, რომ ლაბორატორიული ცდების პირობებში სწორედ იმ სუბიექტს აღმოაჩენდეს სათანადო ფუნქციების განვითარების მაღალი დონე, რომელიც ვაგონის მართვის სპეციფიკურ პირობებში სრულ უმწეობას იჩენს.

ცხადია, რომ პიროვნების ამა თუ იმ საქმისათვის ვარგისობის საკითხის გადასაწყვეტად მისი გამოცდა იმ განწყობის ნიადაგზე უნდა მოხდეს, რომელიც რეალურ ცხოვრებაში თვითონ ამ საქმისათვისაა დამახასიათებელი. ამ შემთხვევაში, მთავარი მეთოდური ამოცანა რასაკვირველია ის იქნება, რომ რაიმე საშუალებით ექსპერიმენტულად სათანადო განწყობა იქმნეს გამოწვეული. მაგრამ რადგანაც ყველა ფუნქციები ამ ერთი ძირითადი განწყობის ნიადაგზე უნდა შემოწმდეს, ცხადია, თითოეული ცალკე ფუნქციის გამოცდის ადგილი ყველა ფუნქციების კომპლექსის ანუ თვითონ პროფესიონალური მუშაობის შემოწმებამ (Arbeitsprobe) უნდა დაიკვიროს.

აქედან თავისთავად გამომდინარეობს მეთოდური ხასიათის გარკვეული დასკვნა: თუ ამა თუ იმ სუბიექტის პროფესიული ვარგისობის საკითხის გადასაკრებლად საუკეთესო გზას იმის შემოწმება შეადგენს, თუ როგორ იჩენს თავს მისი ძალები რეალური მუშაობის განწყობის ნიადაგზე. მაშინ ყველაფერს ის აჯობებს, რომ გამოსაცდელი პირი თვითონ რეალური მუშაობის პროცესში გამოიცადოს, ვინაიდან სათანადო განწყობა აქ უძველად მოცემულია, მაშინ როდესაც ლაბორატორიაში მისი შექმნა ყოველთვის დად სიძნელეს წამოადგენს. კერძოდ ვატმანის საქმისათვის ვარგისობი გამოცდა ტრამვაის ვაგონის წინა ბეჭანზე აჯობებდა, როდესაც ვაგონის ნამდვილი და არა წარმოსახული მართვაა საჭირო.

უნდა ითქვას, რომ ფსიქოტექნიკის განვითარების ისტორიაში ამ აზრის მეთოდური გამოყენების პირველი ცდა შულტეს ეკუთვნის. მართლია, მისი აზრით ჩვეულებრივი ლაბორატორიული გამოცდა ცალკე ფუნქციებისა აუცილებელია, მაგრამ ზოგიერთი კომპლექსური ფუნქციის შე-

სამოწმებლად, როგორცაა მაგალ. სწრაფი გადაწყვეტის მდგომარეობის სისწრაფის შეფასების უნარი, სულიერი სიმტკიცე, აუცილებლად ცხოვრების სინამდვილესთან დაახლოებული ცდის პირობებშია საჭირო; მაგრამ რადგანაც ასეთი პირობების შექმნა ლაბორატორიაში არ ხერხდება ამიტომ, მისი აზრით, საუკეთესო იქნებოდა, თუ ამ ფუნქციითა გამოცდა ნამდვილი მუშაობის პრაქტიკაში იქნებოდა გადატანილი. ამის მიხედვით შულტეცმ ავტომობილის შოფერის ფსიქოტექნიკური გამოცდის მეთოდია შეიმუშავა¹⁾, რასაკვირველია, სათანადო ცვლილებების შეტანის შემდეგ იგივე მეთოდია ვატიმანის გამოსაცდელად აღვიდაც გამოადგებოდა. ენახოთ რაში მდგომარეობს იგი. ჩვეულებრივი მოწყობილების გარდა, რომლითაც შოფერი სარგებლობს მანქანის სამართავად, იქვე გვერდით, მეორე ასეთივე მოწყობილებაა გამართული. აქ ყველაფერია, რაც შოფერის მუშაობისათვისაა საჭირო, ოღონდ თვით მანქანის მართვასთან ამ მოწყობილებას არავითარი კავშირი არა აქვს. მანქანა ეძლევა სამართავად განსაკუთრებით გამოცდილსა და გამომდგარ შოფერს, რომელსაც იგი ქუჩაზე გაავს. მის გვერდით ზის გამოსაცდელი პირი შოფერის მეორე მოწყობილებასთან. ისე როგორც შოფერიც, ისიც თვალყურს ადევნებს ქუჩას და სწორედ შოფერივით მუშაობს მის წინ გამართულ მოწყობილების საშუალებით. ეს უკანასკნელი ისეა მოწყობილი, რომ მანქანის მოძრაობაზე არავითარ გავლენას არ ახდენს, სამაგიეროდ საგანგებო ჩასაწერ აპარატთან არის დაკავშირებული და გამოსაცდელი პირის სათანადო მოძრაობებს აღნიშნავს. ასეთსავე აპარატთან არის ნამდვილი შოფერის ხელსაწყოებიც დაკავშირებული და მაშასადამე მისი მოძრაობებიც ზედმიწევნით აღინიშნება. გამოსაცდელი პირი მართლა ნამდვილ ქუჩაზე მუშაობს, ნამდვილ მანქანაზე ზის და სუბიექტურად ნამდვილად მართავს მას. სრულიად უეჭველია, რომ აქ შესაფერმა განწყობამ უნდა იჩინოს თავი და ყველა მისი ძალები ამ განწყობის ნიადაგზე ამუშავდნ. მიუხედავად იმისა, რომ ამ მხრივ მეთოდი უნაკლოდ უნდა ჩაითვალოს, იგი მაინც მიუღებელია, და თვით შულტეცმ მას დამატებითი გამოცდის მეთოდად სთვლის. ჰელბაუერი შემდეგ მოსაზრებებს აყენებს ამ მეთოდის საწინააღმდეგოდ:

1. სხვადასხვა სუბიექტის ვარჯისობის დასადასტურებლად მათი შემოწმების შედეგების შედარებაა აუცილებელი. მაგრამ შედარება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც მუშაობა სავსებით ერთნაირ პირობებში ხდება. ასეთი ერთგვარობა ამ მეთოდის შემთხვევაში სრულიად შეუძლებელია, ვინაიდან ქუჩის მოძრაობის უცვლელი სახით განმეორება ჩვენს ხელთ არ არის. მაშ ამ მეთოდის ერთი ძირითადი ნაკლი ისაა, რომ მასში გამლიზიანებელთა სქემატიზაცია და სისტემატიზაცია დაკული არაა.

2. მართალია მანქანის გამოცდილი და გამომდგარი შოფერი მართავს, მაგრამ სად არის გარანტია, რომ მისი მოძრაობები ყოველთვის მიზანშეწონილია. ადვილი შესაძლებელია, ზოგჯერ ისიც ცდებოდეს. მაშასადამე, რას უნდა

1) Schulte R. W. Die Psychotechnik im Dienste der Verkehrssicherheit. Umschau, 26. 9. 1925 იბ. Hellbauer-ის ზემოაღნიშნული წერილი.

შევიდაროთ—სისწორის შესაფასებლად—გამოსაცდელი პირის, ^{მომწოდებელი} მოფერის მოძრაობებს, რომლის შესახებაც არ ვიცით, როდის არის იგი სწორი და როდის არა.

3. რადგანაც მანქანას მოძრაობაზე მხოლოდ მოფერის მოძრაობები ახდენს ვაგლენას და არა გამოსაცდელი პირის, ცხადია, იგი მალე შენიშნავს, რომ მის მოძრაობებს სათანადო შედეგები არ სდევს თან და მაშასადამე მისთვის სუბიექტურადაც ცხადი შეიქნება, რომ მანქანას მართლა ის როდი მართავს, არამედ სხვა. ეს შეგნება კი საკმარისია იმისთვის, რომ მისი განწყობა შეიცვალოს.

ყველა ეს მოსაზრება საკმარისია, რომ რეალური სინამდვილის პირობებში გამოცდის მეთოდის უარყოფილად მივიჩნიოთ და კვლავ ლაბორატორიუმს მივუბრუნდეთ, რომელშიც კომპლექსური მეთოდის შექმნაზე უნდა ვიზრუნოთ.

2. ასეთი მეთოდები რამდენიმეა. მე შევჩერდები ერთზე, რომელიც ყველაზე უფრო დამუშავებულად და პრინციპულის თვალსაზრისით კონსტრუქტურად უნდა ჩაითვალოს. ეს ის მეთოდია, რომელიც ვ. შტერნის ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით შექმნილია და დღემდე გაუმჯობესების პროცესში იმყოფება.

ვ. შტერნი ე. წ. „პერსონალიზმის“ მამამთავრად ითვლება, და სრულიად ცხადია, რომ პიროვნების ვარგისობის დადასტურება—მისი აზრით—მთლიანად ნაწილობრივი ერთეულებად დაშლისა და მათი ცალკე შემოწმების საშუალებით კი არ შეიძლება, არამედ ერთიანი ცოცხალი პიროვნების გამოცდით, რომელიც მიუხედავად თავისი მიზნების და განცდების მრავალსახეობისა მარად ერთს განუწყვეტებელ მთლიან წარმოადგენს. მაშასადამე, მისი ვარგისობის ფსიქოტექნიკური გამოცდა შეიძლება მხოლოდ კომპლექსური ბუნების იყოს.

ამისდამიხედვით შტერნისა და მისი თანამშრომლების ძირითად ამოცანას თითოეული სუბიექტის ისე შემოწმება შეადგენს, რომ ტრამეის ვატმანის ყველა მნიშვნელოვანი ფუნქციები, როგორცაა ყურადღების მოცულობა და კონცენტრაცია, სიფრთხილე, გადაწყვეტის უნარი, შეგუების ნიჭი, რეაქციისა და მუშაობის რაგვარობა, კოორდინაციის უნარი, მეხსიერება და სხვ.—ერთი გამოცდის პროცესში ერთად შემოწმდეს. ამასთან ერთად—ეს მეორე მოთხოვნილებაა შტერნის მეთოდისა—გამლიზიანებელთა მიცემაც ცხოვრების სინამდვილეს არ უნდა იყოს დაშორებული.

კონკრეტულად შტერნის მეთოდი შემდეგნაირად ჩამოყალიბდა¹⁾:

გამოსაცდელი პირი უბოლოო შავი ლენტის წინ დგას, რომელიც შეუჩერებელი მისკენ მოძრაობს და მასზე გზის შთაბეჭდილებას სტოვებს. ლენტზე

¹⁾ იხ. Sachs Hildegard, Studien zur Eignungsprüfung der Strassenbahn-fahrer I Abhandlung: Methode zur Prüfung Aufmerksamkeit und Reaktionsweise. Z. f. Angew. Psychologie B. 1920 პირველად თავისი მეთოდის საფუძვლები შტერნმა თავის ასისტენტთან, კერნთან ერთად 1916 წელს შეიმუშავა, მერე სპეციალურად ვატმანის შესამოწმებლად 1918 წ. ბობერტაგთან და ზაქსთან ერთად.

ნახვრეტებია ამოკრილი: ერთიანი („ქვევითა მგზავრება“) ღ ორქმება: ქმნულქმები“). იმის მიხედვით, განათებული გამოჩნდება თითოეული ამ ნახვრეტთაგანი, თუ არა, ცდის პირმა ან რაიმე გარკვეული მოძრაობა უნდა მოგვეცეს ან არა. თუ ნახვრეტები არ განათდა, ეს იმას ნიშნავს, რომ მგზავრი ან ეტლი ლიანდაგზე არაა და მაშ არც რაიმე ზომამ ვაგონის მართველის მიერ მისაღები. ვაგონათე-ბელი ნახვრეტები მაინც ჩანან და რადგან შესაძლოა ერთბაშად განათდენ, იგინი შესაძლო რეაქციის გამლიზიანებელთ წარმოადგენენ (reaktionsmög-liche Reize). ხოლო როდესაც განათდებიან, იმ წამსვე საგანგებო რეაქციაა გა-მოსაცდელი. პირის მხრივ საჭირო. მაგრამ რა რეაქცია, ეს იმაზე დამოკიდე-ბული, თუ ლენტის რომელ ადგილზე გამოჩნდება ასეთი განათებული ნახვრეტი. ლენტი ოთხ არედ არის გაყოფილი, და როდესაც განათებული ნახვრეტი ყველაზე უფრო დაშორებულ არეში გამოჩნდება, გამოსაცდელმა პირმა სრულიად არ უნდა უპასუხოს, ხოლო როდესაც შემდეგ არეებში—მაშინ სიშორის მიხე-დვით ან ზარის დარეკით უნდა უპასუხოს (რეაქცია ფეხით), ან მარჯვენა ხელით მუხრუჭი მოუჭიროს ან დასასრულ მარცხენა ხელით დაამუხრუჭოს. ეს რეაქციები მხოლოდ ქვევითა მგზავრის გამოხატველ ერთიან ნახვრეტებს ეხება. რაც შე-ეხება ორმაგ ნახვრეტებს, მათზეც ასეთივე რეაქციები ია საჭირო, ოღონდ ზარის შიცემა მეოთხევე არეშია საჭირო, რაოგანაც ეტლი მგზავრზე უფრო ჩქარა მოძ-რაობს, დამუხრუჭება მარჯვენა ხელით—მესამეში და დამუხრუჭება მარცხენათი —მეორეში. გარდა ამ გამლიზიანებელთა, შემოტანილია ისეთი გამლიზიანებლე-ბიც, რომელნიც მოულოდნელსა და ერთბაშ რეაქციას მოითხოვენ. ეს ასეა მო-წყობილი: ლენტის გვერდით, ოთხს სხვადასხვა დაშორებულობის არეში მოწყ-ობილია უძრავი ერთიანი და ორმაგი გამლიზიანებლები, რომელნიც შესაძლე-ბელია ერთბაშად განათდენ. ამ შემთხვევაში გამოსაცდელმა პირმა ისეთსავე რეაქციებს უნდა მიმართოს, როგორც ზემოდ აღნიშნულ პირობებშიც, ასე რომ გადაწყვეტი მნიშვნელობა აქაც გამლიზიანებლის დაშორებულობას აქვს. მთავარი აპარატის ახლო, ოთახში ფერადი ელექტრონათურაა მოწყობილი, რომელიც აბე-რიოდულად ინთება ღ ჰქრება. გამოსაცდელი პირის მოვალეობაა დაითვალოს, რამ-დენჯერ აინთო იგი (ეს იმისათვის, რომ ყურადღების განაწილების უნარი შემო-წმდეს: ვატმანისათვის ხომ უთუოდ საჭიროა ეს უნარი, რადგანაც მან ერთ დროუ-ლად თავის ვაგონსაც თვალყური უნდა ადევნოს და ქუჩაზე მოძრაობასაც). რეაქ-ციები ისე როგორც გამლიზიანებლებიც გრაფიულად აღინიშნებიან. გამოცდა საკ-მაო ხანს გრძელდება, ასე რომ დაღლილობის გავლენის გათვალისწინებაც ხერხდე-ბა. ასეთია შტერნის მეთოდი. იგი, როგორც თვით შტერნიც აღნიშნავს უმთავ-რესად ყურადღებისა და რეაქციის შესამოწმებლად იყო განზრახული. ჰამ-ბურგის ფსიქოლოგიურ ლაბორატორიას, რომელსაც შტერნი ხელმძღვა-ნელობს, ამ მეთოდის შემდეგ განვითარებაზე მუშაობა დღემდეც არ შეუწყრე-ბია და ამეამად—1927 წლის ცნობების მიხედვით—იგი კიდევ უფრო გაუმჯო-ბესებული ფორმით იხმარება¹⁾

¹⁾ Hallbauer, Historisch-kritische Betrachtung zum Fahrzeugführerproblem Psychotechnische Zeitschrift. 2 Jahrg. 5. 88 f.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ერთი ძირითადი თავისებურება ^{რეაქციის} ~~ქიმიური~~ მე-
თოდისა, მისი კომპლექსური ბუნებაა: სხვადასხვა მნიშვნელოვანი ფუნქციები
ერთი მთლიანი ცდის პროცესში მოწმდება და არა ცალკადაა, ურთიერთზე
დამოუკიდებლად და ურთიერთიდან გათიშულად. თვით ეს ერთი მთლიანი
ცდის პროცესი ხელოვნური ექსპერიმენტის განწყობულ მდგომარეობის ნაცვლად
რეალური პროფესიონალური მუშაობის კონკრეტ სიტუაციას ჰქმნის, რომელშიც
გამოსაცდელი პირის ძალების წინაშე რეალური მუშაობის შესაფერ მითხოვნი-
ლებებს აყენებს. შტერნის მეთოდისათვის განსაკუთრებით ისაა დამახასიათე-
ბელი, რომ იგი ცდილობს გამლიზიანებელთა სისტემაში რეალური ცხოვრების
გამლიზიანებელთა ყველა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი თავისებურება შეი-
ტანოს. ამ მხრივ, თვით შტერნი განსაკუთრებით მნიშვნელოვანად ე. წ.
რეაქციის შესაძლო (reaktionsmügl.) გამლიზიანებელთა ცდის სისტემაში შე-
მოღებებს სთვლის, და გარდა ამისა, ავრეთვე ორი ზონის შემოღებას: ისეთი
ზონისას, რომელშიც გამლიზიანებლის გამოჩენა რეაქციას არ მოითხოვს, და
ისეთისას, რომელიც რეაქციის ზონად უნდა ჩაითვალოს. დასასრულ, შტერნის
მეთოდის მნიშვნელოვან მხარეს მოძრავი ლენტის შემოღებაც შეადგენს, რომელიც
ისეა მოწყობილი, რომ გამლიზიანებელი გამოსაცდელი პირის მიმართულებით
მოდის, ე. ი. მას უახლოვდება, როგორც ეს მოძრავი ვაგონის წინა ბაქანზე
ეჭვებმა ადამიანს.

მიუხედავად ყველა ამ ღირსებისა, ფაქტურად შტერნის მეთოდისა
ლაბორატორიის ჩვეულებრივი ექსპერიმენტული სიტუაციის ფარგლებს მაინც
ვერ ცილდება: ჯერ თვით აბორატი ისეთია, რომ იგი ლაბორატორიული ექსპე-
რიმენტის განწყობას უფრო ადვილად ჰქმნის, ვიდრე ვაგონის მართვისას. გარდა
ამისა, ძველი პრინციპი გამლიზიანებლებად ნათურების გამოყენებისა პრინციპუ-
ლად აქაც სრულიადაა დაკული: ხომ ცხადია, რომ ვატმანს მოძრავ ქუჩაზე
ლამპებთან კი არა, ცოცხალ არსებებთან აქვს საქმე. მარალია, ნათურას
შტერნის მეთოდისაში სიმბოლური მნიშვნელობა აქვს: ორმაგი ნახვრეტი
ეტლს უნდა ნიშნავდეს და ერთიანი ადამიანს; მაგრამ ნაკლი სწორედ გამლიზი-
ანებლის ამ სიმბოლურ ბუნებაშია, ვინაიდან ფსიქოლოგიურად ცხადია, რომ
რეაქცია არ შეიძლება ერთნაირი იყოს სიმბოლურისა და ჩვეულებრივი მნიშვნე-
ლობის გამლიზიანებელზე. მნიშვნელოვანი ნაკლია ისიც, რომ გამოსაცდელი
პირის რეაქციები არავითარ ვაგონსა არ ახდენენ გამლიზიანებელზე და მეთო-
დისა ამ გარემოებას სრულიად უყურადღებოდ სტოვებს. ვატმანის პრაქტიკაში
რომ ასეთი რამ მოხდეს, ეს ხომ შეუძლებელია უყურადღებოდ დარჩეს: ეს
იმწამსვე მოძრაობის მიმდინარეობასა და მის შედეგებში იჩინდა თავს.

ყველაფერი ეს ცხადყოფს, რომ შტერნის მეთოდით სარგებლობა
ხელსაყრელი არაა და მასთანავე საკუთარი გზის ძიებაა აუცილებელი.

3 ჩვენი მეთოდია

ჩვენი მეთოდის ძირითადი პრინციპი იგივეა, რაც შტერნისა და სხვების, რომელნიც პიროვნების კომპლექსურ შემოწმებას სცნობენ აუცილებლად. განსხვავება მხოლოდ თეორეტულ დასაბუთებაშია. ჩვენ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ადამიანის ფსიქოფიზიკური ორგანიზმის მუშაობა მისი განწყობის ფუნქციაა, რომ მაშასადამე მუშაობის უნარის შემოწმება მხოლოდ სათანადო განწყობის ნიადაგზე შეიძლება. პროფესიონალური ვარჯისობის ფსიქოტექნიკური შემოწმების მეთოდის ცენტრალურ პრობლემას, ამის მიხედვით, უპველია, თითოეული პროფესიის შესაფერი განწყობის შექმნა წარმოადგენს.

მაგრამ ძირითადი, სათანადო განწყობის შექმნა კიდევ არ ნიშნავს ყველაფერს. უპველია, მუშაობის მიმდინარეობაში შეიძლება მრავალმა ისეთმა გარემოებამ იჩინოს თავი, რომელმაც ძირითადი განწყობის განმტკიცებას ხელი შეუშალოს, შეარყიოს იგი და ბოლოს და ბოლოს სრულიად შესცვალოს. მეთოდის ამას განსაკუთრებული ანგარიში უნდა გაუწიოს. მე მხედველობაში მაქვს მაგალ. გამოსაცდელი პირის რეაქციათა გავლენა გამოღიზიანებულთა მიმდინარეობაზე და საზოგადოდ მთელ სიტუაციაზე, რომელიც სუბექტის რეაქციებს იწვევს. როდესაც გამოსაცდელი პირი ხედავს, რომ მისი რეაქციები—სწორი იქნება იგი, თუ შეუფერებელი—არაერთარ გავლენას არ ახდენს სიტუაციაზე, ცხადია, რეალური მუშაობის განწყობა მისდაუნებურად დაირღვევა და ლაბორატორიული ცდის განწყობას დაუთმობს ადგილს.

ისე როგორც პიროვნება, პროფესიული შრომის ესა თუ ის დარგიც განსაზღვრულ სტრუქტურულ მთლიანობას წარმოადგენს: როდესაც პიროვნების და შრომის განსაზღვრული სტრუქტურა ურთიერთს ეგუება, ეს იმას ნიშნავს, რომ საქმემ და სუბიექტმა ერთმანეთი მონახეს. შემაერთებელ შუამავალს ამ სტრუქტურათა შორის განწყობა შეადგენს. ამიტომაც, რომ მთელი მეთოდია წვრილმანშიც განსაკუთრებით ამ უკანასკნელს უნდა უწევდეს ანგარიშს.

ამ ძირითადი აზრის მიხედვით, ჩვენი მეთოდის უშთავრეს მომენტს ძირითადი ცდა შეადგენს, რომელიც გამოსაცდელი პირის სათანადო განწყობის ნიადაგზე წარმოებულ მუშაობას აღრიცხავს. ამ შემთხვევაში, ცენტრალური მნიშვნელობა იმ აპარატს აქვს, რომლის საშუალებითაც ვატმანის რეალური მუშაობის სტრუქტურის შესაფერისი სიტუაცია იქმნება და გამოსაცდელი პირის სათანადო სტრუქტურის ძალთა ქონება-არქონება აშკარავდება. შეჭირდეთ ძირითადი ცდისა და მასთან ერთად ჩვენი აპარატის აღწერაზე. იგი შემდეგნაირად შეიძლება წარმოვიდგინოთ¹⁾.

გამოსაცდელი პირი ტრამვაის ვაგონის წინაბაქანზე დგას: ნამდვილი ვაგონის წინა ბაქანზე ყველა იმ მოწყობილობით, რომელიც მას უნდა ჰქონდეს, რათა ვატმანს სათანადო მუშაობა შეეძლოს. ამგვარად, ჩვენი აპარა-

¹⁾ აპარატი აგებულია ინტ. პრეიერის მიერ იმ პრინციპების მიხედვით, რომელიც ჩვენ მიერ იყო მიწოდებული.

ტის ეს ნაწილი პირდაპირ სინამდვილიდან არის ამოღებული და დაკრძალულია პირს სრული შესაძლებლობა აქვს სწორედ ვატმანის რეაქციით უპასუხოს ამა თუ იმ გამლიზიანებელს, რომელსაც მას გამომცდელი მიაწოდებს: ზარი დარეკოს, შეანელოს მოძრაობა ვაგონისა ხელის მუხრუჭით ან და სრულიად გააჩეროს ვაგონი ელექტრომუხრუჭით; თუ უნდა სასილეს (поощрения) მიმართოს ან დასასრულ, უკან დასწიოს ვაგონი. ამგვარად, აპარატის ეს ერთი ნაწილი გამოსაცდევ პირს სწორედ იმ პირობებში აყენებს, როგორშიც ის ვატმანის ადგილს იქნებოდა: სინამდვილის სიახლოვე აქ უკიდურესობამდე განხორციელებული. მაგრამ მთავარი სიძნელე სწორედ მეორე ნაწილშია.

აპარატის მეორე ნაწილს გრძელი მოძრავე ტილო წარმოადგენს, რომელზეც შავი ხაზებია გველებული და რომელიც ლიანდაგის შთაბეჭდილებას სტოვებს. ტილოს ელექტრომოტორი ამოძრავებს გაუჭერებლივ; მას გამოსაცდელი პირი მართავს: ისე, როგორც ვაგონის მოძრაობა ვატმანზეა დამოკიდებული, ისე დამოკიდებული ჩვენი აპარატის მეორე ნაწილის მოძრაობაც გამოსაცდელ პირზე. როდესაც ლიანდაგი ე. ი. ტილო მოძრაობს, იგი წინა ბაქანის მიმართულებით მოდის, ასე რომ სრული შთაბეჭდილება იქნება, თითქოს უძრავ ქუჩაზე ვაგონი მიჰქროდეს. ეს მომენტი "სტერნის" მეთოდებიდან არის ამოღებული¹⁾ და, როგორც უკვე ზემოდაც იყო აღნიშნული, მიმოსვლის პროფესიითა ფსიქოტექნიკის ერთ-ერთს მტკიცე მონაპოვარს წარმოადგენს. ამ ტილოზე სხვადასხვა ადგილას გაბნეულია ფიგურები, რომელნიც ქუჩაზე მიმოსვლის ჩვეულებრივ დაბრკოლებათ იგულისხმებიან: ადამიანები, ეტლები, ურმები და სხვა ამის მსგავსი; ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც განსაკუთრებით ტფილისის ქუჩებისათვის არის დამახასიათებელი. ყველა ეს ფიგურა გაწოლილია ლიანდაგზე, ისე რომ კარგად არც კი ჩანს, თუ რას წარმოადგენს იგი. სანამ ფიგურა ამ მდგომარეობაშია, არავითარ რეაქციას არ მოითხოვს, მაგრამ შესაძლოა იგი ყოველ წუთს წამოდგეს, და მაშინ უთუოდ სათანადო რეაქცია იქნება საჭირო. მათი თვალყურის დევნება აუცილებელია, და, მაშასადამე, იგინი რეაქციის "შესაძლო გამლიზიანებლებად" უნდა ჩაითვალოს.

ამ ფიგურების მართვა გამომცდელის ხელშია: მას სურვილისამებრ შეუძლია თითოეული მათგანი წამოაყენოს ან დააწვიოს, როცა უნდა და საცა უნდა. საქმე ისაა, რომ მთელი ლიანდაგი სამ ზონად არის გაყოფილი, და იმის მიხედვით, თუ რა ზონაში გამოჩნდება წამომდგარი ფიგურა, იგი საშიშროების სხვადასხვა ხარისხს წარმოადგენს: უშორეს ზონაში იგი იმდენად საშიში არაა, რამდენადაც საშუალოსა და განსაკუთრებით უახლოეს ზონაში, მიტომ რომ მის ადგილას რომ ადამიანი წარმოვიდგინოთ, სანამ მას იმდენად დაუახლოვდებოდეს ვაგონი, რომ საშიშროება მოელოდეს, იგი ადვილად მოასწრებს, ლიანდაგს გადასკილდეს და ვაგონს გზა მისცეს: საჭიროა ოღონდ ვაგონის მოახლოვება შენიშნოს.

¹⁾ აპარატის ეს ნაწილი ტრამვაის პარკიდან მიღლეთ; იგი ერთ-ერთი ძველი ვაგონის წინა ბაქანს წარმოადგენს.

²⁾ კიდევ უკეთა იგივე პრინციპი გატარებული გერმანიის საიმპერიო გზების ცენტრალურ ფსიქოტექნიკურ ლაბორატორიაში Eickamp-ში.

ქართული

ინსტრუქცია, რომელიც გამოსაცდელ პირს ეძლევა, სხვედვას ვერცხვასთან მოითხოვს იმის მიხედვით, თუ საშიშროების რომელ ზონაში გამოჩნდება ესა თუ ის ფიგურა, როგორც განსაზღვრული გამლიზიანებელი. უშორეს ზონაში—საკმარისია თუ სიგნალს მისცემს ზარით ე. ი. მარჯვენა ფეხს დაარტყამს იქვე მოწყობილ ზარს. საშუალო ზონისათვის მარტო ზარი დაგვიანებულად უნდა ჩაითვალოს: საჭიროა ზართან ერთად ვაგონის სელა შენელებს. ამისთვის მარჯვენა ხელის რეაქცია საჭირო, ე. ი. ხელის მუხრუჭის მოჭერა. დასასრულ, მესამე, უახლოესი ზონა ყველაზე მეტ საშიშროებას წარმოადგენს და ამა თუ იმ ფიგურის აქ გამოჩენას გამოსაცდელმა პირმა მარცხენა ხელით ელექტრომუხრუჭის მოჭერით უნდა უპასუხოს, რასაც შედეგად ვაგონის გაჩერება სდევს.

მაგრამ ზოგჯერ მუხრუჭი არ მოქმედობს — რაიმე მიზეზის გამო. მაშასადამე, შეიძლება რაქცია სწორი იყოს, მაგრამ საჭირო შედეგი ვერ მოიტანოს: ვაგონმა მოძრაობა არ შეანელოს ან და საჭიროების დროს არ გაჩერდეს. ასეთი შემთხვევებისათვის სხვა რეაქციებია საჭირო: „სასილეს“ გამოყენება ან და ე. წ. „უკან სელა“. გამოსაცდელმა პირმა საჭიროების და მიხედვით ამ რეაქციებსაც უნდა მიმართოს.

გამომცდელი თვალყურს ადევნებს გამოსაცდელის რეაქციებს და, ჩვეულებრივ, სისწორის შემთხვევებში წამოყენებულ ფიგურას სწრაფად წააქცევს ხოლმე და ამგვარად შესაძლო რეაქციის გამლიზიანებლად აქცევს. სწორედ ასეა პრაქტიკაშიც, როდესაც გაფრთხილებული მგზავრი გზას აძლევს ვაგონს. მაგრამ ყოველთვის ასე ხომ არ ხდება: ზოგჯერ ვატმანი ყველა საჭირო ზომებს ლებულობს, მაგრამ მგზავრს მისი არაფერი ესმის, და მაშინ შეიძლება საშიშროება იმდენად გაიზარდოს, რომ მის თავიდან ასაცილებლად ვაგონის გაჩერება შეიქმნეს საჭირო. გამომცდელს ეს გარემოებაც მხედველობაში აქვს მიღებული და ზოგიერთ შემთხვევაში, მიუხედავად სწორი რეაქციისა გამოსაცდელი პირის მხრივ, ფიგურა მაინც ვაგონის მიმართულებით მიდის. ასეთ შემთხვევაში იმის მიხედვით, თუ როგორ გადადის ფიგურა ერთი ზონიდან მეორეში გამოსაცდელი პირიც ერთი სახის რეაქციიდან საჭირო სისწრაფით მეორე სახის რეაქციაზე უნდა გადავიდეს.

აპარატი ისეა მოწყობილი, რომ ლიანდაგის (ტილოს) ერთი მხარე შეიძლება ადვილად აიწიოს ზევით ან ქვევით დაიწიოს. ეს შთაბეჭდილებას ჰქმნის ვაგონის აღმართ ან დაღმართ სელისას, რასაც ტფილისის პირობებში უძველესი მნიშვნელობა აქვს; დაღმართი ზოგჯერ შეიძლება დიდ საშიშროებას წარმოადგენდეს ვატმანისათვის: სველ ლიანდაგზე ვაგონი ზოგჯერ თვითონ მისრიალებს, მიუხედავად მოქერილი მუხრუჭისა; ზოგჯერ კიდევ—თუ მუხრუჭები წესიერად არ მოქმედობენ—ვაგონის შეჩერება ვეღარ ხერხდება და ამას შეიძლება კატასტროფა მოჰყვეს შედეგად. გამომცდელს შესაძლებლობა აქვს განსაზღვრული გამლიზიანებლები აღმართ ან დაღმართ სელის პირობებშიც მიაწოდოს გამოსაცდელ სუბიექტს.

გამლიზიანებელთა სისტემაში—ტრამვის ნიმუშის მიხედვით—ემოციონალური ბუნების გამლიზიანებლებიც არის შემოღებული, რომელიც თავისი

მოულოდნელობით და საშიშროების გამოწვევის ნიშნობით ^{მნიშვნელოვან} გამო-
საცდელ სუბიექტში. ეს გარემოება შესაძლებლობას იძლევა გამოსაცდელი პირის
ემოციონალური სიმტკიცე და დაუბნელობა გაისინჯოს, რასაც ვატმანის პრაქ-
ტიკაში უეჭველად დიდი მნიშვნელობა აქვს.

თავისთავად იგულისხმება, რომ აპარატის არსებით ნაწილს ჩამწერი აპა-
რატიც შეადგენს: აქ დაუბოლოებელ ქაღალდის ლენტზე შესაფერი სიგრძის
ხაზით აღინიშნება როგორც გამლიზიანებლის მიწოდების დრო, ისე ცალკე
თითოეული რეაქციისაც, რომელსაც გამოსაცდელი სუბიექტი მიმართავს. მასთან
დაკავშირებულია საათი, რომელიც იმავე ქაღალდის ლენტზე დროს აღნიშნავს.
დროის ზედმიწევნით აღნიშვნა სეკუნდების ათასეულ და ათიათასეულ ნაწილა-
დებში, როგორც ეს ჩვეულებრივს რეაქციის ცდებში ხდება, და ფსიქოტექნი-
კური გამოცდების დროსაც ხდებოდა, აქ საჭიროდ არაა მიჩნეული, რადგანაც
ფსიქოტექნიკის პრაქტიკაში, შეიძლება ითქვას, საბოლოოდ გამოირკვა, რომ
დროის აღრიცხვის ასეთ ზედმიწევნითობას მნიშვნელობა არა აქვს¹⁾.

წინასწარი ინსტრუქციის შემდეგ გამოსაცდელი პირი მუშაობას იწყებს:
მას წინასწარ განსაზღვრული წესის მიხედვით ეძლევა სხვადასხვა გამლიზიანე-
ბელი (სულ 60), რომელთაგანაც 40 გამლიზიანებელი ისეთია, რომ აუცილებლად
საპასუხო მოძრაობას მოითხოვს: 20 პირველ ზონაში, 15 მეორეში და 5 მესა-
მეში. ეს რიგი გამლიზიანებელთა ოთხჯერ მეორდება, ასე რომ სულ 240 გამ-
ლიზიანებელი გამოდის, რომელთაგანაც 160 სარეაქციოა. მესამე სერიაში გამო-
საცდელ პირს გარდა ჩვეულებრივი რეაქციების მოცემისა დავალებული აქვს
აგრეთვე ყველა იმ გამლიზიანებლის დათვლა და ცდების გათავებისას მათი
რიცხვის დასახელება, რომელნიც რეაქციას მოითხოვენ. მეოთხე სერია ჩვეუ-
ლებრავე წესით მიმდინარეობს, თუ მხედველობაში არ მივლდებთ „საშიშ გამ-
ლიზიანებელთ“ (მოკლე შეერთება ან ვაგონის ლიანდაგიდან ჩამოვარდნა).—და-
სასრულ, მეხუთე რიგში გამოსაცდელი პირი ჯერ ერთხანს თვალყურს ადევნებს
წამოყენებულ ფიგურის მოძრაობას, მისი სისწრაფის შესაფასებლად და შემდეგ
—გამოცდელის მიერ ნიშნის მიცემისთანავე ერთად თვალებს ხუჭავს და, რო-
დესაც იგრძნობს, რომ ფიგურა მოახლოებული უნდა იყოს წინასწარ დანიშ-
ნულ კრიტიკულ ადგილს, იმ წამსვე ვაგონი უნდა შეაჩეროს. ამნაირად, გამოცდის
მიმდინარეობაში მოძრაობის სისწრაფის შეფასების უნარიც მოწმდება, რასაც,
როგორც ცნობილია, საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს ვატმანის წარმატებითი
მუშაობისათვის.

ასეთია ჩვენი მეთოდის ძირითადი ნაწილი. უნდა ითქვას, რომ ჩვენს
აპარატს, ჯერჯერობით ფაქტიურად ყველა აღნიშნული თვისება არ აქვს:
ზოგიერთი ტექნიკური დამრკოლებების გამო ამის განხორციელება ვერ მო-
ხერხდა. განზრახულია, იგა ისე შეიცვალოს, რომ ჩვენს მეთოდურ განზრ-
ახებს სავსებით შეეგუოს. დაკვირვებული მკითხველი უეჭველად თვითონ დაი-
ნახავდა, თუ რაში მდგომარეობს ჩვენი მეთოდის ღირსება, როგორც გამლი-
ზიანებელთა, ისე საპასუხო მოძრაობათა რაგვარობის მხრივ იგი მართლაც

¹⁾ იხ. Hallbauer, ap. at. S. 22.



ნამდვილი მუშაობის განწყობის გამოწვევის ახერხებს, რაც სხვათა მსგავსად გამოცდილ ვატმანთა ჩვენებებიდანაც ნათლად ირკვევა: მიუხედავად ამისა, რომ იგინი გამოცდას დასაწყისში კრიტიკული თვალთ შუკერდენ, გამოცდის გათავებისას ხშირად კმაყოფილებას გამოსთქვამდენ და სათანადო შეკითხვაზე გვიპასუხებდენ: „რასაკვირველია, ვაგონზე მუშაობა უფრო ადვილია, მაგრამ ვინც აქ კარგად იმუშავებს, იქ მუშაობა არ გაუჭირდებაო!“ „მუშაობა იქაც ისეთია, რაც აქ, ოღონდ აქ, უფრო ძნელია, რადგან იქ ასე ხშირად მოძრაობას არაფერი უშლის ხელსო!“.

4. გამოცდის ფუნქციონალური ანალიზი

ჩვენი მეთოდის აღწერიდან ნათლად ჩანს, რომ იგი ცალკე ფუნქციების დადასტურებისა და შემოწმებისაკენ როდია მიმართული, არამედ მას იმ ძალთა შესწავლა სწადია, რომელნიც ვატმანის მუშაობას უდევს საფუძვლად და თავისი მიმდინარეობის პირობების თავისებურებებთან ერთად ვატმანის საქმის სპეციფიკურ სტრუქტურულ მთლიანობას ჰქმნის. როგორც არა ერთხელ იყო აღნიშნული, ესაა მიზეზი, რომ სინამდვილის პირობებთან სიახლოვეს ეგოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მეთოდურად ჩვენთვის.

მიუხედავად ამისა, მაინც აუცილებელი ხდება, ანალიზის თვალთ გაგისინჯოთ, თუ რა ფუნქციებს ააშკარავებს ჩვენი მთავარი მეთოდი გამოსაცდელ სუბიექტში. ჩვენთვის აუცილებელია იმის ცოდნა, თუ როგორია ის ცალკე ფუნქციები, რომელთაც ჩვენი აპარატი ამოწმებს მათს ურთიერთ კავშირსა და ურთიერთ დამოკიდებულებაში. ჩვენთვის მიტომ არის ამის ცოდნა აუცილებელი, რომ უამისოდ ძნელი იქნებოდა თითოეული გამოსაცდელი პირის ობიექტური განზომადი დახასიათება მიგველო, ვარჯისობის გრადაცია და მაშასადამე თითოეულის ე. წ. „რანგის ნუმერი“ დაგვეწესებია და განსაკუთრებით კი დაგვესაბუთებია თითოეულის ამა თუ იმ მხრივ ვადახრა ნორმული სიდიდიდან.

თუ ანალიზის თვალსაზრისით შევისწავლით ჩვენ ცდებს, დავინახავთ, რომ აქ ყველაზე უფრო ინტენსიური ამოქმედება ყურადღების ფუნქციას უხდება. იგი ფხიზლად უნდა იყოს თითოეული შესაძლო რეაქციის გამლიზიანებლის მიმართ, მიტომ რომ ყოველ მათგანს ერთ წამს შეუძლია სხვადასხვა რეაქციის აღმქერელ გამლიზიანებლად იქცეს იმის მიხედვით, თუ საშიშროების რომელ ზონაში გამოჩნდება. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ფუნქციონალურად იმ გარემოებასაც, რომ თითოეული ზონის გამლიზიანებელი სრულიად განსხვავებულ რეაქციას მოითხოვს. მაშასადამე, საკმაოდ ფართო ყურადღების არესთან ერთად გამოსაცდელ პირს უმჭველი უნარი უნდა ჰქონდეს განსაზღვრულ ფარგლებში რეაქციის სწრაფი ცვლისა ე. ი. ერთი მიმართულებით შექმნილი განწყობიდან სწრაფად მეორე განწყობაზე გადასვლისა. ამასთან ერთად ყურადღებას იმისათვისაც უნდა ეცალოს, თუ რა შედეგი მოაქვს თითოეულს რეაქციას, რათა მოსალოდნელი ეფექტის გამოუწვევლობის შემთხვევაში სწრაფად ახალი განწყობა შექმნას, რომელიც ახალი რეაქციისათვის იქნება საჭირო. სულის სიმშვიდე გამლიზიანებელთა სწრაფი ცვლილებისა და ჩვეულებრივი ზო-

მების უნაყოფობის მიუხედავად, სხვადასხვა რეაქციასა და მოქმედებებში გამო-
ლიზიანებელთა შორის სათანადო კოორდინაციის დაწესებულება შეუძლებელია, — ამ რა-
უნდა ჰქონდეს გამოსაცდელ პირს მარად დაძაბულ მდგომარეობაში. თუ ამას
იმასაც დავუმატებთ, რაც ყველა ამ თვისებათა შენარჩუნებისათვისაა საჭირო,
მიუხედავად ყურადღების სპეციალური დატვირთვისა, რომელიც რეაქციის გა-
მომწვევე გამლიზიანებელთა დათვლის დავალებითაა გამოწვეული, და აგრეთვე
ემოციონალურ გამლიზიანებელთა ზეგავლენით, ჩვენს წინ სრული წრე იჭნება
იმ ფუნქციათა, რომელიც ჩვენი გამოცდის ძირითად პროცესში შეისწავლება.

მაგრამ ცდის უკანასკნელ სერიაში, როგორც ზემოდაც იყო აღნიშნული,
იმვე მთავარი აპარატის დახმარებით მოძრაობის სისწრაფის შეფასების უნა-
რიც გამოიკვლიდა. გარდა ამისა, სხვა თვისებათაგან, რომელნიც აგრეთვე საჭი-
როდაა ცნობილი ვატმანისათვის, ჩვენ ზოგადი გონიერებისა და თვალ-
ზომის შემოწმებაც მოგვიხდა.

ამ უკანასკნელთა შესახებ უნდა ითქვას, რომ იგინი საერთო კომპლექსურ
ცდის გარეშე იყვნენ გამოცდილნი. ეს გაოგმობდა, რა თქმა უნდა, აოსებითად
ეწინააღმდეგება ჩვენი მეთოდის ძირითად პრინციპს. მართალია, საკითხი ზო-
გად გონიერებას ეხება და თვალზომის უნარს ე. ი. ისეთ თვისებათ, რომელთა
შესახებაც შეიძლება ადვილად იფიქროს კაცმა, თითქოს მათი შესწავლა სწო-
რედ სხვა თვისებათა დამოუკიდებლად შეიძლებოდეს. მაგრამ ზოგადი გონიე-
რების კვლევის განვითარებამ ცხადად გამოარკვია რომ მისი თავისებური, ტი-
პურად განსხვავებული სტრუქტურებიც არსებობს და რომ ამ განსხვავებულო-
ბისათვის დიდი მნიშვნელობა თვით სიტუაციას, ასე ვთქვათ, მატერიალურად
აქვს, რომელშიც ამოცანის გადაჭრა ხდება. ამიტომ ცხადია, უკეთესი იქნებოდა,
ზოგადი გონიერების გამოცდაც კომპლექსიურ მეთოდშივე შესულიყო.

იგივე უნდა ითქვას თვალზომის შესახებაც: „თვალზომის წარმატება მარ-
ტო წმინდა ოპტიკურით როდი აიხსება“—ო, ამბობს H. Volkelt¹⁾, არამედ
არა ოპტიკური მომენტებიც, განსაკუთრებით კი შეხებით-მოტორული და
ემოციონალური—გავლენას ახდენს მასზეო. ეს გავლენა იმაში იჩენს თავს,
რომ რაც უფრო მეტი აქვს საგანს ასეთი არაწმინდა მხედველობითი ელემენტე-
ბი, მით უფრო ზედმიწევნით სწორია მისი თვალზომით შეფასება. თუ კი ეს
მართლა ასეა, მაშინ ცხადია, რომ არც თვალზომის უნარი წარმოადგენს ისეთს
რასმე, რაც მთელი სიტუაციიდან განყენებულად და გამოცალკევებულად შეიძ-
ლებოდეს შეისწავლოს კაცმა: სპეციფიკური არაოპტიკური მომენტები, განსა-
კუთრებით კი ემოციონალური ვატმანის რეალური მუშაობის სიტუაციაში ისე
შეიძლება არის წმინდა ოპტიკურთან გადახლართული, რომ მათი ურთიერთ გან-
ცალკევების გზით ვერადროს მათ თვისებებებს ვერ დავიკეროთ.

მიუხედავად ამ შეგნებისა ჩვენ მაინც ცალკე და დამოუკიდებლად შევა-
მოწმეთ ჩვენი ვატმანების როგორც ზოგადი გონიერება ისე მათი თვალზომაც.
ამის მიზეზი ჩვენი მეთოდის ტექნიკური შესრულების სისუსტიეში უნდა ვეძიოთ.
ცხადია, რომ ამ მხრივ ჩვენს მეთოდის საგრძნობი გაუმჯობესება დასჭირდება.

¹⁾ Volkelt H. Fortschritte der experimentellen Kinderpsychologie, 1926. გვ. 16.



თვალზომის შესამოწმებლად ერთგვარი მარტივი მოწყობებული ფუნქციების გამოყენებით, რომელიც გამოსაცდელ პირს წერტილის გადანაცვლების შესაძლებლობას აძლევდა ორ მოცემულ წერტილს შუა. მას ორგვარი ამოცანა ჰქონდა შესასრულებელი: ა) ორ წერტილთა შორის შუა ადგილის მონახვა და ბ) ერთი წერტილის მეორე წერტილის პირდაპირ დაყენება.

რაც შეეხება ინტელექტს ანუ ზოგად გონიერებას, ცნობილი ამერიკული ე. წ. Army-tests აღფა გამოვიყენეთ იმ სახით, რა სახითაც მას შპილერი ინი ხმარობდა მოსკოვის ვატმანების ფსიქოტექნიკური შემოწმების დროს. ¹⁾ შეეცვალეთ მხოლოდ მერვე ტესტი, რომლის ნაცვლადაც შემოვიღეთ ამოცანა, მოცემულ რიცხვთა რიგში მიმართების მონახვისა. ამას დავუმატეთ აგრეთვე ზრდადი სირთულის ლაბირინტის ტესტებიც.

ყველაფრის ამის მიხედვით, ჩვენი გამოცდის პროცესი რომ ანალიტური თვალსაზრისით განვიხილოთ, ენახეთ, რომ მასში შემდეგი ფუნქციები მოწმდება: ზოგადი გონიერება, თვალზომა, ყურადღებისა და არჩევითი რეაქციის კოორდინაცია, სარეაქციო განწყობის ცვალება, ყურადღების განაწილება, რეაქციის სისწრაფე, ემოციონალური სიმტკიცე, მოძრაობის სისწრაფის აღქმა, გავრთნილობა.

5 გამოცდის შედეგების დამუშავება

ძველი ვატმანების გამოცდის შედეგთა დამუშავებისას ჩვენ მხოლოდ პირველ ეტპს ფუნქციას ვღებულობდით მხედველობაში, ხოლო სამსახურში ახლად მისაღებ პირთა გამოცდისას ყველა ცხრა ფუნქციას.

გამოცდის მასალა ჯერ ინდივიდუალურ ფურცლებში შეგვქონდა (თითოეულისათვის ცალკე ფურცელი იყო შედგენილი) და შემდეგ საერთო ფურცელში. გამოთვლილი იყო შეტომათა რიცხვი თითოეულის ცალკე ფუნქციის შემთხვევაში, შემდეგ არითმეტიკული საშუალო, საშუალო ვარიაცია და საშუალო გადახრა. ამგვარად მიღებული იყო მასალა თითოეული ფუნქციის ე. წ. „სარანგო ნუმრის“ გამოსარკვევად. აქედან დაწესებული იქნა თითოეული ცდის პირის ადგილი გამოცდილთა რიგში (ძირითადი გამოცდის მიმართ) ე. ი. თითოეულის „სარანგო ნუმერი“. რაც შეეხება ზოგად გონიერებასა და თვალზომას, მათი შეფარდებათა წონა ვატმანის პროფესიისათვის ჩვენთვის უცნობი იყო და ამიტომ ორივე ამ თვისების მიმართ ასე მოვიქცეთ: თითოეული ცდის პირის მიღწევები თითოეული ამ თვისების გამოცდაში სამზაღიანი სისტემის მიხედვით შევაფასეთ და მისი საერთო სარანგო ნუმრის დაწესებისას ამ შეფასებითაც ვისარგებლეთ.

თითოეული პირის შეფასება საშუალო ვარიაციიდან მისი საშუალო გადახრის მეტნაკლებობის მიხედვით ვაწარმოეთ. ამგვარად, ის პირები, რომელთაც ძირითად ფუნქციათა კომპლექსში—10 და მეტი გადახრა ჰქონდათ (საშუალო ვარიაცია 10 აღმოჩნდა) შეფასებულ იქმნენ როგორც კარგები; ისინი,

¹⁾ Шпилерни И. Н. ზემოდ დასაბელ. შრომა Гигиена труда 11/12.

რომელთაც—10 დან+10-მდე ჰქონდათ საშუალო გადახრის სიღრმე (+10—+32), რომელთაც არა და მამაკმაყოფილებელი. ეს უკანასკნელი ორად დაეჯგუფეთ: ა) სუსტები და ბ) ცუდები. ამ უკანასკნელთა წრეში შევიდნენ არა და მამაკმაყოფილებელი, რომელთაც სუსტი ნიშანი ჰქონდათ სხვა ფუნქციებში.

ა. გამოცდილი პირების პროფესიონალური ვარგისობა

სულ 200 ძველი ვატმანი გამოვსცადეთ. იგინი სხვადასხვა მზრივ განსხვავდებოდნენ ურთიერთისაგან: ჰასაკით, ეროვნობით, განათლებით, სამსახურის სტაჟით... და თანახმად იმ წესისა, რომელიც ჩვენს შეფასებას დაედო საფუძვლად, გამოირკვა, რომ მათ შორის 24 კაცი ე. ი. 12% კარგებად უნდა იყვნენ ცნობილნი, ცუდებად სწორედ ამდენივე ე. ი. 24 კაცი (12%), სუსტებად—49 კაცი (24,5%) და დანარჩენი 103 კაცი ე. ი. 51,5%—დამაკმაყოფილებელი. ამ ცნობათა მიხედვით რომ სათანადო მრუდის აგება ვცადოთ, თითქმის წმინდა გაუსის მრუდეს მივიღებთ, რაც უძველია ჩვენი შედეგების სისწორის სასარგებლოდ ლაპარაკობს.

ბუნებრივად დგება საკითხი, რამდენად სანდოდ შეიძლება ჩაითვალოს ჩვენი გამოცდების მიხედვით ნაწარმოები შეფასება ვატმანის პროფესიონალური ვარგისობისა. ეს საკითხი ძირითადი მნიშვნელობის საკითხია, რე იმის მიხედვით თუ რა პასუხს მივიღებთ მასზე, უნდა გადაწყდეს ჩვენი მეთოდის ღირებულება.

საბედნიეროდ, მასალა ამ საკითხის გადასაჭრელად საკმაოდ საიმედო აღმოჩნდა. საქმე ისაა, რომ ჩვენ მიერ გამოცდილი პირები ტფილისის ტრამვაის ვატმანთა პერსონალიდან იყვნენ აყვანილნი, და ტრამვაის დირექციის დოკუმენტურ მასალა მოეპოვებოდა თითოეულის მათგანის მუშაობის სიაგეგმის შესახებ. ამგვარად, ჩვენი მეთოდის სისწორის შესაფასებლად გადაამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა იმ შედეგებს, რომელსაც ჩვენი გამოცდისა და ტრამვაის დირექციის მასალების ერთმანეთთან შედარება მოგვცემდა.

გამოცდების დამთავრების შემდეგ ტრამვაის დირექციისა და ფსიქოტექნიკური შემოწმების ხელმძღვანელთა საერთო სხდომა იქნა დანიშნული, სადაც ორივე სახის მასალათა შედარება იქნა წარმოებულნი, გამოირკვა სრულიად ცხადად, რომ ფსიქოტექნიკური გამოცდისა და ტრამვაის დირექციის ხანგრძლივი დაკვირვების მასალები ზედმიწევნით ეთანხმებოდნენ ურთიერთს (99% ყველა შემთხვევისა).

ერთ შემთხვევაში ტრამვაის დირექციის მასალები განსაკუთრებით მძაფრად ეწინააღმდეგებოდნენ ფსიქოტექნიკური შემოწმების შედეგებს: უკანასკნელთა მიხედვით ერთ-ერთი გამოსაცდელი პირი ცნობილ იქნა ერთ-ერთ საუკეთესოთაგანად, ხოლო დირექციის ცნობით იგი სუსტთა შორის უნდა ყოფილიყო მოთავსებული. ცხადია, აქ რალაც განსაკუთრებული გარემოება უნდა ყოფილიყო, რასაც საგანგებო შესწავლა ესაჭიროებოდა. საუბარმა იმ წამსვე გაარკვია, რომ აღნიშნული პირი „გაუსწორებელ ალკოჰოლიკად“ ითვლებოდა.

ქართული

მაშ ჩვენს წინაშე ასეთი საკითხი დადგა: ხომ არ აიხსნენა შეფასებისას დასხვაობა ფსიქოტექნიკურ გამოცდისა და დირექციის მასალათა მიხედვით სწორედ იმ ვარაუდებით, რომ ამ შემთხვევაში ალკოჰოლიკთან გეჰონდა საქმე, რომელიც ფსიქოტექნიკური გამოცდის დროს ფიზიკური იყო, ხოლო სამსახურში ზოგჯერ მთვრალი მოდიოდა და სწორედ ასეთ შემთხვევებში ვატმანისათვის შეუწყნარებელ შეტომებს ჩადიოდა. სხვანაირად, გამოსარკვევი იყო საკითხი: რა გავლენას ახდენს ალკოჰოლი ფსიქოტექნიკური გამოცდის შედეგებზე?

ჩვენს ოქმებში ამ საკითხის გადასაწყვეტი მასალაც მოიპოება. ერთ-ერთი გამოსაცდელი პირი გამოცდაზე ლენო დაღეული გამოცხადდა. მიუხედავად ამისა, იგი მაინც გამოიკადა. თანახმად მისი თხოვნისა, იგი სიფრთხილეშიც იქნა შემოწმებული. აღმოჩნდა, რომ გამოსაცდელი პირის მუშაობის უნარი მცირე სიმთვრალის მდგომარეობაშიც კი ძლიერ საგრძნობლად მცირდება: იგი 50% ნაკლებია ჩვეულებრივზე. განსაკუთრებით საგულისხმოა რომ გამოსაცდელი პირის შედეგები თვალზომისა და ზოგადი გონიერების შემოწმების პროცესში ორივე შემთხვევაში უცვლელი დარჩა. 50% -ით მარტო მთავარი ცდის შედეგები გაუარესდა.

აქედან ძლიერ საგულისხმო დასკვნა გამომდინარეობს: ვატმანის მუშაობის მიმდინარეობაზე დიდ გავლენას ახდენს სამთვრალის ისეთი დაბალი ხარისხი, რომელიც მხედველობის და მოსაზრების უნარისათვის სრულიად ინდიფერენტულად შეიძლება ჩაითვალოს. ცხადია, რა გინდ დიდი უნდა იყოს ამა თუ იმ სუბიექტის ბუნებრივი ვარგისობა ვატმანის პროფესიონისათვის, საქმარისია მცირედენი გავლენა ალკოჰოლისა, რათა იგი იმწამსვე უვარგისი მოქმედების დონემდე დაქვეითდეს.

რადგანაც ფსიქოტექნიკური შემოწმების შედეგთა მიუხედავად ჩვენ მიერ გამოცდილი პირები მაინც თავის თანამდებობაზე დარჩენ, სრული შესაძლებლობა გეჰონდა, შემდეგი მათი მუშაობისათვისაც თვალყური გვედევნებია. აქაც აღმოჩნდა, რომ ჩვენი გამოცდის შედეგები კატასტროფათა ცალკე შემთხვევებში ზედმიწევნით მართლდებოდენ: დღემდე არც ერთხელ არ ყოფილა შენიშნული, რომ კატასტროფაში რომელსამე ჩვენ მიერ დამაკმაყოფილებლად ან კარგად ცნობილ ვატმანს რაიმე ბრალი დადებოდა.

ბ. ვატმანის პროფესიონალური ვარგისობა ხნოვანობის მიხედვით

ჩვენ მიერ შემოწმებული პირები სხვადასხვა ხნოვანობის იყვნენ, ოცი წლიდან დაწყებული სამოცდა შვიდ წლამდე. თვით გამოცდების დროსაც იქნა შენიშნული, რომ ხნოვანობას რალაც კანონზომიერი კავშირი უნდა ჰქონდეს ვარგისობის ხარისხთან. ვარდა ამისა, ცნობილია, რომ ადამიანის შრომის უნარიანობა სხვადასხვა გვარია იმის მიხედვით, თუ რა ჰასაკში იმყოფება იგი. კერძოდ M o e d e - მ საგანგებოდ შეისწავლა, თუ რა დამოკიდებულება არსებობს შოფერის ხნოვანობასა და პროფესიონალური ვარგისობის ხარისხს შორის და თავისი შედეგები ცნობილი მრუდის სახით მოგვცა, რომელიც საერთოდ სხვა მკვლევართა მიერ მოპოებულ შედეგებს საქმოდ კარგად ეთანხმება.

რაც შეეხება ჩენს მასალას, იგი შემდეგ სურათს იძლევა:

200 კაციდან: 1) 20—40 წლის იყო 29 კაცი;
 2) 31—40 „ „ 57 კაცი;
 3) 41—50 „ „ 79 კაცი;
 4) 51—67 „ „ 24 კაცი;

თითქმის სამ მეოთხედს, მაშასადამე, 31—50 წლის სუბიექტები შეადგენდნენ. თითოეული ამ ოთხი ხნოვანობის საფეხურის წარმომადგენელი შემდეგნაირად აღმოჩნდნენ განაწილებულნი იმ ოთხ ჯგუფს შორის, რომელიც გამოცდების შედეგების მიხედვით მივიღეთ:

	ხნოვანობა	კარგი	დაბ- კმაყ- ოფ.	სუს- ტი	ცუდი	ვარ- გისი	უვარ- გისი
1.	20—30	33	47	20	„	80	20
2.	31—40	12	58	20	10	70	30
3.	41—50	11,5	45	32	11,5	56,5	43,5
4.	51—67	„	33,3	33,3	33,3	33,3	66,7

ც ბ რ ი ლ ი I.

ცხრილში აღნიშნული ციფრები გვითვალისწინებს პროცენტულად თითოეული ხნოვანობის წარმომადგენელთა მონაწილეობას ვარგისობის თითოეულ ჯგუფში. ირკვევა, რომ ყველაზე დიდ პროცენტს კარგებისას და დამაკმაყოფილებლებებისას 20—30 წლის ჰასაკი იძლევა: ცუდი ამ ჰასაკის არცერთი წარმომადგენელი არ აღმოჩნდა. მეორე ადგილი ხნოვანობის შემდეგ საფეხურს უკავია (31—40 წ.) მათ შორის კარგების რიცხვი ისე დიდი არაა, როგორც წინა ჰასაკში, ცუდებიც საკმაოდ მოიპოვება (10%), მაგრამ საერთოდ ვარგისთა რიცხვის მიხედვით მას მეორე ადგილი უკავია. ორმოცი წლიდან დაწყებული ვარგისთა რაოდენობა საგრძნობლად მცირდება, ხოლო უვარგისთა რიცხვი იზრდება და უკვე 43,5%-ს აღწევს. მაგრამ წინა ჰასაკთან შედარებით მაინც და მაინც დიდ განსხვავებას არ წარმოადგენს. სამაგიეროდ 51 წლიდან მდგომარეობა რადიკალურად იცვლება: ამ ჰასაკის წარმომადგენელთა შორის არცერთი კარგი არ აღმოჩნდა, ცუდების რიცხვი 33,3%-მდე ავიდა; სულ კი უვარგისთა საერთო რიცხვი—66,7% აღწევს ნათლად ირკვევა, რომ ჰასაკი ვარგისობას ერთ-ერთს უმკველსა და მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს და რომ მოხუცებულობის ჰასაკი ისეთი პასუხსაგები პროფესიისათვის, როგორც ვატმანობაა, შეუფერებელ მასალას იძლევა. სამაგიეროდ, 20—30 წლის ჰასაკი—ამ პროფესიისათვის მაინც ყველაზე უფრო შესაფერისად უნდა ჩაითვალოს.

აქედან ერთი პრაქტიკული ხასიათის დასკვნა მაინც უმკველად გამომდინარეობს: ვატმანების პერსონალის შევსებისას დანარჩენ პირობათა თანასწორობის შემთხვევაში უპირატესობა 20—30 წლის ჰასაკის წარმომადგენელთ უნდა მიენიჭოს.

საქონლის

8. სწავლა-განათლების გავლენა ვატმანის პროფესიონალურ-განათლებაზე

ჩვენი ცდის პირები განათლებითაც განსხვავდებოდნენ ურთიერთისაგან: იყვნენ წერაკითხვის სრულიად უცოდინარნი, ძაგრამ მათ შორის იყვნენ ისეთებიც, რომელთაც სხვადასხვა საფეხურის სკოლაში ჰქონდათ სწავლა მიღებული. ვინაიდან სასკოლო განათლებას, თუნდ პირველდაწყებითსაც, სისტემატიური ხასიათის გამო, დიდი გავლენა აქვს პიროვნებაზე, ჩვენი ცდის პირები ორ ჯგუფად გავყავით: პირველ ჯგუფში შევიდნენ ისინი, ვისაც სასკოლო განათლება ჰქონდა მიღებული, მეორე ჯგუფში კი—ყველა დანარჩენი. სულ პირველ ჯგუფში აღმოჩნდა 63 კაცი, ხოლო მეორეში—137. ცხრილი II გვიჩვენებს, თუ როგორ არიან იგინი განაწილებული ვარჯისობის სხვადასხვა ჯგუფებში:

ც ხ რ ი ლ ი II

	ვარჯები	დამკმაყ.	სუსატები	ცუფები	ვარჯისი	უვარჯისი
სკოლაში ნასწავლი	22 %	49 %	20 %	8 %	71 %	28 %
სკოლაში უსწავლ.	7 %	52 %	27 %	14 %	59 %	41 %

სრულიად ცხადად ჩანს, რომ სკოლაში განათლება მიღებულთა წრე უფრო მეტ პროცენტს იძლევა გამოსადეგი ვატმანებისას, ვიდრე გაუნათლებულთა წრე. მაგრამ მათთვის ეს იმდენად დამახასიათებელი არაა, რამდენადაც ის გარემოება, რომ მათი წრიდან განსაკუთრებით დიდი ნაწილი კარგებს ის რიცხვში ურევია: მეხუთედზე მეტი (22%) კარგებად იქმნენ ცნობილნი, ნაშინ როდესაც უსწავლელთა სულ 7% მოხვდა ამავე ჯგუფში.

შეიძლება საკითხი დაისვას: ხომ არ აიხსნება უსწავლელთა ვარჯისობის ასეთი დაბალი დონე იმით, რომ ჩვენს უსწავლელ ცდის პირთა შორის სწორედ მოხუცები სჭარბობდნენ და მამასადამე ხომ არა გვაქვს ამ შემთხვევაში საქმე ისევ ხნოვანობის, და არა სწავლა განათლების ფაქტორის ზეგავლენასთან?

ამ საკითხის გადასაჭრელად სხვადასხვა გზა შეიძლება არჩეულ იქმნეს. ჩვენ შემდეგ გზას დავადექით: გამოვიანგარიშეთ როგორც ვარჯისთა ისე უვარჯისთა, ისე ნასწავლთა და უსწავლელთა პროცენტული რაოდენობა ორი მნიშვნელოვანი ჰასაკობრივი საფეხურისათვის: 20—40 წლამდე და 41—67 წლამდე. გამოირკვეა შემდეგი (იხ. ცხრილი III):

ც ხ რ ი ლ ი III

ჰახაკი	ნასწავლი		უსწავლელი		უვარჯისი		ვარჯისი	
	რიცხ.	%	რიცხ.	%	რიცხ.	%	რიცხ.	%
20—40	30	35	56	65	64	75	22	25
41—67	25	30	78	70	43	45	60	55

ამ ორი ჰასაკობრივი საფეხურის ნასწავლ და უსწავლელ პირთა რიცხვების შეფარდება დიდად განსხვავდება იმ შეფარდებისაგან, რომელიც არსებობს იმავე ჰასაკობრივი საფეხურების პროფესიონალურად ვარგის და უვარგის პირთა რიცხვებს შორის: „ნასწავლთ“ და „ვარგისთ“ რომ თავი დავანებოთ და მარტო „უსწავლელები“ და „უვარგისნი“ ავიღოთ, შემდეგ შეფარდებას მივიღებთ: უსწავლელებისათვის $\frac{65}{70}$ ხოლო „უვარგისთათვის“ $\frac{25}{55}$ რომ ამ შემთხვევაში მართლა მარტო ჰასაკის ფაქტორის გავლენასთან გვექონოდა საქმე, ცხადია, აღნიშნულ შეფარდებათა შორის ასეთი თვალსაჩინო განსხვავება არ უნდა ყოფილიყო.

დ. ეროვნული შთამომავლობა და პროფესიონალური ვარგისობა.

ტფილისის ტრამვაის პერსონალი თავისი ეროვნული შემადგინლობის მხრივაც საკმაოდ კრელია. იმ ორას კაცში, რომელიც ჩვენ გამოვეცადეთ, 100 კაცი ქართველი აღმოჩნდა, 50—სომეხი და 47 რუსი (რუსთა შორის უკრაინელებიცაა აღნიშნული). ვარგისობის ხარისხის ჯგუფთა შორის იგინი შემდეგნაირად არიან განაწილებულნი (იხ. ცხრილი IV).

ც ხ რ ი ლ ი IV

	კარგები		დამაკმაყ.		სუსტები		ცულები		ვარგისნი		უვარგისნი	
	რიცხ.	%	რიცხ.	%	რიცხ.	%	რიცხ.	%	რიცხ.	%	რიცხ.	%
ქართველები .	14	14	52	52	23	23	11	11	66	66	34	34
სომეხები . . .	5	10	28	56	11	22	6	12	33	66	17	34
რუსები	5		23	51	12	25	6	13	29	62	18	38
ს უ ლ .	24		103		46		23		128		69	

როგორც ცხრილიდან ჩანს, ეროვნული წარმოშობების ფაქტორი მაინც და მაინც დიდ გავლენას არ ახდენს ვატმანის პროფესიონალურ ვარგისობაზე: სომეხები და ქართველები ვარგისთა ერთსა და იმავე პროცენტს იძლევიან. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ქართველთა შორის „კარგები“ უფრო ხშირად, ხოლო „ცულები“ უფრო იშვიათად გვხვდება, ვიდრე სხვა ერების წარმომადგენელთა შორის. სამაგიეროდ სომეხებს „დამაკმაყოფილებელთა“ შორის პირველი ადგილი უკავიათ, ხოლო „სუსტთა“ შორის უკანასკნელი ადგილი.

ამგვარად, ყველა ჩვენ მიერ შესწავლილ ფაქტორთა შორის ყველაზე დიდი გავლენა ჰასაკისა და სწავლა განათლების ფაქტორს აღმოაჩნდა, ხოლო ყველაზე ნაკლები—ეროვნული შთამომავლობის ფაქტორს.

ისტორიული ახიუდაგი

აზგარული რევოლუციის მამოძრავებელი ფაქტორი

I.

სამართლიანად აღნიშნავს ანტ. ფ. მახარაძე: „1861 წლის საგლეხო რეფორმის ბატონ-ყმური დამოკიდებულება არსებითად არ გაუქმებია, რეფორმამ მხოლოდ იურიდიული საფუძველი გამოაცალა ბატონ-ყმურ ურთიერთობას. რაც შეეხება მის ნივთიერ საფუძველს, აქ მან ისეთი ყალთაბანდობა იხმარა, რომ ნახევარი საუკუნით დაავიანა ბატონ-ყმურ ურთიერთობათა სრულიად აღმოფხვრა“. 1) ბატონ-ყმურ დამოკიდებულებამ მხოლოდ გარეგნულად იცვალა სახე, არსებითად კი იგივე დარჩა, როგორც წინათ იყო, თუ კიდევ უფრო არ ვამაგრდა“. 2) მართლაც, ვინც კარგად ჩაუკვირდება „დიდი რეფორმის“ შინაარსს, ადვილად შეამჩნევს ფეოდალურ ხელისუფლების „ყალთაბანდობას“. ამ რეფორმამ „გამაგრდა“ ბატონ-ყმური საზოგადოებრივი ურთიერთობა. აქ გასაკვირი არაფერია, საჭიროა მხოლოდ გაცნობა იმ მძიმე მდგომარეობის, რომელშიაც რუსული ფეოდალიზმი იმყოფებოდა გასულ საუკუნის პირველ ნახევარში. ეს მდგომარეობა შეიძლება დავახასიათოთ რამოდენიმე სიტყვით: ფეოდალური მეურნეობის სისტემა გაბრწყინდა და დაშლის გზაზე იდგა, ბატონ-ყმობის ეკონომიური საფუძველები რღვევის პროცესს განიცდიდა, ფეოდალურ საზოგადოებას ნივთიერი საძირკველი ეკარგებოდა.

მეორე მხრივ, დასავლეთ ევროპის მსხვილ სახელმწიფოებში უკვე განმტკიცებული და განვითარებული იყო ახალი სოციალური ურთიერთობა—კაპიტალისტური, ბურჟუაზიული საზოგადოებრივი დამოკიდებულება. ფეოდალური რუსეთი ეკონომიურად აშკარათ დაუპირისპირდა კაპიტალისტურ ევროპას. ამ დაპირისპირებაში, რასაკვირველია, რუსეთი უძლური აღმოჩნდა და უკანდახევის გზას დაადგა. ევროპის კაპიტალმა გზა გაიკვლია რუსეთისაკენ, მართალია, გზა მიკბ-მოკბული, ეკლიანი, მაგრამ საბოლოოდ მაინც დიდი იმედისა და შესაძლებლობის მომცემი. შეუძლებელი შეიქნა ორი დიამეტრალურად მოწინააღმდეგე სამეურნეო სისტემის—კაპიტალისტურისა და ფეოდალურის—

1) ფ. მახარაძე, თხზულებათა კრებული ტ. III, 1926 წ., ახელგამი; გვ. 10.

2) ibid. გვ. 30; უფრო დაწერილებით: გვ. 294—295.

ქრონიკა

„სამუდამოთ“ შერიგება, კეთილმეზობლური არსებობა. მეურნეობის განვითარებულ, მაღალ ფორმას, აშკარაა, ვერ ვიხსენებდებოდა უფრო დაბალი, ჩამორჩენილი, განუვითარებელი, მომაკვდავი ფორმა. ფეოდალური რუსეთი კაპიტალისტურ ევროპის მეტოქეთ ვერ გამოდგებოდა. ასეთია ისტორიულ განვითარების აუცილებელი კანონი: მაღალ საფეხურზე მდგომი წარმოების სისტემა ყოველთვის იპყრობს და იმორჩილებს შედარებით მარტივ, დაბალ საფეხურზე მდგომ სამეურნეო სისტემას, ფეოდალური რუსეთის დიდი ხნით არსებობა კაპიტალისტურად განვითარებულ, დაწინაურებულ ევროპის გვერდით აშკარათ ეწინააღმდეგებოდა ამ კანონს და, ადრე თუ გვიან, რუსეთის ფეოდალიზმსაც მოეღებოდა ბოლო.¹⁾ და მართლაც, პირველი მაგალითი ფეოდალურ რუსეთს უჩვენა ყირიმის ომმა. ეს მწარე მაგალითი იყო ბატონ-ყმურ რუსეთისათვის. ყირიმის ომმა ნათლად დაანახა მაშინდელ რუსეთს ფეოდალურ წყობილებებს სრული დახვეცება, უილაჯობა, ეკონომიური მიზანშეუწონლობა. ფეხს იკიდებდა და ვითარდებოდა გლეხური მოძრაობაც. რა თქმა უნდა, ფეოდალურ ურთიერთობის „ცოცხალ“ საფუძველს დამონაცემული, ყოველგვარ თავისუფლებას მოკლებული გლეხობა შეადგენდა. რამდენად ხავსდებოდა, იხრწნებოდა და შინაგან წინააღმდეგობის ბადეში იხლართებოდა ფეოდალური წყობილება, იმდენად უფრო აუტანელი ხდებოდა მრავალმილიონიან გლეხურ მასების ცხოვრება. ამას მოყვა გლეხურ მოძრაობის განვითარება. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1826—1855 წლების განმავლობაში ადგილი ქონდა გლეხურ გამოსვლებსა და „ბუნტის“ 556 შემთხვევებს. „მხეცურად“ იქნა მოკლული 144 ფეოდალი. მემამულეთა რუსეთისათვის თანდათან აშკარა ხდებოდა,

1: „ისტორია მეორდება“, მაგრამ სხვა შინაარსით, რასაც ვერ ვიხსენებ. თანამედროვე რუსეთი—მთელი საბჭოთა კავშირი—დიამეტრალურადაა დაპირისპირებული მთელ მსოფლიოსთან, კერძოდ—კაპიტალისტურ ევროპასთან. ისტორიულად კაპიტალისტური ევროპა ებრძოდა ფეოდალურ რუსეთს, ფეოდალურ კულტურას. დღეს კი—სოციალისტური რუსეთი ებრძვის კაპიტალისტურ კულტურას, ბურჟუაზიულ კაცობრიობას. აქ დაპირისპირებულია წარმოების ორი სისტემა—საბჭოთა და კაპიტალისტური. წარმოების საბჭოთა სისტემა არის გარდაბნული ეკონომიკის გამოშატეველი ფორმა, რომელიც ვითარდება სრული კომუნისტური მეურნეობისა და საზოგადოებრივ ურთიერთობის განვითარების მიმართულებით. ეს ფორმა მაღალსდგას წარმოების კაპიტალისტურ, ექსპლუატატორულ-ანარქიულ ფორმაზე. მართალია, ტენიჭურ-ეკონომიურ განვითარების თვალსაზრისით კაპიტალისტური ევროპა წინსდგას საბჭოთა კავშირთან შედარებით, მაგრამ ეს არ არის დამახასიათებელი. ეს „ტენიჭური“ მოვლენაა, დროულენა, გარდაბნული. დამახასიათებელია წარმოების წესი—მეურნეობის ფორმა. ამ თვალსაზრისით საბჭოთა ეკონომიკა სამეურნეო ევოლიუციის უფრო განვითარებული საფეხურია, კაპიტალისტური მეურნეობა—უფრო დაბალი, საბჭოთა კავშირისა და კაპიტალისტურ მსოფლიოს შორის არსებობს არა მარტო პოლიტიკური დაპირისპირება,—არსებობს სასტიკი ეკონომიური წინააღმდეგობა. აქ მეურნეობის ორი სისტემა დაპირისპირებული. ლენინი ხშირად ამბობდა, დიდი ხნით შექმნილია მათი „კეთილმეზობლური“ ურთიერთობა. ისტორიის გაკვეთილიც ასეთია. ფეოდალური რუსეთი დაამარცხა კაპიტალისტური ევროპამ, სოციალისტური რუსეთი კი დაამარცხებს კაპიტალისტურ ევროპას. წარმოების მაღალი ფორმა აუცილებლად იმარჯვებს წარმოების დაბალ ფორმაზე. ამიტომაც არის, ევროპულ კაპიტალიზმის ბრძოლა „რუსულ“ სოციალიზმთან განვირუდოდა, გამარჯვების ყოველგვარ იმედს მოკლებული...

რომ მართო რეპრესიული ზომებით შეუძლებელი იყო გლეხურ-მეწარმეობის „მიწის აჯანყების“ საფრთხით ჩაქრობა“.

რუსეთის მეფეები ყოველთვის განირჩეოდნენ აზიური დესპოტიზმით, სრული პოლიტიკური იდიოტიზმით და წინდაუხედველობით. ამ წიხრე ერთგვარ „გამონაკლისს“ შეადგენდა პეტრე „დიდი“, შემდეგ—ალექსანდრე II. პირველმა „ფანჯრები ჩაუმტვრია“ ევროპას, მეორემ—„აღლო აღლო“ ფეოდალურ ურთიერთობით შექმნილ მდგომარეობას. უკანასკნელმა დესპოტმა ხელი შეუწყო ფეოდალურ ურთიერთობის გახანგრძლივებას. 1861 წლის რეფორმამ ააცილა ფეოდალურ რუსეთს გლეხური რევოლუცია, რომლითაც, როგორც ლენინი ამბობს, ორსულათ იყო მაშინდელი საზოგადოება. ჩვენ ზევიდან თუ არ ვაეანთავისუფლებთ გლეხებს, ისინი ქვევიდან გაინთავისუფლებენ თავსო,—უმტკიცებდა ალექსანდრე II რუსეთის ფეოდალურ არისტოკრატებს.

აი რატომ არის სწორი ის დებულება, რომ „დიდ რეფორმას“ კი არ მოუსპია ბატონ-ყმური ურთიერთობა, „მხოლოდ გარეგნულად შეიცვალა“ ის, „არსებითად იგივე დარჩა“ გლეხობის მდგომარეობა. კიდევ მეტი, შეიძლება ითქვას, უფრო გაამწვავა, გაართულა და აუტანელი გახადა ეს მდგომარეობა. 1861 წლის რეფორმამ მართლაც „კიდევ უფრო გაამაგრა“ ფეოდალურ ურთიერთობის საფუძვლები, რასაკვირველია, სხვა სახით, სხვა ფორმით, მაგრამ იგივე შინაარსით, ბუნებით და ხასიათით. ასეთი დასკვნა საფრთხით შეეფერება მაშინდელ საზოგადოებრივ ურთიერთობის მეცნიერულ შესწავლას და ეკონომიურ ვითარების ანალიზს.

მაგრამ ჩვენ დიდათ შეეცდებით, თუ ვიტყვით, 1861 წლის რეფორმას არავითარი თვალსაჩინო შედეგი არ მოუტოვია, საგულსხმო კვლი არ გაუვლია რუსეთის ეკონომიურ განვითარების ისტორიაში. გლეხობა განთავისუფლდა... მიწისგან, როგორც მოსწრებულად შენიშნავს ლენინი. გლეხობის მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა, მაგრამ შედარებით გზა გაეხსნა კაპიტალისტურ წარმოების განვითარებას, ბურჟუაზიულ ურთიერთობის შემოღებას. „განთავისუფლებულ“ რუსეთის წინაშე წამოიჭრა მეურნეობის კაპიტალისტური წესების შემოღების პრობლემა, კაპიტალისტურ მეურნეობაზე გადასვლის საკითხი, ერთი სიტყვით—კაპიტალიზმის განვითარების აუცილებლობა. ცხადია, რუსეთი ვერ აცდებოდა ეკონომიურ განვითარების იმ გზას, რომლითაც მთელი „განათლებული“ ევროპა მიდიოდა. ეს იყო კაპიტალიზმის აღორძინების გზა, კაპიტალისტური წარმოების ევოლუცია.

ეკონომიურ განვითარების ისტორია იძლევა კაპიტალიზმის აღორძინების, კაპიტალიზმის „განხორციელების“ ორ გზას. პირველი არის ამერიკული ტიპი კაპიტალისტურ ევოლუციის, მეორე—პრუსიულ-იუნკერული. ორივე ეს გზა კაპიტალიზმისაკენ მიემართება, ერთია ორივე გზის უკანასკნელი წერტილი. მაგრამ მათ შორის არსებობს დიდი, მნიშვნელოვანი განსხვავებაც. კაპიტალიზმის აღორძინების პრუსიულ-იუნკერული გზა არის ზედმიწევნით ელღი, ხანგრძლივი, ევოლუციური, ამერიკულის კი—ჩქარი, რევოლუციური, სწორხაზობრივი. პირველ შემთხვევაში ფეოდალური მეურნეობა

თანდათანობით ვითარდება კაპიტალიზმის მიმართულებით, ბუნებრივად შექონებული საშოში თანდათან იზრდება კაპიტალისტურ წარმოების წინააღმდეგობა. ფეოდალური მეურნეობა იქცევა, ბოლოსდაბოლოს, კაპიტალისტურ მეურნეობათ, ფეოდალური აგრარული ურთიერთობა ბურჟუაზიულ აგრარულ ურთიერთობათ. ეს ხანგრძლივი პროცესია, მთელი ეპოქა ეკონომიურ ევოლიუციის. ფეოდალი საბოლოოდ მაინც ფერმერთა იცვლება. მეორე შემთხვევაში ფეოდალური მეურნეობა ერთის დაკვირვებით იზრდება, ფეოდალური უფლება მიწაზე დაუყენებელი ისპობა და ჩქარი ნაბიჯით ვითარდება აგრარული კაპიტალიზმი. ფეოდალის იდგილს ფერმერ-კაპიტალისტი იკავებს.

ასეთია ორი გზა კაპიტალისტურ ევოლიუციის. პირველ გზით, სწერს ლენინი, ფეოდალური მეურნეობა „ნელათ გადადის ბურჟუაზიულ, იუნკერულზე, ხოლო გლეხობა ვარდება აუტანელ ექსპროპრიაციასა და მონობაში მთელი ათეული წლების განმავლობაში, გამოიყოფა უმნიშვნელო უმცირესობა *grasshopper*-ების („მსხვილი გლეხების“). ხოლო მეორე გზით მემამულის მეურნეობა არ არის ანდა ის იშლება რევოლუციით, რომელიც ახდენს ამ მეურნეობის კონფისკაციას და ანაწილებს მას... ასეთ შემთხვევაში მიწათმოქმედების ერთადერთ აგენტათ ხდება გლეხი, რომელიც კაპიტალისტ-ფერმერთა იქცევა. პირველ შემთხვევაში ევოლიუციის ძირითად შინაარს შეადგენს ბატონ-ყმობის... გადასვლა კაპიტალისტურ ექსპლოატაციაში ფეოდალობის, მემამულე-იუნკერების მიწაზე. მეორე შემთხვევაში ძირითადი ხაზია—პატრიარქალურ გლეხის გადაქცევა ბურჟუაზიულ ფერმერთა.“¹⁾ აქედან აშკარაა კაპიტალიზმის განვითარების ამ ორი გზის დიდი განსხვავება ერთმანეთისგან. მართალია, ეს განსხვავება არ არის ძირითადი, პრინციპიალური. პრუსიულ-იუნკერულმა გზამ ჩვენ მოგვცა ღრმად განვითარებულ კაპიტალიზმის მაგალითი გერმანიაში. ასეთივე მაგალითი მოგვცა „ამერიკულმა“ გზამ შეერთებულ შტატებში. მაგრამ სერიოზული განსხვავებაა კაპიტალიზმის განვითარება-ალორძინების სიჩქარეში. რაც ათეულ წლების განმავლობაში მოხდა პრუსიაში, ის ერთეულ წლების სივრცეზე განხორციელდა—შეიძლება უფრო ღრმად და საფუძვლიანად—ამერიკაში. აქ განსხვავება რიცხობრივია და არა თვისობრივი.

მაგრამ რიცხობრივობა თვისობრივობაში გადადის. კაპიტალისტურ ევოლიუციის „იუნკერული“, პრუსიული გზა „გლეხობას ავდებს აუტანელ ექსპროპრიაციასა და მონობაში.“ ეს „ექსპროპრიაცია და მონობა“ არის განსაკუთრებული, განსხვავებული. ის ღრმად განირჩევა კაპიტალისტურ ექსპლოატაციისგან. *Grossbauer*-ების „გამოყოფა“ სრულებით ნელი, უმნიშვნელო ტემპით ხდება. უმთავრესად მაინც ფეოდალური და ნახევრადფეოდალური მეურნეობის სისტემა რჩება გაბატონებული. კაპიტალიზმის განვითარების პრუსიული მეთოდი ათავსებს, არიგებს, აკანონებს წარმოების კაპიტალისტურ და ფეოდალურ წესებს. აქ არის სრული არცა ამ წესების. წარმოების კაპიტალისტური მეთოდი იხლართება წარმოების ფეოდალურ მეთოდებში, ამას ჩვენ შეგვიძლია ვუწოდოთ წარმოებათა კაპიტალისტურ და ფეოდალურ წესების მქაანიკური შეთავსე-

¹⁾ Н. Ленин. Собр. соч. т. IX, гл. 443-444.

ბა. ნამდვილად კი ამ წესების შეერთება, გაერთიანება ყოველგვარ შემთხვევაში და ეკონომიურად წარმოუდგენელი. სამაგიეროთ, „პრუსიული“ კაპიტალიზმი¹⁾ საკვირველი შინაგანი სიმწყობრით აერთიანებს კაპიტალისტურ და ფეოდალურ ექსპლოატაციის მეთოდებს. ამ ვითარდება „აუტანელი ექსპროპრიაცია და მონაობა“ გლეხობის მთლიან მასების. მათ ექსპლოატაციის და განუსაზღვრელი ყვლეფის საქმეში წარმოების კაპიტალისტური და ფეოდალური წესები შეკავშირებულია მართლაც ორ განიულათ. ამ შემთხვევაში გლეხი იყვლიფება როგორც დაქირავებული ძალა და როგორც „ყმა“—ბატონისაგან დამოკიდებული. აირატომ იყო განსაკუთრებით აუტანელი რუსეთის გლეხის მდგომარეობა. რუსეთმა ფეხი შესდგა ეკონომიურ განვითარების პრუსიულ გზაზე. ლენინი ამბობდა: „აგრარულ ურთიერთობის უდიდესი თავისებურება რუსეთში გამოიხატება ბატონ-ყმურ და ბურჟუაზიულ ექსპლოატაციის მეთოდების გადახლართვაში“. ¹⁾ ამ სრულებით სხედასხვა მეთოდების „გადახლართვა“ გამოიწვია რუსეთის გლეხობის უდიდესი ნაწილის, აბსოლუტური უმრავლესობის წარმოუდგენელი ყვლეფა, ეკონომიური გაჭირვება, გამვალტყაყება. როცა ჩვენ ვიკვლევთ რუსეთის გლეხ-კაცობის როლს და ხვედრითი წონას რევოლიუციონურ მოძრაობაში, ეს მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი მუდამ უნდა გვკონდეს მხედველობაში.

ჩვენ სრულებით არ ვმალავთ და ხელს არ ვაფარებთ „ამერიკულ“ აგრარულ კაპიტალიზმის სისასტიკესაც. კაპიტალიზმის „სწორბაზობრივი“ ევოლიუცია სოფლის მეურნეობაში, ბურჟუაზიულ აგრარულ ურთიერთობის ჩქარი განვითარება როდი უარყოფს გლეხურ მასების ექსპლოატაციას. პირიქით, აგრარული კაპიტალიზმის განვითარება „ამერიკული“ გზით ჰგულისხმობს გამწვავებულ კლასთა ბრძოლას, მკაცრ ექსპლოატაციას და გლეხობის დიდი ნაწილის გადატყეობას, ვაბროლეტარებას,—იმას, რასაც მარქსი უწოდებდა—შწარბოებლის განცალკევებას, მოცილებას საწარმოო საშუალებებისაგან. მაგრამ სწორედ ამაში გამოიხატებოდა საზოგადოებრივ განვითარების პროგრესი: ერთის მხრივ—განვითარება საწარმოო ძალების, ბურჟუაზიულ აგრარულ ურთიერთობის, მსხვილ კაპიტალისტურ სასოფლო მეურნეობის და, მეორე მხრივ,—დარაზმვა აგრარულ პროლეტარიატის—ან, როგორც სწერდა ლენინი, „გლეხურ პროლეტარიატის“,—ქალაქის სოციალისტურ მუშათა კლასის ხელმძღვანელობის ქვეშ და სოციალისტურ რევოლიუციისათვის კლასიურ ბრძოლის გაჩაღება. აირაში მდგომარეობდა ამერიკული გზით კაპიტალიზმის განვითარების ისტორიული შინაარსი და დანიშნულება.

ამგარაა, ფეოდალურ-დესპოტიურ რუსეთს არ შეეძლო ამ გზის არჩევა, ამ გზით სიარული. ეს იქნებოდა სოციალისტურ რევოლიუციის დამჭარება, საკუთარი აღსასრულის შობლობისათვის ზრუნვა. რუსეთიც მტკიცეთ დაადგა კაპიტალისტურ ევოლიუციის პრუსიულ-იუნკერულ გზას. ამ გზიდან მას არ გადაუხვევია 1917 წლის რევოლიუციამდე.

1) Ленин, Op. cit. გვ. 647.

ამრიგათ, აგრარული კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში „კაპიტალიზმი“ კალაპოტში მოექცა. აგრარული კაპიტალიზმი გზას იკვლევდა „თავისებურ“ პირობებში. კაპიტალიზმის განვითარების კანონი სოფლის მეურნეობაში იგივეა, რაც მრეწველობაში. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ აგრარულ კაპიტალიზმის განვითარებას არ ქონდეს „სპეციფიური“, თავისებური „კანონები“, რომლებიც სავსებით ეთანხმება კაპიტალიზმის განვითარების კანონს საერთოდ და იმავე დროს „თავისებურადაც“ მოქმედობს. რასაკვირველია, ეს გამოწვეულია სოფლის მეურნეობის განსხვავებული პირობებით. სოფლის მეურნეობის ეს „თავისებურება“ სრულებით არ უკარგავს ძალას კაპიტალისტურ ევოლიუციის ძირითად კანონს, მხოლოდ გამოხატავს ამ კანონის განხორციელებას, მოხმარება-გამოყენების „თავისებურობას“. თეორეტიკული პოლემიკა ამ პრობლემის ნიადაგზე უკვე ამოწურულად უნდა ჩაითვალოს¹⁾. ეკონომიურ განვითარების მსვლელობამ კარგა ხანია გადასჭრა ეს საკითხი. რასაკვირველია, არა რევიზიონისტ დავი დისა და რუს ნაროდნიკების სასარგებლოდ.

მაგრამ აგრარულ კაპიტალიზმის განვითარების ინტერნაციონალურ „თავისებურობას“ რუსეთის პირობებში თან დაერთო კიდევ ახალი, ხელის შემშლელი თავისებური გარემოებები, იურიდიული „ინსტიტუტის“ სახით. ეს „ინსტიტუტი“ მდგომარეობდა ფეოდალიზმის ცოცხალ ნაშთების არსებობაში. ეს ნაშთები ელობებოდა აგრარულ კაპიტალიზმის განვითარებას, აბრკოლებდა, ხელს უშლიდა ამ განვითარებას. ფეოდალური ურთიერთობის რეალური ნაშთები ბოკავდა, ხელს უკრავდა სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალთა ევოლიუციას, ზრდას, გაფართოებას. რუსეთში კაპიტალიზმის განვითარების შესწავლისა და გამოკვლევის პროცესში ლენინი განსაკუთრებულ ყურადღებით იკვლევდა ამ საკითხს. ის აღნიშნავდა: „საშუალო საუკუნეთა დაწესებულებების ნაშთები, რომლებიც ჩამოწოლილი ზენს სოფელზე („თემის“ წოდებრივი კარჩაკეტილობა, გლეხების მიმაგრება „ნადელთან“, საერთო პასუხისმგებლობა, გადასახადების წოდებრივი არათანბრებობა), ქმნის უდიდეს დაბრკოლებას წვრილ კაპიტალის დაბანდვის დროს წარმოებაში... ამის ბუნებრივი შედეგია ფართო გავრცელება კაპიტალის დაბალ და ცუდ ფორმის — სავაჭრო და სავაზო ფორმის... მოძველებული დაწესებულებანი, რომლებიც აჩერებენ კაპიტალიზმის ზრდას მიწათმოქმედებასა და მრეწველობაში, ამით ამცირებენ მუშა ხელის მოთხოვნილებას და იმავე დროს იოტის ოდნავ არ უზრუნველყოფენ გლეხობას უტიფარ და განუსაზღვრელ ექსპლოატაციასა და თითქმის სიმშლით სიკვდილისაგან“²⁾. აი ის განსაკუთრებული პირობები, რომლებშიაც

1) „მეურნეობის განვითარება თანამედროვე კაპიტალისტურ ხანაში — სწორდა ამბ. ფ. მ. ს. ხარაძე — თავისი საკუთარი, კაპიტალიზმისაგან დამოუკიდებელი, მიმართულებით არ წარმოებს; პირიქით, მეურნეობის განვითარება პირდაპირ დამოკიდებულია საზოგადოთ კაპიტალისტურ წარმოების განვითარებაზე. მაგრამ მიუხედავად ამისა, ზენს ვსტანობთ, რომ მეურნეობის (სოფლის მეურნეობის გ. შ.) სფეროში არსებობენ განსაკუთრებული პირობები, რომლებიც ასე თუ ისე მოქმედებენ მეურნეობის განვითარებაზე...“ (ფ. მახარაძე, ტ. III, გვ. 11).

2) „Ленин, Собр. соч. т. II, гл. 507.

უხდებოდა გზის გაკაფვა აგრარულ კაპიტალიზმს რუსეთში, კაპიტალიზმს გან-
 ვითარებას სოფლის მეურნეობაში—მრეწველობაშიაც კი. „საშუალო საუკუნოების
 ნაშთები“ ქმნიდა ერთგვარ ბარიკადას კაპიტალიზმის ევოლიუციის გზაზე,
 ქმნიდა „უდიდეს დაბრკოლებას წვრილ კაპიტალის დაბანდვის დროს წარმოე-
 ბაში“. ამიტომ ფართო ასპარეზი გაეხსნა კაპიტალის მტაცებლურ ფორმებს—
 სავაჭრო და საეკპრო ფორმებს. გლეხობის „რტიფარ და განუსაზღვრელ ექს-
 პლოატაცია და თითქმის სიმშლით სიკვდილს“ ფართო გასაქანი მიეცა. სავა-
 ეახშო კაპიტალის ბუნება იმაშიც მდგომარეობს, რომ კაპიტალის ეს
 ფორმა წურბელასავით სწუწნის სოფლის მოსახლეობას, აქ ექსპლოატაციამ,
 გაძევრობამ და მოტყუილებამ არ იცის არავითარი საზღვარი. რუსეთის გლე-
 ხობამ საკუთარ ზურგზე გადაიტანა საეახშო და საეკპრო კაპიტალიზმის მთელი
 საწინელება. ესეც არ უნდა დაგვავიწყდეს აგრარულ რევოლიუციის მამოძრა-
 ვებელ ფაქტორების კვლევა-ძიების დროს.

ევროპის კაპიტალიზმის გავლენას ვერ გაეჭკა ნახევრად ფეოდალური რუ-
 სეთი. „უაღრესად განვითარებული კაპიტალიზმის ეპოქა მთელ მსოფლიოში“
 თავის დაღს ასვამდა რუსეთის მეურნეობის, განსაკუთრებით—მრეწველობის
 განვითარებას. უცხოეთის სამრეწველო კაპიტალი მძლავრათ შეიჭრა რუსეთის
 ცენტრალურ სამრეწველო რაიონებში და მოახდინა ნამდვილი ეკონომიური
 რევოლიუცია. დაარსდა ფაბრიკა-ქარხნები, წარმოიშვა დაქირავებული ძალა—
 პროლეტარიატი, ფები მოიდგა მუშათა მოძრაობამ. მართალია, საეკპრო კაპი-
 ტალიზმის რკინის კლანჭები ყოველ მხრივ აბრკოლებდა და გზას უხშობდა სა-
 მრეწველო კაპიტალიზმის ევოლიუციას. აბრკოლებდა, მაგრამ ვერ აჩე-
 რებდა. საეკპრო კაპიტალის მესვეურებდა, რასაკვირველია, ითვლებოდენ მემამ-
 მულები. მათ ხელში იყო სახელმწიფოებრივი ძალა-უფლება, „ზემოქმედების“
 სხვადასხვა ორგანოები და საშუალებები. მემამულეთა მეურნეობანი, ლატიფუნ-
 დიები იძლეოდა უმთავრესად მარცვლეულობის საჭონელს, კერძოთ—პურს. ქა-
 ლაჭების ზრდა-განვითარებამ გააფართოვა პურის ბაზარი, გაიზარდა მოთხოვ-
 ნილება პურზე. მემამულეებს გაუჩნდათ, საერთაშორისო ბაზრის გვერდით, გა-
 ფართოებული ბაზარი თავისივე ქვეყნის ფარგლებში. საკირო შეიქმნა სოფლის
 მეურნეობის „რეკონსტრუქცია“, მეურნეობის გაფართოება და, კერძოთ, სატ-
 რანსპორტო საშუალებათა გაძლიერება. საეკპრო კაპიტალი ახდენს თავის შე-
 საძლებლობათა მობილიზაციას და ხელთ იგდებს რკინის გზების ქსელის გაფარ-
 თობის საქმეს.

ერთი სიტყვით, მრეწველობის ზრდა-განვითარებასთან ერთად ჩვენ ყხე-
 დავთ მემამულეთა მეურნეობის ტეხნიკურ საშუალებათა, ტეხნიკურ ბაზის გან-
 ვითარებასაც. მემამულეთა ლატიფუნდიებში ხდება ცვლილება: წარმოების ტე-
 ხნიკა პროგრესიულად ვითარდება, ფართოვდება გაუჩხოვებულ მანქანების მო-
 ხმარება, პრაქტიკაში შემოდის გაუჩხოვებული მთესავი იარაღები; იცვლება
 მეურნეობის ორგანიზაცია; საბატონო ბეგარა, რომელიც დამყარებული იყო
 არაკონომიურ ძალდატანებაზე, იცვლება დაქირავებული შრომის კაპიტალისტურ

ექსპლოატაციით, რომელიც ემყარება ეკონომიურ ძალდატანებაზე და კაპიტალიზმის ევოლუციის „პროსიულა“ გზა თანდათან ფართოვდება, მემამულეთა ნახევრად ფეოდალურ ლატიფუნდიებში კაპიტალიზმის სიომ შეჰპერა, რასაც უნდა მოყოლოდა ძლევაშოსილ კაპიტალიზმის ქარიშხალი. ზეეკონომიური ძალდატანების სისტემა ეკონომიურ ძალდატანების სისტემათ იქცევა, ყოველ შემთხვევაში, ასეთი რადიკალურ ცვლილების პროცესი იწყება. მემამულეთა ლატიფუნდიებში დაქირავებული ძალა ჩნდება. ყველაფერი ეს გზას უხსნის ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობას სოფლის მეურნეობაში. განსაკუთრებით უდიდესად მნიშვნელოვანია „წარმოების ტენიციის პროგრესიული განვითარება“. მეურნეობის მანქანიზაცია მრავალ ადგილას იკადებს ფებს მემამულეთა ლატიფუნდიებში. მანქანები შემოაქვთ უმთავრესად ევროპიდან. ამ უღრესად მნიშვნელოვან მოვლენის საილიუსტრაციოთ მოვიყვანთ დამახასიათებელ ცნობებს¹⁾. შემოტანილ იქნა უცხოეთიდან სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები:

1869—1872 წ.წ	0,778 მილ. მან.
1873—1880 "	2,9 " "
1881—1888 "	4,2 " "
1889—1896 "	3,7 " "
1902—1903 "	20,6 " "

აქ განსაკუთრებით საგულისხმოა 1902—03 წ.წ. ცნობები. სულ მოკლე ხნის განმავლობაში მემამულეებს შემოუტანიათ დაახლოებით ორჯერ მეტი, ვინემ უკანასკნელ მთელი ოცდა ათი წლის განმავლობაში. მე-XX საუკუნის დასაწყისში აშკარა შეიქნა ნახევრად ფეოდალურ საწარმოო სისტემის სრული შესაბამობა ეკონომიურ განვითარების ინტერესებთან, ამ სისტემის სრული უვარგისობა. გაუმჯობესებული იარაღ-მანქანები, გაუმჯობესებული საწარმოო ტენიკა იჭრება მიუაელ ციხე სიმაგრეებში—მემამულეთა ლატიფუნდიებში, სადაც მეფობდა უფასო შრომა, გლეხობის ფეოდალური ექსპლოატაცია. იცვლება აგრარული ურთიერთობაც, „გლეხის ინვენტარის ნაცვლად—სწერს ლენინი—ხმარებაში შემოდის მემამულის ინვენტარი... ახალი ტენიკური ხერხები, რომლებიც დაკავშირებულა იარაღის შეცვლასთან“²⁾. ასეთი იყო ახალი მიმართულება ნახევრად ფეოდალურ აგრარულ ურთიერთობაში. ამ მიმართულების გამარჯვება ნიშნავდა ეკონომიურ პროგრესის გამარჯვებას, „გლეხურ პროლეტარიატის“ ორგანიზაციას, ახალ საზოგადოებრივ კლასების და მათ ბრძოლის განვითარებას სოფლის მეურნეობაში.

ჩვენ შევკვებით, თუ ამ ახლად წარმოშობილ მიმართულებას განვავიწყობდებთ და მას გაბატონებულად გამოვაცხადებთ. სამწუხაროთ, ამ მოვლენას არ ქონდა ფართოდ გავრცელებული ხასიათი, მას არ ქონდა ფესვები მომავრებული ძველი რუსეთის პირობებში, მემამულეთა ლატიფუნდიების „კაპიტალიზაციის“ და მექანიზაციის პროცესი უმთავრესად მიმდინარეობდა ყოფილ ევროპიულ რუსეთის დასავლეთ ნაწილში. ეს ნაწილი უფრო ახლოს მდებარეობდა კაპიტალისტურ ევროპასთან და მასზე თითქმის უშუალო და დი-

1) Мороховец. Крестьянское движение и соц.-демократия... Гва, 1926, стр. 5—6.

2) Ленин, ტ. IX, გვ. 613.

3) Ленин, op. cit. გვ. 645.

დი იყო ევროპის კაპიტალიზმის გავლენა. ანალოგიურ მოვლენას წყენის ტყეცავე უკრაინის ნაწილში, მაგრამ არა მთელ რუსეთში. მემამულეთა ლატიფუნდიების ტენიკურ ბაზის განვითარება იყო „მხოლოდ ახლად დაწყებული პროცესი— ამბობს ერთ-ერთი თანამედროვე ახალგაზრდა მკვლევარი, ანხ. ვაისტერი, — რომელიც განვითარდა მსხვილ მეურნეობათა საგულისხმო ნაწილში, ამ პროცესმა ვერ ჰოიკიდა ფეხი წვრილ და საშუალო მეურნეობაში, ფეოდალურ ბატონყმურ ურთიერთობის ნაშთები მტკიცეთ შეფობდა მსხვილსა და საშუალო მამულში¹⁾“. ეს ნაშთები თამაშობდა მაგარ მუხრუქის როლს აგრარულ კაპიტალიზმის განვითარებაში. „ფეოდალურ ბატონყმურ ურთიერთობის ნაშთები“ ამოკლებდა საწარმოო ძალების განვითარებას აგრარულ მეურნეობაში და აღრმავებდა წვრილ მწარმოებელთა განუსაზღვრელ ექსპლოატაციას.

კ. მარქსი შენიშნავდა მოსწრებულათ: „ჩვენ, როგორც მთელი დანარჩენი კონტინენტალური დას. ევროპა, ვიტანჯებით არა მარტო წარმოების კაპიტალისტურ საშუალების განვითარებით, არამედ ამ საშუალების არასაკმარის განვითარებით. თანამედროვე უბედურებასთან ერთად ჩვენ გეტანჯავს მთელი რიგი მემკვიდრეობით მიღებულ უბედურებათა, რომლებიც გამოშინარეობს წარმოების ძველ, დროშოკმულ საშუალებათა გაყინვისაგან მთელ თავიანთ თანმხლებ მოვლენებით. ჩვენ ვიტანჯებით არა მარტო ცოცხლებსგან, მკედრებისგანაც (კი²⁾). ასე სწერდა მარქსი 70-იან წლების გერმანიის შესახებ. აქედან ცხადია, როგორი უნდა ყოფილიყო რუსეთის „ტანჯვა“ „მკედრებისგან“, წარმოების კაპიტალისტურ საშუალებათა სრული განუვითარებლობით აგრარულ მეურნეობაში. ძველი რუსეთი იტანჯებოდა არა მარტო „ცოცხლებისგან“—მემამულეებისგან, თავადებისგან, ფერმერებისგან, ის „იტანჯებოდა“ ამავე დროს წარმოების, მეურნეობის ტენიკურ საშუალებათა აშკარა განუვითარებლობისგან. ³⁾ რუსეთის გლებობა იტანჯებოდა არა კაპიტალიზმით—ის იტანჯებოდა ამ კაპიტალიზმის განუვითარებლობით და მეურნეობის ფეოდალურ საშუალებათა გაბატონებით. „ჩვენი გლებობა იტანჯება—სწერს ლენინი—არა მარტო და თითქმის არა იმდენად კაპიტალის მონობისგან, რამდენად მემამულეების და ბატონყმობის ნაშთების მონობისგან“ ⁴⁾. კაპიტალიზმის განვითარება სოფლის მეურნეობაში ძირ-მუდიანად

¹⁾ Сб. „1905“, вод ред. М. Покровского, статья А. Гайстера: „Сельское хозяйство“, стр. 25. ჟურსივი ჩენია.

²⁾ К. Маркс, Капитал, т. I. პირველი გამოცემის წინასიტყვაობა. ჟურსივი ჩენია.

³⁾ ჩვენის აზრით, მარქსის სიტყვებს მიიშენლობა არ დაუყარავს არც თანამედროვე, საბჭოთა მეურნეობის პირობებში, მართალია, სოფლის მეურნეობაში ჩვენ არ „ვიტანჯებით“ „ცოცხლებისგან“ მემამულე თავად-აზნაურობისაგან. სამაგიეროთ „ვიტანჯებით“ „მკედრებისგან“, —საწარმოო ტენიკურ ძლთა განვითარების საშინელ ჩამორჩენილობისაგან, ამიტომაც არის პარტიისა და ხელისუფლების გენერალური ხაზი შეიცავს სწორეთ ამ „მკედრების“ დაძლევის ინდუსტრიალიზაციის ძარღვებ დაძიმულ განვითარებით. უნდა შევებრძოდით „მკედრებს“ ისე, როგორც ვებრძოდით და ვებრძვით „ცოცხლებს“...

⁴⁾ Ленин. op. cit. გვ. 265.

საქართველო

აღმოფხვრიდა ფეოდალურ აგარულ ურთიერთობის ცოცხლუნაშვებლად, მუსკოზობა იძულებით საბოტონო ბეგარას, გზას გაუხსნიდა „თავისუფალ“ შრომას. კაპიტალი და შრომა უშუალოდ დაუპირისპირდებოდა ერთმანეთს. მაგრამ „მკვდრების“ ბატონობა—ბატონობა ფეოდალიზმის ნაშთების—მეტად მძლავრი აღმოჩნდა რუსეთის პირობებში. საწარმოო კაპიტალმა შარა-გზა ვერ გაიკაფა აგარულ ურთიერთობისაგან, სოფლის წყრილი მწარმოებელი ძველებურად დარჩა სავაჭრო-სავაზშო კაპიტალის კლანკებში.

ლენინმა, როგორც ვიცით, ღრმით შეისწავლა „რუსეთში კაპიტალიზმის განვითარების“ პირობები. ანალიზი გაუკეთა რუსული კაპიტალიზმის ევოლიუციას და მეტად შესანიშნავი დასკვნები მოგვცა. „სამიწათმოქმედო მეურნეობაში კაპიტალიზმის შეჭრით ხასიათდება რეფორმის შემდგომი მთელი ისტორია—ამბობს ის—მემამულეები გადადიოდნენ (ნელა თუ ჩქარა—ეს სხვა საკითხია) ნებაყოფლობით დაქირავებულ შრომაზე. ისინი აღუჭოვბებდნენ ტენიციას და ხმარებაში შემოქონდათ მანქანები... ეს ფაქტები მოწმობს კაპიტალის ბატონობას მიწათმოქმედებაში. კაპიტალის უპირველესი ფორმა ყოველთვის იყო კაპიტალი სავაჭრო, ფულადი. ამრიგად, შეუძლებელია მიწათმოქმედებაში კაპიტალის ბატონობის უარყოფა, მაგრამ სავსებით სიბრძნეა, რასაკვირველია, კაპიტალის განვითარების ხარისხის გაშვება მხედველობიდან... კაპიტალი თუმცა უკვე ბატონობს, მაგრამ შედარებით ძალიან განუვითარებელ ფორმაში. სრულ განვითარებამდე, წარმოების საშუალებისაგან მწარმოებლის სრულ განცალკევებამდე კიდევ მრავალი გარდამავალი საფეხურია¹⁾. ასეთ დასკვნამდე მიდიოდა ლენინი 1894 წელს. აგარულ ურთიერთობაში ბატონობს კაპიტალი, მაგრამ არა მისი შედარებით უმაღლესი ფორმა—საწარმოო ფორმა. აქ გაბატონებულია სავაჭრო, სავაზშო კაპიტალი. ფული ტრიალებს სოფლის მეურნეობაში. ეს უკვე კაპიტალიზმის განვითარების „უპირველესი ფორმა“, პირველი ძირითადი საფეხური. ფულის ტრიალის პროცესი ჯერ კიდევ ფეოდალურ ურთიერთობის წიაღში დაიწყო და უფრო განვითარდა 1861 წლის რეფორმით. მაგრამ აქედან ჯერ კიდევ დიდი მანძილია უფრო რთულ პროცესამდე, მაღალ საფეხურამდე—საწარმოო საშუალებისაგან მწარმოებლის სრულ განცალკევებამდე. ეს კი წარმოადგენს კაპიტალიზმის სრული განვითარების კვინტესენციას. სასტიკად სცდებოდნენ რუსი ნაროდნიკები, როცა უარყოფდნენ კაპიტალის შეჭრას აგარულ მეურნეობის სფეროში. ისინი ვერ ამჩნევდნენ მტკიცეთ დაწყებულ „კაპიტალიზაციის“ პროცესს, ვერ ითვალისწინებდნენ კაპიტალიზმის ღრმით შეჭრას მთელ ევროპა-ამერიკის აგარულ მეურნეობაში. „ერთ ერს შეუძლია და კიდევაც უნდა ისწავლოს მეორესაგან—სწერდა მარქსი.—თუ საზოგადოებამ კიდევაც მიაგნო საკუთარ მოძრაობის ბუნებრივ კვალს... მაშინ მას არ შეუძლია თავის განვითარების ბუნებრივ ფაზებს ვერც გადაახტეს და ვერც აიცილოს ისინი დეკრეტების საშუალებით.

¹⁾ ლენინ, ტ. II, 122—123. კურსივი ჩვნია.



მაგრამ მას შეუძლია შეამციროს და შეაღრმავოს „მოძრაობის ტკივილები“. ¹⁾ რუსეთმა „მაიანო“ „მოძრაობის ბუნებრივ კვალს“. ეს იყო კაპიტალისტურ ევოლუციის „კვალი“. მას „შეეძლო და კიდევაც უნდა ესწავლა“ კაპიტალისტურად განვითარებულ ევროპა-ამერიკისგან. ფეოდალურ ურთიერთობის ნაშთების ლიკვიდაცია „შეამცირებდა და შეანელებდა მშობიარობის ტკივილებს“. ნაროდნიკ-ეკონომისტებისათვის მიუწევდომელი, მიუღებელი იყო ასეთი მეცნიერული, დიალექტიკურ მატერიალისტური შეხედულება ისტორიულ განვითარებაზე. რუსეთის ეკონომიურ-სოციალური ევოლუცია ისტორიულ აუცილებლობით მოხაზულ გზით წივიდა და კაპიტალი — მართალია, ფულადი, სავაჭრო — ღრმით შეიჭრა საზოგადოებრივ ურთიერთობაში.

ვიმეორებთ, კაპიტალიზმის განვითარებულ ფორმებს აგრარული ურთიერთობა ვერ დაუპყრია, ნახევრად ფეოდალური საზოგადოებრივი დამოკიდებულება საესებით ვერ შეუცვლია, ფეოდალიზმის ნაშთები ვერ მოუსპია. ამ ნაშთების ლიკვიდაცია შეეძლო საწარმოო კაპიტალის გაბატონებას აგრარულ მეურნეობაში. ეს „გაბატონება“ ვერ მოხერხდა რუსეთის სოფლის მეურნეობის „სპეციფიურ“ პირობებში. აქ საჭირო იყო დრო, ხანგრძლივი პროცესი და საწარმოო კაპიტალიც მძლავრად დატრიალდებოდა აგრარულ რუსეთში. უფრო გვიან ლენინი კვლავ უბრუნდებოდა ამ პრობლემას და ამბობდა, რომ „სასოფლო-სამეურნეო ურთიერთობის ბურჟუაზიული ევოლუცია ჩვენში ჯერ კიდევ დასაწყისშია.“ ²⁾ და ეკონომიური განვითარების თვალსაზრისით „ბატონ-ყმურ ექსპლოატაციის კაპიტალისტურ ექსპლოატაციით შეცვლა კი აუცილებელია“ ³⁾. აი ეს ამოცანა — ნახევრად ფეოდალურ ექსპლოატაციის შეცვლა კაპიტალისტურ ექსპლოატაციით მთელი თავისი სიმწვავეით და მნიშვნელობით წამოიჭრა რუსეთის წინაშე. ეს ისტორიული ამოცანა უცდიდა რადიკალურ გადაჭრას XX საუკუნის დასაწყისში. ამით ამოიწურებოდა აგრარული რევოლუციის დანიშნულება, მისი დედაზრი და უდიდესი სოციალური შინაარსი.

II

ამრიგათ, აგრარული ურთიერთობა რუსეთში ბურჟუაზიულ საფუძვლებს მტკიცეთ და იმედინათ ვერ დაემყარა, აქ ისევ მეურნეობის ნახევრად ფეოდალური წესები ბატონობდა. ვიმეორებთ, ცენტრალურ რუსეთის დასავლეთ რაიონებში საერთოდ ჩამოყალიბდა ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური ურთიერთობა სოფლის მეურნეობაში. ეს იყო კერძო მავალითი, რომლის განსაზოგადოების-თვის არ გვაქვს არავითარი საფუძველი. ჩვენში, საქართველოში, რასაკვირველია, ბატონ-ყმურ ურთიერთობის ნაშთები უფრო მკვირცხლი, ცოცხალი და ამდენათ უფრო განმანადგურებელი აღმოჩნდა. როგორც ცნობილია, მთელ ამიერ-

¹⁾ Капитал. т. I, 1899. гл. 10—11. კურსივე ველგან ჩვენია.
²⁾ Ленин, т. IX, гл. 280.
³⁾ ibid. гл. 300.

კავკასიაში ბატონ-ყმური დამოკიდებულება განუსაზღვრებულა: მხოლოდ საქართველოში. ბატონ-ყმობას ჩვენში ღრმად ჰქონდა ფესვები გადგმული. ამ მხრივ საქართველო „თითით საჩვენებელი“, „სანიშნო“ ქვეყანა იყო მთელ ამიერ და, შეიძლება ითქვას, იმიერ კავკასიაში. ცხადია, 1861 წლის მეფური, მაღლიდან მოვლენილი რეფორმა განსაკუთრებით უძლური აღმოჩნდა საქართველოს სინამდვილეში. ძველი შინაარსი თავისუფლად შეიშალა „ახალ“ ფორმაში. ამიტომაც საქართველოში „წმინდა ბურჟუაზიულ ურთიერთობის ადგილას, როგორც არსებითად უნდა ყოფილიყო დღევანდელი ურთიერთობა, ჩვენ ვხედავთ სოფელში ნახევრად ფეოდალურ, ნახევრად ბატონ-ყმურ პირობებს.“¹⁾ ასეთი იყო საერთოთ, მთელი ძველი რუსეთის აგრარული ურთიერთობა.

რამი მდგომარეობდა ნახევრად ფეოდალური აგრარული ურთიერთობა? როგორი იყო სოფლის მეურნეობის ეკონომიკა აგრარულ რევოლუციის წინახანებში? ამ საკითხების გარკვევას აქვს უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა და თეორეტიული ინტერესი.

ლენინი ხშირათ იმეორებდა: გლეხების განთავისუფლება ბატონ-ყმობისაგან ნამდვილათ იყო მათი განთავისუფლება მიწისაგან. რატომ? იმიტომ, რომ იმ მიწას, რომელსაც ფლობდა გლეხობა ბატონ-ყმობის დროს, მემამულეებმა ჩამოსკრეს დიდი ნაწილი. ამ გზით „მრავალი ასეული ათასი გლეხი მიწას სრულებით მოკლებული შეიქნა... ნამდვილად გლეხობა გაძარცვული იქნა ორნაირად: ეს რა, რომ მას ჩამოსკრეს მიწა, კიდევ მეტი, ის იძულებული გახადეს ეხადა „გამოსასყიდი“ იმ მიწაზე, რომელიც ყოველთვის მის უფლებაში არსებობდა, ამავე დროს გამოსასყიდი ფასები გაცილებით მაღალი იყო მიწის რეალურ ფასზე. თითონ მემამულეები—ასკენის ლენინი—აღიარებდნენ... რომ გლეხები იძულებულყვეს ეხადათ არა მარტო თავიანთ მიწის გამოსასყიდი—ეხადათ თავიანთი თავისუფლებისათვისაც.“²⁾ მართლაც ასეთი იყო ისტორიის ირონია—ორნაირად გაძარცვული აღმოჩნდა „განთავისუფლებული“ გლეხობა. მას უნდა ეხადა „ნადელის“ სახით მიღებული მიწის ფასი, უნდა ეხადა თავისუფლების ფასიც, მაგრამ მთავარი და უფრო რეალური უსამართლობა გამოიხატა ე. წ. ჩამონაპურებში. ამ გარემოებამ გააძლიერა „მრავალ ასეულ ათას გლეხის“ უმიწა-წყლობა.

ჩამონაპურების რაოდენობა არც ისე უმნიშვნელო იყო, როგორც ამას ამტკიცებდა ძველი რუსეთის ბიუროკრატია და ცალმხრივი, სინამდვილეს მოკლებული სტატისტიკა. ევროპიულ რუსეთის ცხრა გუბერნიაში გლეხობა ფლობდა „დიდ რეფორმამდე“ 10.421 ათას დეს., ხოლო „მიწით განთავისუფლების“ შემდეგ—1878 წელს—9.746 ათას დეს. ე. ი. მთელი 675 ათას დეს. ნაკლებს. სხვა 14 გუბერნიაში გლეხობას ჩამოსკრეს 2.799 ათასი დეს. მარტო სარატოვის გუბერნიაში ჩამონაპურები აღემატებოდა 600 ათას დეს., რაც მთელი მიწის 42,7% შეადგენდა. ასეთივე ფაქტებს ქონდა ადგილი საქართველოშიაც. აღმოსავლეთ საქართველოში ამხ. ფ. მახარაძის სიტყვით, 1861 წლამდე „თითოეულ

1) ფ. მახარაძე, *op. cit.*, გვ. 296.

2) *Ленин*, ტ. IX, გვ. 263.

ოჯახს საშუალო რიცხვით ქონდა 6 დესეტინამდე მიწა (5,9 დესეტინა რევოლუციის წყალობით ეს საშუალო რიცხვი დაყვანილი იქნა 3,9 დეს., ე. წ. თითქმის 3 ანახევრად). რევორმამდე იმავე ტფილისის გუბერნიაში ყმების განკარგულებაში იყო სახნავ-სათესი მიწა, გარდა ბალ-ვენახებისა და საეზოესი, 84,665 დეს. მიწა, რევორმის შემდეგ მათ დაუტოვეს მხოლოდ 55,679 დეს. ე. წ. შეამცირეს 28,986 დეს. ანუ 34%¹⁾. ასევე ქუთაისის გუბერნიაში, ე. წ. 4 $\frac{1}{2}$ დეს. მაგიერ ნაყმე გლეხებს დაუტოვეს მხოლოდ 2 $\frac{1}{2}$ დესეტ.²⁾ როგორც ვხედავთ, გლეხობის განთავისუფლება მიწისგან ჩვენშიაც აშკარად სჩანს, შეიძლება უფრო რელიეფურადაც. რევორმამ თითქმის სრულებით გაანახევრა გლეხობის მუდმივ მფლობელობაში არსებული მიწა-წყალი. „სოციალური რევორმის მეორე დღეს“ მთელი რუსეთის „მრავალ ასეულ ათასი გლეხი მიწას სრულებით მოკლებული“ აღმოჩნდა. ამას ეძახდა რუსეთის ფეოდალური არისტოკრატია „დიდ რევორმას“—მრავალ მილიონიან გლეხეცობის „განთავისუფლებას მიწით. მართლაც, ნამდვილად ეს იყო უდიდესი თვალთმაქცობა, რომელიც კი ახსოვს ისტორიას.

თავის ცნობილ ნაწარმოებში: *Аграрная программа русской социал-демократии в русской революции 1905—1907 г.г.*—ლენინი იძლევა ამომწურავ პასუხს მე-XX საუკუნის პირველ ათეულ წლების წინაშე წამოჭრილ კითხვაზე: „რისთვის სწარმოებს ბრძოლა?“ რა იყო იმის მიზეზი, რომ 1905—07 წლებში იფეთქა უდიდესმა აგრარულმა რევოლუციამ, რომლის მაგალითი იშვიათია კაცობრიობის ცხოვრებაში. რაში გამოიხატებოდა გლეხთა მასების გრანდიოზული მოძრაობის „მამოძრავებელი ძალები“? რუსეთის აგრარულ ურთიერთობის დაკვირვებულმა შესწავლამ და ღრმა მარქსისტულმა ანალიზმა ლენინი მიიყვანა შემდეგ დასკვნამდე: „10 მილიონ გლეხურ ოჯახს აქვს 73 მილ. დეს. მიწა. 28 ათას კეთილშობილს და „მსხვილ“ ლენდლორდს—62 მილ. დეს. ასეთია ძირითადი ფონი იმ ასპარეზის, რომელზედაც სწარმოებს გლეხების ბრძოლა მიწისთვის.“³⁾ ეს არ გახლავთ ლიტონი განცხადება, წყლიანი ფრაზა. ასეთი იყო გლეხურ რუსეთის რეალური ცხოვრება, ძველი რუსეთის აგრარული სინამდვილე. ლენინის ამ მოკვეთილ, ძალზე დაკუმშულ და მოჭრილ ციტატას შემდეგში მრავალი ეკონომისტი და მკვლევარ-ისტორიკოსი იმეორებდა. ლენინმა იოლად მიაგნო მთავარ ძარღვს, რომელაც მაგრად იყო გაკიბული ნახევრად ფეოდალურ აგრარულ ურთიერთობის ხერხემალებე.

და მართლაც, სტატისტიკა ჩვენ არ ვგაძლევს სხვანაირ დასკვნის საშუალებას. აი როგორი იყო მიწათმფლობელობის სუათია ყოფილ ევროპულ რუსეთში, 1905 წლის რევოლუციამდე. „სახოგადოების“ ოთხ ძირითად „კატეგორიის“ შორის ასე იყო მიწა განაწილებული:

I. გადატაკებული გლეხობა	10,5 მილ.	მურწ.	—75 მილ.	დეს.	საშუალოდ—	7,0 დეს
II. საშუალო გლეხობა	1,0	„	—15,0	„	„	15,0
III. ბურჟ გლეხ. და კაპ. მიწ. მოკ.	1,5	„	—70,0	„	„	46,7
IV. მუშაპულები	0,0	„	—70,0	„	„	—2.333,0

1) იხ. მახარაძე. „1905 წელი ამიერ-კავკასიაში“, 1926 წ. სახელგამი. გვ. 18. იხ. აგრეთვე ტ. III, გვ. 85

2) *Ленин, op. cit.* გვ. 432.

3) *Ibid.*, გვ. 432; ანალოგიური სტატისტიკური ცნობები: ტ. IX, გვ. 430—431, 428—429, 603—609. აქ მჭტად საინტერესო, საფურადღებო მასალა მოცემული.

ჩვენ შეგვიძლია მრავალი სხვა სტატისტიკური ცნობის დასაყრდენად მდიდარია რუსული ისტორიულ-ეკონომიური ლიტერატურა. მაგრამ ჩვენ მხოლოდ ამ ცნობაზე შევჩერდებით, რადგან აქ მთელი აგრარული ურთიერთობის ჩონჩხი ისე აშკარათ სჩანს, როგორც ხელის გულზე. ჩვენ ვხედავთ, რომ 10,5 მილ. გლეხური შეურნეობა ფლობდა სულ 75 მილ. დეს. მიწას. თითოეულ შეურნეობაზე საშუალოდ მოდიოდა 7 დესეტინა. მთლიანი საშუალო შეურნეობა ფლობდა 15 მილ. დეს., ხოლო 28 ათასი მემამულე (0,0)—70 მილ. დესეტინას საშუალოდ თითოეულ მემამულეზე მოდიოდა 2,333 დესეტ. მიწა. აი რა იყო ის „ძირითადი“ ასპარეზი, რომელზედაც განვითარდა უდიდესი გლეხური მოძრაობა.

კერძოდ, საქართველოში გამეფებულ იყო საეკლესიო ანალოგიური მდგომარეობა. მართალია, სტატისტიკის მხრივ აქ ჩვენ სრულებით ღარიბ-ღატაკნი ვართ, არ გავგანჩნია ოდნავ მაინც სრული, ყოველმხრივ შესწავლილ და გამოკვლეული სტატისტიკური მასალა. ჩვენში სტატისტიკურ სახელმწიფო უწყების როლს კერძო მოხალისე „საზოგადოებრივი“ თამაშობდა, როგორცაა, მაგ. ფილოქსერასთან მებრძოლ დასის* სტატისტიკური ვარჯიშობა და სხვა. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც შეგვიძლია ვიჭონიოთ და ახლოვებითი წარმოდგენა საქართველოში არსებულ აგრარულ ურთიერთობაზე. სასოფლო-სამეურნეო ტერიტორია შემდეგნაირად იყო განაწილებული ხაზინას, მემამულეებსა და გლეხებს შორის:

აღმოსავლეთ საქართველოში ეკუთვნოდა:

ხაზინას — — —	1.574.483 დეს.	— 40,09%
მემამულეებს —	1.260.406 „	— 32,09 „
გლეხობას — —	1.093.021 „	— 27,82 „
<hr/>		
სულ 3.927.910 დეს. — 100%		

დასავლეთ საქართველოში:

ხაზინას — — —	685,909 დეს.	— 37,94%
მემამულეებს —	815.321 „	— 42,71 „
გლეხობას — —	407.581 „	— 21,35 „
<hr/>		
სულ 1.908,901 დეს. — 100%		

როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში ხაზინას—იგივე თავადობას—და მემამულეებს ეკუთვნით მთელი მიწის 75% დაახლოებით, ხოლო მთელ გლეხობას—25% დაახლოებით. ასეთია ზოგადი სურათი. ცხადია, აქ საჭიროა მეტა კონკრეტულობა. საილიუსტრაციოთ მოვიყვანო ერთ მასალას, რომელიც შუქსა ჰყენს ე. წ. მესაკუთრე გლეხობის უმწიფო მდგომარეობას, მიწის საშინელ სიღვიწროვებს. ცნობები შეეხება გლეხურ მიწათმფლობელობას დასავლეთ საქართველოს რვა მაზრაში. აი რას გვეუბნება ეს სტატისტიკა: ¹⁾

¹⁾ ფ. შაბარაძე ტ. III, გვ. 49, მოგვყავს შემოკლებით. ინტერესისათვის: გვ. 49—77; „1905 წ. ამიერ-კავკასიაში“, გვ. 19—20.

სტატისტიკა

მ ა ზ რ გ ბ ი	კომლი	დესეტინა	კომლზემ შეალოდ
ქუთაისის	24.188	60.674	2,5
შორაპნის	18.902	37.954	2,02
რაჭის	7.113	19.070	2,68
ოზურგეთის	9.443	13.398	1,42
სენაკის	1.081	3.386	3,13
ლესხუმის	4.178	21.260	5,09
სენაკის	15.811	36.046	2,28
ზუგდიდის	16.296	52.863	3,25
ს უ ლ .	96.912	244.451	2,52

ამრიგად, დასავლეთ საქართველოში საშუალოთ თითოეულ გლეხურ მეურნეობაზე მოდიოდა 2,52 დეს. მიწის განსაკუთრებულ სივიწროვეს ჩვენ ვხედავთ გურიაში, ოზურგეთის ქაზრაში (1,42 დეს.), შემდეგ—შორაპნის, ქუთაისის და სენაკის მაზრებში, ე. ი. იმ რაიონებში, სადაც რევოლუციონერ მოძრაობას მტკიცეთ ქონდა ფეხი მოკიდებული. რაც შეეხება მსხვილ მეშაბულეთა „სამეურნეო ერთეულებს“, აქ ჩვენ ვვაქვს კიდევ დაახლოებითი ცნობები. ეს ცნობები არაა ინტერესს მოკლებული, მათ აქვთ ძვირუფასი მნიშვნელობა წვირილ მეურნეობასთან, გლეხურ მიწათმოქმედებასთან ანალოგიის თვალსაზრისით. აქ აშკარა ხდება გლეხობისა და მეშაბულეების გამწვავებული ანტაგონიზმი აკრარულ ნიადაგზე, აგრეთვე მიწების კონცენტრაცია საზოგადოების უმნიშვნელო, მაგრამ გაბატონებულ ნაწილის ხელში.

დასავლეთი საქართველო: 1)

დესეტინა	მამულის რაოდენობა	პროცენტ. დაზოკად.
0—2	640	6.52
3—4	1.580	17.13
5—19	4.751	51.48
20—190	1.873	20.29
191—2000	378	4.08
2001—6000	9	0.05
+ 6000	9	1.05
სულ	9.240	100%

1) დ. მახარაძე Op. cit. გვ. 75.

მაშასადამე, დასაელეთ საქართველოში მთელი თავად-აზნაურთა მფლობელობა დანაწილებულია ცხრა ათასზე მეტ სამეურნეო ერთეულად. ცხრა ათასი „კომლი“ ფლობს 815.321 დეს., ხოლო 96.912 გლეხის ოჯახი ფლობს 244.451 დესეტინას. პირველ შემთხვევაში 18 მემაჟულე, თითოეული ფლობს 2000—6000 და მეტ დესეტინას, მეორე შემთხვევაში, ყველაზე „მდიდარი“ გლეხი ლეჩხუმის მაზრაში ფლობს 5,09 დესეტინას. ერთის მხრივ—მუქა გაბატონებულ წოდების, რომლის ხელშია თავმოყრილი მთავარი საწარმოო საშუალება—მიწა, ხოლო მეორე მხრივ—მრავალ ათასიანი და მილიონიანი გლეხობა, მოკლებული ცხოვრების მინიმალურ საშუალებას, მშიერ-მწყურვალი, შიშველ-ტიტველი—ასეთი იყო საზოგადოების ორი დაპირისპირებული ნაწილის საერთო სურათი, „სოციალურ ჰარმონიის“ საერთო ვითარება.

ეს კიდევ არაა ყველაფერი. ამას უნდა მივუმატოთ სოფლის მეურნეობის წარმოება ბარბაროსული წესით. საწარმოო ძალების საშინელი განუვითარებლობა, სრული ჩამორჩენილობა ტექნიკის, შამა-პაპურ მეთოდების ყოველმხრივი გამოყენება—მოხმარება, მუშა-ძალის განუსაზღვრელი ექსპლოატაცია—ყველაფერი ეს უნდა ვიქონიოთ მხედველობაში აგრარულ ურთიერთობის განხილვის დროს. ეს არის პრობლემის მეორე ნაბეგარი, მედლის მეორე მხარე. მას აქვს არც ისე მცირე მნიშვნელობა აგრარულ რევოლუციის მომზადების სფეროში. ლენინი ხაზს უსვამდა საკითხის ამ მხარეს. საქმე მარტო მიწების კონცენტრაციაში, საზოგადოების ერთ მუქა ნაწილის ხელში თავმოყრას და ექსპლოატაციაში როდია. მართალია, ეს ძირითადი უკუღმართობაა. მაგრამ დიდად მნიშვნელოვანია ისიც, თუ რა მეთოდით, რა გზით, როგორი წესით სწარმოებს ექსპლოატაცია, როგორია ამ ექსპლოატაციის პირობები. თავის მოქრა ჩლუნგი იარაღით და ანატომიური დანით ერთნაირი არაა. შედეგი ერთია, პროცესი—სრულებით სხვადასხვანაირი. ასეთივე იყო სწორედ გლეხ-კაცობის მდგომარეობა. მას აძრობდნენ ტყავს—აძრობდენ არა ტექნიკურათ ზედმიწევნით მოწყობილ ტყავეულის ქარხანაში, ტყავს აძრობდენ—აუტანელი წვალებით—ბარბაროსულ წესებზე აგებულ ფეოდალის მეურნეობაში. აქ ჩვენ ვხედავთ „ტექნიკის საკვირველ ჩამორჩენილობას—სწერს ლენინი,—მიწათმოქმედების სრულ უყურადღებობას, გლეხურ მასის შვეიწროებას, ბატონ-ყმურ ბეგარის და ექსპლოატაციის მრავალგვარ ფორმებს... წმინდა რუსულ გუბერნიებში წმინდა კაპიტალისტური მსხვილი მეურნეობა უსათუოდ დაბალ საფეხურზე სდგას. მსხვილ ლათინურუნდებში სჭარბობს წვრილი კულტურა: ბატონ-ყმურ მონურ იჯარის, საბეგრო მეურნეობის სხვადასხვანაირი ფორმები (ზამთარში დაქირავება, მონობა საძოვრებისთვის, მონობა ჩამონაჭრებისთვის და ასე შემდეგ, დაუსრულებლად“). ამით არ თავდება საქმე. ლენინი განაგრძობს: „ბატონ-ყმური ექსპლოატაციით გაძვალტყავებული გლეხური მასა ნადგურდება და ნაწილობრივ თვითონაც სცემს თავის „ნადელს“ იჯარით მომაგრებულ მეურნეობაზე. შეძლებულ გლეხების არც ისე მნიშვნელოვანი უმცირესობა ყალიბდება გლეხურ ბურჟუაზიაში, იჯარით იღებს მიწას კაპიტალისტურ მეურნეობისათვის, ყვლეფს ასეულ

ქართული

ათასს მოჯამაგირეს და დღიურათ მომუშავეს.¹⁾ „ტენიკის სავაჭრო-საქონლო-ჩენილობა“ წარმოადგენს განუსაზღვრელ, ბატონ-ყმურ ექსპლოატაციის ძირითად ბაზას. ფეოდალ ექსპლოატაციის ფორმები კიდევ დარჩენილია ძალაში. მეორე მხრივ, თვით გლეხობის ნაწილიდან წარმოიშობა გლეხური ბურჟუაზია, რომელიც ყველგან მრავალ ათასს ვალატებულ გლეხს. აი ასეთია ეს ორი, მაგრამ ჯერ კიდევ არამოწინააღმდეგე პოლიუსი, რომელიც გლეხობის ზურგზე იწყება და ამავე ზურგზე თავდება. უმიწაწყლობა, მიწის უკიდურესი სიღიწროვე plus „ბატონ-ყმურ მონობის სხვადასხვა ფორმები“—„ასეთია დამოკიდებულება, რომელიც იწვევს გლეხობის ბრძოლას“²⁾. გადავიდეთ ამ „დამოკიდებულების“ კონკრეტულ ფორმებზე.

თავის მნიშვნელობით და საყოველთაო გავრცელებით აქ პირველი ადგილი უჭირავს ე. წ. *отрабочная система*-ს რომელიც გაბატონებული იყო ნახევრად ფეოდალურ აგრარულ ურთიერთობაში. ამ სისტემის ფესვები ღრმად იყო ჩაშვებული სოფლის მეურნეობაში, ეს სისტემა წარმოადგენდა ბატონ-ყმურ ექსპლოატაციის მთავარ საძირკველს. ამ სისტემის შინაარსი მარტივია, ელემენტარული: თავისი ხარ-კამებით და კავ-ფარცხით გლეხობა ამუშავებდა მებატონის მიწას და იხდიდა განსაზღვრულ გადასახადს ხან ნატურით, ხან—ფულით. მაგრამ რაკი გლეხობას არ გააჩნდა ფული, უშეტეს შემთხვევაში გადასახადიც ნატურალური იყო. ფეოდალურ ექსპლოატაციის ასეთი სისტემა მოითხოვს ორ პირობას: გლეხობის „უზრუნველყოფას“ „საწარმოო საშუალებებით“, სამეურნეო ინვენტარით—ეს ერთი, და—გლეხკაცობის უკიდურეს ეკონომიურ სიღიწროვეს, ვაჭირვებას—მეორე მხრივ. ეს ორი პირობა წარმოადგენს ამ სისტემის საფუძველს. სამართლიანად აღნიშნავს ლენინი: „მონობა თავისუფალი დაქირავების ნაცვლად—ესაა „ატრაბოტკების“ აუცილებელი თანამგზავრი. მემამულე აქ გვევლინება არა როგორც დამქირავებელი—კაპიტალისტი, რომლის განკარგულებაშია ფული და შრომის იარაღები, მემამულე გამოდის მეცახშის როლში, ის სარგებლობს მეზობელ გლეხის ვაჭირვებით და ითვისებს მის შრომას სამჯერ იაფათ“.³⁾ აი ამ სატყვებში მთელი თავისი სიგრძე-სიგანითაა მოცემული ექსპლოატაციის ამ ველურ სისტემის ეკონომიური შინაარსი. მონური შრომა თავისუფალი შრომის მაგიერ, შრომა არა მემამულის საწარმოო იარაღებით, თვით გლეხის საშუალებებით. მემამულეს არ გააჩნდა არავითარი კაპიტალი, ვარდა „იურიდიული“ კაპიტალის—მიწაზე ფეოდალურ კერძო საკუთრების. ასეთ პირობებში გლეხობის ექსპლოატაცია უმაღლეს წერტილს აღწევს. როგორც ზევით აღვნიშნეთ, აქ ჩვენ ვხედავთ გაორკეცებულ ექსპლოატაციის ცოცხალ მავალითს. სწორეთ აქ არის მეურნეობის ორი სისტემის მექანიკური გადახლართვა, ხოლო ექსპლოატაციის ორი სახის—ფეოდალურის და „ბურჟუაზიულის“—ორგანიული შეკავშირება. კაპიტალისტურ წარმო-

¹⁾ Ленин, ტ. IX, გვ. 432.

²⁾ *ibid*, გვ. 433.

³⁾ Ленин, *Агр. вопрос в России к концу XIX в.* (Собр. соч. т. IX, გვ. 614.)

⁴⁾ Ленин, *Агр. вопрос в России к концу XIX в.* (Собр. соч. т. IX, გვ. 614.)

ბაში დაქირავებული შრომა არის იგივე საქონელი, მხოლოდ სხვა სფეროში. მუშა მუშაობს კაპიტალისტის საწარმოო საშუალებებით. მუშას არ გააჩნია არაფერი, გარდა საკუთარი ფიზიკური ძალის. აქ კაპიტალისტური ექსპლოატაციის სიმძიმე მდგომარეობს იმაში, რომ კაპიტალისტი ითვისებს, ისაკუთრებს ზედმეტ ღირებულებას. მუშა ღებულობს შრომის არა მთელ ნაყოფს, მის ნაწილს მხოლოდ. ეს ხდება იმიტომ, რომ საწარმოო იარაღები კაპიტალს ეკუთვნის და არა შრომას.

სულ სხვა, დიამეტრალურად საწინააღმდეგო სურათი იშლება „ატრაბოტკების“ სისტემაში. აქაც გამეფებულია ექსპლოატაციის საფუძველი—ზედმეტი ნაყოფის მითვისება მემამულეს მიერ. გლეხი როდი ღებულობს თავის ნაოფლარს მთლიანად, ღებულობს ნაწილს, ხშირად ძალიან უმნიშვნელოს. მაგრამ ამით არ თავდება გლეხური შრომის ექსპლოატაცია. გლეხი იყვლიფება მეორე მხრივაც—ის მუშაობს არა მარტო საკუთარი ხელით, ხარჯავს საკუთარ ფიზიკურ ენერჯიას, კიდევ მეტი—გლეხი მუშაობს საკუთარი სამუშაო იარაღებით, ცოცხალი და მკვდარი ინვენტარით: ცხენით, ხარ-კამეჩით, კავით და გუთნით, აგრეთვე—საკუთარი თესლით და საჭმელ-სასმელით. მემამულეს ეკუთვნის მხოლოდ მიწის საკუთრების ფეოდალური უფლება. გლეხს არ გააჩნია ეს „უფლება“. ეს გარემოება განსაკუთრებით აძლიერებს, აორკეცებს გლეხურ შრომის მხეცურ ექსპლოატაციას. განსაკუთრებული ექსპლოატაციის ეს ფორმა ვიბატონებული იყო მთელ რუსეთის იმპერიაში. ეს იყო აგრარულ ნობროობის ერთ-ერთი მამოძრავებელი ღვედი, რომელიც სწრაფათ ატრიალებდა გლეხურ რევოლიუციის უზარმაზარ ბორბალს.

თავის ისტორიულ მნიშვნელობის შრომაში—Развитие капитализма в России—ლენინი იძლევა მდიდარ ფაქტიურ მასალას ექსპლოატაციის ამ სისტემის დასახასიათებლად. მოვიყვანო მხოლოდ ორიოდე მაგალითს. ცნობები შეეხება ყოფ. ევროპიულ რუსეთის ცენტრალურ რაიონს. 1883—1891 წ.წ. გლეხის ინვენტარით დესტრინის დამუშავება საშუალოდ ღირდა 6 მანეთი. იგივე დეს. დამუშავება თავისუფლად დაქირავებულ შრომით, უცხენოთ, ჯდებოდა 6,19 მან. ცხენისა და მკვდარ ინვენტარის მუშაობა უდრიდა არა ნაკლებ 4,5 მან. მაშასადამე, დაქირავებული შრომით თითოეულ დეს. სრული დამუშავება ჯდებოდა 10,69 მან. აქ ჰირდაპირ თვალში გვეყმს საკმაოთ ღიდი განსხეავება, გლეხობის ფართო ექსპლოატაცია. ავიღოთ უფრო კონკრეტული მაგალითი. სარატოვის მაზრაში დეს. მუწის დამუშავება მომკით, მოტანით და დამარცვლით ღირდა 9,6 მან. „ატრაბოტკების“ წესით, დაქირავებული შრომით კი—17,5 მან. თითოეული ეს ციფრი—ასკენის ლენინი—შეიცავს გრძელ მოთბრობას გლეხის დაუსრულებელ გაკირვების, მონობის და განადგურების. თითოეული ეს ციფრი მოწმობს, თუ რამდენად ცოცხალია რუსეთში ბატონ-ყმური ექსპლოატაცია და საბატონო ბეგარის ნაშთები XIX საუკუნის მიწურულში“.) ასეთი იყო მდგომარეობა არა მარტო ცენტრალურ რუსეთში, ამასვე ვხედავთ ჩვენს პერიფერიებშიც, რუსეთის განაპირა ქვეყნებში.

2) Ленин, ტ, IX, გვ. 615

განსაკუთრებით მწვავეთ იდგა საკითხი საქართველოს საზღვრების გლახ-კაცობა მოკლებული იყო იმ „მადლსაც“ კი, რომელსაც „იმდროინდელი“ ხალხისათვის“ ცენტრალური ხელისუფლება. ჩვენამდე ხშირათ ვერ აღწევდა პეტერბურგის მთავრობის კულმოპრილი „ლონისძიებანი“. რუსეთის მთავრობა უყურადღებოდ სტოვებდა ე. წ. „ინოროდცებს“, განაპირა კუთხეებს. საქმარისია მოიყვანოთ ცნობილი ფაქტი: ცენტრალურ რუსეთის გუბერნიებს მიეცა სესხათ „გამოსასყიდი“ თანხების სრული 80 პროც., ჩვენში კი—ხოლოდ 30 პროც. მიუდგომლად შეიძლება აღინიშნოს, რომ ძველი რუსეთის იმპერიალისტურ-მპრობელობითი პოლიტიკის წყალობით ამიერ-კავკასიის, კერძო და განსაკუთრებით—საქართველოს გლახობა უფრო აუტანელ, უფრო ცუდ მდგომარეობაში იმყოფებოდა სხვა გუბერნიებთან შედარებით. ბატონ-ყმური ურთიერთობის ნაშთები უფრო თავისუფლად თარეშობდა და ბატონობდა საქართველოს სოფლის მეურნეობაში. აი რას ამბობს თვით „ყოველად მიუდგომელი“ გოლიციანი, 1902 წ. მთავარმართებელი ამიერ-კავკასიაში, თავის „უჭვეშევრდომეს“ მოხსენებაში: „ამიერ-კავკასიის საგლეხო მოსახლეობა, რუსეთის შიდა გუბერნიების საგლეხო მოსახლეობასთან შედარებით, გაცილებით უფრო მძიმე პირობებში იმყოფება იმის წყალობით, რომ ჯერ კიდევ განაგრძობენ არსებობას სავალდებულო ურთიერთობანი და დიდი ბეგარა მემამულეების სასარგებლოთ, განსაკუთრებით ყოფილ საქართველოს საზღვრებში (в пределах ныншней Грузии—სიტყვა-სიტყვით), სადაც ბატონ-ყმობიდან განთავისუფლება გატარებულ იქნა განსაკუთრებით შედარებით პირობებში მემამულეებისათვის და მეტად არახელსაყრელ პირობებში გლახობისათვის“¹⁾. რასაკვირველია, ამ გარემოებას აქვს თავისი „განსამართლებელი“ მოსაზრებები. ფაქტო კი ფაქტათ რჩება—აგრარული ურთიერთობა „განსაკუთრებით ყოფილ საქართველოს“ ფარგლებში იყო ძალზე გამწვავებული.

სამწუხაროთ, აგრარული ურთიერთობის ისტორიის სერიოზული გამოკვლევა ჩვენში არავის მოუხდენია, განსაკუთრებით მარქსისტულად მოაზროვნეთა შორის. ძალზე ღარიბია ჩვენი აგრარული ტერმინოლოგიაც. აქ მეტ მასალას თვით პრაქტიკა, გლეხური ცხოვრება იძლევა. ჩვენ ვვაჭვს პრაქტიკულ ცხოვრებიდან მიღებული ტერმინი. ეს არის ღალა. გლეხი თავისივე შრომით და ინვენტარით ამოშავებდა მემამულის მიწას, სამაგიეროთ იხდიდა განსაკუთრებულ გადასახადს ნატურით—მოსავლის ნაწილს. ეს ნაწილი ზოგან მეტი იყო, ზოგან—ნაკლები, მეურნეობის ზოგიერთ დარგში შედარებით მცირე, ზოგიერთში—შედარებით მნიშვნელოვანი. ექსპლოატაციის ეს ფორმა ჩვენში გამეფებული იყო 1917 წლის რევოლიუციამდე. გლეხი იხდიდა ღალას წინასწარ განსაზღვრულ პირობებში. ამ პირობებს საზღვრავდა თვით მემამულე. კიდევ მეტი: გლეხი იხდიდა ღალას მაშინაც კი, როცა სტიქიური უბედურება ანადგურებდა ნაშრომს. ამ შემთხვევაში გლეხი იძულებული იყო პირობა მაინც შეესრულებინა, წინააღმდეგ შემთხვევაში მას მოელოდა უფრო მეტი უბედურე-

¹⁾ О. Семин. Великая годовщина... 1910, Киев. გვ. 52—53.

ბა—უმეწოთ დარჩენა მომავალ სამეურნეო წლებში. ჩვენ გვეჩვენებს ცნობები. სახნავ-სათეს მიწაზე გლეხობა იხდიდა მოსავლის 0,25-საწილს. მხარბათ—მესამედს. სათიბზე—მესამედს. ბალ-ვენახზე—მეოთხედსა და მესამედს. რაც შეეხება საეზოვეს, რომელიც არაერთარ მოსავალს არ იძლევა, აქ დაწესებული იყო ფულადი გადასახადი, ქვევზე 3—ნ მანეთამდე წელიწადში. ასეთი იყო აგრარული ურთიერთობა საქართველოში. მართლაც, როგორც მოსწრებულად შენიშნავს ანტ. ფ. მახარაძე, „რა გასაკვირია, თუ სწორედ ამ გლეხებში განვითარდა ისეთი უკმაყოფილება და მძულვეობა, როგორც მემამულეების, ისეთი თვითმპყრობელობისადმი, რომელმაც თავი იჩინა 1905 წლის რევოლუციის დროს“¹⁾. ეს მძულვეობა აუცილებელი იყო და მისი მოსაპობა შეეძლო მხოლოდ არსებულ აგრარულ ურთიერთობის ძირ-ფესვიანად აღმოფხვრას.

მიწის გაცემა იჯარით ფართოდ იყო განვითარებული მთელი რუსეთის ფარგლებში. საზოგადოთ, ცნობილია იჯარის ორგვარი ფორმა: სასურსათო და კაპიტალისტური. პირველი ფორმა გაბატონებულია ნახევრად ფეოდალურ აგრარულ ურთიერთობაში, მეორე—ბურჟუაზიულში. კაპიტალისტური იჯარა ბურჟუაზულ საზოგადოებაში სრულებით კანონმწესონილი ეკონომიური მოვლენაა. ფერმერი-კაპიტალისტი იღებს მიწას იჯარის სახით და წარმოების კაპიტალისტური წესით ანეითარებს აღებულ მიწაზე მეურნეობას. იჯარა კაპიტალისტურ მეურნეობაში არ იწვევს არაერთარ გაკვირვებას, მას აქვს ღრმა ეკონომიური საფუძველი. უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე, რომ კაპიტალისტური იჯარა უსათუოდ ფულადია და არა ნატურალური. ნატურალური იჯარა ნატურალურ მეურნეობაშია გაბატონებული. ასეთია აგრარულ ევოლუციის ზოგადი კანონი. რა თქმა უნდა, იშვიათი გამოწაკლისი შეიძლება იქნეს როგორც კაპიტალისტურ, ისე ნატურალურ მეურნეობაში. მაგრამ ამას არა აქვს არაერთარ მნიშვნელობა.

სულ სხვაა იჯარა ნახევრად ფეოდალურ აგრარულ ურთიერთობაში. აქ მოიჯარადრეთ, უმრავლეს შემთხვევაში, გვევლინება ღარიბ-ღატაკი წვრილი მწარმოებელი. ამ იჯარის მიზანია არა გაფართოებული წარმოება, расширенное воспроизводство, როგორც ვამბობთ ხოლმე ეკონომიურ მეცნიერების ენაზე. ასეთი იჯარა გამოწვეულია მხოლოდ და მხოლოდ მოიჯარადრის პირად, ოჯახურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ეს არის იჯარა სასურსათო. ის გამოწვეულია გლეხურ მეურნეობის ძალზე აუტანელი მდგომარეობით, გლეხის გაკვირვებით, ხშირათ—იძულებითაც კი. ეს იჯარა, უმთავრესად, არის ნატურალური. ფულის ნაცულად გლეხს შეაქვს მოსავლის ნაწილი, პირდაპირ ნატურით. ამას აგრეთვე მუშაობით რენტა ეწოდება (Arbeitsrente) სასიცოცხლო წვენი-გამოღებული წვრილ მწარმოებელს ფულადი კაპიტალი სრულებით არ გააჩნია, ის იძულებულია საკუთარი მუშაობით, შრომის ნატურალური პროდუქტით დაფაროს, გაანაღდოს საიჯა-

1) ფ. მახარაძე. Op. cit. გვ. 24.



რო გადასახადი. სხვანაირად არც კი შეიძლება ნატურალურ, ნატურალურ მეურნეობის პირობებში.

რომელი სახის იჯარა იყო რუსეთში განვითარებული? რასაკვირველია, ხასურსათო იჯარა, ნატურალური ფორმით. მართალია, იმ რაიონებში, სადაც დამკვიდრდა ბურჟუაზიული აგრარული ურთიერთობა, ფეხი მოიდგა წარმოების კაპიტალისტურმა ფორმებმა სოფლის მეურნეობაში, უმეტესად გაურკვლებული და გაბატონებული იყო კაპიტალისტური იჯარა. მაგრამ ეს მოვლენა ზოგადი ხასიათის არ იყო, მას ქონდა „ადგილობრივი“, კერძო მნიშვნელობა ზოგიერთ სამეურნეო რაიონისთვის. როგორც წესი, როგორც საერთო კანონი—ეს იყო სასურსათო იჯარა. ზოგიერთი მკვლევარი არ იზიარებს ასეთ შეხედულებას. ამიტომ ამ რთულ საკითხის ამოსაწურავათ ჩვენ მივმართავთ ისევე ლენინს, რომელიც იძლევა აბსოლუტურათ სწორ ანალიზს და დასკვნებს აგრარულ ურთიერთობის კვლევა-ძიებაში. „თუ ჩვენ შეგვეკითხებიან—სწერს ლენინი,—რომელი იჯარა სქარბობს რუსეთში, სასურსათო თუ დამკვირავებელი, იჯარა გაკვირვებისგან თუ იჯარა მდიდარ გლეხების, იჯარა ბატონ-ყმური... თუ იჯარა ბურჟუაზიული, პასუხი შეიძლება იქნეს მხოლოდ ერთი. მოიჯარადრეთა შორის, უეჭველად, უმრავლესობა იღებს იჯარით მიწას გაჭირვებულ ნიადაგზე. გლეხობის უდიდეს უმრავლესობისათვის იჯარა არის მონობა¹⁾“. მაშასადამე, ეს პრობლემაც უნდა ჩავთვალოთ გადაწყვეტილად: რუსეთის სასოფლო მეურნეობაში, საერთოდ, განმტკიცებული იყო იჯარა „გაჭირვების ნიადაგზე“, იჯარა სასურსათო და არა ბურჟუაზიული. ბურჟუაზიული იჯარა იცის განვითარებულმა აგრარულმა კაპიტალიზმმა უმთავრესად. ნატურალურ მეურნეობაში, როგორც იყო, საერთოდ, რუსეთის სასოფლო მეურნეობა, რასაკვირველია, „სქარბობდა“ სასურსათო იჯარა, ე. ი. „იჯარა-მონობა“, საგლეხო იჯარა.

საინტერესოა შემდეგი გარემოება. გლეხობა მიმართავდა იჯარას არა მარტო „გაჭირვების ნიადაგზე.“ ჩვენ ვიცით იჯარა იძულებითი. ამ საკვირველ შემთხვევაში გლეხი იძულებული იყო, საკუთარი სურვილის წინააღმდეგ, აეღო იჯარით მიწის ნაჭერი. აქ იჯარის ინტერესი არ მდგომარეობდა არც წერილ მეურნეობის მოლონიერებაში, არც—გაჭირვებაში. იჯარა გვევლინებოდა როგორც იძულებითი, ძალდატანებითი, ძალმომრეობითი ზომა, რომელსაც მიმართავდა მემამულე გლეხის დასამონავებლად. ძნელათ დასაჯერებელია ეს, მაგრამ „ფაქტი—ჯოჯიტი საგანია.“ აი რაშია საქმის ვითარება. „დიდი რევოლუციის“ შემდეგ, გლეხების „ნადლეებით“ „დაჯილდოვების“ დროს, მემამულეები ეშმაკურათ მოიქცნენ. მიწები ისე გაანაწილეს, რომ ბევრ ადგილას ე. წ. „სოლი“ შექმნეს ხელოვნურათ. გლეხის „მამულში“ მემამულის მიწის ნაჭერი სოლივით იჭრებოდა: ერთ ნაჭერიდან მეორე ნაჭერზე გადასვლა შეუძლებელი იყო მემამულის „სოლის“ „დაუშეებლად.“ Клин клином вышибается, ამბობს რუსული ანდაზა. გლეხობისათვის არ იყო ეს თქმული. „სოლი“ შეუძლებელს ხდიდა „ნა-

¹⁾ Ленин, ტ. IX, გვ. 627—628. კლასიკი ჩვენია.

დელის“ ექსპლოატაციას. ამიტომ გლეხი იძულებული იყო იქნა, „სოლი“ და ეხადა საკმაოდ დიდი საიჯარო გადასახადი *მგზლიწითხე*

აი დამახასიათებელი მაგალითები. მანუილოვი სწერს: „სანადგლო მიწა მდებარეობს ორ ნაჭრათ. ერთ მათგანზე გლეხებს არ აქვთ არავითარი გასასვლელი. ამიტომ ისინი წლების განმავლობაში იღებენ მეზობელ მემამულის მიწას იჯარით.“¹⁾ ეს კიდევ არააფერი. მეორე, უფრო მწარე მაგალითი: „მამული ორ საზღვარს შორისაა. სახნავეებს შორის მდებარეობს მემამულის საძოვარი ნაწილი, რომლის კიდურებს ეგზინება გლეხების საძოვარი ადგილები. ამ ადგილებზე საზრდოობს გლეხობის საქონელი. ამის გამრ საგლეხო საზოგადოებას იძულებულს ხდის აილოს მემამულისგან ნაჭერი იჯარით.“²⁾ როგორც ვხედავთ, გლეხობა იღებს იჯარით მემამულის მიწას იმეტომ, რომ საქონელი გადადის ამ მიწაზე. ასეთ იძულებით იჯარის ფასი ზღაპრულად მაღალი იყო ჩვეულებრივზე. მცირე მაგალითი საილიუსტრაციოთ: „სოფ. პოგორელოვის გლეხობა — ნათქვამია ერთ ბიუროკრატიულ სტატისტიკურ გამოცემაში, — ვალდებულად ხდის თავს მოუხნას ვაქარ ვარვაროვს (მართლა ბარბაროსს! გ. მ.) თითო დესეტინა თითოულ ცხენზე, რომელსაც გლეხობა ერეკება თავის საძოვარ ადგილებში ვარვაროვის მიწისგან.“ რამდენ ცხენს გადადენის — მხოლოდ გადადენის — გლეხობა თავის საძოვრებში ვარვაროვის მიწით, იმდენ დესეტინას უხნავს ამ მართლაც ბარბაროსს ყოველ წლიურად. მართლაც, ძნელათ დასაჯერებელია ეს, ფაქტი რომ არ იყოს უკიდურესი. და განა უფრო მწარე მაგალითებიც არ ინახება ძველი ცხოვრების არსებაში? ნახევრად ფეოდალური აგრარული ურთიერთობა ასეთ მაგალითების მთლიან სისტემას წარმოადგენდა თავიდან ბოლომდე. სამართლიანად ამბობს ამხ. გაისტერიც: „გლეხობის სუსტი ფენები, გარშემორტყმული ყოველმხრივ მემამულეთა მიწით, მოკლებული ქალაქში გასვლის საშუალებას, მტკიცეთ დაკავშირებული თავიანთ მწირ მიწის ნაჭერთან, — იჯარით იღებენ მემამულის მახლობელ ნაკვეთებს. Отработки, исполющина, издольщина — ჩვეულებრივი სავადსახადო მეთოდებია ამ ფენების მხრივ.“³⁾ იძულებითი იჯარა — აი რა იყო ყველაზე უფრო ბარბაროსული მოვლენა აგრარულ ურთიერთობაში.

რასაკვირველია იძულებითი იჯარა კერძო მოვლენა იყო საერთოდ ნახევრად ფეოდალურ საიჯარო სისტემაში. ეს არ არის დამახასიათებელი ნიშანი აგრარულ ურთიერთობისა მთელი რუსეთის ფარგლებში. დამახასიათებელ და საყოველთაოდ გაბატონებულ წესს წარმოადგენდა იჯარა „ვაჭირების ნიადაგზე.“ გლეხი მიმართავდა იჯარას იმეტომ, რომ ამას მოითხოვდა მისი „მეურნეობის“ მდგომარეობა, — ამას მოითხოვდა გლეხის ოჯახური პირობები, საარსებო მინიმუმის შენარჩუნება. უმიწობა, მცირემიწობა, სიმშვილი და სიტუტვლე იძულებულს ხდიდა გლეხობას მიემართა იჯარისათვის, სრულდებით „კაბალურ“, მონურ პირობებში. ამით მოხერხებულად სარგებლობდნენ მე-

1) Мануилов. Очерки по кр. вопросу.

2) ibid.

3) Гайстер Op. cit. გვ. 56 იხ. აგრეთვე გვ. 56 - 57.

მამულები—საიჯარო ფასიც იზრდებოდა „მოთხოვნის“ მიუხედავად. ხშირათ საიჯარო გადასახადი აღემატებოდა წმინდა შემოსავალს. მაგ. ხერსონის გუბერნიაში საიჯარო ქირა და წმინდა შემოსავალი იძლეოდა შემდეგ პროპორციონალურ მიმართებას: მთელი შემოსავალი დესტრინიდან—12,9 მან. წმინდა შემოსავალი—5,8 მან. საიჯარო გადასახადი—8,6 მან. ¹⁾ მაშასადამე, ზარალი—2,8 მან. თითოულ დესტრინზე.

მიუხედავად ამისა, ჩვენ ვხედავთ საიჯარო ფასების სისტემატიურ ზრდას. ეს ზრდა ხშირათ ნახტომებითაც სწარმოებდა. ბურჟუაზიულ აგრარულ მეურნეობაში საიჯარო ფასების დინამიკა დამოკიდებულია, უმთავრესად, კაპიტალისტურ კონკურენციაზე. არაა საფუძვლიანი იმაზე ფიქრი, რომ ასეთი, კონკურენცია—სასურსათო რენტისა და კაპიტალისტური რენტის კონკურენცია—იწვევდა რუსეთში საიჯარო ფასების საკვირველ ზრდა განვითარებას. ჩვენ აქ საკმე გვაქვს უფრო ფეოდალურ აღვირ-ახსნილ ექსპლოატაციასთან უმთავრესად მეორე მხრივ, საიჯარო ფასების აწვეა უშუალოთ იყო დაკავშირებული პურეულის საერთაშორისო ბაზრის კონუნქტურასთან. ხელსაყრელი სამაზრო კონიუნქტურა ხელს უწყობდა საიჯარო ფასების გაძვირებას, აწვევას. ერთი სიტყვით, როგორც არ უნდა ავსხნათ ეს მოვლენა, ფაქტი მაინც არ კარგავს მნიშვნელობას—საიჯარო ფასების ზრდა გავრცელებული იყო მთელ რუსეთის სასოფლო მეურნეობაში.

1896—1902 წ. წ. განმავლობაში საიჯარო გადასახადი რუსეთში გაიზარდა დაახლოებით ორჯერ, 1896 წელს საიჯარო ქირა უდრიდა 6.8 მან. დესტრინზე, ხოლო 1902 წ.—14.4 მანეთს. კერძოდ ვორონეის გუბერნიაში საიჯარო ფასი გაიზარდა—ამავე ხნის განმავლობაში—8-დან 35 მანეთამდე. არც ჩვენში იყო უკეთესი მდგომარეობა.

დასავლეთ საქართველოში სოფლის მოსახლეობის 60—70% მიმართავდა იჯარას. იჯარა ჩვენში თითქმის მთლიანად ნატურალური იყო. გლეხობა იხდიდა შემოსავლის ნახევარს, მესამედს, ზოგან—60% „მიწის იჯარით გაცემა გლეხზე—სწერს ამბ. ფილიპე, —მოსავლის ნაწილის გადახდით ნატურით წარმოადგენდა მემამულისათვის ყველაზე უფრო ადვილ საშუალებას, რომ ნატურალური იჯარა ყოველთვის დიდი იყო და გლეხობიდან გამოეწოვა უკანასკნელი წვეთი სისხლისა. ჯერ ის, რომ მემამულე ყოველივე სტიქიურ უბედურების დროსაც... და ზღვეული იყო, რადგან იგი იღებდა მოიჯარადრისაგან მოსავლის ნახევარს, მესამედს თუ მეოთხედს, თუნდაც ამ უკანასკნელს ერთი მარცვლიც არ მოსვლოდა ნაქირავებ მიწაზე, და თუ, მიუხედავად ამისა, გლეხი მაინც იღებდა იჯარით მიწას, ეს აიხსნება იმით, რომ ის იმდენად შევიწროვებული იყო უმიწობით, რომ მეტი გამოსავალი არ ქონდა“ ²⁾ აქ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ნატურალური იჯარა გამანადგურებელი იყო გლეხობისათვის, მემამულესთვის კი „ადვილი საშუალება“ და გადიდებული შემოსავლის წყარო. ფულადი იჯარა გაცილებით

¹⁾ А. Шестаков. кр. революция... гл. 18

²⁾ ფ. მახარაძე. 1905 წელი ამიერ-კავკასიაში, გვ. 29. აგრეთვე: ტ. III. გვ. 14.

იაფი იყო ნატურალურ იჯარაზე. შემამულეს, როგორც სავაზის წარმომადგენელს, ფული ესაჭიროებოდა. ნატურალურ იჯარას ფულადი იჯარა ერჩია მას. ფული—ეს უკვე მზა-მზარეული, ხალასი შემოსავალი იყო შემამულისათვის. საშავიეროთ, აქ შემამულე მიმართავდა „კომპენსაციას“—ნატურალურ იჯარას აღიდებდა თვალსაჩინოთ, რათა შემდეგ ჩალის ფასადაც რომ გაეყიდა სოფლის მეურნეობის პროდუქტი, რომელსაც ნატურალურ საიჯარო გადასახადის სახით ღებულობდა, არ უნდა ეზარალა იოტის ოდნავაც კი. სოფლის მეურნეობის პროდუქტების რეალიზაციის დაბრკოლების საშიშროება ყოველთვის თვალ-წინ ეხატებოდა შემამულეს. ამიტომ ნატურალური საიჯარო ფასი გაცილებით მაღალი იყო ფულად გადასახადზე. ასე იყო მთელ რუსეთში, ასე იყო განსაკუთრებით ჩვენშიაც. მაგალითად, ქუთაისის გუბერნიაში ფულადი საიჯარო გადასახადი დესეტინაზე უდრიდა 15--24 მანეთს. ხოლო ნატურალური--32--75 მანეთს. ¹⁾ როგორც ვხედავთ აქ კოლოსალური განსხვავებაა.

ამ რიგით, ნატურალური იჯარა, რომელიც გაბატონებული იყო ნახევრად ფეოდალურ აგრარულ ურთიერთობაში და წარმომადგენდა ამ ურთიერთობის ერთ-ერთ მტკიცე საფუძველს, მშრომელ გლეხურ მოსახლეობის გაუგონარ, განუხსაზღვრელ ექსპლოატაციას ემყარებოდა. აგრარულ რევოლუციის მომზადების პროცესში ამ გარემოებამ არანაკლებ გადაიმკრელი როლი ითამაშა უსათუოდ.

III

საიჯარო რენტის ზრდა პირდაპირ პროპორციონალობაშია მიწის ფასების ზრდასთან. ეს ორი მოვლენა მჭიდროთაა დაკავშირებული ერთმანეთთან. პირველის ზრდა უდრის მეორის ზრდას და პირიქით—მეორის ზრდა ჰკლულისხმობს პირველის ზრდას. ასეთი უშუალო მიზეზობრივი კავშირია მათ შორის. საიჯარო ფასების აწევა იწვევს მიწის ფასის ზრდას, მიწის ფასის ზრდა კი—საიჯარო ფასების ზრდას. ჩვენც ვხედავთ, დაწყებული „სოციალურ რეფორმის მეორე დღიდან“ სულ უკანასკნელ ხანებამდე მიწის ფასების დინამიკა ფასების პროგრესიულ ზრდას გვიჩვენებს. აი რას გვეუბნება მიწის ფასების მოძრაობის მრუდე: დეს. სახნავ-სათესი ღირდა საშუალოთ:

1868 წ. — 28,39 მან.

1893 „ — 74,8 „

1902 „ — 139,4 „

მაშასადამე, 34 წლის (1868—1902) მანძილზე დეს. სახნავ-სათესი მიწაზე ფასი გაზრდილა მთელი 111,01 მანეთით. ღენინს მოყავს უფრო ახალი ცნობები, ²⁾ „საგლეხო ბანკის“ ფასების მიხედვით მიწის ფასები შემდეგნაირად იზრდებოდა: დეს. სახნავ-სათესი ფასობდა საშუალოთ:

1895 წ. — 51 მან.

1900 „ — 80 „

1902 „ — 108 „

1906 „ — 126 „

¹⁾ ფ. მახარაძე, *op. cit* გვ. 30.

²⁾ *Ленин*, ტ. IX, გვ. 570.

ასეთი იყო ოფიციალური, სახაზინო, ბიუროკრატიული ცნობები მიწის ფასების დინამიკის შესახებ. ვინ არ იცის, ოფიციალურ ფასების გვერდით არსებობდა არაოფიციალური ფასებიც. ამ ფასებს აწესებდნენ მემამულეები თავიანთ მიწებზე. „სავლეთო ბანკის“ საშუალებით იყიდებოდა არა უმეტეს 25—30% მემამულეები უშუალოთაც ვაჭრობდნენ გლეხობასთან და მიწას ზღაპრულ ფასებში ყიდდნენ. რუსეთის ზოგიერთ გუბერნიაში მემამულეები დღეს ყიდდნენ 150—200 მანეთად, ჩვენში კი ქცევა ფასობდა 80—120 და მეტი მანეთით. ეს გუშინდელი ამბავია, რომელიც ყველას ახსოვს და აქ ჩვენ არ ვსაჭიროებთ ავტორიტეტულ წყაროების მოშველებას. ყველაზე უფრო ავტორიტეტული წყაროა გუშინდელი სინამდვილე. ამის უდაო დოკუმენტი მრავალ გლეხის ზანდუკში ინახება.

მაღალი საიჯარო ფასები, ზღაპრული ფაშები მიწაზე—ყველაფერი ეს სრულებით ალატაკებდა ისედაც განადგურებულ წვირულ გლეხურ მეურნეობას, მიუხედავთ ამისა, გლეხობას სხვა გზა არ გაიჩნდა და გლეხი წარმოუდგენელი ვაჭირებით ყიდულობდა თავისივე უღებებს, იძენდა მიწას. ¹⁾ ამავე დროს გლეხობას ზურგზე აწვა მრავალი სხვადასხვა ბეგარა და სახელმწიფო გადასახადი. სავადასახადო ობიექტს უმთავრესად მხოლოდ გლეხური, განადგურებული „მეურნეობა“ წარმოადგენდა. რუსეთის გლეხობის ბიუჯეტში სახელმწიფო გადასახადი საკმაო პროცენტს შეადგენდა. ღარიბი გლეხური მეურნეობა ორჯერ სამჯერ მეტს იხდიდა შეძლებულ, კულაკურ მეურნეობაზე, რასაკვირველია, შემოსავალთან პროპორციულობის თვალსაზრისით. ავიღოთ გლეხურ მეურნეობის ოთხი კატეგორია: უკიდურესად ღარიბი, ღარიბი, საშუალო და შეძლებული. შევამოწმოთ, რამდენ პროცენტს შეადგენდა მათ ბიუჯეტში სახ. გადასახადი, ბეგარა და სხ. აქ ჩვენ ვღებულობთ საოცარ სურათს: ²⁾

პირ. კატ. სერ. შვ. —	118,1 მან;	გას —	109,08 მ;	სახ. გადას. —	15,47 მ. გ. ი. 14,19%
მეორე კატ. " " —	178,12 " "	" —	174,26 " "	" —	17,77 " " 10,2%
მესამე კატ. " " —	429,72 " "	" —	379,17 " "	" —	32,02 " " 8,44%
მეოთხე კატ. " " —	1.766,66 " "	" —	1.593,77 " "	" —	86,34 " " 5,42%

აქ მთელი თავისი სიკვდილით მოსჩანს კლასიური სავადასახადო პოლიტიკის სიშიშველე. მდიდარი ნაკლებს იხდის, ღარიბი—მეტს. კულაკური მეურნეობის საერთო ბიუჯეტში „სხვადასხვა გადასახადი“ შეადგენდა 5,42% საშუალოსი—8,44% (+ 3,02), ღარიბ მეურნეობაში—10,2% (+ 4,38) და უკიდურესად ღარიბ, უცხენო „მეურნეობაში“ კი—14,19% (+ 8,77). ნუ გავიკვირებთ, ჩვენ უფრო მეტი „საკვირველება“ გველოდება. მემამულეთა სახელმწიფოს კლასიური პოლიტიკა კიდევ უფრო რელიეფურათ გამოიყურება მთელი თავისი სინახინადი და სისწინებებით, როცა ვადარებით გადასახადის განაწილებას გლეხისა და მემამულის მეურნეობის ერთ და იმავე ერთეულზე, სახელმწიფო გადასახადს იხილდნენ თითოეულ დესეტრანაზე:

ცენტრალურ რუხეთში:

მემამულეები . . .	0,34 მან.
გლეხები	2,39 " "

¹⁾ ხედავთ მიწის ყოველ შეძლებული იყო გლეხობისათვის. გლეხობა ყიდულობდა იმ მიწას, რომელსაც ის ანუშვებდა წლიდან წლამდე აქ ლაპარაკია მიწის „დახსნაზე“, გამოსყიდვაზე. რუსეთში, მაგ. 295 მილ. მანეთი გადაუხდია გლეხობას მემამულეების სასარგებლოთ. ეს რიცხვიც ნაწილობრივია, არა სრული ეს არის პატარა ნაწილი იმისა, თუ რათ უზღებდა რუსეთს იუნკერულ-ბურჟუაზიული აგრარული ევოლუცია, ასეთი ბარკი, დაწესებულია. მემამულეებისა და ბიუროკრატების სასარგებლოთ—ამბობს ლენინი (ტ. IX, გვ. 570) მარტო ქუთაისის გუბერნიაში 23.407 კომლს გამოუყვიადა სულ 104.165 დესეტრანა მიწა, რამოც მიუტია 4.833.258 მან.“ (ფ. მახარაძე, ტ. III, გვ. 37). ესეც „პატარა ნაწილია იმისა, თუ რათ“ დაუჯდა საქართველოს გლეხობას ნახევრად ფეოდალური „აგრარული ევოლუცია“.

²⁾ სტატისტიკა დაწერილებით: Ленин Op. cit., გვ. 634.

უკრაინაში:

მემამულეები . . . 0,47 მაზ.
 გლეხები . . . 1,8 „

სამხრეთში:

მემამულეები . . . 0,29 მაზ.
 გლეხები . . . 1,7 „¹⁾

ამ შემთხვევაში მემამულეთა სახელმწიფოს კლასიური საგადასახადო პოლიტიკა აღწევს განვითარების მწვერვალს. ერთი და იგივე ობიექტი იბეგრება სულ სხვადასხვანაირად. საშუალოთ, აქ პროპორცია დაახლოებით უდრის: მემამულეთათვის—1:5, გლეხებისათვის—5:1. მაშასადამე, როგორც მემამულის, ისე მის სახელმწიფოს ხელშიაც ერთად-ერთ საექსპლოატაციო საგნათ ითვლებოდა დარბი გლეხურ ომეურნეობა. ეს ვალატაკებელი, წელზე მოტეხილი მეურნეობა შეადგენდა გადასახადის „უკვედების წყაროს“. გაბატონებული წოდება მადიანათ ეწაფებოდა ამ წყაროს, სანამ იგი არ აიძვრა და წითლად არ შეიღებდა...

ასეთივე მდგომარეობა იყო ჩვენშიაც. თვით მეფის „უერთგულესი“ და „უქვეშევრდამესი ვორონცოვ-დაშკოვი სწერდა თავის „მოხსენებაში“ 1907 წელს: „1901 წლამდე (და შემდგომაც, გ.მ.) პირდაპირ გადასახადების და საერო ბეგარის მთელი სიმძიმე კავკასიაში აწვა განსაკუთრებით საგლეხო მოსახლეობას, რომელიც სხვადასხვა გადასახადებს იხდიდა წლიურათ 5,57 მილ. მანეთს... მემამულეები კი, რომლებიც ფლობდნენ დაახლოებით 5 მილ. დესეტინას, ხაზინას არ აძლევდნენ სრულებით არავითარ გადასახადს. იხდიდნენ რა ყოველგვარ საერო და სახაზინო გადასახადებს ფულად, გლეხებს იმავე დროს აწვით კისერზე ნატურალურ-საერო გადასახადთა მთელი სიმძიმე და გარდა ამისა კიდევ თავისი სისოფლო-სათემო გადასახადები“. ამას აღიარებს თვით მეფის „უერთგულესი“ გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი. მაშასადამე, აქ გადაჭარბებას იოტის ოდნავადაც არ აქვს აღვლილ, ვახსა საკუთარ კლასის ინტერესებს დაბლა დააყენებდა მოწინააღმდეგე კლასის ინტერესებზე. „სახელმწიფოებრივი მოსაზრება“ იძულებულს ხდიდა „უქვეშევრდომეს გრაფს აღენიშნა ობიექტიური მდგომარეობა.

ამრიგათ, უზარმაზარ ლოდით აწვა წვრილ გლეხურ მეურნეობას შეილდით მოღწეულ ზურგზე: ღმიწობა, მაღალი საიჯარო რენტა, მაღალი ფასები მიწაზე, სახელმწიფო გადასახადები და სხვადასხვა სახის ბეგარა... ამას ლოლიკურათ მოყვა უარყოფითი შედეგი—გლეხურ მეურნეობის საწარმოო ძალთა სრული განადგურება. საიჯარო მიწის შენარჩუნება, სახელმწიფო გადასახადის განაღდება, ბატონყმურ ბეგარის შესრულება ხშირათ ხდებოდა გლეხურ მეურნეობის სამუშაო იარაღის—ცოცხალ და მკვდარ ინვენტარის—შემცირების ხარჯზე. ხარჯების დასაფარავად გლეხი იძულებული იყო გაიყიდა უკანასკნელი ხარკამი, ცხენი, კავი თუ გუთანა. ეს მოვლენა სრულებით არ იყო შემთხვევითი და იშვიათი „იუნკერულ-ბურჟუაზიულ“ აგარულ მეურნეობაში.

ჩვენ საესებით ვეთანხებით პეტრე მასლოვის შემდეგ მოსაზრებას: „საიჯარო ფასების ზრდა ხდებოდა გლეხობის საწარმოო საშუალებათა შემცირების ხარჯზე.“²⁾ ან კიდევ: „როცა შრომის ნაყოფიერება ეცემა (მოუსავლიანობა), გლეხს უხდება იჯარის გადახდა უკვე ძირითად კაპიტალიდან (ინვენტარიდან) იჯარის დაკარგვის მუქარის ქვეშ.“³⁾ ეს სრული სიმართლეა. გლეხი

1) А. Гайсер. Op. cit. გვ. 164. სტატისტიკა მოგვყავს შემოკლებით.

2) П. Маслов. Аграрный вопрос в России. ტ. II, წ. I, გვ. 151.

3) Op. cit., გვ. 19.

სტატისტიკა

ამცირებდა „ძირითად კაპიტალს“ და ფარავდა სახელმწიფო გეგმავლობის მიწის გამოსასყიდ თანხას. ეკონომიური თვალსაზრისით ეს იყო გლეხურ მეურნეობის სრული განადგურება, რადგან სამუშაო საშუალებათა შემცირება იმდენად მწარე ნაყოფს მოჰრივს სამეურნეო წელშივე. ჩვენც ვხედავთ ორ პარალელურ, მაგრამ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ მოვლენას: „ძირითად კაპიტალის“ განადგურების გლეხურ მეურნეობაში და საითეს არეს ძალზე შემცირებას. სტატისტიკური გამოკვლევებით ამ მხრივ უზრუნველყოფილი ვართ, როცა რუსეთზე ვლაპარაკობთ. სამწუხაროთ, ჩვენი საქართველოს სას. მეურნეობის ევოლიუციის დამახასიათებელი მასალები ძალიან ნაკლებად მოგვეპოვება. რაც გვაქვს, ისიც სათუო და პირობითი. ამ საკითხს კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს. თითოეულ 100 მცხოვრებზე რუსეთში საშუალოთ მოდიოდა: 1)

1861 წ.	26	მუშა ცენზი
1882 „	25,6	„ „
1898 „	17,6	„ „

ასე ეცემოდა ცოცხალი სამუშაო ძალა გლეხურ მეურნეობაში. მზიდავი ძალის დაცემა უფრო ნათლად რომ წარმოვიდგინოთ, ჩვენ მივმართავთ მხოლოდ ერთს „მრავალთა შორის“ მაგრამ მეტად დამახასიათებელ, ამავე დროს მეცნიერულადაც დამუშავებულ სტატისტიკას. ვიღებთ მხოლოდ ორ პერიოდს: 1888—1891 წ.წ. და 1895—1900 წ.წ. აქ ჩვენ ვლბებულობთ მეტად უნუგეშო მდგომარეობას. სამუშაო ძალის დინამიკა იმდენად შემდეგ სურათს:

გლეხურ მეურნეობათა რაოდენობა (მილიონებში)

	1888—1891 წლები		1895—1900 წ. წ.		+ თუ -
	სულ	% ¹ / ₁₀	სულ	% ¹ / ₁₀	
სავსებით უცხენო	— 2,8	27,3	3,2	29,2	+ 1,9 %
ერთ ცხენიანი	— 2,9	28,5	3,4	30,8	+ 1,8 „
3 ცხენიანი	— 1,1	10,6	1,0	9,4	+ 1,2 „
4 და მეტ ცხენიანი	— 1,1	11,4	1,0	9,1	+ 2,3 „ 1)

როგორც აშკარად ვხედავთ, 1888—1900 წ. წ. განმავლობაში სრულებით უცხენო გლეხურ, უკიდურესად სუსტ მეურნეობათა რიცხვი გაზრდილა 0,4 მილიონით, ე. ი. 1,9¹/₁₀-ით. ღარიბ ერთცხენიან მეურნეობათა რაოდენობა გადიდებულა 0,6 მილ., 1,8¹/₁₀-ით. საშუალო — 0,1 მილ., 1,2¹/₁₀-ით, ხოლო საშუალოზე მეტი — 0,1 მილ., 2,3¹/₁₀-ით. ცოცხალ სამუშაო ძალის დაცემის პროგრესია, საერთოდ, „გვემაშეწონილად“ მიმდინარეობს. ეს უკვე კანონათ იქცა გლეხურ მეურნეობაში. გლეხური მეურნეობა აშკარათ იღვა დეგრადაციის, დაცემის, გადაგვარების გზაზე. რომელი მკვდარი ციური გინდა ავილოთ, ყოველთვის გამოვააშკარავებთ ამ ცოცხალ, მწარე სინამდვილეს. მარტს იც სამართლიანად ამბობდა, გადასახადები, ბევარა და სხვა მსგავსი „მოვლენები“ აგამანად გურებლად მოქმედობს გლეხურ მეურნეობაზე“-ო. გლეხური მეურნეობაც ეცემოდა სამუშაო საშუალებათა შემცირებასთან ერთად.

მართალია, ჩვენ ამ ეამად არ მოგვეპოვება ამ მნიშვნელოვან პროცესის აღმნიშვნელი „ზოგოფული“ ცნობები, კერძოთ, საქართველოს არგარაულ ევოლიუციის დასახასიათებლად — საწარმოო ძალთა დეგრადაციის თვალსაზრისით. ჩვენი „სტატისტიკური არსენალი“ ამ მხრივ სრულებით ღარიბია. სამაგიეროთ,

1) Гайстер, Op. cit., გვ. 63.

2) მოკლელო სტატისტიკა ჩვენ მიერა შედგენილი იმ ცნობების მიხედვით, რომელსც იმდენი ლენინი გამოკვლევაში Аграрный вопрос в России к концу XIX века. (იბ. соб. соч. ტ. IX. გვ. 607, 638 და 648).

ქრონიკული

შეგვიძლია ნაწილობრივ მაინც ვისარგებლოთ 1916 წ. სასოფლო-სამეურნეო აღწერით. თითოეულ გლეხურ მეურნეობაზე მოდიოდა საშუალოთ:

გორის მახრაში	—	0,1 ცენი და ფრი; 1,5 ხარკამები
სიღნაღის მახრაში	—	0,5 " " 0,9 " " 1)
თელავის მახრაში	—	0,2 " " 1,0 " " 1)

მაშასადამე, არც ერთ დასახელებულ მახრაში, საერთოდ არ არის მზიდავი ძალით გლეხური მეურნეობა უზრუნველყოფილი. ეს ციფრები მოწმობს ამ მეურნეობის სრულ კატასტროფას. თუ ამ ცნობებს შევიდარებთ უფრო ადრინდელ ცნობებს, ცხადზე უცხადესი გახდება გლეხური მეურნეობის გალატაკება სწარმოო საშუალებებით. 1912 წელთან შედარებით სამივე მახრაში ცენის საერთო რაოდენობა შემცირებულა 4 227-თ, რაც შეადგენს დაახლოებით 25⁰/₀-ს. 2) დაცემის დინამიკას თუ შთელ შინაურ საქონელზე (მსხვილფეხა, წვრილფეხა, რქიან და ურქო) გავაერცვლებთ, მივიღებთ უფრო დამაზასიათებელ ცნობებს. ამავე მახრებში მოდიოდა საშუალოთ ყოველი სახის სიქონელი:

	1880—1885 წ. წ.	1916 წ.
თითოეულ ოჯახზე	32,5	6,5
თითოეულ სულზე	5,1	1,2 3)

ცხადია, 1880—1916 წ. წ. ე. ი. მხოლოდ 36 წლის განმავლობაში საქართველოს ამ ნაწილში მესაქონლეობა 5-ჯერ დაკლებულა დაახლოებით. მართალია, წვრილ მეურნეობის პირდაპირ ფეოდალურ და ნაწილობრივ ბურჟუაზიულ ექსპლოატაციასთან ერთად ჩვენ გვაქვს მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორი—იმპერიალისტური ომი. ამჟამაა, ეს ომი გამანადგურებელ გავლენას ახდენდა გლეხურ მეურნეობაზე მუშა ხელის მობილიზაციის და სამუშაო ძალის შემცირების თვალსაზრისით. ამას ჩვენ არ ვმალოთ და არც ვამცირებთ მის მნიშვნელობას. მაგრამ იმის თქმა, რომ მესაქონლეობის ასეთი ჩქარი დეგრადაცია მართო—და უმთავრესად—1914—1918 წ. ომით აიხსნება, სრულებით არ შეეფერება სინამდვილეს. ეს შეხედულება მოკლებულია მეცნიერულ საფუძველს. ომის ცეცხლს საქართველოში არ გადაფულია. იმპერიალისტურ ომის გამანადგურებელი გავლენა მთელი თავისი სიძლიერით ჩვენ არ გვიგვრძვნიან. ამიტომ შეუძლებელია ორი წლის (1914—1916) უმოკლეს მანძილზე ასე კატასტროფიული და ცემულიყო ჩვენში შინაურ საქონლის მეურნეობა. ვფიქრობთ, აქ სერიოზულათ არაეინ შემოგვედავება.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი მეტად საგულისხმო გარემოება. ეს არის რუსული პურის სიიადე. ეკონომიური თვალსაზრისით ამ ფაქტს აქვს ორგვარი უარყოფითი მნიშვნელობა. პირველი—პურეულზე დაბალი ფასების დაწესება დიდათ აბრკოლებს აგროარულ მეურნეობის განვითარებას კაპიტალისტურ გზით, ხელს უშლის აგროარულ კაპიტალიზმის ევოლიუციას. მეორე—პურეულზე დაბალი ფასები აწინადგურებს წვრილ, გლეხურ მეურნეობას. რუსეთში ადგილი ჰქონდა ორივე შემთხვევას, როგორც ცნობილია საზოგადოთ, რუსეთი ყოველთვის აწარმოებდა პურეულ კულტურის დიდ ოპერაციებს საერთაშორისო ბაზარზე. რუსეთი ზორბლუელის დიდი ექსპორტის ქვეყანა იყო, ამავე დროს მაღალი საიჯარო რენტით. საერთაშორისო ბაზრის კანონები ხელ-ფეხს უკრავდა რუსულ საეაქრო კაპიტალს, ამ კაპიტალის ინტერესები მოითხოვდა პურეულ ექსპორტზე ფასების მნიშვნელოვნად დაწევას. სხვა გზით შეუძლებელი იყო პურის საერთაშორისო ბაზარზე გამეფებული კაპიტალისტურ კონკურენციის გამკლავება. აქ სრულიად დაცული და

1) უფრო დაწვრილებით: ფ. მახარაძე, ტ. III, გვ. 234—235.

2) ibid., გვ. 239.

3) ibid., გვ. 242.

სტატისტიკა

ხელუბლებელი ხდებოდა საეკონომიკური კაპიტალის ინტერესები რუსეთში. აგრარულ მეურნეობაში დაბანდებულ საწარმოო კაპიტალის მიზანია პროდუქციის გაყიდვა ხელსაყრელ მაღალ ფასებში. სხვანაირად საზარალოა კაპიტალის დაბანდვა სოფლის მეურნეობაში. ამიტომაც ხდებოდა ის გარემოება, რომ საწარმოო კაპიტალი აგრარულ ურთიერთობაში ძალიან ნელა, მეტად ფრთხილად იჭრებოდა. ბორბლელულის ფასების მოძრაობის საილიუსტრაციოდ მოვიყვანთ მხოლოდ ერთს, მაგრამ ზედმიწევნით სწორ სტატისტიკას. ფუთი ხორბალი ფასობდა (კაპიტალიზმში) ¹⁾.

წლები	ინგლისი	პრუსია	ადესა
1881 - 1885	135	142	118
1886 - 1890	108	131	97
1896 - 1900	101	122	91
1901 - 1905	98	123	80

ასეთია ნამდვილი затухающая кривая რუსეთის პურელის ფასების დინამიკის. მოწინავე კაპიტალისტურ კვანძებში უფრო მაღალია ფასები პურელზე, ვინემ ეკონომიურად ჩამორჩენილ მემამულეთა რუსეთში. სასაქლოა, მემამულეთა რუსეთი სკდილობდა თავისი ჩაშორჩენილობით გაერღვია მოწინავე სახელმწიფოების მეტოქეობის კედელი. სამწუხაროთ, ასედაც იყო ეს: მრავალ მილიონიან გლეხურ მეურნეობის გაფუგონარი ექსპლოატაციით გადიოდა ფონს ძველი რუსეთი. ამავე დროს მაგარი არტახებით იკვრებოდა აგრარული კაპიტალიზმის განვითარება. „დაბალი ფასები—სამართლიანად აღნიშნავს ამხ. დუბროვსკი,—ამცირებდა მოგების ნორმას კაპიტალისტურ მეურნეობისათვის და ამით იძულებული ხდებოდა საწარმოო კაპიტალი გადასულიყო მეურნეობის სხვა დარგში. დაბალი ფასების წყალობით მოხდა ის გარემოება, რომ მემამულეთა მეურნეობებმა ასე ხანგრძლივით შეინარჩუნა რანტიერული ბასი-ათი.“ ²⁾ რანტიე მემამულესათვის გაცილებით უფრო ხელსაყრელი იყო მიწის გაცემა იჯარით, ვინემ მისი დამუშავება საკუთარი საწარმოო საშუალებებით.

ადვილია ელემენტარულ საზოგადოებრივ მოვლენის წარმოდგენა: დაბალი ფასები მიუღებელი და გამანადგურებელი თუ იყო ფერმერ-კაპიტალისტისათვის, სოფლის ბურჟუაზიისათვის, ამკარაა, როგორი უნდა ყოფილიყო საქონლის წვრილი მწარმოებელის მდგომარეობა და სამეურნეო პერსპექტივა. აუტანელი იყო საქონლის წვრილი მწარმოებელის სამეურნეო მდგომარეობა—შეუძლებლად აუტანელი. გლეხი თავის საქიროებას და „არასაქიროებას“ ფარავდა უკანასკნელი ლუკმა-პურის გაყიდვით—ხორბლელის გამოტანით პურის ბაზარზე. მაგრამ სწორედ ამ ბაზარზე მოელოდა მას გაკოტრება—მისი მეურნეობის ნაყოფი დაბალ ფასებში იყიდებოდა. არ გამოეტანა „საქონელი“ ბაზარზე, არ შეიძლებოდა. ათასგვარი გადასახადი აწვა მის მეურნეობას. ფრ. ენგელსი მოსწრებულათ შენიშნავს: ხშირია შემთხვევა, როცა აგრარულ მეურნეობის პროდუქტი „იყიდება ფასებში, რომლებსაც არ ავითარი დამოკიდებუ-

¹⁾ А. Шестаков. Op. cit., გვ. 17. სტატისტიკა მოგვყავს შემოკლებით.

²⁾ Труды Института кр. профессуры. т. I, С. Дубровский: Аграрное движение,

ლებს არ აქვს წარმოების ღირებულებასთან (სადაც უფრო მეტი რომლებსაც აწესებენ ვაჭრები, რადგან გადასახადის ვასტუმრებიან დროს გლებს ფული სჭირდება უსათუოდ“. ამიტომაც ასეთი გზით გამოტანილი გლების სამეურნეო პროდუქტი საბაზრო კონკურენციის, საზოგადოთ—პოლიტიკურ ეკონომიის კანონების გარეშე იდგა. გლების ნაწარმოებზე არ ვრცელდებოდა ეს კანონები. მრავალ მილიონიანი წერილი მეურნეობა „კანონს ვარეშე“ იყო გამოცხადებული როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიურად. როგორც გიკირდეს, ისე გიღირდეს—აი რა იყო გლებურ მეურნეობის პოლიტიკურ ეკონომიის ძირითადი საფუძველი. ამ შემთხვევაში არაა ლაპარაკი, რას უდრის წარმოების ინდივიდუალური ღირებულება, საბაზრო ფასი და საშუალო მოგება. ეს ტერმინები სრულებით ამოღებული იყო აგრარულ ურთიერთობის ლექსიკონიდან.

აი რატომ ვიმეორებთ ჩვენ ხშირათ ლენინის სპეციალურ გამოთქმას — „გლების განუსაზღვრელი ექსპლოატაცია“.

საკიროა აგრეთვე აღინიშნოს ხშირი მოუსაველიანობა რუსეთში. ბუნების სტიქიას მიეწერება ეს—მოუფიქრებლად შემოგვქახებს მკითხველი. მართლაც, ვანა საბჭოთა ქვეყანასაც არ აწუხებს ეს სტიქიური მოვლენა? რასაკვირველია. მაგრამ მცირე მოსაველიანობას ძველ რუსეთში თავისი არასტიქიური მიზეზებიც ქონდა ხშირად. გლებურ მეურნეობის პროდუქტია ეცემოდა წმინდა სტიქიურ უბედურების დროს — ნახტომებით, „სოციალურ უბედურებით“ კი — სისტემატურად. სამუშაო ძალის, საწარმოო საშუალებათა სწრაფი დეგრადაციის პირობებში მოსაველიანობის შემცირება ბუნებრივ მოვლენას წარმოადგენდა. სტიქია აძლიერებდა, აორკეცებდა ამ პროცესს. ცენტრალურ რუსეთის 50 გუბერნიაში 1904 წელს საერთო მოსავალი უდრიდა 2.314,9 მილ. ფუთს, ხოლო 1905 წელს—2.884,6 მილ. ფუთს¹⁾. მარტო სტიქიით არ აიხსნება ეს. აქ საქმე გვაქვს წერილ გლებურ მეურნეობის დეგრადაციასთან. გლებურ მეურნეობის სათესი არე მცირდებოდა წლიდან-წლამდე²⁾. ამას უნდა მივუმატოთ შემდეგი საყურადღებო გარემოება: 1861 წ. რეფორმის შემდეგ, „ნადელებით“ გლებობის „უზრუნველყოფის“ დროს მემამულეებმა უფრო ნოყიერი, ნაყოფიერი მიწები თითონ ჩაიგდეს ხელში, ხოლო მწირი და გამოფიტული „მამულეები“ გადასცეს გლებობას. ეს ისტორიული ფაქტია. ამას დიდხანს მაღავედნენ რუსეთის ბურჟუაზიული ისტორიკოსები და ეკონომისტები აუტანელი შრომის. ფიზიკურ ენერჯის განსაკუთრებულ დაკომის იჩენდნენ გლებები ცოტათი მიინც მნიშვნელოვან პროდუქციის მისაღებათ. მართლაც, ეს იყო მონური მეურნეობა, რომელსაც არაფერი ქონდა საერთო კულტურულ მეურნეობასთან. მამაპაპური კავით მწირ მიწასთან ბრძოლა სიზაფის შრომა იყო, თუ კიდევ მეტი სხვა არაფერი.

¹⁾ С. Прокопович. Аграрный кризис... გვ. 131—132.

²⁾ ძაგ. თითოეულ სულზე მოდიოდა ნათესი: გორის მაზრაში—0,21 დეს., სიღნაღის—0,26, თელავის მაზრაში—1,21 (ფ. მაზარაძე, ტ. III, გვ. 245). ეს „მდიდარ“, აღმოსავლეთ საქართველოში. ადვილი წარმოსადგენია, რა იქნებოდა დასავლეთ საქართველოში, სადაც მოწის სიფიროვე ძალზე იყო გამწვავებული.

აუტანელ ფიზიკურ მუშაობასთან ერთად ჩვენ ვამჩნევთ „გადასვლას“ საკვებ სუროგატებზე: პურის ნაცვლათ—კარტოფილი, ხორციულის ნაცურ—მცენარეული და სხვა. რა თქმა უნდა, ეს ხელს უწყობდა მშრომელი მასის ფიზიკურ დეგრადაციას, გადაიშენებას, გადაგვარებას. მეურნეობის დეგრადაცია იწვევს მწარმოებელთა ფიზიკურ დეგრადაციას. ეს ახალი აღმოჩენა კი არაა, ძველი კვწმარობებია, რომელიც იცოდნენ ფიზიკურატებმაც კი. რუსეთში გლეხურ მასის ფიზიკურ დეგრადაციას ფართო გზა ქონდა გახსნილი. გლეხობა შესდგა ამ გზაზე. სანიმუშოთ ავიღებთ სამხედრო სამსახურში გასაწევ „დაბრაკულ“ ახალგაზრდობის რიცხვის სისტემატიურ ზრდას. ეს შუქსა ჰდენს გლეხურ მოსახლეობის ფიზიკურ გადაიშენებას, ამ პროცესის სიღრმე სიგანეს. „დაბრაკულ“ იქნა გაწვეული ახალგაზრდობა (პროცენტებში):

წლები	ევრ. რუსეთში	უკრაინაში
1874—78	11,2	13,0
1879—83	14,9	16,0
1884—88	18,9	16,5
1889—93	17,9	18,2
1894—98	17,7	22,0
1899—1907	22,1	26,6 ¹⁾

მაშასადამე, 1874—1907 წლებში „დაბრაკულთა“ პროცენტი გაზრდილა 11,2-დან 22,1-მდე, ე. ი. ორჯერ დაახლოებით, ხოლო უკრაინაში მეტად, ვინემ ორჯერ. არც ერთ ევროპულ სახელმწიფოში ადგილი არ ქონია გლეხურ მოსახლეობის ასე მძლავრ ფიზიკურ დეგრადაციას. ძველ მონურ, მეურნეობაში, განსაკუთრებით—აზიის დესპოტიურ ქვეყნებში შევხვდებით ხოლმე აწლოგიურ მაგალითებს. ევროპამ არ იცის მათი არსებობა.

აი რას სწერდა ლენინი რუსეთის გლეხკაცობაზე: „ძნელათ თუ მოინახება მსოფლიოში მეორე ქვეყანა, სადაც გლეხობა განიცდის ისეთ ტანჯვას, წვალებას და აბუჩათ აგდებას, როგორც რუსეთში“²⁾ ან კიდევ: „რუსი გლეხი... ექსპლოატაციით დაყვანილია მათხოვრულ, მშიერ ცხოვრების ისეთ საფეხურამდე, რომელიც ევროპაში წარმოდგენილად გვეჩვენება. იქ მსგავს სოციალურ ტიპს ეძახიან პაუპერებს“³⁾. რუსეთის გაძვალტყავებულ გლეხს ვერ შევადარებთ ევროპის სოფლის პროლეტარს. შეუძლებელია ეს შედარება. რუსეთის გლეხური მასა „პაუპერია“, ბოგანო. ლენინი ხშირად უბრუნდება ამ საკითხს, რომელიც ყოველთვის წარმოადგენდა მისი მახვილი ყურადღების საგანს. ამ შემთხვევაში ჩვენ ნებას მივსცემთ ჩვენს თავს მოვიყვანოთ შედარებით გრძელი ციტატა ლენინის ნაწერებიდან:

იმ თანების აღნუსგა, რომელსაც იმდის დარობი გლეხობა ეულაყბისა და მფეხ-შეების სასარგებლოთ, ნათლათ გვიჩვენებს რუსეთის „ნადელით“ დაჯილდოვებულ გლეხობის დასავლეთ ევროპის პროლეტარიატთან ჩვეულებრივ დაპირისპირების უსაფუძვლობას. ნამდვილად კი ამ გლეხობის მასა უფრო ცუდ მდგომარეობაში იმყოფება, ვინემ დასავლეთის სოფლის პროლეტარიატის. ნამდვილად ჩვენი დარობი გლეხები მიეკუთვნებიან პაუპერებს და უფრო და უფრო ხშირათ მეორდება წლები, როცა საკირო ხდება ექსტრაორდინალური ზომები დამწველ მრავალ მალიონიან გლეხებისათვის დახმარების გასაწევათ. დიკალური დაწესებულებები ხელოწნურათ რომ არ უაყვშირებდეს შენლებულ გლეხობას დარობ

¹⁾ Гайсер, Op. cit. გვ. 63. სტატისტიკა მოგვყავს მნიშვნელოვანი შემოკლებით.

²⁾ Ленин, ტ. IX, გვ. 681.

³⁾ Ibidem, გვ. 647.

სტალინი

გლებობასთან, ამ უკანასკნელს აუცილებლათ მიაყენებდა სწორედ ამ კონკრეტულს. და ეს უფრო სწორათ და სამართლიანად გამსაზღვრავდა თანამედროვე საზოგადოები დამოკიდებულებას მოსახლეობის ამ ფენებთან.)

რუსეთის გლებობის ამ დაზასიათებებს ვერაფერს მივეუმატებთ, ვერც გამოვიკლებთ.

ხედმეტი იმაზე ლაპარაკი, რომ საქართველოს გლებობაც ასეთ მდგომარეობას განიცდიდა. „გლებობის დიდი უმრავლესობა—სამართლიანათ ამბობდა ამხ. ფ. მახარაძე ჯერ კიდევ 1907 წელს, — დღეს წარმოუდგენელ ცუდ და აუტანელ პირობებში სცხოვრობს, იგი სანახევროთ თუ სულ არა, მშვიერ-მწყურვალ და ტიტველია, მას უდროოდ სიცოცხლეს უსაობს უკიდურესი სიღატაკე და გონების სიბნელი; მას მიშისაგან თავიცი კი ვერ აუწყევია მაღლა და „ლევის“ და ბატონის მოგონებაზე კრთის და კანკალებს“¹⁾ საქართველოს გლებობის ცხოვრების პირობები სრულებით არ იყო უკეთესი—თუ არ ვიტყვით, უარესიც იყო, — მთელი რუსეთის გლებკაცობის აუტანელ პირობებზე. ასეთი იყო საერთო მდგომარეობა.

ახლა ჩვენთვის ცხადზე უცხადესია პასუხი ლენინის მიერ დასმულ კითხვაზე: Из-за чего идет борьба? თავისთავად ცხადია ამ კითხვაზე პასუხი: ბრძოლა სწარმოებდა ბატონ-ყმურ ექსპლოატაციის, გაუგონარ ძალმომრეობის, გლებურ მასების წარმოუდგენელ ყვლეფისა და გაძეალტყაფების წინააღმდეგ. სხეანაირათ რომ ესთქვათ, ბრძოლის ეკონომიური საფუძველი და ობიექტიური მიზანი მდგომარეობდა იუხკერულ-ბურჟუაზიულ გზიდან აგრარულ ევოლიუციის გადაყვანა ამერიკულ-კაპიტალისტურ გზაზე. ამ დროშის ქვეშ მიმდინარეობდა პირველი აგრარული რევოლიუცია.

გრძნობდა თუ არა რუსეთის ფეოდალური არისტოკრატია რევოლიუციის, გრანდიოზულ აგრარულ მოძრაობის მოახლოებას? რასაკვირველია, გრძნობდა. საინტერესოა მხოლოდ, როგორ გრძნობდა და რაზე ფიქრობდა. როგორც ისტორიული კუროზი, უნდა მოვიყვანოთ ერთი დამახასიათებელი მაგალითი:

1902 წლის დასაწყისში, რუსეთის მთავრობამ განიზრახა... რევოლიუციისათვის „თავისმოჭრა“. ამ მიზნით მან დააარსა ე. წ. „განსაკუთრებული თათბირი“ „სოფლის მეურნეობის მრეწველობის საქიროების გამოსარკვევით“. რა თქმა უნდა, ეს „თათბირი“ შეეხებოდა უმთავრესად „მრეწველობის“, ე. ი. სოფლის ფერმერების „საქიროების გამორკვევას“. სათანადო კომიტეტებიც დაირსდა საკუბერნიო ცენტრებში. და აი ცნობილი პასუხი ერთერთი ასეთი კომიტეტის. ისტორიულ ინტერესის და თავისებური სტილის გამო მოვიყვანთ ამ პასუხიდან ადგილს სიტყვა-სიტყვით, ვადაუთარგმნელად:

Какую жезательно еще дать свободу народу? Какое общество или сословие имеет право по своему приговору сослать в рединого (sic) человека в Сибирь? Никакое, кроме крестьянского, следовательно, у крестьян больше прав чем у всех других сословий.)

გლებებს მეტი უფლებები აქვთ, ვინემ ყველა სხვა წოდებას: თავად-აზნაურობას, სამღვდლოებას, ვაჭრებს, თეორ, შავ და ყვითელ არისტოკრატას, — აი როგორი იყო „ბედის ირონია“, მემამულე-ექსპლოატატორების პასუხი ისტორიის მიერ წამოყენებულ კითხვაზე, უდიდეს სოციალურ პრობლემაზე. ისტორიის ასეთ „გაგებით“ შევიდნ რუსეთის გაბატონებული კლასები sturm und drang-ის პერიოდში...

მოსკოვი

30 XII 1928.

¹⁾ Ленин, собр. соч. т. II, гл. 507. იხ. აგრეთვე: т. IX, гл. 607.

²⁾ ფ. მახარაძე, ტ. III, გვ. 297.

³⁾ П. Маслов, Op. cit. гл. 154.



ბიბლიოტეკა
საქართველოს
ენციკლოპედია

ბიბლიოტეკა

მიხ. ზანდუკელი. თიკვდალელური და ხალხოსნები ქართულ ლიტერატურაში. (ისტორიულ-ლიტერატურული გამოკვლევის ცდა.) ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა 1928. ტფილისი. გვერდი-320. ტირაჟი 1000.

თავის ხსენებული წიგნის შესავალს, მიხ. ზანდუკელი იწყებს: „წინააღმებარე გამოკვლევას მიზნად აქვს მკითხველს გააცნოს ჩვენი ახალი ლიტერატურის ისტორიის ორი თვალსაზრისით მოვლენა, რომელიც ჩვენს საზოგადოების (7) 1) ისტორიაში (რომელიც ჯერ არ დაწერილა. პ. გ.) ცნობილია „თერგდალელთა და ხალხოსანთა“ სახელწოდებით. განსაკუთრებით მატერულ-ლიტერატურული მასალის მიხედვით უნდა იქნეს ხსენებული მოვლენები გაშლილი და შესწავლილი, ე. ი. თუ რამდენად აისახა ჩვენს მატერულ ლიტერატურაში „თერგდალელთა“ და „ხალხოსნთა“ (გვ.1) (ზახი ჩვენი პ. გ.) თუ რატომ მაინც და მაინც მატერულ ლიტერატურის მიხედვით უნდა იქნეს შესწავლილი ეს მოვლენები, ამის დასაბუთებას ის არ შესდგომია. სულ სხვა ამბავია ის გარემოება, რომ ზანდუკელი სწავლობს იმ მოვლენებს მატერული ლიტერატურით, თორემ საერთოდ იმავე მოვლენების შესწავლა არა მატერული ლიტერატურითაც, არაა შესაძლებლობიდან გამორიცხული. თუმცა იმავე ზანდუკელს პუბლიცისტური მასალის გამოყენებაც შესაძლებლად მიაჩნია, რამდენადაც უკანასკნელი მას საკითხების თვისებების შესწავლაში დაეხმარება.

ზემოთ ეს გარემოება ზახვასმით იმიტომ აღვნიშნეთ, რომ ის ალბათ ბევრჯან შეეღის ავტორს, როდესაც ამ მეტად საყურადღებო მოვლენების გაშლისას ზოგ საინტერესო საკითხებს უყურადღებოდ ატოვებს. ამრიგად ის მასალა, რაც საწყისად დაუღია, ავტორმა თავის შრომას, შესაძლებლობას აღუვდა მას შეესწავლა მხოლოდ „თუ რამდენად აისახა ჩვენს ლიტერატურაში „თერგდალელთა“ და „ხალხოსნთა“

და სიმართლედ უნდა ითქვას, რომ მიხ. ზანდუკელმა აღებული პერიოდის ქართული მატერული ლიტერატურის ვითარებაში საკმაოდ ჩაგვანება.

მაგრამ ავტორმა ვერ ნივთაცა შესაფერო აწალიხი, თუ როგორ და რა პირობებში მოუბდა ჩასაბუთ ქართულ სინამდვილეს ხსენებულ მიმართულებათ მართალია ის სცდილობს თავის გამოკვლევას სარწმუნოდ დაუდოს „ჩვენი ქვეყნის სოციალ-ეკონომიური მდგომარეობა 60-იანი წლებისათვის“, მაგრამ სამწუხაროდ ამ თავში ის იძლევა ზერეულ და ხშირად შეუსაბამო მიმოხილვასაც. (შეადარე გვ. 7. და გვ. 14—15).

შესავალშივე ზანდუკელი იხილავს „რუსეთის საზოგადო (ალბად საზოგადოებრივი პ. გ.) აზროვნების და ლიტერატურის ძირითად მიმართულებათ 60—70 წლებში (გვ. 21), რომელთა უშუალო გაველნის ქვეშ, ხშირად უბეში მიბადვითაც შეიქმნა ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნება XIX საუკ. მეორე ნახევარში (გვ. 42). რუსეთში — „რახონონიცი“, საქართველოში — თერგდალელური (59 გვ.); რუსეთში — ხალხოსნობა. (народничество), საქართველოში — „ტეტიათა მოტრფილეობა“, ხალხოსნობა (გვ. 5 სქოლ.) ასე გვიხატავს ავტორი ამ გარემოებათა განვითარებას. მათში ურთიერთ შეხამებასაც აქვს ადგილი.

„თერგდალელთა“ მოღვაწეობას ზანდუკელი იხილავს, როგორც გარკვეული სახის მატერულ ლიტერატურულ და საზოგადოებრივ მიმართულებას.. (გვ. 21, რომელსაც 1861—1866 წ. წინაპირებამ უკვე წინ გაუწირო და აღარ ახასიათებს ბრძოლის ის სიმკაცრე და გარკვეულობა

1) წიგნში ხშირია უზერიო გამოთქმები, მაგ. „სოციალურ-ეკონომიურ პირობათა ცვლა“, ეს რამოდენიმე ადგილასაა განმეორებული.

რომელიც მანამდე ჰქონდა (შეადარე გვ. 170). ბატონყვობის გადავარდნით ჩვენი სოციალ-ეკონომიკური ცხოვრების გაღრმავება იცვალა ჩაერთა თერგდალეულთა ბურჟუაზიულ-ლიბერალურ ჩარჩოებში და დაუწყო მას დაშლა. ამ დროს 70-იან წლებში თერგდალეულებს აღარა აქვთ სამოქმედო პროგრამა, მათ მსოფლმშედველობაში არეულია როგორც ლიბერალურ-ბურჟუაზიული ისე უტოპიური და ხალხოსნური სოციალისმის (?) ვლემენტები. სწორედ ამავე ხნიდან იწყება ხალხოსანთა გამოიჭენა თერგდალეულებისაგანო (გვ. 180), სამართლიანად აღნიშნავს ავტორი.

ხალხოსნებმა მკვეთრი გამოხატულება ჰპოეს უფრო „იმედის“ (1881—1883) საშუალებით, რომელიც წარმოადგენს ავტორიასთვის უდავო ბაზას, ხალხოსანთა მსოფლმშედველობის გარკვევაში. ხალხოსნების ისტორია მკიდრით გადახლართულია მეცნიერული სოციალისმის მოძღვრების საწყისებთან ჩვენში.

ზანდუკელი აღნიშნავს (სამართლიანად პ. გ.) რომ „მატერული ლიტერატურა საუკეთესო და ხელსაყრელ იარაღად გადაიქცა ხალხოსნების მისწრაფებათა გამოამყვანებისათვის, ტანჯულ ხალხის ცხოვრების მკვეთრად გადაზღვისათვის და მკითხველთა ფართო მასებში იეს გატანისა და პოპულარიზაციისათვის (გვ. 220). მაგრამ ავტორი ვერ გვიხსნის (ყოველ შემთხვევაში არ გვიხსნის), თუ რა უნდა ყოფილიყო მიზეზი, რომ ხალხოსნებმა და თერგდალეულებმაც უმთავრესად თავიანთი მიზეზები და მისწრაფებანი მატერულ ლიტერატურაში და არა პოლიტიკურ ტრაქტატებში გამოხატეს (განსაკუთრებით ხალხოსნებმა).

საქმე იმაშია, რომ ავტორი საერთოდ ძლიერ მოკლებულია და ხშირად გვერდსაც უვლის იმ გარემოების შესწავლას, რომელშიც უნდა განვითარებულიყო ხალხოსნობა ჩვენში. „იმედმა“ მხოლოდ 3 წელი იარსება, რომლის ტირაჟმა 600 დან (1881)—210-მდე (1883) დაიწია უკანასკნელი წლისათვის. „იმედის“ მკვეთრი რევოლუციონერო სულისკვეთება იუცხოვა მაშინდელმა გაბატონებულმა საზოგადოებამ. „იმედის“ პირველი ნომერი უმშაბრასავით გასკდაო ამზობს ცნობილი ისარლოე (ДКІВ 1883). „იმედმა“ ერთბაშით მოინდომა ძველი თაობის—აკაკის

და მისი ამზანავებისათვის... (გვ. 181) აგება („იმედი“ № 2 1881), რომელშიც უკრ აიტანდა. აკაკის თაობა კიდევ საკითხო იყო. „იმედი“ მოულოდნელი და რადიკალური გარდატეხა იყო ქართულ ბურჟუაზიულ-ლიბერალურ მშენებელ საზოგადოებასთან ერთად, მეფის ხელი-სუფლებამაც, ცენზურის სახით შორს დაიჭირა.

სხვათა შორის ზედმეტი არ იქნებოდა, რომ ავტორს, რომელიც ხალხოსნების პრობლემას არჩევს ჩვენს ლიტერატურაში, ჩაეხედნა არქივებშიც. ყეროდ საცენზურო კომიტეტის არქივში, სადაც ჩამარბულია ხალხოსნების საუკეთესო ნაწარმოებანი, ზედმეტია მტკიცება, რომ „სარლოევის ცენზურობიდან გამონაძრობ წერილებში“ ბევრგვარ თავისებურებას დაკარგავდა ჩვენი ხალხოსნების შემოკლებება. აი რასა სწერს, ერთ ცენზორის მიერ აკრძალულ წერილში სტ. პრედავილი: „...დამეიწყება რომ... რაჟამს მოიწადინებ რაიმე საყურადსაღებო აზრის წარმოდგენას, მაშინვე მოგმინდებიან ტყვის დამყოფილნი, ამოგდებენ პირში ლაგამსა, დაგამახინჯებენ, შეგშლიან სახებზე, გაგაძრობენ ტყავსა, შერე გჭრავენ პანდურსა და გეტყვიან „შობაძანდი და ემაგ სახით, დაფლეთილი ტანისამოსით, სულსა და ხორცს მოკლებული ჩონჩხით, უჩვენე შენსა მკითხველსა და ენახით რა მოგვიდესო!“.

სამართლიანად დიდი იყო ცენზურის გაფლენა ხალხოსნებთ: ლიტერატურულ მოღვაწეობაზე საერთოდ და პუბლიცისტკაზე ყეროდ... ბოლო მატერული ლიტერატურა და მისი წარმოამდგენლები, ამ შორე შედარებით უფრო თავისუფალი იყო, რომელთა აზრი სხვადასხვა ფორმით უფრო ჰპოვლობდა სრულ გამოთქმას. ამიტომაც არის, სხვათა შორის, რომ პუბლიცისტები, რადიკალები-ხალხოსნები მალე უბრალო პროგრესისტებად—ლიბერალებად ზდებოდენ. და როდეს ცდებოდა ცენზორი, რომელიც ამზობდა ნ. ნიკოლაძეზე, როდესაც უკანასკნელმა „Капризъ нера“-ს გამოცემის ნებადასხვა ითხოვა, რომ „მისი მიმართულების მოწესრიგება საცენზურო წესადების საშუალებით შეიძლება“ (საცენზ. კომ. არქივიდან). ამრიგად უკანასკნელი გარემოება მეტად მნიშვნელოვანი საკითხია ხალხოსნების შესასწავლად, რომელიც არა აქვს ზანდუკელს. განხილული თავის შრომაში, რომლის სათაური ზემოდ ამოვსწერეთ.

1) ამოღებულია კავ. საცენზ. კომიტ. მიერ აკრძალულ წერილებიდან. ცენზურისა და ქართული ბეჭდვითი სიტყვის შესახებ ბიბლიოგრაფიის გამოსაცემად მიღებულია და ახლო ხანში დაიბეჭდება.



ლდავია, რომ ხალხოსნებმა ჩვენს ლიტერატურაში, რამოდენიმე ათეული წლის მანძილზე მეტად თავისებური კვალი გააღეს (შეიხ. გვ. 309), ზოლო სადათა ის, რომ ჩვენი ხალხოსნები მხოლოდ რუსეთის ხალხოსნების უშუალო გაგლეშის ქვეშ და ხშირად უბეში მიბძვის გზით აზროვნობდნენ (გვ. 42). ატი ნ. ზიხანიშვილი სწერს, რომ „რუსიანსკელ დროში ევროპაში დიდი ყურადღება მიატოვეს დაბალი ხალხის შესწავლას. ჩვენშიაც, ვგონებ ანალოგიური მოვლენა იშვა, თუმცა ეს მოვლენა ისე აშკარად არ გამოიხატა, როგორც ევროპაში“ („იმედი“ № 11—12, 1882). თვით ზანდუყელი ხომ აღნიშნავს, რომ რუს ხალხოსნებს სხვათაირი წარმოდგენა ჰქონდათ რუსეთის განვითარებაზე (ის არ უნდა წახლეულიყო ევროპის გზით. პ. ჯ. ზოლო ჩვენი ხალხოსნები კი ასე მტრულად არ უყურებდნენ დასავლეთ ევროპას. „ჩვენ, სწერს კრეკლაშვილი, არც ევროპის მეცნიერებაზედ და ცხოვრებაზედ ავიღებთ ხელსა, რადგანაც მხოლოდ მასში ეხედავთ კაცობრიობის გაუმჯობესების და მალა აწევის ძალას“ (გვ. 194). ამრიგად ხალხოსნების მსოფლმხედველობის ახლანაში გვეჩინია, რომ ზანდუყელი წინააღმდეგო-

ბაში ვარდება და მზგაენარკანსკისკა უფრო წერილ საკითხების გზგაგენასქი უნდა იკტაროს.

დასასრულ კიდევ ერთი ინტერესი არ მოკლებული საკითხი, ხალხოსნები ცდილობდნენ გაეგნათ ჩვენი ცხოვრება და მისი პერსპექტივები. რადგან იმ დროს, ის-ის იყო, „მოძინებულმა დევმა გაიღვიძა, შერეულ-შებოქვილმა ამირანმა ხელეობი აითთა და ახანას ითხოვდა“. (სოფ. მგალობლიშვილი). ხალხოსნებმა აუცილებლად მისცეს თავისებური ახანა ჩვენს ცხოვრებას, მაგრამ როგორ იტანს ის მეცნიერულ კრიტიკას? შეიძლება ითქვას, რომ ამ საკითხს არც შეებნია მ. ზანდუყელი თავის შრომაში.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ ზანდუყელის შრომის მთავარი ნაკლა იმაში მდგომარეობს, რომ ავტორი დავერდნო მხოლოდ მხატვრული ლიტერატურის მასალას და დაავიწყდა მთავარი ე. ი. სოციალ-ეკონომიური ვითარების გარკვევა იმ ეპოქისა, რომელსაც მთაი გამოკლებვა შეებება; ამიტომ მან ვერ გამოაყენა ის იფეოლოგიური მასალაც რომელიც უშუალოდ დაკავშირებული იყო ჩვენი ცხოვრების სოციალ-ეკონომიურ განვითარებასთან.

3. გუგუშვილი.

მ. მახარაძე. 1905 წელი ამიერ-კავკასიაში. სახელგამი. გვ. 250, ფ. 2 მ. 50 კ.

დასახლებული სარეცენზიო წიგნი, რომელიც გამოცემულია ორიოდე წლის წინეთ, განსაკუთრებულ ყურადღების საგანს წარმოადგენს დღესაც. უფრო ერთი, არავის მოუკია ამიერ-კავკასიაში რევოლიუციონერი მოძრაობის ცოტათ თუ ბევრათ დასრულებული, მთლიანი გამოკლებევა. ამ თვალსაზრისით ამხ. ფ. მახარაძის წიგნი გამონაკლისს შეადგენს უბედულად. აქ პირველად ეხედავთ. 1905 წლის რევოლიციის მთლიანი სურათის მოცემის ცდას რასაკირველას, ამიერ-კავკასიის და, ეკონომი, საკუთრეველს მაგალითზე. ეს დიდი დადებითი მხარე სარეცენზიო წიგნის. აქ გამოყენებულია ერთობ მდიდარი მასალა, მრავალი საგულისხმო დოკუმენტია მოყვანილი, მრავალი საინტერესო ფაქტებია დასახლებული. ვიმეორებთ, ამ მხრივ წიგნის ღირსება ყოველგვარ ექვს მოკლებულია.

მართალია, ამ ღირსებასთან ერთად წიგნს ნაკლებლოვანებაც ახასიათებს. ეს „თანდაყოლი-

ლი“ თვისება ყოველგვარ დიდთანან სერიოზულ ნაწარმოების ნაკლათ უნდა ჩაითვალოს ზოგიერთ საკითხების აჩქარებული გაშუქება. მაგალითად, ეს შეიძლება ითქვას წიგნის პირველ ნაწილში მოთავსებულ ზოგიერთ წერილებზე. აქ ფაქტური მასალა მოყვანილია რაც შეიძლება ბლომათ, მაგრამ ამ მასალის ღრმა ანალიზის საკმაო შთაბეჭდილებას ვერ ვღებულობთ მაინც. ალბათ, ეს აიხსნება ავტორის მუშაობის განსაკუთრებულ პირობებით...

წიგნი დაყოფილია ორ ნაწილად. პირველ ნაწილში მოცემულია, ასე ვთქვათ, 1905 წლის რევოლიუციის „გამაშფევეი მიზეზები ამიერ-კავკასიაში“. აქ გამოუქებულია მოძრაობის ეკონომიურ მიზეზებთან ერთად „სუბიექტური“ მიზეზებიც; მუშათა კლასის წარმოშობა და ზრდა, რევოლიუციონერ მოძრაობის გაძლიერება მუშათა ფენებში, აგრეთვე რევოლიუციონერ „იდეების“ გავრცელება ამიერ-კავკასიის გლეხურ მასებში.

წიგნის მეორე ნაწილი უკვე შეიცავს 1905 წ. განეთარებას ამიერ-კავკასიაში, კერძოდ— დასავლეთ საქართველოში. რა თქმა უნდა, რევოლუციონარული მოძრაობა ყველაზე უფრო ღრმად დასავლეთ საქართველოში მიმდინარეობდა და ამიტომაც სრულებით ბუნებრივია ავტორის განსაკუთრებული ყურადღება ამიერ-კავკასიის ამ ნაწილისადმი აქვე ფართოდაა გაშუქებული სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიების როლი, მათი ორგანიზაცია, ტაქტიკა და რევოლუციონარული მოძრაობაზე გავლენა. უნდა ითქვას, აქ მეტად ძვირფასი მასალებია მოყვანილი და ავტორის მოსაზრებებიც დამაჯერებელი არაგუმენტებითაა დასაბუთებული.

მკითხველის ყურადღებას ჩვენ მივაქცევთ წიგნის პირველ ასე ვთქვათ, თეორეტიკულ ნაწილზე განსაკუთრებით. ეს ნაწილი დიდ ინტერესს წარმოადგენს ყველა მკვლევარისათვის, რომელიც მიზნით ისახავს უდაოდეს სოციალურ მოვლენის ეკონომიურ ფესვების მონახვას. ეს ერთი, მეორე— ამ საკითხში— 1905 წლის მიზეზების საკითხში— მრავალი მკვლევარი და მოაზროვნე ასცდა სწორ გზას და მტკიცე საფუძველს მოკლებულ „თეორიის“ ნიადაგს დაემყარა. ამ, მაშაბადე კი, ჩვენი აზრით, წმინდა ორტოპოქსალურ მარქსისტულ-ლენინურ თვალსაზრისს ატარებს ამ უაღრესად მნიშვნელოვან საკითხის გაშუქებაში, საყურადღებოა, ავტორი ამ თვალსაზრისს იცავდა ჯერ კიდევ 1907 წელს (იხ. მისი „თხზულებათი კრებულის“ III ტომი, დაწვებული, მაგრამ—სამწუბართ—დაფარულია წერილი: „აგრარული საკითხი“, გვ. 292—298 და სხვა წერილებიც, აქვე მოთავსებული), ე. ი. მაშინ, როცა ავტორმა არც კი იცოდა ლენინის შეხედულებები გლეხურ რევოლუციის გამოწვევ მიზეზებზე, როგორც ვიცით, ლენინმა ამ მიზეზების ღრმა მარქსისტული ანალიზი მოკცა ორ შესანიშნავ შრომაში: „Аграрная программа социал-демократии в русской революции 1905—1907 годов“ და „Аграрный вопрос в России к концу XIX века“. პირველი დაიწერა 1907 წლის მიწურულში, მაგრამ გამოქვეყნდა მხოლოდ 1917 წელს. მეორე დაიწერა 1908 წლის გაზაფხულზე და დაიბეჭდა კი— 1918 წ. მთელი ათი წლის განმავლობაში უძრავთ ეგდო ეს უდადეს მნიშვნელობის გამოკვლევები და უცდიდა გამოცემას. ცხადია, 1907 წელს—და შეზღვევ—ამ, ფილიპე მოკლებული იყო ამ შრომების, მაშასადამე—ლენინის თვალსაზრისის— გაცნობას.

მიუხედავად ამისა, ავტორის მოსაზრებები სავსებით ტრანსპარენტურად მიერ გამოთქმულ შეხედულებებს. ზოგი მკითხველი არც კი მიაქცევს ამ გაგრძობებს ყურადღებას. მართლაც რა არის აქ საყურადღებო, ამხ. მახარადე ეთანხმება იმ აზრს, რომელსაც ლენინი ამტკიცებდა. ნამდვილად კი ეს ასე არ არის, ჩვენ გვაქვს მრავალი მაგალითი იმისა, რომ ლენინის ზოგი გამოხატული თანამოაზრე და თვალსაზრისი მკვლევარი 1907 წელს კი არა, უკანასკნელ დრომდეც არ იზიარებდა ლენინის თვალსაზრისს 1905 წელს. აგრარულ მოძრაობის გამოწვევ მიზეზების საკითხებში, მაგალითად თანამოაზრის ვასახელებით ამხ. პოკროვისკისა, როგორც ისტორიკოსი, ამხ. პოკროვისკი ზნობით უბრუნდებოდა 1905 წლის გლეხურ რევოლუციის გამოწვევ მიზეზებს და იძლეოდა არა სწორ, არა ლენინურ შეხედულებებს.

როგორც ვიცით, ლენინის თვალსაზრისი შემდეგში მდგომარეობდა: „რის გამო სწარმოებს ბრძოლა“—აუწუნება საკითხს ლენინი 1907 წელს და უპასუხებდა: ბრძოლა სწარმოებს იმის გამო, რომ მთელი მიწა თავმოყრილია ერთ მუტა მემამულეების ხელში, ხოლო მრავალმილიონიანი გლეხობა მოკლებულია არსებობის საშუალებას, ის იყვლიფება, ფეოდალური ექსპლუატაცია აუტანელს ხდის გლეხურ ცხოვრებას, ბატონყმური რაშთები წარმოუდგენლად ავიწროვებს „სტანჯავს“ გლეხურ მასებს, ასეთია ის ძირითადი ფონი, რომელზედაც სწარმოებს გლეხური ბრძოლა მიწისათვის“—ასე ნიდა ლენინი, (იხ. Ленин. Собр. соч. т. IX გვ. 431—432). მაშასადამე, არაკაპიტალისტური ესპლოატაცია, არამედ ბატონყმური ესპლოატაცია—აი რა არის ნამდვილი მიზეზი აგრარულ მოძრაობის.

პეტრე მასლოვმა სხვა „თეორია“ წამოაყენა. მასლოვის აზრით, ბრძოლის სათავეს შეადგენს არა ნაკლებობა მიწის, არა უშიწობა ვინაიდან ეს „კოველთვის იყო“ და რევოლუციონარ კი არ მომზდარა, რევოლუციონარული მოძრაობის საფუძველია წერილი და მსხვილი კაპიტალისტურ მეგრნობათა ინტერესების შეჯახება, რაც გამოიხატება „კაპიტალისტურ და სასურსათო რენტის ზრდაში“ (იხ. П. Маслов. Аграрный вопрос в России, т. II, წიგნი I, გვ. 10, აგრეთვე 150—152). აქ ფეოდალური ესპლოატაცია, ბატონყმური ურთიერთობი ცუცხალი ნაშთები სრულებით მეორეაზრისაგან მოვლენას შეადგენს. სამწუბართ, როგორც



ესთქით ასეთივე კალბ თვალსაზრისზე იდგა ამი. მ. პოკროვისკიც.

მ. პოკროვისკი აშკარათ აცხადებდა: „Остатки крепостничества вовсе не были главной причиной движения“. მამ რა იყო გვანდილობული აგრარული მოძრაობის მიზეზი? ეს იყო კონკურენცია, რომელიც სწარმოებდა შეძლებულ, ბერევიზიულ გლეხობას და მუშაშეღებებს შორის. გლეხობის ეს ნაწილი ებრაოდა მუშაშეღებს, როგორც თავის მტრსავე პურის ახლად წარმოშობილ ბაზარზე“. (იხ. М. Покровский. Русская история в самом скатом очерке ч. III вып. I, стр. 210, 217). ამივე აზრს გამოხატავს მ. პოკროვისკი „მოწვევებში“. რასაკვირველია, ასეთი შეხედულება კრიტიკას ვერ უძლებს. ეს სრულებით არ ეთანხმება სინამდვილეს. გაქვალტყვებული გლეხობა მუშაშეღებს ებრაოდა განა პურის ბაზარზე? ეს ბრძოლა გაცილებით ადრე დაიწყო, ვინც საქმე პურის ბაზარს მიაღწევდა. ადრე დაიწყო და გამწვავდა კიდევ. ბრძოლა გაწვავდა ბატონ-ყმურ უქსკლოატაკიის და ფეოდალურ ნაშთების წინააღმდეგ. აქ უმთავრესად ღარიბი გლეხობა იბრძოდა და არა მდიდარი. პირიქით, მდიდარი გლეხობა უფრო პასიურ რაღს თამაშობდა. რასაკვირველია, ეს ადვილი გასაგებია რვე. მოძრაობის ღრმით გაცეობის საშუალებით. ჩვენც ვხედავთ, ამ. პოკროვისკიმ შეიკვალა აზრს და გულანდობილად აღიარა თავისი უემცდარი შეხედულებების უსაფუძვლობა. (იხ. მისი: „1905“, ტ. 15—17, აგრეთვე: „История-Марксвет“, ტ. I, გვ. 269). მ. პოკროვისკიმ გამოსწორა თავისი შეცდომა და ლენინის შეხედულება მთლიანად გაიზიარა.

აი, როცა ვვალადერ ამას გავითვალისწინებთ, ჩვენ უსათუოდ საყურადღებოთ მოგვეჩვენება ამ. ფოლიუს სწორი შეხედულება 1905 წლის მოძრაობის მიზეზებზე „მუშაშეღებსა და გლეხებს შორის შექმნილ ურთიერთობა“ „შევიდობიანათ არ გათავებდებოდა“. „გლეხებსა და თავად-აზნაურების შორის უკვე გაჩაღებული იყო ნამდვილი ომი“ (გვ. 31). ამ ომში თავის განვითარების უმაღლეს წერტილს 1905 წელში მიაღწია.

ჩვენ სრულებით ვეთანხმებით ავტორს: „არ ემარა თქმა იმისა, რომ რევოლიუცია... გლეხების გაჭირვებაში გამოიწვია“ (გვ. 14). ამ რევოლიუციაში დიდი წილი მიუძღვის მუშათა რევოლიუციონურ მოძრაობის ზრდა-განვითარებას. მუშათა რე-

ვოლიუციის გავლენა გლეხების მუშაშეღებზე არ იყო მარტო „ფსიქოლოგიური“ ხოგირთის წარმოუდგენია. ეს გავლენა რეალური იყო. მეორე მხრივ, „გლეხის გაჭირვებას“ გარემო ეს გავლენა ვერ მოეხდა ვერავითარ ნადავს სოფლის მოსაზღვრებაში და ჰაერზე დამოკიდებულ დარბეობა. სწორედ ამაშია საქმე: გლეხურ მავლებრის უკიდურეს გაჭირვებასთან ერთად უკვე დაწყებული მუშათა კლასის რევოლიუციონურ მოძრაობის განვითარებას და ამ მოძრაობის დიდ გავლენას გლეხობაზე. ამით აინსება 1905 წ. რევოლიუციის განვითარება.

ვიზორებთ, სწორ მარქსისტულ-ლენინურ თვალსაზრისს დაცვა-გამოყენებით ნაიათდება ამ. მახარაძის ეს წიგნი ასეთი ნაშრომი იდრი ბანია არ უნახავს ქართული წიგნის ბაზარს. საინტერესოა, როცოთ შესალო ავტორმა უდიდეს მარქტრეულ სახელმწიფოებრივ მოღვაწეობასთან ერთად ასეთი ვეებრაველი ნაშრომის შესრულება და გამოცემა. გულანდობილად უნდა ითქვას, აქ არაჩვეულებრივ ენერჯიასთან და ნებისყოფასთან გვაქვს საქმე.

დამირების მიზეზებით, ეს წიგნი უნდა შესული ითხულებათა კრებულში, VII ტოვით. მაგრამ წიგნი „დამოუკიდებლად“ გამოცემული აღბათ, ეს აინსება „საიუბილეო განწყობილებით“. ჩვენის აზრით, გაცილებით უკეთესი იქნებოდა დამირების შესრულება და წიგნის გამოცემა „კრებულის“ მე VII ტომის საბით. რა თქმა უნდა, მომავალში ეს ასეც უნდა მოხდეს.

უსათუოდ დადებით მოვლენათ უნდა ჩათვალოს ამ წიგნის გამოცემა რუსულ ენაზე და ც. რუსული ისტორიული აზროვნება უდიდეს უზრადლებას აქცევს ამირკაცასიაში რევოლიუციონურ მოძრაობის შესწავლას. ის იფრებს ყოველგვარ გამოცემას, რომელიც კარუსულ ბაზარზე გამოდის. ისეთი უსუსური და უნიკო „ნაწარმოები“, როგორცაა, მაგ. სვესტო თალაქაძის „საქართველოს კომპარტიის ისტორიისათვის“, ჰპოულობს აქ აზროვნებას, თუმცა, რასაკვირველია, არა სანუგეშოს და „სასაბელოს“... ამ. ფ. მახარაძის სარეცენზიო წიგნი შესაფერ კვალს დაამწვეს ამიერკაცასიაში 1905 წ. რევოლიუციონურ მოძრაობის გაცეობის და საფუძვლიანად შესწავლის საქმეს არა მარტო ჩვენში, მთელ სამკოთა კავშირის ისტორიულ ლიტერატურაში.

მიხკოველი.

ბის. ვასიანი
ა. შიქაძე
ბ. შამუღია
ა. ქაქავაძე
ს. ყულა

შინაარსი

მხატვრული ლიტერატურა

1. ივ. ყიფიანი—უკვდავ კომუნარს	839რ.
2. სიმონ ჩიქოვანი—ბულბულიანი	10
3. გიორგი ლეონიძე—სიმღერა პირველი თოელისა	12
4. ვარლამ ფურულა—მანიფესტი შკითხველებს	14
5. კალე ბობოხიძე—პოეტი—მხედარი	15
6. ილო მოხაშვილი—ქალ-ვაჟიანი	16
7. ვიქტორ გაბეხკირია—საეარჯიშო მოედანზე	18
8. მიხ. ჯავახიშვილი—წითელი ლილი	19
9. ნიკოლოზ მიწისმკობი—კამათელი და სახაოება	47
10. ნ. ზომლეთელი—ბეჟანა დაბრუნებულა	54
11. როდონ ქორქია—დარეჯანის ნაწამარი	67
12. იოსებ ტატიშვილი—იალლუჯა	79
13. ედუარდ ბაგრატიონი—ფიქრი ათანასზე (თარგმანი ვალერიან გაფრინ- დაშვილის)	102

ქრიტიკა, მხატვრობა და კუბლიცისტია

14. პ. ქიქოძე—ანგარიში და კრიტიკა ათას ცხრაას ოცდა რვა წლის ლი- ტერატურულ პროდუქციის შესახებ	111
15. მიხ. ჯავახიშვილი—ახალი სალიტერატურო ქართულისათვის (დასას- რული)	144
16. შალვა აღმაშენებელი—შენიშვნები კინოს შესახებ	168
17. პროფ. დიმიტრი უზნაძე—ტფილისის ტრამვაის ვატმანების ფსიქო- ტექნიკური გამოცდა და მისი შედეგები	175
18. გ. მუშიშვილი—ისტორიული ეტიუდები	203

გიგლიოგრაფია

19. პ. გუგუშვილი—მიხ. ზანდუკელი თერგდალეულნი და ხალხოსნები ქართულს ლიტერატურაში	235
20. მოსკოველი—ფ. მახარაძე 1925 წელი ამიერ-კავკასიაში	237